ქ. ფიცხელაური

# აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.)

(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

„მეცნიერება“
თბილისი
1973

902·6
ფ. 697

ნაშრომში ფართო სინქრონული მასალის ფონზე შესწავლილია ცენტრალური ამიერკავკასიის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთკავშირის პრობლემა; გაშუქებულია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურების გენეზისის საკითხი, მოცემულია ლოკალური კულტურების გამოყოფისა და ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებთან მათი დაკავშირების ცდა; წიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქრონოლოგიის საკითხებს, კულტურის სოციალურ-ეკონომიურ არსს და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

1—6—2
125—1972 ადგ.

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973

M—607

## წინასიტყვაობა

განუზომლად დიდია ქართველ არქეოლოგთა ღვაწლი კავკასიის წარსულის შესწავლის საქმეში. იგი განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართულ არქეოლოგიას სათანადო ყურადღება მიაქციეს ჩვენი ისტორიის მამამთავრებმა — ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და არქეოლოგიურ კვლევას საქართველოში სპეციალისტები ჩაუდგნენ სათავეში (გ. ნიორაძე, ლ. მუსხელიშვილი, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე და სხვ.).

ამ დროიდან მოკიდებული მეცნიერული საფუძველი ეყრება ჩვენს მიწა-წყალზე უძველეს ხანაში მცხოვრებ ხალხთა ისტორიის შესწავლას. ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის გამოკვლევას ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ა. იესენის, ბ. კუფტინის და სხვათა ნაშრომებმა.

გასული ორმოციოდე წლის განმავლობაში ქართულმა არქეოლოგიურმა მეცნიერებამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა წინ როგორც ახალი მასალების მოპოვების, ისე მათი შესწავლის საქმეში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ახალი კადრების სათანადო შერჩევა და ზრდაც უწყობდა ხელს. აღიზარდა ქართველ არქეოლოგთა რამდენიმე თაობა. ყოველივე ამან კი შესაძლებელი გახადა ფართო არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყურადღების ცენტრში ექცევა ყველა ეპოქის ძეგლები — ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული ფეოდალური ხანით დამთავრებული. ჩატარებული სამუშაოების შედეგად დაგროვდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა და ღრმა მეცნიერულ საფუძველზე გაიშალა მათი კვლევაც. გამოქვეყნდა მრავალი ფუნდამენტალური ნაშრომი, გადაიჭრა არაერთი კონკრეტული თუ ზოგადი პრობლემა.

ბუნებრივია, ამგვარმა ფართოდ წამოწყებულმა სამუშაოებმა არქეოლოგების წინაშე დააყენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემები და შექმნა ნიადაგი ამ საკითხების შესწავლა-განზოგადებისათვის. კერძოდ, შესაძლოა ჯერ კიდევ რამდენადმე წინასწარი, მაგრამ უკვე არსებითი, ფართო მასშტაბის დასკვნების გაკეთების უფლებას იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ძვ. წ. XV—VII საუკუნეების კუთვნილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა.

როგორც ცნობილია, გვიანბრინჯაო-რკინის ხანა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს საზოგადოების უძველეს ისტორიაში. ამ ხანაში ხდება დიდი სამეურნეო და სოციალ-პოლიტიკური ძვრები, რაც ბუნებრივია, მატერიალური კულტურის განვითარების კვალდაკვალ მიმდინარეობს და მისი საშუალებით აისახება.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე ამ ხანაში არა ერთი დიდი მონათმფლობელური სახელმწიფო წარმოიშობა და ქრება. ამავე დროს შესასწავლი ტერიტორია არა ერთი მომთაბარე ტომის თავდასხმის ასპარეზი ხდება და სხვა. ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ცხოვრებაში, მაგრამ ამ ტომების განვითარების დონის განმსაზღვრელი, პირველ რიგში მაინც შინაგანი ფაქტორები იყო.

ამ ხანის საწარმოო ძალთა და წარმოებითი საშუალებების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შედეგია რკინის აღმოჩენა და ათვისება ცენტრალურ ამიერკავკასიაში, რომლის რევოლუციური როლი საზოგადოების განვითარების ისტორიაში ცნობილია (1, გვ. 223).

ცენტრალურ ამიერკავკასიაში ამავე პერიოდში ხდება შრომის მესამე დიდი დანაწილება — ხელოსნობა გამოეყოფა მიწათმოქმედებას, იქმნება ვაჭართა კლასი, ე. ი. ირღვევა პირველყოფილი თემური წყობილება. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ძირი-

თად საფუძველს კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისათვის და სახელმწიფოს შექმნისათვის.

საკვლევ ტერიტორიაზე სახელმწიფოს შექმნას დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ვარაუდობენ. ამდენად, ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდი სწორედ ამ ამბებს უძღვის წინ და რადგან სახელმწიფოს ინსტიტუტი ყველა მონაცემით ჩვენთან ადგილობრივ ფესვებზე აღმოცენებულად უნდა ვიგულოთ, ამდენად, ბუნებრივია, უშუალოდ მის წინა ხანის წიაღში უნდა ვეძიოთ ის სათავეები, რომელმაც მისცა დასაბამი ჩვენში სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა-ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ამგვარი მნიშვნელობისა, გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ამ ტერიტორიაზე არსებულ მატერიალურ კულტურებზე, მათ ურთიერთკავშირზე მეზობელ კულტურებთან, მათ ქრონოლოგიურ დანაწილებაზე და მასალის თავისებურებების მიხედვით დარაიონებაზე ბოლო დრომდე არ არსებობს ერთი საერთო ჩამოყალიბებული აზრი.

არსებითად არ არის გადაჭრილი ზოგადი პრობლემების მთელი წყება, როგორიცაა კულტურათა გამოყოფისა და მათი გენეზისის, ამ კულტურათა ეთნიკური კუთვნილების საკითხი და სხვა მრავალი.

ნაშრომის მიზანს შეადგენს არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენებით ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი.

მასალის სიმრავლის, მრავალფეროვნებისა და საკვლევ პრობლემათა სირთულის გამო, ვიფარგლებით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალის შესწავლით. მაგრამ რადგან გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ცენტრალურ ამიერკავკასიაში არსებული ცალკეული არქეოლოგიური კულტურები ერთიანი კულტურის საფუძველზე შექმნილი განშტოებებია, ამის გამო შეუძლებელია კვლევა-ძიების ისე წარმართვა, რომ მთელ ამ ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა არ მოექცეს ყურადღების სფეროში.

ნაშრომი ძირითადად ემყარება არქეოლოგიურ მასალებს. გამოყენებულია და დამუშავებული — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, ცხინვალის მუზეუმების, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მასალები; აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმების ფონდებში დაცული შემთხვევით მოპოვებული მასალები და კოლექციები.

ნაშრომში განხილულ პრობლემებთან დაკავშირებით ფართო საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს ვაწარმოებდით კახეთში. ათი წლის განმავლობაში გამოვიკვლიეთ ხუთი ნამოსახლარი, სამი სამლოცველო, სამეთუნე-სახელოსნო, მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი სახელოსნო და მრავალრიცხოვანი სამაროვნები (სამასიოდე ორმოსამარხი და გორასამარხი).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ გათხრითი სამუშაოებისა და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული, ცნობილი და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების გათვალისწინების საფუძველზე მეტად არსებითი მონაცემები მივიღეთ, რაც იძლევა დასკვნების განზოგადების საშუალებას.

ვიდრე უშუალოდ საკვლევ თემაზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, აუცილებელია იმ პრინციპების კრიტერიუმი განვმარტოთ, რომელზე დაყრდნობითაცაა აგებული ნაშრომის ძირითადი — კვლევითი ნაწილი.

ნაშრომის აგებულების განმსაზღვრელი მისი მიზანდასახულობაა.

ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის მიზანი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის ყველა დამახასიათებელი მხარის შესწავლაა ერთ მთლიანობაში, ჩვენ უფრო მიზანშეწონილად ვცანით — ცალკე განგვეხილა მოსახლეობის სამეურნეო თუ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარე, მთელ კონკრეტულ არქეოლოგიურ მასალაზე კი დასკვნით თავში გვესაუბრა, სადაც კულტურის შესწავლის ყველა კარდინალური საკითხია თავმოყრილი.

განვითარების ამა თუ იმ ეტაპის თუ კულტურის ერთობლივი, თანამიმდევრულად სრული სახის წარმოსაჩენად კვლევის ეს გზა მეთოდურად ყველაზე გამართლებულად გვესახება.

ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ. წ. XV—VII სს. არქეოლოგიური მასალის დღემდე არსებულ ყველა ქრონოლოგიურ დაჯგუფებას (და მათ სახელწოდებებს), ძირითადად, ლითონის დამუშავება უდევს საფუძვლად (ა. იესენი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ბ. კუფტინი, რ. აბრამიშვილი, ა. მარტიროსიანი და სხვ.). ჩვენ წინამდებარე ნაშრომის დასკვნით თავში შევეცადეთ აღმოსავლეთ საქართველოს ამ

პერიოდის არქეოლოგიური მასალებისათვის სათანადო თანამიმდევრობა შეგვემუშავებინა, ლითონთან ერთად თიხის ჭურჭლის თავისებურებათა გათვალისწინებით. ჩვენი თვალსაზრისის სრული დასაბუთება ამ საკითხის ირგვლივ მოცემული იქნება თანამიმდევრულად მთელ ნაშრომში, აქ ვიძლევით მხოლოდ მის ზოგად მონახაზს.

ჩვენი კვლევის შედეგად, აუცილებელი გახდა შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდების არქეოლოგიური მასალის დაკავშირება გენეტიკურად და მათი დამაკავშირებელი რგოლის ცალკე გამოყოფა.

წინამდებარე ნაშრომში ამ პერიოდს ჩვენ ვუწოდეთ გარდამავალი ეტაპი შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის.

აღმოსავლეთ საქართველოში ეს ეტაპი ძირითადად კერამიკის მიხედვით გამოიყოფა. ამ კომპლექსების კუთვნილი თიხის ჭურჭლის უმრავლესობას ახასიათებს შუაბრინჯაოს ხანისათვის ჩვეული წმინდად განლექილი, უმეტესად ნაცრისფერსარჩულიანი კეცი, შავი, ნაპრიალები ზედაპირი. შუაბრინჯაოს ხანისვე ტრადიციები ჩანს ფორმაშიც, შემკულობის სქემაში და მისი დატანის ტექნიკაშიც. ამ ეტაპის ძეგლებს აქვს შუაბრინჯაოს ხანის სხვა ნიშნებიც. გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები კი ამ კომპლექსების ინვენტარში მხოლოდ თითო-ოროლაა ჩანასახის სახით.

აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის გარდამავალი ეტაპის მასალებს, ბუნებრივია ქრონოლოგიური ადგილი განვითარების სქემაში ამ ორ პერიოდს შორის უნდა მოეძებნოს.

ვინაიდან ამჟამად საკმაოდ მყარადაა განსაზღვრული შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის თარიღი ძვ. წ. XV ს. პირველი ნახევრით, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ ახლად გამოყოფილი პერიოდის ძეგლები, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების უშუალო განვითარებას წარმოადგენს, სწორედ ამ თარიღის მომდევნო დროს უნდა მიეკუთვნოს. ამისთვის, რა თქმა უნდა, საჭირო გახდება იმ კომპლექსთა თარიღების გახალგაზრდავება, რომლებიც დღემდე შუაბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურთან უშუალოდ იყო მიახლოებული და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სახელით იყო ცნობილი (ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსები).

მაგრამ ამ კომპლექსების გაახალგაზრდავება მხოლოდ დროის იმ მონაკვეთით, რომელიც გარდამავალი ეტაპის ძეგლების ჩასასმელადაა საჭირო, მაინც არ იქნებოდა საკმარისი, რადგან გარდამავალი ეტაპის ძეგლების უშუალო გამგრძელებლად უნდა ჩაითვალოს უმთავრესად თიხის ჭურჭლით წარმოდგენილ კომპლექსთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც აშკარად უსწრებს წინ ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრისპირების შემცველ კომპლექსებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების სამ საფეხურად დანაწილება დავინახეთ საჭიროდ[1]:

1. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ან პირველი საფეხური, რომელიც ხასიათდება გვიანბრინჯაოს ხანისათვის ტიპიური ნიშნების ჩამოყალიბებით, თუმცა იგი შუაბრინჯაოს ხანის ნიშნებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ ატარებს.

2. გვიანბრინჯაოს ხანის საშუალო ან მეორე საფეხური — ამ დროს საბოლოოდ ყალიბდება ამ პერიოდის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი. იგი, ასე ვთქვათ, კლასიკური საფეხურია გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის განვითარებისა[2].

3. გვიანბრინჯაოს ხანის ბოლო, მესამე საფეხური ან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. ამ ეტაპზე ბრინჯაოს მეტალურგიის ნაწარმს ჯერ ისევ გაბატონებული ადგილი უკავია, თუმცა მის წიაღში უკვე ჩნდება რკინის დამუშავება.

ამ პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია მცირე-ლოკალური მატერიალური კულტურების გამოყოფა.

მომდევნო ეტაპს წარმოადგენს ე. წ. რკინის ფართოდ ათვისების ხანა (53) — ამ დროს მატერიალური კულტურის მთავარი დამახასიათებელია რკინის წარმოების საბოლოო გამარჯვება. ამ პერიოდის დასასრულს ხდება აღმოსავლეთ საქართვე-

---

[1] აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგიურ-ეტაპობრივი დაჯგუფების რამდენიმე ცდაა ცნობილი, რომელთა შესახებ დაწვრილებით დასკვნით თავში გვექნება საუბარი.

[2] ჩვენ სხვა ავტორებთან ერთად (ა. აფაქიძე (279), ო. ჯაფარიძე (280) და სხვ.) ჯერჯერობით ვერ გავიზიარებთ რ. აბრამიშვილის მოსაზრებას აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში რკინის დამუშავების ძვ. წ. XIV ს. გაჩენის შესახებ (81). ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ იმიტომ კი არა, რომ დაუშვებლად მიგვაჩნია, არამედ იმ მიზეზით, რომ ჯერჯერობით სამისო საკმარი საბუთები არ გვეგულება.

ლოს ტერიტორიის ლოკალურ-მატერიალურ კულტურათა დამახასიათებელი ნიშნების ნიველირება.

ამგვარად, ჩვენი კვლევის ობიექტია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა მატერიალური კულტურის განსაზღვრული პერიოდი, რომელიც მოიცავს ცხრა საუკუნეს ძვ. წ. XV საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე ძვ. წ. VI საუკუნემდე.

ნაშრომის ძირითადი მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის შესწავლის ბაზაზე: 1. შეძლებისდაგვარი სისრულით აღდგენა იმ კულტურულ-ისტორიული პროცესისა, რომელიც მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. XV—VII სს. 2. აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური განვითარების ზოგადი სურათის დადგენა, მათი კავშირების შესწავლა მეზობელ ტერიტორიებზე მცხოვრებ ტომებთან და მისი ადგილის განსაზღვრა გარემომცველ სამყაროში. 3. აღმოსავლეთ საქართველოს ცნობილი ძეგლების მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის კავშირის გარკვევა წინამორბედ კულტურებთან, ე. ი. თვალის გადევნება მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარებისათვის ან საწინააღმდეგოს დადასტურება, ე. ი. კულტურის გენეზისის შესწავლა. 4. გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანაში განვითარების ცალკეული ეტაპების გამოყოფა. 5. არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ლოკალურ კულტურათა საზღვრების გამოყოფა და მათი ცვალებადობის დადგენა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. 6. მატერიალური კულტურებისა და ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ერთიმეორესთან შეძლებისდაგვარი დაკავშირება. 7. არსებული მიღწევების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. XV—VII სს. არქეოლოგიური ძეგლებისათვის საერთო ქრონოლოგიური სკალის შემუშავება. 8. დასახულ პრობლემათა გასაშუქებლად დაწვრილებითი — ქრონოლოგიური და ნივთობრივი არქეოლოგიური რუკების შედგენა და სხვა მრავალი.

რა თქმა უნდა, რომ ყველა პრობლემას წინამდებარე ნაშრომში ერთნაირი სისრულით ვერ განვიხილავთ. ხშირად მასალის სიმცირის გამო მხოლოდ საკითხის დასმით ვკმაყოფილდებით ან საბოლოო დასკვნის ნაცვლად მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამთ.

მიუხედავად ამისა, დასახული მიზნების განსახორციელებლად, ვფიქრობთ, მაქსიმალურადაა გამოყენებული ყველა მონაცემი, რომელთა გათვალისწინებითაც მთელი რიგი განმაზოგადებელი დასკვნებია გამოტანილი.

ვსარგებლოთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ კოლექტივსა და კერძო პირს, ვინც მასალის გაცნობით თუ საქმიანი რჩევით ხელი შეუწყო ამ გამოკვლევის მომზადებას.

რადგან ავტორი შორს არის იმ აზრისაგან, რომ ნაშრომში ყველა დასმული საკითხი სრულად ან უნაკლოდ არის გაშუქებული და გადაჭრილი, იგი ყველა საქმიან რჩევას მიიღებს და გამოიყენებს თავის შემდგომ მუშაობაში.

## შესავალი

### § 1. აღმოსავლეთ საქართველოს მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ცენტრალური ამიერკავკასია, რომლის უდიდეს ნაწილსაც აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენს, ხასიათდება მრავალფეროვანი რელიეფითა და ბუნებრივი სიმდიდრით[1].

ამ მხარის მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ფაქტორად ითვლება მისი რელიეფი, რომელიც უმთავრესად მთიანია. ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მთების ორი დიდი სისტემაა. ჩრდილოეთით — დიდი კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით — შავი და კასპიის ზღვებს შორის — მცირე კავკასიონის მთების სისტემა. ორივე სისტემას მრავალი განტოტება აქვს, რაც ცენტრალური ამიერკავკასიის რელიეფს მთაგორიანს ხდის. ეს ორი სისტემა ერთიმეორესთან სურამის ქედით არის დაკავშირებული.

გეოლოგიური და ოროგრაფიული თვალსაზრისით მცირე კავკასიონი წარმოადგენს ე. წ. სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოქცეული სომხეთის მთიანეთის ნაწილს (ჯავახეთ-სომხეთის მთიანეთს) და მცირე კავკასიონს ხშირად განიხილავენ როგორც ერთიან მთიან ოლქს და უწოდებენ ამიერკავკასიის მთიანეთს.

ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული თალიშის მთები წარმოადგენს სომხეთის მთიანეთის ირანული ნაწილის განაპირა ჯაჭვს. დასავლეთით კი სომხეთის მთიანეთი მცირე აზიის მთებს ემხრობა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამიერკავკასიის მთიანეთის მთავარი ქედია თრიალეთის ქედი. იგი ვრცელდება თბილისიდან ბორჯომის ხეობამდე, სადაც მტკვარი წყვეტს ერთიმეორისაგან თრიალეთისა და მის გამგრძელებელ მესხეთის ქედს. თრიალეთის ქედის მთავარი გადასასვლელია ცხრაწყარო (ზღვის დონიდან 2450 მ). ამას გარდა მცირე კავკასიონი აღმოსავლეთ საქართველოში წარმოდგენილია შავშეთისა და ლოქის ქედით.

დიდი კავკასიონის თოვლის ზოლი დასავლეთით გადის 2750—3900 მ სიმაღლეზე, ხოლო აღმოსავლეთით — 3500—3960 მ სიმაღლეზე. დიდი კავკასიონის 1,4% მყინვარებითაა დაფარული, რომელთა რიცხვი 1400-ს აღწევს. ამიერკავკასიის მთიანეთში, სადაც მთები უფრო დაბალია და ჰავა მშრალი, გამყინვარებაც უმნიშვნელოა. აქ მყინვარი, ამიერკავკასიის უმაღლეს წერტილზე, მთა არაგაცზეა (4095 მ) და ზანგეზურის ქედის დიდ მწვერვალზე.

დიდი კავკასიონის ქედზე, ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიის გაყოლებით ბევრ ადგილასაა უღელტეხილები—ყადორის (2380 მ), ხევის ყელის ან ჯვრის (2379 მ), ბურსაჭირის (2375 მ) და სხვ. ამ ცნობილ უღელტეხილებს გარდა, სადაც ჩრდილოეთთან დამაკავშირებელი გზები გადის, არსებობს კიდევ ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე ათეული საცალფეხო გადასასვლელი (ერთიმეორისაგან 5—15 კილომეტრის დაცილებით). ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში მოქმედებენ. როგორც ჩანს, ეს უღელტეხილები უძველესი დროიდან იყო ცნობილი კავკასიის მოსახლეობისათვის (9, გვ. 72). ბუნებრივია დიდი კავკასიონის ქედი შემდეგშიც გადაულახავ ზღუდეს არასოდეს არ წარმოადგენდა არც მის სამხრეთით და არც მის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისათვის. ამის ბევრი მაგალითი არსებობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი კავკასიონის ქედი მაინც ერთადერთი ბუნებრივი ზღუდე იყო, რომელიც ყოფდა, მაგალითად, ჩრდილო და ცენტრალურ კავკასიურ, ერთიმეორისაგან ძირფე-

[1] აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა მთლიანად სპეციალურ ლიტერატურას ეყრდნობა (2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და სხვ.).

სვიანად განსხვავებულ მატერიალურ კულტურებს. როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური ამიერკავკასიის არც ერთი მთაგრეხილი ამგვარ ფუნქციას არ ასრულებდა.

თუმცა კავკასიის გეოგრაფიულ თავისებურებას ძირითადად მთიანი რელიეფი განსაზღვრავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ არის არა ერთი ტენიანი და მშრალი დაბლობიც. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ამ მხრივ გამოირჩევა მტკვარ-არაქსისა და ლენქორანის დაბლობები.

ბევრია შედარებით მცირე დაბლობიც, რომლებიც მიკრორაიონებში სოფლის მეურნეობის საფუძველს ქმნიან. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთია — მთებით გარშემორტყმული შიდა ქართლის დაბლობი მტკვრის შუა დინების გასწვრივ (მუხრანისა და საგურამოს ველები). არაგვის ქვემო დინებამდე შიდა ქართლის დაბლობის სიმაღლე ზღვის დონიდან 745 მეტრია. შიდა ქართლის ბარს ორი გასასვლელი აქვს — ერთი ბორჯომის ხეობით ბორჯომისაკენ და მეორე — თბილისთან მტკვრის ხეობით.

შიდა ქართლის დაბლობი ირწყვება მტკვრის შუა დინებით და მისი შენაკადების — ლიახვის, ქსნისა და არაგვის ქვემო დინებით. ამ დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთი გაგრძელებაა ქვემო ქართლის დაბლობი (კოდის, ბორჩალოს და ყარაიას ველები). იგი მცხეთიდან იწყება და ფართოვდება სამხრეთ-აღმოსავლეთით მტკვრის ხეობის გაყოლებით ხრამის ხეობამდე. ქვემო ქართლის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის ორივე მხარეს, კახეთის დაბლობია გადაშლილი. მისი სიგრძე 160 კმ-ია, სიგანე 5 კმ-დან ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, 37 კმ-მდე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დაბლობის საშუალო სიმაღლეა 500 მ ზღვის დონიდან. კახეთის დაბლობი მოქცეულია დიდი კავკასიონის სამხრეთ — დამრეც ფერდებს, საშუალო სიმაღლის (1900 მ-მდე) ცივი გომბორის ქედის ჩრდილო ფერდებსა და ამ ქედის გამგრძელებელი ივრის ზეგანის ჩრდილო ფერდებს შორის.

ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 700 მ სიმაღლეზე მდებარეობს ვაკობი, ე. წ. შირაქის ველი, რომელიც გადადის თითქმის დაბლობ (130—150 მ) ელდარის ველში. ივრის ზეგანზევე მთებს შორის მოქცეულია რამდენიმე, შედარებით მცირე ვაკობი (ტარიბანა, ზილიჩა და სხვ. ), რომლებიც შირაქის ველის მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ურწყავია, მხარის სოფლის მეურნეობის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულის გარდა იორ-ალაზნის აუზის ხეობებში ბევრია ისეთი მცირე ვაკე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის მეურნეობისათვის ინტენსიურად იყენებს მორწყვის გარეშე.

ივრის ქვემო დინებაში დაბლობი ადგილები მხოლოდ მდინარის ნაპირებშია აქა-იქ და სოფლის მეურნეობისათვის გამოიყენება. დანარჩენი ტერიტორია მთაგორიანია, ნახევრად უდაბნოს მცენარეულით იგი პირველხარისხოვან საზამთრო საძოვრებს წარმოადგენს. მხოლოდ ამ მიზნითაა გამოსაყენებელი ელდარის ველიც.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილშიც, კახეთის მსგავსად, მხარის სოფლის მეურნეობის ეკონომიურ საფუძველს, მართალია, შიდა ქართლის დაბლობი წარმოადგენს, მაგრამ მასთან ერთად მოსახლეობა ინტენსიურად ამუშავებს იმ მრავალ მცირე ვაკე ადგილებს, რომლებიც სხვადასხვა ხეობებს ახლავს თან. აღმოსავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის დამუშავებულია მცირე და საშუალო დახრის მთის ფერდობებიც (ძირითადად ურწყავი).

დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამხრეთ-მთიანეთის ქედებს შორის მოქცეულ ზეგნებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჯავახეთის ზეგანი, ფართობით 700 კვ. კმ (ე. ი. საქართველოს მთელი ტერიტორიის 1%). ზღვის დონიდან იგი დაახლოებით 1800 მ სიმაღლეზეა. ამ ზეგანს მთელი აღმოსავლეთ საქართველოს და არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ წარსულში საზაფხულო საძოვრებად იყენებდა და ახლაც ამ მიზნით სარგებლობს. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა საზაფხულო საძოვრებად იყენებს დიდი კავკასიონის ალპიურ ზონასაც. ზაფხულობით ცხვარი ხშირად გადაჰყავთ ჩრდილოეთ კავკასიაშიც, ზამთარში კი კასპიისპირა იალაღებს იყენებენ საძოვრად.

ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ბევრი მდინარეა, მაგრამ მთავარია მტკვარი და არაქსი, ყველა დანარჩენი კი მათი შენაკადია. აღმოსავლეთ საქართველოში მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია — ლიახვი, არაგვი, ალაზანი, იორი, ხრამი და ალგეთი.

ბევრია ცენტრალურ ამიერკავკასიაში ტბებიც, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ძალიან მცირე ზომისაა. სიდიდით გამოირჩევა მხოლოდ სევანის

ტბა (1914 მ ზღვის დონიდან). ჩვენში ტბებით განსაკუთრებით მდიდარია ჯავახეთის ზეგანი — ფარავნის, ტაბაწყურის, საღამოს ტბა და სხვ.

კლიმატური თვალსაზრისით კავკასია მდებარეობს ზომიერი და სუბტროპიკული სარტყლების შესაყარზე, რომლის ზღვარს დიდი კავკასიონის ქედი წარმოადგენს. იგი აკავებს ჩრდილოეთიდან ცივი არქტიკული ჰაერის მასებს, ხოლო სამხრეთიდან — თბილი ჰაერის დინებას და ამიერკავკასიას მთლიანად სუბტროპიკულ ზონაში აქცევს.

ამიერკავკასიაში კლიმატური პირობები აშკარად განსხვავდება სურამის ქედის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. დასავლეთში, სადაც ვრცელდება ხმელთაშუა ზღვის კლიმატური პირობები, ზაფხული ნაკლებად მშრალია და ცხელი, ვიდრე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც იჭრება შუა აზიის უდაბნოს ცხელი ჰაერის მასები.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დასავლეთთან შედარებით 5—6°-ით მაღალი ტემპერატურაა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ზოგად მონაცემებში არ შეიძლება აისახოს კლიმატური პირობების ის მრავალფეროვნება, რომელიც ახასიათებს ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონს. აქ ნესტიანი სუბტროპიკული (ლენქორანი, კოლხეთი) ან მშრალი (მტკვრის ხეობა და მტკვარ-არაქსის დაბლობი) ჰავა ეხამება კონტინენტურს — ცივს (ჯავახეთი, სომხეთის მთიანეთი), სადაც ზაფხული არ არის ცხელი, მაგრამ ზამთარი მკაცრია და გრძელი, თოვლის საფარი ოთხი-ხუთი თვე ძლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მთიან კავკასიაში ჰავა და ლანდშაფტი ექვემდებარება ვერტიკალური ზონალობის კანონს. რელიეფის ამაღლებასთან ერთად იცვლება ჰავაც—სუბტროპიკულიდან გადადის ზომიერ-თბილზე და შემდეგ ცივი ჰავის სხვადასხვა ტიპზე, მუდმივი სიცივის სარტყლამდე. შესაფერისად იცვლება ლანდშაფტიც. ზედა ზონებში (თოვლიანი ხაზის ქვემოთ) განლაგებულია ალპიური და სუბალპიური ველები, რომლებიც მშვენიერ საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს. უფრო ქვემოთ ტყეებისათვის და მარცვლოვანი კულტურებისათვის ხელსაყრელი ზონებია. ამ სარტყლებს ქვევით უკეთ ხარობს ხილი, კაკალი, ვენახი და სხვა სითბომოყვარული კულტურები. ყველაზე დაბალ ადგილებში —კოლხეთისა და ლენქორანის დაბლობებში ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს სუბტროპიკული კულტურების გაშენებას.

კავკასიაში დაბალი სარტყლების ლანდშაფტები ძირითადად სტეპურია და ნახევრადუდაბნო. მაგალითად, გვალვიან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ მტკვრის ხეობაში და მტკვარ-არაქსის დაბლობში ჭარბობს მლაშობი ნახევრადუდაბნოები.

ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ფართობი ველს წარმოადგენს, სტეპური ლანდშაფტები აქ საკმაოდ მაღალ ადგილებშიც გვხვდება. ამგვარია, მაგალითად, ჯავახეთ-სომხეთის მთიანეთის ველები (ზღვის დონიდან 1500—2500 მ).

ლენქორანის დაბლობის ზონის მცენარეული საფარი დაახლოებით წააგავს კოლხეთისას, თუმცა ამასთან ერთად ბევრი თავისებურებაც აქვს, რაც ნიადაგებზე, ჰავაზე და სხვა მიზეზებზეა დამყარებული.

საერთოდ კავკასიის მცენარეული საფარი ძალიან მდიდარია. საკმარისია ითქვას, რომ აქ 6 ათასამდე სხვადასხვა სახის მცენარეა. ასევე მრავალფეროვანია კავკასიის ფაუნა; ხოლო მდინარეებსა და ზღვებში მრავალი ჯიშის თევზია.

მდიდარი და მრავალფეროვანია კავკასიის და კერძოდ კი აღმოსავლეთ საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეც (სპილენძი, რკინა, ტყვია, ვერცხლი, ოქრო, თუთია და სხვ.). სპილენძის საბადოთა მთავარი ბუდეებია კავკასიონის სამხრეთი ფერდები და მცირე კავკასიონის ალავერდის მიდამოები. რკინის მარაგით შედარებით ღარიბია დიდი კავკასიონის ჩრდილო ფერდები, სამაგიეროდ მცირე კავკასიონის ზონა ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი ჩანს.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უმეტეს ნაწილში მრავლად მოიპოვება საამშენებლო ქვაც.

კავკასია ძალიან მდიდარია კერამიკული თიხებით, რამაც განაპირობა კერამიკული წარმოების ფართო გავრცელება.

ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის მკვიდრთა მატერიალურ ცხოვრებასა და ყოფაზე, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, არსებითი გავლენას ახდენდა გეოგრაფიული ხასიათის ფაქტორებიც. ამიტომად, ამით უნდა აიხსნას განვითარება სოფლის მეურნეობის იმ მთავარი დარგებისა, რომლებიც უმეტესად შერწყმულია ერთ სამესაქონლო-სამიწათმოქმედო კომპლექსში, მესაქონლეობის, განსაკუთრებული სისტემით — რომელიც ან შეზღუდულია ვიწრო საზღვრებით ან კიდევ დაკავშირებულია საქონლის გარეკვასთან საძოვრებზე —ზაფხულში — მთაში, ზამთარში — დაბლობში. სწორედ ამას უნდა დაუკავშირდეს კავკასიაში მრა-

ვალი სახის ხელოსნობის გავრცელება, კუსტარული წარმოება, რაც ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზეა წარმოშობილი, შრომის გეოგრაფიული დანაწილების ისტორიულად წარმოქმნილი თავისებურებების შედეგად. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ სხვადასხვა მხარე განსხვავდება საწარმოო სპეციალიზაციის მიხედვით.

გეოგრაფიული პირობების სპეციფიკამ თავისი კვალი დაასვა კავკასიის ხალხთა საცხოვრებელს, ტანსაცმელს, საჭმელს. მაგალითად, კავკასიური სოფლების დაგეგმარებაში შეჯგუფებულობა, ტერასული განლაგება სხვა ფაქტორებთან ერთად ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული რელიეფის ხასიათსა და მცენარეულ საფართან.

ბუნებრივია, რომ საკვლევ პერიოდშიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა საზოგადოების განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს გავლენა ფრიად მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ ცხადია, არა განმსაზღვრელი.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიული გარემო მეტად ხელსაყრელია მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებისათვის. მიუხედავად მისი მთაგორიანობისა, აქ არ არსებობს ისეთი ბუნებრივი ზღუდეები, რომლებიც მატერიალური კულტურის გავრცელების ბუნებრივ საზღვრად შეიძლებოდა მიგვეჩნია. ამდენად, ცხადია, ჩვენ მიერ საკვლევი მხარის საზღვრების დადგენა გეოგრაფიულ პრინციპს არ ემყარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არც შემთხვევითია და არც ნებისმიერი.

ბუნებრივია, საკვლევი ტერიტორიის საზღვრების დადგენაში ჩვენთვის ამოსავალი არ იყო არც ისტორიული და, მითუმეტეს, არც თანამედროვე პოლიტიკური საზღვრები, რადგან ამ საზღვრების მხედველობაში მიღება წინაანტიკური მასალის განხილვისას ხელოვნური იქნებოდა, ასეთ თვალსაზრისს კი, არასწორი დასკვნები მოჰყვებოდა შედეგად. ცხადია სხვა საკითხია, თუ მატერიალური კულტურის კვლევისას გამოყოფილი არქეოლოგიური კულტურის გავრცელების საზღვრები და რომელიმე გვიანდელი პოლიტიკური ერთეულის საზღვრები ერთიმეორეს დაემთხვევა. ამ ფაქტს შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს და საკმაოდ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კიდეც, მაგრამ ვიმეორებთ, კვლევის მხოლოდ იმ ეტაპზე, როდესაც არქეოლოგიური კულტურა უკვე გამოყოფილია და მისი საზღვრებიც დადგენილი.

ზოგადად ცენტრალური ამიერკავკასიისა და კონკრეტულად აღმოსავლეთ საქართველოს გამოცალკევება მომიჯნავე ტერიტორიებიდან და მის საზღვრებში მოსახლე ტომთა წარსულის შესწავლა ძვ. წ. XV—VII სს. მეზობელი თანადროული კულტურებისაგან გამოყოფით, მთელმა რიგმა მიზეზებმა განაპირობა.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი პირველ რიგში განსაზღვრა საკვლევი პერიოდის მატერიალური კულტურის იმ ძეგლთა თავისებურებების გათვალისწინებამ, რომლებიც ამ ტერიტორიაზეა განლაგებული.

## § 2. აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. XV—VII სს. მატერიალური კულტურის შესწავლის ისტორია

ამიერკავკასიის სიძველეთა შესწავლა XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება. მანამდე მხოლოდ თითო-ოროლა კერძო პირის წამოწყებებს ჰქონდა ადგილი და ისიც ცოტა ხნით (10, გვ. 56).

მაშინდელ ადგილობრივ გაზეთებში იშვიათად იბეჭდებოდა წერილები, რომელთაც არქეოლოგიური კვლევის პრეტენზიები ჰქონდა, თუმცა ისინი ფაქტიურად მხოლოდ არქიტექტურული ძეგლების და წარწერების შესწავლის ცდებს წარმოადგენდა (11; 12; 13 და სხვ.).

ამიერკავკასიაში არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სისტემატური ხასიათი მიიღო დაახლოებით ამ ასიოდე წლის წინ[2]. 1871 წლიდან მცხეთაში

---

[2] ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის I ნახევრის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია საკმაოდ დაწვრილებითაა დამუშავებული რამდენიმე ავტორის მიერ (14; 15; 16; 17, გვ. 6—14; 18, 19; 20, გვ. 5—18; 21; 22, გვ. 77—85; 23, გვ. 9—24; 24, გვ. 69—76 და სხვ.). ამგვარ სპეციალურ ნაშრომებს გარდა, ცენტრალური ამიერკავკასიის თუ აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის ისტორიის საკითხებს იხილავს ყველა ავტორი, რომელსაც კი

(სამთავრო) ფ. ბაიერნის მიერ (25; 26; 27) და ვორნაკ'ში (ახლანდელი აკნერი) ა. ერიცოვის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად დიდად გაიზარდა ინტერესი ამიერკავკასიის სიძველეებისადმი, რამაც განაპირობა თბილისში 1871 წლიდან კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტის ჩამოყალიბება. კომიტეტმა შეადგინა კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის გეგმა.

1872 წ. ა. ერიცოვი იწყებს ჟურნალის „კავკასიის სიძველენი“ გამოცემას. ჟურნალში (რომელმაც მხოლოდ ორ წელს იარსება) იბეჭდებოდა წერილები კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის შესახებ. იგი აშუქებდა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტის მუშაობას. ეს უკანასკნელი 1871 წელს რეორგანიზებულ იქნა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებად“.

საზოგადოება სამუშაოებს ძირითადად საქართველოში აწარმოებდა. ფ. ბაიერნი 1871-76 წწ. არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე. იმავე დროს სომხეთში, დილიჟანის მახლობლად, შესწავლილ იქნა ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის სამაროვანი, რომელიც ცნობილი გახდა „რედკინ ლაგერის“ სახელით (28).

გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა თავს იყრიდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ მიერ დაარსებულ მუზეუმში (1874—1878 წწ.). 1878 წელს ეს მასალები შეუერთდა კავკასიის მუზეუმის (ამჟამად აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) კოლექციებს.

მოპოვებული მასალა პერიოდულად ქვეყნდებოდა კიდეც, მაგრამ მათი გააზრების მეცნიერული დონე, ისევე როგორც საველე არქეოლოგიური სამუშაოებისა, არ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში კავკასიაში გათხრებს აწარმოებდა ერნსტ შანტრი. თავის კაპიტალურ ნაშრომში იგი იხილავს ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს უძველესი ისტორიის საკითხებს და მათ შორის „რედკინ ლაგერის“ მასალებსაც (29).

ამიერკავკასიის არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სრულიად რუსეთის V არქეოლოგიურმა ყრილობამ, რომელიც მოწვეულ იქნა თბილისში 1881 წელს.

ყრილობის მომამზადებელმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით (30). ფართო და მრავალფეროვანი იყო ყრილობის პროგრამაც, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პირველყოფილი და კლასიკური კულტურის სიძველეებს (31).

ყრილობის შემდეგ გაძლიერდა ინტერესი ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლებისადმი. მაგრამ თუ ადრე არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად საქართველოში მიმდინარეობდა, ყრილობის შემდეგ ამ სამუშაოების ცენტრმა სომხეთში და უფრო კი აზერბაიჯანში გადაინაცვლა.

მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის შემდეგ კავკასიის არქეოლოგიაზე ყურადღება გაამახვილა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და 1888 წლიდან დაიწყო გამოცემა სერიისა—„მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ექსპედიციის მიერ შეკრებილი კავკასიის არქეოლოგიური მასალები“. ამ საზოგადოებამ შემდეგ უფრო გააფართოვა თავისი მუშაობა და 1901 წელს თბილისში დააარსა კავკასიის განყოფილება.

1891 წ. კავკასიაში მოღვაწეობას იწყებს რუსეთის მეორე ცენტრალური არქეოლოგიური უწყება — არქეოლოგიური კომისია. კომისიამ ა. ბობრინსკის ხელმძღვანელობით განაგრძო გათხრები „რედკინ ლაგერში“ (32)[3]. კომისიის ხაზითვე ნ. მარმა გააგრძელა ვორნაკის სამაროვნის (33)[4] გათხრები, რომელსაც 1871 წელს იკვლევდა ა. ერიცოვი, ხოლო 1894 წელს — ე. თაყაიშვილი. ამ უკანასკნელმა აქ აღმოაჩინა ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნის ბრწყინვალე მასალა (34)[5].

---

ამ მხარის მატერიალური კულტურის შესწავლა უცდია. ამის გამო ჩვენ მიმოხილვას მხოლოდ ზოგადი ხასიათი ექნება.

ყველა მეცნიერული ნაშრომი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლების შესწავლას ეხება, ტექსტში თავის ადგილას გვაქვს სათანადო განხილვით მითითებული.

[3] ა. ბობრინსკის მიერ მოპოვებული მასალა ინახება სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში, ინვ. № 17067—17096.

[4] მასალები ინახება ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში, ინვ. № 16842—17044; 17204—17234.

[5] ე. თაყაიშვილის დღიური ინახება ЛОИА-ს არქივში, საქმე №—17. მასალები დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟის

1911—1914 წწ. მტკვრის ხეობაში, ბორჯომის მახლობლად, არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდნენ ვ. გოროდცოვი და ე. თაყაიშვილი (35; 36; 37). აქ სოფ. წაღვერის მახლობლად 1911 წ. აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ლითონდამუშავებელი სახელოსნო, რომელსაც ზემოდან შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენა ფარავდა. აქვე აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის რამდენიმე სამარხი.

უფრო ზუსტი ცნობები ამ გათხრების შესახებ არ არის შემონახული, რადგან მისი მთელი დოკუმენტაცია დაიწვა[6], მასალის უდიდესი ნაწილი კი დაიკარგა. მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია აქ მოპოვებული მასალის მხოლოდ მცირე ნაშთი[7]. მაგრამ მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, კავკასიის სიძველეთა შესწავლა წინა რევოლუციურ ხანაში მაინც არ იდგა სათანადო სიმაღლეზე: არ წარმოებდა გეგმაზომიერი გათხრითი სამუშაოები, ყურადღება ექცეოდა მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილ ცალკეულ ძეგლებს, არ ტარდებოდა კულტურების ზოგადი ანალიზი. შეუსწავლელი რჩებოდა მთელი მხარეებიც. მეტად დაბალი იყო არქეოლოგიური გათხრების დონე, რადგან მას ძირითადად არასპეციალისტები აწარმოებდნენ; არ წარმოებდა აუცილებელი საველე დოკუმენტაცია; კოლექციები იყოფოდა და ხშირად დიდი ნაწილი უცხოეთში იგზავნებოდა, უმნიშვნელო ნაწილი კი რუსეთის მუზეუმებს ბარდებოდა. მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი ქვეყნდებოდა და ისიც უხარისხოდ.

ძირფესვიანად შეიცვალა მდგომარეობა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ყველა რესპუბლიკას ცალ-ცალკე მიენდო თავის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-პატრონობა. შეიქმნა ადგილობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მუზეუმები. ფართოდ გაიშალა სამუშაოები უძველესი ისტორიის ყველა პერიოდის შესასწავლად. სამუშაოებს სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებმაც არსებითად გადაახალისეს მუშაობა და წინ წასწიეს არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ფართოდ დაიგეგმა არქეოლოგიური სამუშაოები პალეოლითიდან მოკიდებული ფეოდალური ხანის ძეგლების შესწავლის ჩათვლით. მათ შორის თავიდანვე გამახვილდა ყურადღება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა შესწავლაზე.

აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ყველაზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა საქართველოში, რადგან ძველთაგანვე სწორედ აქ იყო კავკასიის უძველესი ისტორიის შემსწავლელი ცენტრი.

თავდაპირველად საქართველოში ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება.

საბჭოთა პერიოდში პირველი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში გ. ნიორაძემ ჩაატარა. იგი სხვა პერიოდის ძეგლთა კვლევასთან ერთად თხრიდა და იკვლევდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებსაც აღმოსავლეთ საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით 1927 წ. გაითხარა ორმოსამარხი ზემო ავჭალაში (38), მანვე გამოიკვლია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის განძი ქვემო სასირეთიდან (39).

საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ს. მაკალათიამ შემთხვევით აღმოჩენილ მასალებს (40). იგი სოფ. ფლავისმანში აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს და მისი შედეგები გამოაქვეყნა კიდეც (41). დაიბეჭდა ა. იესენის რამდენიმე ნაშრომი, ფაქტიურად სისტემაში მოიყვანეს ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის ლითონის მასალა და მოგვცეს მისი პერიოდიზაცია (42; 43; 44). ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გ. გოზალიშვილი კახეთში, სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი შეისწავლა (45).

საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლაში ახალი ეტაპი იწყება 1936 წლიდან, როდესაც დაარსდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, რომლის ბაზაზე 1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიურ სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ფილიალის სისტემაში შემავალი ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილება, რომელსაც სათავეში გ. ნიორაძე ედგა.

საერთოდ, საქართველოში უძველესი ისტო-

---

აღმოსავლეთის განყოფილებაში, ინვ. №№ 17262—17268; 16718—16811.

[6] მოსკოვის ისტორიული მუზეუმის საინვენტარო წიგნში იხ. ევ. პჩელინას შენიშვნა, 1926 წ. ოქტომბრის თარიღით.

[7] მიმ, ინვ. № — 50993; 50994; 50995/1—105/.

რიის შესწავლას აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. ს. ჯანაშია ხელმძღვანელობდნენ, რომელთა დაწყებული საქმე გააგრძელეს მოწინავე ქართველმა არქეოლოგებმა, რომელთა კვლევის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს ყოველთვის წარმოადგენდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებიც. მაგრამ კადრების ნაკლებობისა და სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზების გამო ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველო მაინც მეტად არათანაბრად და არასრულად იყო შესწავლილი.

1936—1937 წლებიდან საველე არქეოლოგიური მუშაობა გეგმაზომიერად გაიშალა. მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თრიალეთში ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. აქ გამოვლენილმა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეულმა ინვენტარმა სხვა პერიოდის ძეგლებთან ერთად პროფ. ბ. კუფტინს საშუალება მისცა ა. იესენის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს ამ დროის ძეგლთა ქრონოლოგიური სკალა მოეცა (46).

1937 წ. დმანისის რაიონის სოფელ საფარლოსთან მუშაობდა ენიმკი-ს ექსპედიცია გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. აქ შესწავლილ იქნა ჯერ კიდევ 1932 წელს აღმოჩენილი სამაროვანი, სადაც გამოვლინდა ქვისსამარხები მეტად საინტერესო ინვენტარით (47; 48), რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისს მიეკუთვნება.

საქართველოს არქეოლოგთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საველე მუშაობის ობიექტს მცხეთის საყოველთაოდ ცნობილი სამთავროს სამაროვანი წარმოადგენდა. აქ 1937 წელს განახლებული სამუშაოები უკანასკნელ დრომდე მიმდინარეობს.

არქეოლოგიური სამუშაოები საერთოდ მცხეთაში და კერძოდ მრავალსართულიანი სამთავროს სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლა ფაქტიურად ქართველ არქეოლოგთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის კერად იქცა. აქ მოპოვებული მასალები ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომს დაედო საფუძვლად (49; 50; 51; 53; 205 და სხვ.)[8].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალებზე დაყრდნობით პირველად გამოიყო აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარების რამდენიმე ეტაპი (52; 49), რომელიც შემდეგ უფრო დაზუსტდა და დღესდღეობით ზოგადად ყველაზე უფრო მისაღებ ქრონოლოგიურ სკალად ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის ძეგლებისათვის (53), თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ზოგიერთ დაზუსტებას მაინც საჭიროებს.

1938 წ. მეტად საინტერესო სამუშაოები ჩატარდა კახეთში, სოფ. ბაკურციხესთან (54).

შემდგომში საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლის გაუმჯობესების თვალსაზრისით დღის წესრიგში დადგა მთელი მხარეების შესწავლის საკითხი. 1945 წ. აკად. ს. ჯანაშიას ინიციატივით მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ექსპედიციას დაევალა მხარის მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე გაერკვია ის როლი, რომელსაც ეს ტერიტორია თამაშობდა უძველეს დროში, კერძოდ, აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ურთიერთობაში და სხვ. 1945—1948 წწ. ჩატარდა ოთხი არქეოლოგიური კამპანია. ექსპედიციამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა სტალინირის ნაცარგორაზე. იგი ფაქტიურად წარმოადგენდა წინაანტიკური ნამოსახლარის შესწავლის პირველ ცდას (55).

სამხრეთ ოსეთის ექსპედიციამ საინტერესო სამუშაოები ჩაატარა შემდგომაც. ამ მხრივ საყურადღებოა ო. ჯაფარიძის მიერ სოფ. ქვასათალში გათხრილი სამაროვანი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ მოგვცა შუაბრინჯაოს ხანის რიგითი სამარხები (56).

ამ დროიდან იწყება დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციების მთელი სერია (57; 58; 59 და სხვ.), რომელიც დღემდე მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ სამუშაოებში განსაკუთრებული წვლილი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელ ჯგუფს შეაქვს (60; 61; 62; 63; 64 და სხვა მრავალი).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიურ სამუშაოებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და

[8] სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული სხვადასხვა პერიოდის მასალების მიხედვით მომზადდა არა ერთი საკანდიდატო დისერტაცია (გ. ლომთათიძე, ა. კალანდაძე, ტ. ჩუბინიშვილი, ნ. უგრელიძე, ო. ტყეშელაშვილი, რ. აბრამიშვილი, ვ. თოლორდავა და სხვ.).

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი უდგას სათავეში, მაგრამ გათხრებს აწარმოებს უკვე მრავალი ორგანიზაცია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის ფილიალი. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, გათხრითი სამუშაოები ფრიად დიდი დიაპაზონით იშლება. აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული კუთხეების შესასწავლად ყალიბდება ცალკე ექსპედიციები, როგორიცაა, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის, ქვემო ქართლისა და სხვ. საველე-არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში — დიდი ხვედრითი წონა აქვს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლების შესწავლას. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს წოფში, ხოვლეში, ურბნისში, არდასუბანში, კასპში, მცხეთაში, კახეთის სხვადასხვა პუნქტში, სამხრეთ ოსეთში (თლი), ალგეთის ხეობაში, მეტეხში, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში, დარიალის ხეობაში, თბილისში, ერწოში, მადნისჭალაში და სხვ.

სისტემატურად ქვეყნდება საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მოკლე ანგარიშები[9]. იბეჭდება მრავალი ცალკეული გამოკვლევა და ანგარიში, მუშავდება სამუზეუმო მასალები (65—77 და სხვა მრავალი). დაგროვილი მასალის საფუძველზე იქმნება მთელი რიგი განმაზოგადოებელი ნაშრომებისა (78—81 და სხვ.). იბეჭდება ცალკეული მუზეუმების, ექსპედიციებისა თუ სხვადასხვა სამეცნიერო უჯრედების კრებულები, რომლებშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის შესწავლას (82—84 და სხვ.). ქვეყნდება ცალკეული მონოგრაფიები თუ ნარკვევები, რომლებშიც მოცემულია არქეოლოგიური კვლევის ისტორია საქართველოში (18—22; 85—88 და სხვ.).

ავტორთა კოლექტივის სახელით გამოდის საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელო, რომელშიც შეჯამებულია 1959 წლამდე ჩატარებული მუშაობა. ეს ნაშრომი ფაქტიურად პირველი სახელმძღვანელოა არქეოლოგიაში, საბჭოთა კავშირში გამოცემული (10). აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიის საკითხები ფართოდაა გაშუქებული საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის პირველ ტომშიც (24).

ბოლო ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ იშლება არქეოლოგიური სამუშაოები; ამჟამად სამაროვნების შესწავლის პარალელურად დიდი ადგილი ეთმობა ნამოსახლარებისა თუ სხვა ხასიათის ძეგლების შესწავლას. ბოლო დრომდე აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი ნამოსახლარი — სტალინირის ნაქცარგორა იყო მეცნიერულად შესწავლილი. ამდენად, ბუნებრივია, ამ ტიპის ძეგლების შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, ამჟამად კი შიდა ქართლში უკვე რამდენიმე ნამოსახლარზეა სტაციონარული გათხრითი სამუშაოები ჩატარებული.

სოფ. ხოვლეში გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი „ხოვლეგორა", რომლის კულტურული ფენები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. I ათასწლეულს განეკუთვნება. ნამოსახლარის მახლობლადვე გაითხარა რამდენიმე ორმოსამარხი და კერამიკული სახელოსნო. სამწუხაროდ, გამოკვლევა ამ ნამოსახლარის შესახებ ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის, თუმცა დ. მუსხელიშვილის თავაზიანი ნებართვით გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით მის დასაბეჭდად გამზადებულ ხელნაწერს.

მეტად მნიშვნელოვანი საველე სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა ნამოსახლარ ბორცვზე უფლისციხის მახლობლად — ყათნალიხევის გორაზე (89).

ამჟამად დიდ სამუშაოებს ატარებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი რ. აბრამიშვილი). ექსპედიციამ უკვე შეისწავლა ძვ. წ. I ათასწლეულის კუთვნილი რამდენიმე მდიდრული სამარხი, ახლა კი გათხრებს აწარმოებს „თრელიგორეების" ტერასებზე, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი გამოავლინა.

ნამოსახლარების შესწავლის მიზნით გეგმაზომიერ სამუშაოებს ატარებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. მან უკვე მთლიანად შეისწავლა სამი სამოსახლო გორა, ხოლო რამდენიმე ნამოსა-

---

[9] იხ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მოკლე ანგარიშები. სესიები ტარდება რეგულარულად 1952 წლიდან.

ხლარზე დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა. ექსპედიციამ შეისწავლა ამ ნამოსახლარებთან დაკავშირებული რამდენიმე სამაროვანიც. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგად გამოვლინდა იარუსებიანი სამაროვნებიც, რომელთა შესწავლამ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა კულტურის განუწყვეტელი განვითარების დასამტკიცებლად და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა დაიწყო მუზეუმის ფონდებში დაცული შემთხვევითი ცალკეული მონაპოვრებისა და კოლექციების გამოცემა (90; 91), რითაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლის, კერძოდ, კი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის კვლევის საქმეს. იგი ფართო გათხრით სამუშაოებს აწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოში; მუზეუმის ექსპედიციამ გვიანბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვანი მასალები გამოავლინა ურბნისში, არუხლოს მახლობლად და სხვ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე სიღნაღის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, გორის, ბორჯომის, ხაშურის, ახალციხის, თბილისის, დუშეთის, ცხინვალის და სხვა მუზეუმები.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ამჟამად უკვე საკმაოდ დიდი სამუშაოებია ჩატარებული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალების შესასწავლად. არა ერთი მონოგრაფია მიეძღვნა ცალკეულ ძეგლთა შესწავლასა თუ ცალკეულ მნიშვნელოვან პრობლემათა კვლევას, მაგალითად, როგორიცაა ძეგლთა პერიოდიზაციის საკითხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის მასშტაბები დღეისათვის აღარ არის დამაკმაყოფილებელი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებულმა დასკვნებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი პრობლემები. ამჟამად უკვე აუცილებელი გახდა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა მთლიანი კულტურების შესწავლა მათი გენეზისის, ეთნიკური კუთვნილების და სხვა პრობლემათა თვალსაზრისით. როგორც წინასიტყვაობაშიც იყო აღნიშნული, სწორედ საკითხთა ამგვარ წყებას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემათა კვლევისას ზოგიერთი სირთულე იჩენს თავს, რამდენადაც საკვლევი მხარის ყველა კუთხე ერთნაირი სიღრმით არ არის არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი. ზოგჯერ იგრძნობა მასალის უკმარისობა და სხვ.

## თავი პირველი

# აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ყოფის ამსახველი ძეგლები და სამეურნეო ცხოვრება ძვ. წ. XV—VII სს.

ნაშრომის მიზანს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XV—VII საუკუნეებში ბინადარი მოსახლეობის წარსულის შესწავლა წარმოადგენს და ამდენად, ბუნებრივია, პირველ რიგში უნდა გაირკვეს ისეთ საკითხთა მთელი წყება, რომელიც განგვიმარტავს სად და როგორ ცხოვრობდნენ ეს ტომები, როგორ აწარმოებდნენ ისინი ყოველდღიური მოხმარების საგნებს და სხვ. ანუ სხვანაირად, შესწავლილ უნდა იქნეს ადამიანთა ცხოვრების მთელი ციკლი. ამ ისტორიული სურათის აღდგენა ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური კულტურის საყოფაცხოვრებო ძეგლების საშუალებით — როგორიცაა საცხოვრებლები, სახელოსნოები, სამლოცველოები, სამაროვნები. ბუნებრივია, ამ ძეგლთა შესწავლასთან ერთად, მასთან კავშირში გამოკვლეული უნდა იყოს ადამიანის სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგი — მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამოსაქმეობის დარგები, მეტალურგიული წარმოება და ლითონდამუშავება, კერამიკული წარმოება და სხვ.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ცდა არსებული მასალების საფუძველზე სწორედ ეს საკითხები იქნეს შესწავლილი.

## § 1. ნამოსახლარები

ცნობილია, რომ საზოგადოების ცხოვრების სრული სურათის აღდგენა, მეურნეობის სხვადასხვა საკითხის შესწავლა, მოსახლეობის ყოფის და სხვა სოციალ-ეკონომიური საკითხების კვლევა ნამოსახლართა შესწავლის გარეშე ცალმხრივი იქნებოდა; გასაშუქებელი დარჩებოდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემებიც.

საქართველოს სიძველეთა მკვლევარებს დიდი ხანია კარგად ესმოდათ ნამოსახლართა შესწავლის აუცილებლობა, მაგრამ რატომღაც კვლევა-ძიება ისევ ძველი გზით მიდიოდა — მიმდინარეობდა სამაროვნებისა და შედარებით გვიანი ნამოსახლარების შესწავლა, გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა კვლევა კი, მართალია, დღის წესრიგში იდგა, მაგრამ მაინც ყურადღების გარეშე რჩებოდა.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ორმოცდაათიანი წლებიდან, ვითარება არსებითად შეიცვალა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, თუმცა ჯერჯერობით კიდევ არასაკმარისადაა არქეოლოგიურად შესწავლილი, მაგრამ ის ფართო დაზვერვები და გათხრითი სამუშაოები, რაც უკვე ჩატარებულია, საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნებისა და განზოგადოებების საშუალებას იძლევა.

გვიანბრინჯაოს ხანის პირველი ნამოსახლარი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, სტალინირის „ნაცარგორა" იყო.

1[1] *სტალინირის ნაცარგორა* აღმოაჩინა ს. ნადიმაშვილმა, დაზვერვით მოიხილა ბ. კუფტინმა (59), ხოლო გათხრით შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეო-

[1] ამ პარაგრაფში მოცემულ ძეგლთა ნუმერაცია (ლიტერატურის მითითებებისგან განსხვავებით, ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული) შეესაბამება № 1 რუკის (ტაბ. $I_1$) ნუმერაციას და აქ მოცემულ ძეგლთა აღწერილობა ამ რუკის ექსპლიკაციას წარმოადგენს.

ლოგიურმა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით (55). ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით 1,5-2 კმ მანძილზე, მდ. ლიახვისა და ტბეთურას შესართავის კონცხზე, მარცხენა მაღალ ტერასაზე. იგი ბუნებრივი წარმოშობისაა. ნამოსახლარი ბორცვი რკალისებური თხრილით მოწყვეტილია ზეგანს, რითაც ფაქტიურად შეერთებულია ტბეთურასა და ლიახვის კალაპოტები.

ნამოსახლარის კულტურული ფენის სიმძლავრე ხუთ მეტრამდე აღწევდა და წარმოდგენილი იყო ოთხი სხვადასხვა ეპოქის სამი შრით [55, გვ. 241].

პ ი რ ვ ე ლ ი ფ ე ნ ა (სისქე—0,5—0,8 მ) მდებარეობდა ბორცვის ბუნებრივ ზედაპირზე. იგი წარმოდგენილია რიყის ქვებით, თიხის ჭურჭლის ნატეხებით, ცხოველის ძვლებით, ნახშირით და სხვ. პირველი ფენის ქვეშ აღმოჩნდა ხუთი ორმოსამარხი მოხრილკიდურებიანი გვერდზე მწოლიარე ჩონჩხებით.

სამარხები მნიშვნელოვან მასალას იძლევა პირველი ფენის დათარიღებისათვის ძვ. წ. III და II ათასწლეულთა მიჯნით (55, გვ. 245).

მ ე ო რ ე ფ ე ნ ა (სისქით—0,5—1,2 მ) ზევიდან ადევს პირველ ფენას. იგი წარმოშობილია თიხით შელესილ ნაგებობათა ნანგრევებით. ფენაში აქა-იქ აღმოჩნდა რიყის ქვის საძირკვლებიც. როგორც გ. გობეჯიშვილი ვარაუდობს, შენობათა კედლები ხის იყო, თიხით შელესილი.

II ფენაში აღმოჩნდა სატეხის ჩამოსასხმელი ყალიბი, ლითონის გადასასხმელი თიხის ხელსაწყო, დიდი რაოდენობით შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები შემკული — ამოკაწვრით, ტეიფრით, სავარცხლის კბილებით ან გაპრიალებით. არც დანაძერწი ორნამენტია იშვიათი. ჭურჭლის ყურები ხშირად ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებებითაა შემკული. თიხის ჭურჭლის მიხედვით ავტორი ამ ფენას ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს.

მ ე ს ა მ ე ფ ე ნ ა (სისქე—0,5—2,5 მ). მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ III ფენის კულტურა პირდაპირი გაგრძელებაა II ფენის კულტურისა (55, გვ. 251). როგორც ავტორი შენიშნავს, თუ II ფენის თანადროული მკვიდრნი ძირითადად შავპრიალა ჭურჭელს ამზადებდნენ, III ფენის პერიოდის მცხოვრებნი უმთავრესად მოწითალო ჭურჭელს სწვავდნენ, მაგრამ ჩანს, რომ მათ არც შავი ჭურჭლის დამზადების ტრადიცია დაუკარგავთ[2], ჭურჭლის ფორმებიც ძირითადად ერთნაირია ორივე ფენაში.

აქ ჭურჭლის ორნამენტაციაში პირველად ჩნდება თავისებური „სპირალი“, რომელიც კონცენტრული წრეების შეერთების საფუძველზეა მიღებული. ჩნდება სოლური ნაჭდევი ორნამენტი, ხშირია დაშტრიხული რომბები, სამკუთხედები და სხვ. საყურადღებოა ცხოველური ორნამენტის პირველი გამოჩენა, შეინიშნება ფსკერის კიდის შემკობა ზონარისებური ორნამენტით.

III ფენის გამართვისას II ფენა მოუსწორებიათ, ზოგჯერ რიყის ქვის, სილისა და თიხის დახმარებით მოწყობილია სპეციალური მოედანი და მხოლოდ შემდეგაა აგებული შენობები. შენობათა საძირკველი ცალპირი ან ორპირი რიყის ქვითაა ნაგები, კედლები და გადახურვა ხის მსხვილი ძელებით, რომელიც შელესილია ბზენარევი თიხით. ავტორს ეს შენობები საკულტო ძეგლებად მიაჩნია (55, გვ. 254).

III ფენაში აღმოჩნდა სატეხის, ბრტყელი უქედო სატევრის და აღმოსავლურ-ქართული ცულის ორი ყალიბი (ერთი მინიატურული ცულის ჩამოსასხმელი).

გ. გობეჯიშვილის აზრით, ნაცარგორის III ფენა თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით. II ფენის თარიღის ქვედა საზღვარი კი, მისი აზრით ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის საწყისებთან უნდა იდოს (55, გვ. 269).

2—8. აღნიშნულმა ექსპედიციამ სტალინირის ნაცარგორის მსგავსი ძეგლების არსებობა დაადასტურა — დვანში [2], ავნევში [3], არკნეთში [4], მსხლებში [5], ტბეთში [6], ერედვში [7], ოტრევში [8] და სხვ. (55, გვ. 270).

სტალინირის „ნაცარგორის“ ნამოსახლართან ქრონოლოგიურად, შიდა ქართლში შესწავლილი ამ ტიპის ძეგლებიდან, ყველაზე უფრო ახლო დგას „ყათნალიხევის გორა“.

9[3]. „ყ ა თ ნ ა ლ ი ხ ე ვ ი ს გ ო რ ა“ მდებარეობს უფლისციხის ნაქალაქარის დასავლეთით,

---

[2] ამ საკითხისა და საერთოდ ნაცარგორული (III ფენის) კერამიკის შესახებ ჩვენი აზრი გამოთქმული გვაქვს ნაშრომის დასკვნით თავში.

[3] ყველა ცნობა ყათნალიხევის სამოსახლოს შესახებ ამოკრებილია დ. ხახუტაიშვილის ნაშრომიდან (89, გვ. 16—50).

განმხოლოებულ ორკუზიან ბორცვზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

სამოსახლოს ნაშთები მეზობელი მასივისაგან გამოყოფილია ღრმა თხრილით, რომლის სიგანე 8 მეტრს შეადგენს, ხოლო სიღრმე —2,5—3 მ. იგი გარს არტყია მთელ სამოსახლოს. ასეთი თხრილები დადასტურდა ხოვლეგორაზე და ნაცარგორაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ხოვლეგორას მონაცემები, სადაც სხვადასხვა პერიოდის სამოსახლოს დამცველი ორი თხრილი იქნა გამოვლენილი.

ყათნალიხევის ბორცვზე კულტურული ფენა შემორჩენილი იყო მხოლოდ მთავარი ზურგის თხემზე. ბორცვის თხემზე აღმოჩნდა მხოლოდ ის კულტურული ფენა, რომელიც აქ ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, I ფენის კუთვნილი ნაგებობები და კულტურული ფენა, II ფენის ნაგებობათა აშენების დროს ყოფილა აწმენდილი. ამის გამო ადრე ჩარეცხილი I, ქვედა ფენის ნაშთები აღმოჩნდა მხოლოდ თავდაცვით თხრილში.

გორა-სამოსახლოს დაღუპვის დროისათვის ბორცვის მთავარი ზურგის თხემზე არსებულა ერთმანეთის გვერდით განლაგებული კვადრატული გეგმარების ოთხი ძელური, თიხით შელესილი ნაგებობა. ფაქტიურად ეს ერთი კომპლექსი იყო, რომელიც ოთხი ძირითადი ნაგებობისაგან შედგებოდა. ნაგებობათა ფართობი ხის სვეტთა ჩასამაგრებელი ორმოებით იფარგლება.

ზოგიერთი სათავსოს იატაკზე ამოკვეთილია დამწვარი ძვლით და ნაცრით შევსებული ცხოველთა გამოსახულებები, მინიატურული ორმოები, რომელთა პირი თიხის ხსნარითაა გადალესილი. ეს უკანასკნელნი დ. ხახუტაიშვილს ხორბლის შესანახი ხაროების იმიტაციად მიაჩნია.

I ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილ ინვენტარში თავისი უნიკალობით გამოირჩევა თიხის დაზიანებული ჰორელიეფი, რომელიც სათავსოს დასავლეთი კედლის მახლობლად აღმოჩნდა გამომწვარი ბათქაშების გროვაში. ჰორელიეფი წარმოადგენს ადამიანის თავის გამოსახულებას, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს. რელიეფიდან გადარჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილი. იგი, როგორც ჩანს, ნაგებობის თიხით შელესილ კედელზე იყო მიძერწილი. ავტორის აზრით, რელიეფი ღვთაების, კერძოდ, ნაყოფიერების ქალღმერთის — დიდი დედა ნანას გამოსახულებას წარმოადგენს.

III სათავსოს სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა „ხოვლური ტიპის" ღუმელის ნანგრევიც. დ. ხახუტაიშვილს ხოვლურ ღუმელებად მიაჩნია ნაცარგორის II ფენაში აღმოჩენილი ნაგებობების ჯგუფი, რომელსაც გ. გობეჯიშვილი „ოთხკუთხ საკურთხევლებად" თვლის და ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს (55, გვ. 246; ტაბ. IV).

III ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, ღუმელის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული საკურთხეველი, რომელსაც, როგორც ჩანს, სავარძლის ფორმა ჰქონდა. საკურთხევლის ძირითადი (ქვედა) ნაწილი თიხითაა ნაგები, ხოლო სავარძლის ზურგის ფორმის შვერილს წნელის ჩონჩხი ჰქონია. საკურთხევლის მახლობლად მიწაში ჩადგმული იყო შავპრიალა მინიატურული ჭურჭელი, სავსე ნახშირნარევი ნაცრით და დისკოს ფორმის რიყის ქვის ორი სარქველით დახურული.

IV სათავსოს კედელთან აღმოჩნდა წრიული ფორმის პატარა ნაგებობა, რომელიც, როგორც გამოირკვა, საკურთხეველს წარმოადგენდა. გადარჩენილია ფლეთილი ქვის ფილებით მოგებული იატაკი და ხარის თავის თიხის მოდელის დეტალები. სათავსოთა იატაკებზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები თუ მთელი ჭურჭლები, ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის დეტალები, ხელსაფქვავის ქვის ნატეხები, კევრის კოხები, კაჟის ნამგლის პირები და სხვ.

დ. ხახუტაიშვილის ვარაუდით ყათნალიხევის ბორცვის მეორე ფენის ნაგებობების სახით დაცული კომპლექსი დიდი დედა ნანას სამლოცველოა, რომელშიც გაერთიანებული ჩანს წინარე ხანის მრავალ ღვთაებათა ატრიბუტები. სამლოცველოში განსახიერებული ღვთაების ძირითადი ხასიათი დაკავშირებული უნდა იყოს მიწის ნაყოფიერების სიუხვესთან, ადამიანის და შინაური პირუტყვის გამრავლებასთან და საერთოდ ადამიანის კეთილდღეობასთან.

დ. ხახუტაიშვილი ყათნალიხევის ნამოსახლარის II ფენას თიხის ჭურჭლის ფორმებისა და დეკორის მიხედვით (რომლებიც უფრო ნაცარგორის III ფენის კერამიკას წააგავს, ვიდრე ხოვლეს ნამოსახლარისა და სამთავროს თიხის ჭურჭელს) ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლე-

ულის დამდეგით, უფრო ზუსტად, XII—VIII საუკუნეებით ათარიღებს[4].

ამგვარად, ყათნალიხევის ბორცვის II ფენის სახით დადასტურებულია საწესო ძეგლის ნაშთი. იგი, ავტორის აზრით, ჩვეულებრივი სამოსახლოს ადგილას ჩანს წარმოქმნილი, რომლის კულტურული ფენის მხოლოდ მცირე ნაშთმა მოაღწია ჩვენამდე. როგორც ჩანს, II ფენის კუთვნილი ძეგლის წარმოქმნის წინ მოსახლეობას გორა მიუტოვებია და საცხოვრებლად მდინარის პირას ჩასულა, თვით გორა კი ხატად ქცეულა.

10. ხ ო ვ ლ ე გ ო რ ა მდებარეობს კასპის რაიონის სოფ. ხოვლეს განაპირას. ხოვლეგორას ნამოსახლარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით 1954—1961 წწ. გამოვლენილ იქნა შენობათა ნანგრევებისა და სხვა კულტურული ნაშთების შემცველი რვა სტრატიგრაფიული ჰორიზონტი (I—VIII, ზემოდან ქვემოთ)[5]. ნამოსახლარი ჰორიზონტები ერთმანეთის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენენ. ქრონოლოგიურად ისინი ძვ. წ. XV—IV სს. ექცევა.

VIII—VII ჰორიზონტებს ავტორები კერამიკული მასალის მიხედვით აქცევენ იმ კულტურულ ქრონოლოგიურ წრეში, რომელსაც გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს უწოდებენ და ამდენად ათარიღებენ ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებით[6]. VI ჰორიზონტს დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკუნით, V ჰორიზონტს — ძვ. წ. XII—X სს., IV ჰორიზონტს ძვ. წ. XI—VII სს., III ჰორიზონტს ძვ. წ VI ს., II ჰორიზონტს—ძვ. წ. V ს., I ჰორიზონტს კი — ძვ. წ. IV ს.

ხოვლეგორის კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტში აღმოჩენილია თითო-ოროლა ფრაგმენტი, რომელიც შეიძლება დათარიღდეს ადრეფეოდალური ხანით და აგრეთვე შუაფეოდალური ხანითაც (მოჭიქული კერამიკა), ხოლო უფრო ღრმად აღმოჩენილი ერთი ჭურჭლის ნატეხი შესაძლებელია ენეოლითს ან ადრეული ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნოს.

პირველ მოსახლეობას საცხოვრებლად გორა აურჩევია და მის თხემზე დასახლებულა. თავისი სამოსახლოსათვის კედელი შემოუვლია. გორა ზედ ფუძესთან თხრილით ყოფილა გარშემოვლებული. ასეთი სურათი ჩანს V ჰორიზონტამდე, რომლის დროსაც მოსახლეობა გორას გასცილებია და ქვემოთ სოფელი შეუქმნია, ე. ი. ძირითადი საცხოვრისიდან მოსახლეობის ნაწილი გარეთ გასულა. კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს გორის მოსახლეობა შემდეგი ჰორიზონტის (IV) დროს. იზრდება სოფელიც.

უძველესი ნაგებობა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მშენებლობაზე, დაცულია თხემზე.

სახლები გეგმით სწორკუთხედს უახლოვდებიან. კედლები დაახლოებით იმ დონემდე, სადამდეც შენობა მიწაში იყო ჩაჭრილი, ქვითა და ტალახითაა აგებული, ზემოთ კი ძელურია. ძელური ორი მხრიდან, ხოლო ქვის კედელი შიგნიდან თიხით იყო შელესილი. კედლების გაყოლებით და გრძივ ღერძზე სვეტის ნაშთებია გამოვლენილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გადახურვა ხის ჩონჩხს ემყარებოდა შუაზე გადებული თავხეს გამოყენებით. სახურავი ბანური უნდა ყოფილიყო (გვერდის კედლებისაკენ მცირე დაქანებით) ან ორფერდიანი.

სახლების აშენების დროს ზოგჯერ თხელი კედლებიც ამოჰყავდათ მცირე ზომის ქვებით თიხის ხსნარზე. უფრო თხელ კედლებს — ტიხრებს აგებდნენ ორი მხრიდან თიხით მოლესილი წნულით. სახლები ძირითადად ერთოთახიანია, თიხატკეპნილი იატაკით. როგორც წესი, სახლის მარცხენა კუთხეში პურის საცხობი ღუმელია მოწყობილი, ხოლო მარჯვენა კუთხეში — საკურთხეველი.

იმდროინდელი ხოვლეგორელები ძირითადად მიწათმოქმედნი არიან. ამას კარგად ადასტურებს აქ აღმოჩენილი ნამგლის კაჟის ჩასართები, კევრის კოხები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, საწყაო „კოდები" და ხორბლეული. ფართოდ უნდა ყოფილიყო განვითარებული მესაქონლეობაც. ამის უტყუარი მოწმეა მრავლად შემონახული მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაურ ცხოველთა ძვლები, სადღვებლები და საკურთხეველზე აღმართული ვერძის თავების ქანდაკებანი.

როგორც აღნიშნული იყო, V ჰორიზონტის

---

[4] ჩვენი ვარაუდი ამ ძეგლის თარიღის შესახებ იხ. ნაშრომის დასკვნით თავში.

[5] ცნობები ხოვლეგორას შესახებ ამოღებული გვაქვს ძეგლის შემსწავლელ სპეციალისტთა ანგარიშებიდან (92—95).

[6] ჩვენი აზრით, ხოვლეგორის უძველესი ფენა შეუძლებელია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით დათარიღდეს. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომის დასკვნით თავში.

თანადროული მოსახლეობა ბორცვის ძირთან დასახლებულა და სოფელი შეუქმნია. ახალი ელემენტი, რაც გათხრებით დადასტურდა, ესაა სოფლელთა საცხოვრებელი სახლების სიგრძივ ღერძზე გაყოფა ორ ნაწილად. ამ სახლებში ერთი ნაწილი ბოსლადაა გადაქცეული. აქ ქვის ფილებით მოწყობილია ზღვე თავისი სანერწყულით.

IV ჰორიზონტის პერიოდის ხოვლეგორელებს, ჩანს, ერთი ბოსელი ჰქონდათ, რომელიც დაიტევდა სულ ცოტა ოც სულ საქონელს.

მნიშვნელოვანი გარდატეხა ხოვლელთა ყოფაში და მეურნეობაში დასტურდება III ჰორიზონტის დროს (ძვ. წ. VI ს.). ახლა გორის დასახლება საკმაოდ გასცდა ბუნებრივი გორის ფარგლებს. მას ღრმა თხრილთან ერთად დიდი და განიერი ქვის გალავანი ევლება. უფრო ვრცელდება და მჭიდროდ სახლდება სოფელი. გორელების დასახლება ძირითადად დადასტურებულია გორის ფუძესთან, გალავნის შიგნით.

სახლები უკვე რამდენიმე ოთახისაგან შედგება და მათ აშენებენ ნაგლეჯი ქვით ტალახის ხსნარზე, დაახლოებით 1 მ სიმაღლეზე, შემდეგ კი ტკეპნილი თიხით ან ალიზის აგურით. ასევეა ნაგები სახლები სოფელშიც. ორივეგან დარჩენილია ძველებური ღუმელი ოთახის კუთხეში. საცხოვრებელ სახლში ჩნდება შუა ცეცხლი.

მოისპო ან ცალკე გამოიყო საცხოვრებელი ნაგებობიდან საკულტო ნაგებობა.

სოფელში ისევ ისე საცხოვრებელ ოთახში უდგათ საქონელი. ხოვლეგორელებთან არ შეიმჩნევა საქონლის სადგომი.

მეურნეობაში ახალია მევენახეობის მკვეთრი დაწინაურება. სოფელში ბევრ სახლთან მიწაში ჩაფლულია ქვევრი. ქვევრები გვხვდება გორაზეც. ხოვლეგორაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთი, რომელთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს კერამიკული ნაწარმი.

უძველესი ნამოსახლარი ჰორიზონტები (VIII—IV) ხასიათდება შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭლით. გვხვდება წაბლისფრად გამომწვარი კერამიკაც. ჭურჭელი, როგორც წესი, სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული. ჭურჭლის დიდი რაოდენობა შემკულია სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით. შემკობისათვის ძირითადად შემდეგი ხერხები იხმარება: ამოკვეთა, ამოკაწვრა, დაჭედვა, გაპრიალება და ძერწვა.

IV ჰორიზონტის პერიოდის დასასრულიდან ჩნდება „წითლად გამომწვარი" კერამიკა. ასეა ბორცვზე და ამ დროის ნასოფლარზეც, რომელიც ახლა უკვე სამხრეთიდან ეკვრის ხოვლეგორას.

III ჰორიზონტში (ბორცვზედაც და ნასოფლარზედაც) წითლად და შავლეგად გამომწვარი ჭურჭელი დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გვხვდება ერთმანეთის გვერდით. შავლეგად გამომწვარი ჭურჭელი ინარჩუნებს ძველ ფორმებს და ორნამენტაციას. რაც შეეხება წითლად გამომწვარ ჭურჭელს, იგი უმთავრესად სადაა და დიდ ნაწილში სრულიად ახალ ფორმებს იძენს (ქვევრები, მილიანი და სამტუჩა დოქები და სხვ.).

II ჰორიზონტის პერიოდის დასასრულს ხოვლეს ნამოსახლარი ძალით ჩანს დანგრეული. აქ წითლად გამომწვარი კერამიკა ჭარბობს.

ცოტა უფრო გვიან (I ჰორიზონტი) ცხოვრება რამდენიმე ხნით კვლავ აღორძინებულა, ძირითადად, როგორც ჩანს, ბორცვზე. ამ პერიოდის კერამიკული მასალა, არსებითად არ განსხვავდება II ჰორიზონტის კერამიკული ნაწარმისაგან.

თიხის სხვა ნაწარმთაგან აღსანიშნავია ვერძის თავის ქანდაკებები (VIII, VI—V ჰორიზონტები), „ცხენის თავის" ქანდაკება (IV ჰორიზონტი) და სხვა მცირე ქანდაკებები და საბეჭდავები.

III ჰორიზონტში აღმოჩენილია გამომწვარი თიხის სამეთუნეო ჩარხი, ხოლო ქვის სამეურნეო იარაღიდან — ხელსაფქვავები, სანაყები, საბეგველები, ნამგლის კაჟის ჩასართები, სალესი ქვები, სამკაულის ჩამოსასხმელი ყალიბი. ბრინჯაოს საგნებიდან დასტურდება სეგმენტისებური იარაღი „ეჩო" (VII ჰორიზონტი), სატევარი (სამხრეთი ნასოფლარის კულტურული ფენიდან), ფირფიტისებური ისრისპირები (VII, IV ჰორიზონტები), მასრიანი ისრისპირი (III—II ჰორიზონტები), მახათები, სადგისები. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქალის პატარა ქანდაკება. რკინის საგნებიდან აქ გვაქვს: დანის პირის ფრაგმენტები (V და III ჰორიზონტები), „ასტამი" (V ჰორიზონტი), ხოლო ძვლის საგნებიდან — ყუნწიანი ისრისპირი, სადგისი. სამკაულთაგან აქ მოიპოვება: ბრინჯაოს საკინძები, ძვლის ფალანგები და სხვ.

ხოვლეგორის ნასმოსახლარის არქეოლოგიური მასალა დ. მუსხელიშვილის აზრით მთლიანად შედის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კულტურის არეში. მთელი რიგი ნიშნებით იგი ახლო ენათესავება მომიჯნავე მხარეების ლოკალურ კულტურულ წრეებს (ქვემო ქართლი, თრიალეთი, შიდა ქართ-

ლი, სამთავრო). მაგრამ განსხვავებებიც მნიშვნელოვანია და ამ სხვაობით ხოვლეგორის განათხარი მასალა (კერძოდ კერამიკა) ამჟღავნებს მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშნებს, რაც მიუთითებს აქ გარკვეული არქეოლოგიური მიკრორაიონის არსებობაზე.

როგორც ფიქრობენ, VIII—IV ჰორიზონტები არქეოლოგიური კულტურის თვალსაზრისით, არსებითად ერთგვაროვანია და მხოლოდ მცირე დეტალებში თუ იძლევა სხვაობას. ეს გარემოება, დ. მუსხელიშვილის აზრით, მიუთითებს იმდროინდელი ხოვლეს მოსახლეობის არა მხოლოდ კულტურულ ერთიანობაზე, არამედ ეთნიკურ ერთიანობაზეც. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ კერამიკა, არამედ სამშენებლო ტექნიკისა და ყოფაცხოვრებითი ტრადიციების ერთიანობაც (საცხობი ღუმელები, „საკურთხევლები").

ძვ. წ. VII საუკუნეში, თუ მის ბოლოს (IV ჰორიზონტის უკანასკნელი ფაზა) სრულიად განსხვავებული კერამიკის გამოჩენა, დ. მუსხელიშვილის აზრით, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერამიკული წარმოების ტექნიკის პროგრესით, რომელსაც, უეჭველია, ადგილი ჰქონდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ახალი ფორმებისა და ახალი ტექნიკური ხერხების (წითლად შეღებვა) ჩასახვა მოწმობს ახალი კულტურული დინების გავლენას, რომელიც სამხრეთ ამიერკავკასიაზე მიუთითებს და, ეს გავლენა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლასთანაც. აქ ადგილი უნდა ჰქონოდა თანდათანობითი ინფილტრაციის პროცესს, რომელიც, როგორც ჩანს, გრძელდებოდა მეექვსე საუკუნის მანძილზე. ამასთანავე შესაძლებელია ადგილობრივი ტექნიკური პროგრესი კერამიკულ წარმოებაში ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლას დაემთხვა.

ხოვლეგორის მახლობლად გამოვლინდა სამოსახლოსაგან გამოცალკევებული კერამიკული სახელოსნო. შესწავლილ იქნა სამი, ერთმანეთის მომდევნო პერიოდის (ძვ. წ. IX—VIII, VII—VI და V—IV სს.) სახელოსნო, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული კონსტრუქციის, მაგრამ გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ქურებს შეიცავდნენ.

11—19. ხოვლეგორის შემსწავლელი ექსპედიციის ერთი ჯგუფი დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებს აწარმოებდა მდ. თეძმისა და ტანას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. მდინარისპირა კონცხებსა და ტერასებზე ექსპედიციამ აღმოაჩინა გვიანბრინჯაოს ხანის ცხრა ნამოსახლარი—ხიდისთავი [11], ოლოზი [12], ბნავისი [13], გარდატენი [14], ატენი [15], ფლატიხევი [16], ბობნევი [17], ორმოცი [18] და ერთი უსახელო ნამოსახლარი [19] (96, გვ. 51—57).

20. „თრელიგორეები" მდებარეობს თბილისსა და სოფ. დიღომს შორის, სამხედრო გზის პირას. არქეოლოგიური ექსპედიცია[7] შეისწავლის ბორცვების აღმ. ფერდებზე განლაგებულ ნაგებობებს. გაითხარა სამ ათეულზე მეტი სათავსო. ნაგებობები წარმოადგენს მომცრო ზომის ნატეხი ქვით ნაგებ, თირში ჩაჭრილ ნახევრადმიწურ ერთოთახიან შენობებს, თიხატკეპნილი იატაკითა და ბანური გადახურვით. თითქმის ყველა ოთახში აღმოჩნდა სამზარეულო ღუმელი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის სამსხვერპლო (97; 182, გვ. 67—70).

სათავსოებში გამოვლენილი ღუმელები ტიპიური „ხოვლურია".

„თრელიგორეებზე" გამოვლენილი ნამოსახლარი გვიანბრინჯაო-რკინის ხანას ეკუთვნის.

ბორცვზე ცხოვრება ანტიკურ ხანაშიც გრძელდება, რაზედაც მიუთითებს 1,5 მ სიმძლავრის ნაშალი ფენა. სავარაუდოა, რომ აქ დასახლება ადრეფეოდალურ ხანაშიაც არსებობდა.

დაზვერვების შედეგად „თრელიგორეების" სინქრონული ფენები დადასტურდა მომიჯნავე ჩალიბოლოს გორებზეც. ამ ბორცვებზე დასახლება 1 კილომეტრზეა გაწფენილი. აღნიშნული დასახლების სამაროვნებს, რომლებიც გორების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, ვრცელი ტერიტორია უჭირავს.

„თრელიგორეებზე" მოპოვებულ მასალაში ჭარბობს თიხის ჭურჭლის ნატეხები წვრილმარცვლოვანი კეცით, შავი ან წაბლისფერი ნაპრიალები ზედაპირით. აქ არის სხვადასხვა ქილები, ჯამები, კათხები, ქვევრები და სხვ. ზოგიერთი ჭურჭლის ყურს ლილვაკისებრი დანაძერწი აქვს, ზოგი ჭურჭლის ძირი მცირექუსლიანია. ქვევრებს რელიეფუ-

---

[7] ნამოსახლარზე 1968 წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

რი სარტყლები აქვთ ერთიმეორის მიმართ თავშექცევით, ჯგუფებად დატანილი მოკლე ირიბი ნაჭდევებით. კახეთისათვის დამახასიათებელი კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული თიხის ჭურჭელი ძალიან ცოტაა.

„თრელიგორეების" თიხის ჭურჭელს ძირითადად ახასიათებს ნაპრიალები ბადური, რადიალური ან თევზიფხური შემკულობა და სხვ.

21. „მ ი ტ ო ს  ქ ე დ ი" ანუ „ზალაანთ გორი"[8] — ნამოსახლარი ბორცვი მდებარეობს სოფ. ახალი ნიჩბისის ჩრდილოეთით, ზალიჭალას თავზე, მდ. მტკვარსა და მისი მარჯვენა შენაკადის ნიჩბურას შესაყართან კონცხზე.

გორის ჩრდილო-დასავლეთი ფერდის ძირში ორმოა ამოღებული (3×2 მ). ეს ორმო სწორედ თავდაცვით თხრილს დამთხვევია, რომელიც ამ გორას უვლიდა. აშკარად მოჩანს, თუ როგორ დალექილა და თანდათან ამოვსებულა ეს თხრილი. სიღრმით ის დაახლოებით სამი მეტრი უნდა ყოფილიყო. გორის მხრიდან თხრილის კედელი შვეულია, ხოლო საპირისპირო მხრიდან — დამრეცი — აშკარად გაანგარიშებული ჩანს, რომ გორა მისადგომად ძნელი ყოფილიყო (63, გვ. 172).

ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1957 წ. დაცვითი სარესტავრაციო არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა (ხელმძღვანელი ა. რამიშვილი) ნამოსახლარ „მიტოს ქედის" მახლობლად მტკვრის ტერასაზე, სადაც ექსპედიციამ მიაკვლია ადრერკინის ხანის ნამოსახლარს[9].

ზედაპირული მოხილვით ჩანს, რომ კულტურული ფენა მიჰყვება როგორც მტკვრის, ისე ნიჩბურას ფლატეებს. როგორც ა. რამიშვილი ფიქრობს, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ აღნიშნული კულტურული ფენები წარმოექმნათ „მიტოს ქედის" ნამოსახლარიდან გამოყოფილ მოსახლეობას და აქ დაახლოებით იგივე სურათი გვქონდეს, რაც ხოვლეს ნამოსახლარებზე დადასტურდა. მაგრამ ამგვარ საკითხებზე მსჯელობა ამ ძეგლთან დაკავშირებით ჯერჯერობით ძნელია, რადგან თვით გორა-ნამოსახლარი სრულიად შეუსწავლელია გორის მახლობლად, მტკვრის ტერასაზე კი მხოლოდ მცირე სამუშაოებია ჩატარებული. გათხრით შესწავლილ იქნა მცირე მონაკვეთი მტკვრისა და ნიჩბურას შესაყარის კონცხზე. გამოვლინდა ორი კულტურული ფენა, რომელიც უშუალოდ ერთიმეორეზე დევს, სტერილური ფენის გარეშე. ფენების გარჩევა სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც ზედა ფენას ქვედასაგან განარჩევს ზედა ფენის ქვის ფილებით მოგებული იატაკი.

I, ზ ე დ ა  ფ ე ნ ა შ ი გაიწმინდა თიხის ხსნარზე რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთები. კედლის ზედა ნაწილი, სავარაუდოა, სხვაგვარი მასალით იყო ამოყვანილი. აღმოჩნდა ქვის ფილებით მოგებული იატაკების ფრაგმენტებიც.

I ფენის შესწავლის დროს დიდი რაოდენობით გამოვლინდა თიხის ჭურჭელი: ჭარბობს დოქები, ჯამები, ქოთნები და სხვ. მათ ზედაპირი ძირითადად შავლეგა ან მუქი მოყავისფრო აქვთ. საკმაოდ გლუვი ზედაპირი ხშირად შავპრიალაა. ჭურჭელი შემკულია რელიეფური წნული ტალღურად ამოღარული, მოკლე ირიბი ნაჭდევებითა და, იშვიათად, ნაპრიალები სახეებით.

II, ქ ვ ე დ ა  ფ ე ნ ი ს შენობები I ფენის მსგავსად რიყის ქვით თიხის ხსნარზეა აგებული. სათავსოთა იატაკების ნაწილი ქვის ფილებითაა მოგებული.

II ფენის გათხრის დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთი ჭურჭელი სავსე იყო ხორბლის მარცვლებით. თიხის ჭურჭელი ძირითადად შავლეგაა. არის შავპრიალა და წაბლისფერზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხებიც. მათ შორის ბევრია ჯამების, ხელადების, ქოთნების და სხვ. ფრაგმენტები.

თიხის ჭურჭელზე თითქოს ჭარბობს ნაპრიალები შემკობა: რადიალური ხაზები კორპუსის ქვედა ნაწილზე; რადიალური ხაზები ან ამგვარივე სახეები ჯამის შიდაპირზე; ნაპრიალები რომბისებური ბადე მხარს ირგვლივ; ნაპრიალები სამკუთხედები, რომელთა შორის მანძილი ნაპრიალები ირიბი ხაზებითაა შევსებული და სხვ. სხვა შემკულობიდან აღსანიშნავია მოკლე ირიბი ნაჭდევები ჭურჭლის მხარსა და პირზე. დამახასიათებელია ლილვაკისებრი დანაძერწები ყურის ზედა ნაწილზე, ყელის გოფრირება და სხვ.

ა. რამიშვილის აზრით, ნამოსახლარის ქვედა ფენა შესაძლებელია ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით დათარიღდეს, ხოლო ზედა ფენის ასაკი ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით განისაზღვროს (98, გვ. 188).

[8] შესაძლოა ეს სწორედ ის ნამოსახლარი ბორცვია, რომელიც 1953 წ. აღმოჩნდა (63, გვ. 170—172).

[9] ამ არქეოლოგიური სამუშაოების მასალები არ გამოქვეყნებულა, მათ შესახებ ცნობები მოგვაწოდა ა. რამიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ნამოსახლარების შესწავლის თვალსაზრისით დიდი სამუშაოები შეასრულა დაზვერვითმა ექსპედიციებმა. ამ მხრივ დიდი წვლილი მიუძღვის დაზვერვით არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც 1953 წ. მუშაობდა და მიზნად ისახავდა ქ. რუსთავის გარემოს შესწავლას (63, გვ. 145).

ექსპედიციამ სართიჭალის სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრის დაშორებით შემდეგი ძეგლები აღმოაჩინა:

22. გორა ნამოსახლარი „ნ ა ტ ა ხ ტ ა რ ი“. გორა თავწაკვეთილია — წანაკვეთი ქმნის საკმაოდ ფართო ვაკეს. გორის საფუძველს დიდი ხელოვნური თხრილი შემოსდევს. გორას კედლის რაიმე ნაშთი არ არტყია; ასე, რომ ეს თხრილი თითქმის მისი ერთადერთი სიმაგრეა.

ნამოსახლარზე აიკრიფა არქაული თიხის ჭურჭლის ნატეხები[10].

23. „ნატახტარის“ გორის მოშორებით, ორიოდე კმ-ზე სართიჭალის მიმართულებით ისეთივე მოყვანილობის მეორე გორაა, იმავე სახელწოდებისა, რაც პირველი. ამ ნამოსახლარზე შეიკრიბა არქაული თიხის ჭურჭლის ნატეხები.

რუსთავის გარემოს დაზვერვითმა ექსპედიციამ სოფ. პატარძეულში აღმოაჩინა ე. წ. „მ ა ხ ა რ ი კ ა ა ნ თ გ ო რ ა“ (ა ნ უ „ბ ე ჟ ი ტ ა ა ნ თ გ ო რ ა“), [24][11]. ესეც ბუნებრივ ბორცვს წარმოადგენს. თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო ხელოვნური ტერასები შემოუყვება. მოსახლეობას აქ მრავლად აღმოუჩენია თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა სწორედ ამ აღმოჩენათა საფუძველზე წამოაყენა ზოგადი მოსაზრება, რომ ეს გორები საზოგადოების „პირველი“ საცხოვრისებია (63, გვ. 152—156). ამან კი მას საფუძველი მისცა ასეთი ისტორიული ძეგლები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ევარაუდა.

მართალია, ადრეც იყო შემჩნეული ამგვარი ბორცვები, მაგრამ არ იყო ჩატარებული მათი კლასიფიკაცია და რაც მთავარია, არავინ არ ცდილა ამ ბორცვების სოციალურ შინაარსზე ყურადღების გამახვილებას (64, გვ. 185).

აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ კი მასიურად დაიწყო ამგვარი გორა-ნამოსახლარების ძიება. კვლევა-ძიებამ რამდენიმე ასეული გორა-ნამოსახლარი გამოავლინა, როგორც აღმოსავლეთ ისე სამხრეთ თუ დასავლეთ საქართველოში.

25. რუსთავის ციხის ტერიტორიაზე არხითა და მტკვრით სამი მხრიდან გამაგრებულ ბორცვზე გვიანბრინჯაოს ხანის სამოსახლოს არსებობა ჯერ კიდევ 1953 წ. ივარაუდა ნ. ბერძენიშვილმა (63, გვ. 156). შემდგომმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ეს მოსაზრება დაადასტურეს. რუსთავის ნაციხარის შიდა არეზე 1959 წ. I და II თხრილში სამიოდე მეტრის სიღრმეზე, რიყის ქვის კედლების მახლობლად, ზოგჯერ კი მათ ქვეშ აღმოჩნდა შავლეგა პრიალა თიხის ჭურჭლით წარმოდგენილი გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა, რომელიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული იმ მაღლობზე, რომელზედაც შემდგომ ციხე აღუმართავთ (99, გვ. 52—53; 100, გვ. 31—32).

26. გ ა რ დ ა ბ ნ ი ს გ ო რ ა — ნამოსახლარი აღმოჩნდა 1953 წელს. იგი მდებარეობს გარდაბნის აღმოსავლეთ განაპირას. გორაზე ახალი სასაფლაოა, რომელიც ამჟამად რაიონული ცენტრის გარდაბნის საზღვრებში შემავალ სოფ. მიხაილოვკას ეკუთვნის (63, გვ. 149—157).

გარდაბნის გორა საკმაოდ მოზრდილი თავგადაკვეთილი ბორცვია. აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შავპრიალა, ნაცრისფრად და ორიოდე აგურისფრად გამომწვარი ნატეხებით. როგორც ჭურჭლის ფორმის მიხედვით, ისე თიხის გამოწვისა და დამუშავების ტექნიკითა და ორნამენტული სახეებით, ისინი ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ფრაგმენტებით გამოიცნობა ქოთნები, ჯამები და სასმისები. გარდაბნის ბორცვზე მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ნავისებური ხელსაფქვავები და მათი ფრაგმენტები (100, გვ. 25—88).

27—28. მ ჭ ა დ ი ჯ ვ რ ი ს გ ო რ ა საკმაოდ მოზრდილი ბორცვია. თხემი წანაკვეთია, ოვალური ფორმისა. ბორცვს გარშემო თხრილი ჰქონია შემოვლებული. აქ ნაცარგორული კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა. მისგან 1,5 კმ-ის მანძილზე, მდ.

[10] ექსპედიციის წევრთა სიტყვიერი ცნობით, ამ ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანის იერის მქონე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

[11] ლიტერატურის მითითებებისაგან განსხვავებით ნაშრომში ძეგლთა ნუმერაცია ყოველთვის დაკუთხულ ფრჩხილებში ჩასმული.

ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე მეორე ისეთივე გორა გამოვლინდა (63, გვ. 163—164).

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაზვერვითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მჭადიჯვრის გორა-ნამოსახლარებზე დაზვერვითი ხასიათის მცირე სამუშაოები ჩაატარა 1969 წ. (101, გვ. 47—49).

პირველ გორა-ნამოსახლარზე, რომელიც სოფ. შუახევსა და მჭადიჯვარს შორის მდებარეობს, ოთხი სადაზვერვო თხრილი იქნა გაყვანილი. გაიწმინდა ერთი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი, სადაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც ნამოსახლარს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს.

მეორე გორა მდებარეობს სოფ. მჭადიჯვარსა და ლამოვანს შორის, მდ. ნარეკვავის მახლობლად. ნამოსახლარის სამხრეთი ფერდი დაზიანებულია მაღალი ძაბვის დენისათვის ანძის აღმართვის დროს. აქ გაითხარა ფართობი, რომლის ზომებია 3×4 მ. აღმოჩნდა ორი შრისაგან შემდგარი კულტურული ფენა. ზედა ფენაში გაიწმინდა თიხატკეპნილი იატაკი და ბათქაშით შელესილი კედლის ნაშთები. იატაკზე აიკრიფა თიხის ჭურჭელი, რომელიც ფენას ძვ. წ. XIII—XII სს. ათარიღებს. ქვედა, მეორე ფენაში გაიწმინდა თიხატკეპნილი იატაკი. კედლებს ერთ ფენად რიყის ქვა აქვს შემოვლებული. აქ მრავლად აღმოჩენილი შავპრიალა კერამიკა ზოგიერთი ნიშნით შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს წააგავს და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურით თარიღდება. მეორე ნამოსახლარის აღმოსავლეთ ფერდზე ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი და კერის ნაშთიც აღმოჩნდა.

29. ნ ა ს ტ ა კ ი ს ი ს  გ ო რ ა-ნამოსახლარი. სამხრეთით გორას კლდის ქარაფი საზღვრავს, დასავლეთით მდ. ქსანს ებჯინება, ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, საფიქრებელია, ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა, გორა დასავლეთისაკენ დამხრობილი ოვალური ფართობია, დღეს ძლიერ გაშიშვლებულ-გადარეცხილი. აქ სხვა მასალასთან ერთად წინაანტიკური ხანის თიხის ჭურჭელიც შეიკრიბა (63, გვ. 174—175).

30—62. 1955 წელს ისტორიული შიდა ქართლის — სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ნამოსახლარი გორების გამოვლენა, აღნუსხვა, აღწერა და რუკაზე დატანა დაევალა სპეციალურ დაზვერვით ექსპედიციას (64, გვ. 185).

ექსპედიციამ ეს ტერიტორია მოიხილა ხეობების მიხედვით — სათავეებიდან შესართავებამდე (ფრონეს, დვანის, დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობები), გამოკვლეულ იქნა ამ მდინარეთა წყალგამყოფი ქედებიც.

ექსპედიციის მიერ დაზვერილი გორების დაახლოებით 1/3-ზე შეიკრიბა ენეოლითური (ადრებრინჯაოს) ხანის კერამიკის ნატეხები ფ ლ ა ვ ი ს მ ა ნ ი [30], კ ო რ კ უ ლ ა, [31], ი ო ნ ჩ ა [32], ა ჩ ა ბ ე თ ი [33], დ ო დ ო თ ი [34], დ მ ე ნ ი ს ი [35], დ ვ ა ნ ი [2], ძ ა რ წ ე მ ი [36], ა ვ ლ ე ვ ი [37], წ ი რ ქ ო ლ ი [38], ქვ. ბ ო ლ ი [39], ფ რ ი ს ი [40]. სხვა გორებზე ამ ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები არ დადასტურდა, რაც შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ იქ ეს ფენები ჯერ არ არის გაშიშვლებული. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ადამიანს სხვადასხვა გორა სხვადასხვა დროს შეეძლო აეთვისებინა (64, რუკა №—5, გვ. 188).

ექსპედიციამ გორებზე ანაკრებ მასალაში შენიშნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება, სახელდობრ, ყველა გორაზე, სადაც კი ენეოლითური (ამჟამად ადრებრინჯაოდ წოდებული — კ. ფ.) ფენა აღმოჩნდა, მომდევნო ქრონოლოგიურ ჰორიზონტს წარმოადგენს გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის პერიოდი. ექსპედიციამ ვერსად ვერ დაადგინა ამ ორი პერიოდის შუალედი კულტურულ-ისტორიული საფეხური (64, გვ. 189—190).

„აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ გორებზედაც, სადაც ენეოლითი (ამჟამად ადრებრინჯაოდ წოდებული — კ. ფ.) ვერ გამოვლინდა, უძველეს ჰორიზონტად კვლავ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის პლასტი წარმოგვიდგება" (64, გვ. 190).

როგორც ცნობილია, მსგავსი სურათია შიდა ქართლში გათხრილ გორებზეც — ურბნისი-ქვაცხელა, ხიზანაანთ გორა, გუდაბერტყა.

ზოგი ავტორი ამ მოვლენას ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებას უკავშირებს, ზოგი კი მეცხვარეობის განვითარებით ხსნის, რომელიც მეტალურგიის განვითარების პარალელურად მიმდინარეობს და გულისხმობენ, რომ ამასთან დაკავშირებით მოსახლეობამ მთას მიაშურა.

მაგრამ, როგორც დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი მიუთითებენ, დაუშვებელია, რომ ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის სრული აყრა მომხდარიყო. შესაძლოა მოსახლეობის ნაწილმა მართლაც მთას მიაშურა მეცხოველეობის ამ დარგის განვითარების დროს, მაგრამ ეს სრულიად

არ ნიშნავს იმას, რომ ძველ საცხოვრებელ ადგილებში ამ ხანებში ცხოვრება სულ მოისპო (64, გვ. 190—191).

სამოსახლო გორების „ხელახალ" ინტენსიურ ათვისებას გვიანბრინჯაოს ხანაში დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებით ხსნიან (64, გვ. 192), რამაც, მათი აზრით, მოითხოვა ერთ ადგილზე მკვიდრი დასახლება (64, გვ. 188).

ავტორთა შენიშვნით, მათ მიერ დაზვერილ გორებზე შეკრებილი თიხის ჭურჭლის ტექნო-კერამიკული ტრადიციები ერთიანია, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს მოსახლეობის ეთნიკურ ერთიანობაზეც (64, გვ. 192).

„ექსპედიციის მიერ მოხილული გორების უმეტესობა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) განლაგებულია იმ ზოლზე, რომელიც გასდევს ქართლის ვაკიდან კავკასიონის მხრისაკენ შეფენილ გორაკებს და დაცემულ მთის ტოტებს, ანდა მოქცეულია ხეობებში და იქაც ისინი განლაგებულია ხეობათა გაშლილი ვაკობი ადგილის მთის ნაწილში გარდამავალ ხაზზე (რუკა 1). ასეთებია: ოტრევის [8], კორკუთის [4], კულბითის [42], ხელჩუის [43], დმენისის [35[, ერედვის [7], ბერულის [44], ფრისის [40], სტალინირის [1] ქემერთის [45], აჩაბეთის [33], დვანის [2, და დირბის [46] გორები. ხეობათა გაშლილ ადგი] ლებში, მთის ფერდობებზეა შეფენილი შემდეგი გორები: ფრონეს ხეობაში — ავლევი [37], იონჩა [32]- კნოლევი [47], მუღრისი [48], ხუნდი, უბანი [49] და ვახტანა [50]; დვანის წყლის ხეობაში: რუსთავი [51], ყორნისები [52], გორმანევი [53], არკნეთი [4], მალდა [54], ნული [55], ავნევი [3], წუნარი [56], ქვასათალი [57]; დიდი ლიახვის ხეობაში: საკირე [58], ხვწე [59] და სტირფაზი [60]; ქსნის ხეობაში: ოძისი [61], ქვემო ბოლი [30] და იკოთი [62] (რუკა 5)" (64, გვ. 193). მათივე შენიშვნით, ყველა ეს გორა სასოფლო-სამეურნეო რაიონში მდებარეობს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ამ გორებზე მოსახლეები მიწათმოქმედნი უნდა ყოფილიყვნენ (64, გვ. 194).

იმავე ავტორთა ვარაუდით, გორებზე მოსახლეობა სახლდება, ჯერ ერთი, თავდაცვის მიზნით — ხოლო მეორე მხრივ, ბარის კიდეზე დასახლებას ადამიანის მეურნეობრივი საქმიანობა განსაზღვრავს (64, გვ. 194).

შიდა ქართლში ადამიანი ცხოვრობს გორაზეც და მათ გარშემოც და მის გამაგრებულ ნაწილს თავს აფარებს საშიშროების დროს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამოსახლო გორები შიდა ქართლში თითქმის ყოველ ორ-სამ კილომეტრზეა დადასტურებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდში შიდა ქართლის მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ადგილები თითქმის დღევანდელი სიმჭიდროვით ყოფილა დასახლებული.

„გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში შიდა ქართლის მოხილული ნაწილის ასეთი ინტენსივობით ათვისება, უეჭველია, მეტყველებს იმდროინდელი საზოგადოების მეურნეობრივ მაღალ განვითარებულობას და ცხოვრების საფუძვლიან მოწესრიგებას" (64, გვ. 195—196).

ასევე მთელი რიგი ნამოსახლარი ბორცვები აღმოჩნდა შიდა ქართლში, ქსნის ხეობაში ამ ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს (102, გვ. 9—10; რუკა №—1).

63. ნამოსახლარი გორა „საქარეთი" მდებარეობს ოძისში „ყვავების საყდრის" ჩრდილოეთით 200—250 მეტრზე, გზის პირას. ნამოსახლარი დაბალ ბორცვს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ყელი აქვს მოჭრილი. ბორცვზე აიკრიფა შავპრიალა და ლეგა ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები და საქონლის ძვლები.

64. ერთი ნამოსახლარი გორა აღმოჩნდა მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე სოფ. თეზის ჩრდილოეთით დაახლოებით 1 კმ მანძილზე, ლამის ყანისკენ მიმავალი გზის აღმოსავლეთ მხარეს. გამოვლინდა დამწვარი ბათქაში, შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა ჩანს.

რამდენიმე სამოსახლო გორაა პატარა ლიახვსა და მეჯუდას შორის. ქვეშის ნამოსახლარზე [65] გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა.

გვიანბრინჯაოს ხანის მასალები აიკრიფა რამდენიმე გორა-ნამოსახლარზე — მეჯვრისხევი [66], ბიეთი [67], კირბალო [68], გდულეთი [69], ბოყამი [70], მუხრანის „მელიების გორა" [71], კოდისწყარო [72]. სოფ. ქვემო ჭალის /ლეხურას ხეობა/ ჩრდილოე-

თით დასახლება — გორაკში აღმოჩნდა უძველესი ნამოსახლარი „ო რ გ ო რ ა“ [73], სადაც გვიანბრინჯაოს ხანის ნატეხებთან ერთად ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაც იქნა აღმოჩენილი.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებია: კ ა რ ა ლ ე თ შ ი [74], ვ ა ნ ა თ შ ი [75], ზ ო დ ე ხ შ ი [76], ნ ა რ ე კ ვ ა ვ ს ა [77] და უ კ ა ნ უ ბ ა ნ შ ი [78].

79. „ბ უ დ ა ბ ე რ ტ ყ ა“ — „ც ი ხ ი ა გ ო რ ა“ მდებარეობს კვერნაკის მთის ფერდობზე. გორი-ნატახტარის გზატკეცილთან, სოფ. სვენეთსა და ახალშენს შუა, ქ. გორიდან აღმოსავლეთით 9 კმ მანძილზე. იგი ტიპოლოგიურად „განმხოლოებულ“ გორათა ჯგუფს მიეკუთვნება. ნამოსახლარზე 1956, 1960 და 1961 წლებში გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. გამოვლინდა ერთიმეორეზე მდებარე ექვსი კულტურული ფენა, რომელთა შორის უმთავრესია ადრე და გვიანბრინჯაოს ხანისა[12].

80—82. კასპის საშუალო სკოლის ტერიტორიაზე, ე. წ. „კ ა ს პ ი ს გ ო რ ი ს“ სამხრეთ ტერასზე შუაფეოდალური ხანის ნაგებობის ქვეშ (ზოგჯერ იმავე დონეზეც) აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა პროფილი, კეცი, გამოწვა და ორნამენტი გვიანბრინჯაოს ხანისთვისაა დამახასიათებელი. კულტურული ფენა in situ თითქმის არ არის გადარჩენილი. ქ. კასპის ტერიტორიაზე მიკვლეულია კიდევ ორი გორა-ნამოსახლარი — „წ ი თ ლ ო ბ ი ს გ ო რ ა“ და „ნ ა ც რ ი ს გ ო რ ა“, რომლებზეც ზედაპირულად შეკრებილი მასალა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება (104, გვ. 14—16).

83. „დ ი დ ი გ ო რ ი ს“ ნამოსახლარი მდებარეობს წეროვნის საბჭოთა მეურნეობის ოდნავ დასავლეთით. იგი მიაგავს თხემკვეთილ ნახევარსფეროს, რომლის სიმაღლე 5—6 მეტრია, ხოლო გარშემოწერილობა 150 მეტრს არ აღემატება.

1958 და 1962 წწ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნამოსახლარზე ზედაპირულად შეკრებილ მასალაში, ა. კალანდაძის აზრით, გამოირჩევა შუა და გვიანბრინჯაოს, აგრეთვე ადრეული რკინის ხანის თიხის შავლეგა და რუხპრიალაზედაპირიანი ჭურჭლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, აგრეთვე ბათქაშის ნიმუშები, ნამგლის კაჟის ჩასართები და სხვ. (105, გვ. 40).

84. ჩ ა თ მ ი ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი მდებარეობს დღევანდელი რუსთავიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კონცხზე. მდინარის პირას კონცხის ერთი ნაწილი ჩამოჭრილია (თბილისი—ბაქოს რკინიგზის ხაზის გაყვანისას).

ჩათმის ნამოსახლარი გვიანბრინჯაოს ხანისათვის უკვე დასახლებული ყოფილა. ამ ხანას მიეკუთვნება შავად გამომწვარი და გაპრიალებული ჭურჭლის ფრაგმენტები, როგორც ნაწარმის გამოწვის ტექნიკის მიხედვით, ისე ფერითა და კეცის დამუშავებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე შავპრიალა ფრაგმენტი ვარდისფერი სარჩულით.

გვხვდება აგრეთვე ნაცრისფრად და აგურისფრად გამომწვარი კერამიკული ნაწარმიც. ზოგი მათგანი უხეში ნამუშევარია. კეცი მსხვილ მინარევებს შეიცავს. ეს მასალა ანალოგიას პოულობს გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკასთან. ამავე ნამოსახლარზე მოგვიანო დროის ნამოსახლარის ფენებიც დადასტურდა[13].

85. არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ 1962 წ. ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირას ორთაჭალჰესის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოაჩინა მცირე ბუნებრივი ბორცვი, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ნამოსახლარად ყოფილა გამოყენებული.

86. თბილისის ზღვის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო ნაპირზე სამანქანო გზის გაყვანის დროს დაზიანდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, რომელიც მცირე ბორცვზე ყოფილა გაშენებული[14].

ჭრილში მოჩანს კლდის ნაგლეჯი ქვით ამოყვანილი კედლის ნაშთები, თიხატკეპნილი იატაკი. კარგად შეინიშნება ხის ნახშირის დიდი რაოდენობა—ხშირად მთელი ძელებისათვისაც კი შეიძლება თვალის გადევნება. როგორც ჩანს, კედლე-

[12] ს. ნადიმაშვილი აქ აღმოჩენილ მასალებში გამოყოფს— განვითარებულ ენეოლითს, სპილენძ-ბრინჯაოს პერიოდის, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური და ფეოდალური ეპოქის ნაშთებს (103, გვ. 18).

[13] ჩათმის ნამოსახლარის შესახებ ყველა ცნობა ამოღებულია ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომიდან (100, გვ. 23—24).

[14] ნამოსახლარი აღმოაჩინა აწ განსვენებულმა არქეოლოგმა ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა.

ბისა და გადახურვის კონსტრუქციაში ხე დიდ როლს თამაშობდა.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ძირითადად უხეში, ქვიშანარევი თიხისგანაა დამზადებული, კეცი ლეგად ან ლეგამოწაბლისფროდაა გამომწვარი, ზედაპირი ძირითადად კონცენტრული ამოღარული ხაზებით აქვს შემკული.

87. „დ ა თ ი კ ა ს გ ო რ ა" მდებარეობს თელეთ-შავნაბადას მიდამოებში, თრიალეთის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, შავნაბადას ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვზე გამართულ ნამოსახლარს. ბორცვის დიდი ნაწილი დანგრეულია ქვის კარიერის მიერ, რომელიც ზედ ბორცვზეა გამართული.

გამიშვლებულ ნაცროვან კულტურულ ფენებში აქ მრავლად აღმოჩნდა ცხოველთა ძვლები, ხელსაფქვავის ნატეხები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიეკუთვნებიან (106, გვ. 48).

88, 89. სოფ. დოღლაურთან, ქარელის რაიონში აღმოჩნდა ხელოვნური თხრილებით გამოყოფილი ორი ნამოსახლარი ბორცვი — "დ ი დ ი გ ო რ ა" და „პ ა ტ ა რ ა გ ო რ ა". ო. ლამბაშიძე მათ გვიანბრინჯაოს ხანით ათარიღებს (107, გვ. 27—29).

90, 91. ზ. შატბერაშვილმა 1968 წ. სოფ. ხანდაკის მახლობლად, ე.წ. კენჭყარას ხევთან მცირე სამოსახლო ბორცვი აღმოაჩინა, რომლის ერთ-ერთი ფერდის ჭრილში შემჩნეული იყო ნახშიროვან-ნაცროვანი ფენა. მის მიერ იმავე წელს მდ. კავთურის ხეობაში, სოფ. ჩოჩეთის ბოლოზე დადასტურდა საკმაოდ მოზრდილი ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი ე. წ. „ც ი ხ ი ა გ ო რ ა". ზედაპირულად აკრეფილი თიხის ჭურჭლის მიხედვით აქ გამოიყო მტკვარ-არაქსის კულტურის, გვიანი ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის მასალები (108, გვ. 7).

გორა-ნამოსახლართა შესწავლის მიზნით ბოლო ხანებში დიდი სამუშაოები ჩატარდა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე, როგორც არქეოლოგიური დაზვერვების, ისე გათხრითი სამუშაოების სახით, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ მხარის ყველა კუთხე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიცია უკვე ათიოდე წელია განუწყვეტლივ აწარმოებს დაზვერვით სამუშაოებს, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გორა-სამოსახლოები:

92. „ქ უ ს თ ა ფ ა" მდებარეობს საგარეჯოს სამხრეთით, თვალათ ხევის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის მახლობლად. იგი წარმოადგენს კონუსისებურ მაღალ სერს. სერის თხემი მოსწორებულია, ფართო ტერასა შემოსდევს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარს წარმოადგენს. თხემზე მაღალი ძაბვის ანძისათვის გათხრილი ორმოს ჭრილის მიხედვით ზედა ფენა (0, 30 მ) წარმოადგენს ღორღოვან შრეს, რომელშიაც ადამიანის საქმიანობის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა. ამ ფენის ქვეშ კი ნახშიროვანი და ნაცროვანი კულტურული ფენაა, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხებს შეიცავს.

93, 94. „ო ქ ო ი ა ნ ი გ ო რ ა" მდებარეობს მდ. იორის მარცხენა ნაპირზე, სართიჭალასა და ხაშმს შორის, ხაშმის მიწებზე. ივრის დაბლობს აქ კოდიჭალას უწოდებენ. ნამოსახლარი ბუნებრივ შემაღლებაზეა გამართული. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ბორცვი ჯვარედინი თხრილით გადაუჭრელიათ და აქ შირიმის ქვის კარიერი გაუმართავთ. ნამოსახლარის კონტურები ამჟამად ძნელი დასადგენია. თხრილის კედლების დათვალიერებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აქ საკმაოდ მოზრდილი ნამოსახლარი ყოფილა. გორის თხემი და სამხრეთი ფერდი ყამირამდეა გადარეცხილი. ნამოსახლარის სათავსოები შემორჩენილია ჩრდილო ფერდზე.

მცირე დაზვერვითმა თხრილმა გამოავლინა სათავსოს ფრაგმენტი, რომელსაც თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია. იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ნამოსახლარს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებენ. აქვე გამოვლინდა ნაცარში და ნახშირში შერეული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. სათავსო ნახევრად მიწური ყოფილა. მიწაში ჩაჭრილი ნაწილის კედლები კლდის ფლეთილი ქვითაა ნაგები. იატაკზე აღმოჩენილი გამომწვარი ბათქაშის დიდი რაოდენობა მიგვითითებს, რომ შენობის დიდი ნაწილი თიხით შელესილი ხით იყო ნაგები.

ივრის მარცხენა ნაპირზე „ოქოიანი გორის" ჩრდილო-დასავლეთით, მისგან დაახლოებით 1,5—2 კმ მანძილზე მეორე ნამოსახლარია ბუნებრივ ბორცვზე გამართული. თხემი მოსწორებული აქვს და ერთი ტერასა შემოსდევს. ნამოსახლა-

რის კულტურული ფენა გაშიშვლებული არ არის. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ორი ნატეხის მიხედვით ნასახლარი თითქოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას უნდა მიეკუთვნოს.

95. „ა ვ ა ზ ა ს  გ ო რ ა" მდებარეობს სოფ. კაკაბეთის დასავლეთით. იგი წარმოადგენს მოგრძო ბუნებრივ ბორცვს. მისი ფერდები ძლიერაა გადარეცხილი. შესაძლოა ამის გამო იგი ამჟამად მიმდებარე ტერიტორიიდან არ არის გამოყოფილი, არც ტერასით და არც თხრილით. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ნავისებური ხელსაფქვავის ორი ქვის ნატეხი და თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც ნამოსახლარს გვიანბრინჯაო-ადრერერკინის ხანით ათარიღებს.

96. „ტ ა ხ ტ ი  მ უ ხ ა" — ნამოსახლარი ბორცვი სოფ. კაკაბეთის აღმოსავლეთ განაპირა უბანში. ნამოსახლარი ვაკე ადგილას მაგიდისებურ შემაღლებას წარმოადგენს, გარშემო თავდაცვითი თხრილებით. ნამოსახლარზე XIX ს. სამარხებია გამართული. აქ შეკრებილი თიხის ჭურჭლის მიხედვით ნამოსახლარი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის უნდა იყოს.

97. „ს ა ბ ა დ უ რ ი ს  გ ო რ ა" — ნამოსახლარი. იგი სოფ. კაკაბეთის სამხრეთით მაღალ კონუსისებურ გორაკზეა გამართული, თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო ერთი ფართო ტერასა შემოსდევს. ბორცვი დღეს სასაფლაოს წარმოადგენს. ამონაყარ მიწაში შეკრებილი მასალა — კაჟის ნამგლის ჩასართი და ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, კონცენტრული ამოღარული ზოლებით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ნამოსახლარის კულტურულ ფენას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებს.

98. „თ ე ლ ე თ ი ს  გ ო რ ა" — ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ბადიაურის ჩრდილოეთით, მაღალ ბუნებრივ მთაზე, რომელზედაც გვიანფეოდალური ხანის სულ ახლახან განახლებული ეკლესია დგას. ეკლესიის გარშემო ტერიტორია ბულდოზერითაა მოსწორებული. ამ სამუშაოებით დაურღვევიათ ნამოსახლარის კულტურული ფენა, რომელიც აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

99. ნამოსახლარი ბორცვი სოფ. გადრეკილში (თანამედროვე მახარაძე, გურჯაანის რაიონი). მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამჟამად ზედ გვიანფეოდალური ხანის ეკლესიაა აგებული. გორას ერთი განიერი ტერასა შემოსდევს. ნამოსახლარზე აიკრიბა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

100. „ს ა მ გ ლ ე  ს ე რ ი". მდებარეობს სოფ. მელაანის სამხრეთით „ჩრდილის ხევის" მარცხენა ნაპირზე. თხემი მოსწორებული აქვს. გარშემო ოდნავ შეიმჩნევა თავდაცვითი თხრილის კონტურები.

ნამოსახლარზე შეიკრიბა ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, კონცენტრული ამოღარულზოლებიანი, მსხვილქვიშანარევი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

101. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარი აღმოჩნდა სოფ. მელაანის სამხრეთ-დასავლეთით ხუთიოდე კილომეტრზე, თბილისის გზატკეცილის პირას, მის ჩრდილოეთით დაახლოებით 200 მეტრის მანძილზე. ამჟამად ნამოსახლარი იხვნება და მისი ტოპოგრაფია ძნელი გასარკვევია. როგორც ჩანს, იგი გაუმართავთ პატარა ხევის პირას შემაღლებულ ადგილზე. ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით შეიკრიბა კახეთისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა.

102. „მ ა ი ა კ ი" — სამოსახლო ბორცვი. მდებარეობს სოფ. მელაანის სამხრეთ-დასავლეთით, ჩრდილის ხევის მაღალ მარჯვენა ნაპირზე. სამხრეთით გორა ხევის მაღალი ნაპირითაა დაცული, ჩრდილოეთით კი მას შემოსდევს ოდნავ შესამჩნევი დადაბლება, როგორც ჩანს, თავდაცვითი თხრილით, რომლის გარეთ გამოვლინდა თხემის სინქრონული კულტურული ფენა, წარმოდგენილი გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკით.

გორის თხემზე სადაზვერვო თხრილი გაავლო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც 1959 წ. გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. მელაანში, სამლოცველოს ტერიტორიაზე. „მაიაკის" ნამოსახლარზე კულტურული ფენა აღმოჩნდა 0, 50 მ სისქის ლორღოვანი ფენის ქვეშ (კახეთის ნამოსახლართა უმეტესობაზე სწორედ ამ მიზეზით ძნელია ზედაპირულად მასალის შეგროვება). ამ ნამოსახლარებზე კულტურული ფენა თხემის შუაგულზეა დაკონსერვებული თხემის კიდეზე შემო-

ყოლებული მიწაყრილიდან ჩამორეცხილი მიწით[15].

103 „საყდრის გორა" მდებარეობს ლაკბის ხევის მარცხენა ნაპირას (გურჯაანის რაიონი). გორა-ნამოსახლარის როგორც თხემი, ისე ფერდები ღრმადაა გადახნული ტრაქტორით, საგზაო სამმართველოს მიერ ხევების ჩასარგველი არხების გაყვანის დროს. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო ნამოსახლარის გათხრა, მაგრამ იმის გამო, რომ ძეგლი ძლიერაა დაზიანებული, აქ არქეოლოგიური სამუშაოები აღარ გაგრძელებულა. მიუხედავად ამისა მაინც მოხერხდა ზოგიერთი საკითხის გარკვევა:

ა. ძეგლის ჩრდილო-დასავლეთით ფერდზე გავლებული თხრილის საშუალებით დადგინდა, რომ გორა ბუნებრივ ბორცვზეა გამართული და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თხრილითაა დაცული.

ბ. გორის აღმოსავლეთით, თხრილის გარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა პირვიწრო და ძირგანიერი ოციოდე მრგვალი სამეურნეო ორმო, რომელიც ნამოსახლარის თანადროულია.

გ. ნამოსახლარის თხემზე, მიუხედავად იმისა, რომ ფენები ძლიერაა არეული, თიხის ჭურჭლის მიხედვით დადგინდა, რომ იგი დასახლებული ყოფილა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და ამ დასახლებამ იარსება დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნემდე.

დ. ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 500-ოდე მეტრის მანძილზე აღმოჩნდა ორმოსამარხებით წარმოდგენილი სინქრონული სამაროვანი.

104. „ტინის სერი" I მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის ჩრდილოეთით, ცივ გომბორის სამხრეთ ფერდის მთისწინა ზოლში, ბუნებრივ კონუსურ მცირე ბორცვზე. ბორცვის თხემი მოსწორებულია სულ 3×5 მ ფართობზე. კულტურული ფენა, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს შეიცავს, მხოლოდ ბორცვის თხემის მოსწორებულ ნაწილში ჩანს გავრცელებული.

105. „ტინის სერი" II მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის ჩრდილოეთით, ცივ გომბორის ქედის სამხრეთი ფერდის მთისწინა ზოლში ტინის სერი I აღმოსავლეთით 300-ოდე მეტრზე. ტინის სერი II წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს, რომლის თხემი ასევე მოსწორებულია 10×12 მ ფართობზე. ბორცვს გარშემო ფართო ტერასა შემოსდევს. ნამოსახლარის თხემზე თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და ნამგლის კაჟის ერთი ჩასართი აღმოჩნდა.

ტინის სერის კულტურული ფენის ასაკი კარგად განსაზღვრა ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით (დაახლოებით 300—400 მ მანძილზე), მთის ფერდზე გამოვლენილმა ორიარუსიანმა სამაროვანმა. ამ სამაროვანზე 1969 წ. გათხრილი სამარხების მიხედვით, ტინის სერი II-ის თარიღი უნდა განისაზღვროს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით.

106. „მოჭრილი გორა" მდებარეობს სოფ. ჩალაუბანში, სოფლის დასავლეთ განაპირა უბანში. იგი კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მთლიანად გაითხარა 1969 წ. (235, გვ. 40).

ნამოსახლარი „მოჭრილი გორა" რთულ ნაგებობას წარმოადგენს. ნამოსახლარი ბორცვის აგებულების გასარკვევად მის სამხრეთ ნაწილში გაიჭრა 30 მ სიგრძის, 1 მ სიგანის და 4—5 მ სიღრმის თხრილი.

ნამოსახლარის შესაქმნელად შერჩეულია დაბალი, ბუნებრივი გრძივი ბექობი, რომელიც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გადაყელილია 50 მ მანძილზე (ტაბ. $I_2$). შემდგომ ამ ფართობის გარშემო გათხრილია ღრმა, რთული კონსტრუქციის საფეხურებიანი თავდაცვითი თხრილი (ტაბ. III). თხრილს ნასახლარის მხარეს შვეული კიბეებიანი კედლები აქვს, ყრილის მხარეს კი კიბეებიანი დამრეცი კედლები და ისეა გათვალისწინებული, რომ მომხდური, რომელიც ზღუდის მხრიდან მოისურვებდა ნასახლარზე ამოსვლას, რაც შეიძლება მეტ ხანს ყოფილიყო თხრილში, სამოსახლოზე მყოფი ადამიანის ხედვის არეში.

როგორც ჩანს, თხრილი რეგულარულად იწმინდებოდა, რაზედაც მიუთითებს ის, რომ მისი გათხრის დროს მის ფსკერზეც კი A (ქვედა) ფენის არც ერთი ნატეხი არ აღმოჩენილა. იგი შევსებული იყო მხოლოდ იმ მასალით, რომელიც მასში ჩასუ-

[15] ამ საკითხის შესახებ იხილე ჩვენი მოსაზრება „ნაგომრების თავის" ნამოსახლარზე მსჯელობისას.

ლა ნამოსახლარის საბოლოო განადგურების შემდეგ.

თავდაცვითი თხრილიდან ამონაყარი მიწის ნაწილი თხრილის გარე ზღუდისთვისაა გამოყენებული, ძირითადი ნაწილი კი ნამოსახლარისათვის გამოყოფილი ადგილის შესამაღლებლადაა დაყრილი. ამგვარი სამუშაოებით თხრილის შიდა ტერიტორიაზე მიწა შეზვინულია ორი მეტრის სიმაღლეზე[16] და მიღებულია 1000 კვ. მეტრის სწორი ფართობი, რომელზედაც გამართულია ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნისა და I ათასწლეულის დასაწყისის სამოსახლო, რომელიც ჩვენ ლათინური A ასოთი აღვნიშნეთ. მისი კულტურული ფენის სიმძლავრე 1, 80—2 მეტრია. იგი შექმნილია შენობათა კედლების რიყის ქვის საძირკვლების, თიხის კედლების და ბანური გადახურვის ნანგრევებისაგან. როგორც ჩანს, ზედა ფენის მშენებლებს გამოუყენებიათ A ფენის შენობათა ნანგრევების მასალა, რის გამოც ქვედა ფენის ნაგებობები ძალიან ცუდადაა დაცული (ტაბ. $II_1$).

ნამოსახლარის თხემზე, სწორ ადგილას გაიწმინდა რამდენიმე მიწისზედა ნაგებობა. მათი კედლებიდან რიყის ქვის ცალმაგი წყობა იყო შემორჩენილი. როგორც ჩანს, იგი თიხისაგან ნაგები კედლის საფუძველს წარმოადგენდა.

კედლების კონსტრუქციაზე მიგვითითებს ზოგიერთ ადგილას რიყის ქვის საფუძველზე რამდენიმე მეტრის სიგრძეზე და 0,30—0,50 მ სიმაღლეზე გაყოლებით აღმოჩენილი ყვითელი ნაზელი გამოუწვავი თიხა. ამგვარი თიხის დიდი ბელტები გვხვდება A ფენის ნასახლარის ბევრ ადგილას და ხშირად იგი რიყის ქვის კედლის საფუძვლებთანაა დაკავშირებული. იმ ადგილებში, სადაც თიხის ეს ფენები რიყის ქვის საფუძვლებს უკავშირდება, შესაძლებელია მათი სისქის დადგენაც —10—20 სმ. ბუნებრივია, რომ შენობათა ამგვარ კონსტრუქციას ხის მასალაც დასჭირდებოდა, მაგრამ მის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ხის კვალი შემორჩენილი არ არის. A ფენაში ზოგან შენობათა რიყის ქვის საფუძველი ორ ან სამ რიგადაა ამოყვანილი, როგორც ჩანს, ტალახის ხსნარზე. ოთხ შემთხვევაში აღმოჩნდა კერა ნახშირითა და ნაცრით. იგი სრულიად მარტივია—წარმოადგენს ორ ერთიმეორის გვერდზე დადებულ რიყის ქვას.

A ფენაში მეტად მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთები. მეტად ფრაგმენტულია კერამიკა, მაგრამ მიუხედავად ამისა კარგად გამოიკვეთა მისი დამახასიათებელი თვისებები, რომელიც მას განასხვავებს ზედა ფენის თიხის ჭურჭლისაგან.

A ფენის კერამიკის კეცი, როგორც წესი, ქვიშანარევია, ხშირად მსხვილქვიშანარევი. კეცის გული ყავისფრად, ზედაპირის თხელი ფენა კი შავადაა გამომწვარი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზედა ფენის თიხის ჭურჭელში ამგვარად გამომწვარი კერამიკა ან არ გვხვდება, ან ძალიან იშვიათია. მაგრამ თიხის ჭურჭლის ფორმები და შემკულობა მათ ერთნაირი აქვთ (ძირითადად კონცენტრული ამოღარული ხაზები) (ტაბ. IV, V).

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი კერამიკა — წაბლისფრად გამომწვარი, შავზედაპირიანი — აღმოჩნდა ჩალაუბანშივე, ჩვენ მიერ გათხრილ ერთ-ერთ სამარხში, რომელშიც ბრინჯაოს მთლიანადსხმული მახვილიც იყო. ამ ფაქტმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ნამოსახლარის A ფენის თარიღი.

როგორც ჩანს, A ფენის ნასახლარი თანდათანობით გამოსულა წყობილებიდან და ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში იგი მთლიანად განუახლებიათ—მოუსწორებიათ მოედანი და აქ ხელახლა დასახლებულან.

B ფენა, რომლის სიმძლავრეა 0,50—0,70 მ, უშუალოდ ადევს A ფენას და კარგად გამოიკვეთება, რადგან მთლიანად გადაბუგულია, რიყის ქვები კი გაწითლებული და დახეთქილი. B ფენის ნამოსახლარის თხემის კიდეზე რიყის დიდი ქვების ზღუდე შემოსდევს. ზღუდე მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი (ტაბ. $II_2$). ამავე ფენაში გამოვლინდა და გაიწმინდა მრავალი სათავსო და პურის საცხობი თონე.

საცხოვრებელ სათავსოთა კედლის ძირები რიყის ქვით ყოფილა ნაგები, კედლის ზედა კონსტრუქცია და გადახურვა კი, როგორც ჩანს, ხის კარკასს წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ თიხით ილესებოდა. ამაზე მიგვითითებს გამომწვარი ბათქაშის დიდი რაოდენობა, რომლებზედაც ხშირად 8—11 სმ-ის სისქის ხის მორების ანაბეჭდებია.

დიდი ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ B ფენაში აღმოჩნდა თონეები. სულ გამოვლინდა 6 თონის ფსკერი. თონე წარმოადგენს მიწაში ამო-

[16] ნამოსახლარის შემაღლებისათვის დაზვინულ ნაწილში მხოლოდ A ფენისათვის დამახასიათებელი მასალა გვხვდება.

ღებულ ორმოს, რომლის კედლები, როგორც ჩანს, ლასტით იყო ამოყვანილი და შემდეგ თიხით შელესილი.

ნამოსახლარის უეცარ მიტოვებაზე მიგვითითებს in situ, სათავსოების თიხატკეპნილ იატაკზე დაცული თიხის მრავალი ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთი. ამ ფენის ზედა შრეებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ძ. წ. „სკვითური" ისრისპირები კარგად ადგენს ნამოსახლარის განადგურების თარიღსა და მტრის ვინაობას, არსებითია, რომ ამ მიკრორაიონში გათხრილი ყველა თანადროული ძეგლი (სამარხების გამოკლებით) გადამწვარია. მელაანში კი სამლოცველოს თხრის დროს გადაწვის ნიშნებთან ერთად აღმოჩნდა „სკვითური" ისრისპირებიც (180, გვ. 103—110). ყოველივე ეს და ჩვენში თუ აზერბაიჯანში დადასტურებული მრავალი სხვა ფაქტიც გარკვეულად მიგვითითებს ჩრდილოელი ტომების ლაშქრობის მარშრუტის შესახებ ამიერკავკასიაში და ადასტურებს ბერძენ ავტორთა ცნობებს ამ ლაშქრობის შესახებ.

107. „რ ც ხ ი ლ ი ს   ს ე რ ი" მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის სამხრეთ განაპირას, მოგრძო, დაბალ მთაზე, რომელზედაც უფრო დასავლეთით 300-ოდე მეტრის მანძილზე მეორე — „გარეტყის გორა" — ნამოსახლარია. შემდეგ კი იმავე მიმართულებით 0,5 კმ-ის დაშორებით მესამე ნამოსახლარია—„მოჭრილი გორა".

„რცხილის სერის" ნამოსახლარის კონსტრუქციის გასარკვევად, მის დასავლეთ ნაწილში გაიჭრა თხრილი, რომელიც მოიცავს როგორც გორის ფუძეს, ისე თხემს, გამოირკვა, რომ სამოსახლოს გაშართვისას მისთვის შეგულებული ადგილის დასავლეთით ამოუჭრიათ თავდაცვითი თხრილი (ტაბ. VI$_1$). ამოღებული მიწა დაუზვინიათ ნამოსახლარის ადგილზე და შეუმაღლებიათ იგი. ნამოსახლარს ჩრდილოეთით დიდი ნაწილი აკლია, აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები კი ძლიერ გადარეცხილია და ამ მხარეებში ძნელია მისი ძველი კონფიგურაციის დადგენა.

ნამოსახლარის მოსწორებულ თხემზე გაიწმინდა კედლის ნაშთები (ტაბ. IV$_2$), რიყის ქვის ფუძით. გამოვლინდა ოთხკუთხი დაგეგმარების ორი სათავსო. კედლების ფუძეები ძლიერაა დაზიანებული და ყველგან ერთნაირად არ არის შემორჩენილი. დასავლეთით მდებარე სათავსო, ჩანს, საცხოვრებელს წარმოადგენდა. მას ჰქონდა მოყვითალო თიხატკეპნილი იატაკი (5 X 5 მ) და ორი მცირე მრგვალი სამეურნეო ორმო, გაჭრილი სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებთან. იატაკზე დიდი რაოდენობით შეიკრიბა თიხის ჭურჭლის ნატეხები, საცხოვრებელ სათავსოს აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ ჰქონია მიდგმული სამეურნეო ნაგებობა. სამეურნეო ორმოები აღმოჩნდა ბორცვის აღმოსავლეთით ძირობაზეც.

ნასახლარიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, სამხრეთით ხევის პირას ფერდობზე, მისი თანადროული თხუთმეტი ორმოსამარხი გაითხარა. ფერდი ძლიერ გადარეცხილია და სამარხების უმრავლესობა მეტად დაზიანებული. ნაპოვნ გადაურეცხავ სამარხებს კი აშკარად ეტყობა გაძარცვის კვალი. ნამოსახლარი და სამაროვანი ცალკეული მონაპოვრების მიხედვით ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

108. „გ ა რ ე ტ ყ ი ს   გ ო რ ა" მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის სამხრეთ გარეუბანში· იმ მოგრძო ბორცვზე, რომელზედაც ეს ნამოსახლარია გამართული, განლაგებულია კიდევ ორი ნამოსახლარი გორა: „რცხილის სერი" [107] და „მოჭრილი გორა" [106]. ნამოსახლარები ერთიმეორისაგან სულ რაღაც 200—300 მეტრითაა დაშორებული (ტაბ. VII$_2$).

„გარეტყის გორა" წარმოადგენს შემაღლებულ ოვალურ ბორცვს, რომელსაც გარშემო ღრმა თავდაცვითი თხრილი შემოუყვება (ტაბ. VII$_1$). ამჟამად გორის თხემი იხვნება და იმდენადაა გადარეცხილი, რომ მიუხედავად იმისა, რომ 1968—1969 წლებში აქ საკმაოდ დიდი თხრილი გავჭერით, საცხოვრებელი სათავსოს კედლის რიყის ქვის საფუძვლის, თიხატკეპნილი იატაკის ნაშთისა და თიხის ჭურჭლის უსახო ნატეხებს გარდა სხვა არაფერი არ შეგვხვედრია. აქაური თიხის ჭურჭელი წარმოდგენილია ქვიშანარევი, ლეგად გამომწვარი ფრაგმენტებით, რომელთა ზედაპირი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა შემკული და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით თარიღდება.

გორა, როგორც ჩანს, იმავე წესითაა ნაგები, როგორც „მოჭრილი გორა" და „რცხილის სერი", ე. ი. თავდაცვითი თხრილის გაჭრის დროს ამოღებული მიწის დიდი ნაწილი ნამოსახლარისათვის გამიზნული ფართობის შუაგულშია დაყრილი, რითაც იგი საკმაოდაა შემაღლებული, მეორე ნაწილი

კი თავდაცვითი თხრილის გარეთაა დაზვინული თავდაცვითი მიწაყრილის შესაქმნელად.

„გარეტყის გორის" თავდაცვითი თხრილის აღმოსავლეთით, ახალი სასაფლაოს ტერიტორიაზე, ოციოდე მეტრის სიგრძის სადაზვერვო თხრილი გავჭერით. 0,60 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა რიყის ქვის კედლის საფუძვლის ნაშთები და თხემზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის იდენტური მასალა. აქვე აღმოჩნდა კაჟის ოციოდე ლამელა, კაჟის ნამგლის ჩასართების ნახევარფაბრიკატები, მზა ჩასართები და უსახო ანატკეცების დიდი რაოდენობა. აქვე გამოვლინდა დამწვარი ბათქაშის მრავალი წვრილი ნატეხი და რიყის ქვები დაჩეჩქვილი ზედაპირით. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ „გარეტყის გორის" გარე მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული იყო გორის თანადროული, კაჟის ნამგლის ჩასართების დამამზადებელი სახელოსნო.

109. „ს ა ნ გ ლ ი ს ს ე რ ი" მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის სამხრეთით ხუთიოდე კმ-ის დაშორებით. იგი წარმოადგენს თხემმოსწორებულ ბუნებრივ შემაღლებას, რომელიც გამოყოფილია ერთი განიერი ტერასით. ნამოსახლარის თხემზე შეკრიბეთ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, კონცენტრული ამოღარული ზოლებით შემკული კორპუსით.

110. სოფ. ჩალაუბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ მანძილზე დიდი ნამოსახლარი გორაა, რომელიც ხელოვნურ შემაღლებაზეა გამართული. თხემი მას მოსწორებული აქვს, ხოლო გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარი მოგრძოა. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მას დაქანება აქვს. თხემზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები შეიკრიბა.

111. სოფ. ქვემო ბოდბის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირა უბანში, სოფლიდან დაახლოებით 0,5 კმ-ის მანძილზე ბუნებრივი ბორცვია მოსწორებული თხემით და გარშემოყოლებული ერთი განიერი ტერასით. თხემზე შეგროვილი თიხის ჭურჭლის მიხედვით იგი ასევე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი უნდა იყოს.

112. სოფ. ქვემო ბოდბის ჩრდილოეთით დაახლოებით 0,5 კმ-ის დაშორებით მდებარე მაღალი მთის თხემი მოსწორებულია და გარშემო ერთი ტერასა შემოსდევს. თხემზე შეგროვილი თიხის ჭურჭლის მიხედვით აქაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი უნდა იყოს.

113. „ბ ე გ თ ა გ ო რ ა" მდებარეობს სოფ. ბოდბესა და მაღაროს სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 1,5—2 კმ-ის მანძილზე. ბუნებრივი კონუსური ბორცვის თხემი მოსწორებულია და გარშემო ერთი განიერი ტერასა შემოუყვება. ბორცვი ღრმადაა გადახნული. მრავლად შეკრებილი თიხის ჭურჭლის მიხედვით იგი, როგორც ჩანს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარს უნდა წარმოადგენდეს. აქვეა შეკრებილი უფრო მოგვიანო პერიოდის (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც[17].

114—115. ქვემო ბოდბესა და უზუნდარას შორის, გომბორის ქედის სამხრეთი კალთების მთისწინა ზოლში, სოფ. ზემო მაჩხაანის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის აქეთ-იქით ორი ნამოსახლარი ბორცვია. გზის აღმოსავლეთით მდებარე დიდი ნამოსახლარი მაღალ ბუნებრივ ბორცვზეა გამართული. მთის თხემი აქაც მოსწორებულია, ხოლო ფერდებზე ორი განიერი ტერასა შემოუყვება, ნამოსახლარის თხემზე გვიანფეოდალური ხანის ერთნავიანი პატარა ეკლესია დგას. ეკლესიის კედლებს ჩაყოლებული აქვს შუაფეოდალური ხანის მოჭიქული კრამიტის ნატეხები. ნამოსახლარზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შეიკრიბა.

გზის დასავლეთით ამავე დროის ერთტერასიანი მცირე ნამოსახლარია.

116. „ნ ა ტ ა ხ ტ ა რ ი" ნამოსახლარი გორაა. მდებარეობს სოფ. გამარჯვების (ყოფილი უზუნდარა) სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში. იგი გამართულია ბუნებრივ მოგრძო გორაკზე (სიგრძივი დამხრობა—WO). ნამოსახლარის თხემის აღმოსავლეთი ნაწილი შემაღლებულია და სფერულზედაპირიანი. დაბალი დასავლეთი ნაწილი კი ბრტყლადაა მოსწორებული. ნამოსახლარს დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან თხრილი და მიწაყრილი იცავს, SO მხარე კი ხევს გადაჰყურებს. აქ ღრმა ფლატეა თავდაცვითი მიზნით გამოყენებული. თხემზე შეკრებილი თიხის ჭურჭელი ნამოსახლარს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებს.

[17] ძეგლი აღმოაჩინა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

117. „შვინდის ყელის“ გორა ნამოსახლარი მდებარეობს „ნაომარის“ ველის (სიღნაღის რაიონი) სამხრეთ განაპირა ნაწილში, რომელიც მთაგორიან ივრის პირებს გადაჰყურებს. აქ მთა „შვინდის ყელის“ აღმოსავლეთით მდებარე მცირე ბორცვს თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. გორის თხემის კიდეს, მცირე მიწაყრილი — ზღუდე შემოუყვება. როგორც ჩანს, ეს ზღუდე შეუქმნიათ თხემის მოსწორების დროს აღებული მიწით. ამაზე მიგვითითებს საკმაოდ არქაული, ხელით ნაძერწი თიხის ნატეხები, ობსიდიანის წვრილი ჩანართებით, რომლებიც მხოლოდ მიწის ზღუდეზე და მის გარეთ გვხვდება. თხემის ცენტრალური ნაწილის ზედაპირი ღორღოვან ფენას წარმოადგენს. აქ მცირე დაზვერვითი თხრილის გავლებამ დაგვარწმუნა, რომ კულტურული ფენა 0,50—0,60 მ-ის სიღრმეზეა და მრავლად შეიცავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს. საფიქრებელია, რომ ღორღოვანი ფენა კულტურულ ფენაზე თხემის ცენტრალურ დადაბლებულ ადგილას მიწის ზღუდიდან ჩამოირეცხა.

118. „ჩამადაანთ გორა“ მდებარეობს წითელწყაროს დასავლეთით, წითელწყაროსა და სოფ. გამარჯვებას შორის, წითელწყაროს პლატოს ნაპირას, რომელიც მთაგორიან ივრისპირებს გადაჰყურებს. ნამოსახლარი გაუმართავთ მაღალ კლდეზე, რომლის თხემი მოსწორებულია. ნამოსახლარს თავდაცვითი ნაგებობები (თხრილი, ყრილი) არა აქვს, რადგან კლდის შვეული კედლები თავისთავად თავდაცვით მოვალეობას ასრულებენ. ნამოსახლარის დასავლეთი ნაწილი ძლიერაა დაზიანებული ქვის მომპოვებელი კარიერის მიერ. თხემზე შეკრებილი თიხის ჭურჭელი ნამოსახლარს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს.

119. „ელიას მთა“ — ყველაზე მაღალი წერტილია წითელწყაროს რაიონში (1001 მ ზღვის დონიდან). მასზე ელიას სახელობის სალოცავი ხატია გამართული. ელიას წვეტიანი კონუსური მთის სამხრეთით ასიოდე მეტრის მანძილზე მეორე ამგვარივე, მაგრამ შედარებით უფრო დაბალი ბორცვია. ამ კლდოვან კონუსებს შორის ფართობი უნაგირისებრ მოსწორებული ადგილია. სწორედ აქ შეიკრიბა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ადგილი ამ ხანის სამოსახლოსათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

120, 121. „თამარის გორა“ მდებარეობს სოფ. ჯაფარიძის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთიოდე კილომეტრზე. ნამოსახლარისათვის მოსწორებულია ბუნებრივი ბორცვის თხემი და მას გარშემო თავდაცვითი თხრილი აქვს შემოვლებული. ნამოსახლარზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის და გვიანანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები შეგროვდა.

„თამარის გორის“ მსგავსი კონფიგურაციის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი გორა აღმოჩნდა სოფ. ჯაფარიძის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მლაშე ტბის აღმოსავლეთით მდებარე მთის სამხრეთ ფერდზე.

122. ადგილი „ჩანკაანი“ მდებარეობს სოფ. ჯაფარიძესა და ზემო ქედს შორის, შირაქის ველის ჩრდილო კიდეზე, რომელიც ალაზნის ველს გადაჰყურებს. აქ აღმოჩნდა თავბრტყელი ნამოსახლარი ბორცვი, ირგვლივ თავდაცვითი თხრილით. ნამოსახლარი აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ეკუთვნის. ასევე ათარიღებს მას ნამოსახლარიდან 0,3 კმ მანძილზე აღმოჩენილი სამაროვანი, რომელიც ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი და დაზიანებულია ქარსაცავი ზოლისათვის ნაკვეთის დაპლანტაჟების დროს.

123. ნამოსახლარი „თეფა“ მდებარეობს სოფ. ზემო ქედის ჩრდილო განაპირა უბანში, რომელიც ალაზნის ველს გადაჰყურებს. იგი წარმოადგენს თავმოსწორებულ ბუნებრივ ბორცვს, გარშემო თხრილით. თხემზე შეკრებილი თიხის ჭურჭლის ნატეხები ნამოსახლარს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებს.

124-125. ბორცვი „თეფა“ და „ცისკარაანთ გორა“ აღმოჩნდა წითელწყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოს სამხრეთით, სოფლიდან 3—4 კმ-ის მანძილზე, დიდი შირაქის ველის სამხრეთ განაპირა ნაწილში მდებარე მთების მახლობლად.

ნამოსახლარი გორა „თეფას“ სახელწოდებით ველზეა ამოზიდული და, ერთი შეხედვით, ხელოვნური ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი სიმაღლე 3—4 მეტრია. ნამოსახლარის ზედაპირი ბრტყელია (300×200 მ). იგი გადახნული დაგვხვდა. აქ შეიკრიბა დიდძალი მასალა, ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისა, სოფელ ქვემო ქედში

სახელოსნო უბანზე მოპოვებული მასალის იდენტური — თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავის ქვები, ბრტყელი, ხელოვნურად წელში გამოყვანილი რიყის ქვები (ქვის თოხები) და სხვ.

ნამოსახლარი სოფ. არბოშიკის მიწებზე მდებარეობს. ამ ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა მეორე ნამოსახლარი ცნობილი „ცისკარაანთ გორის“ სახელწოდებით. იგი სიმაღლით 3—4 მეტრია და გარეგნულად ასევე ხელოვნურ ბორცვს წააგავს. ბორცვი მრგვალია, თავბრტყელი. იგი წინა ნამოსახლარზე უფრო მცირე ზომისაა. მისი ზედაპირი დაუზიანებელია და ამდენად აქ მასალაც მცირე შეიკრიბა—თიხის ბორბალი, სადგარის (?) შვერილი, სასრესი ქვა, ბათქაშის ფრაგმენტი და ქვემო ქედის სახელოსნო უბანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის იდენტური მასალა.

126. „ს ა ს ა ნ თ ლ ი ა ნ თ  გ ო რ ა“ მდებარეობს სოფ. არხილოსკალოს ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთით, ივრის პლატოს ჩრდილო კიდეზე.

ნამოსახლარი გამართულია ბუნებრივ ბორცვზე, რომელსაც თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. ნამოსახლარზე შეკრებილი თიხის ჭურჭლის ნატეხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით უნდა დათარიღდეს.

127. „ხ ა ტ ი ს  გ ო რ ა“ მდებარეობს სოფელ ქვემო ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ივრის პლატოს ჩრდილო განაპირა ნაწილში, რომელიც ზევიდან გადაჰყურებს ალაზნის ველს.

ნამოსახლარი ხელოვნურ მაღალ ბორცვზეა გამართული და გარშემო თხრილი შემოსდევს. ნამოსახლარზე ამჟამად მცირე სალოცავი ნიშია, ახალმოსახლე ფშაველების მიერ აგებული. გორას სახელწოდებაც აქედან აქვს მიღებული. აქ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა.

128—134. დიდი შირაქის ველის დასავლეთით, იმავე ივრის ზეგანზე მდებარეობს მთებით გარშემორტყმული ზილიჩის ველი. იგი გაცილებით მცირე ფართობისაა, ვიდრე შირაქის ველი, მაგრამ მიუხედავად ამისა ერთ-ერთი მთავარი სახნავ-სათესი ობიექტია.

ზილიჩის ველის გარშემო მდებარე მაღალ მთა-გორებზე შვიდი ნამოსახლარი დავადასტურეთ. ნამოსახლარები ბუნებრივ ბორცვებზეა გამართული, თხემი ყველას მოსწორებული აქვს და გარშემო განიერი ტერასა შემოსდევს. ყველა ნამოსახლარზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა, ზოგიერთზე კი გვიანანტიკური ფენებიც დადასტურდა.

არცერთ ამ ნამოსახლარ გორას სახელწოდება არა აქვს.

135—141. ასევე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა ნამოსახლარ ბორცვებზე: ქვემო მაჩხაანთან [135], ცლუნკაანთან [136], მირზაანთან [137], ბოდბისხევთან („ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს  გ ო რ ა“) [138], ფანიანთან [139] და ტიბაანთან — გედიკის ხევის მარცხენა ნაპირზე — „მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს  გ ო რ ა“ [140], ხოლო მარჯვენა ნაპირზე — „დ ა ლ ა ქ ი ა ნ თ  გ ო რ ა“ [141].

აქაც ყველა ნამოსახლარი გამართულია ბუნებრივ ბორცვზე, რომელსაც თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს.

142. „ნ ა გ ო მ რ ე ბ ი ს  თ ა ვ ი ს  გ ო რ ა“ მდებარეობს დიდი შირაქის ველის სამხრეთით მთაგორიან ნაწილში — ელდარის დასახლების სამხრეთით ოციოდე კმ-ზე. ნამოსახლარის მაგიდისებური კონტურები სოფ. ქვემო ქედიდანაც გაირჩევა.

ნამოსახლარი მთის თხემზეა გამართული. მისი ჩრდილო ნაწილი ღრმა ხევს გადაჰყურებს. მთა აღმოსავლეთისაკენ თანდათან მაღლდება (ტაბ. VIII₁).

ნამოსახლარი „ნაგომრების თავის გორა“ რთულ ნაგებობას წარმოადგენს. ცენტრალურ, მთავარ ბორცვს თხემი მოსწორებული აქვს. თხემის ცენტრალურ ნაწილში ამოღებული მიწა მის კიდეებზეა დაზვინული და ამგვარად მიღებულია საკმაოდ მაღალი და განიერი მიწის ზღუდე. მიწის ზღუდე ფარგლავს მხოლოდ დასავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ კიდეებს. აღმოსავლეთ ნაწილში ნამოსახლარის თხემზე კოშკისმაგვარი შემაღლებაა სოფ. გამარჯვების (უზუნდარა) ნამოსახლარ „ნატახტარის“ მსგავსად.

ცენტრალურ ბორცვს გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. იგი განსაკუთრებით ღრმაა დასავლეთ ნაწილში, სადაც ფაქტიურად მთა მთლიანად გადაჭრილია. თხრილიდან ამონაყარი მიწით შექმნილია თავდაცვითი ყრილიც. თხრილი ამჟამად შეიმჩნევა მთავარი ბორცვის ჩრდილო ნაწილშიც. სამხრეთი ფერდი ჩამორეცხილია.

აღმოსავლეთ ნაწილში ბორცვის თავდაპირველი თავდაცვითი ნაგებობა დარღვეულია, რადგან როგორც ჩანს, ბორცვის მოსახლეობის გაზრდის შედეგად საჭირო გამხდარა მისი გაფართოება. ამ მიზნით აღმოსავლეთ ნაწილში მთავარი ბორცვისაგან კოშკისმაგვარი შემაღლებით გამოყოფილი საცხოვრებელი მოედანი მოუსწორებიათ, მისი თხემის კიდე ასევე მიწის ყრილის ზღუდით შემოუფარგლავთ. მთლიანად გორის ირგვლივ კი თავდაცვითი თხრილი გაუთხრიათ. „ნაგომრების თავის გორა" ყველაზე ადვილი მისადგომია აღმოსავლეთი მხრიდან, სადაც მას მთის ფერდი ებჯინება. როგორც ჩანს, სამოსახლოს მკვიდრთ ესეც გაუთვალისწინებიათ და თავდაცვის მიზნით აქ მთის ფერდი სამ ადგილას გადაუჭრელიათ, თხრილებიდან ამონაყარი მიწა კი თხრილის წინ (აღმოსავლეთით) ზღუდედ დაუზვინიათ.

ჩვენ მცირე თხრილი გავავლეთ მთავარი ბორცვის ცენტრალურ ტაფობ ადგილას. თავდაპირველად გვხვდებოდა მხოლოდ ღორღოვანი ფენა, რომელიც, როგორც ჩანს, თხემის კიდეზე აღმართული მიწის ზღუდის ჩამონარეცხია. 0.50 მეტრის სიმაღლეზე კი გამოვლინდა ზედა ფენით დაკონსერვებული კულტურული ფენა. აქ აღმოჩენილი კერამიკის ნატეხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიეკუთვნება.

143. „ხ ო ს რ ო ს გ ო რ ა" მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის აღმოსავლეთით ხუთიოდე კმ-ის დაშორებით, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ ფერდზე.

ნამოსახლარი ვიწრო მთის ფერდზეა გამართული, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა წაგრძელებული. ნამოსახლარის თხემი მოსწორებულია. დასავლეთისაკენ ოდნავ დახრით და გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს.

ნამოსახლარზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა.

144, 145. სოფ. არაშენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ნამოსახლარი გორა აღმოჩნდა. ერთი [144] ადგილ „ფევრების ბოლოს" სამხრეთითაა ხელოვნურ ბორცვზე, რომლის თხემი მოსწორებულია, გარშემო კი თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. მეორე [145] შედარებით დაბალ ბუნებრივ ბორცვზეა გამართული და არაშენდისაკენ მიმავალი გზის აღმოსავლეთით დაახლოებით 800 მეტრზე, ვენახებში კარგად მოჩანს. თხემი მოსწორებული აქვს, გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. არაშენდის მოსახლეობა ამ ბორცვს „მ ო ჭ რ ი ლ ი გ ო რ ი ს" სახელით მოიხსენიებს.

ორივე ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აიკრიფა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

146, 147. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორი ნამოსახლარი ბორცვი აღმოჩნდა სოფ. ქვემო მაღაროს სამხრეთით თხუთმეტიოდე კილომეტრზე, იერისპირა მთაგორების დასაწყისში — „ვაისწყალთან". ამ ადგილებს მოსახლეობა „ნაქალაქარის" სახელით იცნობს.

„ნაქალაქარად" წოდებული მაღალი მთის აღმოსავლეთ ფერდზე და მეზობელი მთაგორების ტერასებზე განლაგებულია ფეოდალური ხანის უზარმაზარი ნამოსახლარი. ზოგიერთ ადგილას ნაცროვანი კულტურული ფენა რამდენიმე მეტრის სიმძლავრისაა.

„ნაქალაქარის" მთის ცენტრალური მაღალი ნაწილი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. თხემის სამხრეთი ნაწილი მოსწორებულია. მოსწორებულ ნაწილში თხემის კიდეს მიწაყრილის ზღუდე შემოსდევს. ჩრდილო ნაწილი კი კოშკისებურადაა შემაღლებული „ნაგომრების თავის გორის"და სოფ. გამარჯვების „ნატახტარის" მსგავსად.

თხემის ყრილის ირგვლივ აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხელოვნურად წელში გამოყვანილი რიყის ბრტყელი ქვები ე. წ. „თოხები".

„ნაქალაქარის" ყველაზე მაღალი მთის დასავლეთით, მშრალ ხევს გაღმა აშკარად გამოიკვეთება თხემმოსწორებული ერთტერასიანი ნამოსახლარი ბორცვი, სადაც მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი გამოვლინდა.

148—163. 1961 წ. დაზვერვების დროს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში, ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირზე, წნორი-ლაგოდეხის გზის აღმოსავლეთით ჩვენ მიერ შემდეგი ნამოსახლარი გორებია გამოვლენილი (ტაბ. VIII$_2$) (109): — ტ ყ ი ს ბ ო ლ ო ს თ ა ფ ა" [148], „ხ ა შ ა ლ თ ა ფ ა" [149], „ნ ე რ გ ი თ თ ა ფ ა" [150], „რ უ ს ი ს თ ა ფ ა" [151], „თ ა რ ა ღ ა თ ა ფ ა" [152], „ა ს ა ნ უ რ თ ა ფ ა" [153], „პ ა ტ ა რ ა თ ა ფ ა" [154], „ბ უ რ ვ ა კ ე ბ ი ს თ ა ფ ა" [155], „გ ო მ ე ბ ი" [156], „ბ უ მ ბ უ ლ ა თ ა ფ ა" [157],

„უსახელო თაფა“ [158], „ანაგის თაფა“ [159], „ზევითა თაფა“ [160], „ქვევითა თაფა“ [161], „ვასილ თაფა“ [162], „კომბალა თაფა“ [163]. ყველა ნამოსახლარი ალაზნის ვაკეზეა ამოზიდული და დაახლოებით ერთი სიმაღლისაა (4—5 მ) და ერთნაირი ფართობი უკავია (200×200 მ). თითქმის ყველა ამ ბორცვზე ამჟამად სიღნაღის რაიონის სოფლების ბინებია გაშენებული და ამდენად ნამოსახლარები მეტ-ნაკლებად უკვე დაზიანებულია.

1961 წელს „ტყის ბოლოს თაფაზე“, რომელიც ამ ნამოსახლართაგან დასახელებულ პუნქტთან ყველაზე ახლოს მდებარეობს (სოფ. ყარაღაჯის ჩრდილოეთით 4 კმ მანძილზე), დიდი რაოდენობით შევკრიბეთ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ბორცვის დასავლეთ ნაწილში სასილოსე ორმოს კედლებსა და ამონაყარ კერამიკაში სხვა პერიოდის მასალა არ შეგვინიშნავს. სამაგიეროდ, 1970 წელს ამავე ნამოსახლარზე მცირე გათხრითი სამუშაოების შედეგად სულ სხვა სურათი გაირკვა. ჩვენ ნამოსახლარის „ტყის ბოლოს თაფას“ სამხრეთ ფერდზე, მისი თხემის კიდიდან მის ფუძემდე (სასილოსე ორმოს გაყოლებით (ტაბ. IX$_1$) გავჭერით 30 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის თხრილი. თხრილი თხემის მახლობლად არ დაგვიღრმავებია, რადგან უკვე 0, 30 მ სიღრმეზე მივადექით გვიანბრინჯაოს ხანის თიხატკეპნილ იატაკს. ძეგლი რომ არ დაზიანებულიყო, არსად არ ჩაგვიჭრია გამოვლენილი იატაკის ფენა. ამის გამო თხრილი ნამოსახლარის ფერდზე კიბე-კიბე გაიჭრა. იატაკის რამდენიმე შრე ვიწრო თხრილით გავჭერით ნამოსახლარის ფუძესთან, ფენათა რაოდენობის დასადგენად, თუმცა ჭრილი ბოლომდე არ მიგვიყვანია. გვიანბრინჯაოს ხანის ფენის ქვეშ თხრილმა გამოავლინა შუაბრინჯაოს ხანის საკმაოდ მძლავრი შრე, უფრო ღრმად კი ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთებიც დადასტურდა.

ნამოსახლარზე სულ ცხრა საცხოვრებელი ჰორიზონტია გამოვლენილი. ქვედა ჰორიზონტები ალაზნის ველის დღევანდელ დონესთან შედარებით გაცილებით უფრო ღრმადაა. ამგვარად, როგორც ჩანს, ეს სამოსახლო და მასთან ერთად სხვა სამოსახლოებიც ალაზნის ველის ამ მიკრორაიონში ნაწილობრივ დამარხული სამოსახლო ნაცარგორებია, რომელთა ნაწილი ივრის პლატოდან წყლების მიერ ჩამოტანილი ნაშალი ქანებითაა დაფარული.

„ტყის ბოლოს თაფას“ სამხრეთ ფერდზე გაჭრილი თხრილის ზედა ფენები ძლიერაა დაზიანებული, როგორც ჩანს, გვიანფეოდალური ხანის ქრისტიანული სამარხებით და არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ისინი ყარაღაჯის ნაქალაქარის დასახლებას ეკუთვნოდეს (დაახლოებით XVII საუკუნე).

თხრილის სამხრეთ ნაწილში ნამოსახლარის ფუძის მახლობლად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამარხი, რომელშიც ადამიანის ჩონჩხის ზედა ნაწილები და ერთი ჭურჭლის ნატეხებილა იყო შემორჩენილი; იგი ქრისტიანულ სამარხს დაუზიანებია. სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კეცი ჩალისფრადაა გამომწვარი და ზედაპირი მოხატული აქვს მოთეთრო ანგობის კონცენტრული ზოლებით.

164 ადგილი „ფოხორაულები“ მდებარეობს თელავის ჩრდილოეთით ალაზნის დაცემულ ვაკეზე, სოფელ გულგულადან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე. ზედაპირზე აქ ჩანს ადრე და გვიანფეოდალური ხანის ნამოსახლარი და რამდენიმე ეკლესია. აქ არავითარი შემაღლება არ ჩანს, რომელიც მიუთითებდა ადრეული სამოსახლოს არსებობაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ადგილას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთფეროვანი სამოსახლო აღმოჩნდა 2,5—3 მეტრის სიღრმეზე. სამოსახლომ თავი იჩინა მაწანწრისა და თელავის ხევებისათვის ზემო ალაზნის ახალი კოლექტორული არხის გაჭრის დროს. ნამოსახლარის ზედა ფენები დალამული და დაღორღილია ცივ-გომბორის ჩრდილო ფერდებიდან მოვარდნილი წყლების მიერ. როგორც ჩანს, ნამოსახლარი ძველადვე ძლიერ დაუნგრევიათ და გადაუწვიათ, შემდეგი კი გომბორის ქედის წყლებს იგი თითქმის მთლიანად დაუშლია. ამ ნამოსახლარიდან წაღებული ნაცარ-ნახშირის ფენები, მასში შერეული ძვლოვანი მასალა და თიხის ჭურჭელი მდინარე ალაზნისაკენ (კოლექტორის გაყოლებით), უშუალოდ ნასახლარიდან მოკიდებული 1,5—2 კმ მანძილზე ვრცელდება და ალაზნის მახლობლად „სათვალისწყალთან“ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის სამარხებს ფარავს.

დაზვერვითი შურფების მიხედვით ირკვევა, რომ ალაზნის ვაკეზე განლაგებული „ფოხორაუ-

ლების“ ნამოსახლარს დაახლოებით 40000 მ² უნდა სჭეროდა. მთლიანად გაითხარა ფართობი 25X15 მ. აქ გამოვლინდა ნაგებობათა კედლების რიყის ქვის საძირკვლები, რომელთა ზედა ნაწილი წნული და თიხით შელესილი უნდა ყოფილიყო, რაც დამწვარ ბათქაშზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით ირკვევა. გადახურვა შესაძლოა ბანური იყო. ამის საბუთად გამოდგება ერთ-ერთი სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი რამდენიმე მსხვილი ძელის დანახშირებული ნაშთები. მიკვლეული ნაშთების მიხედვით იატაკი თიხატკეპნილი უნდა ყოფილიყო.

ნამოსახლარის შესწავლილ ფართობზე აღმოჩნდა მისი სინქრონული ორმოსამარხი, რომელიც მხოლოდ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლებსა და თიხის ჭურჭელს შეიცავდა. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ძველი ტრადიციის გადმონაშთთან, როდესაც წესად იყო სამარხების სამოსახლოსთან გამართვა. მით უმეტეს, რომ „ფოხორაულებში“ ე. წ. კენოტაფი — სამახსოვრო სამარხი გვაქვს აღმოჩენილი.

„ფოხორაულების“ ნამოსახლარზე შეკრებილი თიხის ჭურჭელი დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, გამომწვარია ლეგად ან ლეგა-მოყავისფროდ, ზედაპირი დასერილი აქვს კონცენტრული ხაზებით, მხარზე კი უმეტესად ირიბი, გრძელი ნაჭდევები შემოუყვება. ჭურჭელი ყვარელწყლისა და თეთრიწყლების სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის იდენტურია და ამდენად იმავე პერიოდის უნდა იყოს — ე. ი. ძვ. წ. XI—X სს.

„ფოხორაულების“ ნამოსახლარი ალაზნის ველის ტერიტორიაზე გათხრილი პირველი საყოფაცხოვრებო ძეგლია ამ ეპოქისა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ძველადვე ჩანს განადგურებული, მისი ფაქტიური მონაცემები მაინც იძლევა საშუალებას ახლებურად განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სამეურნეო ცხოვრება და ბევრი სხვა საყურადღებო საკითხი.

165. ლაგოდეხის რაიონში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ც ი ხ ა ა ნ   ყ უ რ ე შ ი“ აღმოჩნდა ნამოსახლარი ბორცვი, რომლის ზედა ფენები გვიანბრინჯაო-რკინის ხანით თარიღდება (55, გვ. 252).

166. ლაგოდეხის რაიონში 1960 წელს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ სხვა ნასახლართა შორის მიაკვლია ნამოსახლარ ბორცვს—„მრგვალი ტყე“ (110, გვ. 28—30), რომელიც ალაზნის მარცხენა ნაპირზეა ამოზიდული და გარშემო თავდაცვითი თხრილითაა შემოვლებული. ნამოსახლარზე აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

167—174. 1971 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მდინარე იორსა და მტკვარს შორის სოფ. იორ-მუღანლოსა და კრასნოგორსკის მიდამოებში რვა გორა-ნამოსახლარი იქნა მიკვლეული (ყველა უსახელო). ისინი წარმოადგენენ მთისწინა ზოლში ბუნებრივ ბორცვებზე გამართულ თავბრტყელ ნამოსახლარებს. მიმდებარე რელიეფიდან გამოყოფილი არიან ტერასებით და თხრილებით. მათ განლაგებაში შეჯგუფება შეიმჩნევა. ნამოსახლარებზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მათ გვიანბრინჯაო-რკინის ხანით ათარიღებს.

175. საინტერესო ნამოსახლარი აღმოჩნდა უდაბნოში (გარდაბნის რაიონი). აქ ჯანგირის ხევის პირას წამოზრდილ მოგრძო კონცხზე, კახეთის ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, მაგრამ შიდა ქართლის ნამოსახლარების მსგავსად, დადასტურდა ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის ორი კულტურული ფენა.

ზემოაღწერილ ნამოსახლარებს გარდა გარე კახეთში გვიანბრინჯაოს ხანის არა ერთი ნამოსახლარი გვაქვს აღნუსხული, რომელთა უმეტესი ნაწილი გომბორის ქედის მთისწინა ზოლშია განლაგებული. გამართულია ბუნებრივ ბორცვებზე და გარშემო თავდაცვითი თხრილი ტერასა შემოუყვება. მაგრამ რამდენადაც ეს ნამოსახლარები დღეს უკვე დაუსახლებელ ადგილებში გვხვდება, მათ არც სახელები აქვთ და მათი ადგილმდებარეობის არც ზუსტი მინიშნება ხერხდება. უმეტესობის ზედაპირი არ ირეცხება, ზედაპირულად კი მხოლოდ უმნიშვნელო თიხის ჭურჭლის ნაშთები თუ გვხვდება. ასეთი ნამოსახლარებია: მდინარე ლაკბის მარცხენა ნაპირზე, სოფ. მელაანის და არაშენდის სამხრეთით ივრისპირა მთაგორებში; ნაომრის ველის სამხრეთით მდებარე მთაგორიან ტერიტორიაზე; გომბორის ქედის, სამხრეთ ფერდებზე სოფ. ქვემო ბოდბესა და სოფ. გამარჯვებას (უზუნდარა) შორის და სხვ.

მრავალი სამოსახლო ბორცვი გამოვლინდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ (62;111), რომელიც 1956 წლიდან მუშაობდა აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

დ. ბერძენიშვილის შენიშვნით, შულავერ-ბოლნისის ხევებისა და მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ანტიკური პერიოდის ძეგლების უმრავლესობა შედარებით გაშლილ ადგილებშია, ან იქ, სადაც ხეობა ფართოვდება და მეტი სახნავ-სათესია.

„ნასაცხოვრისებზე“ (გორა) აკრეფილი ზედაპირული მასალა (კერამიკა), დაახლოებით ერთი ხანისაა და იდენტურია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებიდან კარგად ცნობილი კერამიკისა, რომელიც ზოგადად გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას მიეკუთვნება.

საინტერესო ჩანს აქაური გამაგრებული გორები. ისინი ყველა ძალზე წააგავს ერთმანეთს არჩეულია მაღალი მთები, ან ძნელად მისასვლელი ფერდები, რომელთაც ბუნებრივი, კლდიანი თხემი აქვთ; შემდეგ ეს კლდეები უფრო ადვილად მისადგომ ადგილებში ამოვსებულია ქვის მშრალი წყობის კედლებით. ასეთივე კედლები შემოვლებულია არაკლდოვან ნაწილზედაც და შეძლებისდაგვარად, შეკრულია გარკვეული ტერიტორია დაახლ.: 100×75 მ; კედლის სისქე 2-მდე აღწევს. მისი წყობა თითქმის ყველგან ერთნაირია: მოზრდილი მოგრძო ქვები დალაგებულია კედლის სიბრტყის პერპენდიკულარულად ორივე მხრიდან, ხოლო შუაში ჩაყრილია უფრო მცირე ზომის ქვები.

ექვსიდან სამ შემთხვევაში, გალავნის შიგნით, ან მის მახლობლად გარეთ, ასეთივე წყობის სათავსოებია შერჩენილი. ისინი გალავნის კედელთან შეერთებისას სწორ კუთხეებს ქმნიან, ხოლო ორი დანარჩენი კუთხე მომრგვალებული აქვთ, დაახლოებით ნალისებურნი არიან გეგმაში. ზუსტად ასეთი ლოდოვანები აღწერილი აქვთ გ. ლომთათიძესა და ი. გრძელიშვილს თეთრიწყაროს რაიონში, აგრეთვე ჩვენი დაზვერვათა ანგარიშების ავტორებს დებედასა და შულავრის ხეობებში, სადაც ისინი უმთავრესად გადასასვლელთა სიახლოვეს იპოვებოდა.

ასეთი გორები დამახასიათებელი ჩანს ქვემო ქართლში, მათი სიმრავლის მიზეზი, აქაური ლავური ქანების რღვევა-დაშლით შექმნილი, ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებია, რომლითაც ადრე უსარგებლია ადამიანს.

ეს პუნქტები ქრონოლოგიურად დაახლოებით ერთი ხანის მოვლენებია — გამაგრებული მწვერვალები, სადაც შიშიანობის დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. ჩვენ მიერ აღნუსხულ სიმაგრეთაგან უმრავლესობას ნასახლარები ახლავთ, რომელთაც არსად არ უჩანთ ფეოდალური ხანის ნასოფლარისათვის დამახასიათებელი ეკლესია — სასაფლაო. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ისინი ამავე გამაგრებულ პუნქტებს დავუკავშიროთ, ე. ი. ვივარაუდოთ იმდროინდელი მოსახლეობის აქვე ცხოვრება. შემდგომ (ფეოდალურ) ხანაშიც, ადამიანს არ უნდა ეთქვა უარი ამ სიმაგრეთა სხვადასხვა მიზნით დროებით გამოყენებაზე, რასაც მოწმობს აქაურ აშკარად ძველ კერამიკასთან ფეოდალური ხანის ფრაგმენტების არსებობაც. იგივე მოვლენა ჩანს ქვემო ქართლის სხვა ასეთ სიმაგრეებზედაც“ (111, გვ. 5—6).

დ. მუსხელიშვილს, გ. ცქიტიშვილს, გ. გრიგოლიას, თ. ტატიშვილსა და დ. ბერძენიშვილს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის ამ სახის 54 ნამოსახლარი აქვთ აღნუსხული (62, რუკა №1; 112, გვ. 84—85), ისინი აქ ყოველ 2—3 კილომეტრზეა განლაგებული (62, გვ. 80).

ქვემო ქართლის ზოგ ნამოსახლარ ბორცვზე აღმოჩენილი კულტურული ფენა ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება (62, გვ. 67), ზოგან კი ეს ფენა გვიანბრინჯაოს ხანის ფენებთან ერთად აღმოჩნდა.

როგორც ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის ექსპედიციის წევრები ფიქრობენ, აქ გორათა ტოპოგრაფიაში შეიმჩნევა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი. ყველგან, სადაც წყალგამყოფ ქედებზე — ხეობიდან ხეობაზე გარდამავალ ზეკარებზე — გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გამაგრებული (ქვის ნაგებობები) გორები გამოვლინდა, მათ ძირში მდინარეთა მახლობლად ამავე ასაკის ნამოსახლარებია დამოწმებული. მათზე მდებარე გორები, რადგან ისინი წყლიდან მოწყვეტილია, სახნავ-სათესიდან 400—500 მ-ითაა დაშორებული, გეოგრაფიული გარემოს მიხედვით ისინი ბატონობენ ახლომდებარე ტერიტორიაზე და კეტავენ გადასასვლელებს ერთი ხეობიდან

მეორეში, შესაძლოა წმინდა თავდაცვითი მნიშვნელობისა ყოფილიყვნენ (62, გვ. 78).

ავტორთა აზრით, გორები მაღლობებზე მაშინაა წარმოშობილი, როდესაც საქართველოში იქმნებოდა დიდი და მცირე ტომთა კავშირები (62, გვ. 79).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარები. მათი უმეტესი ნაწილი სულ უკანასკნელ დროსაა გამოვლენილი. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის 1953 წლის დაზვერვით ექსპედიციას, რომელმაც ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით რუსთავის მიდამოებში და მის მიმდებარე მხარეში მრავლად აღმოაჩინა ხელოვნურად პროფილშეცვლილი (მოსწორებული თხემით, რელიეფიდან გამოყოფილი ტერასებით, თავდაცვითი თხრილით, მიწაყრილითა და სხვ.), კულტურული ფენების შემცველი ბუნებრივი (ხელოვნური) გორები, ისინი ნამოსახლარებად მიიჩნია და მათთან დაკავშირებით შეიმუშავა ზოგადი თვალსაზრისი (63, გვ. 152).

ამასთან ერთად, წინაანტიკური ხანის ნამოსახლარების აღსანიშნავად ნ. ბერძენიშვილმა სამეცნიერო სიტყვა-ხმარებაში დაამკვიდრა ტერმინი „გორა" ამჟამად ეს ტერმინი გამოიყენება ყველა ნამოსახლარის აღსანიშნავად, მიუხედავად, იმისა, ბორცვზე იქნება ის გამართული, თუ არა. მას მიაჩნდა, რომ ტერმინი „გორა" უკავშირდება სოციალურ ტერმინ „გვარს", უფრო ზუსტად, პირველი გამომდინარეობს მეორისგან (63, გვ. 171 — 172). თუმცა უნდა ითქვას, რომ „გორებად" დასახლებას ნ. ბერძენიშვილი უშუალოდ მხოლოდ პირველყოფილ-თემურ ფორმაციას უკავშირებს და მის დამახასიათებელ თვისებად თვლის. ხოლო მას შემდეგ, რაც „გვარი" როგორც სოციალური ორგანიზაცია დაირღვა და გადაშენდა, თუნდაც ბორცვებზე გამართული ძველი ნამოსახლარების „გორებად" მიჩნევას იგი უმართებულოდ თვლის (113, გვ. 106).

ნ. ბერძენიშვილმა ჩამოაყალიბა გორების გეომორფოლოგიური დამახასიათებელი ნიშნებიც, რომელთა მიხედვით გამოიყო მათი სამი ძირითადი ტიპი: 1. განმხოლოებული გორა, 2. განკიდული გორა და 3. ამოზიდული გორა (64, გვ. 187—188).

სწორედ ამგვარი სამუშაოების შედეგად გამახვილდა ყურადღება ბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლართა აღმოჩენასა და შესწავლაზე. აღმოსავლეთ საქართველოში ამას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა.

თუ გავითვალისწინებთ აღმოჩენილ ნამოსახლართა რაოდენობასა და აგრეთვე სამაროვნების აღმოჩენის იმ ადგილებს, რომელთა მახლობლად ნამოსახლარი ჯერჯერობით არ გამოვლენილა, მაშინ ცხადი გახდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანაში, უკვე დღევანდელი მონაცემებითაც კი საკმაოდ მჭიდრო მოსახლეობა უნდა ვივარაუდოთ.

როგორც დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში რომელიმე განსაზღვრული რაიონისათვის ნამოსახლართა რაიმე განსაკუთრებული ტიპი არ არის დამახასიათებელი, ნამოსახლარი ყველგან იგებოდა გარემო პირობების გათვალისწინებითა და მის შესაფერისად.

მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში და მათ შორის ქვემო ქართლის დაბლობში (სომხეთის ჩრდილო რაიონების მსგავსად 114, გვ. 45—48; 115) ციკლოპური ნაგებობები, ყოველ შემთხვევაში ქვით ნაგები კონსტრუქციები ჭარბობს, რაც პირველ რიგში სამშენებლო ნედლეულისა და საერთოდ გეომორფოლოგიური პირობებით უნდა აიხსნას (116, გვ. 40—42; 62, გვ. 70 — 80; 112, გვ. 83—86; 111, გვ. 5—6; 46; 117, გვ. 8—9) და არა იმით, რომ, ვთქვათ ქვემო ქართლში შიდა ქართლისაგან განსხვავებული მატერიალური კულტურის მატარებელი ტომები სახლობდნენ.

შიდა ქართლში და კახეთში კი, სადაც ამ ეპოქის მოსახლეობა ძირითადად ბორცვებზე, ტერასებსა თუ გაშლილ ველებზეა დაბინავებული, თავდაცვითი ნაგებობების შესაქმნელად უმთავრესად მიწის სამუშაოებია ჩატარებული, თუმცა ზოგიერთ მათგანზე გვხვდება რიყის ქვის გალავნის ნაშთებიც.

დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი ფიქრობენ, რომ მოსახლეობა ბორცვებზე, მართალია, პირველ რიგში თავდაცვითი მიზნებით სახლდება, მაგრამ ეს მოვლენა მაინც მეურნეობრივი ფაქტორებით უნდა აიხსნას. გორებზე დასახლება, რომელიც ბინადარ მოსახლეობას გულისხმობს, თავისთავად გამოწვეული უნდა ყოფილიყო მიწათ-

მოქმედების განვითარებით. მათი აზრით „...თუ ჩვენ ამ ვარაუდს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, ცხადია, გვაქვს შესაძლებლობა გორაზე დასახლება ნეოლითისათვისაც ვივარაუდოთ“ (64, გვ. 168—189). დაახლოებით ამავე აზრისაა ი. კიკვიძეც, რომელიც შიდა ქართლის გორებზე დასახლებას მიწათმოქმედებას უკავშირებს. მისი ვარაუდით ადრებრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ბორცვებზე დაბინავებული მოსახლეობა ურწყავ მიწათმოქმედებას მისდევდა. სოფლის მეურნეობის ამგვარი წარმოებისათვის კი მისი აზრით, საჭირო იყო ახალ-ახალი ფართობები, რადგან ნიადაგი სწრაფად იფიტებოდა. ეს თავის მხრივ აუცილებელს ხდიდა ტყეების გაჩეხვას დიდ ფართობებზე, რაც ჰავის გამშრალებას იწვევდა. ეს კი ამ ადგილებიდან მოსახლეობის აყრას განაპირობებდა. მოსახლეობა ძველ საცხოვრებელ ადგილებს მთისწინა ზოლში უბრუნდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ირიგაციას (წყარო, ნაკადულებით) დაეუფლა და ეს ადგილები მიწათმოქმედებისათვის კვლავ ვარგისი გახდა. ამგვარ პერიოდად ი. კიკვიძე გვიანბრინჯაოს ხანას გულისხმობს (118, გვ. 31—34 და სხვ.).

ზემოთ დასახელებული მოსაზრებები, რა თქმა უნდა, ლოგიკურად სწორი უნდა იყოს — გორაზე ადამიანი სახლდება თავდაცვითი და ქონების დაცვის მიზნით. ამგვარი სტაციონარული ბინის გაჩენა კი თავისთავად შეპირობებული უნდა იყოს მეურნეობრივ ფაქტორთან, მიწათმოქმედების განვითარებასთან და იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული მიკრორაიონი მორწყვას მოითხოვს, რა თქმა უნდა, მორწყვით მიწათმოქმედების განვითარებასთან.

შიდა ქართლის ძეგლებისათვის ამგვარი ახსნა შესაძლოა სწორი იყოს პრაქტიკულადაც, რადგან იქ გორებზე დასახლება მართლაც უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან გვაქვს, შუაბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები ამ ნამოსახლარებზე არ არის, მაგრამ დასახლება აქ ისევ ჩნდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ვარაუდი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოს ყველა კუთხის ძეგლებისათვის, ვფიქრობთ, არ მართლდება.

მხედველობაში გვაქვს მაგალითად, იორ-ალაზნის აუზის ძეგლები — გარე კახეთში მოსახლეობა ცივ-გომბორის სამხრეთი ფერდის მთის წინა ზოლში თავდაცვითი ნაგებობებით გამაგრებულ ბორცვებზე სახლდება მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან, იქამდე კი იგი იმავე ადგილებში — გომბორის ქედის სამხრეთ ფერდებზე ცხოვრობს გაუმაგრებელ სამოსახლოებზე, მაგრამ მისი მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს სწორედ მიწათმოქმედება წარმოადგენს.

შიდა კახეთში — ალაზნის ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში—როგორც ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში (ილტოს, ალავერდის და მთელი რიგი ნამოსახლარი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე), ისე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში[18] მოსახლეობა მთის ფერდებსა და ალაზნის ვაკეზე ცხოვრობს, უფრო მეტიც, ისინი, დასასახლებლად არასოდეს არ ადიან გამაგრებულ ბორცვებზე, თუმცა მეურნეობის მთავარ დარგს მათთვის ყოველთვის მიწათმოქმედება წარმოადგენდა, ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოგვეპოვება.

ასევე ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობა მუდამ ვაკეზე ცხოვრობდა ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. ამ ხნის განმავლობაში ისინი ყოველთვის მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ ამის გამო არ გამხდარა აუცილებელი მათი დასახლებები გამაგრებულ ბორცვებზე ყოფილიყო გამართული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, არ შეიძლება ერთი მიკრორაიონის ძეგლთა შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადება აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის. ისტორიული ძეგლები ყველა ცალკეულ მხარეში შესწავლილი უნდა იქნას მისი გარემო პირობების გათვალისწინებითა და ანგარიშგაწევით.

მაგალითისათვის მივმართოთ გარე კახეთს. აქ

---

[18] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლებების არსებობა ველზე ალაზნის ზემო დინებაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, მაგალითად, ადგილ „ფოხორაულებში“, სოფ. გულგულის მახლობლად, სამი მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი ნამოსახლარის მიხედვით. აქ ნასახლართა არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს გულგულის მახლობლად დადასტურებული იარუსებიანი სამაროვნებიც (გულგულა I და II). ბუნებრივია, ამ სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების ნამოსახლარები სადღაც აქვე უნდა იყოს, მაგრამ მათი მიგნება იმის გამო, რომ ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირი გვიანბრინჯაოს ხანის შემდეგ სამი მეტრითაა ამაღლებული ხევების მიერ გამოტანილი მიწითა და ქვა-ღორღით და როგორც ჩანს, აქ ამ ხანის ნამოსახლარებიც დამარხულია.

ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ნამოსახლარები მთის ფერდებზეა განლაგებული თავდაცვითი ნაგებობების გარეშე[19]. სამაგიეროდ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარები, მართალია ადრეული ნამოსახლარების გავრცელების ზონაში გვხვდება, მაგრამ ისინი საშუალო ზომის ან უფრო ხშირად მცირე ბუნებრივ ბორცვებზეა განლაგებული და რაოდენობრივად ადრეულ ძეგლებზე გაცილებით მეტია. ზოგჯერ ნამოსახლარი იმდენად მცირეა, რომ მის თხემზე მხოლოდ ერთი ან ორი სათავსო თუ გაიმართებოდა.

თავისთავად ისმის კითხვა, რატომაა ასეთი დიდი სხვაობა ადრეული ფენების შემცველ ნამოსახლარებსა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარების გეომორფოლოგიას შორის. გასარკვევია, თუ რატომ შეიცვალა ნამოსახლარების ტოპოგრაფია, რატომ იქნა ატანილი იგი მთის ფერდებიდან და ველებიდან მცირე ბორცვ-გორაკებზე და რატომ გახდა აუცილებელი მათ გარშემო თავდაცვითი ნაგებობების გამართვა.

როგორც შევნიშნეთ, შიდა ქართლის მაგალითზე ამ მოვლენას მხოლოდ იმით ვერ ავხსნით, რომ მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა და მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი. აქ ადრეც მიწათმოქმედი ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ნამოსახლარები გამაგრებულ ბორცვ-გორაკებზე არ იყო გამართული.

რა თქმა უნდა, შესაძლოა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის გამაგრებულ ბორცვებზე დასახლების ერთ-ერთი მიზეზი რაღაც საშიშროების გაჩენა უნდა ყოფილიყო. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ სწორედ ამ ხანიდან სამარხებში დიდი რაოდენობით ჩნდება იარაღი, მაშინ როდესაც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზე ბრინჯაოს იარაღი სამარხებში თითქმის არ გვხვდება.

ხაზგასასმელია ისიც, რომ კახეთში (მელიღელე I) და ქართლში (ყათნალიხევი) შესწავლილ სამლოცველოებზე, რომლებიც გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურს ეკუთვნიან, იარაღი თითქმის სრულებით არ არის შეწირული, ან თუ არის, უფრო სამონადირეო და არა საბრძოლო ხასიათისა. გვიანდელ სამლოცველოებზე კი (მელაანი, მელიღელე II) დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამლოცველოებზე შეწირვის ერთ-ერთი მთავარი საგანი სწორედ საბრძოლო იარაღი ხდება. ამგვარად, ცხადია, რომ II ათასწლეულის დასასრულს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში რაღაც დიდი გარდატეხა მოხდა. მშვიდობიანი მიწათმოქმედი იმავე დროს მებრძოლიც ხდება.

არ უნდა იყოს გამორიცხული ისიც, რომ მცირე აზიაში ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულს მომხდარ დიდ ცვლილებებს — „ეგეოსურ შემოსევას", ხეთების სახელმწიფოს განადგურებას (24, გვ. 319) თავისი რეზონანსი არ ჰქონოდა ამიერკავკასიაში. ამის მანიშნებელი უნდა იყოს სწორედ ამ ეპოქაში აქ, ე. წ. წინააზიური სატევრების და „სუმბიკენური" საკინძეების გაჩენა. შესაძლოა, რომ მცირე აზიაში შევიწროებულმა მოსახლეობამ მეზობელ ქვეყნებს მიაშურა (ცხადია ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ მაინცდამაინც წინააზიური ტომების ამიერკავკასიაში გამოჩენას).

მაგრამ მხოლოდ ამ მოტივით არ შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ ავიდა ამ ხანაში მოსახლეობა თავდაცვითი ნაგებობით გამაგრებულ ბორცვებზე საცხოვრებლად. ეს მოვლენა რომ მხოლოდ საშიშროებით ყოფილიყო გამოწვეული, დიდი ნამოსახლარების ნაცვლად მცირე ნამოსახლარები კი არ გაჩნდებოდა ახალ ადგილებში გამაგრებულ ბორცვებზე, არამედ თვით იმ დიდ ნამოსახლარებს გაუჩნდებოდა ირგვლივ თავდაცვითი ნაგებობები. მოსახლეობა კი არ გაიფანტებოდა, არამედ პირიქით შეჯგუფდებოდა.

სწორედ ამგვარი ვითარების გამო, ამ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ აქ მცხოვრებ ტომთა სოციალ-ეკონომიური განვითარების დონეს.

როგორც ცნობილია, გვიანბრინჯაოს ხანა ეს არის გვაროვნული წყობილების ინტენსიური რღვევის პერიოდი, როდესაც „...ღრმავდება ქონებრივი თუ სხვა განსხვავება საზოგადოების (საგვარეულო თემის) წევრებს შორის და, კიდევ უფრო მეტად, ცალკეულ გვარებსა და ტომებს შორის... საზოგადოება აშკარად ახალი ნახტომის — კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი გა-

[19] სწორედ ამ მიზეზით გარე კახეთში აღნიშნული პერიოდის ნამოსახლარების კვალის მიგნება ძალიან ძნელია და მათი ლოკალიზაციის დადგენა შეგვიძლია მხოლოდ აღმოჩენილი სამაროვნების მიხედვით.

ერთიანებების წარმოქმნის ზღურბლზე დგას“ (24, გვ. 28).

პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის ამ ეტაპზე დიდი პატრიარქალური ოჯახებიდან გამოიყოფა ინდივიდუალური, მცირე ოჯახები, რომლებიც ატარებენ ვიწრო, საზოგადოებრივ-სამეურნეო კოლექტივების ხასიათს.

ვფიქრობთ, სწორედ ამ პროცესზე მიგვითითებს სამოსახლოთა ცვალებადობა გარე კახეთში. ციდრე მოსახლეობა გვარებად თუ დიდ ოჯახებად ცხოვრობდა, ნამოსახლარებიც დიდი ზომისა იყო და მძლავრ დიდ კოლექტივებს ეკუთვნოდა. ამიტომ იყო შესაძლებელი, რომ ნამოსახლარები შედარებით დაუცველ ადგილებში — მთის ფერდებსა და ველებზე, ყოფილიყო განფენილი. მას შემდეგ კი, რაც მცირე ოჯახები გამოიყო, აშკარად შეიმჩნევა სამოსახლოთა რაოდენობის მკვეთრი მომატება და შეფარდებითი მათი ზომების შემცირება. ახლა ყველა ცალკეულ ოჯახს თავის უშიშროებისათვის დამოუკიდებლად უნდა ეზრუნა—მას აღარ ჰქონდა ისეთი იმედი ერთად მოსახლე გვარის წევრებისა, და ამდენად იგი უფრო უშიშარ ადგილებს ირჩევდა დასასახლებლად და თავის სამოსახლოს თავდაცვითი ნაგებობებით ამაგრებდა[20].

გვარისა თუ დიდი ოჯახების უფრო მცირე ერთეულებად დაშლის პროცესზე, როგორც ახალ მოვლენაზე უნდა ისიც მიგვითითებდეს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამოსახლო ბორცვთა განლაგებაში განსაკუთრებული სისტემა შეიმჩნევა. ამის საილუსტრაციოდ გარე კახეთში აღმოჩენილი ნამოსახლარები გამოდგებოდა, სადაც ისინი ჯგუფებად არიან განლაგებული და ნამოსახლარები ერთიმეორისაგან სულ რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული (მაგ. სოფ. ჩალაუბნის, მელაანის მახლობლად და ივრის მარჯვენა ნაპირზე სოფ. კრასნოგორსკისა და იორმუღანლოს მიდამოებში აღმოჩენილი ნამოსახლარები). ამავე დროს მათთვის ადგილი ისეთ მაღლობებზეა შერჩეული, რომ მეზობელი სამოსახლო ყოველთვის მხედველობის არეშია. ეს, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი და თავდაცვითი მიზნებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ბუნებრივია ურთიერთდაზღვევის ეს ფაქტი ამ ბორცვის მოსახლეთა ნათესაურ ახლობლობაზედაც მეტყველებს.

ჩვენთვის აშკარაა, რომ არც გარე კახეთის ნამოსახლართა შესწავლის დროს მიღებული დასკვნები არ შეიძლება აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის განვაზოგადოთ. როგორც დავინახეთ, შიდა ქართლში ბორცვების ათვისება სამოსახლოებად სულ სხვა მიზეზებითაა გაპირობებული. ალაზნის ველის მოსახლეობა კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უძველეს ნამოსახლარებს სრულიად სხვა დროს და სხვა მიზეზებით ტოვებს.

სამოსახლოთა განფენილობის მიხედვით შესაძლებლად მიგვაჩნია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებაც. მაგალითად, ალაზნის ველზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მოსახლეობა თითქმის მხოლოდ ალაზნის ვაკობზე სახლობს ან მთისწინა ზოლშია განლაგებული, რაც მათ მკვიდრთა მეურნეობის მიწათმოქმედებით ხასიათზე უნდა მიგვითითებდეს. თითქოს ამაზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ ალაზნის ველის სამაროვნებზე გვიანბრინჯაოს ადრეული ხანიდან დაწყებული და ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის ჩათვლით სამარხებში, როგორც წესი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელია ჩაყოლებული.

ბუნებრივია, რომ ალაზნის ველის აბორიგენი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების სამიწათმოქმედო ხასიათზე მიუთითებს აქ ველზე ამოზიდული ნაცარგორების სიმრავლეც, რომლებიც ქრონოლოგიურად ერთიმეორის მომდევნო კულტურულ შრეებს შეიცავენ ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დამთავრებული. ამ ნამოსახლარების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში გარე კახეთში მოსახლეობა განლაგებულია ძირითადად მთისწინა ზოლში, ე. ი. იმ ადგილებში, რომლებიც სამოსახლოდ დღესაც ყველაზე უფრო გამოსადეგია როგორც ჰავის და წყლის მარაგის, ისე მიწათმოქმედ-მესაქონლე მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების თვალსაზრისით.

ქიზიყის დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ნაწილთან შედარებით ნამოსახლარები სხვადასხვაგვარადაა ლოკალიზებული. დასავლეთ ქიზიყში ნამოსახლარები ხევების აყოლებით გვხვდება,

---

[20] ბუნებრივია, რომ შემდგომ ოჯახის გამრავლების შესაბამისად ამ სამოსახლოთა მცირე ფართობი აღარ იყო შესაფერისი, სამოსახლოს ფარგლები ფართოვდება და გადის სამოსახლო ბორცვის თავდაცვითი ნაგებობების გარეთაც.

აღმოსავლეთ ქიზიყში კი, სადაც მთებს შორის მოქცეული სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისი რამდენიმე ტაფობია (დიდი შირაქი, პატარა შირაქი, ზილიჩა, ტარიბანა), მოსახლეობა განლაგებულია ველის გარშემო მთა-გორებზე. როგორც ჩანს, ყოველი ცალკეული ეს ველი მის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას ეკუთვნოდა და მათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა (119, გვ. 18—19).

ყურადღებას იმსახურებს შიდა ქართლში და კახეთში ცალკეულ გორა-ნამოსახლართა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის საკითხიც. ქვემო ქართლში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ცალკეულ ნამოსახლართა მკვიდრთათვის, ალბათ, სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეს ნაგებობები საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობითაა ნაგები და ამდენად მათი მშენებლობა ძალიან რთული არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ შიდა ქართლისა და კახეთის ის გორა-ნამოსახლარები, რომლებიც ბუნებრივ ბორცვებზეა გამართული, თავდაცვითი ნაგებობებისათვის მეტად შრომატევადი სამუშაოების შესრულებას მოითხოვდნენ.

მაგალითისათვის ავიღოთ გარე კახეთში ჩვენ მიერ გათხრილი ნამოსახლარი „მოჰრილი გორა“. მისი თავდაცვითი მიზნით გამაგრებისათვის ნამოსახლარის ირგვლივ ამოღებულია საფეხურებიანი თხრილი[21]. გორის საპირისპირო მხრიდან თავდაცვითი თხრილის კედელი დამრეცია და ერთი საფეხურით ჩადის თხრილის მცირე სიგანის, ძალიან ღრმა ძირამდე. თხრილის კედლები გორის მხარეს კი შვეულია და კიბე-კიბე ადის ნამოსახლარის თხემამდე. ამგვარად, „მოჰრილი გორის“ ნამოსახლარის თავდაცვითი თხრილის კონსტრუქცია თავისთავად მიგვითითებს საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის დიდ ცოდნა-გამოცდილებაზე — თხრილის საფეხურები ისეა განლაგებული, რომ ნამოსახლარიდან მომზირალ ადამიანს რაც შეიძლება დიდხანს ჰყავდეს მხედველობის არეში მომხდური. მომხდურს კი რაც შეიძლება მეტად გაუჭირდეს ნამოსახლარზე ასვლა. როდესაც მომხდური თხრილის ძირზე აღმოჩნდებოდა მისთვის გამორიცხული უნდა ყოფილიყო ნამოსახლარზე მყოფთათვის რაიმე ზიანის მიყენება, თვითონ მომხდურნი კი ამ მომენტში სრულიად უმწეონი, ნამოსახლარიდან ყველაზე ადვილი გასანადგურებელნი ხდებოდნენ.

თხრილიდან ამოყრილი მიწის მცირე ნაწილი თხრილის გარეთ წრედ შემოსდევს ნამოსახლარს და თავდაცვით ყრილს ქმნის, ხოლო მიწის დიდი ნაწილი კი ცენტრალურ ნაწილშია დაყრილი, და ამით შემაღლება ორი მეტრითაა გაზრდილი და მხოლოდ ამის შემდეგაა ბორცვზე გამართული შენობები.

არის შემთხვევები, როდესაც ნამოსახლარის თხემის ზედაპირსაც თხემის ცენტრალური ნაწილიდან ამოღებული მიწის ყრილი — ზღუდე შემოუყვება, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ კეთდება, როდესაც ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი ხელოვნურად კი არ არის შემაღლებული, არამედ ამ მიზნით ბუნებრივი მაღალი ბორცვია გამოყენებული.

„მოჰრილი გორის“ ნამოსახლარის შესამაღლებლად და გარე მიწაყრილიანი ზღუდის შესაქმნელად დაახლოებით 4000 კუბური მეტრი მიწაა დაყრილი. მიწის უდიდესი ნაწილი თავდაცვითი თხრილის გაჭრის დროსაა ამოყრილი.

ამგვარივე სამუშაოებია შესრულებული „მოჰრილი გორისგან“ სულ რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ მის თანადროულ სამოსახლო ბორცვებზე („რცხილის სერი“ და „გარე ტყის გორა“).

ამგვარად, გარე კახეთის ყველა გორა-ნამოსახლარზე თავდაცვითი ნაგებობების გასამართავად მიწის დიდი სამუშაოებია ჩატარებული.

ეჭვს გარეშეა ამგვარი სამუშაოების შესრულებას მხოლოდ ამ ცალკეულ ნამოსახლართა მკვიდრნი ვერ შესძლებდნენ.

აქ მონური შრომის გამოყენება გამორიცხულია, რადგან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ამგვარი ინსტიტუტის არსებობის შესახებ არავითარ მასალას არ გვაწვდიან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს სამოსახლო ბორცვები მიმდებარე სამოსახლოების ბინადართა დახმარებით უნდა იყოს აგებული. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ჩანს გარე კახეთის სოფლებში გავრცელებული წეს-ჩვეულება — „ნაცვალგარდა“.

---

[21] როგორც ჩანს, კონსტრუქციულად მსგავსი თავდაცვითი თხრილები კეთდებოდა შიდა ქართლის ნამოსახლარ გორათა ირგვლივაც (63, გვ. 172).

„ნაცვალგარდას" უწოდებენ წეს-ჩვეულებას, როდესაც — სახლის მშენებლობისას თანასოფლელები თავს მოვალედ თვლიან აუნაზღაურებლად დახმარება გაუწიონ ახალ მოსახლეს. თავის მხრივ, ახალ მოსახლესაც იგივე ვალდებულებები უჩნდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როდის და რა მიზეზით ანებებს მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოში ბორცვებზე ცხოვრებას თავს.

გარე კახეთში შესწავლილი ძეგლები[22] საშუალებას იძლევა ამ კითხვაზე ნაწილობრივ მაინც გაიცეს პასუხი. როგორც დავინახეთ, სოფ. ჩალაუბანთან გათხრილი ნამოსახლარი ბორცვის „მოჭრილი გორის" ზედა B ფენის შესწავლისას გამოირკვა, რომ იგი მთლიანად გადამწვარ-გადაბუგულია, აშკარად მტრის მიერ, რაც ჩვენი აზრით იმით მტკიცდება, რომ ნამოსახლარზე აღმოჩნდა, ე. წ. სკვითური ბრინჯაოს ისრისპირები. იგივე სურათი გვაქვს 1959 წ. სოფ. მელაანში გათხრილ სამლოცველოზე, რომელიც ასევე მთლიანად გადამწვარია[23] და სკვითური ბრინჯაოს ისრისპირები აქაც ერთ ათეულზე მეტია, თანაც შენაწირავ მასალისაგან გამოცალკევებით. არც ერთი ამგვარი ისრისპირი არ აღმოჩენილა ორმოებში ან თიხის ჭურჭელში (80, გვ. 103).

მელაანში აღმოჩენილი, ე. წ. „სკვითური" ტიპის ბრინჯაოს ისრისპირებში გამოირჩევა რომბისებური ორფრთიანი დეზით. გვაქვს აგრეთვე უდეზო ისრისპირებიც (80, ტაბ. XXVIII). არის აგრეთვე სამფრთიანი მასრიანი ისრისპირები. მათ შორის ზოგი სამწახნაგა წვერითაა, ზოგი გრძელი და ზოგიც მოკლე მასრით. ყველა ისრისპირი ჩამოსხმულია. შვიდი ისრისპირი სამფა მყარ ყალიბში ჩანს ჩამოსხმული, დანარჩენი კი— ორმაგში.

„მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილი „სკვითური" ტიპის ბრინჯაოსმასრიანი ისრისპირების უმეტესობა ასევე რომბისებურია, ორფრთიანი (ტაბ. V), მასრაზე დეზით: ორ ისრისპირს სამწახნაგა პირი აქვს, მათ შორის ერთი დეზიანია. „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილ ისრისპირთა უმეტესობა ორმაგ ყალიბში ჩანს ჩამოსხმული.

მელაანში აღმოჩენილი ამ ტიპის ისრისპირების უმეტესობასა და „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილ სამ ეგზემპლარს ნაჩვრეტები აქვს ან მასრაზე ან ფრთაზე. ამ ნაჩვრეტებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა დანიშნულებას ანიჭებენ (121, გვ. 376—388; 122, გვ. 66—79).

როგორც ცნობილია, სკვითების შემოსვლა ამიერკავკასიაში კასპიის ზღვის გაყოლებით და დარიალის ხეობით (ძვ. წ. VII საუკუნისათვის) უნდა ვივარაუდოთ (123: 124, გვ. 62; 125, გვ. 47—48).

სავარაუდოა, რომ მელაანში, „მოჭრილ გორაზე" და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში აღმოჩენილი ისრისპირებიც სკვითების შემოჭრის შედეგად უნდა იყოს აქ მოხვედრილი და, ცხადია, ამაზე ადრეული ხანით არც უნდა დათარიღდეს.

მელაანში სამლოცველოს ტერიტორიის ზედაპირზე ნაპოვნ ორ ისრისპირს რომბული და ორფრთიანი პირი აქვს; ერთი მასრადეზიანია, მეორე — უდეზო. ასეთივეა (ოღონდ ყველა დეზიანი) „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილი ისრისპირების უმეტესობა. რომბისებურპირიანი ბრინჯაოს ისრისპირებს პ. რაუ ძვ. წ. VII საუკუნით ათარიღებს (126, გვ. 30; ტაბ. 3 ДЕ; ტაბ XV 2 A; ტაბ. XVIII 4 A; ტაბ. XX 1 A). ა. იესენი პ. რაუს თარიღს აზუსტებს და ამ ტიპის სკვითური ისრისპირის შემცველ კომპლექსებს ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით განსაზღვრავს (127, გვ. 119).

ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით ან ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნით ათარიღებს რ. აბრამიშვილი სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხს (№ 293), სადაც ჩვენთვის საინტერესო ორფრთიანი ისრისპირების ზუსტი პარალელებია ნაპოვნი (53, გვ. 129, ტაბ. I 60).

მელაანში აღმოჩენილი ყველა დანარჩენი „სკვითური" ტიპის ბრინჯაოს ისრისპირების უმეტესობა გვხვდება კელერმესის ყორღანებში (126, ტაბ. I). კელერმესის ყორღანები კი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ზუსტად თარიღდება და ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა (128, გვ. 8—13; 129, გვ. 38—49; 130, გვ. 40—45; 131, გვ. 100—103; 127, გვ.112—114; 132, გვ. 303—304).

მელაანში აღმოჩენილი სამფრთიანი ისრისპირები, პ. რაუს კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადად ადრეარქაულ ჯგუფში უნდა მოვაქციოთ. ის ისრისპირები კი, რომლებსაც ამ ჯგუფში ვერ

---

[22] ჩვენ აქაც იმ პრინციპის ერთგულნი ვრჩებით, რომლის მიხედვით ყველა ცალკეული საკითხის კვლევა საჭიროა მხოლოდ ცალკეული მიკრორაიონებისა და იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ამა თუ იმ მხარეს ახასიათებს.

[23] ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხილე განაკვეთი, რომელიც სულიერი კულტურის შესწავლას ეძღვნება.

შევიტანთ, უნდა დავუკავშიროთ მხოლოდ გვიან-არქაული პერიოდის ადრეულ საფეხურს ე. ი. ძვ. წ. VI ს. ფარგლებს.

მელაანში და „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილი „სკვითური" ისრისპირების მსგავსი ისრისპირები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები აღმოჩენილია ქ. ქარქემიშის ნანგრევებში. ფენა, რომელშიაც ეს ნივთები აღმოჩნდა, მიეკუთვნება ძვ. წ. 604 წ., როდესაც ნაბუქოდონოსორმა ქალაქი დაანგრია (46, გვ. 44. სურ. 41).

მელაანში აღმოჩენილი „სკვითური" ტიპის ბრინჯაოს ისრისპირების ანალოგიური ისრისპირები აღმოჩენილია აგრეთვე ურარტულ ქალაქ თეიშებაინში. მათ პროფ. ბ. პიოტროვსკი ძვ. წ. VI ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს (133, გვ. 168; 205, სურ. 53; 134, გვ. 17; 135, გვ. 86, სურ. 55, 56; 136).

ასევე ათარიღებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ სამფრთიან და ღეზიან, სამწახნაგა და უღეზო ბრინჯაოს ისრისპირებს რ. აბრამიშვილი (53, გვ. 130, ტაბ. I 55—64).

ამგვარად, ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი პარალელების საფუძველზე, როგორც მელაანში, ისე „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილი ბრინჯაოს „სკვითური" ტიპის ისრისპირები შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნით და ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრით.

ასეთი ვარაუდი სავსებით გამართლებული ჩანს, რამდენადაც ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს. სკვითების დიდი მასა ჩნდება ურარტუსა და მანას საზღვრებთან, ხოლო ძვ. წ. VII საუკუნეში სკვითები უკვე ცხოვრობენ ურარტუს სამეფოს სამხრეთ ტერიტორიაზე და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ (137, გვ. 38 — 40, 138, გვ. 30).

დიდ ინტერესს იწვევს საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ე. წ. „სკვითური" ისრისპირების სადაურობის შესახებ.

საერთოდ, ე. წ. „სკვითური" ტიპის ისრისპირების გავრცელების ფარგლები მეტად დიდია: ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან მდინარე ენისეიმდე (139, გვ. 16) და მდ. ვოლგიდან ეგვიპტის ჩრდილოეთ ქალაქებამდე (133, გვ. 306—312), მთელი კავკასიის ჩათვლით (140, გვ. 182).

ამიერკავკასიაში აღნიშნული ისრისპირების გაჩენას ბევრი მკვლევარი უკავშირებს კიმერიელებისა და სკვითების დიდ მოძრაობას ძვ. წ. VII საუკუნეში, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ე. წ. სკვითური ისრისპირები შესაძლოა მიდიელების იარაღსაც წარმოადგენდა (141, გვ. 121; 142, გვ. 254; 138, გვ. 38, 39).

ბ. პიოტროვსკის აზრით, სკვითები ამიერკავკასიის საშუალებით იღებდნენ ლითონს და, ცხადია, სწორედ ამ გზით ხდებოდა მათი დაკავშირება ძველ აღმოსავლეთთანაც (134; 136; 144, გვ. 243).

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ე. წ. „სკვითური" ისრისპირები მელაანის მეზობელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, კერძოდ, მინგეჩაურში. ზოგიერთი მკვლევარი ამ ისრისპირებს ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ერთ-ერთ ძირითად იარაღად თვლის. ამის საბუთად მოაქვთ ის ფაქტი, რომ ეს ისრისპირები ზურგზე გაჭიმულად მწოლიარე მიცვალებულებიანი ორმოსამარხების ერთ მესამედ ნაწილშია აღმოჩენილი და ამასთან ერთად ისრისპირები სხვადასხვა ფორმისაა და ასაკისა (145, გვ. 81—83). ამდენად, ეს ისრისპირები ადგილობრივ დამზადებულადაა მიჩნეული (145, გვ. 87, 89, 92).

ვფიქრობთ, იმ მონაცემების მიხედვით, რომელსაც მკვლევარი ეყრდნობა, სხვა დასკვნები უნდა გაკეთდეს.

მინგეჩაურის სამაროვანზე ადრებრინჯაოს ხანიდან მხოლოდ გვერდზე მწოლიარე და მოხრილი მიცვალებულის ჩონჩხებია დამოწმებული. ამგვარივე სამარხებია გავრცელებული გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანაში და მხოლოდ ძვ. წ. VII—VI საუკუნეების სამარხების ერთ ნაწილშია დადასტურებული მიცვალებულის ზურგზე გაჭიმულად დამარხვის წესი. ამასთან ერთად ეს სამარხები, როგორც წესი, მამაკაცებისაა. მიცვალებულს თითქმის ყოველთვის დიდი რაოდენობით ახლავს ე. წ. „სკვითური" ტიპის ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები, სარკეები და სხვადასხვა ლითონის სკვითური ინვენტარი. არსებითია, რომ ამგვარი სამარხები შეჯგუფებულია უბნებად.

ამავე სამაროვნებს ძვ. წ. IV—II სს. ორმოსამარხებში მიცვალებულები ისევ მხოლოდ გვერდზე მოხრილად არიან დაკრძალულნი. ასევე გრძელდება შემდეგაც ქვევრებში დაკრძალვის დროს (146, გვ. 15, 16).

ამგვარად, მინგეჩაურის სამაროვნებისათვის, ·დრებრინჯაოდან დაწყებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მხოლოდ მოხრილკიდურებიანი გვერდზე მწოლიარე მიცვალებულებიანი სამარხებია დამახასიათებელი. მხოლოდ ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში და ამასთან არც თუ ისე მრავალრიცხოვან სამარხებში მიცვალებულები ზურგზე წვანან გაჭიმულნი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიცვალებულთა დაკრძალვის ეს უკანასკნელი წესი ადგილობრივი მოსახლეობისათვის თითქოს ძველთაგანვე უცხო ჩანს და ამდენად, რა თქმა უნდა, ისინი ავტოქთონურ მოსახლეობას არ უნდა ეკუთვნოდეს.

მიცვალებულის დაკრძალვის ამგვარი წესი კარგადაა ცნობილი „სკვითურ" სამარხებში (147, გვ. 131—199, სურ. $11_2$; 148, გვ. 4, 11, 81; 126, გვ. 61—87). ამასთან ერთად, მინგეჩაურში აღმოჩენილ სწორედ ზურგზე მწოლიარე მიცვალებულთა სამარხებში ჩატანებული ინვენტარის ნაწილი განსხვავდება ადგილობრივი ნაწარმისაგან. სხვა „სკვითურ" ნივთებთან ერთად, „სკვითური" ისრისპირები მხოლოდ ამ სამარხებშია დადასტურებული.

ამდენად, ჩვენ ვერ გავიზიარებთ გ. იონეს მოსაზრებას, რომლის თანახმად მინგეჩაურში აღმოჩენილი ე. წ. „სკვითური" ისრისპირები ადგილობრივი წარმოშობისაა. აქვე დავძენთ, რომ მკვლევარის ამ ვარაუდს არ ეგუება მისივე წიგნში მოცემული „სკვითური" ისრისპირების სპექტროსკოპული შესწავლის შედეგები. ანალიზებიდან ირკვევა, რომ ამ ისრისპირების (ნაჭედისაც და ჩამოსხმულისაც) ბრინჯაო ადგილობრივი არ უნდა იყოს, რამდენადაც იგი შეიცავს ისეთ მიკროელემენტებს, რომლებიც არ ითვლება აზერბაიჯანის სპილენძის მადნებისათვის დამახასიათებელ კომპონენტად (145, გვ. 93).

რაც შეეხება მელაანში და „მოჭრილ გორაზე" აღმოჩენილ მეტად მცირერიცხოვან ისრისპირებს, ისინი აშკარად გამოირჩევიან ამ ტერიტორიაზე მოპოვებული სხვა მასალისაგან და ამდენად უცხო ელემენტებს წარმოადგენენ.

„სკვითური" ისრისპირები მელაანში აღმოჩენილ ყველა ნივთზე უფრო გვიანდელი ჩანს. ამასთან ერთად, ისინი არც ერთ კომპლექსში არ შეგვხვედრია, მაშინ როცა ე. წ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ისრისპირების უმეტესობა აქ ნაპოვნი შენაწირევი კომპლექსებიდან გახდა ცნობილი (თიხის ჭურჭელში ან სპეციალურ ორმოში ჩამარხული).

ზემოთ თქმული იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „სკვითური" ისრისპირები უნდა ეკუთვნოდეს მტერს, რომელმაც მელაანში არსებული საკულტო ძეგლი გაანადგურა და „მოჭრილ გორაზე" არსებული სამოსახლო მოსპო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის ფაქტიც, რომ ამავე მიკრორაიონში მელაანის თანადროული ორი სამლოცველო — მელი-ღელე II და არაშენდა — გადამწვარია. გადამწვარია აქვე გათხრილი იმავე დროის ნამოსახლარი „მოჭრილი გორაც", რომლის ზედა ფენაშიც ასეთივე სკვითური ისრისპირები აღმოჩნდა.

ამ ტერიტორიასთან სკვითების სიახლოვეზე უნდა ლაპარაკობდეს მინგეჩაურში აღმოჩენილი სკვითების სამარხები.

სკვითების შემოსევაზე უნდა მეტყველებდეს სოფ. იყალთოში ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც მენჯის ძვალში სკვითური ისრისპირი ჰქონდა გარჭობილი, ასევე — ხაშურში შემთხვევით ნაპოვნ სამარხში ადამიანის ხერხემლის მალაში შენიშნული სკვითური ისრისპირი და სხვ.

საკითხის ასე გადაწყვეტა სავსებით ბუნებრივად გვესახება, რამდენადაც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სკვითები (თუ სკვითური იარაღით აღჭურვილი მეომრები) ამ პერიოდში აღმოსავლეთის არა ერთი ქალაქის განადგურებაში იღებდნენ მონაწილეობას (135, გვ. 86—87; 138, გვ. 38—39; 142, გვ. 247; 10, გვ. 177).

სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენ მიერ დადგენილი ფაქტები ადასტურებენ ბერძენ მწერალთა ცნობებს სკვითების მოძრაობის მარშრუტის შესახებ ამიერკავკასიაში. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უძველესი წარსულის შესწავლისათვის.

რა თქმა უნდა, არ იქნებოდა მართებული, რომ დებულება ნამოსახლართა და სამლოცველოთა განადგურების შესახებ გავავრცელოთ გარე კახეთის ყველა ძეგლზე; თუმცა ამასთანავე ფაქტია, რომ ყველგან (გარე კახეთში), სადაც კი სკვითური ისრისპირია აღმოჩენილი, ყველა ძეგლი დამწვარია და განადგურებული, რის შემდეგაც ცხოვრება აქ აღარ განახლებულა. საერთოდაც ძვ. წ. VII საუკუნის შემდგომი ხანის ფენები ჩვენთვის ცნობილ

არც ერთ ნამოსახლარზე არ დადასტურებულა[24].

გარე კახეთში სამოსახლოთა მასიურად მიტოვების მიზეზი მხოლოდ მტრის შემოსევა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფაქტსაც არც თუ მცირე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

გარე კახეთში ძვ. წ. VII საუკუნის შემდეგ, მას შემდეგ რაც დაცარიელდა გორა-ნამოსახლარები—გაურკვეველია ბორცვების ბინადართა ადგილსამყოფელი; ჯერჯერობით მათი ნამოსახლარები აღმოჩენილი არ არის და სწორედ ამის გამო გვიჭირს მთლიანად გავერკვეთ იმ მიზეზებში, რამაც აიძულა ადამიანი ძველი გამაგრებული სამოსახლოები მიეტოვებინა გარე კახეთში.

მართალია, ქვემო ქედში ჩვენ მიერ მიგნებულ იქნა ლითონის დამმუშავებელი დიდი სახელოსნო[25], რომელიც უშუალოდ მომდევნო ხანისა უნდა იყოს და, შესაძლოა, ქალაქური ტიპის დასახლებასაც კი ეკუთვნოდეს. მაგრამ არც ეს ფაქტია საკმარისი საკითხის სავსებით გადაწყვეტისათვის, რამდენადაც ჯერ არ აღმოჩენილა მისი კუთვნილი ნამოსახლარი. ამ უკანასკნელის გამოსავლენად საჭიროა ჩატარდეს გეგმაზომიერი დაზვერვითი ხასიათის კვლევა-ძიება.

ამ თვალსაზრისით (და იმავე მიზეზებით) ასევე გაურკვეველი სურათი გვაქვს შიდა ქართლის გორა-ნამოსახლარებთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც დავინახეთ, იქ მაინც განსხვავებული ვითარებაა, რადგან ზოგიერთ უკვე ცნობილ ნამოსახლარზე (ხოვლე) ცხოვრება ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარშიც გრძელდება, ზოგან კი შედარებით ადრე ისპობა (ცხინვალის ნაცარგორა) და სხვ. აქ მეტწილად არ არის ცალკე გამოყოფილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვნებიც და ისინი უფრო ხშირად შედარებით ადრეული თუ გვიანი ხანის სამარხებთან ერთად არსებობს, ე. ი. შესაბამისად მათი ნამოსახლარების ფენებიც ამგვარადვე უნდა დათარიღდეს.

სრულიად განსხვავებულ სურათს ვხედავთ ალაზნის ველზე.

როგორც ცნობილია, ბ. პიოტროვსკის ვარაუდით, ნახევრად მომთაბარულმა მესაქონლეობის განვითარებამ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში მოსახლეობა ჩამოაშორა მიწათმოქმედებას. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა საცხოვრებლად მთას ამჯობინებს, რის გამოც დაბლობ რაიონებში შეიმჩნევა ცხოვრების თანდათანობითი „ჩაქრობა“ თითქმის მთელი ათასი წლის მანძილზე (149, გვ. 6).

მეცნიერთა ნაწილი მოსახლეობის ბარიდან მთისკენ ლტოლვას ხსნის ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებით (64, გვ. 190—191).

ი. კიკვიძე იზიარებს ბ. პიოტროვსკის დებულებას იმის შესახებ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში მოსახლეობა ბარს ტოვებს და საცხოვრებლად მთაში გადადის, რადგან ი. კიკვიძის დაკვირვებით „ ... ამიერკავკასიის ბარში შუაბრინჯაოს ხანის შემცველ ძეგლებს ნაკლებად ვხვდებით, რომ უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ბარში ინტენსიური ცხოვრება ქრება და ეკონომიური ცენტრი მთაში გადადის“ (118, გვ. 14), მაგრამ წინ დასახელებულ ავტორთაგან განსხვავებით აწ მოვლენას ხსნის „...ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარების დაბალი დონით და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კლიმატის სიმშრალისაკენ მიდრეკილებით (118, გვ. 16)“. როგორც ადრე შევნიშნეთ, მისი ვარაუდით, აღმოსავლეთ საქართველოში ადრებრინჯაოს ხანაში ურწყავი მიწათმოქმედებაა განვითარებული, რაც სწრაფად ფიტავს ნიადაგს და მოითხოვს ახალ-ახალი მიწების ტყის მასივებისაგან განთავისუფლებას. ეს კი თავის მხრივ იწვევს ჰავის შეცვლას, მის გამშრალებას, რის გამოც ადრე საცხოვრებლად და მიწათმოქმედებისათვის გამოსაყენებელი ველები თანდათანობით უვარგისი ხდება. ასეთ მიწებს მოსახლეობა ტოვებს და მთისკენ ინაცვლებს.

ბ. პიოტროვსკისა და სხვათა აზრით მოსახლეობა ბარს უბრუნდება გვიანბრინჯაოს ხანაში. ი. კიკვიძის ვარაუდით, ადრებრინჯაოს ხანაში ჰავის სიმშრალის გამო მიტოვებული მიწების ხელახალი ათვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ საირიგაციო სისტემის შექმნით, რომელიც მისი აზრით, სწორედ გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოში (118, გვ. 31—34).

აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლართა

---

[24] ამ შემთხვევაში მანიშნებლად გამოგვადგება გორა-ნამოსახლართა ცნობილი სამაროვნები, სადაც, როგორც წესი, დამოწმებულია მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამარხები, მათი თარიღი ძვ. წ. VII საუკუნეზე აქეთ აღარ გადმოდის.

[25] სახელოსნოზე დაწვრილებით მეტალურგიისა და ლითონის დამუშავებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

უმეტესობაზე ბრინჯაოსა და რკინის ხანის სხვადასხვა პერიოდში მართლაც შეინიშნება ის ვითარება, რომ მოსახლეობა მასიურად ტოვებს ძველ საცხოვრებელ ადგილებს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ჩვენ უკვე დავასახელეთ გარე კახეთის ძეგლების მიხედვით.

მაგრამ ჩვენი აზრით, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, უფრო გამართლებული ჩანს ამ მოვლენას სხვადასხვა მიკრორაიონისა და სხვადასხვა ეპოქისათვის განსხვავებული ინტერპრეტაცია მოეძებნოს.

მაგალითად, ი. კიკვიძის ზემოთ დასახელებული მოსაზრება შესაძლოა მართებული იყოს შიდა ქართლისათვის, მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი სრულიად გამოუყენებელია გარე კახეთის ძეგლებისათვის და სხვ.

ნამოსახლართა ადგილმონაცვლეობასა და ამასთან დაკავშირებით ამ ნამოსახლარების ბინადართა სამეურნეო ცხოვრების შესახებ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს ალაზნის ველის ძეგლები (150).

ალაზნის ველის ზემო (დასავლეთ) ნაწილში ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები მეტწილად ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ვაკე ადგილებში გვხვდება (ალავერდი I, II და სხვა მრავალი). ეს ძეგლები სამიოდე მეტრის სისქის, მთებიდან ჩამოტანილი თიხნარი ფენის ქვეშაა მოქცეული. აქ შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ფენები ჯერჯერობით არ გამოვლენილა. სამაგიეროდ ამ მიდამოებში უკვე საკმაოდ ხშირია გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. ყოველივე ეს თითქოს შესაძლებელს ხდის ალაზნის ზემო დინების ვაკე ადგილებისათვის გამოვიყენოთ ი. კიკვიძის მოსაზრება ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედების კრიზისისა და გვიანბრინჯაოს ხანაში სარწყავ მიწათმოქმედებაზე გადასვლის შესახებ. მაგრამ იგივე მოსაზრება უკვე არ გამოდგება ალაზნის ზემო დინების მთისწინა ზოლის ნამოსახლართა ხასიათის ასახსნელად.

მაგალითად, „ილტოს" ნამოსახლარზე მოსახლეობა ერთსა და იმავე ადგილას ჩანს დასახლებული ადრებრინჯაოს ხანიდან ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებამდე. აქვეა ფეოდალური ხანის საკმაოდ მძლავრი ნასოფლარების ნაშთები. აქვე გაითხარა ანტიკური ხანის რამდენიმე სამარხიც. რა თქმა უნდა, მოსახლეობის ერთსა და იმავე ადგილას მუდმივი ბინადრობა რაღაც განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ილტოს ნამოსახლარზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ერთსა და იმავე ადგილზე არსებობამ შ. დედაბრიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედების კრიზისს ყოველთვის არ მივყავდით საცხოვრებლის ადგილმონაცვლეობასთან. მისი აზრით, ეს ვითარება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ როგორც ჩანს, ეს სამოსახლო (ილტო) ფლობდა სახნავი მიწების დიდ ფართობს, რომელიც იძლეოდა მიწების დასვენების საშუალებას და იცავდა მიწის ნაკვეთებს გამოფიტვისაგან (151, გვ. 18).

რა თქმა უნდა, საკითხის შ. დედაბრიშვილისეული გადაწყვეტა ფრიად გონებამახვილურია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი სავსებით გამართლებული იყოს.

საქმე იმაშია, რომ ალაზნის ველი ამ ადგილებში ყველაზე ვიწროა და ამდენად სახნავ-სათესი ფართობიც აქ გაცილებით ნაკლებია ვიდრე, ვთქვათ ალავერდის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარების მახლობლად, სადაც მიწის სახნავ-სათესად გამოყენებაში მანევრირებისათვის გაცილებით მეტი შესაძლებლობებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ აღმოჩენილ ნამოსახლარებზე მხოლოდ ერთი, ადრებრინჯაოს ხანის ფენა დასტურდება, მომდევნო, შუაბრინჯაოს ხანის ფენები კი არსად არ შეინიშნება. ამის გამო „ილტოს" ნამოსახლარზე სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა ერთიმეორეზე დაფენება, ჩვენი აზრით, სხვა მიზეზებით უნდა აიხსნას. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიკრორაიონში უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ირიგაცია არსებობდა. როგორც ცნობილია, ამჟამად პანკისის ხეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასახლების სოფელ მატნის მიწები (იგივე მიწები უნდა ყოფილიყო ადრე „ილტოს" ნამოსახლარის სახნავ-სათესი) ირწყვება სოფლის არხით, რომელიც მდინარე ილტოდანაა გამოტანილი სულ რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეზე.

ამ არხის გამოყვანა ილტოს ნამოსახლარის მიმდებარე მიწების მოსარწყავად სულაც არ წარმოადგენს რაიმე ისეთ სირთულეს, რომლის დაძლევას ვერ შეძლებდნენ ილტოს ნამოსახლარის მკვიდრნი. ამ შემთხვევაში არ გამოდგება ვთქვათ ის ვარაუდი, რომ შეუძლებელია მათ სცოდნოდათ

მორწყვის სარგებლიანობა. ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ დაკვირვებული მიწათმოქმედისათვის, რომელმაც იცის ის, რომ კარგი მოსავლიანობისათვის ნაკვეთის ცვლაა სასარგებლო და ამავე დროს ხედავს წვიმის სარგებლიანობას, ძალიან ძნელი არ უნდა ყოფილიყო იმის მიხვედრა, რომ ხელოვნურად მორწყვასაც იგივე და უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა. სწორედ ამიტომ იქ სადაც ეს დიდ სამუშაოებთან არაა დაკავშირებული, ხელოვნური რწყვის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოში შეუძლებლად არ მიგვაჩნია უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან, მით უმეტეს ისეთი განვითარებული ტომებისათვის, როგორიცაა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობა. ჩვენს ამ მოსაზრებას თითქოს ქვემოთ მოტანილი მაგალითიც ადასტურებს.

ალაზნის მარჯვენა ნაპირის ვაკობზე, ალაზნის ველის აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში, წნორი-ლაგოდეხის გზის აღმოსავლეთით (ალაზნის ველის დასასრულამდე) დაცემულ ვაკეზე აღმოჩნდა ოცამდე ამოზიდული გორა-ნამოსახლარი (ტაბ. $VIII_2$). ზედაპირულად შეკრებილი თიხის ჭურჭლის ნატეხები შუა და გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, ნამოსახლარ „ტყის ბოლოს თაფაზე", რომელიც სოფ. ყარაღაჯის ჩრდილოეთით მდებარეობს ოთხიოდე კილომეტრის დაცილებით, 1970 წელს გავჭერით დაზვერვითი თხრილი ნამოსახლარის სტრატიგრაფიის დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ნამოსახლარი ძლიერაა დაზიანებული სასილოსე ორმოების და ცხვრის ბინების აშენების დროს, ჩვენ მაინც შევეცადეთ ნამოსახლარისათვის ზიანი აღარ მიგვეყენებინა. ამის გამო დაზვერვითი თხრილი (სიგრძე —30 მ, სიგანე—4 მ) გაიჭრა სამხრეთ ფერდზე სასილოსე ორმოს გაყოლებით. თხრილი კიბე-კიბე გაიჭრა, რათა გამოვლენილ სათავსოთა იატაკები არ დაზიანებულიყო, თხრილის ჭრილმა ნათლად დაგვანახა, რომ მოსახლეობას აქ განუწყვეტლივ უცხოვრია ადრებრინჯაოს ხანიდან[26] ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე. გამოიყო სულ ცხრა ჰორიზონტი, რომელიც თიხით მოლესილი და გამომწვარი იატაკებით კარგად გამოიყოფა ერთიმეორისაგან. განსაკუთრებით მძლავრია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ფენები. ნამოსახლარის ქვედა ფენები ალაზნის ველის დღევანდელ ზედაპირთან შედარებით გაცილებით უფრო ღრმად ჩადის, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ალაზნის ველის დონე ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ რამდენიმე მეტრითაა ამაღლებული ხევებიდან გამოტანილი დანალექებით. ალაზნისპირა ვაკობი მდინარის ქვემო დინებაში წყალდიდობის დროს ახლაც ხშირად იტბორება და ველზე იშლება ალაზნის ლამი. ბრინჯაოს ხანაში, როდესაც ალაზნის ველის დონე გაცილებით დაბალი იყო, ამგვარი დატბორვები, რა თქმა უნდა, უფრო მეტ მანძილზე ვრცელდებოდა. ამის მანიშნებელი უნდა იყოს მაგალითად გულგულის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამიოდე კილომეტრის მანძილზე „სათვალის წყლის" სამაროვანზე დამოწმებული შემდეგი ვითარება: ეს ადგილი ალაზნიდან სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ სამაროვნის გათხრის დროს დაახლოებით 1,5 მ სიღრმეზე თითქმის 1 მეტრ სისქეზე ალაზნის წმინდა ლამით იყო მოფენილი, რაც აშკარად ალაზნის ადიდების შედეგად დატბორვის მასშტაბებზე მიგვითითებს[27].

სწორედ წყლების ამგვარი მოქმედების შედეგად ალაზნის ქვემო დინებაში (მის მარჯვენა ნაპირზე) გამოვლენილი ნაცარგორების ქვედა დიდი ნაწილი ამჟამად დამარხული აღმოჩნდა.

ამგვარად, ჩვენ მიერ ალაზნის ქვემო დინებაში აღმოჩენილი ოციოდე ნამოსახლარი ბორცვი—ნაცარგორა, რომლებზედაც შუაბრინჯაოს ხანის ფენებიც დადასტურდა, თავისთავად უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ შუაბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლეობა ბარს ტოვებს და მთას აშურებს. ყოველ შემთხვევაში, ამ მოსაზრების განზოგადება და გავრცელება ალაზნის ქვემო დინების მოსახლეობისათვის გამორიცხულია.

მაგრამ თავისთავად ისმის კითხვა, თუ რა პირობებმა შეუწყო ხელი ადამიანს სწორედ ამ მიკრორაიონში ეცხოვრა განუწყვეტლივ ორი ათას წელზე მეტ ხანს და რა ძალამ აიძულა შემდგომ მიეტოვებინა იგი. როგორც ცნობილია, ალაზნის

---

[20] ადრებრინჯაოს ხანის კულტურულ ფენას ამ ნამოსახლარზე უძველესად პირობითად თუ მივიჩნევთ, რადგან ჩვენ მიერ გაჭრილი თხრილი ბოლომდე არაა მიყვანილი. ადვილი შესაძლებელია, შემდგომ აქ უფრო ძველი პლასტები გამოვლინდეს.

[27] ამჟამად ხევებიდან გამოტანილი დანალექებითა და ალაზნის მოქმედების შედეგად ეს ადგილები ალაზნის დღევანდელ დონესთან შედარებით იმდენადაა ამაღლებული, რომ წყალდიდობის დროს ალაზნის მიერ მათი დატბორვა გამორიცხულია,

ზემო დინებაში აღმოჩენილია ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, მაგრამ ცხოვრება შემდგომ აქ აღარ გაგრძელებულა. როგორც ჩანს, არახელსაყრელი პირობების გამო მოსახლეობას დაუტოვებია ეს ადგილები. ამგვარად, სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყოფილა ის პირობები, რაც ხელს უწყობდა ადამიანს განუწყვეტლივ ეცხოვრა ათეულობით საუკუნეების განმავლობაში. ჩვენი აზრით, ისევე როგორც ალაზნის ზემო დინების მთის წინაზოლში, აქაც განუწყვეტელი ცხოვრების პირველი პირობა მორწყვითი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო (150).

ის ტერიტორია, სადაც დასახელებული ნაცარგორებია გავრცელებული, ამჟამად ყველაზე მშრალი ადგილია, მეტისმეტად ცხელი ჰავით, რაც ზაფხულის თვეებში ცხოვრებას აქ თითქმის შეუძლებელს ხდის[28] და გაზაფხულიდან დაწყებული მორწყვა ერთადერთ მაცოცხლებლად ითვლება აქ სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ამ ტერიტორიის მორწყვა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო როგორც ალაზნიდან გამოტანილი არხით (მაშინ ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირის დონე გაცილებით დაბალი უნდა ყოფილიყო), ისე ივრის პლატოს ხევებიდან გამონაჟური წყლებით.

მორწყვით მიწათმოქმედებაზე აქ უნდა მიგვითითებდეს ნამოსახლართა კონცენტრაცია ალაზნის ველის განსაზღვრულ მიკრორაიონში (ტაბ. VIII$_2$) და ნამოსახლარის კულტურული ფენების უწყვეტლობა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში და თვით ალაზნის ზემო დინებაშიც ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ მიწათმოქმედი მოსახლეობა, შესაძლოა, ჰავის გამშრალების გამო ტოვებს დაბლობ ადგილებს და მთისკენ მიისწრაფვის.

ამგვარად, ალაზნის ქვემო დინებაში ნაცარგორათა წარმოქმნა ჩვენ მხოლოდ მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარების შედეგად მიგვაჩნია[29].

მაგრამ საკითხავია, რა მოხდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს თუ I ათასწლეულის დასაწყისში, სახელდობრ, რამ აიძულა მოსახლეობა ამდენი ხნის ტრადიციული საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა. ჩვენი აზრით, მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: აქ მოსახლეთ მოეშალათ ის საფუძველი, რომლის გამოც ისინი ამდენ ხანს მიჯაჭვულნი იყვნენ ამ ადგილზე — მოიშალა საირიგაციო სისტემა და სწორედ ამან გამოიწვია მოსახლეობის აქედან აყრა და მთის ფერდებისაკენ გადასახლება[30].

მაგრამ გასარკვევია ერთი საკითხიც, სახელდობრ, რას უნდა გამოეწვია საირიგაციო სისტემის მოშლა, რომელსაც მოსახლეობა ათეული საუკუნეების მანძილზე იყენებდა. ის მტრის შემოსევის შედეგად რომ განადგურებულიყო, მოსახლეობა მის აღდგენას მაინც შეძლებდა, როგორც ეს, ალბათ, არა ერთხელ მომხდარა იმ ორი ათასი წლის განმავლობაში, სანამ ალაზნის ველის ამ მიკრორაიონში მოსახლეობა ვაკეზე სახლობდა. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოხდა ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც ამ დროს უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ალაზნის ველის ნაცარგორათა დაცლის პერიოდში მთლიანად ამოწყვეტილია მტრის მიერ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მომდევნო პერიოდში მოსახლეობა მთის ფერდებთან ცხოვრობს, მათი მატერიალური კულტურა კი გენეტიკურ კავშირშია ნაცარგორების ბინადართა კულტურასთან, ანუ სხვანაირად აქ ცხოვრების შეწყვეტას მოსახლეობის განადგურებას ვერ მივაწერთ. როგორც ჩანს, ნაცარგორები მოსახლეობამ თავისი ნებით მიატოვა და მიატოვა სწორედ ირიგაციის მოშლის გამო — ეს კი მისი მეურნეობის საფუძველი იყო. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, საირიგაციო სისტემის მოშლა არ შეიძლება დავუკავშიროთ მტრის რაიმე შემოსევას.

---

[28] ალაზნის ველის ეს მონაკვეთი, ზღვის დონიდან 179—244 მეტრზეა, თბილ პერიოდში ნალექების რაოდენობა წელიწადში მხოლოდ 300—400 მმ აღწევს, მაშინ როდესაც აორთქლება 700—800 მმ უდრის (152, გვ. 81—82, 92).

[29] ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა, რომ ქვემო ქართლის ველზე გამოვლენილი ენეოლითური ხანით დათარიღებული მრავალფენიანი ნამოსახლარი ბორცვების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესწავლისას გამოითქვა ვარაუდი, რომ, ქვემო ქართლის დასახელებულ მიკრორაიონში მორწყვითი მიწათმოქმედება უნდა არსებულიყო (153, გვ. 24; 154, გვ. 295; 24, გვ. 143).

[30] როგორც ცნობილია, მომდევნო ხანის ძვ. წ. I ათასწლეულის ნამოსახლარები, სამაროვნები და სახელოსნო უბნები სწორედ ამ ნაცარგორების გასწვრივ მთის ფერდებზეა განლაგებული (ყარალაჯი, ხირსის საბჭოთა მეურნეობა). ცნობილია ისიც, რომ აქვე ცხოვრობს მოსახლეობა ელინისტურ ხანაში (ყოლოთის ხევი) და უფრო გვიანაც.

ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ყველაზე მეტად ბუნებრივი პირობების შეცვლა უნდა ყოფილიყო.

ზემოთ არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირი განუწყვეტლივ მაღლდება ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ. დონეთა (სიმაღლეთა) სხვაობა 3—5 მეტრს აღწევს. ამის გამო ალაზნის მარჯვენა ნაპირის ნაცარგორები ნახევარზე მეტად მიწის ქვეშ აღმოჩნდა დამარხული. ნაპირის სიმაღლის მომატებამ კი ნაცარგორებთან ახლო მანძილიდან ალაზნის მარჯვენა ნაპირზე არხის გამოტანა შეუძლებელი გახადა, რამაც ამ მიკრორაიონში მორწყვითი მიწათმოქმედების მოშლა გამოიწვია. „ტყის ბოლოს თაფაზე" გავლებული თხრილის ჭრილისა და მეზობლად მდებარე ნაცარგორებზე შეკრებილი მასალების მიხედვით ამგვარი ვითარება უნდა შექმნილიყო დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ყველა ნამოსახლარზე ყველაზე ზედა კულტურული ფენა სწორედ ამ ხანას მიეკუთვნება.

მაგრამ რა თქმა უნდა, არ იყო აუცილებელი ამ მიკრორაიონის ირიგაცია მხოლოდ ალაზნიდან გამოტანილი არხით განხორციელებულიყო. როგორც ადრეც შევნიშნეთ, დასაშვებია, რომ მორწყვა ეწარმოებინათ ივრის პლატოს ხევებიდან გამომდინარე წყლებითაც. ივრის პლატოდან გამონაჟური წყლები ამ მიკრორაიონში ამჟამადაც არსებობს („დიდი ოლე", „ოლე"), მაგრამ ეს წყლები დღეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი მორწყვითი მიწათმოქმედებისათვის. ბუნებრივია, იმ მჭიდრო მოსახლეობას, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ალაზნის მარჯვენა ნაპირას, ამ მონაკვეთში ალაზნის მთელი ტერიტორია დასჭირდებოდა სახნავ-სათესად, საწევავად კი ივრის პლატოს ჩრდილო ფერდებზე მდებარე ტყეებს იყენებდა, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ჩეხავდა და ანადგურებდა. ამგვარად, თუ ალაზნის ველის ნაცარგორების მკვიდრნი თავიანთ სახნავ-სათესის სარწყავად ივრის პლატოს ხევების წყლებს იყენებდა, დროთა განმავლობაში მათ რწყვის ეს წყაროც უნდა დაშრეტოდათ, რადგან მათ მიერვე გაჩანაგებული ტყეების მოსპობასთან ერთად მათივე მაცოცხლებელი, მათი მიწათმოქმედების საფუძველი, ივრის პლატოს ხევების წყალიც სულ უნდა გამქრალიყო, ან იმდენად უნდა შემცირებულიყო, რომ მათი სოფლის მეურნეობისათვის საკმარისი აღარ იქნებოდა[31].

ცხადია, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ თეორიული მსჯელობის საშუალება გვაქვს, და ბუნებრივია, მომავალმა მუშაობამ ბევრი კორექტივი შეიტანოს ამ წინასწარი სახის მოსაზრებებში, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ საკითხების კვლევა საქართველოს არქეოლოგიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს და კახეთის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის შემდგომი საველე მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს სამუშაოდაა დაგეგმილი.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, როგორც ტოპოგრაფიულად ისე ტიპოლოგიურად აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლართა შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა, რაც ამა თუ იმ მიკრორაიონის გეოგრაფიულ გარემოსა თუ სამეურნეო ცხოვრების თავისებურებით უნდა აიხსნას.

ასევე განსხვავდება საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკაც. მართალია, ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობისათვის ჯერჯერობით არა გვაქვს საკმარისი მასალა, მაგრამ, ვფიქრობთ, უკვე გამოვლენილი ნაგებობებიც ზოგიერთი განზოგადების უფლებას გვაძლევს.

გვიანბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლისათვის დამახასიათებელია ოთხკუთხი დაგეგმარების შენობები. როგორც წესი, ისინი ნახევრადმიწურ სათავსოებს წარმოადგენს. შენობათა უკანა, მიწაში ჩამჯდარი კედელი კლდის ნავლეჯი ქვითაა ნაგები. ასევე ქვითაა ნაგები გვერდითა კედლის ის ნაწილები, რომლებიც მიწაში ყოფილა ჩამჯდარი.

სათავსოთა გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო. იატაკი ხშირად ბრტყელი ქვებითაა მოგებული. ქვით მოგებულ ფართობს ხოვლე გორაზე საქონლის სადგომად მიიჩნევენ. საცხოვრებელი შენობები მეტწილად ერთოთახიანია. შიდა ქართლში გათხრილ ამ დროის ყველა ნამოსახლარზე პურის

---

[31] არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც შეიძლება აიხსნას მოსახლეობის ერთდროული აყრა ამ ადგილებიდან. როგორც ცნობილია, მთელი ის ტერიტორია, რომელზედაც განფენილია დასახლებული ნამოსახლარები, ამჟამად დამარილებულ ნიადაგებს წარმოადგენს და სრულიად გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობისათვის. ნიადაგების დამარილებას კი ძირითადად მორწყვის არასწორი რეჟიმის გამოყენება იწვევს. ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ მორწყვითი მიწათმოქმედება, რომელიც ამ ნამოსახლარების მკვიდრთა არსებობის საფუძველი იყო, საბოლოოდ მათი აქედან აყრის მიზეზიც გამხდარიყო.

საცხობად ზუსტად ერთნაირი კონსტრუქციის ღუმელებს ვხვდებით. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ერთ-ერთი მანიშნებელია ამ ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკური ერთიანობისა.

გარე კახეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სამოსახლო შენობები მთლიანად მიწის ზედაპირზეა ამოზიდული და სწორედ ამის გამოც ისინი გაცილებით ცუდადაა შენახული შიდა ქართლის ნაგებობებთან შედარებით. მაგალითად, „მოჭრილ გორაზე“ და „რცხილის სერზე“ ისინი წარმოდგენილია მცირე ზომის სათავსოთა კედლების ძირის ოთხკუთხი დაგეგმარების საძირკვლებით, რომლებიც რიყის ქვითაა ნაგები ტალახის ხსნარზე. კედლები სათავსოებს ალიზისა უნდა ჰქონოდა, ან ლასტზე შელესილი ტალახისა, ხოლო გადახურვა— ბანური.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარე კახეთში სრულებით არ გვხვდება შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი პურის საცხობი ღუმელები, სამაგიეროდ აქ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ორმოში ლასტზე თიხით მოლესილი, პურის საცხობი თონეები.

თუ შიდა ქართლის ნამოსახლარ ბორცვებზე, როგორც წესი, სამლოცველოებიცაა გამართული, კახეთის შესწავლილ ნამოსახლარებზე სამლოცველოების არავითარი კვალი არ არის. სამაგიეროდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ საცხოვრებლისაგან გამოყოფილი საერთო სამლოცველოები აქვთ უკვე გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან.

გარე კახეთის სამოსახლო ბორცვებზე არა ჩანს სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობები. ამ დანიშნულების შენობები და სამეურნეო ორმოები „საყდრის გორისა“ და „რცხილის სერის“ შესწავლის დროს აღმოჩენილია ნამოსახლარების თავდაცვითი თხრილის გარეთ.

„მოჭრილი გორის“ B ფენის შესწავლის დროს საცხოვრებელი ბორცვის თხემის კიდეზე რიყის მოზრდილი ქვებისაგან ნაგები გალავნის ნაშთებიც აღმოჩნდა. რიყის ქვით ნაგები კედლის საფუძვლები გამოვლინდა „ფოხორაულების“ ნამოსახლარზედაც, ალაზნის ზემო წელში. სამაგიეროდ, ალაზნის ქვემო წელში „ტყის ბოლოს თაფაზე“ გავლებული სადაზვერვო თხრილის მიხედვით ჩანს, რომ აქ უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული საამშენებლო მასალად მხოლოდ თიხაა გამოყენებული.

## § 2. სამაროვნები

ცნობილია, რომ მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ადათ-წესები სხვა წეს-ჩვეულებათა შორის ყველაზე კონსერვატულია.

ისტორიულ-არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში საზოგადოდ მიღებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სამარხთა განსაზღვრული კონსტრუქცია და დამარხვის წესები დამახასიათებელია განსაზღვრული დროისა და მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებისათვის და ამიტომაც შესაძლოა მათი გამოყენება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა, მაგალითად, არქეოლოგიურ კულტურათა წარმომავლობისა და ამ კულტურათა მატარებელი საზოგადოების ეთნოგენეტიკურ პრობლემათა კვლევა და სხვ. (155, გვ. 3; 124, გვ. 178—179, 244). ამასთან მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურის ცალკეულ ლოკალურ ჯგუფთა გამოყოფისას. ბუნებრივია, სამარხთა შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანთა სულიერი ცხოვრების ზოგიერთ მხარეზედაც და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის მრავალი სამაროვანია აღმოჩენილი. ზოგი მათგანი თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცა და წლების მანძილზე საკმაოდ კარგად იქნა შესწავლილი, უმეტესობა კი დღემდე მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვითაა ცნობილი.

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ ყველა მათგანს შევეხებით, მაგრამ შედარებით უფრო დეტალურად შევჩერდებით მხოლოდ იმ სამაროვნებსა თუ ცალკეულ სამარხებზე, რომლებიც დღემდე მეცნიერულად გამოკვლეული არ არის. ლიტერატურაში ცნობილი სამაროვნებისა თუ ცალკეულ სამარხთა შესახებ კი მხოლოდ ზოგად ცნობებს მოვიტანთ და დაინტერესებულ მკითხველს სათანადო გამოცემებზე მივუთითებთ.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხების კონსტრუქციისა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებების ეპოქალური ცვალებადობისათვის თვალის გასადევნებლად არ გამოდგება სამაროვნების თუ ცალკეული სამარხების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილვა, რადგან 1) ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამაროვნები უმეტესწილად მრავალსართულიანია და სხვადასხვა დროის სამარხებს შეიცავს, 2) ცალკე-

ული სამარხის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილვისას თავიდან ვერ ავიცილებთ განმეორებებს და თანაც სრულყოფილად ვერ გავაცნობთ მკითხველს ამა თუ იმ სამაროვნის საერთო სახეს. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამომწურავად დაგვეხასიათებინა თითოეული სამაროვანი, მოგვეცა სხვადასხვა ტიპის და დროის სამარხების კონსტრუქციის დაკრძალვის წესის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი აღწერილობა, პარაგრაფის დასასრულს კი ამ საერთო მონაცემების საფუძველზე გამოგვეტანა განმაზოგადებელი დასკვნები.

1.[32] ადგილ ბაიბურთში გერიაკჩაის მარცხენა ნაპირზე ბ. კუფტინმა გათხარა რამდენიმე სამარხი, რომლებიც პირობითად ბეშთაშენის ორმოსამარხებზე ადრეულად მიიჩნია და ამგვარად შუა და გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდებს შორის მოაქცია (46, გვ. 76)[33].

ბაიბურთის სამარხები წარმოადგენს მიწაში ამოჭრილ, ოთხკუთხ, სიგრძივ ჩრდილოეთით დამხრობილ მოზრდილ ორმოს, რომელიც დიდრონი ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. ყოველ ცალკეულ სამარხს, მოზრდილი ქვებისაგან, დაახლოებით 15—18 მეტრის დიამეტრის წრე აქვს შემოვლებული.

სამარხები ინჰუმაციურია. კიდურებმოხრილი მიცვალებული ჩვეულებრივ გვერდზეა დაკრძალული, თავით ჩრდილოეთით.

სამარხები მეტად ღარიბულ ინვენტარს შეიცავს; იგი თითქმის მხოლოდ თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ძირითადად 3—7 ჭურჭლისაგან შემდგარი ინვენტარი მიცვალებულის თავთან იდგმებოდა. ზოგიერთ სამარხში პასტის მძივები აღმოჩნდა, ერთში კი — ბრინჯაოს საკინძი დაფანჯრული ცულის პირის მსგავსი თავით, რომლის ყუაზეც ცხვრის ქანდაკება დგას (46, გვ. 75—76, სურ. 87, 88, ტაბ. XIV—XVIII).

2. ზემო ბოდბის გორასამარხი № 1 მდებარეობს სიღნაღის რაიონის სოფ. ზემო ბოდბის მახლობლად ე. წ. „დაცული ტყის“ პირას[34]. სამარხი მიწაყრილიანია, ყრილის დიამეტრი 20 მეტრია, სიმაღლე 2 მეტრი. მიწაყრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა სამარხის სწორკუთხა ორმო (1,50×2,60 მ; სიღრმე 1 მ), სიგრძივ დამხრობილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. კარგად შემორჩენილი ხის ნაშთების მიხედვით კამერა გარდიგარდმო გადახურული იყო ხის ძელებით (მათი დიამეტრი საშუალოდ 0,25 მეტრია).

კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე დასვენებული, ძლიერ მოხრილკიდურებიანი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა (თავით N).

სამარხში აგრეთვე გამოვლინდა ცხვრის მთელი ჩონჩხი და მსხვილფეხა საქონლის ორი თავფეხი.

სამარხში მიცვალებულის ირგვლივ განლაგებული იყო თიხის ათი ჭურჭელი (თიხის ერთი ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი ცხოველის ძვლებზე იყო დაფარებული). მათი დამუშავების ტექნიკა, ფორმები და შემკულობა შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელს მოგვაგონებს, მაგრამ რადგან აქვე გვხვდება ისეთი ჭურჭლები, რომელთა დამუშავებისა და შემკობის ზოგიერთი ელემენტი დამახასიათებელია მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანისათვის, ჩვენ ამ სამარხს შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ ეტაპს მივაკუთვნებთ.

3. ზემო ბოდბის გორასამარხი №2 მდებარეობს სიღნაღის რაიონში, სოფ. ზემო ბოდბისა და ზემო მაჩხაანის შემაერთებელი გზის პირას, სოფ. ზემო მაჩხაანიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე.

გორასამარხის ყრილის სამხრეთი ნაწილი გზის მშენებლებს დაუზიანებიათ. დაზიანებულია ყრილში ჩაშვებული ორმოსამარხებიც, რომლებიც ლეგაკეციანი თიხის ჭურჭლის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისზე უფრო ადრეული არ უნდა იყოს[35].

---

[32] ეს ნუმერაცია შეესაბამება ნაშრომის საილუსტრაციო ნაწილში მოცემულ № 2 რუკაზე (ტაბ. $IX_2$) დატანილ ნუმერაციას და ამ პარაგრაფში მოტანილი აღწერილობა ფაქტიურად № 2 რუკის ექსპლიკაციას წარმოადგენს.

[33] ჩვენი მოსაზრებები გარდამავალი ხანის სამარხებისა და სამარხეული ინვენტარის დათარიღების შესახებ, აგრეთვე ამ კომპლექსთა დეტალური აღწერილობა იხილეთ ამ ნაშრომის დასკვნით თავში.

[34] სამარხი შეისწავლა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წ. (55, გვ. 12—20). მასალა [illegible] ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

[35] ზემო ბოდბის № 2 გორასამარხი 1970 წ. გათხარა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. მასალა ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

გორასამარხი მიწაყრილიანია. მიწაყრილის დიამეტრი დაახლოებით 30 მეტრია; ყრილის თანამედროვე სიმაღლე ორი მეტრია. გორასამარხის ორმო ხის ძელებით ყოფილა გადახურული გარდიგარდმო (ერთ-ერთი ძელის დიამეტრი 13—15 სმ-ია). კარგადაა შემორჩენილი ორმოს გლუვზედაპირიანი კედლები. დაზიანებულია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლების ზედა კიდეები, როგორც ჩანს, სამარხის გადამხურავი ძელების ჩანგრევის დროს, რადგან ძელები თავებით სწორედ ამ კედლებს ეყრდნობოდა.

სამარხი წარმოადგენს ოთხკუთხ მოგრძო ორმოს, სიგრძივ NW—OS დამხრობით. ორმოს სიგრძე 2,43 მეტრია, სიგანე—1,70 მეტრი, ხოლო სიღრმე—0,70 მეტრ.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში, უფრო SO კედლისაკენ, აღმოჩნდა ხის წმინდა ნაცარზე, მარჯვენა გვერდზე მწოლიარე მიცვალებული (თავით NW), ძლიერ მოხრილი კიდურებით. სამარხის NW ნაწილში და მიცვალებულის გარშემო თიხის ცხრა ჭურჭელი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი აღმოჩნდა. სამარხის N კუთხეში სქელკედლიანი, უხეშზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხები ზევიდან ეფარა წვრილფეხა საქონლის თავსა და ობსიდიანის უსახო ანატკეცს. NW კედლის ძირში მაღალფეხიანი და თეთრად მოხატული ჭურჭელი, კუთხეში მცირე ზომის ჭურჭელი, მიცვალებულის თავთან კი სამი მოზრდილი ჭურჭელი იდგა. ერთ-ერთში თეთრად მოხატული პატარა სასმისი აღმოჩნდა, NO კედელთან მსხვილფეხა საქონლის ძლიერ დაზიანებული თავი, ხოლო WS კედელთან ღორის და მსხვილფეხა საქონლის კიდურები ეწყო. ერთი თიხის ჭურჭელი მიცვალებულის ფეხთით აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის დამიწებულ ძვლებზე დაფარებული. უხეშზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა მიცვალებულის ქუსლების მახლობლადაც.

4. ზემო ბოდბის გორასამარხი № 3 მდებარეობს № 2 გორასამარხის აღმოსავლეთით ათიოდე მეტრის დაშორებით. გორასამარხი მიწაყრილიანია; ყრილის დიამეტრი 14 მეტრია, სიმაღლე—1,30 მ. გორასამარხის ყრილის ცენტრალური ნაწილის ქვეშ აღმოჩნდა მიწაში ამოჭრილი შვეულკედლებიანი ოთხკუთხი ორმო სიგრძივ დამხრობილი NW—SO. ორმოს ზომებია — სიგრძე 1,80 მ, სიგანე 1,50 მ, სიღრმე 0,80 მ. ორმოში მიცვალებულის ჩონჩხის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სამარხი ძველადვე გაუძარცავთ. სამარხის ყრილის სამხრეთ ნაწილში 0,50 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ჩაშვებული ორმოსამარხი, რომელშიაც მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. როგორც ჩანს, ორმოსამარხიც გაძარცულია — მიცვალებულის ჩონჩხს აკლია გულმკერდის ნაწილი, სამარხში ჩატანებული ინვენტარი კი ერთიმეორეშია არეული.

ორმოსამარხი სიგრძივ ისევეა დამხრობილი, როგორც გორასამარხის ორმო.

5. სოფ. ზემო მაჩხაანის სამხრეთით, ივრის მახლობლად „ოლეს" მინდორზე ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1961 წელს (109, გვ. 26) აღმოჩენილ იქნა გორასამარხების ველი, რომელზედაც ასიოდე სამარხი აღირიცხა. დაზიანებული გორასამარხებიდან ამოყრილი მასალის მიხედვით შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს სამაროვანი შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდით უნდა დათარიღებულიყო. 1970 წ. „ოლეს" სამაროვანზე კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა ფართო გათხრითი სამუშაოები. შესწავლილ იქნა ათეულობით სამარხი. გორასამარხთა ზომებში დიდი სხვაობაა — დიდი გორასამარხები თითო-ოროლაა, მცირე ზომისა კი მრავლად გვხვდება.

1970 წ. გაითხარა ერთი ქვაყრილიანი დიდი გორასამარხი, ძალიან ღრმა და ფართო ოთხკუთხი ორმოთი. სამარხი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხის მიხედვით იგი აშკარად შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის კუთვნილი ძეგლია.

მცირე გორასამარხების ქვაყრილის დიამეტრი მერყეობს 12-სა და 6 მეტრს შორის. ქვაყრილის სიმაღლე საშუალოდ ერთ მეტრამდე აღწევს. ქვაყრილის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში, როგორც წესი, ოთხკუთხი მოგრძო ორმოა (სიღრმე 1,10—0,85 მ; სიგანე 1,70—1,40 მ; სიგრძე 2,50—1,70 მ; დამხრობა, უმეტესად S—W ან SSO—NNW).

ყველა სამარხი ინჰუმაციურია. მიცვალებული წევს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი, თავით W ან NW.

სამარხებში თითქმის მხოლოდ თიხის ჭურჭლები აღმოჩნდა, მცირე რაოდენობით (1—9). ზოგიერთ სამარხში შეინიშნებოდა წვრილფეხა საქონლის ძვლების ნაშთებიც.

თიხის ჭურჭლის დამუშავებისა და შემკუ-

ლობის სახეების მიხედვით აღნიშნული სამარხები შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება (იხ. ქვემოთ).

„ოლეს" სამაროვნის სამარხთა დათარიღებისას არსებითია ისიც, რომ აქ გარდამავალი ხანის მრავალ სამარხთან ერთად, გვხვდება მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ამგვარი სურათი მეორდება ყველა იმ სამაროვანზე, სადაც გარდამავალი ხანის კომპლექსები ჭარბობს (ლილო, გრაკალი, ცხინვალის სატყეო კომბინატის სამაროვანი).

ეს ფაქტი, თიხის ჭურჭლის ზემოაღნიშნულ თავისებურებებთან ერთად, რა თქმა უნდა, ამ სამარხთა ქრონოლოგიურ სიახლოვეზე მიგვითითებს, მით უმეტეს, რომ ოლეს სამაროვნის ყველა სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ერთიმეორის იდენტურია და მხოლოდ ზომებში ჩანს სხვაობა.

როგორც ჩანს, ამ სამაროვნებზე პირველი სამარხები გაუმართავთ შუაბრინჯაოს ხანის მიწურულში, სამარხთა უმეტესობა კი გარდამავალ პერიოდში, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

6. სალოკი ხევის სამაროვანი მდებარეობს სადგურ გრაკალთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სალოკი ხევის მიდამოებში. აქ გაითხარა სამი წრიულ-ქვაყრილიანი გორასამარხი. მათი ქვაყრილების დიამეტრი 12 მეტრამდე აღწევს. ყველა ყრილის ქვეშ მოზრდილი ოთხკუთხი ორმოა მიწაში ამოჭრილი, რომელიც თითო მიცვალებულისათვის არის განკუთვნილი. მიცვალებულები დაკრძალულია ხელ-ფეხმოკეცით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით ან ჩრდილოეთით დამხრობილი.

სამარხებში საკმაოდ ღარიბული მასალა აღმოჩნდა; ორი-სამი თიხის ჭურჭელი თითოეულში. ყველა ჭურჭელი მორგვზეა დამზადებული; აქვს თხელი, შავად და წაბლისფრად გამომწვარი, მეტ-ნაკლებად გაპრიალებული ზედაპირი, დაბალი ყელისა და მხრების არეში კი შემკულია რელიეფური, ჭდეული, ნაპრიალები და სხვ. ორნამენტული სახეებით.

ზ. შატბერაშვილის აზრით, ეს სამარხები კონსტრუქციულად შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს წააგავს, მასალის რიგი ნიშნებით კი (კეცი, ფორმები, ორნამენტები) აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის ძეგლებს უკავშირდება და ამიტომ ქრონოლოგიურადაც მათ უნდა უტოლდებოდეს (157, გვ. 13—14)[36].

7. ილტოს სამარხი აღმოჩნდა მდინარე ილტოს მარცხენა ნაპირზე, ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე.

ილტოს ნამოსახლარის ტერიტორიაზე დადასტურდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური და ფეოდალური ხანის პლასტებიც. ამის გამო, ბუნებრივია, ძნელია ვისაუბროთ იმ სამარხის კონსტრუქციაზე, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ჩვენი ყურადღების ობიექტს. ბუნებრივია მას თავის დროზე ყრილი რომ ჰქონოდა კიდეც, იგი ჩვენამდე არ შემორჩებოდა.

სამარხის გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა ოთხკუთხი ორმო, რომელშიც მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა. ორმოში ჩადგმული იყო თიხის ორი ჭურჭელი — ერთი ტიპიურია შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლებისათვის, მეორე კი დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ნაწარმისათვის.

8. დიდი ლილოს მინდორზე ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ჩაატარა მცირე არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვანელი ე. გოგაძე). გაითხარა ქვაყრილიანი რამდენიმე გორასამარხი. გორასამარხის ყრილის ქვეშ ოთხკუთხი ორმოა ამოღებული, რომელშიც მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით N ან NW ორიენტირებული.

ლილოს სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სამარხი შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპით თარიღდება. მასში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლები, ბრინჯაოს რაპირისებური იარაღი, ოქროს მძივები და სხვ. გათხრილ სამარხთა უმეტესობა კი მხოლოდ თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი და თარიღდება გარდამავალი ეტაპით შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის[37].

---

[36] როგორც ნაშრომის დასკვნით თავში დავინახავთ, ჩვენ ამ კომპლექსებს უფრო ადრეულად მივიჩნევთ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზ. შატბერაშვილიც ამჟამად ამგვარივე შეხედულებისაა.

[37] ლილოს გორასამარხთა მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ე. გოგაძეს, რომელმაც მოგვცა საშუალება გამოქვეყნებამდე გავცნობოდით ამ მასალებს.

9. ულიანოვკის სამაროვანი მდებარეობს ლაგოდეხის რაიონის სოფ. ულიანოვკის აღმოსავლეთით 1,5—2,0 კმ მანძილზე. ამ მიდამოებში ზედაპირულად ოციოდე მიწაყრილიანი გორასამარხი გამოვლინდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (1960—61 წწ.) აქ ორი გორასამარხი და ექვსი ორმოსამარხი შეისწავლა (164, გვ. 29—32).

გათხრილი გორასამარხებიდან № 2 უფრო ადრეულია. მისი მიწაყრილის დიამეტრი 30 მ-ია, სიმაღლე კი —0, 6 მ. გორასამარხი ორმოიანია. დასაკრძალავი ორმოს იატაკი თანამედროვე ზედაპირიდან 2, 8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმოს კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა (6,0 მ OW×3,2 მ-ზე NS).

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული ესვენა დასაკრძალავი დარბაზის აღმოსავლეთ ნახევარში, ხის სარეცელზე თუ ეტლზე, თავით დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად მოხრილი კიდურებით.

სამარხის იატაკზე რამდენიმე ადგილას შეიმჩნეოდა ჭილოფის ანაბეჭდი. იატაკი ამ ადგილებში წითლად იყო შეღებილი ოქრით. სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკი შეღებილი იყო იისფრად.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 40 ჭურჭელი, ნამგლისებური სპილენძის იარაღი, ბრინჯაოს სამი ბეჭედი, სარდიონის 27 მძივი და ბრინჯაოს ერთი ცილინდრული მძივი. გარდა ამისა მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ორი ცხენის, სამი ძროხის და ხუთი ცხვრის თავ-ფეხი. № 2 გორასამარხის თანადროულია, დაახლოებით მიწის თანამედროვე ზედაპირის დონეზე, ნაცროვან ფენაში აღმოჩენილი თიხის რამდენიმე ჭურჭელი. გამთხრელის აზრით ეს ჭურჭელი და ნაცროვანი ფენა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალის შესახებ. მისივე ვარაუდით № 2 გორასამარხი დაახლოებით ძვ. წ. XIV ს-ით თარიღდება, რადგან მისი კერამიკული მასალა შეიცავს ისეთ ჭურჭელს, რომელიც მას, ე. წ. შუაბრინჯაოს ხანის კერამიკასთან აკავშირებს.

გორასამარხი № 1 შედარებით გვიანია. მისი მიწაყრილის დიამეტრი 12 მ-ია. გორასამარხი ორმოიანია (სიღრმე—3 მ; ფართობი—4,5×6,5 მ-ზე). გორასამარხის უმაღლესი წერტილიდან 1, 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ლეგად გამომწვარი ჯამი. მიცვალებული ესვენა დასაკრძალავი დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა 50-ზე მეტი ბრინჯაოს ნივთი (მახვილი, ორპირლესიანი საჩეხი იარაღი, ფარი, ორი შტანდარტი ირმის სკულპტურული გამოსახულებით და სხვ.), თიხის 23 ჭურჭელი, სარდიონის 800 მძივი, აქატის, პასტის მძივები და სხვ. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ 4 ცხენის და 5 მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი და ოთხი ცხვარი.

გამთხრელის ვარაუდით გორასამარხი № 1 დაახლოებით ძვ. წ. XII ს. უნდა დათარიღდეს[38].

ჩაშვებული ორმოსამარხები, რომლებიც № 2 გორასამარხის ყრილში აღმოჩნდა, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. I საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს.

ორმოსამარხები წარმოადგენს ინდივიდუალურ სამარხებს, რომელშიც მიცვალებული ესვენა თავით დასავლეთით, მოხრილი კიდურებით, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე.

ექვსივე ორმოსამარხში ძირითადად თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, იშვიათად გვხვდება ბრინჯაოს მახათები და ბეჭდები. სამარხებში ჩატანებულია წვრილფეხა საქონელიც. № 1 სამარხში კი ხარის მთელი ჩონჩხი აღმოჩნდა.

ჭურჭლის კეცი დამზადებულია მსხვილი კენჭნარევი თიხისგან, მონაცრისფროდაა გამომწვარი. ზედაპირი უხეშია, მქისე. მთელი კორპუსი შემკულია ამ დროს კახეთის კერამიკისათვის დამახასიათებელი ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გორასამარხის ბულდოზერით გადასწორების დროს აქ აღმოუჩენიათ ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილიც.

10. ცხინვალის სატყეო კომბინატთან 1949 წელს პროფ. ბ. კუფტინმა შეისწავლა სამაროვანი, რომელზედაც აღმოჩნდა როგორც შუაბრინჯაოს ხანის, ისე შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის (№ 3,4) სამარხები. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესი გაურკვეველია, რადგან გათხრების შემორჩენილ დოკუმენტაციაში მათ შესახებ არაფერია თქმული.

---

[38] ვფიქრობთ, ეს სამარხი გარდამავალი ხანის უშუალოდ მომდევნო დროით, კერძოდ ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევრით, უფრო კი ძვ. წ. XIII ს. უნდა დათარიღდეს. ჩვენი ამ მოსაზრების დასაბუთება იხილეთ დასკვნით თავში.

11. ს ო ფ. გ ა დ რ ე კ ი ლ ი ს (ამჟამად სოფ. მახარაძე, გურჯაანის რაიონი) დასავლეთით ხევს გაღმა, ადგილ „ნასადგომარზე“ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისა და რკინის ხანის სამაროვანზე 1970 წ. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა სამარხი № 6.

სამარხი ოთხკუთხა ორმოს წარმოადგენს (სიგრძე 1, 80 მ; სიგანე 1, 15 მეტრი; სიგრძივ დამხრობილია NW—SO). სამარხის ცენტრალურ ნაწილში, უფრო მის NO კედლის მახლობლად, დასვენებულია მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NNW. მიცვალებულის პირისახის წინ კაჟის ათი ქუსლამოღარული ისრისპირი აღმოჩნდა. ყველა ისრისპირი ერთად ეწყო, წვერით ერთი და იგივე მიმართულებით და სრული შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ თავდაპირველად ისინი კარპაჭში უნდა ყოფილიყო ჩაწყობილი. სამარხის ნაწილი ჩონჩხის წინ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახევარში სრულიად ცარიელია, მაგრამ საფიქრებელია, რომ მიცვალებულის დაკრძალვისას აქაც რაღაც ნივთები იყო ჩატანებული, მაგრამ ისინი დალპა და ჩვენამდე აღარ შემორჩა. მაგალითად, რადგან მიცვალებულს ისრისპირები აქვს ჩატანებული, სავარაუდოა, მშვილდიც ექნებოდა ჩატანებული და სხვა.

სამარხის NW კედლის გასწვრივ თიხის რვა ჭურჭელი იყო ჩაწყობილი. თიხის ერთი ჭურჭელი მიცვალებულის გულმკერდზე იდო. მუცლის არეში კი ორი კონუსური ბრინჯაოს ღილი აღმოჩნდა.

თიხის ჭურჭლის უმეტესობა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის იერს ატარებს, მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რის გამოც „ნასადგომარის“ № 6 სამარხს ჩვენ ამ ორ პერიოდს შორის გარდამავალ საფეხურს მივაკუთვნებთ. ნასადგომარის სამაროვანზე ეს სამარხი უძველესია, ქრონოლოგიურად მისი თანამიმდევარია ამ სამაროვნის ქვედა ფენის სამარხები, რომლებიც № — 6 სამარხის ინვენტართან (კერამიკით) მჭიდრო გენეტიკურ კავშირში ჩანს.

„ნასადგომარის“ სამაროვანი, სოფ. გადრეკილთან, ნავენახარ ფართობს წარმოადგენს, „ხვინჭიანთ ხევის“ მარჯვენა ნაპირის გაყოლებით. სამაროვნის მთელ ტერიტორიაზე მიწა დაახლოებით 0,70 მეტრის სიღრმეზეა დაბრუნებული. სამაროვანი სიგრძივ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ თითქმის ერთი კილომეტრის სიგრძეზეა გაჭიმული, სიგანეზე კი სულ ორასიოდე მეტრზე ვრცელდება. ამ ფართობის ცენტრალურ ნაწილში ზედაპირულად რამდენიმე მრგვალი, დიდდიამეტრიანი, მცირე შემაღლება შეიმჩნევა. როგორც მუშაობის პროცესში გაირკვა, ეს შემაღლებები შექმნილია ამ ადგილებში დროთა განმავლობაში მცირემიწაყრილიანი გორასამარხების ყრილების გაერთიანებით. მცირე გორასამარხთა ყრილების გაერთიანება შესაძლოა გამოეწვია იმას, რომ ისინი ძალიან ახლო-ახლოა ერთიმეორესთან გამართული, ისე, რომ მათი ყრილის კიდეები უკვე თავდაპირველაც ერთიმეორეს ფარავდა. შემდგომ კი ეს პროცესი გაგრძელდა და დაჩქარდა მათ ყრილებში ორმოსამარხების გამართვის დროს.

გადრეკილის სამაროვანზე სამარხების განსაკუთრებული სიმჭიდროვე შეიმჩნევა სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში, განსაკუთრებით ზემოთ აღწერილ შემაღლებების მიდამოებში. აქ ხშირად სამარხები სამ იარუსადაა განლაგებული. ქ ვ ე დ ა — პ ი რ ვ ე ლ ი ს ა რ თ უ ლ ი ს სამარხებს წარმოადგენს მცირემიწაყრილიანი (დიამეტრი დაახლოებით 10 მ, სიმაღლე 1 მ) გორასამარხები. ისინი ჩვეულებრივ ორმოიანია — ორმო ოთხკუთხაა (ზომები საშუალოდ — სიგრძე — 1,80 მ; სიგანე — 1,40 მ; სიღრმე — 1 მ), სიგრძივ დამხრობილია NW—SO. სამარხები, როგორც წესი, ინჰუმაციურია. მიცვალებული წევს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით N. ერთ შემთხვევაში კამერის NW კედლის პირიდან 0,60 მ. მოშორებით მიწაში ჩარჭობილი რიყის მოზრდილი ქვა აღმოჩნდა.

სამარხებში, როგორც წესი, თითქმის მხოლოდ თიხის ჭურჭელი, ლითონის რამდენიმე სამკაული და ქვის მძივები გვხვდება.

თიხი ჭურჭელი დამზადების ტექნიკით, ფორმებით და ორნამენტით შუაბრინჯაოს ხანის ძალიან ბევრ ელემენტს ატარებს, თუმცა მათ გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის ტიპიური ნიშნებიც საკმაოდ მრავლად უჩანთ. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ეს სამარხები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს უნდა განეკუთვნოს.

ასევე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით, მაგრამ რამდენამდე მოგვიანო დროით უნდა დათარიღდეს გადრეკილის სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხთა ერთი ნაწილი. მათი

ორმო ოთხკუთხია, სიგრძივ გორასამარხთა კამერების მსგავსად დამხრობილი. მათში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ატარებს შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ელემენტს, მაგრამ აქ გვიანბრინჯაოს ხანის ნიშნები აშკარად ჭარბობს. ამ სამარხებში უკვე ბრინჯაოს იარაღიც ჩნდება — შუბისპირი, ბრინჯაოს ბოლობასრი (როგორც ჩანს შედგენილტარიანი) მახვილისპირი, ბრინჯაოს ოთხყურა ქვაბი და სხვ.

„ნასადგომარის" სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში, გორასამარხების ყრილებში კიდევ ორ იარუსადაა სხვადასხვა დროის ორმოსამარხები ჩაჭრილი. მათი ორმოები ოთხკუთხია გორასამარხების ორმოების მსგავსი დამხრობით. ყველა სამარხი ინჰუმაციურია, მიცვალებულები ჩვეულებრივ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე წვანან კიდურებმოხრილნი. ამ სამარხების ერთი ნაწილი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით, მეორე კი — ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

12. „ოლიების მიწის" სამაროვანი (გულგულა I)[39] მდებარეობს სოფ. გულგულის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თურდოს მარცხენა ნაპირზე, სოფლიდან დაახლოებით ორი კილომეტრის დაცილებით.

აქ სამარხები მეტად მჭიდროდაა განფენილი და ზოგიერთ შემთხვევაში ერთიმეორეზე ხუთ სართულადაც კია განლაგებული. სამარხები მოგრძო ოთხკუთხ ორმოებს წარმოადგენს. ისინი სიგრძივ, როგორც წესი, დამხრობილნი არიან NW — SO. ქვედა სართულების სამარხებს ძალიან ხშირად რიყის ქვის მცირე ყრილები აქვთ. ყველა სამარხი ინდივიდუალურია და ინჰუმაციური. მიცვალებულები დაკრძალული არიან კიდურებმოხრილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე თავით NW. ზოგჯერ მიცვალებული თიხის ჭურჭლებზეა მთლიანად დასვენებული, ზოგჯერ კი თიხის ჭურჭლებზე მისი მხოლოდ ქვედა კიდურებია დასვენებული. უმეტესად მიცვალებულები სამარხის ცენტრშია დაკრძალული და თიხის ჭურჭლები გარშემო აქვთ შემოწყობილი. სამარხები გამოირჩევა თიხის ჭურჭლის სიმრავლით, ზოგჯერ ერთ სამარხში 60-მდე ერთეულია ჩატანებული. ამის გამო სამარხში თიხის ჭურჭლები ხშირად ორ, სამ და ოთხ სართულადაც კია განლაგებული. დაკრძალვის წეს-ჩვეულებისა და სამარხში ჩატანებული ინვენტარის მიხედვით აქ ერთი და იგივე მოსახლეობის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ სამაროვნის ფუნქციონირების მთელ პერიოდში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამავე დროს, ზედა სართულის სამარხები ალაზნის ზემო დინებისათვის ტიპიურ მასალებს შეიცავენ, ქვედა სართულის სამარხთა ინვენტარს კი შემორჩენილი აქვს შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის არა ერთი ელემენტი — კეცის დამუშავება, ფორმები. ზოგიერთი ორნამენტული სახე თარიღდება გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურით და თანადროულ მასალებს მიემსგავსება საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე.

„ოლიების მიწის" სამაროვნის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ აქ სამარხებში, როგორც წესი, მსხვილფეხა საქონლის ძვლები გვხვდება.

13. „სათვალისწყლის სამაროვანი" (გულგულა II)[40]. ადგილი „სათვალისწყალი" მდებარეობს სოფ. გულგულის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამიოდე კილომეტრის მანძილზე. სამაროვანი აღმოჩნდა თელავისა და მაწანწარას ხევებისათვის კოლექტორის კალაპოტის გაჭრის დროს, დაახლოებით 3—3,5 მ სიღრმეზე.

სამარხები ჩვეულებრივ ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს, რიყის ქვის მცირე ყრილით, ორმოსამარხის სიგრძივ, როგორც წესი, დამხრობილია NW—SO ან იშვიათად W—O. „სათვალისწყლის" სამაროვნის სამარხები, ისევე როგორც კახეთში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ყველა სამარხი, ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული. ყველა სამარხი ინდივიდუალურია და ინჰუმაციური. მიცვალებულები წვანან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NW ან W.

სამარხეულ ინვენტარში რაოდენობრივად დიდი სხვაობაა, რაც აშკარად მიგვითითებს თანადროულ საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაციის არსებობაზე.

---

[39] ამ სამაროვანზე გათხრით სამუშაოებს ვატარებდით 1956, 1968 და 1969 წლებში (165; 166).

აქ სულ 24 სამარხი და სამარხის ნაშთი გაითხარა.

მასალა სათანადო დოკუმენტაციით ინახება თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში.

[40] 1968—1969 წწ. საველე მუშაობის პერიოდში კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ სულ 20 სამარხი შეისწავლა. მოპოვებული მასალა სათანადო დოკუმენტაციით ინახება თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში.

თითქმის ყველა სამარხში მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხის ძვლები აღმოჩნდა, ზოგში კი—მთელი ძროხისა.

სამარხებში აღმოჩენილი მასალის ერთი ნაწილი სამარხთა უმეტესობას გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურით ათარიღებს, მეორე ნაწილი კი რამდენიმე სამარხს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს მიაკუთვნებს.

14. არგოხის სამაროვანი[41] მდებარეობს სოფ. არგოხის NO, დაახლოებით 600—700 მეტრის დაცილებით, ფშაველისკენ მიმავალ გზაზე. ერთი სამარხი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მისი შესწავლა არ მოხერხდა. მეორე სამარხი წარმოადგენს მოგრძო ორმოს (1,80×1,20 მ), რომელიც სიგრძივ დამხრობილია SO—NW.

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, თავით SO.

ჩონჩხთან ბრინჯაოს სხვადასხვა სამკაული და სარდიონის მძივები იყო თავმოყრილი. თიხის ჭურჭლები განლაგებული იყო სამარხის ორმოს SO და NO კედლების გასწვრივ. სამარხში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის სამი ინდივიდის თავ-ფეხის ძვლები. სამარხეული ინვენტარი დაახლოებით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით უნდა დათარიღდეს.

15. საკობიანოს სამაროვანი მდებარეობს პანკისის ხეობაში, სოფ. საკობიანოს (ახმეტის რაიონი) ჩრდილო-დასავლეთით[42]. აქ გაითხარა 21 სამარხი. ყველა ოთხკუთხი ორმოსამარხია (1,35×0,85 მ-მდე სიგრძე; 1×0,60 მ-მდე სიგანე), სიგრძივ დამხრობილია N—S. სამარხებს, როგორც წესი, აქვთ ერთი ან ორფენიანი ქვის ყრილი, რომელიც სამარხის ორმოს კონტურებით იფარგლება. სამარხები ინდივიდუალურია, ინჰუმაციური, ჩონჩხი და სამარხეული ინვენტარი უმეტესწილად მეტად ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მიუხედავად ამისა დგინდება, რომ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავი SSW, მამაკაცებს მარჯვენა, ქალებს მარცხენა გვერდზე.

მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ ბრინჯაოს სამკაულები და თიხის ჭურჭლები. თიხის ჭურჭლისა და სამკაულის ერთი ჯგუფი აშკარად ჩრდილო-კავკასიური წარმოშობისაა, არსებითია, რომ სამარხების კონსტრუქცია, ოთხკუთხი ყრილით, ამავე მხარის ძეგლებთან იჩენს სიახლოვეს. თიხის ჭურჭლის მიხედვით აღნიშნული სამარხები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება (167, გვ. 92).

16. „გორა მიწის" სამაროვანი (ბაკურციხე I) მდებარეობს სოფ. ბაკურციხის ჩრდილოეთით, ალაზნის ველზე, კოლმეურნეობის ვენახებში, შემაღლებულ ადგილზე. აქ, როგორც ჩანს, ადრეულ მიწაყრილიან გორასამარხზე ორმოსამარხები გაუმართიათ, რომელთა ნაწილი მეცნიერულად იქნა შესწავლილი 1938 წ. და ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულით დათარიღდა (54).

17. „ბაკურციხის სამაროვანი" (ბაკურციხე II) მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირა ნაწილში, გომბორის ქედის ჩრდილო ფერდზე, ქუმსიაშვილების კარმიდამოს ტერიტორიაზე და ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის ეზოში. აქ ტექნიკუმის ახალი შენობების აგებისას მთელი რიგი სამარხებისა დაზიანდა. აღმოჩენის ადგილზე 1968 წ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მეთვალყურეობით, მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა[43].

ყველა დაზიანებული სამარხი ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს. მათში აღმოჩენილი ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს მახვილების მიხედვით ეს სამარხები ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება.

1968 წ. გათხრილი სამარხები ადრე დაზიანებულ სამარხებზე ღრმად მდებარეობს. ყველა სამარხი ამოჭრილია მიწაში ოთხკუთხი ორმოს სახით და სიგრძივ, როგორც წესი, დამხრობილია NW—SO, ყველა სამარხი ინდივიდუალური და ინჰუმაციურია. მიცვალებულები დასვენებულია მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დამხრობილი NW.

ნიშანდობლივია, რომ აქ გათხრილ სამარხე-

[41] აღმოაჩინა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ისტორიული გეოგრაფიის რაზმმა (ხელმძღვანელი დ. მუსხელიშვილი). მასალა სათანადო დოკუმენტაციით ინახება თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში.

[42] საკობიანოს სამაროვნის მასალები გამოქვეყნებულია (167, გვ. 89—95).

[43] მონაპოვარი მასალა სათანადო დოკუმენტაციით ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში, ინვ. № IV 1—93/1968.

ბში, როგორც წესი, მხოლოდ წვრილფეხა საქონლის — ცხვრის ძვლები გვხვდება, მაშინ როდესაც ალაზნის ველის ზემო დინებაში, თანადროულ სამარხებში თითქმის მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ძვლებია ჩატანებული.

ბაკურციხის სამარხები, სამარხეული ინვენტარის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურს უნდა მიეკუთვნოს.

18. ღრმაღელის სამაროვანი მდებარეობს ქ. თბილისის ჩრდ.-დასავლეთ გარეუბანში. აქ ბულაჩაური — თბილისი — რუსთავის წყალსადენის მშენებლობის დროს დაზიანდა გვიანბრინჯაოს ხანის ორმოიანი გორასამარხები მიწის მცირე ყრილით (რომელიც ბრტყელი ქვებით იყო მოგებული) ან წმინდა ქვაყრილით. ორმო, როგორც წესი, ოთხკუთხია, მოგრძო, სიგრძივ NS დამხრობით. ყველა სამარხი ინდივიდუალურია და ინჰუმაციური. მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით N. სამარხებში თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს ნივთებთან ერთად უმეტესწილად მსხვილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა ჩატანებული.

დ. ქორიძე ამ სამარხებს სრულიად სამართლიანად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნებს და ძვ. წ. XIV—XIII სს. ათარიღებს (74, გვ. 80—152).

19. ორხევის (ნავთლუღის) სამაროვანი თბილისის აღმოსავლეთ გარეუბანში აღმოჩნდა. ყველა შესწავლილი სამარხი მოგრძო ორმოს წარმოადგენს. ის სამარხები, რომლებიც უკეთაა დაცული, ოთხკუთხია, სიგრძივ დამხრობილი N—S ან SO—NW. ყველა სამარხი ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით N ან NW.

1950 წ. აღმოჩენილ სამარხებს, სამარხეული ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. XII—XI სს. ათარიღებენ (74, გვ. 152—209; 73), ხოლო 1955 წ. აღმოჩენილ სამარხს ძვ. წ. XIII—XII სს. კუთვნილად თვლიან (106, გვ. 34—40).

20. მადნის ჭალის სამაროვანი მდებარეობს მდინარე ალგეთის შუა დინებაზე, მდინარის მარცხენა ტერასაზე. მისი ფართობი დაახლოებით 7 ჰექტარს უდრის, აქ აღმოჩნდა:

1. ორი ტიპის ორმოსამარხები — გეგმაში ოთხკუთხი და ოვალური.

ყველა ისინი ქვის ფილებით იყო გადახურული. ზოგიერთ სამარხს რიყის ქვის მცირე ყრილი ჰქონდა.

2. ქვისსამარხები ოთხკუთხი ფორმის, შეკრული ბრტყელი ქვიშაქვის ფილებისაგან.

3. ქვისწრეებიანი სამარხები. წრეები გარშემოუყვება როგორც ქვისსამარხებს, ისე ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებს. ამ სამარხების უმეტესობას ზევიდან მიწაყრილი უკეთდებოდა, ზოგიერთი მათგანი კი ამას გარდა კიდევ ქვის ყრილით იფარგლებოდა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ავსებდა სამარხის გარშემოყოლებულ წრეს. ზოგიერთ სამარხს ქვებისაგან ნახევარწრე ჰქონდა შემოყოლებული.

4. გორასამარხები რიყის ქვის ყრილით. ერთი გორასამარხის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ერთი, ხოლო მეორის ყრილის ქვეშ—ორი კრომლეხი. პირველი გორასამარხის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომელიც ძირითად სამარხადაა მიჩნეული, მის გვერდით კი მცირე „სამარხი“ გაიწმინდა, გამთხრელის აზრით, საკურთხევლის დანიშნულებისა. პირველი გორასამარხის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, კრომლეხებს შორის კიდევ ერთი ცარიელი ქვისსამარხი აღმოჩნდა, რომელიც ნ. თუშიშვილის აზრით, სარიტუალო მიზნებისათვის იყო აგებული. მეორე გორასამარხის ყრილის ქვეშ ასევე სამი თანადროული სამარხი ყოფილა გამართული. ერთ-ერთი მათგანი გამთხრელს მიაჩნია მთავარი მიცვალებულისათვის შენაწირავი „ჩაქოლილი“ ადამიანის სამარხად (168, გვ. 745—748; 169, გვ. 7—11).

ნ. თუშიშვილის აზრით, მადნისჭალის სამაროვანზე მიცვალებულებს ასაფლავებდნენ სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით: მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს — ცალ-ცალკე, მათთვის გამოყოფილ სათანადო უბნებზე. მიცვალებულები დაკრძალული არიან გვერდზე, კიდურებმოხრილი — ქალები მარცხენა გვერდზე, კაცები — მარჯვენაზე.

ნ. თუშიშვილის აზრით, მადნისჭალის სამაროვანზე ქვისსამარხისა და ორმოსამარხის გვერდით ძელსამარხებიც არსებობდა. იგი მადნისჭალის სამაროვანს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნებს და ძვ. წ. XIV საუკუნით და ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისით ან პირველი ნახევრით ათარიღებს (168, გვ. 747; 169, გვ. 25).

21. „ჩ ა ლ ი ა ნ ი ს“ ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს სოფ. მელაანის დასავლეთით, ჩალიანის ხევის მარცხენა, დაფერდებულ ნაწილში. სამაროვნის ტერიტორია მოხნულია და სამარხები ძლიერ დაზიანებული. სამაროვანი დიდ ფართობს მოიცავს (1000×300 მ). 1959 წ. ჩვენ აქ ექვსი სამარხი შევისწავლეთ. ყველა სამარხი ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს. მიცვალებულები დასვენებულია მარცხენა (ქალები) ან მარჯვენა (კაცები) გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით N ან NW. სამარხები ხის ძელებით ყოფილა გადახურული. სამარხები ზოგან ორ იარუსადაა განლაგებული. ქვედა სართულის სამარხები ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს ეკუთვნის, ზედა კი — ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს.

სამარხებში მიცვალებული ცენტრალურ ნაწილშია დასვენებული და გარშემო თიხის ჭურჭლები აქვს შემოწყობილი. ჩონჩხთან გვხვდება ლითონის იარაღი და სამკაული. ერთ შემთხვევაში მიცვალებულს თავი ხელსაფქვავის ქვაზე უდევს.

22. წ ო ფ ი ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს წოფისწყლის ხევის მარცხენა ნაპირზე, წოფის ციხის დასავლეთით, მისგან ექვსასიოდე მეტრის მანძილზე და უკავია დაახლოებით 1,5 ჰექტარი.

სამაროვანი შეიცავს ორმოსამარხებს და ქვისსამარხებს. ორმოსამარხებიდან გვხვდება: მიწაყრილიანი, ქვაყრილიანი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. ქვისსამარხებიდან გაითხარა: ნაგლეჯი ქვებით ნაგები სამარხი, ქვის ფილებისაგან შეკრული სამარხები და ამგვარივე სამარხები, რომლებსაც ქვის სამარხის ზევით, იმდროინდელი მიწის ზედაპირზე ნაგლეჯი ქვებისაგან შემდგარი 3 მ დიამეტრის მქონე წრე ჰქონდა შემოვლებული. ყველა სამარხი ინდივიდუალურია.

მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილი კიდურებით. მამაკაცები ასვენია მარჯვენა გვერდზე, დედაკაცები — მარცხენაზე.

ქვაყრილიან ორმოსამარხებს გარდა სხვა ტიპის სამარხებისათვის დამახასიათებელია მიცვალებულის დასაფლავება თავით დასავლეთისაკენ.

სამაროვანი, დაახლოებით, ძვ. წ. XIII—V სს. თარიღდება. ყველაზე ადრეული ქვისფილებიანი ორმოსამარხები. მათ მოსდევს ქვისსამარხები. ყველაზე გვიანია მიწაყრილიანი და ქვაყრილიანი ორმოსამარხები. გვხვდება სხვადასხვა ტიპის სამარხების თანაარსებობის შემთხვევებიც.

წრიულ სამარხებში გვარის დაწინაურებული წევრები უნდა იყოს დასაფლავებული. ამ სამარხებს სამაროვანზე ვიწროდ შემოფარგლული ტერიტორია უჭირავს (170, გვ. 17—18).

23. „ტ ი ნ ი ს ს ე რ ი ს“ ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის ჩრდილო განაპირას, გომბორის ქედის სამხრეთ კალთაზე, სამაროვნის თანადროული გორა-ნამოსახლარ — „ტინის სერიდან“ სულ რაღაც სამასიოდე მეტრის მანძილზე, ნამოსახლარის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მთის ფერდზე.

სამაროვნის მთელი ფართობი ამჟამად სოფ. ჩალაუბნის ტერიტორიაზეა და დაკავებულია სოფლის მცხოვრებთა სახლებითა და საკარმიდამო ნაკვეთებით. სამაროვანი ძლიერაა დაზიანებული. შემთხვევით მონაპოვარში გამოირჩევა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი მასალები (282, გვ. 367) — ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირები მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრები, ბრინჯაოს მახვილი, რკინის შუბისპირი და სხვ.

სამარხები ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს[44]. სიგრძივ დამრხობილია SW—NO; W—O (სამარხი ორმოს ზომებია 1×1,35; 1,36×1,32; 1×0,96 მეტრი) მიცვალებულები დასვენებულია მარცხენა (ქალები) ან მარჯვენა (კაცები) გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NO და O. სამარხებში ჩონჩხთან კონცენტრირებულია ლითონისა და ქვის სამკაულები, ლითონის იარაღი, ჩონჩხის ირგვლივ კი თიხის ჭურჭლებია განლაგებული.

24. „რ ც ხ ი ლ ი ს ს ე რ ი ს“ სამაროვანი მდებარეობს სოფ. ჩალაუბნის სამხრეთით, „რცხილის სერის“ გორა-ნამოსახლარის სამხრეთით სამასიო-

[44] კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ ათიოდე სამარხი შეისწავლა. მასალა სათანადო დოკუმენტაციით დაცულია გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

დე მეტრის მანძილზე (ტაბ. VI$_1$), ორ ხევს შორის მოქცეულ მცირე კონცხზე.

სამაროვანი მეტად პატარა ფართობზეა გამართული და დროის საკმაოდ შეზღუდულ პერიოდში უმოქმედია, კერძოდ კი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში და ზუსტად თანხვდება ნამოსახლარ „რცხილის სერის" კულტურული ფენის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

გარდა იმისა, რომ სამაროვნის ტერიტორია ძლიერაა გადარეცხილი და ამჟამად სამარხები თითქმის მიწის ზედაპირზეა გამოჩენილი, ყველა მათგანი ძველადვე გაძარცულია და ერთიმეორეში შერეულია თიხის ჭურჭლისა და ადამიანის ჩონჩხის ნაწილები.

მიუხედავად ამისა, აქ ჩატარებულმა სამუშაოებმა ცხადყვეს: ყველა სამარხი ორმოიანია, მიცვალებული[45] დასვენებულია მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით N.

25. ყვარელწყლის სამაროვანი მდებარეობს პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ყვარელწყალსა და სოფ. კუწახტას შორის. აქ, 1966 წელს სოფ. ყვარელწყლის სამხრეთით 500 მეტრის მანძილზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მშენებლობამ (№ 12 და 13 პიკეტი) დააზიანა რამდენიმე სამარხი, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილები, შუბისპირები, სარდიონის მძივები და სხვ. მშენებლობამ ორმოსამარხები დააზიანა ყვარელხევას მარცხენა ნაპირზეც. ყველა ეს სამარხები ერთ სამაროვანს უნდა ეკუთვნოდეს. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ შეისწავლა ოთხი ორმოსამარხი, ერთი — სრული, სამი — ძლიერ დაზიანებული[46].

სამარხები ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს, სიგრძივ დამხრობილია NW—SO. მიცვალებული დასვენებულია მარცხენა (ქალები) ან მარჯვენა (ვაცები) გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით SO. სამარხებში ჩონჩხის ირგვლივ მრავლადაა ჩაწყობილი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს იარაღ-სამკაული. № 3 სამარხში მიცვალებულს წელზე ბრინჯაოს ჯაჭვის სარტყელი ერტყა, რომელზედაც ღორის ეშვი იყო ჩამოკიდებული. ამ სამარხში ბრინჯაოს მახვილთან და სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირიც, რომელიც როგორც ჩანს, სამარხში ტარიანად ჩაუტანებიათ. ტარის სიგრძე ამ შემთხვევაში რომ დაახლოებით 2,40 მ მაინც უნდა ყოფილიყო და სამარხის სიგრძეს (ამ შემთხვევაში ორ მეტრს) აღემატებოდა, ამაზე ცხადად მიგვითითებს შუბისპირის მდებარეობა. იგი აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში, წვერით კუთხისკენ და თანაც სხვა ინვენტარისაგან საკმაოდ მაღლა (სამარხის ფსკერიდან 0,30 მ სიმაღლეზე).

შუბისპირის ამგვარი მდებარეობა იმით უნდა იყოს განსაზღვრული, რომ, როგორც ჩანს, შუბს სამარხში მიცვალებულის ჩასვენებისას და მთელი ინვენტარის ჩაწყობის შემდეგ დებდნენ დიაგონალურად, მაგრამ რადგან მისი ტარი ამ შემთხვევაშიც გრძელი იყო, შუბისპირი სხვა ინვენტარზე მაღლა წვერით კედელზე აღმოჩნდა მიბჯენილი.

შუბისპირის ამგვარი წესით ჩატანება დამახასიათებელი ყოფილა კახეთის უფრო ადრეული სამარხებისთვისაც. ამაზე მიგვითითებს, მაგალითად, გულგულა I სამაროვანზე გათხრილი არა ერთი სამარხი, სადაც მამაკაცების სამარხების გაწმენდისას შუბისპირი ყველა ინვენტარზე მაღლა გვხვდებოდა და თანაც ყოველთვის სამარხის კუთხეში, წვერით კუთხისაკენ.

ადამიანის დაკრძალვის შემდეგ სხვადასხვა რიტუალური წესების ჩატარებაზე უნდა მიგვითითებდეს № 3 სამარხის თავზე, სამარხის ფსკერიდან 0,70 მ სიმაღლეზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომელიც სამარხეული ინვენტარის იდენტურია.

მსგავსი შემთხვევები გვაქვს გულგულის სამაროვანზე, ულიანოვკის გორასამარხებში, სამთავროს სამაროვანზე (პატარა მწყემსის სამარხი) და სხვ.

ალაზნის ველის სხვა სამაროვანთა მსგავსად ყვარელწყლის სამარხებშიც, როგორც წესი, მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხია ჩატანებული.

ყვარელწყლის სამარხები ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება.

26. ქვემო გოსტიბეს სამაროვანი მდებარეობს კასპის რაიონში, მეტეხის სამხრეთით 21—22 კმ-ის დაცილებით, სოფ. ქვემო გოსტიბეში, გოსტიბის წყლის მარჯვენა ნაპირას. სამაროვანი ცნობილი გახდა 1930 წელს, როდესაც ამ სოფლის ადგილობრივმა მცხოვრებმა საქართველ-

[45] მასალა ინახება გმმ ფონდებში.

[46] მასალა სათანადო დოკუმენტაციით ინახება თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ლოს სახელმწიფო მუზეუმში შემოიტანა ბრინჯაოს კახური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, კოლხური ცული და თიხის ჰურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც, მისი ცნობით, რიყის ქვით ნაგები სამარხიდან მომდინარეობდა და მჯდომარე პოზაში დასვენებულ მიცვალებულს ახლდა (67, გვ. 9).

1948 წ. ამ სამაროვნის მოხილვისას ტ. ჩუბინიშვილმა დაადგინა, რომ ქვემო გოსტიბეს სამაროვნისათვის დამახასიათებელია ორმოსამარხები, რომლებიც ზოგჯერ გადახურულია ქვის ფილებით, ზოგჯერ კი მათზე დაზვინულია რიყის ქვის მცირე გროვები და სამარხებში გვერდზე, კიდურებმოხრილი მიცვალებულებია ჩასვენებული (67, გვ. 16—17). ეს თავისთავად აბათილებს იმ წარმოდგენებს, რომელიც ძველის პირველი აღმომჩენის ცნობების მიხედვით შეიქმნა ქვემო გოსტიბეს სამარხთა კონსტრუქციაზე და დაკრძალვის წესზე (შდრ. 40, გვ. 103).

ავტორთა ნაწილი ქვემო გოსტიბეში 1930 წ. აღმოჩენილი მასალის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს თვლის (67, გვ. 11), ტ. ჩუბინაშვილი კი მას ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის კუთვნილად მიიჩნევს (67, გვ. 11), თუმცა 1948 წ. აქვე მოპოვებული მასალის ერთ ნაწილს იგი გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურს მიაკუთვნებს (50, გვ. 51), მეორეს კი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს (67, გვ. 23—27).

27. თ ე თ რ ი   წ ყ ლ ე ბ ი ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1949 წელს, როდესაც აქედან თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ბრინჯაოს მახვილები და მისი თანმხლები სხვა ინვენტარი იქნა შეტანილი. 1953 წ. სოფლის ცენტრში ელექტროსადგურის მშენებლობის დროს კვლავ მრავლად აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარი. 1966 წ. აქ მცირე გათხრითი სამუშაოები ჩატარდა. გაითხარა ექვსი ორმოსამარხი. სამარხები ოთხკუთხია (1,60 X 1 მ; 1,40 X 1 მ), სიგრძივ დამხრობილია W—O. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა გვერდზე (თეთრწყლებში აღმოჩენილი ყველა სამარხი მამაკაცისაა), ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით W. ზოგჯერ მიცვალებულები პირდაპირ თიხის ჭურჭლებზეა დაკრძალული და შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათ თავდაპირველად მჯდომარე პოზა ჰქონდათ და მხოლოდ შემდეგ დაემხვნენ სამარხში ჩატანებულ ინვენტარზე.

სამარხეული ინვენტარის მიხედვით თეთრი წყლების სამაროვნის შესწავლილი სამარხები ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება (167, გვ. 101 — 107).

28. ს ა მ თ ა ვ რ ო ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ქ. მცხეთის ჩრდილო განაპირა ნაწილში.

ამ სამაროვანზე ჩვენთვის საინტერესო ხანის ორი ტიპის სამარხებია ცნობილი: გორასამარხები და ორმოსამარხები (71, გვ. 54—61; 10, გვ. 163—166).

გორასამარხები ორმოიანია. სამარხი ორმო ხშირად ქვის ფილითაა გადახურული. ამ სამარხებს მიწის ზედაპირზე რიყის ქვის წრე აქვს შემოვლებული, წრის შიდა არეში კი მიწის ზვინულია, რომელიც ზევიდან ისევ რიყის ქვებითაა მოგებული. სამარხთა ეს ტიპი იშვიათია, ყოველთვის მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა, სამაროვანზე ჯგუფებადაა განლაგებული და, როგორც წესი, მამაკაცთა სამარხებია.

ორმოსამარხები აღნაგობით მეტ-ნაკლებად სწორკუთხოვანი მოყვანილობის, სხვადასხვა ზომის (1,2 XO, 6—2, OX1,8 მ) ორმოებს წარმოადგენენ. სამარხთა უმრავლესობა დამხრობილი იყო W—O, რაც სამარხში დაკრძალულ მიცვალებულთა დამხრობას შეესაბამებოდა. დანარჩენისათვის დამახასიათებელი იყო ან N—S ან S—N დამხრობა. სამარხი ორმოები თავდაპირველად ხის ძელებით და შემდეგ მიწით უნდა ყოფილიყო გადახურული. სამარხთა 65% სადა ორმოსამარხებია. ზოგიერთი სამარხის პირს კი ერთპირი ქვებისაგან შედგარი სწორკუთხი წყობა შემოუყვება. ზოგს წრიული, ოვალური ან სწორკუთხა ასეთივე წყობა ძირზე შემოსდევს. ზოგ ორმოსამარხს ზევიდან მცირე ქვაყრილი ჰქონია, ზოგი კი ფილაქვით ყოფილა გადახურული. ქვის ფილით გადახურვა განსაკუთრებით ხშირია გვიანდელ ორმოსამარხებში. ორმოსამარხთა უმეტესობა ინდივიდუალურია; მიცვალებული წევს მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, ხელფეხმოხრილი. არის თითო-ოროლა შემთხვევა მიცვალებულის ზურგზე, კიდურებგაშოტილად დაკრძალვისა.

ამ ორმოსამარხებსა და გორასამარხებს ძვ. წ. XIII—V სს. ათარიღებენ.

29. კავთისხევის სამაროვანი მდებარეობს დამპალოს ქედზე. აქ შემთხვევით აღმოჩნდა სამარხეული კომპლექსი, რომელშიც შედის ბრინჯაოს აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცული, წინააზიური მახვილი და სატეხი, რომლებიც ზოგადად დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს (74, გვ. 166).

სამარხის კონსტრუქცია და მიცვალებულის დაკრძალვის პოზა უცნობია.

30. მეტეხის სამაროვანზე (კასპის რაიონი) შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ყუაშვერილიანი ცული, მასრაგახსნილი შუბისპირი და ტარშეურჩენელი განიერქედიანი სატევარი, სატეხი და თიხის ორი ჭურჭელი (74, გვ. 166). სამარხეული ინვენტარი დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სამარხის კონსტრუქცია და მიცვალებულის დაკრძალვის პოზა უცნობია.

31. იგოეთის სამაროვანი აღმოჩნდა თბილისი — გორის გზატკეცილის გაფართოების დროს სოფ. იგოეთთან. აქ მოპოვებული მასალა (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ბრტყელი ცული, საჭრისისებური იარაღი, შუბისპირი, რკინის ლაგამი და სხვ.)[47] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება (171, გვ. 58).

32. კასპის სამაროვანი ქ. კასპის რკინიგზის სადგურის მოედანზე მდებარეობს. აქ 21 სამარხი გაითხარა. სამარხები წარმოადგენს მოგრძო სწორკუთხა ან ოვალური ფორმის ორმოებს (2X 15 მ; 1,8X1. 25 მ; 1,5X1, 1 მ და სხვ.). სამარხები ძირითადად ორი ტიპისაა — ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი. ორმოები ხის ძელებით ჩანს გადახურული. ორ მოგვიანო სამარხში დადასტურდა ფიქალის ფილებით გადახურვა. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილი კიდურებით, მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება გაშოტილი დაკრძალვაც (N 4 და N 18 სამარხი). ერთ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩენილა, გამთხრელის აზრით ეს სამარხი კენოტაფს წარმოადგენს.

კასპის სამაროვანი ძვ. წ. XIV—VIII სს. თარიღდება (171, გვ. 60).

33. ხოვლეს სამაროვანი აღმოჩნდა ხოვლეგორას ნამოსახლარის სამხრეთით. მისი ფართობი ერთ ჰექტარს სცილდება. როგორც ჩანს, სამაროვანი ერთფენიანია, სამაროვნის ყველა მიკვლეულ უბანს ახასიათებს სამარხთა ჯგუფური განლაგება. სამარხთა ჯგუფები ქრონოლოგიურ-ტიპობრივ ნაირსახეობას იჩენენ.

უძველესია გორასამარხის ტიპის სამარხები, რომლებიც ხოვლეგორას სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებს გარეთ ექცევა.

მომდევნო სხვადასხვა დროისა და ტიპის სამარხები ისაზღვრება ხოვლეგორას სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიით, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მიწის სამუშაოების დროს ზიანდებოდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ორმოსამარხები (172, გვ. 14).

მიცვალებულები დაკრძალულია კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე.

34. ალაიანის სამაროვანი. ალაიანის ღვინის ქარხნის აღმოსავლეთით 0,5 კმ მანძილზე მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს — მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრტყელი შვერილებიანი ცული, ირმის ქანდაკება, სამაჯური, მახვილი; თიხის ჭურჭელი და სხვ.[48].

მოპოვებული მასალის კომპლექსი აშკარად მიუთითებს მის სამარხეულ წარმომავლობაზე, რომელიც ძვ. წ. XI—X სს. თარიღდება (171, გვ. 57; 173).

35. ნოსტეს სამაროვანი. სოფ. ნოსტეს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ერთი სამარხი შეიცავდა ბრინჯაოს — ფოთლისებურ, წელშეზნექილ სატევარს; დაკუთხულგვერდებიან საკინძს და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. სამარხს ძვ. წ. XIII ს. აკუთვნებენ (171, გვ. 58).

36. უფლისციხის სამაროვანი მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე და საკმაოდ მოზრდილი ფართობი უკავია. აქ შემთხვევით გამოვლინდა ოთხი ორმოსამარხი, რომლებიც მათში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება (89, გვ. 50—52).

37. ქისტაურის სამაროვანი მდებარეობს სოფლის სამხრეთით, ადგილ კაკლებში, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო, ალაზნის ველში

[47] მასალა ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში №№ 3153—3166; 3992—3995.

[48] ალაიანში აღმოჩენილი მასალები ინახება სსმ ფონდებ. ში ინვ. № 26—61/1—9 და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

გარდამავალ ფერდზე. სამაროვნის ტერიტორია იმდენადაა გადარეცხილი, რომ სამარხეული ინვენტარი ხშირად მიწის ზედაპირზე მოჩანს. ამის გამო ხვნა-თესვის დროს აქ ბევრი სამარხი ზიანდება.

კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღნიშნულ სამაროვანზე შეისწავლა 19 სამარხი. სამარხები ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს (1,55X1, 10 მ; 1,60×1,55 მ; 1,80×1,30 მ და სხვ.). ისინი სიგრძივ უმეტესად დამხრობილია W—O. მიცვალებულები დაკრძალულია კიდურებმოხრილი, მამაკაცები უმეტესად მარჯვენა, ქალები მარცხენა გვერდზე. თავით მიცვალებულები უმეტესად დამხრობილია N, N, O, O, თუმცა გვხვდება SSO SSW დამხრობაც.

სამაროვანი ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება (167, გვ. 95—101).

38. წითელწყაროს სამაროვანი შემთხვევითაა აღმოჩენილი. სამარხთა ტიპი და დაკრძალვის წესი უცნობია. მონაპოვარი მასალის მიხედვით (ბრინჯაოს მახვილის იმიტაცია, ყუნწიანი სატევრისპირი და სხვ.)[49] იგი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითაა დათარიღებული (66, გვ. 123—131).

39. დმანისის სამაროვნისათვის ქვისსამარხებია დამახასიათებელი. სამარხები ნაგებია ბრტყელი ქვებით. რადგან ქვაყუთები ძალიან მოკლეა, გამთხრელი გ. ნიორაძე ფიქრობს, რომ მიცვალებული მჯდომარე პოზაში იყო დაკრძალული, თუმცა არ გამორიცხავს იმასაც, რომ შესაძლოა მიცვალებულები ამ სამარხებში ძლიერ მოხრილი კიდურებით გვერდზე ყოფილიყვნენ დაკრძალული. მისი აზრით, სამარხების ინვენტარი ტიპიურია შიდა ქართლის მასალებისა და ძვ. წ. X—IX სს. თარიღდება (48; 47, გვ. 1—56).

40. იყალთოს სამაროვანი შეისწავლა გ. გოზალიშვილმა 1933 წ. (45)[50]. აქ ორი სხვადასხვა პერიოდის სამაროვანი აღმოჩნდა. სანიორეს მთის კალთებზე მდებარე სამაროვანი წარმოდგენილია ორმოსამარხებით. სამარხებში მიცვალებულები კიდურებმოხრილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზეა დაკრძალული.

გ. გოზალიშვილის აზრით, ორმოსამარხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება.

მეორე სამაროვანი გვიანფეოდალური ხანისაა.

41. ხირსის სამაროვანი მდებარეობს სიღნაღის რაიონში, ხირსის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომელთა დასახლების ჩრდილოეთით, ივრის პლატოს ჩრდილო ფერდზე, იქ, სადაც იგი ალაზნის ველში გადადის, ყოლოთის ხევის მარცხენა ნაპირიდან მოყოლებული დასავლეთით თითქმის 800 მეტრის მანძილზე. აქ ვენახის დასაცავად თხრილის გავლების დროს მრავალი ორმოსამარხი დაზიანდა. მონაპოვარი მასალის მიხედვით სამარხები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით. სამარხები სამ იარუსადაა განლაგებული. პირველი ფენა 0,5—0,10 მ სიღრმეზეა; მეორე—0,60—0,80 მ სიღრმეზე; მესამე—1,50—1,80 მ სიღრმეზე.

სამარხები ოთხკუთხი მოგრძო ორმოებია, სიგრძივ დამხრობილი N—S. მიცვალებულები, როგორც ჩანს, იმარხებოდნენ კიდურებმოხრილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით (162, გვ. 24—25).

42. ყარაღაჯის სამაროვანი მდებარეობს სიღნაღის რაიონში, სოფ. ყარაღაჯის აღმოსავლეთით, ნამოსახლარ ბორცვ „ტყის ბოლოს თაფასგან" 300-იოდე მეტრის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით და, როგორც ჩანს, ამ ნამოსახლარის ზედა ფენის სამაროვანს წარმოადგენს. სამაროვნის ტერიტორიაზე ამჟამად საკირე მიწის კარიერია, რომელმაც სამაროვანი თითქმის მთლიანად გაანადგურა. ზედაპირული მოხილვისას აქ აღმოჩნდა მიწაში 1,5 მეტრის სიღრმეზე ჩაჭრილი ოთხკუთხი ორმოსამარხები. სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩენილი მასალა — ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილები, ლითონის სხვადასხვა სამკაული და თიხის ჭურჭლის ნატეხები[51] სამაროვანს ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით ათარიღებს.

43. ზემოავჭალის სამაროვანი მდებარეობს ზაჰესთა ახალშენის მიდამოებში. მისი უდიდესი ნაწილი განადგურებულია (38, გვ. 137—220). აქ შესწავლილ იქნა ერთი ორმოსამარხი, რომელშიაც, გამთხრელის აზრით მიცვალებული მჯდომარე იყო დაკრძალული. სამარხი მოპოვებული მასალის მიხედვით: ბრინჯაოს ბოლოკვეთილი

---

[49] მასალა ინახება სსმ ფონდებში (ინვ. № 4—47/1—7).

[50] გოზალიშვილის მიერ განათხარი მასალა დაცულია სსმ ფონდებში (ინვ. № 5—33/1—54; 1—34/1—73).

[51] ყარაღაჯის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალა დაცულია სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

მახვილი, რკინის შუბისპირი, თიხის ჰურჭელი და სხვ. ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება.

44. დ ვ ა ნ ი ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს ქარელის რაიონში, მდ. ფრონეს ხეობაში. იგი შესწავლილ იქნა 1944 და 1952 წლებში (174; 175).

დვანის სამაროვნისათვის ორმოსამარხებია დამახასიათებელი, რომლებსაც ზემოდან რიყის ქვის მცირე ყრილი აქვთ. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. გამთხრელი ამ სამარხებს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს. 1952 წ. შემთხვევით გამოვლენილ სამარხში, ადგილობრივი გამოკითხვის საფუძველზე, ს. მაკალათია წყვილად დაკრძალვას გულისხმობს და აღნიშნავს, რომ ამ სამარხში ორი ჩონჩხი აღმოჩნდა ერთმანეთთან ზურგშექცევით, ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით.

45. ფ ლ ა ვ ი ს მ ა ნ ი ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი აღმოჩნდა 1924 წ. ტირიფონის არხის გაყვანის დროს. იგი მდებარეობს სოფ. ფლავისმანთან, მდ. პატარა ლიახვიდან 6 კმ-ის დაცილებით. სამაროვანი ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი. დაზიანებული სამარხებიდან შენაკრები მასალის მიხედვით: ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები, „ლურსმული“ ნაჭდევი ორნამენტით შემკული თიხის ჰურჭელი, ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და სხვ. ს. მაკალათია სამარხთა ერთ ნაწილს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებს, მეორე ნაწილს კი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს (41, გვ. 223—240).

46. ნ უ ლ ი ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი ცნობილია ერთი ორმოსამარხის მიხედვით. ფიქრობენ, რომ ამ სამარხში მიცვალებული მჯდომარე პოზაში იყო დაკრძალული. მოპოვებული თიხის ჰურჭლისა და ლითონის ნივთების მიხედვით სამარხი ძვ. წ. VII ს. თარიღდება (59, გვ. 48—49).

47. ჩ ა რ დ ა ხ ი ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი. 1961 წ. სოფ. ჩარდახში (მუხრანის ველი) ნ. მუზაშვილის სახლის მშენებლობის დროს დაზიანდა სამი ორმოსამარხი, რომელთა კომპლექსები თითქმის სრულად შემოინახა. N 1 სამარხში თიხის ჰურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ე. წ. კახური სატევარი. ეს მასალა ნ. ოქროპირიძეს საშუალებას აძლევს ჩარდახის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები ძვ. წ. XIII—XII სს. დაათარიღოს (176, გვ. 16—28).

48. ს ა ბ უ რ თ ა ლ ო ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს I ახალშენის ქუჩაზე. აქ სამ ორმოსამარხში აღმოჩენილი მასალის მიხედვით (თიხის ჰურჭელი, ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი სამკუთხა ისრისპირები და სხვადასხვა სამკაულები)[52] სამაროვანს ძვ. წ. XI—IX საუკუნეებით ათარიღებენ (77, გვ. 25—33).

49. ა რ ხ ი ლ ო ს კ ა ლ ო ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირა ნაწილში, ნამოსახლარ ბორცვ „სასანთლიანთ გორას“ სამხრეთით, სამასიოდე მეტრის მანძილზე. სამაროვანი მიწის სამუშაოების დროს ძლიერაა დაზიანებული. როგორც ზედაპირული მოხილვისა და მოსახლეობის გამოკითხვით გაირკვა, აქ ორმოსამარხები დაუნგრევიათ. ამონაყარი მასალა სამაროვანს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს.

50. ნ ა რ ე კ ვ ა ვ ი ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს ნატახტარის წყალსადენსა და სოფ. წეროვანს შორის. აქ მრავალი ორმოსამარხი დაზიანდა ნატახტარ — გორის გზატკეცილის მშენებლობის და მისაქციელ-მუხრანის მინდვრების სარწყავი არხის გაჭრისას. ნარეკვავის სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1960 წ. ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით (177, გვ. 184—220). გაითხარა ექვსი ორმოსამარხი. სამარხები მიწაში ამოკვეთილ მოგრძო, ოთხკუთხ ორმოს წარმოადგენს. ვარაუდობენ, რომ სამარხები ძელებით იყო გადახურული, შემდეგ კი დაყრილი ჰქონდა მიწა და ქვა.

მიცვალებულები დაკრძალულნი არიან გვერდზე (მარჯვენაზე — მამაკაცები, მარცხენაზე — ქალები), კიდურებმოხრილი. ზოგიერთ მიცვალებულს რიყის ქვები აქვს შემოწყობილი, როგორც ჩანს მოხრილი პოზის მისაღებად. მსგავსი სურათია სამთავროში. იქ ყველა მიცვალებულის პოზის სტაბილიზებისთვისაა რიყის დიდრონი ქვები ნახმარი (178, გვ. 49). ამ თვალსაზრისით რიყის ქვები შემოწყობილი აქვს კახეთში გათხრილ ზოგიერთ მიცვალებულსაც.

ნარეკვავის სამარხებში მიცვალებულთა უმეტესობა თავით აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი.

სამკაული მიცვალებულებს, როგორც ჩანს, ზედ ჰქონდა ასხმული ან ტანსაცმელზე დამაგრებული. თიხის ჰურჭელი ნარეკვავის სამარხებში ან

[52] მასალა ინახება სსმ ფონდებში, (ინვ. № 2—40/1—17).

მიცვალებულის გარშემო ეწყობოდა ან მის წინ კედლის გასწვრივ.

ნარეკვავის სამარხებში ჩატანებულია ცხენის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თავ-ფეხი.

ნარეკვავის სამაროვანს მონაპოვარი მასალის მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ.

51. ჩანქაანის სამაროვანი მდებარეობს სოფ. ზემოქედსა და ჯაფარიძეს შორის (წითელი წყაროს რაიონი), ადგილ ჩანქაანში დიდი შირაქის ველის ჩრდილო განაპირას. აქ უსახელო, ერთტერასიანი ნამოსახლარი ბორცვის სამხრეთით, ორასიოდე მეტრის მანძილზე, ქარსაცავის ზოლის ხეების დასარგავად მიწის ღრმად სიდაბრუნების დროს, დიდი რაოდენობით დაზიანდა ორმოსამარხები, რომლებიც ზედაპირული მასალის მიხედვით ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნას მიეკუთვნება.

52. წითელი კლდის ხევის სამაროვანი აღმოჩნდა სოფ. ჯიჯეთში, მოკვერაანთ კარში. აქ რამდენიმე ორმოსამარხი შეისწავლა ივრის ხეობის (უჯარმის) ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. მონაპოვარი მასალის მიხედვით სამარხები ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება (179).

53. არმაზისხევის სამაროვანი მდებარეობს მცხეთის სადგურიდან დასავლეთით, მისგან დაახლოებით 1200 მ მანძილზე. აქ 9 ორმოსამარხი იქნა შესწავლილი (180, გვ. 13). მიცვალებულები წვანან გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით. ორი ორმოსამარხი № 2 და № 3 უძველესია. № 2 შეიცავდა თიხის 6 ჭურჭელს, ბრინჯაოს სამთავრული ვარიანტის ორსამანჭვლიან სატევრისპირს, თავსვია საკინძს და ღორის თავ-ფეხის ძვლებს. № 3 ორმოსამარხი შეიცავდა თიხის 10 ჭურჭელს, ბრინჯაოს ვიწრო და მოგრძო ბრტყელპირიან სატევრისპირს, თხელფირფიტოვან ბრინჯაოს 6 პატარა ისრისპირს და ღორის თავ-ფეხის ძვლებს. ეს სამარხები სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა თანადროულადაა მიჩნეული (50, გვ. 50).

54. ატენის (ზემო ქსოვრისი) სამაროვანი. კომპლექსი (№ 77—13/1—2), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კატალოგში გატარებულია როგორც ქვისაგან აგებული. სამარხის გახსნის დროს ორივე ამ პუნქტში ნაპოვნი სამარხეული კომპლექსი შედგება მხოლოდ ბრინჯაოს ფოთლისებური, ბრტყელი სატევრისპირისა და მასრაგახსნილი შუბისპირისაგან, ორივე იარაღი სამთავრულ უძველეს ფორმებს იმეორებს და მათ მსგავსად გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდით ათარიღებენ (50, გვ. 51).

55. ქვემო რიეთის სამაროვანი წარმოდგენილია შემთხვევით აღმოჩენილი ერთი ორმოსამარხით, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთლისებური-სამთავრული ერთი სატევრისპირი, შუბისპირი და თიხის ათი ჭურჭელი. მონაპოვარ მასალას გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებენ (50, გვ. 51).

56. ქვასათალის სამაროვანი 1952 წ. შეისწავლა სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა რაზმმა, რომელმაც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ორმოსამარხებიც გამოავლინა. მიცვალებულები ასვენია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ეს სამარხები შეიცავს, როგორც სამთავრული ტიპის ადრეულ ნივთიერ ძეგლებს (ჭურჭელი, მასრაგახსნილი ბრინჯაოს ხელშუბისპირი, ბრინჯაოს თავხვია საკინძები და სხვ.), ისე მათგან განსხვავებულ ე. წ. ალისებური მოყვანილობის სატევრისპირსა და სამკაულს, რომელთა ადრეული ფორმები დასავლეთ საქართველოშიაც არის წარმოდგენილი (76, გვ. 28—30; 56, გვ. 10).

57. ზემო ლისის სამაროვანი მდებარეობს ზნაურის რაიონში, სოფ. ოყორას მახლობლად. აქ 1951 წ. სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა 14 ორმოსამარხი; სამარხებში ადამიანის ჩონჩხი არ შემონახულა.

№ 1 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ალისებური სატევრისპირი და შუბისპირი, ქვასათალის №—7 ორმოსამარხში ნაპოვნი სატევრისპირის მსგავსად, აშკარად განსხვავებულია სამთავრული ფორმებისაგან. ამგვარ სატევრისპირს ბ. კუფტინი კოლხურ-ყობანური კულტურისათვის მიიჩნევს დამახასიათებლად (46, გვ. 68). ო. ჯაფარიძის შეხედულებით, აღნიშნული სატევარი და შუბისპირი ძირითადად ყვირილის აუზის ზედა ნაწილში აღმოჩენილ ნივთებს უახლოვდება. მისი აზრით ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ რაიონსა და შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილს შორის მჭიდრო ურთიერთობა ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან შეიმჩნევა. ო. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ერთ ლოკალურ ჯგუფთან, რომე-

ლიც წარმოების ერთ კერასთან იყო დაკავშირებული. ო. ჯაფარიძე № 1 სამარხს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებს, დანარჩენს კი ძვ. წ. VII ს. მიაკუთვნებს (181; 50, გვ. 51—52).

58. ბ ე შ თ ა შ ე ნ ი ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს მდინარე ბაიბურთის (გერიაკჩაის) მარჯვენა ნაპირზე. სამაროვანზე აღმოჩენილია როგორც ორმოსამარხები, ისე ქვაყუთები. ქვაყუთები გამართულია ძველ სამაროვანზე, რომლისთვისაც ორმოსამარხებში დაკრძალვა ყოფილა დამახასიათებელი. ქვისსამარხები ნაგებია ბრტყელი ქვის ფილებით და ამგვარივე ქვებითაა გადახურული. სამარხთა უმეტესობა გაძარცულ-დაზიანებული აღმოჩნდა.

ორმოსამარხებს ხშირად აქვს ქვების მცირე ყრილი ერთ ან ორ ფენად, ზოგჯერ კი ისინი ქვის ფილებითაა გადახურული.

ორმოსამარხებში მიცვალებული ჩვეულებრივ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე წევს კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთით. სამარხში ჩატანებული ინვენტარი მიცვალებულის ირგვლივაა განლაგებული.

ბეშთაშენის სამარხებს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული საუკუნეებით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ (46, გვ. 65—71).

59. ს ა ნ თ ი ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს სოფ. სანთის დასავლეთით ადგილ მაღალინ დერესში. აქ ბ. კუფტინმა შეისწავლა ქვისსამარხი. გამთხრელის აზრით მიცვალებული მჯდომარე იყო დაკრძალული სამარხის ჩრდილო კედელთან, თიხის ჭურჭელი მის საწინააღმდეგო მხარეს ეწყო, ხოლო ბრინჯაოს სარტყელი ცალკე იდო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

სამაროვანს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ (46, გვ. 50—55).

60. წ ი ნ წ ყ ა რ ო ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი სოფ. წინწყაროს აღმოსავლეთით აღმოჩნდა. სამაროვანი გრძელი, მოზრდილი ქვისსამარხებით (1,8 — 1,6×0,7—0,5 მეტრი) ხასიათდება, რომლებიც ჩვეულებრივ ექვსი ბრტყელი ქვის ფილითაა ნაგები და ზევიდანაც ორი ამგვარი ქვა აფარია. ქვისსამარხები სიგრძივ უფრო ხშირად დამხრობილია O—W. მიცვალებულები დაკრძალულია, როგორც მჯდომარე პოზაში სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, ისე კიდურებმოხრილი, მწოლიარე მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე.

სამარხები ძველადვეა დანგრეული და გაძარცული. სამარხეულ ინვენტარში იარაღი ძირითადად რკინისაა, ზოგჯერ ბრინჯაოს ტარით. ბრინჯაოს იარაღიდან მხოლოდ ისრისპირები გვხვდება. ბევრია სამარხებში სამკაული და ვიწროყელიანი, მუქ რუხად გამომწვარი თიხის ჭურჭლები.

სამარხებს ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ (46, გვ. 56—64; 91, გვ. 5—21).

61. გ უ ნ ი ა-ყ ა ლ ა ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი სამარხთა ტიპით, დამარხვის წესით, ინვენტარით და ქრონოლოგიურად წინწყაროს სამარხების მსგავსია (46, გვ. 60—64).

62. კ უ შ ჩ ი ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს სოფ. კუშჩის (თრიალეთი) სკოლის მახლობლად. აღმოჩენილ ორმოსამარხში გამოვლენილი ინვენტარი (ბრინჯაოს ისრისპირები, რკინის მახვილი ბრინჯაოს ტარით, რომელსაც თალიშური მახვილების მსგავსად ორად გაყოფილი ქუდი აქვს, ბრინჯაოს სათიხარი და სხვ.) სამაროვანს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით ათარიღებს (46, გვ. 64).

63. დ ი ღ მ ი ს   ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს დიღმის წყლის მარცხენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზასთან. აქ გაითხარა ორმოსამარხები და გორასამარხი. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული ჩვეულებრივ იწვა გვერდზე კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. რამდენიმე სამარხში ფიქსირებულ იქნა ცეცხლის კვალი. სამარხეულ ინვენტარში ჭარბობს კერამიკული ნაწარმი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დაახლოებით ამ მიდამოებიდან ორიოდე წლის წინ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსულია ბრინჯაოს რამდენიმე მახვილი, რომელიც მშენებლებს სამარხებში აღმოუჩენიათ.

გორასამარხი კამერიანია. კამერის კედლები ხის ძელებით იყო ამოშენებული. ხის ძელებსა და ორმოს კედლებს შორის მანძილი შევსებული იყო რიყის ქვითა და მიწით. სამარხი დარბაზის მოედანი დაახლოებით 70 $მ^2$ უდრიდა, ხოლო სიმაღლე — 4 მეტრს. სამარხი კრემაციულია. მასში თიხის ასამდე ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის მრავალი ნივთი, სხვადასხვა სამკაული, ცხენის აკაზმულობა და ოს-

ტეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ აგრეთვე ბრინჯაოს — მუზარადი, ხელშუბი და მრავალი ისრისპირი. სამარხი ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება (182, გვ. 370—371).

64. ურბნისის სამაროვანი. ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1956—58 წწ. XXV უბანზე შეისწავლა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და I ათასწ. დასაწყისის კუთვნილი ექვსი ორმოსამარხი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირი, ირმის რქის შტოსაგან ნაკეთები კვერთხისთავი და სხვ. (183, გვ. 5—6).

65. პატარა ლილოს სამაროვანი. აქ 1969 წ. ნ. ჭუმბურიძის სახლის მშენებლობის დროს დაზიანდა სამი სამარხი, სადაც თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა—ბრინჯაოს ე. წ. კახური მთლიანადსხმული სატევრები და მთლიანმასრიანი ბრინჯაოს შუბისპირები, მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით[53]. მონაპოვარი მასალა სამარხებს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს.

1971 წ. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ ერთი ქვაყრილიანი ორმოსამარხი შეისწავლა. სამარხი მოგრძო ოთხკუთხა ორმოს წარმოადგენდა, რომელშიც მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით NNW. მიცვალებულის თავთან თიხის ექვსი ჭურჭელი იდგა, მაჯაზე ბრინჯაოს სამაჯური, ანტიმონისა და სარდიონის მძივების ასხმა აღმოჩნდა.

66. გოჭის წყაროს სამაროვანი მდებარეობს სოფ. მელაანის აღმოსავლეთ განაპირა უბანში, გოჭის წყაროს ხევის მარჯვენა ნაპირზე. აქ შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსარხები, რომლებიც აქ მოპოვებული ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის მიხედვით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

67. საყდრის გორის სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარი ბორცვის „საყდრის გორის" ჩრდილო-აღმოსავლეთით სამასიოდე მეტრის მანძილზე, მდინარე ლაკბის მარცხენა ნაპირზე, სოფ. მელაანიდან სამხრეთ-დასავლეთით ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით. სამაროვანი ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი. მიწის სამუშაოებისა და სასოფლო გზის გაყვანის დროს დაზიანებული სამარხების ინვენტარის მიხედვით იგი ნამოსახლარ „საყდრის გორის" კულტურული ფენების თანადროულია და ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

68. ჭოტორის სამაროვანი მდებარეობს სოფ. ნუკრიანის (სიღნაღის რაიონი) მახლობლად, ადგილ ჭოტორში. აქ, ტყისპირას, 1962 წელს, წვიმისაგან ჩამონარეცხ ფლატეში, შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომელშიც გამოვლინდა ბრინჯაოსტარიანი და რკინისპირიანი კახური მახვილი ($IV_3$ ქვეტიპი)[54].

69. არაშენდის სამაროვანი მდებარეობს სოფ. არაშენდის (გურჯაანის რაიონი) სამხრეთ-აღმოსავლეთით სამიოდე კილომეტრის მანძილზე, ადგილ „ფევრების ბოლოში" მდებარე — თავდაცვითთხრილიანი და ტერასიანი ნამოსახლარი ბორცვის მახლობლად, მის დასავლეთით 200—300 მეტრზე, დაბლობში. აქ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირი, მასრაზე ორი რელიეფური რგოლით და ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული. ამ ადგილებში ადრეც ხშირად ჩნდებოდა თიხის ჭურჭელი და სხვა ნივთები[55]. მოპოვებული ინვენტარი სამაროვანსა და „ფევრების ბოლოს" ნამოსახლარი ბორცვის შესაბამის კულტურულ ფენას ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს.

70. მაღაროს სამაროვანი (სიღნაღის რაიონი). ნინო ბერძენიშვილის მიერ აქ ორი ორმოსამარხი იქნა შესწავლილი. სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკაული და თიხის ჭურჭელი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით თარიღდება[56].

71. ალექსაანთ ყურეს სამაროვანი მდებარეობს სიღნაღის რაიონში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ნამოსახლარი ბორცვის „თარალა თაფის" მახლობლად. აქ 1950 წ. ნინო ბერძენიშვილმა გათხარა ერთი ორმოსამარხი. სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი გადაეცა სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. სამარხი გამთხრელის მიერ

[53] მასალა ინახება სსმ ფონდებში—ინვ. № 133—969/1, 2, 3.

[54] მახვილი ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში — ინვ. № 4799.

[55] არაშენდის სამაროვანზე მოპოვებული ინვენტარი ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

[56] მასალა ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში.

ძვ. წ. XI—X საუკუნეებითაა დათარიღებული (80, გვ. 23).

72. „რკინის კალოს" სამაროვანი ერწოში, სოფელ თრანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ადგილ „რკინის კალოზე" მდებარეობს.

„რკინის კალოს" სამაროვანი გამთხრელის (რ. რამიშვილი) აზრით, სინქრონულ სამაროვნებიდან დაკრძალვის წესის თავისებურებით გამოირჩევა. სამარხები შედგება ქვაყრილიანი, მოზრდილი ორმოებისაგან, რომლებშიც მიცვალებულები რამდენიმე ფენადაა ჩასვენებული; ასე რომ თითოეული ორმოსამარხი ხშირად 2 ან 3, ერთიმეორეზე დაშრევებულ კომპლექსებს შეიცავს. ქვედა ფენის სამარხებში მიცვალებულები ძლიერ მოხრილად არიან ჩასვენებულნი, მაგრამ, გამთხრელის აზრით, მეტწილად, რკინის კალოს სამარხებში ადამიანის ძვლები, თანმხლებ ინვენტართან ერთად, ძალზე ქაოსურადაა ჩაყრილი, რის გამოც მას ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ აქ მეორადი დაკრძალვის წესის არსებობასთან გვაქვს საქმე.

თითოეულ სამარხეულ კომპლექსს აქვს თავისი ქვაყრილი, რომელიც ძვლებსა და ინვენტარს უშუალოდ ზედ აყრია ან მათშივეა არეული.

სამაროვანზე მოპოვებული განათხარი მასალა — მასრაგახსნილი შუბისპირი, თავწვია საკინძი, „სკვითური" ისრისპირი, რკინის მახვილი, შუბისპირი, საჩეხი — „რკინის კალოს" სამაროვანს, გამთხრელის აზრით, ძვ. წ. IX—VII სს. ათარიღებს, მაგრამ ყველაზე მძლავრი მაინც ძვ.წ. VIII—VII საუკუნეების სამარხთა პლასტია (184, გვ. 19—20).

73. ვანთის სამაროვანი. სოფ. ვანთაში (თელავის რაიონი) წლების განმავლობაში, ინდივიდუალური სახლების მშენებლობის დროს, ზიანდებოდა ორმოსამარხები. შემთხვევით მოპოვებული მასალის უდიდესი ნაწილი ადგილობრივმა მოსახლეობამ თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჩააბარა—ბრინჯაოს მახვილები, შუბისპირები და სხვადასხვა სამკაული. მონაპოვარი სამარხეული ინვენტარი სამაროვანს ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით ათარიღებს.

74. ზემო ყანდაურას სამაროვანი. მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფ. ზემო ყანდაურას ჩრდილო განაპირას. აქ, შემთხვევით ფლატეში აღმოჩენილი ორმოსამარხიდან საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩააბარეს ბრინჯაოს მახვილი, რომელიც ივრისა და ალაზნის ქვემო წელისათვის არის დამახასიათებელი და ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება.

75. პალდოს სამაროვანი მდებარეობს ივრის ხეობაში, ივრის წყალსაცავის კაშხალთან, ივრის მარცხენა ნაპირზე. განსვენებული ი. გძელიშვილის ცნობით, აქ კაშხალის მშენებლობის დროს დაუზიანებიათ ოთხკუთხ ორმოებში გამართული სამარხები. ადამიანის ძვლებთან ერთად, აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილები სამაროვანს ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით ათარიღებს.

76. ახმეტის სამაროვანი მდებარეობს ახმეტის ჩრდილო უბანში, რომელსაც „ქალეთი" ეწოდება (185, გვ. 16). აქ ორმოსამარხებში შემთხვევით აღმოუჩენიათ ბრინჯაოს კაჟური სატევრები და თიხის ჭურჭელი.

77. ანაგის (ახალი) სამაროვანი. 1930 წ. ანაგასთან ალაზნის არხის გაყვანის დროს, ერთი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე ორმოსამარხი, რომლებიც ს. მაკალათიამ შეისწავლა. ავტორის სიტყვით, სამარხებში მიცვალებულები ზურგზე იწვნენ და პირისახე აღმოსავლეთით ჰქონდათ მიქცეული. ეს ცნობა ეჭვს იწვევს, რადგან თვით ს. მაკალათიას ეს სამარხები და მათში აღმოჩენილი ნივთები in situ არ უნახავს. ესეც რომ არ იყოს, მიცვალებულის ამგვარი დაკრძალვა კახეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის უცხოა და ამდენად ანაგის სამაროვანზეც ნაკლებ სავარაუდო. როგორც ავტორი შენიშნავს, ყველა მიცვალებულს თავთან ედო მახვილი, ხოლო გვერდით შუბისპირი. მათი მიხედვით ს. მაკალათია ამ სამარხებს ძვ. წ. XII ს. ათარიღებს (40, გვ. 109).

78. ნორიოს სამაროვანი აღმოჩნდა სოფ. ნორიოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს. აქ ორმოსამარხებში გამოვლინდა — ბრინჯაოს მახვილი, ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი და თიხის ჭურჭლის ნატეხები (80, გვ. 27). მონაპოვარი მასალა სამაროვანს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს.

79. საყარაულოს სამაროვანი მდებარეობს სოფ. საყარაულოს დასავლეთ პერიფერიაზე, ჩეკურაანთ გორის ხევის მარცხენა ნაპირზე. აქ სამარხები ორ იარუსადაა განლაგებული, წარმოადგენს ქვაყრილიან ორმოსამარხებს და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება (186, გვ. 5).

80. მალხაზოვკის სამაროვანი მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე, რკინიგზის სადგურ იორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 კმ მანძილზე, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირზე. აქ მოსახლეობას შემთხვევით მიკვლეულ ორმოსამარხებში ბრინჯაოს ორი სატევარი აღმოუჩენია. მათ მიხედვით, მ. ივაშჩენკო ამ სამარხებს ძვ წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს (57, გვ. 259—262).

მ. ივაშჩენკო ასევე ათარიღებს ორმოსამარხით წარმოდგენილ მეორე სამაროვანს, რომელიც ამ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა 3 კმ-ის მანძილზე, მთა ნაომარის ფერდზე.

81. გიორგიწმინდის სამაროვანი შესწავლილ იქნა ნინო ბერძენიშვილის მიერ. აქ ხუთი ორმოსამარხი გამოვლინდა[57]. მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ხანისა მხოლოდ ერთია, რომელიც მონაპოვარი მასალის მიხედვით (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბისპირი და სატევარი) ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება.

82. ანთოკის სამაროვანი მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფ. ანთოკის სამხრეთ-დასავლეთით. აქ ტყეში შემთხვევით აღმოჩენილ ორმოსამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრის მიხედვით სამაროვანი დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

83. ნაძალადევის სამაროვანი მდებარეობს თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირას. აქ 1926 წ. ორმოსამარხში აღმოჩენილია ადამიანის ჩონჩხის ძვლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებსაც დ. ქორიძე ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნას აკუთვნებს (77, გვ. 33).

ნაძალადევშივეა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ყელისა და ყურის ფრაგმენტი, ყურზე ცხვრის რელიეფური, სტილიზებული გამოსახულებით. იგი ზუსტ პარალელს კახეთში გათხრილ სამლოცველოზე (მელიღელე I) პოულობს, რომელიც კარგად თარიღდება ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევრით (187, გვ. 300)[58].

84. ხალაწანის სამაროვანი მდებარეობს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ხალაწნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ დაზიანებულ ორმოსამარხში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ბრინჯაოს სატევარი.

85. გომნას სამაროვანი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ფაფიდან ორი კილომეტრის დაცილებით ახალციხის მიმართულებით, თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთით პერიფერიაზე. 1941 წ. მიწის სამუშაოების დროს აქ აღმოუჩენიათ სამი ორმოსამარხი. მიცვალებულები კიდურებმოხრილი, გვერდზე ყოფილა დაკრძალული, თავით SO. სამარხებში მრავალი ნივთი აღმოჩნდა, რომელთა საფუძველზეც, გ. ნიორაძე ამ სამაროვანს ძვ. წ. XIII საუკუნეზე ადრინდელად არ მიიჩნევს (58, გვ. 19—214).

86. განთიადის სამაროვანი მდებარეობს დმანისის რაიონში, მდ. მაშავერას ხეობაში, სოფ. განთიადის ტერიტორიაზე. აქ აღმოჩენილ ქვისსამარხებში მიცვალებულები კიდურებმოხრილი, გვერდზეა დაკრძალული და თავით ჩრდილოეთითაა ორიენტირებული. სამარხეული ინვენტარის მიხედვით (ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სამკაული, რკინის შუბისპირი, დანა, სკვითური ბრინჯაოს ისრისპირები, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის ყალიბები და სხვ. მრავალი) სამარხები ძვ. წ. IX—VI სს. თარიღდება (188, გვ. 232—243; 189, გვ. 5—10).

87. სათოვლეს სამაროვანი მდებარეობს ძეგვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 8—9 კმ-ზე. აქ მიწის სამუშაოების დროს ადამიანის ჩონჩხთან ერთად აღმოუჩენიათ — ბრინჯაოსა და რკინის იარაღები, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი და სხვ. (75, გვ. 235—241).

სამაროვანი, დღეს მიღებული ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, ძვ. წ. VIII—VII სს. უნდა დათარიღდეს (53). სამარხთა ტიპი და დაკრძალვის წესი უცნობია.

88. ბადიაურის გორასამარხი შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ბადიაურის სამხრეთით. აქ მოპოვებული ბრინჯაოს ნივთები — ფარი და ორთითები (190; 191, გვ. 51—52), უფრო სამხრეთული გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების კუთვნილი ნივთებია და კახეთის ტერიტორიაზე შემოტანილად უნდა მივიჩნიოთ (80, გვ. 61, ტაბ. XV₂).

89. რველის სამაროვანი (იგივე ბანისხევის) მდებარეობს ბორჯომიდან 4 კმ-ის მანძილზე, იქ სადაც მდ. ბანისხევი ერთვის მტკვარს. აქ

---

[57] მასალა ინახება სსმ ფონდში — ინვ. № 8—54/ 1—91.

[58] დ. ქორიძეს ეს ჭურჭელი ძვ. წ. VII—V სს. აქვს დათარიღებული (77, გვ. 35).

გათხრები უწარმოებიათ პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინსა და ე. თაყაიშვილს, სამი სამარხი შეუსწავლიათ, რომლებშიც გვერდზე, კიდურებმოხრილი მიცვალებულები ყოფილა დაკრძალული. შემდეგ 1911 წელს აქ გათხრები ჩაუტარებია პროფ. გოროდცოვს და ისეთივე სამარხები აღმოუჩენია (58, გვ. 182—183). რიგი ავტორებისა ამ მასალებში გვიანბრინჯაოს ხანის ნივთებს გარდა შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლებს არჩევენ (23, ტაბ. III 4, 5; ტაბ. XXXIV—VIII$_4$).

ბოლო წლებში რველის სამაროვანზე ინტენსიურ სამუშაოებს აწარმოებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით.

ექსპედიციის მიერ ამ სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები თარიღდება ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული — ანტიკურ ხანამდე. ადრებრინჯაოს ხანისა ქვაყუთებია, დანარჩენი დროის სამარხები კი ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი (ზოგიერთი ქვისწრეებიანი). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი (192, გვ. 48—50).

90. ხადიკის სამარხები. სოფ. ახალი ხადიკი მდებარეობს წალკის დასავლეთით 3 კმ-ის მანძილზე. აქ სოფლის ბოლოზე, შარაგზის პირას აღმოჩნდა ქვა და მიწაყრილიანი ორი გორასამარხი. ერთ-ერთის ყრილში გამოვლინდა ორი ჩაშვებული ორმოსამარხი. მიცვალებულები წვანან გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხებში აღმოჩნდა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სამკაული, რკინის დანა, ბრინჯაოს ფრთებდაშვებული, გრძელლეროიანი ისრისპირები და სხვა. გამთხრელი სამარხებს, ბრინჯაოს ისრისპირების საფუძველზე, ძვ. წ. VIII ს. ათარიღებს (193, გვ. 698—704).

91. ჩაირლარის სამაროვანი (თრიალეთი). აქ ბ. კუფტინმა 1933 წ. სამი ქვის სამარხი გათხარა (188, გვ. 236).

92. ქვემო ქედის სამაროვანი მდებარეობს წითელ წყაროს რაიონში სოფ. ქვემო ქედის სამხრეთ-დასავლეთით. ადგილობრივი მცხოვრების დავით ჩარბოდაშვილის ცნობით, აქ დაზიანებულ სამარხში ბრინჯაოს მახვილი და სხვადასხვა ნივთი აღმოჩნდა[59].

93. მოლითის სამაროვანი მდებარეობს ტაბაწყურთან, ზღვის დონიდან 2020 მ სიმაღლეზე, სოფ. მოლითთან. აქ ქვის დამუშავებისას წლიდან წლამდე, კლდის ნაპრალებში ჩნდებოდა კრემაციული სამარხები, ურარტული კოლუმბარიუმის მსგავსად; ნაპრალებში მოქცეულია მიცვალებულის ფერფლის შემცველი თიხის ჭურჭელი. მათში ან იქვე ახლოს განლაგებულია ბრინჯაოს ინვენტარი (სამაჯურები, საკინძეები), ქვის გადამწვარი მძივები, მწვანედ მოჭიქული პასტის რომბული მძივები და სხვ.

მთელი მასალა ძირითადად შიდა ქართლისა და თრიალეთის ძვ. წ. XIV—IX საუკ. ძეგლებს ემსგავსება და მკვეთრად ავლენს სიახლოვეს კოლხურ კულტურასთან (ძვ. წ. IX—VIII სს. თიხის ჭურჭლის ფორმები, ორნამენტაცია და სხვ.) (117, გვ. 8).

94. ზურთაკეტი (გომარეთის პლატო). დმანისიდან 15 კმ-ის მანძილზე, გომარეთისკენ მიმავალი გზის მარცხენა ნაპირზე, „ორთაშუა ველის" სამხრეთით, შუაბრინჯაოს ხანის № 7 გორასამარხის ყრილში ერთი ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა. თიხის ჭურჭლის, ბრინჯაოს სარტყლისა და თავდაფანჯრული სატევრის მიხედვით ო. ჯაფარიძე მას გვიანბრინჯაოს ხანას აკუთვნებს (194, გვ. 50)[60].

95. წალვერი. 1911 წ. ვ. გოროდცოვს გათხრები უწარმოებია წალვერის მახლობლად „ჩორნაია რეჩკას" ხეობაში და რამდენიმე ორმოსამარხი გაუთხრია[61].

ვიდრე უშუალოდ აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში არსებული დაკრძალვის წეს-ჩვეულებების კვლევის შედეგად მიღებულ ჩვენ დასკვნებს გავაცნობდეთ მკითხველს, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის შესახებ უკვე არსებულ შეხედულებათა მიმართ.

1970 წელს გამოსულ საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის პირველ ტომში ვკითხულობთ: „... აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნულ ხანა-

---

[59] მასალა ინახება სსმ-ის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში, ინვ. № 2—58/1—11.

[60] მასალები ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცავებში.

[61] მასალები ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 50994.

ში (გვიანბრინჯაო-რკინის ხანაზეა საუბარი, კ. ფ.) სამარხთა ძირითად ტიპებს წარმოადგენს ყორღანული ყრილის ქვეშ მდებარე ორმოსამარხები და ქვის ფილების სამარხები. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილ-მოკეცილად ერთ-ერთ გვერდზე ანდა მჯდომარე მდგომარეობაში; გამორიცხული არ არის მეორედ დამარხვის ანდა დანაწევრებული დაკრძალვის წესის არსებობა (თრიალეთი). სამარხის იგივე ტიპები და დაკრძალვის ეს წესები გავრცელებული იყო იმ დროის მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და, როგორც ვნახეთ, ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს კულტურის გავრცელების რაიონშიც. საყურადღებო ისაა, რომ დამარხვის სხვადასხვა წესი ხშირად გვხვდება ერთი და იმავე სამაროვანზე ან ვიწროდ შემოფარგლულ ტერიტორიაზე. ეს მდგომარეობა ალბათ იმას მიუთითებს, რომ არც დაკრძალვის წესს და არც სამარხეული ნაგებობის ტიპს ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისათვის ყოველთვის არა აქვს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია" (24, გვ. 303—304).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღნიშნულ ციტატაში გამოთქმული დასკვნების ძირითად ნაწილს პრინციპულად არ ვიზიარებთ და ფაქტობრივი მასალის კვლევის საფუძველზე განსხვავებული დასკვნები გამოგვაქვს. ზოგადადაც რომ გადავხედოთ ჩვენ მიერ ჩამოთვლილ სამაროვნებს და იქ არსებულ სამარხთა ტიპებს, სრულიად ცხადი გახდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებისათვის ქვისსამარხები სრულიად არ არის დამახასიათებელი. ქვისსამარხები საკვლევი ტერიტორიის მხოლოდ და მხოლოდ სასაზღვრო რაიონებში გვხვდება, უფრო ზუსტად კი მხოლოდ 8 სამაროვანზეა აღმოჩენილი — განთიადი, დმანისი, ბეშთაშენი, ჩაირლარი (თრიალეთი), მადნისჭალა, წოფი, სანთა (ადგილი მარალინ დერესი), წინწყარო. რამდენადმე საეჭვოა ატენში აღმოჩენილი სამარხების ტიპის ქვაყუთებისთვის მიკუთვნება, რადგან ეს ცნობა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კატალოგიდანაა დადასტურებული.

ამდენად, ბუნებრივია, ქვისსამარხებს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის დამახასიათებელ ნიშნად ვერ მივიჩნევთ. რაც შეეხება ქვემო ქართლს, იგი სამარხთა ტიპით უფრო სომხეთის ძეგლებს უახლოვდება, სადაც ქვისსამარხი სამარხის ყველაზე გავრცელებული კონსტრუქცია იყო (114, გვ. 48). ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ქვემო ქართლისა და ჩრდილო სომხეთის კულტურული ერთობაც ტრადიციულია „მტკვარ-არაქსის" კულტურიდან მოკიდებული — გვიანბრინჯაო-რკინის პერიოდის ჩათვლით (188, გვ. 243).

ქვისსამარხები გამონაკლისის სახით გვხვდება ჩვენი საკვლევი ტერიტორიის შიდა რაიონებში, კერძოდ კი სამთავროს სამაროვანზე, მაგრამ იმდენად სპორადულად, რომ აქ ისინი მხოლოდ შემთხვევით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ქვისსამარხები სამთავროს სამაროვანზე გავრცელებული ჩანს შუაბრინჯაოს ხანაში, შემდეგ კი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მეტად იშვიათად გვხვდება (10, გვ. 164).

ა. კალანდაძის სიტყვიერი ცნობით, სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული სამიოდე ქვისსამარხია ცნობილი.

მეტად საინტერესოა გორასამარხთა საკითხი. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში სამარხთა ერთ-ერთ ძირითად ტიპს წარმოადგენს „ყორღანული ყრილის ქვეშ მდებარე ორმოსამარხები". რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურისთვის ამ პერიოდში გორასამარხები არ არის დამახასიათებელი, ჩვენთვის სულ ცხადი არ არის საქართველოს ისტორიის ნარკვევების ამ ნაწილის ავტორი რა ტიპის სამარხს გულისხმობს „ყორღანული ყრილის ქვეშ მდებარე ორმოსამარხების" სახით. ცხადია, ყრილის ქვეშ მოქცეული ყველა ორმოსამარხი ტიპობრივად მიეკუთვნება ორმოიან გორასამარხთა ჯგუფს. მაგრამ ყოველგვარ ორმოსამარხს, რომელიც ზემოდან გადაიხურებოდა და სახურავზე სამარხიდან ამონაყარი მიწის მცირე ზვინული უკეთდებოდა, შესაძლოა მცირე ქვაყრილითაც, მხოლოდ ამის გამო, რა თქმა უნდა, გორასამარხად ვერ მივიჩნევთ. საერთოდ მიღებული მოსაზრების მიხედვით, ამგვარი სამარხები ორმოსამარხებს წარმოადგენს, გორასამარხებს კი ისეთ სამარხებს უწოდებენ, რომლებსაც მიწის ზედაპირზე მეტ-ნაკლებად შესამჩნევი ყრილი შექმნილი აქვს არა მხოლოდ სამარხის ორმოდან ამონაყარი მიწით, არამედ შენაგროვი მიწით, ქვით ან მათი ნარევით.

როგორც ცნობილია, ქვაყრილიანი თუ მიწა-

ყრილიანი გორასამარხები აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელია ადრე და განსაკუთრებით კი შუაბრინჯაოს ხანაში. ამ პერიოდში იშვიათად ორმოსამარხებიც გვხვდება.

შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხებიც, როგორც დავინახეთ, ძირითადად გორასამარხების ტიპისაა. ისინი მიწის ან ქვის ყრილის ქვეშ მდებარე ორმოიანი გორასამარხებითაა წარმოდგენილი (ზემო ბოდბე, ოლე, ლილო, ულიანოვკა, სალოკი ხევი[62]), თუმცა იშვიათად ამ პერიოდის ორმოსამარხები თუ ყრილშეურჩენელი გორასამარხებიც გვხვდება (ილტო, ნასადგომარი, ცხინვალის სატყეო კომბინატი).

ამგვარად, გარდამავალი ხანის სამარხები უმეტესად ორმოიანი გორასამარხებია და კონსტრუქციულად თავის წინამორბედ შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს უკავშირდება.

ანგარიშგასაწევია, რომ გარდამავალი ხანის გორასამარხები უმთავრესად ისეთ სამაროვნებზე გვხვდება მასიურად, სადაც მათთან ერთად, მართალია შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ აუცილებლად, მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის გორასამარხებია (ოლე, ლილო, აშურიანის ველი) დადასტურებული; ან ისეთ სამაროვნებზე, სადაც გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის სამარხებია მასიურად გავრცელებული, გარდამავალი ხანისა კი თითო-ოროლაა აღმოჩენილი (ნასადგომარი). ეს ვითარება ჩვენი აზრით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ სამარხთა კომპლექსების გარდამავალ ხასიათს, მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი ინვენტარი მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია როგორც ადრეულ ისე მასზე მოგვიანო სამარხეულ კომპლექსებთან.

გარდამავალი ხანის მომდევნო პერიოდში ორმოიანი გორასამარხების კონსტრუქცია მასიურად მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხებისათვისაა დამახასიათებელი (ღრმა-ღელე, ნასადგომარი (გადრეკილი), ულიანოვკა (№ 1), მადნისჭალა და სხვ.). ამ პერიოდის შემდეგ ორმოიან გორასამარხთა ტიპი აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის სრულიად ქრება. გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ამ ტიპის სამარხებში ძალიან იშვიათად მხოლოდ წარჩინებულთ მარხავდნენ (დიღომი, სამთავრო).

სხვა შემთხვევაში, ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გორასამარხთა კონსტრუქციის დასაკრძალავ ნაგებობებში მხოლოდ უცხოური ინვენტარი გვხვდება (ბადიაური).

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდიდან, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამაროვნებზე მოწინავე ადგილი უკვე ორმოსამარხებს უკავიათ.

გვიანბრინჯაოს ხანაში ორმოსამარხებზე ხშირად გვხვდება ქვის მცირე ყრილები (კასპი, ხოვლე, ნარეკვავი, გულგულა, სათვალისწყალი, ბაკურციხე II, მადნისჭალა, გოსტიბე და სხვ.), რაც შესაძლოა, სრულიად მართებულად გორასამარხთა კონსტრუქციის გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს (197, გვ. 54; 50, გვ. 44; 196, გვ. 108).

ამგვარად, თითქოს შესაძლებელია სამარხთა კონსტრუქციული აგებულების მიხედვით გენეტიკური კავშირი დავინახოთ ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის[63], მით უმეტეს თუ მცირე ქვაყრილიანი ორმოსამარხების პროტოტიპად გორასამარხებს მივიჩნევთ.

ჩვენ ხაზგასმით, მხოლოდ მცირექვაყრილიან ორმოსამარხთა პროტოტიპად მივიჩნევთ გორასამარხებს. რაც შეეხება ორმოსამარხებს ქვაყრილის გარეშე, აქ ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ ნ. თუშიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ორმოსამარხები ჩნდება ადრებრინჯაოს ხანაში გორასამარხთა პარალელურად. შემდგომ, გვიანბრინჯაოს ხანაში, ორმოსამარხი სამარხთა ძირითადი კონსტრუქცია ხდება, გორასამარხთა რიცხვი კი მნიშვნელოვნად კლებულობს (195, გვ. 80).

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ყველა სამაროვნისათვის ძირითადად ორმოსამარხები ხდება დამახასიათებელი (ნაძალადევი, რველი,

---

[62] ზ. მატბერაშვილმა სალოკი ხევის სამარხები კონსტრუქციულად შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს დაუკავშირა ჯერ კიდევ 1966—1967 წლებში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სალოკი ხევის გორასამარხებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებდა და არა გარდამავალი პერიოდით შუასა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის (157, გვ. 14).

[63] ნ. თუშიშვილის აზრით, რადგან ამიერკავკასიაში გორასამარხებს აგებდნენ ძვ. წ. III ათასწლეულში, ტრადიციამ კი სამარხის ეს ტიპი გვიანბრინჯაოს ხანაშიც შემოინახა, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს გვიანბრინჯაოს ხანის დაკავშირება მის წინამორბედთან (195).

ხალაწანი, გომნა, რკინის კალო (თრანი), ჩანკაანი, წითელი კლდის ხევი, ვანთა, პალდო, ქვემო რიეთი, ზემო ყანდაურა, ახმეტა, ქვასათალი, ბეშთაშენი (ქვედა იარუსი), ნორიო, კუშჩი, დიღომი, ურბნისი, საყდრის გორა, ჰოტორი, არაშენდა, მაღარო, ალექსაანთ ყურე (ნუკრიანი), საყარაული, მალხაზოვკა, გიორგიწმინდა, ანთოკი, პატარა ლილო, გადრეკილი (ნასადგომარი), ოლიების მიწა, ბაკურციხე, გორა მიწა (ბაკურციხე), სათვალისწყალი, არგოხი, ყვარელწყალი, გოსტიბე, თეთრი წყლები, სამთავრო, უფლისციხე, ქისტაური, იყალთო, ხირსა, ყარაღაჯი, ზემო ავჭალა, დვანი, ფლავისმანი, ნული, ჩარდახი, საბურთალო, არხილოსკალო, ნარეკვავი, გოჯისწყარო და სხვ.).

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ორმოსამარხები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მეზობელ რაიონებშიც (სომხეთი — სევანის აუზი, აზერბაიჯანი — მინგეჩაური, ვარდანლი, ყაზახი, ნუხა), მაგრამ ისინი იქ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო რაიონებშია გავრცელებული, ქვეყნის შიგნით კი გორასამარხებისა და ქვისსამარხების გვერდით, მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენს. თავის მხრივ ამ რაიონებისათვის დამახასიათებელი სამარხეული კონსტრუქციები (მაგ. ქვისსამარხები), როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის გავრცელების ასევე მხოლოდ სასაზღვრო რაიონებში გვხვდება.

აზერბაიჯანში ამ პერიოდში მიცვალებულები დაკრძალული არიან გვერდზე მოხრილი კიდურებით, მაგრამ მის თანაბრად ან უფრო ხშირად, არქეოლოგები მიცვალებულის დამჯდარ პოზას ადასტურებენ.

მიცვალებულის დაკრძალვის ორივე პოზა, უფრო ხშირად კი პირველი, დამახასიათებელია სომხეთის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებისთვისაც.

აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო-განაპირა რაიონებისთვისაც სამარხთა განსხვავებული ტიპია დამახასიათებელი. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის მთიანი რაიონისთვის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები წარმოდგენილია — ქვისფილებით გადახურული ქვისსამარხებით, მშრალი წყობის აკლდამისებური სამარხებით, კლდის ნაგლეჯი ქვის ყრილით გადახურული ქვაყუთებით და ქვაყრილიანი სამარხებით. ხშირად ეს სამარხები კოლექტიურია, რომლებშიც მიცვალებულები კიდურებმოხრილი გვერდზეა დაკრძალული ან კიდევ ზურგზე გაშოტილი. ზურგზე გაშოტილი დაკრძალვის წესი თანადროულ ჩრდილო-კავკასიისთვისაა დამახასიათებელი. ჩრდილო-კავკასიურივე ჩანს სამარხთა კონსტრუქციაც (198, გვ. 105—106; 199, გვ. 2; 200, გვ. 52—57; 79, გვ. 51). ამასთან ერთად ნიშანდობლივია, რომ როგორც ქვემოთაც დავინახავთ, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო მთიანი რაიონის მატერიალური კულტურაც განსხვავებულია აღმოსავლურ ქართული კულტურისგან და უფრო დასავლურს და ჩრდილო ან ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურს უახლოვდება (202, გვ. 163—178; 203, გვ. 162—178 და სხვ.). მაგალითად, კახეთში სოფ. საკობიანოში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურის მსგავსი კონსტრუქციის სამარხებია აღმოჩენილი, რომლებშიც ინვენტარის ნაწილი ისევ ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი (167, გვ. 89—95).

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთით მოსაზღვრე რაიონებში (სამარხთა ტიპები და მით უმეტეს მიცვალებულთა დაკრძალვის წეს-ჩვეულება თითქმის შეუსწავლელია, მაგრამ ის რაც უკვე ცნობილია აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ თვალსაზრისითაც აღმოსავლურ და დასავლურ მატერიალურ კულტურებს შორის გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში დიდი სხვაობაა (24, გვ. 268—277).

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის გავრცელების ფარგლები, სხვა მონაცემებთან ერთად, თითქოს ერთგვაროვანი სამარხეული კონსტრუქციითაც განისაზღვრება.

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც შერეულია სამარხთა სხვადასხვა ტიპი — მაგ., ორმოსამარხები და ქვისსამარხები, სამარხებში ხშირად ინვენტარიც შერეულია და მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის აღმოსავლურ ქართული კულტურის კუთვნილი ნივთები ჭარბობს, საკმაო რაოდენობითაა მეზობელ კულტურათა კუთვნილი ნაკეთობანიც (მაგ., ბეშთაშენის, საკობიანოს სამაროვნები). მაგრამ არის შემთხვევები, როცა სამარხეული ინვენტარი უფრო მეტად ემსგავსება მეზობელ კულტურათა ინვენტარს ან სულაც მისი იდენტურია. მაგალითად, წინწყაროს ქვისსამარხების ინვენტარი უფრო მეტ მსგავსებას იჩენს და ხშირად იდენტურია სევანის ზეგანზე და განჯა-ყარაბაღის რაიონში მოპოვებული მასალისა (91, გვ. 20—21).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ორმოსამარხები დაახლოებით ერთი მეტრის სიგანის, ორი მეტრის სიგრძის და ერთი მეტრი სიღრმის ოთხკუთხ ან კუთხეებმომრგვალებულ შვეულკედლებიან ორმოს წარმოადგენს.

ორმოსამარხთა კონსტრუქციაში მცირე სხვასხვაობები არსებობს. მაგ. ზოგიერთი ხის ძელების ნაცვლად ქვის ფილებითაა გადახურული (მადნისჭალის, გოსტიბეს, სამთავროს და კასპის ზოგიერთი სამარხი. ეს თავისებურება ქვემო ქართლში შედარებით გვიანდელ სამარხებში ჩნდება), ნაწილს ქვის წრეები შემოსდევს (ბაიბურთი, მადნისჭალა, სამთავრო და სხვ.). ზოგჯერ ორმოსამარხებში ჩანს ხის კონსტრუქციების ხმარება, კედლების ხის ძელებით მოპირკეთება — მადნისჭალა (168, გვ. 746), ბეშთაშენი (სამარხი № 40-ის სამხრეთი ნაწილი) (204, გვ. 33), დიღომი (182, გვ. 69). სამარხებში ხის კონსტრუქციების ხმარების ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოში ძველთაგანვე შეინიშნება (სამგორი — 10, გვ. 92; ბედენი — 283, გვ. 13—22), მაგრამ, როგორც ჩანს, დამახასიათებელი არ გამხდარა.

იშვიათ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებზე გვხვდება თანადროულ სამარხთა სხვადასხვა ტიპი. მაგ. წოფში, ბეშთაშენში, განთიადში, მადნისჭალაში ერთი და იგივე სამაროვანზე გვხვდება ორმო და ქვისსამარხები. როგორც ადრეც შევნიშნეთ ეს გარემოება გამოწვეული უნდა იყოს ამ სამაროვნების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურათა სასაზღვრო რაიონებში მდებარეობით და ეტყობა ქვისსამარხთა გამართვის წესი მეზობელი ქვეყნებიდანაა აღებული. მით უმეტეს, რომ თრიალეთი და ქვემო ქართლი საუკეთესო საძოვრებს წარმოადგენს, სადაც უძველესი დროიდან თავს იყრიდა მრავალი კუთხის წარმომადგენელი და გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, მატერიალურ კულტურათა შერწყმის ადგილად იქცა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არც უნდა იყოს საოცარი, რომ აქ ერთი და იგივე სამაროვანზე სამარხთა სხვადასხვა ტიპის არსებობა დასტურდება.

მაგრამ სამაროვანზე სამარხთა ტიპების აღრევას შეიძლება სხვა მიზეზებიც ჰქონდეს, მაგალითად, რაიმე გარკვეულ ტერიტორიაზე სხვადასხვა მატერიალურ კულტურათა მონაცვლეობა (წინწყარო, საკობიანო და სხვ.), ქონებრივი უთანასწორობა და სხვ.

მაგალითად, სამთავროს სამაროვანზე სამარხთა ტიპთა სხვაობა შესაძლოა ქონებრივ უთანასწორობაზე მიუთითებდეს, რადგან აქ ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხები და ბრინჯაოს მთლიანადსხმული მახვილების შემცველი ქვამიწაყრილიანი გორასამარხები ყოველთვის მდიდრულია, მათი თანადროული ღარიბული, მაგრამ იდენტურინვენტარიანი სამარხები კი ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი.

ცნობილ სამაროვანთაგან, თანადროული სხვადასხვა კონსტრუქციის სამარხთა ყველაზე მეტი ტიპი მადნისჭალის სამაროვანზე დადასტურდა. ნ. თუშიშვილის აზრით — „მადნისჭალაში ერთდროულად სხვადასხვა სახის სამარხების თანაარსებობა იმხანად არსებული სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლოა, გორასამარხებში ტომის ბელადები ან საზოგადოების ყველაზე დაწინაურებული წევრები იმარხებოდნენ, ქვისწრეებიან სამარხებში — საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლები. ამას მოწმობს მათი განლაგება სამაროვნის საუკეთესო უბანზე და ამ ტიპის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებით სიმდიდრე[64]. ჩვეულებრივ ორმოსამარხებსა და ქვისსამარხებში საზოგადოების რიგითი წევრები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი. აღნიშნულ ვარაუდამდე მივყავართ იმას, რომ ისინი სამაროვნის პერიფერიაზე მდებარეობენ; ამასთან ერთად ქვის წრეებიან სამარხებზე ღარიბულ ინვენტარს შეიცავენ“ (168, გვ. 746). ავტორი აქვე სრულიად სამართლიანად გამოთქვამს ვარაუდს, რომ სამარხთა ამ სხვასხვაობაში ტომთა კონტაქტებსაც უნდა მიენიჭოს განსაზღვრული მნიშვნელობა (168, გვ. 747).

თუ შუაბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიცვალებულთა კრემაციას საკმაოდ ხშირად ვარაუდობენ, გვიანბრინჯაო-რკი-

[64] ნ. თუშიშვილი, როგორც ჩანს, იზიარებს რ. აბრამიშვილის მოსაზრებას, რომელიც მას გამოთქმული აქვს 1959 წ. წოფის სამაროვნის შესწავლასთან დაკავშირებით. რ. აბრამიშვილი შენიშნავს, რომ წოფის სამაროვანზე წრიულ სამარხებს ვიწროდ შემოფარგლული ტერიტორია უჭირავს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამ სამარხებში გვარის დაწინაურებული წევრები უნდა იყოს დასაფლავებული (იხ. 170, გვ. 17—18).

ნის ხანაში აქ აღმოჩენილი ყველა სამარხი ინჰუმაციურია.

შესაძლოა მიცვალებულთა კრემაციის ძველი წეს-ჩვეულების გადმონაშთი იყოს ბოდბის № 2 გორასამარხში აღმოჩენილი ხის წმინდა ნაცარი, რომელზედაც ადამიანი იყო დასვენებული და აგრეთვე დიღმის ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილი ნაცეცხლურის კვალი და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებში, როგორც წესი, მიცვალებული დასვენებულია ხელ-ფეხმოკეცით — ქალები მარცხენა, კაცები მარჯვენა გვერდზე[65], ზოგჯერ ამ პოზის სტაბილიზაციის მიზნით მიცვალებულებს ქვები ჰქონიათ შემოწყობილი[66].

იშვიათ შემთხვევაში ნავარაუდევია მიცვალებულთა მჯდომარე დაკრძალვაც, მაგრამ ჯერჯერობით ამის სამტკიცებლად მოტანილი დოკუმენტური მასალა არ არის სანდო, საკმარისი და დამაჯერებელი. მაგალითად, ბ. კუფტინი მხოლოდ საკუთარი შთაბეჭდილების საფუძველზე, მიცვალებულთა მჯდომარე დაკრძალვას გულისხმობს — წინწყაროს და გუნიაყალას ქვისსამარხებში, სანთასა და ნულის სამარხებში. ასევე ნაკლებდამაჯერებელია გ. ნიორაძის მიერ დმანისში მიცვალებულთა მჯდომარე პოზით დამარხვის ვარაუდი. ამის სამტკიცებლად არ გამოდგება მაგალითად ის ფაქტი, რომ სამარხში მხოლოდ ერთი კუთხე იყოს თავისუფალი სამარხეული ინვენტარისგან, სადაც შეიძლებოდა მიცვალებულის მოთავსება.

თეთრი წყლების სამაროვნის შესწავლისას ჩვენ დავუშვით ვარაუდი, რომ აქ ორმოსამარხების ერთ ნაწილში შესაძლოა მიცვალებული მჯდომარე პოზით ყოფილიყო თავდაპირველად დაკრძალული, რადგან ამ სამარხებში სამარხეული ინვენტარისგან მხოლოდ ერთი კუთხე იყო თავისუფალი, მიცვალებულთა ძვლები კი პირდაპირ თიხის ჭურჭელზე იყო დამხობილი (167, გვ. 101—105).

შემდეგ წლებში კახეთში აღმოჩნდა არაერთი სამარხი, რომლებშიც არც ერთი კუთხე არ იყო თავისუფალი და მიცვალებული პირდაპირ ინვენტარზე იყო მოხრილი კიდურებით, გვერდზე დაკრძალული[67]. ამ შემთხვევაშიც ბუნებრივია, მიცვალებულის გახრწნისა და ჩონჩხის ჩაშლის შემდეგ, ძვლები ერთიმეორის მიმართ არაბუნებრივ განლაგებაში აღმოჩნდებოდა, რადგან სამარხეული ინვენტარი მათ ანატომიურ განლაგებას ცხადია დაარღვევდა. ამის გამო ამჟამად ვფიქრობთ, სრულიად არ არის გამორიცხული, რომ თეთრ წყლებშიც ამგვარი სურათი გვქონდა. აქედან გამომდინარე შემდგომში თუ კვლავ წარმოიშვა ეჭვი მიცვალებულის დაკრძალვის პოზის რაიმე თავისებურების შესახებ, საკითხი მხოლოდ სპეციალისტ ანთროპოლოგთა დახმარებით უნდა გადაწყდეს საველე პირობებში.

ა. კალანდაძის შენიშვნით სამთავროში 1938—1940 წლებში გათხრილი 370 საფლავიდან მჯდომარე მიცვალებული მხოლოდ ორში აღმოჩნდა — სამარხი № 156 და № 215 (205, გვ. 83).

თითქოს ყველაზე საბუთიანია გ. ნიორაძის მსჯელობა ზემო ავჭალის სამარხში მიცვალებულის მჯდომარე პოზაში დაკრძალვის შესახებ, მაგრამ ვინაიდან დღემდე აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებში ეს ფაქტი სხვაგან არსად დადასტურებულა უცილობლად, ჩვენ ზემო ავჭალის სამარხში სავარაუდო დაკრძალვის წესის აღიარებიდან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. მით უმეტეს, რომ ამ მტკიცებას მრავალი პირობითობა ახლავს თან (38, გვ. 146—150, სურ. 12, 13).

აღმოსავლეთ საქართველოში მიცვალებულის ზურგზე გაშოტილი დაკრძალვის ფაქტი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მხოლოდ ორ სამაროვანზეა დადასტურებული — მცხეთასა (სამთავრო-სამხრეთი უბანი სამარხი №№ 6, 126, 198; ჩრდილო უბანი — სამარხი № 31) და კასპში (10, გვ. 165; 171, გვ. 34). დაკრძალვის ამგვარი წესი დამახა-

---

[65] საინტერესოა ა. კალანდაძის ცნობა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით ჟაკ დე მორგანის მიერ სომხეთში გათხრილ სამარხებში ყველა მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა და რომ ყობანის იმავდროულ სამარხებში ორივე სქესის მიცვალებული ასევე მხოლოდ მარჯვენა გვერდზეა დაკრძალული (205, გვ. 82).

[66] მიცვალებულთა დაკრძალვა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცით მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და სხვადასხვანაირად არის ახსნილი სპეციალისტების მიერ. ზოგი ფიქრობს, რომ ჭირისუფლები ცდილობდნენ მიცვალებულისთვის მიეცათ ცოცხალი ადამიანისათვის დამახასიათებელი სახე და ამის გამო მას მძინარე ადამიანის პოზაში მარხავდნენ (10, გვ. 166), ზოგი კი ვარაუდობს, რომ მიცვალებულს აძლევდნენ ისეთივე პოზას, როგორც მას დედის საშოში აქვს იმისთვის, რომ იგი სიკვდილის შემდეგ კვლავ დაბადებულიყო (281, გვ. 42) და სხვ.

[67] მიცვალებულის თიხის ჭურჭლებზე დასვენების ფაქტი ცნობილია სამთავროს სამაროვნიდანაც (205, გვ. 74).

სიათებელია სკვითური და სხვა ჩრდილოური ტომების სამარხებისათვის, ამ პერიოდის ამიერკავკასიისათვის კი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს[68].

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებზე გვხვდება სამარხები მიცვალებულის გარეშე, ე. წ. სამახსოვრო სამარხები — კენოტაფები (სამთავრო, ქისტაური, წოფი, გულგულა, ბაკურციხე, ნასადგომარი, მელაანი, კასპი და სხვ.).

მეცნიერთა ვარაუდით, სამახსოვრო სამარხი იმართებოდა მაშინ, როდესაც ადამიანი ისეთ ვითარებაში იღუპებოდა, რომ შეუძლებელი იყო მისი გვამის დამარხვა. ასეთ შემთხვევაში სამაროვანზე მაინც იღებდნენ ორმოს, მასში აწყობდნენ თიხის ჭურჭელს, სამკაულს, იარაღს და ცხოველის თავ-ფეხს, რომელიც წესისამებრ მიცვალებულის საპატივცემულოდ გამართული სუფრიდან რჩებოდა. ამგვარად ჩნდებოდა სამარხი მიცვალებულის გარეშე.

·დაახლოებით ამგვარი წეს-ჩვეულების დასადასტურებლად შეიძლება მაგალითის მოყვანა დღევანდელი ეთნოგრაფიული ყოფიდანაც.

1968 წ. მთა-თუშეთში ჩვენი მოგზაურობის დროს, ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ — უფსკრულის პირას, დაუსახლებელ ადგილებში ხშირად გვხვდებოდა საფლავები. ეს მოვლენა, ჩვენმა გამყოლმა წოვათუშმა ბასილა ბაიხოიძემ შემდეგნაირად განმარტა — ამჟამად მთაში თუშ მწყემსებს მეგობარი თუ გადაეჩეხათ უფსკრულში, საიდანაც მისი სხეულის ამოტანა შეუძლებელია, მას უფსკრულშივე ორად გადასჭრიან წელზე და ხურჯინით ამოაქვთ ნაწილ-ნაწილ. შემდეგ იქვე გზის პირას მარხავენ მის შიგნეულს, რომელსაც თან ატანენ დაღუპულის რამდენიმე პირად ნივთს. სამარხს ზევიდან ჯვარს უკეთებენ სანიშნობლად, მიცვალებულის სხეულს კი, შიგნეულის გარეშე, სოფელში (ალვანში) ჩაასვენებენ და იქ მარხავენ. ამგვარად, მთაში ჩნდება სამარხი მიცვალებულის გარეშე, ასე ვთქვათ სამახსოვრო სამარხი — კენოტაფი. ბ. ბაიხოიძის ცნობით, ეს წეს-ჩვეულება თუშებს ჰქონიათ მთებიდან ალვანში ჩასახლებამდეც.

სამახსოვრო საფლავებს წარმოადგენს დღეს გზის პირას, ავტოკატასტროფების დროს ადამიანთა დაღუპვის ადგილას აღმართული სანიშნობლებიც.

სამთავროს სამაროვანზე დადასტურებულია მეორადი დაკრძალვის ფაქტიც — ე. ი. სხვაგან გარდაცვლილი ან ადრე სხვაგან დაკრძალული ადამიანის გადმოსვენება და ხელმეორედ დაკრძალვა (10, გვ. 165).

რ. რამიშვილი მეორადი დაკრძალვის წესის არსებობას გულისხმობს ერწოს „რკინის კალოს" სამაროვანზეც, რადგან, მისი სიტყვით, აქ ორმოსამარხებში ფენა-ფენად დამარხულ მიცვალებულთა ძვლები და სამარხეული ინვენტარი ქვედა სართულის სამარხებს გარდა ყველა ცალკეულ სამარხში არეულია (184, გვ. 19—20).

რ. რამიშვილის ამ ვარაუდის გაზიარება არ შეიძლება, რადგან ჩვენი აზრით, აქ მეორად დამარხვასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ სამარხის გადამხურავი ძელების დალპობის შემდეგ სამარხის თავზე დანაყარი ქვის ჩანგრევასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან.

ამასთან ერთად საყურადღებოა, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ქვედა სამარხის ჩონჩხის პოზა იყო შენარჩუნებული თავდაპირველ მდგომარეობაში, რადგან სწორედ სულ ქვედა სამარხი იყო გამართული მიწაზე — მყარ ნიადაგზე, დანარჩენი ზედა სამარხები კი ქვედა სამარხის ქვის ყრილზე იმართებოდა. ცხადია, ქვედა სამარხის გადახურვის ჩანგრევის შემდეგ ჩაინგრეოდა მასზე გამართული სამარხიც, შემდეგ ამას ზედა სამარხის გადახურვის ჩანგრევა და ქვების ჩაზვინვა მოჰყვებოდა. ამის გამო სრულიად ბუნებრივია ზედა სართულების სამარხთა ინვენტარის არევ-დარევა და იგი სრულიადაც არ გვაძლევს საბუთს აქ მეორადი დაკრძალვის სავარაუდებლად.

როგორც წესი, აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხები ინდივიდუალურია, მაგრამ იშვიათად ჩნდება კოლექტიურიც.

მაგალითად, კასპის № 12 სამარხში წყვილადი დამარხვა იგულისხმება. კასპის № 14 სამარხში კი ნავარაუდევია მსხვერპლად „მონის" ჩაყოლება (171, გვ. 34—35).

ჩვენი აზრით, მ. ბარამიძის მიერ მოტანილი მონაცემები ამ მოსაზრების დასადასტურებლად არასაკმარისია.

---

[68] ა. კალანდაძე სამთავროს სამაროვანზე მიცვალებულთა ამ უჩვეულო პოზაში აღმოჩენას ფიზიოლოგიური მოტივებით ხსნის (205, გვ. 83—84).

ჯერ ერთი — № 14 სამარხისგან 40 სმ-ის დაშორებით, მართალია, უინვენტარო მიცვალებული აღმოჩნდა, მაგრამ პრეპარაციის დროს სამარხი — ორმოს კონტურებისათვის ვერ მიუკვლევიათ, ისე რომ ჩვენ არ ვიცით ეს ჩონჩხები ერთ სამარხში აღმოჩნდა თუ არა. № 14 სამარხიდან უინვენტარო მიცვალებულის 40 სმ-ით დაცილება მათ ერთ სამარხად მიჩნევას აუცილებელს სულაც არ ხდის. ცნობილია ფაქტები ერთი და იმავე დონეზე სხვადასხვა ორმოსამარხის უფრო ახლო გამართვისაც კი. მეორეც — ვფიქრობთ, მიცვალებულის მონად მიჩნევა არ შეიძლება მხოლოდ იმ საბაბით, რომ იგი უინვენტაროა. მართალია, შესაძლოა მ. ბარამიძისთვის უცნობია, მაგრამ კახეთში ჩვენ გვაქვს არა ერთი ფაქტი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებზე ცალკეული, უინვენტარო სამარხების აღმოჩენისა.

ვფიქრობთ, არც მოშველებული პარალელური მასალებია საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ კასპის № 14 სამარხში მონა იყო ჩატანებული. ის, რომ საზოგადოების განვითარების დონის შესაბამისად ამ პერიოდში შესაძლოა ტყვე მონების არსებობა, სრულიადაც არ ნიშნავს ამის მტკიცების შესაძლებლობას სათანადო ფაქტობრივი მასალის გარეშე. ამგვარი მტკიცების უფლებას არ გვაძლევს არც ადიამანისა და ახმახის სამარხები, სადაც ადამიანის მსხვერპლშეწირვაა დადასტურებული. ამ აღმოჩენების მიხედვით ეს ფაქტი მხოლოდ იმ კულტურისათვის თუ იმ მიკრორაიონისთვის შეიძლება გამოდგეს „მონობის“ ინსტიტუტის არსებობაზე მსჯელობისათვის და არა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევისას. ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იყო ავტორს ამ შემთხვევაში შიდა ქართლის მაგალითებზე გაემახვილებინა ყურადღება.

კოლექტიური სამარხების აღმოჩენას ადასტურებს სამთავროს სამაროვანზე ა. კალანდაძე. იგი აღნიშნავს, რომ აქ ერთ სამარხში იშვიათად გვხვდება ორი (სამ. № 155), სამი და მეტი ჩონჩხი. ერთ-ერთ სამარხში კი 33 ადამიანი იყო დაკრძალული. აი როგორ ინტერპრეტაციას აძლევს იგი ამ ფაქტებს: „ნიშანდობლივია, რომ კოლექტიურ სამარხთა რაოდენობა, ფენების მიხედვით, თანდათან მატულობს. ამასთანავე, ზოგჯერ შეიმჩნევა ჩატანებული ინვენტარის დაკრძალულთა შორის არათანაბარი განაწილება. ყველა კოლექტიური სამარხის წარმოშობის მიზეზის ახსნა შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია ზოგიერთი თანდამარხვა (მაგ. წყვილისა) ცოლ-ქმრული დამოკიდებულებით აიხსნას, ზოგის წარმოშობა კი (მაგ. ზემოხსენებული 33 ჩონჩხის შემცველი საფლავისა) ეპიდემიას ან რომელიმე სოციალურ უბედურებას დავუკავშიროთ, ხოლო იმ საზიარო სამარხთა წარმოქმნა, რომლებშიაც სამარხეული ინვენტარის განაწილება დაკრძალულთა შორის თითქოს ცხადს ხდის მათს სხვადასხვა ქონებრივ შესაძლებლობას სიცოცხლეში, ვარაუდით მივაწეროთ აქაურ მოსახლეობაში ოჯახური, პატრიარქალური მონობის გაჩენა-განვითარებას“ (10, გვ. 165).

მიცვალებულთა წყვილად დამარხვას გულისხმობენ დვანის სამაროვანზეც, მაგრამ ვინაიდან ეს დასკვნა მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში ივარაუდება, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე, ჩვენ მას სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ.

ნ. თუშიშვილი მაღნისჭალის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ერთ-ერთ გორასამარხის სახურავზე „ჩაქოლილი“ მიცვალებულის აღმოჩენას ვარაუდობს და შემდეგ ამის საფუძველზე დაასკვნის, რომ ეს გარემოება „... იმხანად უფლებრივად დამოკიდებულ პირთა არსებობასაც უნდა მიგვითითებდეს“ (168, გვ. 746).

ჩვენი აზრით, ნ. თუშიშვილის მიერ მოტანილი ფაქტობრივი მასალა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის სამტკიცებლად ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან, ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული გორასამარხის სახურავზე აღმოჩენილიყო ჩაშვებული სამარხის მიცვალებული. ამის მსგავსი ფაქტები ცნობილია. თანაც თუ ქვაყრილიან გორასამარხშია ჩაშვებული სამარხი, ფაქტია, მიცვალებულს შემდეგში სამარხის ჩაშლილი კედლების ქვა ზედ ექნებოდა დახვავებული, როგორც მაგ. სამთავროს XVI გორასამარხში (206, გვ. 30), ხადიკის გორასამარხში და სხვ.

სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებში მკაცრ კანონზომიერებას არ ემორჩილება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საკითხში რაღაც განსაზღვრული წესით მაინც სარგებლობდნენ, რადგან მიცვალებულთა უმეტესობა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში თავით ორიენტირებულია W და N შორის (იხ. ცხრილი № 1).

მეტად საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ სა-

ქართველოს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ და გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებში მიცვალებულთა თავით დამხრობა იგივეა, რაც ამ მხარის შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში (იხ. ცხრილი № 1). ეს ფაქტი, დასაშვებია, სხვა მონაცემებთან ერთად, ამ პერიოდების მატერიალური კულტურის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის უცვლელობაზეც მიგვითითებდეს.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებში მიცვალებული უმეტესწილად სამარხის ცენტრალურ ნაწილშია დაკრძალული. თიხის ჭურჭელი საიმქვეყნო საგზლით უდგას თავთან და გულმკერდის წინ, ზოგჯერ კი გარშემო აქვს შემოწყობილი და იშვიათად რამდენიმე სართულადაა განლაგებული. პირისახისა და გულმკერდის არეში უფრო ხშირად დგას ხელადა და სასმისი, თავთან კი ჯამი ან ლანგარი. ლითონის ნივთების უმეტესობა ყოველთვის ჩონჩხთანაა დაკავშირებული: წელის არეში — სარტყელი, მახვილი, სატევარი, სალესი; ხელის მტევნებთან — სამაჯური, ბეჭედი, მძივების სამაჯური; ყელის არეში — მძივები, მძივსაკიდები, გვერგვი; კორპუსის მახლობლადვეა ბრინჯაოს სხვა ნივთებიც — ღილები, საკინძები და სხვ.

ზოგჯერ სამარხში, მიუხედავად იმისა, რომ სიმრავლის გამო ნივთები ერთიმეორეზეა დაწყობილი, მაინცაა ცარიელი ადგილები, სადაც შესაძლოა, სხვადასხვა ხის ნივთები იდგა, რომლებიც არ შემოინახა. იშვიათად სამარხში ხელსაფქვავის ქვებია ჩატანებული (თავთან), ზოგჯერ კი მიცვალებული კევრზეა დასვენებული.

სათვალისწყლის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (№ 8) მიცვალებულსა და მისთვის ჩატანებულ ინვენტარზე მთლიანად ქსოვილი ყოფილა გადაფარებული, რომელზეც დაკერებული იყო ბრინჯაოს ხვიები და ღილები დიდი რაოდენობით.

სამარხთა შორის დიდი სხვაობაა ჩატანებული ინვენტარის რაოდენობის მიხედვითაც. ზოგიერთ სამარხში შვიდ ათეულამდე თიხის ჭურჭელი და ლითონის მრავალი ნივთია ჩაწყობილი, ზოგში კი ერთი ან ორი. გვხვდება სრულიად უინვენტარო სამარხებიც (სათვალისწყალი, ქისტაური, გადრეკილი და სხვ.), რაც სრულიად აშკარად თანადროული საზოგადოების ქონებრივ დიფერენციაციაზე მიგვითითებს.

ნასადგომარის სამაროვნის ერთ-ერთი გორასამარხის ორმოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის პირას მიწის ზედაპირზე დიდი, გრძელი რიყის ქვა იყო ჩარჭობილი. სამარხს მიწის ყრილი, როგორც ჩანს, ქვის დამაგრების შემდეგ გაუკეთეს. როგორც ა. კრუგლოვი შენიშნავს, სამარხის აღნიშვნა ვერტიკალურად ჩაშვებული ქვით კავკასიაში ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული საკმაოდ ცნობილი ფაქტი ყოფილა. ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება, მაგალითად, ჩრდილო ოსეთში სოფ. გალიათის მახლობლად ე. კრუპნოვის მიერ გათხრილი სამარხი, რომელსაც სანიშნობლად ქვა აქვს ჩარჭობილი (207, გვ. 26—27).

აზერბაიჯანში ე. რესლერის მიერ გათხრილი ერთ-ერთი გორასამარხის ქვაყუთის თავთან ვერტიკალურად დიდი ქვა იყო ჩარჭობილი, შემდეგ კი როგორც ეს ქვა, ისე ქვაყუთი გორასამარხის ყრილით იყო დაფარული (208, გვ. 92—98).

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის თითქმის ყველა სამარხში გვხვდება ცხოველის ძვლები. ზოგში წვრილფეხა საქონლის მთელი ჩონჩხი ჩნდება, ზოგში კი — მხოლოდ თავ-ფეხი, ზოგში — ორივე. იგივე ითქმის მსხვილფეხა საქონლის ძვლებზე.

მთიან რაიონებში უფრო ხშირად წვრილფეხა საქონლის ძვლებია ჩატანებული (მელაანი, ბაკურციხე, თეთრიწყლები და სხვ.), დაბლობ რაიონებში კი — მსხვილფეხა საქონლისა (გულგულა I, II; ღრმაღელე, ყვარელწყალი) ან ორივე ერთად, როგორც ჩანს, იმის შესაბამისად, თუ რომელ რაიონში მესაქონლეობის რა სახე იყო უფრო გავრცელებული ან ვის რა ქონებრივი შესაძლებლობა თუ სოციალური წარჩინება ჰქონდა.

მკვლევართა აზრით, სამარხებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა ჭირისუფალთა ზრუნვის ნაშთია მიცვალებულთა საიმქვეყნო ცხოვრებისათვის. როგორც ჩანს, ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განსაზღვრული რიტუალი სრულდებოდა, რომელსაც თან სდევდა მიცვალებულის მოსახსენებელი ნადიმი. სწორედ ამ ნადიმის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს სამარხში ჩატანებული ცხოველთა თავ-ფეხი.

შესაძლოა თავ-ფეხის ჩატანება მთელი ცხოველის ჩატანების იმიტაციას წარმოადგენდა.

ზოგ შემთხვევაში სამარხში შინაურ ცხოველთა ძვლებთან ერთად გარეულ ცხოველთა ძვლებიც ჩნდება. მაგალითად, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია — ცხვრის, თხის, ღორის, ტახის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ცხენის, კურდღ-

ლის, ირმის, ფრინველების და სხვ. ძვლები. დადასტურებულია ძაღლის და თევზის ძვლების აღმოჩენის ფაქტიც (10, გვ. 166). ამ მონაცემების საფუძველზე ა. კალანდაძის აზრით, „შინაურ ცხოველთა ცალკეული სახეების მოშენება-გამრავლების დინამიკა გვაუწყებს, რომ ცხვრის მოშენება საკუთრივ ადრეული რკინის ხანისათვის (ა. კალანდაძის განსაზღვრით ძვ. წ. IX—VI სს.) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპთან შედარებით გადიდებულა თითქმის 5-ჯერ, ღორის მოშენება — 12-ჯერ, მსხვილფეხა საქონლის — 13-ჯერ, ხოლო ცხენისა — 4-ჯერ" (10, გვ. 167).

საინტერესო ფაქტი გამოვლინდა ზემო ბოდბის № 1 და № 2 გორასამარხებში. აქ მიცვალებულისათვის ჩატანებული ცხოველის ძვლების ნაწილი თიხის ჰურჭლის ნატეხებით იყო დაფარული. № 2 გორასამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი თიხის ჰურჭლის ფრაგმენტი ზევიდან ეფარა ცხვრის თავსა და ობსიდიანის უსახო ანატკეცს.

სამარხებში ცხოველის ძვლების თიხის ჰურჭლის ნატეხებით დაფარვა პარალელს ვერ პოულობს და სავარაუდოა ეს წეს-ჩვეულება მხოლოდ ზემო ბოდბის მიდამოებში მობინადრე მოსახლეობისთვის იყოს დამახასიათებელი.

სამაგიეროდ ცხვრის ჩონჩხთან ობსიდიანის ანატკეცის აღმოჩენა დადასტურებულია შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებში მეტეხთან და კასპის ცემენტის ქარხანასთან. აქ რამდენიმე შემთხვევაში ობსიდიანის ანატკეცი გამოვლინდა ცხვრის მთელი ჩონჩხის ყელის არეში. გამთხრელს მიაჩნია, რომ სამარხში ჩაყოლებული ცხვრები ობსიდიანის ამ „დანებით" იყო დაკლული. ზ. შატბერაშვილს ობსიდიანის სარიტუალო „დანით" ცხვრის დაკვლის ფაქტი დამოწმებული აქვს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

ეს ფაქტი იმითაცაა საყურადღებო, რომ შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი პერიოდის სამარხში დადასტურებული წეს-ჩვეულება პარალელს ისევ შუაბრინჯაოს ხანის მასალის შემცველ სამარხებში პოულობს, ეს კი აღმოსავლეთ საქართველოს ამ ხანის ძეგლების გენეტიკურ კავშირს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

სამაროვნების სამარხთა დაფენებები, რა თქმა უნდა, მათ კუთვნილ ნამოსახლართა კულტურული ფენების მონაცვლეობის ანარეკლია. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი პერიოდის სამაროვნებზე, როგორც წესი, მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის თითო-ოროლა სამარხი გვხვდება; გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამაროვნები კი გეოგრაფიულად თითქმის ყოველთვის გამოყოფილია გვიანბრინჯაო-რკინის ხანის დანარჩენი პერიოდის სამაროვნებისგან.

ეს მოვლენა, ბუნებრივია, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის ცვლას უკავშირდება.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი ეტაპის და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ნამოსახლართა მიმართ სამაროვნების განლაგება ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, რადგან ამ ერთიმეორესთან განუყრელად დაკავშირებული ძეგლის ერთად აღმოჩენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

სამაგიეროდ, მომდევნო პერიოდიდან ვიდრე ანტიკურ ხანამდე უკვე მრავლადაა ცნობილი ისეთი ძეგლები, სადაც სამოსახლო და მასთან დაკავშირებული სამაროვანი ერთადაა აღმოჩენილი (საყდრის გორა, რცხილის სერი, ტინის სერი, ტყის ბოლის თაფა, ხოვლე, „ფევრების ბოლო", ბეჟიტაანთ (მახარიკაანთ) გორა და სხვ.).

ამ ძეგლებზე სამაროვნები ნამოსახლარიდან, როგორც წესი, 200—300 მეტრითაა დაშორებული და თანაც გამართულია აუცილებლად ნამოსახლართან შედარებით უფრო დაბალ ადგილას. სამაროვნების გასამართავად პირველ რიგში სწორი ადგილებია შერჩეული, მაგრამ ასეთის უქონლობის დროს ყველა, მეტ-ნაკლებად შესაფერისი ადგილია გამოყენებული. ხშირად შერჩეულია მდინარისპირა ადგილები — სიგრძივ (გულგულა, სათვალისწყალი, ხირსა, გადრეკილი (ნასადგომარი).

სამაროვნებს ტრადიციულად მკაცრად განსაზღვრული ტერიტორია უკავიათ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამაზე უნდა მიგვითითებდეს მთელ რიგ სამაროვნებზე სამარხთა იარუსებად განლაგება (სამთავრო, ხირსა, გულგულა, მელაანი, გადრეკილი (ნასადგომარი) და სხვ.), მაშინაც კი, როდესაც სამაროვნები ველზეა და ყოველმხრივ გაფართოების სრული საშუალება აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებზე სამარხთა სხვადასხვა უბნები გამოიყოფა.

მაგალითად, ნ. თუშიშვილის ვარაუდით, მადნისჭალა ერთადერთი სამაროვანია, სადაც ცალკეა გა-

მოყოფილი ქალთა და ბავშვთა უბნები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ხანის სხვა სამაროვანზე მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა.

რიგ სამაროვნებზე შემჩნეულია წარჩინებული მამაკაცების სამარხთა უბნების გამოყოფაც. ამგვარი უბნების არსებობა დადასტურდა მაგალითად, თეთრი წყლებისა და ყვარელწყლის სამაროვანზე. აქ სულ მცირე უბანზე აღმოჩენილი ყველა სამარხი მამაკაცისაა, მახვილიანი და როგორც წესი, მდიდრულ ინვენტარს შეიცავს. მსგავს სურათს ხედავენ სამთავროს, წოფის და მადნისჴალის სამაროვნებზეც. წარჩინებულ მამაკაცთა სამარხები, შესაძლოა, ცალკე იყო გამოყოფილი დიღმის სამაროვანზეც, რადგან აქ შემთხვევითი აღმოჩენების დროს მცირე უბანზე მრავლად აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილები; ეს იარაღი კი წარჩინებული მეომრის ატრიბუტად მიაჩნიათ.

სამარხთა ჯგუფური განლაგება, რომლებიც ქრონოლოგიურ-ტიპობრივ განსხვავებას იჩენენ, შემჩნეულია ხოვლეს სამაროვანზეც.

ხირსის სამაროვანზე ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ექვსი ორმო-სამარხი ერთიმეორისგან თანაბარი მანძილით იყო დაშორებული და ზუსტად ერთ ხაზზე W—O იყო გვერდიგვერდ განლაგებული, თანაც სხვა სამარხებისგან მოშორებით[69]. აქედან გამომდინარე შესაძლოა დავუშვათ, რომ ოჯახის თუ გვარის სამარხთა ცალკე უბნებიც არსებობდა.

დაკრძალვის შემდეგ სამარხზე გასვლისა და განსაზღვრული რიტუალის შესრულებაზე უნდა მიგვითითებდეს არა ერთი აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სამაროვანზე.

ამგვარი წეს-ჩვეულების არსებობაზე მიგვანიშნებს, მაგალითად, ყვარელწყლის ერთ-ერთი სამარხის თავზე, მიწის ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე თიხის ჰურჭლის აღმოჩენა, რომელიც აშკარად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაა სამარხის თავზე ჩაფლული. ამგვარივე ფაქტები დადასტურდა სამთავროს (71, გვ. 56), გულგულის, განთიადის სამაროვნებზე (188, გვ. 233), ულიანოვკის № 1 გორასამარხში (164, გვ. 30), წინწყაროს სამაროვანზე (სამარხი № 13, 23, 39, 51) (204) და სხვ.

ყველა შემთხვევაში სამარხის თავზე ჩამარხული თიხის ჰურჭელი ფორმებით სამარხეული ინვენტარის იდენტურია და ქრონოლოგიურად თანადროული.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნებზე საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სამარხთა ძარცვის შემთხვევები. როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანისგან განსხვავებით, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხები აღმოსავლეთ საქართველოში იმიტომაა იშვიათად გაძარცული, რომ მათში აღარ გვხვდება ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნივთები, მაგრამ, როგორც ჩანს, გამონაკლის შემთხვევებში მძარცველები ბრინჯაოსა და რკინის ნივთებსაც მიუზიდიათ.

სამარხები გაძარცულია მიწით ამოვსებამდე, ე. ი. სანამ სამარხის გადახურვა ჯერ კიდევ ჩანგრეული არ იყო. ასეთი სურათია—ნასადგომარის (გადრეკილი) და რცხილის სერის (ჩალაუბანი) სამაროვნებზე. გაძარცულია ბეშთაშენის ქვისსამარხების ნაწილიც.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად მიცვალებულთა დაკრძალვასთანაა დაკავშირებული, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მოსახლეობის მრავალ წეს-ჩვეულებას შეიძლება გავადევნოთ თვალი.

ეს მონაცემები გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ იმდროინდელი ადამიანის შეხედულებები იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. რადგან მიცვალებულებს მრავლად ატანდნენ საგზალს, სხვადასხვა შინამოსაქმეობის და საომარ იარაღს, ტანსაცმელს და სხვ. აგრეთვე მიცვალებულის „სულის“ მოსახსენებლად საფლავზე გადიოდნენ დაკრძალვის შემდეგ და საფლავის თავზე კიდევ მარხავდნენ ჰურჰელს საგზლით, ბუნებრივია მათ სჯეროდათ იმქვეყნიური ცხოვრებისა, რომ „იქ“ ადამიანი აგრძელებდა ისეთივე ცხოვრებას, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების დროს — მისდევდა შინამოსაქმეობას, იკვებებოდა, იბრძოდა და სხვ.

როდესაც ქვემოთ ქრონოლოგიის და მატერიალური კულტურის ლოკალურ ჯგუფთა გამოყოფის საკითხებზე გვექნება საუბარი დავინახავთ, რომ ამ საკითხების კვლევისას უძვირფასეს მასალას სწორედ სამარხეული ინვენტარი გვაწვდის.

როგორც დავინახეთ, სამარხთა ტიპებისა და მიცვალებულთა დაკრძალვის წესების კვლევა გარ-

---

[69] *ქვის მწკრივებს შორის, რიგებად განლაგებული სამარხები აღმოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში (200, გვ. 54—55). მსგავსი სურათი სხვა სამაროვნებზეცაა დადასტურებული (იხ. მაგ. 209, გვ. 32).*

კვეულ დახმარებას გვიწევს ისეთი კარდინალური პრობლემების შესწავლაში, როგორიცაა მატერიალური კულტურის გენეზისის კვლევა, მონათესავე ტომთა განსახლების საზღვრების დადგენა და სხვ.

სამაროვანთა შესწავლა უმდიდრეს მასალას გვაწვდის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიურ საკითხთა კვლევისათვის — მესაქონლეობის თუ მიწათმოქმედების, შინამოსაქმეობის სხვადასხვა დარგის თუ ამ საქმიანობის მიმდევარი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ, მოსახლეობაში ქონებრივი თუ სოციალური ჯგუფების თუ ფენების გაჩენის შესახებ და სხვ.

სამაროვნები მკვეთრად გამოყოფენ და გვითარიღებენ მათ კუთვნილ ნამოსახლართა კულტურულ ფენებს ისე, რომ ნამოსახლარის შესწავლის გარეშეც კი შეიძლება გარკვეული წინასწარი წარმოდგენა შევიქმნათ ნამოსახლართა ტოპოგრაფიაზე, მათი კულტურული ფენების ინტენსივობაზე, ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე და სხვა მრავალი.

## § 3. მეტალურგია და ლითონდამუშავება

მეტალურგიის შესწავლას განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მხოლოდ ლითონჩამოსასხმელი წარმოების პროდუქტების კვლევით, თვით წარმოების მთელი ციკლის გაუთვალისწინებლად, ცალმხრივი ხასიათი ექნებოდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ ბოლო დრომდე აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის მეტალურგიის კვლევისას სპეციალისტები იძულებული იყვნენ თითქმის მხოლოდ წარმოების პროდუქტების შესწავლით დაკმაყოფილებულიყვნენ, ვინაიდან საქართველოს ამ ნაწილში გვიანბრინჯაოს ხანის მხოლოდ თითო-ოროლა ყალიბის ფრაგმენტი იყო ნაპოვნი და ისიც არა საწარმოსთან კავშირში, არამედ უმთავრესად ნასახლარზე (10, გვ. 218, ტაბ. XIX; 111, გვ. 7, სურ. 1), ან საკულტო ადგილზე (55, გვ. 254—265, ტაბ. $XVI_2$, $XVII_{3,5}$; 18, გვ. 94, ტაბ. $XXXII_{1,2}$). გვაქვს ერთი შემთხვევა ხელოსნის სამარხის აღმოჩენისაც (188; 210, გვ. 506—509).

მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე დიდი სამუშაოებია ჩატარებული ბრინჯაოს ხანის სპილენძის თუ სხვა სამთამადნო გამონამუშევრების ადგილას (43, გვ. 35—62; 211), მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც სამთამადნო გამონამუშევრების კვლევის, ისე უშუალოდ ლითონსამსხმელო საქმის შესწავლის თვალსაზრისით ამჟამად თითქმის ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ (43, გვ. 7, 35, 77)[70].

აქ იმაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებების წარმოების შესწავლას ჩვენი მეცნიერებისათვის. მით უმეტეს, რომ ქართულ არქეოლოგიაში სწორედ ამ დარგის კვლევა ჩანს ყველაზე მეტად ჩამორჩენილი.

ბოლო დრომდე ცნობილი იყო ბრინჯაოს ხანის მხოლოდ ერთი ლითონსამსხმელო სახელოსნო სოფ. წალევერიდან[71], მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა გამოვლენილი, დღეს ამ ძეგლის შესახებ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ცნობები მოგვეპოვება[72]. ჩვენ ხელთ არის მოსკოვის ისტორიული მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერები და თითო-ოროლა განათხარი ნივთი, რომელიც იმავე მუზეუმშია დაცული (ინვ. №№ 50993—50995).

საინვენტარო წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ ვ. გოროდცოვს 1911 წ. წალევერის მახლობლად ჩაუტარებია არქეოლოგიური გათხრები. როგორც მასალიდან ჩანს (№ 50993), გათხრის ობიექტზე პირველ — ზედა ფენას წარმოადგენდა შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარი. ამის აშკარა დადასტურებას წარმოადგენს მუზეუმის ფონდებში დაცული, პირველი ფენის კუთვნილი ლუსტრით მოხატული ფაიანსის ჭურჭლის ორი მცირე ნატეხი; შავი საღებავით მოხატული, თეთრი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ფაიანსის ჭურჭლის სამი მოზრდილი ნატეხი; სპილენძის ჭურჭლის ნატე ი

[70] ვინაიდან ამ თვალსაზრისით ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შევისწავლით, შეგნებულად არ ვახსენებთ ა. კალანდაძის მიერ გათხრილ ძეგლს სოხუმის მთაზე (212).

[71] ე. თაყაიშვილი ბრინჯაოს ცულების სახელოსნოს არსებობას გულისხმობს სოფ. ახალქალაქთან (გორის მახლობლად) (358, გვ. 173) განძის აღმოჩენის მახლობლად, მაგრამ ამ ვარაუდისათვის მტკიცე საფუძველი არ არსებობს.

[72] წალევერის სახელოსნოს შესახებ ცნობები იხილეთ — 213, გვ. 10; 37, გვ. 301; 215; 43, გვ. 140—141; 58, გვ. 173—174; 10, გვ. 218.

აღმოსავლური წარწერით; რკინის დანა; რკინის ლურსმანი და სხვა.

მეორე ფენაში აღმოჩენილია რვა ორმოსამარხი, რომლებშიც მიცვალებულები მოხრილი კიდურებით იწვნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ერთი კი თითქოს მჯდარა. სამარხებში აღმოჩენილა თიხის ჭურჭლები, ბრინჯაოს სამკაულები და კაჟის ერთი იარაღი (58, გვ. 178).

როგორც ჩანს, მესამე — ქვედა კულტურულ ფენას წარმოადგენდა მეტალურგიული სახელოსნო. აქ აღმოჩნდა ლითონის ნივთების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბები, თიხის ტიგელების ნატეხები, ლითონის წიდები, ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები, ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი, ანდეზიტის დიდი ქვასანაყის ფრაგმენტი, საბერველი მილის ნატეხები და სხვ.[73]

გ. ნიორაძის აზრით, წალვერის სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანდეზიტის როდინები, ბრინჯაოს ჯართი, ტიგელები და სხვ. იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ადგილობრივ ხდებოდა როგორც სპილენძის მადნიდან სპილენძის მიღება, ისევე სპილენძ-ბრინჯაოსაგან სხვადასხვა ნივთების ჩამოსხმა.

მისივე ცნობით, პროფ. ე. გოროდცოვი ამ სახელოსნოს ძვ. წ. XIV ს. აკუთვნებდა აქ აღმოჩენილი დასავლურ-ქართული ცულის ლითონის ყალიბის მიხედვით (თვით გ. ნიორაძეს ეჭვი ეპარება ამ ცულის წალვერის სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენის უეჭველობაში — იხ. 58, გვ. 178—179).

როგორც ცნობილია, ა. იესენიც თავის ცნობილ ნაშრომში კავკასიის მეტალურგიის შესახებ წალვერის სახელოსნოს გვიანბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს (43, გვ. 140—141).

ამის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ასეთი ადრეული საწარმოო აღარ აღმოჩენილა. ბუნებრივია, არსებული მცირე ცნობებით დაკმაყოფილება და მათზე დაყრდნობით ფართო დასკვნების მიღება თითქმის შეუძლებელი იყო.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა ჩანს ბოლო ხანებში, მართალია წალვერთან შედარებით უფრო გვიანდელი, მაგრამ მსგავსი დანიშნულების ძეგლის აღმოჩენა სოფ. ქვემო ქედში.

აღნიშნულ ძეგლზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მხოლოდ ორი ზაფხულის განმავლობაში იმუშავა (1963—1964 წწ.) (119, გვ. 18—22; 217, გვ. 16) და შეისწავლა სახელოსნოს სულ მცირე ნაწილი. მიუხედავად ამისა სოფ. ქვემო ქედში აღმოჩენილმა ძეგლმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საფუძველი მოგვცა უფრო დამაჯერებლად ვისაუბროთ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მეტალურგიული წარმოების მაღალ განვითარებაზე აღმოსავლეთ საქართველოში.

აღნიშნული ძეგლი აღმოჩნდა წითელი წყაროს რაიონში, დიდი შირაქის ველის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში, სოფ. ქვემო ქედის ტერიტორიაზე. 1963 წ. სკოლის ახალი კორპუსისათვის საძირკვლის ამოღებისას მოსახლეობის ყურადღება მიიქცია თიხის დიდ ჭურჭელში ჩაწყობილმა ბრინჯაოს ორმოცმა მახვილმა[74] (ტაბ. $X_1$). აღმოჩენის შესახებ ეცნობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რომელმაც თავის მხრივ ადგილზე გაგზავნა ექსპედიცია ძეგლის შესასწავლად. ექსპედიციამ შეისწავლა მხოლოდ ის ფართობი, რომელზედაც სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობის შედეგად ძეგლის განადგურება იყო მოსალოდნელი და მუშაობა შეწყვიტა[75]. გაითხარა 1100 $მ^2$ ფართობი. აქედან

---

[73] მასალა გატარებულია 50995 ნომრით და შეიცავს 105 ერთეულს.

აქვე საინვენტარო წიგნში ევ. პჩელინას მინაწერია 1926 წ. თარიღით. მისი შენიშვნის მიხედვით, გათხრების დღიური, სტატიის (ანგარიშის) შავი პირები და ფოტოები გამზადებული გამოსაცემად ინახება ე. გოროდცოვის ბინაზე. გამოსაცემად გამზადებული წერილი 1911 წ. გათხრების შესახებ ე. გოროდცოვმა გადასცა პ. უვაროვას, მაგრამ პ. უვაროვას სახლის აფეთქების დროს, 1917 წ. ხელნაწერიც დამწვარა.

[74] ძეგლის თავდაპირველი მოხილვისას ადგილზე დაგვხვდა იმ ქვევრის ქვედა ნაწილი, რომელშიც მახვილები აღმოჩინათ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვევრის შერჩენილი ნაწილი მთლიანად ძეგლის მსგავსად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულს უნდა მივაკუთვნოთ, მასში ჩაწყობილი მახვილები კი შედარებით ადრეულია. ცნობა იმის შესახებ, რომ მახვილები სწორედ ამ ქვევრში აღმოჩნდა ეჭვს არ იწვევს, რადგან ჩვენ მიერ გაწმენდილი ქვევრის შიდა ნაწილს დიდი რაოდენობით ჰქონდა მიკრული ბრინჯაოს ჟანგი.

[75] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძეგლი მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე და კერძო სახლების გამალებული მშენებლობის მიხედვით თუ ვივარაუდებთ, იგი ახლო მომავალში თუ არ იქნა შესწავლილი, მთლიანად განადგურდება, ან მისი გათხრა სრულიად შეუძლებელი გახდება.

360 მ², გათხრამდე ექსკავატორით იყო დაზიანებული (ტაბ. X$_2$).

სახელოსნოს ტერიტორია ოდნავაა დახრილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და რამდენიმე ჰექტარი ფართობი უკავია[76]. აქ მიწის ზედაპირს წარმოადგენს 0,70 მ სიმძლავრის, თიხაში ნარევი ნაცრისა და ნახშირისაგან შემდგარი, ნაძრავი კულტურული ფენა. მის ქვეშ იწყება დედაქანი — კირნარევი თიხნარი, რომელშიც გამართულია სახელოსნოს სათავსოები. გათხრამდე სათავსოები კირნარევ თიხნარში შავ ლაქებად შეიმჩნევა, რაც მეტად აადვილებს მათი კონტურების შემოხაზვას და გათხრას (ტაბ. XI$_1$).

გვხვდება, როგორც ცალკეული ორმოები, ისე ერთიმეორესთან დაკავშირებული რამდენიმე სათავსო — კომპლექსი. ხშირად გრუნტული ფენის ზედაპირი მოტკეპნილია, უმთავრესად კომპლექსის მახლობლად. ყველა ორმო და სათავსო მეტნაკლებად გუმბათოვანია და გეგმაში მომრგვალებული ფორმებით ხასიათდება.

განსხვავებულია სათავსოთა ზომები: მათი სიღრმე მერყეობს 0,20 მ-დან — 2,30 მ-დე, ხოლო დიამეტრი 1-დან 2 მეტრამდე.

ორმოები და სათავსოები, ხმარების შემდეგ, ძველადვე ჩანს მიტოვებული და მაშინვე შევსებული წარმოების გადანაყარით, ნაცრითა და ნახშირით. როგორც ჩანს, ქურა სწრაფად გამოდიოდა ხმარებიდან და მისთვის ახალ კომპლექსს აგებდნენ, საიდანაც გადანაყარს ძველ კომპლექსში ყრიდნენ, ამის გამო ხშირად კარგად არის დაცული თიხაში ამოჭრილი: კარი, საფეხური, თახჩა და სხვ.

ზოგიერთი ორმო ფენებად განლაგებული თიხით იყო სავსე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული თიხის მრავალი ხელსაწყო ადგილზე მზადდებოდა, შესაძლოა ეს ორმოები თიხის დასაძველებელ ორმოებად მივიჩნიოთ.

ცალკეული ორმოების გარდა გაითხარა რვა კომპლექსი (ტაბ. X$_2$).

I კომპლექსის შესწავლისას აღმოჩნდა თიხაში ამოღებული, გეგმაში მრგვალი თაღოვანი ოთხი სათავსო, რომლებიც ასევე თაღებიანი დერეფნით იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული. კომპლექსის დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია.

II—VII კომპლექსები პირველისაგან განსხვავებით მხოლოდ ნაწილობრივ იყო მიწაში ჩათხრილი. როგორც ჩანს, ისინი გადახურული ყოფილა ხით. ყველა სათავსოს ფსკერის ცენტრალურ ნაწილში, სიგრძივ ერთ მწკრივად გადახურვის საყრდენი ბოძების ორმოებია შერჩენილი. ამგვარივე ორმოები გაიწმინდა ცენტრალური საყრდენის ორივე მხარეს, სათავსოთა კიდეებზე, მიწის ზედაპირზე. საყრდენი ბოძების ორმოთა ამგვარი განლაგება, ორფერდი მსუბუქი გადახურვის არსებობას გვავარაუდებინებს.

აღნიშნული კომპლექსები შედგება სხვადასხვა რაოდენობის, ერთიმეორესთან დაკავშირებული სათავსოებისაგან; განსხვავებაა მათ გეგმარებაშიც (ტაბ. X$_2$, XI, XII$_2$).

კომპლექსის ყველა ნაწილი, როგორც დამხმარე, დაკავშირებულია ერთ, ძირითად სათავსოსთან, რომელშიც ქურაა გამართული.

ქურის ფსკერის ნაშთები აღმოჩნდა II—V კომპლექსებში. ამათგან ყველაზე უკეთ იყო დაცული IV კომპლექსი (ტაბ. XI). მისი ყველა სათავსო წარმოადგენს ზემოთ მომრგვალებით შევიწროებულ მრგვალ ორმოს. IV კომპლექსის დასავლეთი სათავსო შუაში რიყის ქვით ნაგები კედლით იყო გადატიხრული (ტაბ. XII$_1$). სათავსოს დასავლეთ ნაწილში ქურა იყო გამართული, აღმოსავლეთი ნაწილი კი საცეცხლფარეშე განყოფილებას წარმოადგენდა. რიყის ქვით ნაგებ ტიხრის შუა ადგილას, ქურის ფსკერის დონეზე მცირე სარკმელია დატანებული, რომელიც, შესაძლოა, საბერველის ჩასადგმელად იხმარებოდა.

ქურის ფსკერი, რომელიც გეგმაში ნახევარწრეს ჰქმნის, შუაში მაგიდასავითაა შემაღლებული. ამ შემაღლებასა და ქურის კედლების შელესილობის პირველი ფენა წარმოადგენს ნაცრისა და თიხის ნარევს. როგორც ცნობილია, ეს ნარევი საუკეთესო ცეცხლგამძლე თვისებებისაა (218, გვ, 360, 369, 467). შემდეგ ქურის კედლები ფსკერთან შელესილი ყოფილა ბზენარევი თიხით. როგორც ჩანს, ამგვარივე თიხითაა ნაგები თვით ქურაც. ქურიანი სათავსოების მახლობლად, როგორც წესი, ყოველთვის გვხვდებოდა დიდი რაოდენობით ბზენარევი ბათქაში. უმეტეს შემთხვევაში ბათქაში დიდი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად

---

[76] ვინაიდან ძეგლზე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, რიგი მოსაზრებები მხოლოდ წინასწარული ვარაუდის სახითაა გამოთქმული და შემდგომი მუშაობის დროს უნდა დაზუსტდეს.

თიხის წიდად იყო ქცეული. ხშირად ბათქაშს განსაზღვრული ფორმები ჰქონდა — ღარის, კუთხის და სხვ.

როგორც ჩანს, ამგვარივე ბათქაშით იყო შელესილი მცირე ზომის ორმოს პირები, რომელშიც წიდა გროვდებოდა. ამ ორმოების ძირი, როგორც წესი, ქვიშით ყოფილა მოგებული. ეს კარგად მტკიცდება აღმოჩენილი წიდების მიხედვით, რომლებსაც გვერდზე შელესილობა აქვთ შემორჩენილი, ძირზე კი ქვიშა. წიდის დაგროვების ამგვარი წესი, როგორც ჩანს, საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული (218, გვ. 343).

IV კომპლექსის ქურიანი სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სხვა სათავსოებს უკავშირდება. ქურიანი სათავსოდან მეზობელ სათავსოში რომ გადასულიყავით, საჭირო იყო მიწის კიბის ორი საფეხურით მაღლა ასვლა, შემდეგ ვიწრო კარი უნდა გაგვევლოთ, საიდანაც მაშინვე ორი საფეხურით ქვევით, მრგვალი დაგეგმარების სათავსოში მოხვდებოდით, რომელიც პირველ სათავსოსთან ოდნავი კუთხით იყო განლაგებული. ქურის სათავსოსა და მის მეზობელ სათავსოს შორის შემაღლება და ამ სათავსოთა კუთხით განლაგება, როგორც ჩანს, მეორე სათავსოში მყოფთა სიმხურვალისგან დასაცავად იყო გამიზნული. IV კომპლექსის მეორე სათავსოს აღმოსავლეთიდან წაბმული ჰქონდა ასევე მრგვალი დაგეგმარების მესამე, თახჩიანი სათავსო.

ქურის ფსკერზე აღმოჩენილი თიხის ტიგელების ნატეხები, ფსკერზე მიდუღებული ბრინჯაოს თხელი ფენით (იხ. ცხრილი № 2), ქურის დანიშნულებას განმარტავს.

IV კომპლექსის აღმოსავლეთით აღმოჩნდა კარგად დაცული განსხვავებული აღნაგობის ქურის ფსკერი, მასთან დაკავშირებული სათავსოებით. ქურის ფსკერი წარმოადგენდა მრგვალ ღრმა ორმოს და უნდა ვივარაუდოთ, რომ IV კომპლექსის ქურისგან განსხვავებით, იგი სხვა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო.

მონაცემების სიმცირის გამო თვით ქურების კონსტრუქციაზე ვერ ვილაპარაკებთ, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ იგი თითქოს ბზენარევი ბათქაშისაგან უნდა ყოფილიყო აგებული. ამ მოსაზრების გამოთქმისას ვეყრდნობით გათხრილ ფართობზე: 1) დიდი რაოდენობით დამწვარი და გადამწვარი ბათქაშის აღმოჩენას, რომლის ზედაპირი დიდი სიმხურვალისაგან ხშირად წიდადაა ქცეული, 2) წიდებზე მიკრულ მუდამ ერთი და იგივე — განსაზღვრული ფორმის ბათქაშის ფრაგმენტებს, 3) ამაზევე უნდა მიგვითითებდეს 1964 წლის გათხრების დროს გამოვლენილი ოთხკუთხა ფორმის საბერველის ბუდე (ტაბ. $XIII_1$), რომელიც ისევ ბზენარევი ბათქაშისაგანაა დამზადებული, საკმაოდ სქელია, შიდა მხარე დაწიდებულია და ქურაში ჩასაშენებელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

VI, VII კომპლექსებში ქურიანი სათავსო არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სახელოსნოს არსებობის პერიოდში ეს კომპლექსები უკვე ამოვსებული ყოფილა წარმოების გადანაყარით და იგი ქვევრების ჩასადგმელად გამოუყენებიათ, რითაც კომპლექსთა სახე იმდენად დაზიანდა, რომ ამჟამად მათ გეგმარებაზე საუბარი შეუძლებელია.

1964 წ. გათხრილი VIII კომპლექსი გადაბმულია IV კომპლექსზე და აღნაგობითაც მისი მსგავსია. აღნიშნული კომპლექსის ერთ-ერთი სათავსო ქურის ფსკერს წარმოადგენს, მასთან დაკავშირებულ დანარჩენ სათავსოებს კი დამხმარე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. ეს კომპლექსი სხვების მსგავსად ძველადვე ჩანს მიტოვებული და მისი სათავსოები მაშინვეა ამოვსებული წარმოების გადანაყარით — ნაცრით, ბათქაშის ნატეხებით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით და სხვ. 1964 წ. VI—VII კომპლექსთა აღმოსავლეთით მათი მსგავსი ერთიმეორესთან დაკავშირებული ორმოები აღმოჩნდა, მაგრამ VI—VII კომპლექსებისაგან განსხვავებით, ამ სათავსოებიდან რამდენიმე ნაქურალ ორმოს გავს, თუმცა იმავე კომპლექსების მსგავსად 1964 წელს გათხრილი სათავსოებიც მეორადი დანიშნულებისთვის გამოუყენებიათ — მათში ჩაუდგამთ ქვევრები.

ამგვარად, თითქოს შეინიშნება განსაკუთრებული წესი კომპლექსების განლაგებაში: ქურიანი კომპლექსები იმართება უფრო ჩრდილოეთით ივრის პლატოს ნაპირისაკენ, ყოველგვარი სხვა დანიშნულების კომპლექსები კი უფრო სამხრეთით. ამასვე გვიდასტურებს სკოლის შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, უშუალოდ პლატოს პირას, სახლის მშენებლობის დროს აღმოჩენილი ქურის ნაშთისა და მასთან დაკავშირებული სათავსოების აღმოჩენა; ამაზე მიგვითითებს სახელოსნოს გაყოლებით, ივრის პლატოს ჩრდილო ფერდის ზედა ნაწილი, დიდი რაოდენობით დაწიდებული ბათქაშისა და ლითონის წიდის აღმოჩენა.

მიუხედავად ამისა, შესწავლილი ფართობის სიმცირის გამო, ჩვენთვის ჯერჯერობით ძალიან ძნელია უფრო გადაწყვეტით რაიმე დასკვნის გამოტანა სახელოსნო უბანზე შრომის ორგანიზაციისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

იმ მცირე სამუშაოებმა, რომლებიც ჩავატარეთ სახელოსნოს გავრცელების ტერიტორიის დადგენისათვის, შესაძლებლობა მოგვცა გამოგვერკვია, რომ სიგანეში — ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ იგი ვრცელდებოდა დაახლოებით 150—300 მეტრის მანძილზე, ე. ი. მიჰყვება ივრის პლატოს ჩრდილო კიდეს. კვლავ დაუდგენელი დარჩა სახელოსნოს გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სახელოსნო უბნის გათხრილ ნაწილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების ნივთები — მათი ნაწილი ლითონის წარმოებაზე მიგვითითებს. კერძოდ, კირქვის, ტუფოგენური ქვიშაქვის, წვრილმარცვლოვანი პორფირიტის სხვადასხვა ზომის (d=10,4 სმ-დან 4 სმ-დე) მრავალი ქვა, რომელთა გვერდები ხშირად ნაპრიალებია იმდენად, რომ დაბრტყელებულია. უმეტესობას ზედაპირი შემომტვრეული აქვს, უფრო ხშირად შემომტვრეულია ვიწრო ზოლი, რომლითაც, როგორც ჩანს, გორავდა (ტაბ. XIII$_2$).

სპეციალისტთა აზრით, ამგვარად დამუშავებული ქვები მადნის გასაფხვიერებლად იხმარებოდა.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ეს ქვები მადნის სასრესებად იყო გამოყენებული, ზოგიერთი კი ფიქრობს (პროფ. ფ. თავაძე), რომ ისინი მადნის დასაქუცმაცებლად, შესაძლოა, მადანთან ერთად იყრებოდა „სფერულ წისქვილში" (шаровая мельница). ამაზე, მისი აზრით, მიუთითებს მრგვალი ქვების ზედაპირის განსაკუთრებული — სარტყლობრივი დამუშავება. თუ ეს მოსაზრება გამართლდა, მაშინ ამ პერიოდში საქმე გვექნება მნიშვნელოვან ტექნიკურ პროგრესთან, რომელმაც ბევრ სხვა მოწინავე ქვეყანაზე ადრე მოიკიდა ჩვენში ფეხი.

მადნის გასაფხვიერებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული სახელოსნოს ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი საბეგველა და ხელსაფქვავის მოზრდილი ქვებიც.

ქვემო ქედში სამსხმელო წარმოების არსებობაზე მიგვითითებს აქ აღმოჩენილი: ტიგელები სპილენძის და ბრინჯაოს დანალექებით, ქვისა და თიხის ყალიბები, ამოხვრეტილი ქვები შიგ ჩასხმული ლითონით, თიხის საცრები სხვადასხვა ზომის ნახვრეტებით, სხვადასხვა ფორმის სადგარები, ძვლის კოვზი, რომელიც შესაძლოა საწყაოს წარმოადგენდა (ტაბ. XIV; XV$_1$); ლითონის წარმოებასვე უნდა ეკუთვნოდეს რქებიანი სადგარის მსგავსი თიხის დიდი ნივთები მაღალი ფეხით და ღარებით. მათ ღარებთან სიდამწვრის ნიშნები და ჩამონაღვენთები აქვთ (ტაბ. XV$_2$). მეტად საყურადღებო ჩანს ქვემო ქედის სახელოსნო უბანზე მუფელის ფრაგმენტების აღმოჩენა (ტაბ. XVI$_1$). როგორც ცნობილია, ტიგელებს, რომელშიც უნდა მიიღონ წმინდა სპილენძი, აფარებენ მუფელს. მუფელი იცავს ტიგელსა და მასში მოთავსებულ ნივთიერებას უცხო სხეულების მოხვედრისაგან (218, გვ. 224—225, 249—250, 492—493). ქვემო ქედში აღმოჩენილი მუფელი წარმოადგენს გადმობრუნებულ, ბოლოში შევიწროებულ ნახევარსფეროს, რომელსაც ზედა ნაწილში გარშემო მრგვალი სარკმლები აქვს ლითონის დუღილისას გაზების ამოსასვლელად. ქვემო ქედის მუფელები დამზადებულია უწმინდესი თიხისაგან და ძალიან კარგადაა გამომწვარი. არსებითია, რომ მუფელის დიამეტრი ოდნავ აღემატება ქვემო ქედშივე აღმოჩენილი ტიგელების დიამეტრს, რომლებიც დაახლოებით 15 სანტიმეტრს უდრის.

ამგვარად, ყველა ამ მონაცემის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვემო ქედის სახელოსნოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ კი ტექნიკურად გამდიდრებული მადნიდან ლითონის მიღება და ლითონის იარაღის ჩამოსხმა-დამზადება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქედის სახელოსნოზე არ აღმოჩენილა ნივთების სანთლის მოდელით ჩამოსხმის არავითარი კვალი, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ამ წესით ნივთებს მაინც ამზადებდნენ, რადგან ამ პერიოდის იარაღ-სამკაულის უმეტესობა სწორედ ამგვარადაა დამზადებული.

ამ ხანაში განვითარებული ჩანს ჩამოსხმული ბრინჯაოს ნივთების მეორადი დამუშავებაც — ჭედვა, კვერვა და სხვა.

უკვე საკმაოდ გავრცელებული ჩანს ლითონის ლითონზე მიდუღების წესიც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ წესით ხშირადაა მიმაგრებული ბრინჯაოს სატევრების თუ მახვილების ქუდი ტარზე. მართალია, ჯერჯერობით ანალიზურად ეს დამტკიცებული არ არის, მაგრამ შეუიარაღებელი

თვალითაც კარგად შეიმჩნევა ამგვარი დამუშავება.

სახელოსნო უბანზე მრავლად აღმოჩნდა თიხის საბეჭდავები სხვადასხვა გამოსახულებებით სამუშაო პირზე, ეს კი, უდავოა, საკუთრების განვითარებული ფორმების არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს.

აღნიშნული მასალის გარდა, გათხრების დროს დიდი რაოდენობით გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებშიც ქვევრის ნატეხები ჭარბობს. ეს გასაგებიცაა, რადგან ლითონის წარმოებისათვის აუცილებელი იყო ადგილზე წყლის მარაგი.

დანარჩენი ჭურჭლის უმეტესობას სასმისები, ჯამები, ლანგრები და ქვაბ-ქოთნები შეადგენს.

შესანიშნავია, რომ ქვემო ქედში აღმოჩენილ ბევრ ჭურჭელს ხელოსნის ნიშანი აქვს (ტაბ. $XV_2$), რაც წინა ხანებში საერთოდ არ შეიმჩნეოდა.

სოფ. ქვემო ქედში, სახელოსნო უბანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი გამოირჩევა ნაპრიალები ზედაპირით და შემკულობით. უკვე ჩნდება ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ფორმები, თუმცა გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ელემენტებიც საკმაოდ ხშირია (ტაბ. XVII—XIX). როგორც ჩანს, ამ პერიოდში უკვე მძლავრად შემოდის თიხის ჭურჭლის წითლად გამოწვის წესი. წითლად გამომწვარ ჭურჭელთა ფორმები და შემკულობა ხშირად წინამორბედის მსგავსია.

აღნიშნული მასალის გვიანდელობაზე მიგვითითებს ქვემო ქედში 1963 წ. აღმოჩენილი სამტუჩა ჭურჭელი, რომელსაც ყური ადრეული უჩანს, პირი კი საკმაოდ მოგვიანო ჭურჭლებისათვის დამახასიათებელი (ტაბ. $XX_1$). ძეგლის მოგვიანო თარიღზე მიგვითითებს 1964 წ. აღმოჩენილი წითლად გამომწვარი ერთი ჭურჭელიც — ფიალა (ტაბ. $XX_2$), რომელიც პარალელური მასალის მიხედვით კარგად თარიღდება და სახელოსნო უბნის ზედა თარიღს ძვ. წ. VI—V საუკუნეებით საზღვრავს (46, გვ. 34—41, ტაბ. VIII; 411, გვ. 72—74). საერთოდ, ქვემო ქედში მოპოვებული თიხის ჭურჭელი ერთფეროვანია და მისი დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთით დათარიღება — გამორიცხული. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ამ მასალაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს ბრინჯაოს ორმოც მახვილს, რომლებიც აქ დანარჩენი მასალის თანადროულ ქვევრში აღმოჩნდა. ამგვარად, აღნიშნული ბრინჯაოს მახვილები აქ გამიზნულადაა მოტანილი, მაგრამ ამდენად ადრეული ნივთების ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ძეგლზე აღმოჩენა ჩვენთვის ჯერჯერობით ამოუხსნელია. რა თქმა უნდა, ამ საკითხის ირგვლივ შეიძლება მთელი რიგი ვარაუდის გამოთქმა, მაგრამ რადგან ისინი, ჩვენი აზრით, გონებრივი ვარჯიშის ფარგლებს ვერ გასცილდება, მათზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ქვემო ქედში ლითონის წარმოების უტყუარი ნიშნები დადასტურდა, მაგრამ გასარკვევი დარჩა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, თუ რა ნედლეულ ბაზაზე იყო დამყარებული ეს წარმოება.

უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოება ადგილობრივი ხე-ტყით, წყლით და თიხით მარაგდებოდა.

მართალია, ამჟამად სოფ. ქვემო ქედის ტერიტორიას აკლია წყალიცა და ხე-ტყეც, მაგრამ ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინ, როდესაც აქ ფშაველები პირველად დასახლდნენ, ტყე ივრის პლატოს კიდემდე ამოდიოდა (ე. ი. ძველი სახელოსნოს ტერიტორიამდე) და წყაროებიც აქვე იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ხანებში აქ ამ მხრივ უკეთესი პირობები იქნებოდა.

ის, რომ ქვემო ქედის საწარმოო წყალს დიდი რაოდენობით ხმარობდა, ჩანს განათხარი მასალის მიხედვითაც. როგორც წესი, ნაქურალი ორმოების მახლობლად მრავლად აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლები — ქვევრები. ქვევრები რომ წყლისათვის გამოიყენებოდა და არა სხვა რამ დანიშნულებით, ცხადი ხდება იმის მიხედვით, რომ არც ერთ ქვევრში რაიმე ნალექი არ აღმოჩენილა; თითქმის ყველა ჭურჭელს პირის შიდა ნაწილი ღრმად აქვს დაკაწრული. როგორც ჩანს, მასში მდგომი სითხის ამოღებისას ხელოსნები სრულებით არ ცდილობდნენ დაეცვათ სითხის სისუფთავე და მავთულს თუ ჯაჭვს, რომელზედაც სითხის (წყლის) ამოსაღები ჭურჭელი იყო მიბმული, აცურებდნენ ქვევრის პირზე, ქვევრის პირი იხეხებოდა და ნახეხი იყრებოდა ისევ ქვევრში.

ქურაში საწვავად, როგორც ჩანს იყენებდნენ ხის ნახშირს, ამაზე მიგვითითებს ნაქურალ ორმოებში აღმოჩენილი ნახშირის დიდი რაოდენობა და გადანაყარი ნაცარი. საერთოდ, როგორც ცნობილია, ლითონგადამმუშავებელ ქურებში, როგორც წესი, იწვებოდა ხის ნახშირი და არა შეშა (218, გვ. 219).

ქვემო ქედის მელითონეებს, როგორც ჩანს, დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ თიხაც. თიხისგანაა შელესილი ქურის ფსკერის კედლები, ბზენარევი თიხისგან უნდა ყოფილიყო ნაგები თვით ქურაც და ლითონის დამუშავებისათვის საჭირო ბევრი ხელსაწყო — საბერველის მილები, გადასასხმელი ღარები, ტიგელები, ყალიბები და სხვა.

არ არის გამორიცხული, რომ ამ ნივთებს თვით მელითონე ხელოსნები ამზადებდნენ, მით უმეტეს, რომ სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა თიხის დასაძველებელი რამდენიმე ორმო.

როგორც ჩანს, ქვემო ქედის მელითონეები თიხის ჭურჭელშიაც ასხამდნენ ლითონს, ამაზე უნდა მიგვითითებდეს ბზენარევი თიხით შელესილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ლითონის წარმოებაში ეს წესი საკმაოდ გავრცელებული ჩანს მთელ მსოფლიოში უფრო მოგვიანო პერიოდშიც (218, გვ. 228).

ყველაზე მწვავედ დგება სახელოსნოს მადნით მომარაგების საკითხი.

რაც შეეხება ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტს კალას, ამიერკავკასიაში მისი მოხმარების შესახებ გვიანბრინჯაოს პერიოდში მრავალი მოსაზრება არსებობს[77]. ამჟამად გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში კალა სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, რადგან ადგილობრივ მისი საბადოები არ არის, არსებულს კი საწარმოო მნიშვნელობა არა აქვს (223, გვ. 244—248). ამ ვითარებაში ქვემო ქედის წარმოებისთვისაც კალის მოხმარების იგივე გზა უნდა ვიგულისხმოთ, მით უმეტეს, რომ როგორც ქიმიურმა ანალიზებმა დაადგინა (იხ. ცხრილი № 2) ქვემო ქედში მოპოვებული ლითონის ნივთების უმეტესობა კალიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული.

როგორც ცნობილია, საქართველოში კალის შემცვლელად ანტიმონი და დარიშხანიც უხმარიათ[78], თუმცა ჩვენთვის საინტერესო ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე თითქმის მთლიანად კალიან ბრინჯაოს ამზადებენ (220, გვ. 50; 222, გვ. 46, 49, 50, 82, 87).

ვინაიდან შირაქში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი სპილენძის მადანი, ბუნებრივია თუ ქვემო ქედში არსებული ლითონის საწარმოს ბრინჯაოს მეტალურგიისათვის საჭირო ამ კომპონენტსაც აქ შემოტანილად მივიჩნევთ. მაგრამ საკითხი დგება რა სახით უნდა მომხდარიყო შემოტანა — სპილენძის ზოდებით თუ ტექნიკურად გამდიდრებული მადნის სახით.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მისი დასავლეთი რაიონების გამოკლებით ე. წ. ლითონის ჩამომსხმელთა განძები არ გვხვდება.

ამავე დროს, ა. იესენის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანი ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიის განვითარებაზე მიგვითითებს ე. წ. სამსხმელო განძების აღმოჩენის დიდი რაოდენობა (43, გვ. 117). ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს მეტალურგია ნაკლებად იყო განვითარებული დასავლეთ საქართველოსთან შედარებით? როგორც ვიცით ეს ასე არ არის. მაშ, რით უნდა აიხსნას ამ მხარეში ლითონის განძების უქონლობა? ვფიქრობთ, ამას შეიძლება ერთადერთი ახსნა მოეძებნოს, კერძოდ კი ის, რომ დასავლეთში და აღმოსავლეთში ერთიმეორისგან განსხვავებული შრომის ორგანიზაცია იყო დანერგილი. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მადნის სადნობი ცენტრებიდან, რომლებიც მაღალმთიან ზოლში მდებარეობდა მადნის გამოსავლების სიახლოვეს, სამსხმელო სახელოსნოებამდე, რომლებიც ნასახლარებს ეკვროდა, ლითონი მიდიოდა ზოდების სახით ან შენაგროვი ჯართის სახით. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი სამსხმელო სახელოსნოები თავის გვერდით გულისხმობს მადნის გადამმუშავებელ წარმოებასაც. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი უნდა იყოს იმ მოსაზრებისა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ამ ხანაში ხდებოდა ტექნიკურად გამდიდრებული მადნის გადაზიდვა გამადნების ადგილებიდან დაშორებით მდებარე ლითონის საწარმოებამდე. ზოგიერთი ავტორისგან განსხვავებით ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია აუცილებლად ამ პროცედურის ჩასატარებლად მაინცადამაინც კლასობრივი საზოგადოება და მისი უცვლელი გამართული გზების არსებობა (43, გვ. 114, 126).

ამგვარი გზები ზოდების და მზა პროდუქციის გადაზიდვასაც დასჭირდებოდა, რომელსაც ავტო-

---

[77] ლიტერატურა აღნიშნული საკითხის ირგვლივ იხ. 42, გვ. 193—194; 221, გვ. 201—208; 222, გვ. 42—43; 219, გვ. 237—238; 220, გვ. 53, 54, 70.

[78] ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხილეთ 80, გვ. 17—19.

რი ადრეულ ხანაში დასაშვებად მიიჩნევს (43, გვ. 157).

მართალია სპილენძის ძველი გამონამუშევრები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვემო ქედის საწარმოში ტექნიკურად გამდიდრებული მადნის შემოზიდვა მაინც უახლოესი საბადოებიდან უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც ცნობილია, კავკასიის ტერიტორიაზე სპილენძის მადანი დიდი რაოდენობით მოიპოვება. აქ სპილენძის საბადოების 13 რაიონს გამოყოფენ, რომელთა შორის ბელაქან-კახეთის რაიონიცაა. კახეთის ქვეპროვინციაში საბადოები განლაგებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, დაწყებული პანკისის ხეობიდან ვიდრე აზერბაიჯანის საზღვრამდე. კახეთის საბადოთა მადნებში ხალკოპირიტს პიროტინი ჭარბობს, სფალერიტი და გალენიტი კი სრულიად არ არის, ან თუ არის, მეტად მცირე რაოდენობით[79].

ამგვარად, სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ სპილენძის მადანი ქვემო ქედში დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთებიდან შემოჰქონდათ ალაზნის ველის გავლით. ბუნებრივია, ამ ვარაუდის დასამტკიცებლად შემდეგ ფართო დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო გამადნების ამ ზონაში სათანადო გამონამუშევრების გამოსამჟღავნებლად.

ამ ვითარებაში დგება მადნის ტრანსპორტირების საკითხი. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცხენი ფართოდ ჩანს გავრცელებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან (43, გვ. 115).

ქვემო ქედში გათხრილი სახელოსნოს მიხედვით, ცხენს განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებდნენ: აქ დადასტურდა ცხენის თავ-ფეხის შეწირვა ნაქურალ ორმოში; აღმოჩნდა შეკაზმული ცხენის თიხის ქანდაკების ფრაგმენტი, თიხის უამრავი მცირე ზომის ბორბალი, ცხენის ძვლები და სხვა. ამის მიხედვით თითქოს დასაშვები უნდა იყოს ვარაუდი, რომ ქვემო ქედის სახელოსნოში ლითონის ტექნიკურად გამდიდრებული მადანი მოჰქონდათ ცხენის საშუალებით. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ თუ ტექნიკურად გადამუშავებული, გამდიდრებული მადანი მოჰქონდათ და ვფიქრობთ, სხვაგვარის იმპორტი არც უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ ცხენის საშუალებით შემოზიდული მადანი დააკმაყოფილებდა იმ დროისთვის საკმაოდ მოზრდილ წარმოებასაც კი.

შესაძლოა ამისთვის მეტად შორია მე-16 საუკუნის გერმანიის მაგალითი, მაგრამ მაინც ზედმეტი არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ აგრიკოლას მითითებით მადანი მის თანამედროვე გერმანიაში ძნელად მისადგომი მთიდან ჩამოაქვთ ტყავის ტომრებით ან სხვა რაიმე წესით დაბლობში, ხოლო შემდეგ ორთვალა საზიდრებით, რომლებშიც ცხენებია შებმული მიაქვთ სახელოსნომდე, სადაც მისი გამოდნობა ხდება (218, გვ. 166—171).

ბუნებრივია, თუ მე-16 საუკუნის გერმანიის ლითონის ამ საწარმოს კმაროდა ცხენით მოტანილი მადნის რაოდენობა, რკინის ფართო ათვისების ხანაში, მსგავსი ტრანსპორტით მოტანილი, ტექნიკურად გამდიდრებული მადანი დააკმაყოფილებდა ქვემო ქედში ამ პერიოდში ბრინჯაოს უკვე საკმაოდ შეზღუდულ წარმოებასაც. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულის ძირითადი ლითონის — რკინის წარმოება, შესაძლოა ამავე სახელოსნოზე მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენ მის ნაშთებს ვერ მივაგენით.

გათხრილ ფართობზე მუდმივი საცხოვრისის არავითარი კვალი არ აღმოჩენილა. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ქვემო ქედის სახელოსნოს სახით საქმე გვაქვს ხელოსანთა დასპეციალებულ უბანთან, სადაც მხოლოდ ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები მიმდინარეობდა.

თავისთავად ისმება კითხვა, რამ აიძულა ადამიანი ლითონდამმუშავებელი სახელოსნო გაემართა მადნის მოპოვების ადგილიდან მოშორებით.

ბუნებრივია, შესასწავლი ძეგლის შინაარსს საბოლოოდ ვერ გავარკვევდით და გავიაზრებდით, თუ წინასწარული წარმოდგენა მაინც არ გვექნებოდა იმ სამყაროზე, რომელიც მას გარს ერტყა. ამ მიზნით დავზვერეთ ივრის პლატო, მის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე მდინარეთა ველებითურთ, ე. ი. მთელი ის ტერიტორია, რომელიც შესასწავლი ძეგლის აღმოჩენის ადგილთან გეოგრაფიულად ერთ მთლიანობაში უნდა წარმოვიდგინოთ.

გამოირკვა, რომ ამ მხარეში განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის, ე. წ. „იალოილუთა-

---

[79] ამ საკითხების ირგვლივ დაწვრილებითი ცნობები იხილეთ: 224; 43; 225; 226.

ფას“ კულტურის კუთვნილი და გვიანფეოდალური ხანის ძეგლები, რომლებიც ჩვენი შესასწავლი ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადად ნასახლარებითა და სამაროვნებითაა წარმოდგენილი. მაგრამ არცერთი მათგანის კულტურული ფენა ქრონოლოგიურად არ ეფარდება ქვემო ქედში აღმოჩენილ ლითონის სახელოსნოს. ამავე დროს ჩვენ კარგად გვქონდა შეგნებული ის, რომ ისეთ გრანდიოზულ სახელოსნო უბანს, როგორიც ქვემო ქედის სახელოსნოა, აუცილებლად საკმაოდ მოზრდილი და მძლავრი ნამოსახლარი უნდა ხლებოდა.

ქვემო ქედის სახელოსნო უბანზე გამოვლენილი ნივთების იდენტური მასალა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქვემო ქედიდან საკმაოდ მოშორებით, სოფ. არხილოსკალოს სამხრეთით, შირაქის ველზე ამოზიდულ, ერთიმეორის გვერდზე მდებარე ორ მოზრდილ ნამოსახლარ ბორცვზე — „ცისკარაანთ გორაზე“. როგორც ზედაპირული მოხილვით გაირკვა, იმავე დროის კულტურული ფენა აქ ბორცვებს გარეთაც დიდ ტერიტორიას მოიცავს.

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში იბერიაში ცნობილია როგორც ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენის პერიოდი (24, გვ. 624). ნიშანდობლივია, რომ ამ დროის ზემოთ დასახელებული ნამოსახლარიც თავისი მასშტაბებით სწორედ ამ ტიპის დაბურ დასახლებას უნდა წარმოადგენდეს. შესაძლოა, ქვემო ქედის სახელოსნო სწორედ ამგვარი სამოსახლოს ნაწილად უნდა მივიჩნიოთ კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათი დაკავშირება შეუძლებლად მიგვაჩნია დიდი ტერიტორიული დაშორების გამო — ისინი ერთიმეორისაგან ექვსიოდე კილომეტრით მაინცაა დაცილებული.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ ბოლო ხანებში დაიწყო ლითონის სახელოსნოს შესწავლა, რომელიც ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს ქვემო ქედის სახელოსნო უბანთან. ეს არის არარატის ველზე, საკმაოდ მნიშვნელოვან შემაღლებაზე აღმოჩენილი მეწამორის ლითონის სახელოსნო (227, გვ. 248—253).

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ საწარმოოს ტექნიკურად გამდიდრებულ სპილენძის მოტანილ ნედლეულზე უნდა ემუშავა. აქვე ხდებოდა უშუალოდ ნივთების ჩამოსხმა და სხვ.

1965 წ. მეწამორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე გაითხარა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის საწარმოო ნაგებობების დიდი კომპლექსი, ქურების ორი სისტემით. პირველი 11 ქურითაა წარმოდგენილი და განლაგებულია ჯგუფებად (2—3) სხვადასხვა სათავსოში. ჰორიზონტალურ ჭრილში ისინი მრგვალია (D = 0,5—1,0 მ) ზემოთკენ ვიწროვდება. გარე მხრიდან ქურებს აქვთ მრგვალი ან ოთხკუთხი მცირე კარი. ქურების წინა კედელი ქვითაა ამოშენებული. ქურების მეორე ტიპი ალიზის კვადრებითაა ნაგები. მეწამორის სახელოსნოს შესწავლა გრძელდება, გათხრების დაწვრილებითი ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხების კვლევისას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩამოსხმის ტექნოლოგიის აღდგენას, მზა პროდუქციის შესწავლას ქიმიური თვალსაზრისით და სხვ. იგი გვეხმარება წარმოდგენა ვიქონიოთ საერთოდ, ტექნიკურ პროგრესზე და კერძოდ, მეტალურგიის განვითარების დონეზე ამა თუ იმ კუთხეში, დავადგინოთ ურთიერთკავშირი სხვადასხვა ქვეყნებთან, ერთიმეორისგან გავარჩიოთ ადგილობრივი და უცხოური ნაწარმი და სხვა.

ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში დიდი მუშაობაა ჩატარებული და გამოქვეყნებულია არა ერთი სტატია თუ მონოგრაფიული გამოკვლევა (220; 222; 228—233 და სხვ.). ამ საქმიანობას სათავეში უდგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი და აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიური ლაბორატორია. კვლევის თანამედროვე ეტაპზე უკვე მეტად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული.

დადგენილია, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები შიდა ქართლის ჩრდილო რაიონებიდან „... უმთავრესად კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. დარიშხანი თითქმის ყოველ ნივთში გვხვდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ნედლეულად დარიშხანიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადანი გამოუყენებიათ“ (222, გვ. 62). მსგავსი სურათია ქართლში — აქ კალიან ბრინჯაოსთან ერთად, დარიშხანიანი სპილენძი, ზოგან კი მცირემინარევებიანი სპილენძიც გამოუყენებიათ. ზოგან შეინიშნება ტყვიის, ზოგან კი ანტიმონის თანაპოვნიერება, იშვიათად გვხვდება ისეთი ბრინჯაო, რომელიც კალასთან ერთად შეიცავს დარიშხანსა და ანტიმონს (222, გვ. 65). საფიქრებელია, რომ სამთავროს სამაროვნის ადრეული სამარხების თანადროული მოსახ-

ლობა განიცდიდა კალის ნაკლებობას, რადგან აქ კალიან ბრინჯაოსთან ერთად გამოყენებულია დარიშხანიანი სპილენძი და სპილენძის პოლიმეტალური მადნები. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი შედარებით მოგვიანო ნივთებიც მსგავსი ქიმიური შემადგენლობისაა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მცხეთის მიდამოებში მადანი მოჰქონდათ მდ. ხრამის აუზის, ბორჩალოს და ალავერდის მადნეულის საბადოებიდან (222, გვ. 69).

თბილისში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აქ გამოყენებულია როგორც დარიშხანიანი სპილენძი, რომელსაც ხშირად კალასაც ურევდნენ, ისე კალიანი ბრინჯაოც (222, გვ. 72).

კ ა ხ ე თ შ ი გვიანბრინჯაოს ხანაში ლითონის ნივთების დასამზადებლად უპირატესად კალიანი ბრინჯაო უხმარიათ, უფრო ნაკლებად გამოყენებულია დარიშხანიანი სპილენძი, ხოლო იშვიათად მცირემინარევებიანი სპილენძი.

„ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დარიშხანი ამ ნივთებში თითქმის ყოველთვის არის (კვალიდან 3,3%-მდე), ასევე ანტიმონიც (კვალიდან 2,05%-მდე), რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქაც ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლურ-ქართულ კულტურაში, ძირითადად დარიშხანიანი და ანტიმონიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადანია გამოყენებული. კალის შემცველობის შემთხვევაში, როგორც ეს საერთოდ იყო შენიშნული, აქაც დარიშხანის რაოდენობა მცირდება და პირიქით, როცა კალა არ არის, — დარიშხანის რაოდენობა იზრდება. არის შემთხვევები, როდესაც დარიშხანი და კალა თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი“ (222, გვ. 81).

ამასთან ერთად კახეთში გვხვდება ისეთი ნივთები, რომელთა შემადგენლობაში შემავალ ანტიმონს ა. აფაქიძე (234, გვ. 228) და ვ. დანილევსკი (219, გვ. 229) ხელოვნურ დანამატად მიიჩნევენ.

აღმოსავლური და დასავლური ბრინჯაოს ნივთების გარჩევა მათი ქიმიური შემადგენლობითაც ხერხდება. მაგ., აშკარად აღმოსავლურ-ქართულ კულტურას უნდა მიეკუთვნოს სოფ. ღარში მოპოვებული ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული, არა მხოლოდ ფორმით, არამედ ქიმიური შემადგენლობითაც იგი შეიცავს 96,69% სპილენძს, 0,25% კალას, 0,10% ტყვიას, 0,87% დარიშხანს და კვალის სახით ანტიმონს, რკინა და თუთია არ არის განსაზღვრული. ასეთი შემადგენლობის ლითონი მხოლოდ აღმოსავლურ-ქართულ კულტურას ახასიათებს, დასავლური კულტურისთვის კი იგი უცხოა. ასეთი შემადგენლობის ლითონს დიდი სიბლანტე აქვს და მისი ჩამოსხმა მეტად ძნელია. ფიქრობენ, ძველ მეტალურგებს უნდა სცოდნოდათ, რომ ასეთ შემთხვევაში ყალიბის ძლიერი გახურებაა საჭირო (222, გვ. 81—82).

ამგვარად, გვიანბრინჯაოს ხანაში ქართლში, მესხეთსა და კახეთში უპირატესად კალიან ბრინჯაოს იყენებდნენ, უფრო ნაკლებად დარიშხანიან სპილენძს, ხოლო ზოგჯერ მცირემინარევებიანი სპილენძიც უხმარიათ.

თბილისის მიდამოებსა და თრიალეთში კალიან ბრინჯაოსა და დარიშხანიან სპილენძს იყენებენ. ზემოაღნიშნული რაიონებიდან გამოირჩევა შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი (თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორია), სადაც ბრინჯაოს მეტალურგია განსაკუთრებით ჩანს დაწინაურებული. აქ სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე სუფთა შენადნობია გამოყენებული. ფიქრობენ, რომ აქ ადვილი მისაწვდომი იყო კალა, რის გამოც დარიშხანიან სპილენძს სპეციალური დანამატის გარეშე იშვიათად იყენებდნენ.

აღმოსავლურ-ქართული მასალებისგან მკვეთრად განსხვავდება სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი მასალებიც. მიუხედავად იმისა, რომ აქაც უპირატესად კალიანი ბრინჯაოა გამოყენებული, იშვიათად კი მცირემინარევებიანი სპილენძიც უხმარიათ, აქ აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებისაგან განსხვავებით დარიშხანი და ანტიმონი თითქმის სრულიად არ გვხვდება, სამაგიეროდ კი წარმოდგენილია რკინა. სწორედ ამგვარმა სხვაობამ (ვორნაკის ნივთებში შეინიშნება ტყვიისა და დარიშხანის თანაპოვნიერება) მისცა სპეციალისტებს საშუალება ე. თაყაიშვილის მიერ ვორნაკში გათხრილი ნივთები გამოეცალკევებინათ სომხეთის სხვა მასალებიდან, და ისინი აღმოსავლურ-ქართულ საწარმო ცენტრში დამზადებულად მიეჩნიათ ან აღმოსავლურ-ქართული კულტურის ნივთებთან ერთად ერთი მადნიდან დამზადებულად ჩაეთვალათ (222, გვ. 85).

განსხვავებულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ნივთების შემადგენლობაც. მიუხედავად იმისა, რომ აქაც კალიანი ბრინჯაო ყოფილა გამოყენებული, მათ შენადნობში აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებისგან

განსხვავებით შეინიშნება თუთია, დარიშხანი კი სრულიად აღარ გვხვდება. მინგეჩაურში კალიანი ბრინჯაო ყურადღებას იქცევს მინარევების სიმრავლით (222, გვ. 85).

ზემოთ მოყვანილი თითქმის ყველა მოსაზრება კიდევ ერთხელ დაადასტურა აზერბაიჯანის სახელმწიფო მუზეუმის ქიმიური ლაბორატორიის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. ი. სელიმხანოვი) კახეთში აღმოჩენილი ნივთების შესწავლის შედეგად მიღებულმა ქიმიური ანალიზების შედეგებმა (იხ. ცხრილი № 2).

ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენი წინაპარი მეტალურგები დიდი ცოდნა-გამოცდილებით იყვნენ აღჭურვილნი თავიანთ საქმეში. კალას ლითონის კაზმში ურევდნენ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, არასოდეს კალა არ არის იარაღის ტარის ქუდში, თუ ისინი ცალკეა ჩამოსხმული; ნამგლის ლითონში, რომელიც ნაკლებ სიმაგრეს საჭიროებდა, კალა სულ 0,1%-ია; ბრინჯაოს ფარის ლითონის შემადგენლობაში კი, როდესაც ლითონის განსაკუთრებული სიმტკიცე იყო საჭირო, კალა 12%-ია; სამკაულებში ან იარაღის იმიტაციების ლითონის შემადგენლობაში კი საერთოდ არ აღმოჩნდა და სხვ.

ზემოთ მოტანილი ქიმიური ანალიზების ცხრილის მიხედვით ყველა ნივთი კალიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული, მინარევების სახით. მცირე რაოდენობით თითქმის ყოველთვისაა დადასტურებული ტყვია, ვერცხლი, რკინა და ნიკელი; ხშირადაა დადასტურებული თუთიაც, ოღონდ მეტად მცირე რაოდენობით (ორი პროცენტი მხოლოდ ერთ ნივთში და ისიც ურარტული სარტყლის ლითონის შემადგენლობაში აღმოჩნდა). იშვიათ გამონაკლისს გარდა, ყველა ლითონი დარიშხანიანია, უმეტესობას ურევია ანტიმონიც.

რაც შეეხება უშუალოდ ბრინჯაოს ნივთების ჩამოსხმის ტექნიკას, აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტექნოლოგიური პროცესის შესწავლისათვის მხოლოდ თითო-ოროლა ნივთი გვაქვს, როგორიცაა ბრინჯაოს ცულების და სატეხების ჩამოსასხმელი ყალიბები, ქვის ყალიბები ქვემო ქედიდან და სხვა.

კახეთში სოფ. გადრეკილში აღმოჩენილია თიხის მცირე კოვზი საწურით, რომელიც შესაძლოა ლითონის გადასასხმელი იარაღი იყოს.

ამ მცირეოდენი მონაცემების მიხედვით და თვით ნაწარმის შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ბრინჯაოს ნივთების ჩამოსხმა წარმოებდა როგორც ცალმხრივ, ისე ორმაგ ყალიბებში. ყალიბების დასამზადებელ ნედლეულად გამოყენებული იყო როგორც ქვა ისე თიხა და ლითონი. ამ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული ცვილის მოდელით ან ყალიბის დაკარგვის წესით ჩამოსხმის ტექნიკაც.

აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე ჩვენთვის სრულიად უცნობია ამ ხანის რკინის დამმუშავებელი სახელოსნოები[80].

ამგვარად, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მეტალურგიისა და ლითონდამმუშავებელი წარმოების შესახებ ჩვენი ცოდნა ჯერჯერობით მეტად მწირია. ამ ხარვეზის შესავსებად საჭიროა ჯერ გამიზნული დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება გამადნების რაიონებში ძველი გამონამუშევრების გამოსავლინებლად, შემდეგ კი აუცილებელია ლითონდამმუშავებულ სახელოსნოთა სპეციალური ძიება და გამოკვლევა. ამ სამუშაოებს სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები უნდა ედგნენ სათავეში, რომელნიც მოწოდებულნი იქნებიან სპეციალურად ამ საკითხების საკვლევად.

მხოლოდ ამგვარად დაგეგმილ სამუშაოებით იქნება შესაძლებელი ურთიერთობის გარკვევა ძველ სამთამადნო გამონამუშევრებსა და ლითონდამმუშავებელ სახელოსნოებს შორის, ამავე თვალსაზრისით აუცილებელია ლითონის მზა პროდუქტებიდან და ნედლეულიდან აღებული ქიმიური ანალიზების შეჯერება და სხვა.

მეტალურგიის და ლითონდამმუშავებელი წარმოების მთელი ციკლის აღდგენა მით უფრო არსებითია, რომ ლითონის ნაწარმი ჩვენი კვლევის ერთ-ერთი უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი ობიექტია, რომელზე დაყრდნობითაც განსაკუთრებით საყურადღებო დასკვნების მიღება შეიძლება მისი მწარმოებელი მოსახლეობის წარსულის გამოსავლენად.

---

[80] ქვემო ქართლში მრავლად გამოვლენილი სახელოსნოთა ნაშთები მხოლოდ ფეოდალური ხანით თარიღდება. აქ ზოგიერთი რკინის სადნობი ქურის გვიანბრინჯაოს ხანისთვის მიკუთვნების ცდები არ დადასტურდა ფაქტობრივი მასალით. კახეთში პანკისის ხეობაში აღმოჩენილი რკინისწიდიანი ნაქურალი ორმოები ჯერჯერობით შეუსწავლელია და ამდენად მათი თარიღი—გაურკვეველი.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველო მეტად მდიდარია კერამიკული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით (159, გვ. 21; 160, გვ. 101—126) და აქ მცხოვრები ხალხიც უძველესი დროიდან მოკიდებული ინტენსიურად მისდევს თიხის ნაწარმის დამზადებას.

ამჟამად თიხის ჭურჭლის დამამზადებელი ცენტრებია: ქართლში — გორი და მცხეთა; კახეთში — იყალთო, ვარდისუბანი, ბოდბისხევი, ნინოწმინდა და სხვა.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში თიხას ფართო გამოყენება აქვს. ადამიანი თიხისგან ყველაზე დიდი რაოდენობით ამზადებს ჭურჭელს; ფართოდ იყენებს მას მეტალურგიულ და ლითონდამმუშავებელ წარმოებაში; თიხით ილესება საცხოვრებელ ნაგებობათა ხის კედლები და გადახურვა (ფოხორაულები, მოჭრილი გორა, რცხილის სერი, ხოვლე, თრელიგორეები); ღუმელები და საკურთხევლები (ხოვლე, ნაცარგორა, თრელიგორეები, ყათნალიხევი), თორნეები (მოჭრილი გორა). თიხისგან მზადდება სხვადასხვა ღვთაებათა ქანდაკებები (მელაანი, მელი-ღელე, ყათნალიხევი, მოჭრილი გორა, ხოვლე), საბეჭდავები (მელი-ღელე, მელაანი, ყათნალიხევი) და სხვა მრავალი.

ამგვარად, კერამიკული წარმოება გვიანბრინჯაო-რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, მისი ნაწარმი კი არქეოლოგიური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი.

მიუხედავად ამისა, თვით კერამიკული წარმოების ძეგლების სრულიად უმნიშვნელო ნაწილია შესწავლილი. აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამეთუნეო წარმოების ნაშთები ჯერჯერობით მხოლოდ ორ პუნქტშია გამოვლენილი.

უძველესი სამეთუნეო სახელოსნო უბანი შესწავლილ იქნა ხოვლეს ნამოსახლარის მახლობლად[81]. როგორც ფიქრობენ, ხოვლეს ძველ მოსახლეობას ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ძვ. წ. IV საუკუნემდე ემსახურებოდა მეთუნეთა ცალკე გამოყოფილი სახელოსნო უბანი.

ხოვლეში სამეთუნეო უბანს ეჭირა ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი, სადაც დაცული იყო ერთმანეთის მომდევნო სამი ქრონოლოგიური პერიოდის ქურა-სახელოსნოები. უძველესი სახელოსნოები ძვ. წ. X—VII სს. მიეკუთვნება, ხოლო უახლესი—ძვ. წ. V—IV სს. გათხრების პროცესში ქურებთან ერთად შესწავლილ იქნა ხელოსნის საცხოვრებელი სახლიც.

გამოვლენილი ქურების შესწავლამ სპეციალისტებს შესაძლებლობა მისცა თვალი გაედევნებინათ ქურების ტიპთა ევოლუციისათვის თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე.

უძველესი ქურა-სახელოსნოები (სამი ქურა) ჰორიზონტალური ქურების ტიპს მიეკუთვნება. III ქურა წარმოადგენს ნახევრად მიწაში მჯდარ ნაგებობას, რომლის მშენებლობისას გამოყენებულია ნაგლეჯი ქვა, თიხის ხსნარით შელესილი ხის ჩონჩხი (კარკასი თაღის გადასაყვანად). ქურის ასაგებად სწორკუთხა ორმოა ამოჭრილი. არხი და მასთან დაკავშირებული ორმო წარმოადგენდა საცეცხლეს, ხოლო არხის ორივე მხარეზე მდებარე თაროებზე ლაგდებოდა გამოსაწვავი თიხის ჭურჭელი. ქურის იატაკი (საცეცხლე არხის ჩათვლით) მოლესილია თიხის ხსნარის სქელი შრით, ხოლო კედლების მიწის ქვეშა ნაწილი ნაგებია ნაგლეჯი ქვით, თიხის ხსნარზე. ქურის გადარჩენილი კედლები ასევე თიხის ხსნარითაა შელესილი (III ქურაში შელესილობის ათი შრე გამოიყოფა).

ქურა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი საერთო სიგრძე, ცეცხლსანთები ორმოს ჩათვლით, შეადგენს 440 სმ-ს. აქედან 100 სმ ორმოს დიამეტრია; 80 სმ საცეცხლე არხის ყელის სიგრძე, ხოლო 260 სმ—საჭურჭლე კამერის სიგრძე. საჭურჭლე კამერა გეგმაში სწორკუთხედს იძლევა და, როგორც აღნიშნული იყო, საცეცხლე არხით ორ თანაბარ თაროდაა გაყოფილი. ქურის თარო იწყება იატაკიდან 55 სმ სიმაღლეზე. თაროს სიგანე 60 სმ-ია. ქურის სიმაღლედ გამთხრელი 100—120 სმ ვარაუდობს.

ჭურჭლის გამოსაწვავი კამერის კარები, იმავე დროს, წარმოადგენდა ყელს, რომლითაც საცეცხლე არხი ცეცხლსანთებ ორმოს უკავშირდებოდა.

[81] ხოვლეს სამეთუნეო სახელოსნოს შესახებ ყველა ცნობა ამოკრებილი გვაქეს დ. ხახუტაიშვილის ნაშრომიდან (161). ხშირად მთლიანად მის ტექსტს მივყვებით, მაგრამ გვერდს კი არ ვუთითებთ.

კვამლსადენი კეთდებოდა ქურის ბოლოში, საცეცხლე არხის დასასრულის თავზე.

როგორც ფიქრობენ, რადგან ხოვლეს უძველეს ქურებში თაღი შედარებით თხელია, მათში 600° მეტი ტემპერატურის შენარჩუნება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

დ. ხახუტაიშვილისავე ვარაუდით, ხოვლეს უძველეს ქურებში ჭურჭლის გამოწვის პროცესი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ქურის თაღში გაკეთებული სარკმლიდან თაროებზე ლაგდებოდა გამოსაწვავი პროდუქცია, ხოლო საცეცხლე არხში თავსდებოდა საწვავი. ამის შემდეგ ხდებოდა სარკმლის ამოქოლვა. პირველად ცეცხლი უნდა აენთოთ საცეცხლე არხის დასაწყისთან მდებარე ორმოში, საიდანაც იგი თანდათანობით წაიწევდა ჭურჭლის გამოსაწვავი კამერისაკენ. სანამ ცეცხლი კამერაში შეაღწევდა, იქ მოთავსებული პროდუქცია ასწრებდა გათბობას, რაც მას დახეთქვისაგან იცავდა. სასურველ ტემპერატურამდე ქურის გახურების შემდეგ ხდებოდა კარისა და კვამლსადენი მილის ჩაკეტვა. ქურაში იწყებოდა თანდათანობითი გაცივების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ ხსნიდნენ ამოქოლილ სარკმელს და იღებდნენ მზა პროდუქციას.

ეთნოგრაფიული პარალელების მიხედვით (159, გვ. 106) გამთხრელი ვარაუდობს, რომ ქურაში პროდუქციის (თიხის ჭურჭლის) გამოწვის ერთი ციკლი ერთი დღე-ღამე მაინც გრძელდებოდა.

დ. ხახუტაიშვილი ქურების უძველეს ჯგუფს ათარიღებს ძვ. წ. IX—VIII სს-ით, მეორე ჯგუფს — ძვ. წ. VII—VI სს-ით, მესამე ჯგუფს კი — ძვ. წ. V, უფრო კი IV ს-ით.

ქურების მშენებლობისას ქვა გამოყენებულია პირველი და მეორე ტიპისათვის, ასევე საცეცხლე არხები დადასტურებულია მხოლოდ პირველ და მეორე ტიპის ქურებში, მესამე ტიპის ქურაში კი საერთოდ აღარ გვხვდება. პირველი ორი ტიპის ქურაში ტემპერატურა 600°-მდე ადიოდა, მესამე ტიპისაში კი—1000°-მდე.

დ. ხახუტაიშვილის აზრით, ხოვლეში აღმოჩენილი კერამიკული სახელოსნოების მიხედვით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ დროს მეთუნეობა უკვე საბოლოოდაა გამოცალკევებული სხვა სამეურნეო წარმოებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საკვლევი ხანის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები აღმოჩენილია კახეთშიც — ხირსის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (162, გვ. 21—25; 80, გვ. 54—60). აქ ივრის პლატოს ჩრდილო ფერდზე, ყოლოთის ხევის მარცხენა ნაპირიდან დასავლეთით ვენახის დასაცავი თხრილის გაყოლებით 280 მეტრის მანძილზე, თხრილის ჭრილში სხვადასხვა სიღრმეზე (0,25—2 მ) აღინუსხა ორმოცდაათამდე სამეთუნეო ქურა, სათანადო კულტურული ფენითა და მოედნითურთ. სამეთუნეო უბნის გავრცელების საზღვრები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჯერჯერობით გაურკვეველი დარჩა.

სახელოსნოსთან სამოსახლოს არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა.

სამეთუნეო უბნის ცენტრალურ ნაწილში გაითხარა ერთი ქურა. დაზიანებული იყო ქურის სამხრეთი და ჩრდილო ნაწილები.

ქურა მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე მდებარეობდა. აქედან 0,04 მ სიმძლავრის კორდოვანი ფენა იყო, ხოლო 0,21 მ სიმძლავრის ნაცროვანი ფენა. ქურის ზედა, როგორც კორდოვან ისე ნაცროვან ფენაში შერეული იყო ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების იორ-ალაზნის აუზისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კერამიკული წიდა, ქურის გამომწვარი შელესილობის ნატეხები და სხვ.

თუ ჭრილის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელშიც სხვადასხვა ადგილას გადაჭრილი ქურის 50 კომპლექსი ჩანს, მაშინ ცხადი გახდება, რომ აქ ქურებს და მისთვის საჭირო დამხმარე მოედანს შემდეგნაირად მართავდნენ: მიწაში ჩაჭრიდნენ საკმაოდ მოზრდილ მოედანს, მის ცენტრალურ ნაწილში კი უფრო ღრმად ამოიღებდნენ ქურის საცეცხლურის მოგრძო ვიწრო ღარს და საცეცხლფარეშე — სანაცრე ორმოს.

ჩვენ in situ დაგვხვდა (ტაბ. $XXI_1$) მრგვალი გარშემოწერილობის, დამრეცკედლებიანი საცეცხლფარეშე — სანაცრე ორმო (D=2,30 მეტრს, h=1 მ), რომელიც სამხრეთით გრძელდება საცეცხლე არხის სახით (l=2,10 მ; h=0,80 მ; სიგანე=0,50 მ). საცეცხლე არხი სამხრეთისაკენ ვიწროვდება (შემორჩენილ ბოლოში მისი სიგანე 0,36 მ-ია).

საცეცხლე არხს, სანაცრე ორმოს მხრიდან, ორივე კედელთან, თითო რიყის ქვა აქვს აყუდებული. როგორც ჩანს, ღუმელში აქედან იყრებოდა საწვავი და აქედანვე გამოჰქონდათ ნაცარი. საცეცხლე არხი მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სანაცრე ორმოსთან არხი ღრმაა და თანდა-

თან კლებულობს სიმაღლეში სამხრეთით, სადაც მას ნაწილი აკლია, წესით კი საკვამლე მილი უნდა ჰქონოდა. საცეცხლე არხის დასავლეთის კედელი შელესილია, მოჩანს ნალესობის სამი ფენაც, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ღუმელი სამჯერ განუახლებიათ. დასავლეთი კედლის ზედა ნაწილი მომრგვალებულ კუთხეს ქმნის, დასავლეთითაა გადალესილი და თაროსებურად, ჰორიზონტალურად მიემართება; აღმოსავლეთ კედლის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად დაყენებული მოგრძო, ოვალური მოყვანილობის, შუაში ღარიანი და ზურგამობურცული კერამიკული „კვერებითაა“ ნაგები. ზედა ნაწილი, დასავლეთი კედლის მსგავსად შელესილია და მომრგვალებული. ზემოაღნიშნულის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქურას აკლია ზედა, ძირითადი ნაწილი, სადაც უშუალოდ ხდებოდა ჰურჭლის გამოწვა. შესაძლოა, და უფრო სავარაუდო, რომ იგი, ხოვლეს ქურების მსგავსად, თაროებიანი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქურა ჰურჭლის ყოველი გამოწვისათვის ხელახლა იხურებოდა თაღოვანი კონსტრუქციით, ან ხოვლეს ქურების მსგავსად, თაღოვან გადახურვაში მხოლოდ სარკმელი იხურებოდა და იხდებოდა. როგორც ადრეც შევნიშნეთ, ქურის გადახურვა სახელოსნო მოედნის ზედაპირზე უნდა ყოფილიყო ამოზიდული ხოვლეს ქურების მსგავსად. იმავე ქურების მსგავსად შესაძლოა ხირსის ქურებსაც ზევიდან ლასტს გადააწნავდნენ თაღისებურად, რომელიც შიგნიდან და გარედან თიხით ილესებოდა. ამ დასკვნამდე იმ ფაქტმა მიგვიყვანა, რომ საცეცხლე არხში, სანაცრე-საცეცხლფარეშე ორმოში და საერთოდ ქურის მახლობლად დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებსაც უმეტესწილად ლასტის ანაბეჭდები აქვს შემორჩენილი.

ამგვარად, ჩვენამდე მოღწეული ნაშთების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ხირსის სამეთუნეო ქურა, როგორც კონსტრუქციულად ისე მუშაობის რეჟიმით ხოვლეს ქურების იდენტური უნდა იყოს და აშკარად განსხვავდება მინგეჩაურში აღმოჩენილი ქურებისაგან (243; 146, გვ. 142—149). ამ ფაქტს მატერიალური კულტურების გამოყოფისას სხვა მონაცემებთან ერთად არსებითი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ხირსის ქურაში მოპოვებული თიხის ჰურჭელი დიდ მსგავსებას იჩენს ქვემო-ქედის ლითონის სახელოსნო უბანზე აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმთან, რაც ხირსის სახელოსნოს თარიღს ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებით განსაზღვრავს (80, გვ. 57—58).

ვენახის დასაცავი თხრილის ჭრილზე დაკვირვება გვეხმარება სამეთუნეო უბანზე ქურების განლაგების აღდგენაში.

როგორც ჩანს, ხირსის სამეთუნეო სახელოსნოში ქურები განსაზღვრული წესის მიხედვით იყო განლაგებული — ერთიმეორის გვერდით, ერთ ხაზზე. შესაძლოა, ქურების ამგვარი რამდენიმე რიგი არსებობდა. თხრილს გადაუჭრია ერთ მწკრივზე განლაგებული ქურების სანაცრე ორმოები, რის გამოც ჭრილში არ ჩანდა ქურის ძირითადი, შელესილი, ჰურჭლის გამოსაწვავი კამერა. სავარაუდოა, ისინი დაუზიანებელი გადარჩა თხრილის სამხრეთით.

ამგვარად, ხირსაში ყველა ქურა დამხრობილი უნდა იყოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მათი სანაცრე ორმოები უფრო დაბალ ფერდზეა მოქცეული, ამას ხელი უნდა შეეწყო ქურის გამართვისა და ნორმალური მუშაობისათვის (წევა ასეთ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა).

სავარაუდოა, რომ წარმოებას ადგილობრივი ნედლეული აკმაყოფილებდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია ამ მასშტაბის სამეთუნეო წარმოება. ხირსის ახლომახლო დიდი რაოდენობით არის თიხების გამოსავლები, რომლებიც, ეტყობა, გამოიყენებოდა თიხის ჰურჭლის დასამზადებლად. წყლის სიახლოვე სამეთუნეო უბანთან (ყოლოთის ხევი), როგორც ჩანს, წარმოებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

ბუნებრივია, რომ ერთი პერიოდის, ასეთი მასშტაბების სამეთუნეო წარმოება მხოლოდ ერთი სამოსახლოს მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა, სავარაუდოა, აქ მზადდებოდა თიხის ჰურჭელი გასაყიდად ან გადასაცვლელად. ეს კი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ აღნიშნული სახელოსნოს თიხის ჰურჭლის დამამზადებელი ადამიანები აღჭურვილნი იყვნენ სპეციალური ცოდნა-გამოცდილებით და წარმოადგენდნენ მაღალკვალიფიციურ მეთუნე-ხელოსნებს, რომელთა ძირითადი, უმთავრესი, და შესაძლოა ერთადერთი, საქმიანობა მეჰურჭლეობა იყო. ხირსაში შესწავლილ სამეთუნეო სახელოსნოს მიხედვით, ხელოსნებს საწარმოო ტერიტორიაზე არ უნდა ეცხოვრათ, ყოველ შემთხვევაში, ამის არავითარი კვალი მახლობლად არა ჩანს. სავარაუდოა, რომ ისინი რომელიმე მახლო-

ბელი სამოსახლოებიდან მოდიოდნენ სამეთუნეო უბანზე სამუშაოდ.

რადგან აქ ყველა ქურა სამოსახლოსგან მოშორებით ერთ განსაზღვრულ ფართობზეა კონცენტრირებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხირსაში საქმე უნდა გვქონდეს სამოსახლოსგან გამოყოფილ სამეთუნეო სპეციალიზირებულ სახელოსნო უბანთან.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამეთუნეო წარმოებაზე ჩვენი მონაცემები ფაქტიურად მხოლოდ ზამოაღნიშნულით ამოიწურება. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უშუალო სამეთუნეო წარმოების იარაღი, სამეთუნეო მორგვი აღმოჩენილია მხოლოდ ხოვლეს ნამოსახლარის III ჰორიზონტში და ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება (92, გვ. 7). იგი მოწითალოდ გამომწვარი თიხისგანაა დამზადებული. მისი დიამეტრი 35 სმ-ია, სიმაღლე 12 სმ, სოლის ფოსოს სიმაღლე — 9 სმ; ბორბლის სისქე 4 სმ, ხოლო ფრთის სიგანე 7 სმ (237, ტაბ. XIV).

ხოვლეს სამეთუნეო მორგვი იდენტურია კარმირბლურის პირველ ნაგებობაში აღმოჩენილი მორგვისა, რომელსაც ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულსა და VI საუკუნის დამდეგს მიაკუთვნებენ (236, გვ. 85—86, სურ. 46).

საქართველოში მორგვზე თიხის ჭურჭლის დამზადებას უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ვარაუდობენ. კერძოდ, გ. გობეჯიშვილის აზრით, მორგვის კვალი დადასტურებულია თეთრი წყაროს ენეოლითურ (ადრებრინჯაოს ხანის) კერამიკაზე (245). მარტივი ჩარხის ნიშნები, ნ. თუშიშვილის დაკვირვებით, ჩანს ნახიდრების ჭალის მესამე გორასამარხში აღმოჩენილ ადრებრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურა) თიხის ჭურჭელზე (238, გვ. 28; 239, გვ. 18).

აბელიის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე მორგვზე ტრიალის შედეგად მიღებული კონცენტრული ამოღარული ხაზები შენიშნეს კ. კვიჟინაძემ და ზ. შატბერაშვილმა (240, გვ. 30—31).

უკვე დამკვიდრდა აზრი შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის უმეტესობის მორგვზე დამზადების შესახებაც.

მორგვზე დამზადების აშკარა ნიშნები მასიურად აქვს თიხის ჭურჭელს შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ეტაპიდან. შემდგომი ხანების თიხის ჭურჭლის მორგვზე დამზადება კი უკვე მტკიცებას აღარ საჭიროებს.

მიუხედავად ამისა საოცარია, რომ ჩვენ მიერ დასახელებული თიხისგან დამზადებული მორგვი ერთადერთია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ფაქტს შეიძლება ახსნა მოეძებნოს თუ დავუშვებთ, რომ მორგვი ხისგანაც მზადდებოდა. ეს ვარაუდი უფრო დამაჯერებელი გახდება თუ აღმოსავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით კი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ძირის ორნამენტს თავდაპირველად ჰორიზონტალურად გადაჭრილი ხის გულის ანაბეჭდად მივიჩნევთ, რომელიც შემდეგ ორნამენტულ სახედ იქცა.

ფაქტიურად ამით ამოიწურება აღმოსავლეთ საქართველოში უძველესი სამეთუნეო წარმოების შესახებ კონკრეტული მაჩვენებლები. მაგრამ თუ ჯერჯერობით ასე მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი კერამიკული საწარმოები და მასთან დაკავშირებული წარმოების იარაღები, სამაგიეროდ ამ დროის კერამიკული ნაწარმი ჩვენამდე განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მოღწეული. ეს კი საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას საკვლევი პერიოდის თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიაზე.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი ეტაპის და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის უმეტესობა ჩვეულებრივ წმინდად განლექილი თიხისგანაა დამზადებული, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დროს კარგად იცნობდნენ თიხის დაწმენდის წესს.

თიხის ჭურჭლის დასაწმენდი ორმოები აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე ურბნისში (246, გვ. 49) და აგრეთვე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების ლითონის სახელოსნოზე ქვემო ქედში. შესაძლოა კეცის სიმტკიცისათვის შუაბრინჯაოს ხანის და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭელს შერეული აქვს კვარცის წვრილი თეთრი ნაწილაკები, უფრო მოგვიანო ჭურჭლებს კი ამ მიზნით წვრილმარცვლოვანი, ზოგჯერ კი მსხვილმარცვლოვანი ქვიშა ურევია.

როგორც აღვნიშნეთ, საკვლევ პერიოდში თიხის ჭურჭელი თითქმის ყოველთვის მორგვზეა ამოყვანილი, მაგრამ გვაქვს შემთხვევები ხელით ნაძერწი ჭურჭლის აღმოჩენისაც. იშვიათად თიხის „ლენტებისგანაა" დამზადებული, როგორც მცირე (მელიღელე I) ისე მოზრდილი (ქვემო ქედი) ჭურჭლები. ამ შემთხვევაში ჭურჭლის დამზადების ტექნი-

კაზე აშკარად მიუთითებს შიდა ზედაპირი, რომელზედაც ასახულია თიხის „ლენტების“ ყველა „ნაკერი“, ზედაპირი ამ ჭურჭლებს ჩვეულებრივ მოგლუვებული და ნაპრიალები აქვთ.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ და გვიანბრინჯაოს ადრეულ პერიოდში თიხის ჭურჭელი ხშირად ორფენოვანია, ზედაპირი შავად აქვს გამომწვარი, შიდაპირის თხელი ფენა კი ღიად. ჭურჭლის შავი კეცის მიღების ტექნოლოგია, აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების მიხედვით, სპეციალურად იქნა შესწავლილი ზ. მაისურაძის მიერ (241, გვ. 249—256).

მისი ვარაუდით, მორგვზე ხელით დაყალიბებულ თიხის ჭურჭელს ჯერ აშრობდნენ განსაზღვრულ სიმაგრემდე, შემდეგ კი გამოწვავდნენ. გამოწვა სამ ეტაპად იყოფა: 1. შეკვამვლის ეტაპი ე. ი. ნაწარმიდან სინესტის თანდათანობით გამოდევნა; 2. ნაწარმის შემაგრების ეტაპი — სინესტე უკვე გამოდენილია და იწყება კეცის ფიზიკურ-ქიმიური გარდაქმნა; 3. ნაწარმის შეცხობა-გამოწვის ეტაპი 800—900° ტემპერატურაზე. იმის შემდეგ, როდესაც კეცი უკვე გამომწვარი იყო, იწყებოდა ხელახალი შეკვამვლის ეტაპი, შავი ფერის ნაწარმის მისაღებად. ამისათვის ღუმელს აციებდნენ 400°-მდე და შემდეგ შიგ უშვებდნენ კვამლს. მზა ნაწარმს გაციების შემდეგ გამოიღებდნენ ღუმელიდან, ფარავდნენ ცვილით და აპრიალებდნენ.

საღებავებით მოხატული ჭურჭლის გარდა, ნაწარმის შემკობა დაყალიბების დროს ან მას შემდეგ, მაგრამ ყოველთვის სველ თიხაზე ხდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის თიხის ჭურჭელი მრავალი ხერხითაა შემკული (242) — ამოკაწვრით, ამოკვეთით, დაგლუვებით, დაჭდევით, დაძერწვით, გაკრიალებით და შეკვამვლით. ამ ხერხებით ძირითადად გეომეტრიული სახეებია მოცემული, თუმცა გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის მეორე საფეხურზე საკმაოდ ხშირად გვხვდება ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებიც.

მეტად საინტერესო ჩანს ის მონაცვლეობა, რომელიც შეინიშნება ჩვენი საკვლევი პერიოდის თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიასა და შემკობის ტექნიკაში (217, გვ. 17—18).

შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ ეტაპზე და გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე თიხის ჭურჭლის ერთი ნაწილი დამუშავებით, ფორმებით და შემკულობით შუაბრინჯაოს ხანის მასალებს უახლოვდება. ესენია წმინდაკეციანი ჭურჭელი, რომლის თიხის კაზმში კვარცის თეთრი მბზინავი წვრილი ნაწილაკებია შერეული. ამ ჭურჭლების კეცი უმეტესწილად ორფენოვნადაა გამომწვარი — ღია ფერის სარჩულით, მათი ზედაპირი ჩვეულებრივ შავია და კარგადაა მოგლუვებული სარკისებური მბზინვარებით. ისინი უმეტესწილად მორგვზეა დამზადებული.

ჩვეულებრივ არქაულია ამ ჭურჭელთა შემკულობის დატანის ტექნიკაც — ნაპრიალები, შტამპით ნატვიფრი და ნაკაწრი სახეები. იშვიათია მოხატვაც.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ პერიოდში იშვიათად, ხოლო გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე უკვე ხშირად გვხვდება მოგვიანო სახის თიხის ჭურჭელი ქვიშანარევი, ერთფრად გამომწვარი, ხაოიანი მოწაბლისფრო ზედაპირით; მათი შემკულობა უმეტესად ნაკვეთი და ნაჭდევია.

გვიანბრინჯაოს ხანის შემდეგ საფეხურებზე კახეთისთვის ძირითადად უხეშკეციანი, წაბლისფრად და ლეგად გამომწვარი, ზედაპირხაოიანი ჭურჭელია დამახასიათებელი, ნაკვეთი და ნაჭდევი შემკულობით.

თუმცა გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურზე ჯერ კიდევ გვხვდება შედარებით წმინდაკეციანი ჭურჭელი ზედაპირის შავად გაპრიალების ცდით და შტამპით ნაჭდევი შემკულობით, მაგრამ ისინი სხვა ჭურჭელს შორის უკვე მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ.

ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე იორ-ალაზნის აუზში თიხის ჭურჭელი უმეტესად წაბლისფრადაა გამომწვარი, მაგრამ შიდაპირი და ზედაპირი მაინც შავად აქვს შებოლილი, რაც ძველი ტრადიციების გაგრძელებაზე მიგვითითებს. ამ ხანებშივე ჩნდება ლეგად გამომწვარი უხეშკეციანი ჭურჭელი, ნაკვეთი და ნაჭდევი შემკულობით, რომელიც ფართო გავრცელებას პოულობს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამ ათასწლეულის შუა ხანებისათვის ამ მხარეში კვლავ დამახასიათებელი ხდება წმინდაკეციანი ჭურჭელი ნაპრიალები შემკულობით, მაგრამ ადრეული ძეგლებისგან განსხვავებით სხვაგვარია კეცის სტრუქტურა, გამოწვა და ნაპრიალები შემკულობის მონახაზი.

გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურიდან მოკიდებული მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში

კახეთის ძეგლებისგან განსხვავებით შიდა ქართლის თიხის ჭურჭლის კეცი კვლავ წმინდაა და შემკული ნაპრიალები სახეებით, მაგრამ ამასთან ერთად დამახასიათებელია შემკულობის ნაკაწრი, ნაჭდევი და რელიეფური სახეები.

ადრეული კერამიკისაგან განსხვავებით თიხის ამ ნაწარმს აღარ აქვს სარჩული და ნაპრიალები შემკულობის მონახაზიც ადრეულისგან განსხვავებულია, თუმცა როგორც ნაკაწრ, ისე ნაპრიალებ ორნამენტში მოტივი ხშირად არქაულის მინაბაძია.

აღმოსავლეთ საქართველოს საკვლევი პერიოდის კერამიკული ნაწარმისათვის სრულიად უცხოა თიხის ჭურჭლის მოხატვა, მხოლოდ კახეთში გვაქვს ამგვარი ჭურჭლის აღმოჩენის სამი შემთხვევა. მათ შორის ყველაზე ძველია ბოდბის № 2 გორასამარხში გამოვლენილი სამი ჭურჭელი (ტაბ. $LIII_1$). არსებითია, რომ ეს ჭურჭლები ჯერ შემკულია ნაპრიალები, რელიეფური, ნატვიფრი ორნამენტით და გამომწვარია ე. ი. მიღებული აქვს დასრულებული სახე და მხოლოდ ამის შემდეგაა მოხატული თეთრი ანგობით. თანაც ჭურჭლები მოხატვის შემდეგ აღარაა გამომწვარი, რის გამოც მოხატულობის მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. ჭურჭლები მოხატულია ძირითადად მეანდრებით. ერთ-ერთ ჭურჭელზე მეანდრებს გარდა დატანილია წერტილებით და მცირე სამკუთხედებით შევსებული სამკუთხედისებური ჩარჩოები. საყურადღებოა ისიც, რომ მოხატულობის მონახაზი აშკარად სამხრეთულ ნიმუშებს წააგავს (აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ მხარისთვის დამახასიათებელი კერამიკა — 284; 244, გვ. 112—157) და არ არის დამახასიათებელი ადგილობრივი კერამიკისათვის.

თეთრი ანგობის მეანდრებით მოხატული ჭურჭელი აღმოჩნდა ნასადგომარის სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით დათარიღებულ ერთ-ერთ დაზიანებულ სამარხშიც.

წითელი ოქრის ვერტიკალური ზოლებით მოხატული ლეგაკეციანი ჭურჭელი აღმოჩნდა ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნით დათარიღებულ ყვარელწყალის № 1 დაზიანებულ სამარხში.

აღმოსავლეთ საქართველოსათვის სრულიად უცხოა თიხის ჭურჭლის ინკრუსტირება, თუ არ ჩავთვლით თიხის ჭურჭლის ფსკერში ობსიდიანის სარკმლის ჩადგმის რამდენიმე შემთხვევას.

აღმოსავლეთ საქართველოში საკვლევ პერიოდში მოჭიქული ჭურჭლებიც გვხვდება.

კულტურის ისტორიაში ჭიქურის აღმოჩენა მჭიდროდ უკავშირდება მინის აღმოჩენას (248, გვ. 289). კერამიკის მოჭიქვის ხელოვნება ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში ცნობილია ეგვიპტის, მესოპოტამიის და ელამისათვის. შემდეგ იგი ფართოდ ვრცელდება წინა აზიაში, სადაც ჭიქურით ფარავენ აგურებსაც (249, გვ. 81, 221).

საქართველოში უძველესი მოჭიქული თიხის საგნებია თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებში აღმოჩენილი ფაიანსის მძივები (46, გვ. 100, ტაბ. XXII).

მოჭიქული ჭურჭლები აღმოჩენილია მარალინ დერესის სამაროვანზე (46, გვ. 52, 53, ტაბ. $XX_1$), სამთავროს სამაროვანზე (სამარხები №№ 591, 77, $96^3$, 119, 208, 168, 289), დილმის გორასამარხში (286, სურათი 33-ე გვერდზე).

ყველა ეს მოჭიქული ჭურჭელი წარმოადგენს ქუსლმაღალ ცალყურა სასმისებს. კეცი მოხატულია მოყვითალო და მომწვანო-მოფირუზისფრო (ზოგჯერ შავი) საღებავებით. მომწვანო-მოფირუზისფრო ფონი ყვითელი ზოლებითაა შემკული და დაფარულია უფერული გამჭვირვალე ჭიქურით. ჭიქური დაბზარულია და ირიზებული.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია თეთრკეციანი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტებიც. კერძოდ, ორი ამგვარი ფრაგმენტი აღმოჩნდა კახეთში მელაანის მახლობლად „მელი-ღელე" II სამლოცველოზე. ერთის ზედაპირი დაფარულია ყვითელი საღებავით და გადავლებული აქვს უფერული გამჭვირვალე ჭიქური, მეორის ზედაპირი შემკულია მომწვანო-მოლურჯო და ყვითელ საღებავთა შეუული ზოლებით და დაფარულია უფერული გამჭვირვალე ჭიქურით (247, გვ. 11).

ამიერკავკასიის სხვა ადგილებში უძველესი მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია: აზერბაიჯანში — ხოჯალის გვიანდელ გორასამარხებში (250, გვ. 381, 383—385; 251, გვ. 153, 154, სურ. 313; 252, გვ. 178, სურ. 14; 244, გვ. 128), ხანლარის მახლობლად (253, გვ. 5; 254, გვ. 158), თალიშში (255, ტაბ. V 3, 5, 6), მინგეჩაურში (146, გვ. 98, 112, 114, ტაბ. XLI 10, 11, $11^a$, 12); სომხეთში კი კარმირ-ბლურზე (144, გვ. 195, 256, გვ. 21, სურ. 15), თოპრახ-ყალას თხრისას (ვანის ტბასთან) (257, გვ. 105).

მეტად არსებითია, რომ მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, სხვადასხვა მატერიალურ კულტურათა საზღვრებში მოპოვებული მოჭიქული თიხის ჭურჭელი მოხატულია სრულიად ერთნაირი

მომწვანო-მოცისფრო და ყვითელი სალებავების ვერტიკალური ზოლებით. ეს ფაქტი უკვე დამაფიქრებელია ამგვარი ჭურჭლების ადგილობრივ ნაწარმად მისაჩნევად.

ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ზუსტად ამგვარად მოხატული ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული ასურეთში, მაშინ როდესაც ამიერკავკასიაში, როგორც დავინახეთ, სულ თითო-ოროლაა.

ასურეთში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მოჭიქული ჭურჭელი ძვ. წ. 1300 წელს მიეკუთვნება: მასზე ლურსმული დამწერლობით გამოყვანილია მეფე ადადნირარი პირველის სახელი. აქ ფართოდაა გავრცელებული ასეთი ჭურჭელი მომდევნო საუკუნეებშიც ვიდრე ძვ. წ. VI-მდე (258, გვ. 5).

ამიერკავკასიაში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი კ. კუშნარიოვას ასურეთიდან მიაჩნია შემოტანილად. ამიერკავკასიური არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებშიც ამგვარი ჭურჭელია აღმოჩენილი, მისი აზრით, თარიღდება არა უადრეს ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებისა, ეს კი საშუალებას აძლევს მას მათი შემოტანა დაუკავშიროს ურარტელთა ფართო ექსპანსიას ამიერკავკასიაში (250, გვ. 385).

ჩვენი აზრით, ა. კუშნარიოვას ვარაუდი, რომ ამიერკავკასიაში მოჭიქული ჭურჭელი ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრეული ხანით არ თარიღდება, მცდარია, რადგან, როგორც ვიცით, მაგ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლები ბრინჯაოსმახვილებიან სამარხებშიც დადასტურდა, ეს სამარხები კი სრულიად მართებულად ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება (53, გვ. 134—136, ტაბ. I).

მაგრამ, კ. კუშნარიოვა არ უნდა ცდებოდეს, როდესაც ამ ჭურჭელს ამიერკავკასიაში შემოტანილად მიიჩნევს. ამის სასარგებლოდ უპირველეს ყოვლისა ზემოთ მოტანილი მაგალითები მეტყველებს.

სამთავროს სამაროვანზე და საერთოდ შიდა ქართლში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ზუსტად მოჭიქული ჭურჭლების ფორმის შავპრიალა სასმისები. მოჭიქული და შავპრიალა ჭურჭლები იმდენად ჰგავს ფორმით ერთიმეორეს, რომ მათი ურთიერთკავშირი სრულიად უეჭველია. კიდევ მეტი, შავპრიალა ჭურჭლების კორპუსი შემკულია ისეთივე მონახაზის ორნამენტით, როგორც მოჭიქული ჭურჭლები, კერძოდ, ვერტიკალური პარალელური ნაპრიალები ხაზებით (10, ტაბ. $XVI_1$; 24, გვ. 313, 318). მაგრამ ყოველივე ეს ჩვენ იმის დამამტკიცებელ ფაქტებად კი არ მიგვაჩნია, რომ მოჭიქული ჭურჭლები ამ შავპრიალა ჭურჭლების მიბაძვით დაამზადეს, არამედ პირიქით, რადგან ამ ფორმის ჭურჭლები მოჭიქულ ჭურჭლების შემცველ კომპლექსებზე ადრეულ სამარხებში არ დასტურდება[82].

ამ პარაგრაფში ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამეთუნეო წარმოება. ცხადია ხელოსნობის ამ დარგზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მეტად მწირი მასალები მოგვეპოვება, რის გამოც ჩვენი მიმოხილვა მხოლოდ შესწავლის დღევანდელ დონეს ასახავს და არა ნამდვილ ვითარებას.

თუ სამეთუნეო წარმოების შესწავლისას ჯერჯერობით ზემოთ დასახელებული მასალებით ვკმაყოფილდებით, სამაგიეროდ სამეთუნეო ნაწარმი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებზე მომუშავე არქეოლოგის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარია. როგორც რაოდენობრივად ისე თავისი მნიშვნელობითაც, კერამიკული ნაწარმი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამა თუ იმ კუთხის მატერიალური კულტურის თავისებურ ნიშნებს, ყველაზე თანამიმდევრულად გვიჩვენებს განვითარების ეტაპებს და სხვა.

თიხის ჭურჭელს განვიხილავთ დასკვნით თავში ხელოსნობის სხვა დარგთა ნაწარმთან ერთად.

---

[82] ბ. კუფტინის მიხედვით, ერთი ამგვარი შავპრიალა ჭურჭელი ბრინჯაოს თავ-ხვია საკინძთან და ნატეიფრი ორნამენტით შემკულ პირგადაშლილ სასმისთან ერთად, სამთავროს სამაროვანზე ფ. ბაიერნის მიერ გათხრილ № 601 სამარხშია აღმოჩენილი (46, გვ. 66). მაგრამ რადგან ყველა პირველ წყაროში, რომელსაც ბ. კუფტინი ეყრდნობა, სხვადასხვა დროის ბაიერნისეული ორი სამარხის (№ 600 და 601) ინვენტარია შერეული (იხ. 26, გვ. 23, 31, 32, ტაბ. XII, XIII; 25, გვ. 38—40, ტაბ. XII—XIII), ცხადია, ბ. კუფტინი ამ შემთხვევაში არასწორ ინფორმაციას ემყარება და მის მიერ მოტანილი № 601 სამარხის კომპლექსის გამოყენება რამდენიმე სერიოზული დასკვნის გამოსატანად შეუძლებელია.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ხელოსნური საქმიანობის შესახებ, გარდა მეთუნეობისა, მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი წარმოებისა მეტად მცირე მონაცემები გვაქვს. მაგრამ არსებული მასალების მიხედვით მაინც შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ აქ საკმაოდ მაღალ საფეხურზე უნდა მდგარიყო ხელოსნობის სხვა დარგებიც.

ხ ი თ ხ უ რ ო ო ბ ი ს განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს ის ფაქტი, რომ საკვლევ პერიოდში სამშენებლო საქმიანობისას ხის მასალას ერთ-ერთ პირველხარისხოვან ადგილს აკუთვნებდნენ. ამის დამადასტურებელია — საცხოვრებელ ნაგებობათა თხრის დროს აღმოჩენილი გადახურვის ჩაქცეული ძელების დამწვარი თავხეების აღმოჩენა (ხოვლე, თრელიგორეები, ნამოსახლარი თბილისის ზღვის ჩრდილო ნაპირზე და სხვა), აგრეთვე ბათქაშის დამწვარ ფრაგმენტებზე ხის ძელების თუ ფიცრების ანაბეჭდები (ფოხორაულები, საყდრის გორა, მოჰრილი გორა), რომლებიც შენობათა გადახურვის თუ კედლების ამოყვანისას ყოფილა ნახმარი. ბათქაშზე ხშირად წნული ლასტის ანაბეჭდებიც გვხვდება, რაც მიგვითითებს მის გამოყენებაზე შენობათა კედლების აგებისა, თუ თორნეების კედლების ამოყვანისას („მოჰრილი გორა").

ხის კონსტრუქციები უნდა ყოფილიყო გამოყენებული სამარხთა გადახურვის დროს. ხის ძელების ნაშთები მრავლად გამოვლინდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი ეტაპის სამარხებში (ბოდბე I, II), გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამარხებში (ღრმაღელე, ნასადგომარი და სხვა).

ხოვლეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი კოხების მიხედვით გულისხმობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხორბლის სალეწად ხის კევრები უხმარიათ (280, გვ. 10). ამაზევე მიუთითებს სამთავროს ერთ-ერთ ორმოსამარხში დადასტურებული მიცვალებულის კევრზე დაკრძალვის ფაქტი (70, გვ. 61—67).

ამ ხანებში ხისგან კეთდებოდა ისრის ღერები, რაზეღაც მიუთითებს ბრინჯაოს ისრისპირებზე შემორჩენილი ხის ფრაგმენტები. ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ისრებს ხმარობდნენ, ხის მშვილდებიც უნდა ემზადებინათ, რომელთა არსებობაზე მხოლოდ ბრინჯაოს სარტყლებზე და თიხის ჭურჭლებზე დადასტურებული გამოსახულებები მიგვითითებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკვლევ პერიოდში ხისგან მზადდებოდა ჭურჭელიც. — გობები, ჯამები, თეფშები და სხვა. ამის მანიშნებლად შესაძლოა ისიც გამოდგეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი წარმოების ძველი ტრადიციები არსებულა, რაზედაც, მაგალითად, ბედენის გორასამარხში (283), თრიალეთის XXIX გორასამარხში (46), საბიდ ახჩას № 5 გორასამარხში (158, გვ. 14, ტაბ. XXI) აღმოჩენილი ხის ნივთები მიგვითითებს. ამ დროს ხისგანვე მზადდებოდა სხვადასხვა იარაღთა ტარები და სხვა მრავალი.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სატრანსპორტო საშუალებები არ აღმოჩენილა, მის არსებობაზე მიგვითითებს ურმის გამოსახულებებისა და თიხის ბორბლების მრავლად დადასტურება ნამოსახლარებსა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ხასიათის ძეგლებზე. ცხადია ისინი აღმოსავლეთ საქართველოში შუაბრინჯაოს ხანის ცნობილი ურმების (46, ტაბ. CVII; 158, ტაბ. VIII—XX) განვითარებად უნდა მივიჩნიოთ.

ბუნებრივია, ამ პერიოდში ხისგან მზადდებოდა კიდევ მრავალი პირველი მოხმარების ნივთი, რომელთა არსებობის შესახებ სასაუბროდ ჩვენამდე არავითარი ნაშთი არ შემორჩენილა.

აღმოსავლეთ საქართველოში ხით ხუროობის განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს ბრინჯაოს მთელი რიგი ნივთების აღმოჩენა, რომელიც ხის დასამუშავებელ იარაღებად მიაჩნიათ. ასეთებია — ცული, ხელეჩო, სატეხი და მისი სახეობა ღორეჩო (10, გვ. 182—183).

რ თ ვ ა და ქ ს ო ვ ა საკვლევ პერიოდში ადამიანის შრომასაქმეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენდა.

საქართველოში ამ დარგის დაწინაურებაზე უძველესი დროიდან მრავალი აღმოჩენა მიგვითითებს, უპირველეს ყოვლისა, კი ქსოვილის ანაბეჭდები ადრელითონების ხანის თიხის ჭურჭლის კეცის შუაგულში (259, გვ. 46; 260, გვ. 280; 261, გვ. 264—297; 262, გვ. 265). ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში პრიმიტიული საქსოვი და-

ზგის არსებობასაც კი გულისხმობენ (263, გვ. 69; 151, გვ. 22).

რთვა-ქსოვის განვითარების მრავალი საბუთი გვაქვს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის პერიოდშიც. ამ დარგის დაწინაურებას ასახავს ნამოსახლარებზე თუ სამაროვნებზე მრავლად აღმოჩენილი თიხის, ქვის და ძვლის კვირისტავები, რომლებიც მატყლის დამუშავების აშკარა დადასტურებაა.

ამ პერიოდში საკმაოდ კარგად დამუშავებული ქსოვილების არსებობაზე მიგვითითებს აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილ სამარხებში ლითონის ნივთებზე ქსოვილის ანაბეჭდების აღმოჩენა (73, გვ. 42—44; 47, გვ. 17, სურ. 13; გვ. 38—40, სურ. 25—26). სხვადასხვა ხარისხის ქსოვილის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს ამ პერიოდის ძეგლებზე მრავლად აღმოჩენილი — ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები — საკინძები, მშვილდსაკინძები და სხვადასხვა ღილები. საკვლევ პერიოდში უხმარიათ როგორც შალის წმინდა ქსოვილები, ისე სელისა და კანაფის ბოჭკოსაგან დამზადებული ნაქსოვი ტანსაცმელი (10, გვ. 183).

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ადამიანის შინამოსაქმეობაში უდავოდ დიდი ადგილი უნდა სჭეროდა *ტყავის დამუშავებას*. ტყავი იხმარებოდა — სარტყლების, სხვადასხვა დანიშნულების თასმების, ფეხსაცმელის და სხვა პირველი საჭიროების ნივთების დასამზადებლად. საკვლევი პერიოდის სამარხებში იშვიათადაა შემორჩენილი ტყავის ნაშთები. დღემდე მოღწეული ტყავის უძველესი ნივთის ნიმუშს აღმოსავლეთ საქართველოში წარმოადგენს 1971 წ. გურჯაანის რაიონში სადუღას ტბის მიდამოებში გათხრილ № 2 მდიდრულ გორა-სამარხში აღმოჩენილი აღმის(?) ნაწილები, რომლებიც ნატვიფრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული. სამარხი წინასწარულად ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. თეთრი წყლების ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის სამარხებში, იარაღის დასაკიდი ბრინჯაოს სამხარიღლიე ჯაჭვი და სარტყლად გამოყენებული ჯაჭვი ტყავის თასმაზე აღმოჩნდა დამაგრებული. სამხარიღლიე ტყავის თასმის გამოსახულებაა მელაანში აღმოჩენილი შიშველი მამაკაცის ქანდაკებაზე. ტყავზე უნდა ყოფილიყო დაკერებული აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის ბრინჯაოს სარტყლებიც, მათ საამისო ნაჩვრეტებიც აქვთ შემორჩენილი.

ზოგიერთი ავტორი ტყავის დასამუშავებელ იარაღად თვლის აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდიდან ცნობილ ბრტყელ ცულს, თუმცა მკვლევართა უმეტესობა მას ხის დასამუშავებელ იარაღად მიიჩნევს (39, გვ. 86; 264, გვ. 27; 265, გვ. 33; და სხვ.).

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ტყავის დამუშავების დამადასტურებელი უფრო დამაჯერებელი საბუთი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

*მინის წარმოებაზე* უნდა მიგვითითებდეს საკვლევი პერიოდის ძეგლებზე, აღმოსავლეთ საქართველოში მინის მძივების თუ მოჭიქული პასტის მძივების აღმოჩენა. ხშირად გვხვდება მოოქვრილი მინის მძივებიც, მაგრამ მათ ადგილობრივ წარმოებაზე მსჯელობისათვის ჯერჯერობით არავითარი საბუთი არა გვაქვს.

როგორც კერამიკული წარმოებისადმი მიძღვნილი პარაგრაფის გაცნობისას დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამარხებში გვხვდება მოჭიქული ჭურჭლები, რაც კიდევ ერთი უეჭველი მითითებაა მინის წარმოების არსებობაზე, მაგრამ ჩვენი ვარაუდით ამ ჭურჭლების ადგილობრივ ნაწარმად მიჩნევა შეუძლებელია.

*ქვის დამუშავება* ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის დასაწყისია. ქვის ინდუსტრიას მის საქმიანობაში დიდი ხნის განმავლობაში ეკავა პირველი ადგილი, მაგრამ გვიანბრინჯაოს ხანიდან იგი თითქმის მთლიანად შეცვალა ლითონმა. მიუხედავად ამისა ქვა მაინც დარჩა ადამიანის მოხმარების ერთ-ერთი ძირითადი ნედლეული. მაგ. სამშენებლო საქმეში, ადამიანი ქვას-კაჟს იყენებს ნამგლის ჩასართების დასამზადებლად, ქვის მაგარი ჯიშებისაგან ამზადებს ხელსაფქვავებს. ხელსაფქვავების აღმოჩენა, რომლებსაც სადგარად ღალ დონეზე მიუთითებს. მაგალითად, კახეთში შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ბორცვებზე ხშირია ხელსაფქვავების აღმოჩენა, რომლებსაც სადგარად ოთხი შეერილი ფეხი დიდი ოსტატობით აქვთ გამოკვეთილი — უკანა ფეხები მაღალია და ხელსაფქვავის ქვედა ქვას ისეთ დახრას აძლევს, რომ მისი მოხმარება განსაკუთრებით მოსახერხებელია.

აღმოსავლეთ საქართველოში შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ პერიოდში კაჟისა

და ობსიდიანისგან მზადდებოდა ისპრისპირები (მელიღელე I, ნასადგომარის სამარხი № 6 და სხვ.). გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზე ქვისგან მზადდებოდა ლახტისთავები. გვიანბრინჯაო-რკინის ხანის დასაწყისიდან დასასრულამდე სამკაულის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა სარდიონის სხვადასხვაგვარი მძივები. სარდიონის მძივები სამეცნიერო ლიტერატურაში ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში დამზადებულადაა მიჩნეული (51, გვ. 208—209), თუმცა ჩვენ სხვა ავტორებთან ერთად მათ ადგილობრივ დამზადებასაც არ გამოვრიცხავთ, მით უმეტეს რომ მაგ., კახეთის საკვლევი ხანის ნამოსახლარებზე ხშირად გვხვდება დაუმუშავებელი სარდიონის ქვის ნატეხები.

მეტად მნიშვნელოვანია კახეთში ნამოსახლარ „გარეტყის გორის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით 50-იოდე მეტრის მანძილზე და სოფ. არაშენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაკბის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ნამგლის კაჟის ჩასართების სახელოსნოების აღმოჩენა.

„გარეტყის გორის“ სახელოსნოს ტერიტორიაზე არავითარი ნაგებობის ნაშთი არ შეგვიმჩნევია, მხოლოდ ორიოდ მეტრის სიგრძეზე რიყის საშუალო ზომის ქვები იყო ერთ მწკრივად ჩაწყობილი. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ქვა, რომელთა დაკეჭნილი ზედაპირი მათ გრდემლად გამოყენებაზე მიგვითითებს. სახელოსნოს ტერიტორია მოფენილია ათასობით მცირე ანატკეცით, რომლებშიაც შერეულია ნამგლის კაჟის ჩასართების ნახევარფაბრიკატები —მოგრძო ლამელები და ოციოდე ცალი მზა ნაწარმი (ტაბ. XXII$_2$).

გაცილებით საყურადღებოა არაშენდის მახლობლად გამოვლენილი სახელოსნო. აქ საკმაოდ მოზრდილი ფართობი ათიათასობით კაჟის ანატკეცების სქელი ფენითაა დაფარული (დაახლოებით 7 –10 სმ სისქის). ანატკეცებში მრავლადაა შერეული ნამგლის ჩასართების ნახევარფაბრიკატები, გვხვდება მზა პროდუქციაც. როგორც ჩანს, სახელოსნო დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა, რადგან აქ საკმაოდ არქაულ ფართო და ზურგწორკალულ ჩასართებთან ერთად, გვხვდება გვიანბრინჯაო-რკინის ხანისთვის ტიპიური ჩასართებიც. გვიანბრინჯაო-რკინის ხანითვე უნდა დათარიღდეს აქ აღმოჩენილი ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. სახელოსნოსთვის ნედლეულის ბაზას, როგორც ჩანს, ლაკბის ხევის კაჟის კაჭრები წარმოადგენდა.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მოსახლეობის ხელოსნობის სხვა დარგებით მოსაქმეობის შესახებ ჯერჯერობით არავითარი მონაცემი არა გვაქვს.

## § 6. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა

კულტურულ მცენარეთა წარმოშობის გამოყოფილ 11 ცენტრში ამიერკავკასიაც იგულისხმება (288, გვ. 42), მაგრამ, ცხადია, ამ გაგებით მთელი ეს მხარე ერთნაირად ვარგისი არ უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, ადამიანის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო — სოფლის მეურნეობა გეოგრაფიულ გარემოსთან მეტ-ნაკლები შეფარდებით ვითარდება და იგი მით უფრო მეტადაა დამოკიდებული ბუნებაზე, რაც უფრო პრიმიტიულია.

რაც შეეხება ჩვენ საკვლევ პერიოდს, ე. ი. გვიანბრინჯაო-რკინის ხანას, ამ დროს სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ საკმაოდ შეზღუდული უნდა ყოფილიყო ბუნებრივი პირობებით.

მაგალითად, სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი მთაგორიანი ნაწილი ნაკლებგამოსაყენებელი იყო მიწათმოქმედებისათვის, მისი დაბლობი ადგილები კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, ასეთებია—შიდა ქართლის დაბლობი, ქვემო ქართლის დაბლობი და ალაზნის ველი.

თითქოს ამაზე უნდა მიგვითითებდეს ის ფაქტი, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ზოგიერთი მატერიალური კულტურა სწორედ ამ დაბლობებითა და მისი მიმდინარე მთა-გორებით იზღუდება (იხ. დასკვნითი თავი), რაც თითქოს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მითაწმოქმედებისათვის განსაკუთრებით გამოსადეგმა მიწა-წყლის საზღვრებმა განაპირობა ცალკეულ ტომთა თუ ტომთა ჯგუფების განსახლების ფარგლებიც.

თუ ეს ასეა მაშინ უკვე აღნიშნული ფაქტი მიგვითითებს აქ მცხოვრები მოსახლეობის სამე-

ურნეო ცხოვრების თავისებურებებზე და მის სამიწათმოქმედო ხასიათს უსვამს ხაზს.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების სამიწათმოქმედო ხასიათზე უნდა მუთითებდეს შესწავლილ ნამოსახლართა (ხოვლე, ყათნალიხევი, ნაცარგორა, ციხიაგორა, მოჰრილი გორა, რცხილის სერი, ალაზნის ველის ნაცარგორები და სხვა) კულტურული შრეების მრავალსაუკუნოვანი დაფენებები და მათთან დაკავშირებული მრავალსართულიანი სამაროვნები (ბაკურციხე, სამთავრო, გულგულა, მელაანი (ჩალიანის ხევი), ხირსა, კასპი და სხვა), რადგან მათი წარმოქმნა ადამიანთა დამჯდარი ცხოვრების ნაყოფია, მისი განმსაზღვრელი კი მხოლოდ სამეურნეო ცხოვრება შეიძლება ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს საკვლევი პერიოდის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში რომ მიწათმოქმედებას დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა, ამის მანიშნებელი პირდაპირი ფაქტებიც მრავლად მოიპოვება—კერძოდ, ახალ ულიანოვკაში (ლაგოდეხის რაიონი) № 2 გორასამარხში, ბაკურციხეში, მელაანში, ბეშთაშენის სამაროვანზე (სამარხი № 4), წოისში, ჩურისხევში, ურიათუბანში, მელი-ღელეში აღმოჩენილი ბრინჯაოს[83] და რკინის ნამგლები (ტაბ. $XXI_2$) (54, გვ. 89; 59, გვ. 26, ტაბ. VIII; 48, გვ. 69; 46, ტაბ. XLIV; $267^2$, გვ. 206, 208; 80, ტაბ. $XXVIII_1$ და სხვ.), ნამგლის კაჟის დაკბილული ჩასართები, რომლებიც გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებზე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება; კევრები ან კევრის კოხები, რომლებიც აღმოჩნდა სამთავროში, ქულბაქებში, ხოვლეში, უფლისციხეში და შიდა ქართლის სხვა ნამოსახლარ ბორცვებზე (268, გვ. 21; 164, გვ. 30; 93, გვ. 10; 64, გვ. 192; 89, ტაბ. $XVI_6$); ხელსაფქვავის ქვები, დადასტურებული გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ყველა ნამოსახლარზე და ხშირად სამარხეულ ინვენტართანაც კი (ქისტაური, ჩალიანის ხევის სამაროვანი და სხვ.); შიდა ქართლში აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხები, რომლებიც აქ დასავლეთ საქართველოდან უნდა იყოს მოხვედრილი, საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოსთვის კი ამ პერიოდში ქვის წელში გამოყვანილი თოხებია დამახასიათებელი (ტაბ. XXII), რომლებიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება იორ-ალაზნის აუზის ნამოსახლარ ბორცვებზე (მოჰრილი გორა, გარეტყის გორა, ნაგომრების თავის გორა, ნაქალაქარის ნამოსახლარი გორები—ჩალაუბნის მახლობლად—ვაისწყალთან, ალაზნის ნაცარგორები და სხვა მრავალი) და ნამოსახლარების მიმდებარე ველ-მინდვრებზე.

ეს თოხები, როგორც ჩანს, ხვნის შემდეგ ბელტების დასაშლელად გამოიყენებოდა.

როგორც ფიქრობენ, ამიერკავკასიაში ამ პერიოდში თესავენ ხორბალს[84], ქერს, ღომს (54, გვ. 89; 17, გვ. 70—71; 269, გვ. 26; 270, გვ. 74; 149, გვ. 13; 271, გვ. 73; 272, გვ. 192—193). მიწას აფხვიერებენ მარტივი სახვნელით[85], რომელშიც გამწევ ძალად ხარია გამოყენებული (17, გვ. 71; 272, გვ. 74—75; 271, გვ. 72; 273, გვ. 96).

საქართველო მევენახეობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად ითვლება (274, გვ. 603). არის იმის კონკრეტული მითითებებიც, რომ საკვლევ პერიოდში ვაზის კულტურა საკმაოდ ფეხმოკიდებულია და სათანადო ადგილი უკავია მებაღეობასაც (274, გვ. 603; 54, გვ. 89; 275, გვ. 46; 17, გვ. 71; 276, გვ. 24; 269, გვ. 26; 270, გვ. 74; 149, გვ. 13; 277, გვ. 8; 278, გვ. 137—143 და სხვა).

ვფიქრობთ, ერთ-ერთი უძველესი საბუთი ჩვენში მეღვინეობის არსებობის შესახებ, უნდა იყოს მელი-ღელე I სამლოცველოს (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) ტერიტორიაზე

---

[83] აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნამგლები ცალფა ყალიბშია ჩამოსხმული და არა აქვს სატარე წამონაზარდი (ყუნწი). ბ. კუფტინის ვარაუდით, ისინი საერთოდ უტაროდ იხმარებოდა და ტარის დასამაგრებელ ადგილას დატანებული ნახვრეტი თასმის გასაყრელი იყო, რომლითაც ნამგალს ქამარზე იკიდებდნენ (78, გვ. 325).

ჩვენ სხვა ავტორებთან ერთად ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება ძნელად გასაზიარებელია, რადგან ზოგიერთ ამ ნამგალს სატარეზე ერთზე მეტი ნახვრეტი აქვს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, უტაროდ ხმარებისას ბრინჯაოს ამ ნამგლისპირებისათვის უშუალოდ პირზე უნდა მოეკიდათ ხელი და მაშინ ისინი პრაქტიკულად გამოუყენებელი ხდებოდა.

[84] ხორბლის მარცვლები და ერთ შემთხვევაში მთელი ძნა აღმოჩენილია ურბნისის ნამოსახლარის $C_1$ ფენაში (246, გვ. 18), რაც ჩვენში ხორბლის მოყვანას უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდან ადასტურებს (246, გვ. 58).

[85] გვიანბრინჯაოს ხანაში მიწის გაფხვიერება სახვნელი იარაღით სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რადგან, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ადრებრინჯაოს ხანის ძეგლზე ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი იარაღია აღმოჩენილი (246, გვ. 37—38).

აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები, გარშემო მხრებზე მიძერწილი მცირე ჭურჭლებით, ე. წ. მარნები (ტაბ. XXVIII), რომელთა საკულტო დანიშნულება როგორც ღვინის სასმელი ჭურჭლისა, აღიარებულია (293, გვ. 309—312); (159, გვ. 214 — 215; 50, გვ. 66). მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მელი-ღელე I სამლოცველოს ტერიტორიაზე გვხვდება მოზრდილი ჭურჭლების ფრაგმენტებიც, რომლებიც მცირე ქვევრებს შეიძლება ეკუთვნოდეს.

როგორც ცნობილია, პროფ. ა. აფაქიძე ბაკურციხეში აღმოჩენილ, ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის მოხრილი დანების ერთ ტიპს ვაზის სასხლავად მიიჩნევს (54, გვ. 66 და სხვა).

აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში უკვე ცნობილია ფაქტი ყურძნის წიპწების აღმოჩენისა ადრებრინჯაოს ხანის ფენებში (289). ძვ. წ. IV—III სს. ყურძნის კულტურული სახეობის წიპწები აღმოჩენილია საგარეჯოშიც (290, გვ. 59). ყურძნის კულტურული სახეობის წიპწები აღმოჩენილია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლზეც—უზერლიკ-თეფეს ნამოსახლარზე (291, გვ. 415; 292, გვ. 99) და სხვა.

მაგრამ დასახელებულ მონაცემებთან ერთად, საზოგადოების განვითარების დონის დასადგენად, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სამეურნეო დარგის წარმოების ფორმების გარკვევაა.

როგორც ნამოსახლარების შესწავლისადმი მიძღვნილ პარაგრაფში დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ კი ალაზნის აუზში ჩვენ შესაძლებლად ვთვლით—იმ მიკრორაიონებში, სადაც ამის შესაფერისი ბუნებრივი პირობები არსებობდა—უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული მიწათმოქმედების მორწყვით მეურნეობას. დანარჩენ შემთხვევებში კი მისაღებად მიგვაჩნია ის ვარაუდი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ხელოვნური რწყვის მასიურად შემოღებას გვიანბრინჯაოს ხანას უკავშირებს, თუმცა მის პარალელურად ურწყავი მიწათმოქმედების ფართო განვითარებასაც არ უარყოფს (118, გვ. 40—42). ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, მაგალითად ის, რომ შიდა ქართლის მსგავსად ალაზნის ველის უმეტეს ნაწილში მოსახლეობა ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ პირველად გვიანბრინჯაოს ხანაში (ჩვენი აზრით გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე) ჩნდება, რაც მხოლოდ ხელოვნური რწყვის შემოღებით უნდა აიხსნას.

აგრეთვე ის, რომ, მაგალითად ურწყავი შირაქის ველი დატვირთულია გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარებით, რომელთა კულტურული ფენები ასეულობით წლების განმავლობაშია დალექილი. თანამედროვე ვითარების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტერიტორიაზე ურწყავი მიწათმოქმედება დიდ სიძნელეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და, შესაძლოა, სულაც არ ჩამორჩებოდა იმ რაიონებს, სადაც ხელოვნური რწყვის შესაძლებლობა იყო (80, გვ. 47).

ამგვარად, გვიანბრინჯაოს ხანამდე მორწყვით მიწათმოქმედებას დასაშვებად ვთვლით მხოლოდ იმ იშვიათ მიკრორაიონებში, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო ხელოვნური რწყვისათვის. გვიანბრინჯაოს ხანაში კი ი. კიკვიძის კვალდაკვალ ვვარაუდობთ, რომ ხელოვნური რწყვის ფართოდ გავრცელების შედეგად მოსახლეობამ მთისა და მთისწინა ზოლის გარდა მთლიანად დაბლობებიც აითვისა. გვიანბრინჯაოს ხანაში ათვისებულია „დავით გარეჯის უდაბნოს" ჩრდილო ნაწილიც, სადაც 1971 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არა ერთი ნამოსახლარი ბორცვის არსებობა დადასტურდა გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენებით.

გვიანბრინჯაოს ხანაში ამ მეტად პროგრესული მოვლენის—მორწყვითი მიწათმოქმედების საყოველთაო შემოღება — საფუძველი თანადროული საზოგადოების განვითარების წიაღში უნდა ვეძიოთ, რადგან სარწყავი სისტემის გამართვა და მათი მოვლა-პატრონობა საზოგადოების მხოლოდ მტკიცე და მსხვილ ორგანიზაციას ძალუძს. ასეთი ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო მონათესავე ტომთა კავშირები, რომლებსაც, სავარაუდოა, სწორედ ამ ხანიდან ეყრება საფუძველი.

ამ ხანისათვის მიწათმოქმედება უკვე გამოყოფილია მესაქონლეობისაგან, მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავს ო. ჯაფარიძე, აღმოსავლეთ საქართველოში ეს ორი დარგი მაინც გვერდიგვერდ არსებობს და ვითარდება (267, გვ. 208).

მესაქონლეობას თუ მიწათმოქმედებას, მიუხედავად გვერდიგვერდ არსებობისა, უპირატესი როლი ენიჭება ბუნებრივი პირობების შესაფერად, გეოგრაფიული რაიონების მიხედვით. თუმცა, მაგალითად, ისეთ მხარეშიც კი, რომელიც ურწყავი იყო (შირაქი) და თითქოს უფრო შესაფერისი მესაქონლეობის განვითარებისათვის, მე-

საქონლეობის პარალელურად, მართალია, ურწყავი, მაგრამ საკმაოდ მძლავრი მიწათმოქმედების განვითარებაც უნდა ვიგულისხმოთ.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა მესაქონლეობის განვითარების მაჩვენებელია.

მთიან ნაწილში უფრო ცხვრის ძვლოვანი ნაშთები ჭარბობს, ბარში კი—მსხვილფეხა საქონლისა. ეს კარგად ჩანს სამარხებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესწავლისას—მთაში და საერთოდ მთაგორიან მხარეში უმეტესად ცხვრის ძვლები გვხვდება (თეთრი წყლები, მელააანი, ჩალაუბანი, გადრეკილი და სხვა), ბარში კი მსხვილფეხა საქონლისა (გულგულა, ხირსა, ვანთა და სხვა). ბუნებრივია ეს მონაცემები ამ მხარეთა სამეურნეო ცხოვრებაზე აშკარად მეტყველებს და მიგვითითებს, რომ ბარში უფრო მიწათმოქმედებას და დამჯდარ ცხოვრებას ეწეოდნენ, მთაში კი ნახევრად მომთაბარულ-საიალაღო მეცხვარეობას მისდევდნენ.

ამგვარ მეურნეობას არ შეიძლება თავისი დაღი არ დაესვა მატერიალურ კულტურაზე. სამომთაბარეო-საიალაღო მესაქონლეობისათვის აუცილებელია როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრები. საზამთრო საძოვრებით აღმოსავლეთი საქართველო საკმაოდ მდიდარია და უნდა ვიფიქროთ ცხვარს თავიანთი დასახლებების ახლომახლო აზამთრებდნენ. ასეთად უნდა გამოეყენებინათ მაგალითად შირაქსა და იორს შორის მოქცეული ტერიტორია, კერძოდ კი ელდარის ველი, რომელიც დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო საზამთრო საძოვრად ითვლება. მეტად არსებითია, რომ მიუხედავად საგულდაგულო დაზვერვებისა ამ მხარეში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ვერც ერთი ნამოსახლარი ვერ აღმოვაჩინეთ და საფიქრებელია, იგი უკვე ამ დროს და შესაძლოა უფრო ადრეც, ისევე როგორც დღეს, დაუსახლებელ ტერიტორიას წარმოადგენდა ნახევრადუდაბნოსთვის დამახასიათებელი მცენარეულით და მხოლოდ ზამთრის საძოვრებისათვის გამოიყენებოდა. ასევე ზამთრის საძოვრებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული გარდაბან-მარნეულის ველები (294, გვ. 103). ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ ტერიტორიას, როგორც ჩანს, სხვადასხვა მატერიალური კულტურის მატარებელი ტომები იყენებდნენ, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ამ მხარეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მრავალფეროვნება.

უფრო რთულია საზაფხულო საძოვრების საკითხი, რადგან ზაფხულში ცხვრის გადადენა გამოსაკვებად საკმაოდ დიდ მანძილზე იყო საჭირო, კერძოდ თრიალეთში, ან კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. ბუნებრივია, ამ ვითარებაში მათ სხვა ტომთა ინტერესების გათვალისწინება მოუწევდათ.

ქვემო ქართლის ველების არქეოლოგიური ძეგლების მსგავსად, თრიალეთის საძოვრების ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლებიც სხვადასხვა კულტურათა მასალების აღრევით ხასიათდება. ეს კი ისევ იმ ავტორთა სასარგებლოდ მეტყველებს, რომლებიც ამ მხარეში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურის მატარებელ ხალხთა ინტერესთა შეხვედრას ვარაუდობს მხარის საზაფხულო საძოვრებად გამოყენების თვალსაზრისით.

საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებით, თუ რომელ მხარეს რომელ ტომთან ჰქონდა კავშირი, მკვეთრად აისახება მატერიალურ კულტურაში. როგორც თ. ტატიშვილმა ჩვენთან პირად საუბარში შენიშნა, მაგალითად, შიდა ქართლის მტკვრის მარცხენა ნაპირას მატერიალურ კულტურაში უფრო ხშირად ჩანს დიდი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო ფერდის მასალები, რაც მისი აზრით იმით უნდა აიხსნას, რომ, როგორც ჩანს შიდა ქართლის ამ ნაწილიდან ზაფხულობით ცხვარი დიდი კავკასიონის იალაღებზე იდენებოდა; შიდა ქართლის მტკვრის მარჯვენა ნაპირის არქეოლოგიურ მასალებში კი უფრო ხშირია თრიალეთისა და ჩრდილო სომხეთისათვის დამახასიათებელი ნივთების აღმოჩენა, რაც იმ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებნი ცხვარს თრიალეთში აძოვებდნენ ზაფხულობით და ბუნებრივია, ამ მხარეში მცხოვრებ ტომებთან ჰქონდათ უფრო მჭიდრო კონტაქტები.

შესაძლოა, კახეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებსაც, ისევე როგორც სულ ახლახან, ცხვარი ზაფხულობით თრიალეთის იალაღებზე მიუდიოდათ. ამის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ის გამოგვადგეს, რომ თანამედროვე „ცხვრის გზის" გაყოლებით, თეთრი წყაროს რაიონში სოფ. ჯიგრაშენიდან 3 კმ-ის მანძილზე ჩრდილოეთით, გამოქვაბულში მიწის თხრის დროს შემთხვევით

აღმოჩენილა ბრინჯაოს სატევარი და მახვილი[86], ხოლო სოფ. გომარეთში (ადგილი ჩათახი ხრამის ხეობაში) ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირი, მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით[87], ეს იარაღები ამ რაიონისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი და ტიპიურ „კახურ" იარაღს წარმოადგენს.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის კერამიკული ნაწარმი, რომელთა შორის ხშირია თიხის სადღვებლები—ეს კი პროდუქტიული მესაქონლეობის არსებობის უტყუარი ნიშანია.

როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, მესაქონლეობის ნახევრად მომთაბარე ტიპზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩნდება ცხენი (17, გვ. 77), რომელიც ამ სახის მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.

ცხენი, არსებული მასალების მიხედვით, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებისათვის ძვ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამას გვიდასტურებს აღმოჩენები სოფ. მელაანსა და ქვემო ქედში (80, გვ. 52).

ზოგიერთი ავტორის აზრით, ამ პერიოდში მესაქონლეობის განვითარებამ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეაფერხა მიწათმოქმედების ზრდა (149, გვ. 14). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ როგორც ბ. პიოტროვსკი ფიქრობს, გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ამიერკავკასიაში მესაქონლეობა მეტად დაწინაურებული იყო და არ ჩამორჩებოდა ურარტულს (149, გვ. 12), ჩვენ მაინც არა გვაქვს საფუძველი ამ მხარეში მიწათმოქმედება მესაქონლეობაზე ჩამორჩენილად მივიჩნიოთ. თუ ერთ მიკრორაიონში მესაქონლეობა იყო ძლიერ დაწინაურებული, მეორე—მიწათმოქმედებისათვის უფრო შესაფერის მხარეში უკვე ხელოვნურ მორწყვაზე დამყარებული მიწათმოქმედება ვითარდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის დამადასტურებელი არა ერთი ფაქტი არსებობს.

## § 7. გაცვლა-გამოცვლა

საკვლევ პერიოდში ადამიანის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენს, ადამიანთა შორის ეს ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება და ფართოვდება გვიანბრინჯაო-რკინის ხანიდან მოკიდებული, სამეურნეო ცხოვრების ძლიერი დიფერენციაციის გამო. ამ დროს ერთიმეორისგან საბოლოოდაა გამოყოფილი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა. ამა თუ იმ საქმიანობით დაკავებული მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები თუ მათი ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ დარგებს ემსახურებიან, ბუნებრივია, სრულიად შეგნებულად აწარმოებენ არა მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გაცილებით მეტს, რომელიც ნაჭარბ პროდუქტად იქცევა და თავისთავად საჭირო ხდება მისი გადაცვლა სხვა პროდუქტებზე, რომელსაც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები არ აწარმოებენ, მაგრამ მასზე მოთხოვნილება აქვთ.

ამ დროს გაცვლა-გამოცვლაზე უნდა იყოს დამყარებული არა მარტო მიწათმოქმედთა, მესაქონლეთა და ხელოსანთა ურთიერთობა, არამედ მაგალითად, მეტალურგთა და ლითონდამმუშავებელთა ურთიერთობაც, რადგან, როგორც დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში ეს სპეციალობებიც გაყოფილია და როგორც ჩანს, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების საქმიანობას წარმოადგენს.

თავისთავად ცხადია, გაცვლა-გამოცვლის განვითარებისათვის უნდა შეეწყო ხელი ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობის განვითარებასაც.

ბუნებრივია, საკვლევ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები განსაზღვრულ ურთიერთობაში იყვნენ მეზობელ მხარეებში მცხოვრებ ტომებთანაც. რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა სხვადასხვაგვარი იყო, როგორც მშვიდობიანი ისე საომარი.

ამ პერიოდში, შესაძლოა, ისეთ ადამიანთა კატეგორიაც გაჩნდა, რომელიც ხელს უწყობდა ამ ურთიერთობების (გაცვლითი) მოწესრიგებას (80, გვ. 80) და შუამავლის როლს თამაშობდა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

ამგვარად, საკმაოდ მყარ ნიადაგზე უნდა იდ-

[86] მასალა შეკრიბა განსვენებულმა ი. გძელიშვილმა.

[87] შუბისპირი უპოვნიათ სოფ. გომარეთის კალინინის სახ. კოლმეურნეობის წევრებს — ნიკოლოზ სამადაშვილს და აბელ ქართველიშვილს.

გეს გაცვლა-გამოცვლა, რათა ყველას მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტომებს გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში მჭიდრო, საქმიანი კავშირი აქვთ ურთიერთშორის. ამაზე უპირველეს ყოვლისა, მათი მატერიალური კულტურის საერთო იერი მეტყველებს. აქაური ხელოსნები, როგორც ჩანს, ერთიმეორეს უზიარებენ გამოცდილებას. ამის მაჩვენებელია მთელ ამ ტერიტორიაზე მოპოვებული ლითონის იარაღები თუ სამკაულები, რომლებიც მსგავსი ტექნიკითაა დამზადებული და გარეგნულადაც მსგავსია.

ამ ტომთა ურთიერთობის მაუწყებელი უნდა იყოს, მაგალითად, ე. წ. „კახური" მასალების აღმოჩენა შიდა ქართლში. მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტით არ აიხსნება ამ ორი კულტურის ურთიერთობა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა მატერიალური კულტურის ზეგავლენით ნაწილობრივ შეიცვალა შიდა ქართლის მატერიალური კულტურის გარეგნული სახე, ეს კი, რა თქმა უნდა, უბრალო გაცვლა-გამოცვლას არ შეიძლება მიეწეროს (ამ საკითხის ირგვლივ დაწვრილებით იხილეთ დასკვნით თავში).

კახეთის ტერიტორიაზე კი შიდა ქართლური მასალები მხოლოდ სპორადულად, მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება—ესენია ბრინჯაოს ბრტყელი, ორკაპატარიანი ფოთლისებური სატევრები, აღმოჩენილი თიანეთის რაიონის სოფ. საყდრიონთან, გულგულაში, წინანდალში (80, გვ. 81, ტაბ. $XV_3$) და ველისციხეში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი.

მაგრამ, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა კონტაქტები, მხოლოდ მცირე ნაწილია ურთიერთკავშირის მთელი იმ ქსელისა, რომლითაც ამიერკავკასიის მოსახლეობა იმ პერიოდში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ეს ურთიერთობა კარგადაა ასახული მატერიალურ კულტურაში. მაგ., შიდა ქართლში თავმოყრილია დასავლურ-ქართული, ჩრდილოური, აღმოსავლური (კახური) და სამხრეთული (ჩრდილო-სომხური) მასალები. ამის გამოა, რომ ამ ტერიტორიას აკადემიკოსი ს. ჯანაშია მიიჩნევდა იმ ასპარეზად, სადაც ერთიმეორეს გამოცდილებას უზიარებდნენ სხვადასხვა ტომები (295, გვ. 20).

ასევე სხვადასხვა კულტურათა ელემენტები გვხვდება თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე—აქ შერწყმულია ჩრდილოური, დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნიშნები.

როგორც ადრეც შევნიშნეთ, სხვადასხვა კულტურათა შერეული მასალით ხასიათდება თრიალეთი და ქვემო ქართლი, რაც ამ მხარეთა განსაკუთრებული სამეურნეო თავისებურებებით იყო ახსნილი.

კონკრეტული არქეოლოგიური მასალა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაზე მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნივთთაგან შემდეგია: კოლხური ცული (სსმ ინვ. № 17—62/1) აღმოჩენილი სოფ. შრომაში (ვაჩნაძიანი); ქედაბეკური ტიპის სატევარი, აღმოჩენილი წითელ წყაროში (66, გვ. 123, სურ. 1 ბ); ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის სატევრები გომნადან (58, გვ. 203, ტაბ. XIII), სასირეთიდან (39, სურ. 8 b, c), ბადიაურში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორთითები (80, ტაბ. $XV_2$); თალიშური ბრინჯაოს მახვილის ტარი მხარტიდან (ბორჩალოსთან) (46, სურ. 60), კუშჩიდან (46, სურ. 59; ტაბ. XXXVII), წინწყაროდან; ბრინჯაოს ურარტული სარტყლის ფრაგმენტი ხირსიდან (80, ტაბ. $XIV_3$); ბრინჯაოს ურარტული სარტყელი თლიდან (296, სურ. 5, 6); წინააზიური სატევრები სოფ. ჯიმითიდან და მახათის მთიდან (80, ტაბ. $XV_4$); ქედაბეკური ბრინჯაოს მახვილები—ცემიდან (ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), აკურიდან, ნასამხრალიდან (თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი); ქედაბეკური სატევრები—ბეშთაშენიდან (46, ტაბ. XLIX), წინწყაროდან (46, სურ. 55); შიდა ქართლის მრავალ პუნქტში დადასტურებული კოლხური ბრინჯაოს ნივთები—ცულები, თოხები, ბალთები და სხვ.; აღმოსავლეთ საქართველოს არა ერთ კუთხეში აღმოჩენილი ბრინჯაოს, ე. წ. სკვითური ისრისპირები; სიღნაღის რაიონში აღმოჩენილი და რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს გრეხილრქებიანი ვერძის თავი, რომლის ჩრდილო კავკასიური წარმოშობა აშკარაა და სხვა მრავალი.

ტიპიურ აღმოსავლურ ქართული მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები აღმოჩენილია მის ფარგლებს გარეთ და ზოგჯერ საკმაოდ მოშორებითაც. კერძოდ, როგორც მ.

პოგრებოვა აღნიშნავს თავის საკანდიდატო დისერტაციაში, ბრინჯაოს ე. წ. კახური სატევარი აღმოჩენილა ჩინეთში; კახური ბრინჯაოს სატევრები აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიაში (სსმ-ინვ. № 17—09/1; იხ. 199, გვ. 28, ტაბ. $XI_1$), მინგეჩაურში (146, ტაბ. $XXVIII_6$), მეხჩის ციხეში (78, გვ. 329, სურ. 22). დაღესტანში აღმოჩნდა და მახაჩყალის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული ბრინჯაოს „კახური“ მთლიანმასრიანი შუბისპირი, მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით (200, გვ. 74, სურ. $18_4$); ჩრდილოეთ კავკასიაშივეა აღმოჩენილი სხვა ამგვარი ნივთებიც (397, ტაბ. $IV_{1,2}$)[88]. უკრაინაში სოფ. პოდგორცისთან თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარტყელი, რომელიც პ. უვაროვას და ტ. ივანოვსკაიას აღწერილობის მიხედვით (199, გვ. 37—39; 361) უფრო აღმოსავლეთ საქართველოს ოსტატთა ნახელავს წააგავს. ასევე აღმოსავლეთ ამიერკავკასიური წარმოშობისადაა მიჩნეული ყობანში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლის ნახატები (199, გვ. 35, ტაბ. $XXXVII_{1,2}$) და სხვა.

ამიერკავკასიის მოსახლეობის და მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს ტომების მჭიდრო კონტაქტები უნდა ვიგულისხმოთ შორეულ ხალხებთან, მაგალითად იმის მიხედვითაც, რომ საკვლევი პერიოდის ძეგლებზე ხშირად გვხვდება ე. წ. ნიჟარა კაური, რომელიც მხოლოდ ინდოეთის ზღვებისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარივე კონტაქტებზე უნდა მიგვითითებდეს ამიერკავკასიის კალით მომარაგებაც. ვინაიდან კალა ამიერკავკასიაში აღმოჩენილი არ არის, მაგრამ ბრინჯაოს თითქმის ყველა ნივთის შემადგენლობაში შედის, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იგი ამიერკავკასიაში შემოტანილია, თუმცა საიდან ჯერ არ არის დადგენილი.

[88] ეს მასალა ინახება ბუდაპეშტის აღმოსავლეთ აზიის მუზეუმში ევგენი ზიჩის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში შეკრებილ ნივთებს შორის ინვ. №№ 8216, 8227.

სპეციალისტები ამიერკავკასიაში წინა აზიიდან მიიჩნევენ შემოტანილად სარდიონის მძივებს (51). აქედანვე ჩანს შემოტანილი მახათის მთაზე და სოფ. ჯიმითში აღმოჩენილი წინააზიური ტიპის სატევრები (80, გვ. 81, ტაბ. $XV_4$) და სხვა.

უეჭველია, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა ურთიერთობისათვის, როგორც მეზობელ ისე შორეულ ქვეყნებთან მრავლად უნდა ყოფილიყო გაკვალული სტაბილური გზები.

მაგალითად, ჩრდილო ქვეყნებთან ურთიერთობისათვის ზაფხულის თვეებში დიდი კავკასიონის ყველა გადასასვლელი გამოდგებოდა და ისინი რომ იყო კიდევაც ხმარებაში ჩვენ ეს ადრეც შევნიშნეთ.

ამ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთთან ურთიერთობის სტაბილურ გზადაა მიჩნეული — მტკვრის ხეობით, შემდეგ გუჯარეთის წყლის აყოლებით ან ბაკურიანზე და ტაბაწყურზე გავლით, თრიალეთში და შემდეგ ჩრდილო სომხეთში გამავალი მაგისტრალი (ბ. კუფტინი, ო. ღამბაშიძე, ა. მარტიროსიანი).

ტანას, თეძმისა და კავთურის ხეობებში არსებული, საკმაოდ ხელმარჯვე გადასასვლელებით შიდა ქართლი, როგორც ჩანს, ისტორიული განვითარების ადრეული საფეხურიდანვე, მჭიდროდ უკავშირდებოდა თრიალეთის ზეგანს (306, გვ. 47).

როგორც ჩანს, ერთ-ერთ მთავარ გზას წარმოადგენდა კახეთისა და თრიალეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი, რომლითაც ცხვრის გადადენა ხდებოდა უკანასკნელ დრომდე. ცხადია ამგვარი სხვა მრავალი გზაც არსებობდა, მაგ., რომელიც შიდა კახეთს აკავშირებდა თიანეთის მხარესთან და სხვა მრავალი, მაგრამ მათთვის ამჟამად თვალის გადევნება ძალიან ძნელია, განსაკუთრებით კი ისეთ გეოგრაფიულ პუნქტებს შორის, რომელთა მატერიალური კულტურა ურთიერთშორის დიდ სხვაობას არ ამჟღავნებს.

## სულიერი კულტურა

ძვ. წ. XV—VII სს-ის საზოგადოების სულიერი კულტურის შესასწავლად აღმოსავლეთ საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებია გამოვლენილი. ასეთებია ნაცარგორის, ყათნალიხევის და ხოვლეგორის[1] ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სამლოცველოები და მელაანსა და „მელი-ღელეში“ გამოვლენილი — სამოსახლოებისაგან განცალკევებით მდებარე სამლოცველოები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### „მელი-ღელეს“ სამლოცველოები

ადგილი „მელი-ღელე“ მდებარეობს გურჯაანის რაიონში სოფ. მელაანის სამხრეთით შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე, „შავხის გორის“ ძირში, „მელი-ღელეს“ მარჯვენა ნაპირზე. აქ 1964—1967 წწ. არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. ოთხი წლის საველე მუშაობის შედეგად გაითხარა 3100 $м^2$ ფართობი. მიუხედავად იმისა, რომ ხვნის შედეგად მიწა 0,70 მ სიღრმეზე გადაბრუნებული აღმოჩნდა და კულტურული ფენის თითქმის 0,40 მ სიმძლავრის ჰორიზონტი დაზიანებული[2], მაინც მოგვეცა საშუალება აქ ფართობზე მეტ-ნაკლებად დაცული სხვადასხვა დროის ორი სამლოცველოს არსებობა დაგვედასტურებინა (ტაბ. $XXVIII_1$).

იმ მიზნით, რომ ამ ორი ძეგლისა და მათთან დაკავშირებული მასალის გარჩევა ერთიმეორისაგან უფრო ადვილი ყოფილიყო, ჩვენ, ქვედა—უფრო ძველ სამლოცველოს ვუწოდეთ „მელი-ღელე I“, ხოლო ზედა—შედარებით ახალ სამლოცველოს — „მელი-ღელე II“ (187, გვ. 299—302).

### სამლოცველო „მელი-ღელე I»

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი ობიექტი საკმაოდ დაზიანებული დაგვხვდა, მაინც შესაძლებელია მისი ყოფილი სახის აღდგენა[3]. იგი წარმოადგენს 2 მ სიგანისა და 0,60 მ სიღრმის თხრილით გამოყოფილ შემაღლებულ მოედანს, რომელსაც გარშემო რიყის ქვები აქვს შემოვლებული, მელი-ღელეს წყლების მიერ განადგურებულია ძეგლის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი და ბუნებრივია, ამ ადგილებში არც თხრილი და არც რიყის ქვების წრე შემორჩენილი არ არის (ტაბ. $XXIII_2$).

---

[1] ნაცარგორის, ხოვლეგორის და ყათნალიხევის სამლოცველოები დაწვრილებითაა აღწერილი და შესწავლილი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში (55; 374, გვ. 31—32; 89). ამის გამო მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

[2] „მელი-ღელეში“ ამ აღმოჩენების შესახებ ცნობა მოგვაწოდა აგრონომმა გურამ ჯავახიშვილმა.

[3] კახეთში აღმოჩენილი სამლოცველოები იმდენად რთული და მნიშვნელოვანი ძეგლებია, რომ მათი მონოგრაფიული გამოკვლევაა აუცილებელი. მაგრამ ვინაიდან მელი-ღელე II-ის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრით შესწავლილი, ამ ვითარებაში კი, ცხადია, შესწავლის შედეგები ამომწურავი არ იქნება, ამჟამად მელი-ღელეში გათხრილ სამლოცველოთა სრული გამოქვეყნებისაგან შეგნებულად ვიკავებთ თავს.

მელი-ღელე II-ის გათხრის დასრულება განზრახული გვაქვს ზემო—ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის მეორე რიგის სამუშაოების დაწყების (1975 წ.) შემდეგ, რადგან იგი ამ მშენებლობის ზონაში შედის და მისი შესწავლის დასრულება მხოლოდ ამ ორგანიზაციის დაფინანსებით შეიძლება მოხერხდეს.

ძეგლის მთელ ტერიტორიაზე დიდ და მცირე ჯგუფებად გვხვდება სხვადასხვა ნივთები. ისინი განსაკუთრებით ბევრია მოედნის ჩრდილო მხარეს გავლებულ თხრილში. მოედნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში ორი დიდი ორმოა, დიამეტრით დაახლოებით 3—3,5 მ. ორმოები სავსეა ხის წმინდა ნაცრითა და მასში შერეული სხვადასხვა ნივთებით. ორმოების ამოწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ მათ ცენტრში ხის წმინდა ნაცრით სავსე თიხის დიდი ჭურჭლები იდგა (ტაბ. XXIV 1—2). აღმოსავლეთით მდებარე ორმოსთან რიყის ქვის ორი წრეა ასევე წმინდა ნაცრით შევსებული. მათ გარშემო კი შემოწყობილია მცირე ზომის თიხის ჭურჭლები და სხვადასხვა წვრილი ნივთები. მელი-ღელე I-ის ფართობზე დიდ და მცირე ჯგუფებად განლაგებული ნივთები ძირითადად თიხის სხვადასხვა ზომის ჭურჭლებისაგან შედგება. ჭურჭლები უმთავრესად მცირე ზომისაა (ტაბ. XXV—XXVII); არის ძალიან მცირე ზომის ჭურჭლებიც, სიმაღლით ორ სანტიმეტრამდე (ტაბ. XXVIII$_1$). მათ უმთავრესად სასმისის ფორმა აქვთ, თუმცა გვხვდება ასეთივე ზომის სადღვებელიც. განსაკუთრებული სამრავლით გამოირჩევა საშუალო ზომის (სიმაღლე — 10—17 სმ) მაღალყელიანი სასმისის ფორმის ჭურჭლები, რომელთა ზედაპირი, როგორც წესი, ნაპრიალები გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. დიდი ზომის ჭურჭლები წარმოდგენილია უმთავრესად ცალყურა ხელადებით. მათი ყურები მრავალფეროვანია. ყურები, როგორც წესი, მდიდრულადაა შემკული—გეომეტრიული და და ძალიან ხშირად ცხოველების (ცხვარი, გველი) სკულპტურული გამოსახულებებით (ტაბ. XXVIII$_2$—XXIX). თიხის ჭურჭლის ყურების მრავალფეროვნებით მელი-ღელე I, ვფიქრობთ, ყველაზე მდიდარი ძეგლია მთელ კავკასიაში. თიხის დიდი ჭურჭლები, როგორც წესი, შემკულია მდიდრული გეომეტრიული ორნამენტით და ცხოველების, როგორც რელიეფური ისე ამოკაწრული სახეებით (ტაბ. XXX—XXXVII). ხშირია ირმის, ცხვრის, გველის და სხვ. გამოსახულებები, ორ ჭურჭელზე ნადირობის სცენაა მოცემული (ტაბ. XXIV$_1$)[4]. თიხის ჭურჭელი, როგორც წესი, წვრილმარცვლოვანი თიხისაა, შავად გამომწვარი ნაპრიალები ზედაპირით. ბევრია უხეშკეციანი ჭურჭლებიც, კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული კორპუსით, რომელთა მხარს და ძირის კიდეს ირიბი ნაჭდევი ე. წ. „ფრჩხილისეული" სახეები შემოსდევს ან ზონარისებური ორნამენტი ამკობს (ტაბ. XXXI$_1$), გვხვდება სხვადასხვა ზომის ე. წ. მარნებიც, უმეტესად ფრაგმენტების სახით (ტაბ. XXXVIII).

ნიშანდობლივია, რომ მელი-ღელე I-ის კერამიკულ ნაწარმში წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელიც შეგვხვდა, ოღონდ ცალკე, დიდი გროვის სახით ძეგლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. როგორც ჩანს, წითელი ფერი ჭურჭელს მიღებული აქვს მეორადი გამოწვის შედეგად. ჭურჭლები 5—6 სმ-ის სიმაღლის ასიოდე სასმისითაა წარმოდგენილი. აქვეა ცეცხლის კვალი და ამავე ფორმის რამდენიმე სასმისის დაწიდებული ფრაგმენტი.

თიხის ჭურჭელს გარდა, მელი-ღელე I-ის ფართობზე მოპოვებულ მასალაში, ძალიან ბევრია სხვა ნივთებიც: სარდიონის მძივები, ობსიდიანის ისრისპირები (ათასამდე, მათ შორის ბევრია იმიტაცია) (ტაბ. XL$_1$), ბრინჯაოს ბეჭდები, ღილები, სამაჯურები, საკიდები (ტაბ. XL$_2$, XL$_1$, XLII); რამდენიმე მახვილის იმიტაცია (ტაბ. XII$_2$, XLIII$_1$), ჩქიფები; თიხის საბეჭდავები მნათობთა სიმბოლური გამოსახულებებით — სვასტიკა, ჯვარი, სპირალი (ტაბ. XXXIX$_2$) და სხვა მრავალი. აღმოჩნდა შიშველი ქალის ქანდაკებებიც, შვიდიოდე ბრინჯაოსი (ტაბ. XLIV$_1$), ხოლო ორი — თიხისაა (ეს უკანასკნელი თიხის ჭურჭელზეა მიძერწილი) (ტაბ. XLIV$_{2,3}$).

ზოგიერთ მათგანს ნიღაბი უკეთია. ერთს აშკარად ცხვრის თავი აქვს. ქალის თიხის ქანდაკებები დამახასიათებელია ადრემიწათმოქმედი ყველა ნამოსახლარისათვის წინა და შუა აზიაში და მათ შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, სადაც ისინი ნაყოფიერების სიმბოლოებადაა მიჩნეული (387, გვ. 201—275). ამგვარი გამოსახულებებით მდიდარია კავკასიის მონაპოვარიც.

მელი-ღელე I-ის ტერიტორიაზე სულ 86.000-მდე სხვადასხვა ნივთი და ნივთის ფრაგმენტი გამოვლინდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მიწაზე ინკრუსტირებულმა გამოსახულებებმა, რომლებიც მოედნის ცენტრალურ, შემაღლებულ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. XLV—XLVI). ისინი შემდეგნაირადაა შესრულებული: მიწაში ამოღებუ-

[4] თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხზე გატოტვილი რომბებია გამოსახული (ტაბ. XXXVI), ეს უკანასკნელი ან მისი ვარიაციები ფართოდაა გავრცელებული დროსა და სივრცეში და სიცოცხლის ხედაა მიჩნეული (377, გვ. 14—27; 378, სურ. 8, გვ. 68—70).

ლია სხვადასხვა სიგანის ღარები, რომლებიც შევსებულია ნაცრითა და ცხვრის დამწვარი ძვლით. რამდენიმე შემთხვევაში ღარებში აღმოჩნდა თიხის პატარა სასმისები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამგვარი წესით მიღებულია სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების სტილიზებული გამოსახულებები. გამოსახულებები დიდი ზომისაა და ზოგჯერ 2 მ აღწევს.

კარგად გამოსარჩევი გამოსახულებები ძირითადად მოედნის კიდეებშია შემორჩენილი, ცენტრში კი მათი გარკვევა ჭირს. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ აქ გამოსახულებები არა ერთგზის ამოუკვეთიათ თუ შეუკეთებიათ; ახალი გამოსახულებები ჰრიდა და აზიანებდა ძველს. მოედნის ცენტრი დაზიანებულია სულ უკანასკნელ ხანს ხვნის დროსაც. ძირითადად ამ უკანასკნელი მიზეზის გამო ჩვენთვის გაურკვეველი რჩება გამოსახულებათა თავდაპირველი სიღრმე. ამჟამად ისინი სხვადასხვა სიღრმისაა, 2-დან 5 სმ-მდე. სხვადასხვაა გამოსახულებათა შემქმნელი ღარების სიგანეც—ღარების უდიდესი სიგანეა 12 სმ, უმცირესი—4 სმ. ღარები ჭრილში, როგორც წესი, დაკუთხულია. ხშირ შემთხვევაში გამოსახულებათა იმდენად თხელი ფენა იყო შემორჩენილი, რომ მხოლოდ ფუნჯით წმენდის დროსაც ქრებოდა. ეს მაშინ, როდესაც სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში ხნულის კვალის მოსაშორებლად ხშირად ოთხიოდე სანტიმეტრის სისქის ფენის აღება გვიხდებოდა.

მელი-ღელე I-ის ცენტრალურ ნაწილში ინკრუსტირებული გამოსახულებები შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით ერთადერთ პარალელს, ჯერჯერობით მხოლოდ, „ყათნალიხევის“ ბორცვზე გათხრილ სამლოცველოს იატაკზე აღმოჩენილი გამოსახულებების სახით პოულობს (89, გვ. 38, 39 და სხვ., ტაბ. $V_2$, VI[5]).

ძეგლის საწესო-სარიტუალო დანიშნულებაზე, სხვა მონაცემებთან ერთად (თიხის ჭურჭლის და ისრისპირების, მახვილების იმიტაციების დიდი რაოდენობა, მასალის განლაგება, შიშველი ქალის ქანდაკებები, წმინდა ნაცრით შევსებული დიდი ჭურჭლები[6] და ქვის წრეებით შემოხაზული ორმოები (საკურთხევლები), გამოსახულებები მიწაზე და სხვ.), მიუთითებს მისი საერთო სახეც, თხრილითა და რიყის ქვის წრეებით შემოფარგლული მოედანი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მიწაში ამოჭრილია „წმინდა“ ცხოველების გამოსახულებები.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში დღესაც ხშირად გვხვდება ამგვარი დაგეგმარების სამლოცველო, ხატი—ქვის ყორით შემოსაზღვრული, შემაღლებული მოედანი, რომლის ცენტრალურ ნაწილში სალოცავი ნიშია და მის გარშემო შეწირული ნივთებია გროვებად განლაგებული.

წინასწარ შეიძლება დავუშვათ, რომ მელი-ღელე I სამლოცველოზე, ყათნალიხევის სამლოცველოს მსგავსად საწესო წეს-ჩვეულებები ძირითადად ღვთაება—დიდი დედას საპატივცემულოდ სრულდებოდა, რომლის არსებობაზეც უნდა მიგვითითებდეს აქ აღმოჩენილი ქალის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები და სხვა მრავალი მონაცემი. მაგალითად არსებითია, რომ ამ სამლოცველოს ტერიტორიაზე შეწირულ ნივთებს შორის სიმრავლით პირველი ადგილი უკავია ბრინჯაოს ბეჭდებს, სარდიონის მძივებს და ქალის სხვა სამკაულს.

არ არის გამორიცხული, რომ ისევე როგორც სხვაგან, მელი-ღელე I-ის წარმართული პანთეონიც, შესაძლოა, უფროს-უმცროსობის პრინციპზე იყო აგებული.

მელი-ღელე I-ის მთავარი ღვთაება—დიდი დედა, პირველ რიგში წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერების ღვთაება და მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან და უფრო კი მესაქონლეობასთან. ამაზე მიგვითითებს მაგა-

---

[5] ჩვენთვის ცნობილია, რომ ბრაზილიელ აბორიგენებს ჰქონდათ წესი მიწაზე გამოსახულებების ნაცრით ინკრუსტაციისა (364, გვ. 242), მაგრამ ამდენად შორი პარალელის მოტანა და ჩვენ გამოსახულებებთან დაკავშირება ზედმეტად მიგვაჩნია.

[6] როგორც ცნობილია, შეწირვის სახით სხვადასხვა ნივთებისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მირთმევა ღვთაებებისთვის დიდი ხანია ცნობილია კავკასიაში (376, გვ. 104—105; 199, გვ. 235), ამგვარი წეს-ჩვეულება ჰქონიათ ბერძნებსაც (372, გვ. 186); ასეთივე წეს-ჩვეულება დასტურდება გილგამეშის ეპოსის მიხედვითაც, სადაც აღნიშნულია, რომ გილგამეშმა თიხისგან დაამზადა ქანდაკება, გაავსო სარდიონის ჭურჭელი თაფლით, ლილა ქვისგან დამზადებული ჭურჭელი კარაქით (ერბოთი) და მიართვა შამაშს (375, გვ. 56) და სხვა მრავალი.

ლითად ცხვრის განსაკუთრებული როლი საწესო-სარიტუალო წეს-ჩვეულებების შესრულებისას მელი-ღელე I-ის სამლოცველოზე—ცხვრის სკულპტურული გამოსახულებები თიხის ჭურჭელზე, ცხვრის ნიღაბი ქალის ბრინჯაოს ქანდაკებაზე[7], ცხვრის დამწვარი ძვლის შერევა ნაცარში მიწაზე ინსკრუსტირებული „წმინდა" გამოსახულებების შესაქმნელად, ცხვრის კოჭების გროვები.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით (383), ამ უკანასკნელ დრომდე, საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მეცხვარეობა იყო განვითარებული, არსებობდა სალოცავი კოშკები, რომლებშიც თითქოს ინახავდნენ წმინდა ცხვარს. ცხვარი მარტო შესაწირავი ცხოველი კი არ იყო, არამედ ღვთაებასაც განასახიერებდა. ცხვრის თუ ცხვრის გამოსახულების წინაშე სრულდებოდა სადღესასწაულო ცერემონიალი.

როგორც ს. მაკალათია შენიშნავს, ცხვრის გამოსახულება—ხატები უკანასკნელ დრომდე არსებობდა მაგ. სოფ. ცდოში (384). აქ ცხვრის კულტი უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღმერთ კვირიას (386).

სარიტუალო ცერემონიალში ცხვარი მონაწილეობს აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც. ამაზე მიუთითებს მაგალითად ქვაცხელას $C_1$ ფენაში აღმოჩენილი ცხვრის კოჭების გროვები და $C_3$ ფენაში გამოვლენილი ცხვრის კანდაკება (246, გვ. 9—19), აგრეთვე ხოვლეს ვერძისთავებიანი სათავსო. 1966 წ. საირხეში ჯ. ნადირაძის მიერ გამოვლენილი ნაყოფიერების კულტის ტაძრის (?) ტერიტორიაზე ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ყურებზე ცხვრის რქების რელიეფური გამოსახულებებია და სხვა მრავალი.

მელი-ღელეში აღმოჩენილ ერთ-ერთი თიხის ჭურჭლის ყურზე ცხვრის თავის და გველის რელიეფური გამოსახულებაა, რომელზედაც გველი პირში უძვრება ცხვარს. აქვე გველის გამოსახულება დასტურდება თიხის სხვა ჭურჭლის ყურებზედაც[8].

დაღესტნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ჭურჭლის ყურს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავ სულებთან საბრძოლველად, ამ ცნობებით უყურო ჭურჭლების დახურვა აუცილებელია, ყურიანისა კი არა, რადგან მასში ეშმაკი ვერ ჩაძვრება (385, გვ. 73).

მელი-ღელე I სამლოცველოს ღვთაების მიწათმოქმედებასთან კავშირის მანიშნებელი უნდა იყოს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნამგალი, კაჟის ნამგლის ჩასართები, მრავალი სასმისი, რომელიც სოფლის მეურნეობის ნაყოფებისაგან დამზადებული სასმელის მისაღებად იყო განკუთვნილი, ღვინო იქნებოდა ეს თუ ლუდი. უფრო მეღვინეობაზე უნდა მიგვითითებდეს სამლოცველოზე მრავლად აღმოჩენილ ე. წ. მარნების ფრაგმენტები, რომელთა მსგავსი ჭურჭელი საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მხოლოდ ღვინის სასმელადაა მიჩნეული.

უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლოა მელი-ღელე I-ის მთავარი ღვთაება—ნაყოფიერების ღვთაება ამავე დროს ნადირობის ღვთაებაც იყო[9]. მელი-ღელე I-ის სამლოცველოზე, რომ ნადირობის კულტს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ამის მანიშნებელი მრავალი ფაქტი არსებობს—ნადირობის სცენების და გარეული ცხოველების—განსაკუთრებით ირმების გამოსახვა, როგორც თიხის ჭურჭელზე ასევე სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში მიწაზე და ბრინჯაოს ცალკეული ქანდაკებების სახით. ამაზევე უნდა მიგვითითებდეს შეწირულ ნივთებში აღმოჩენილი კაჟის და ობსიდიანის ათასამდე ისრისპირი, რომელთა უდიდესი ნაწილი იმიტაციებს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, მელი-ღელე I-ის სამლოცველოზე საწესო-სარიტუალო წეს-ჩვეულებების შესრულებისას სრულდებოდა ჯგუფური ცეკვე-

---

[7] სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით საკმაოდ მრავალადაა ცნობილი ფაქტები, როდესაც წმინდა ცხოველის ნიღაბს იკეთებს ის, ვინც ამ ცხოველს განასახიერებს საწესო რიტუალის დროს (379, გვ. 250).

ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ნიღბის საშუალებით ცდილობდნენ სახის დემონისაგან დაცვას, ზოგს კი მიაჩნია, რომ ნიღაბი კეთილი და ავი სულების განსახიერებაა. თუ თრიალეთის ვერცხლის თასის გამოსახულებების მიხედვით ვიმსჯელებთ (388, გვ. 20—23, ტაბ. XI), ცხადი გახდება, რომ ჩვენში ნიღბების სმარებას საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

[8] თიხის ჭურჭლები, რომელთა ყურების მაგივრობას ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებები ცვლის, აღმოჩნდა აგრეთვე მაღაროში (სმმ, ინვ. № 130); 1970 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. გადრეკილის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მრავალ სამარხში; ჩანჩაანის სამაროვანზე წითელ წყაროს აღმოსავლეთით (ქურქელი ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში), სანაინში (392, სურ. 2) და სხვა.

[9] საყურადღებოა, რომ ბ. კუფტინის ვარაუდით ნაყოფიერების ღვთაება თავდაპირველად ნადირობის ღვთაებასთან იყო დაკავშირებული (46, გვ. 89—90, 92).

ბი ნიღბებით; ამაზე მიუთითებს ცეკვის პოზაში გამოსახული ნიღბიანი შიშველი ქალის თიხის ორი ქანდაკება და ნიღბიანი შიშველი ქალის ბრინჯაოს ქანდაკება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ წინასწარი ზოგადი დაკვირვებებია, მათ დასაკონკრეტებლად საჭირო იქნება საკითხის სპეციალური ღრმა შესწავლა.

მეტად არსებითია მელი-ღელე I-ის დათარიღების საკითხი. იგი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კუთვნილი ძეგლია. როგორც ჩანს, ეს სამლოცველო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო მოქმედებაში, რის გამოც აქ მოპოვებულ მასალებში, ერთიმეორეშია შერეული სხვადასხვა პერიოდის ნივთები და მათი მკვეთრად გამიჯვნა მხოლოდ სამლოცველოს მასალების მიხედვით შეუძლებელია, მაგრამ ახლად მოპოვებული სამარხეული ინვენტარი ზემო ბოდბის გორასამარხებში და სოფ. გადრეკილის სამაროვნიდან შესაძლებელს ხდის „მელი-ღელე" I-ის თიხის ჭურჭელში გამოიყოს როგორც შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი პერიოდის მასალა, ისე გვიანბრინჯაოს ადრე, შუა და გვიანი ეტაპის მასალები.

## სამლოცველო „მელი-ღელე II"

მელი-ღელე II უშუალოდ ებჯინება მელი-ღელე I-ს ჩრდილო-დასავლეთიდან და ერთ ადგილას ფარავს კიდეც (ტაბ. $XXIII_1$).

მელი-ღელე II თითქმის მთლიანად ქარსაცავის ზოლის ქვეშაა მოქცეული, რამაც არ მოგვცა საშუალება იგი მელი-ღელე I-ის მსგავსად მთლიანად გაგვეთხარა. შესწავლილ იქნა სამლოცველოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ქარსაცავი ზოლის გარეთ იყო დარჩენილი. სამლოცველოს ზღუდის დიამეტრის გასარკვევად, ქარსაცავი ზოლის ხეებს შორის გავჭერით 1 მ სიგანის ჯვარედინი თხრილი.

ამასთან ერთად გაითხარა სამლოცველოს ცენტრალური ნაწილის ერთი სექტორი, რომელიც ქარსაცავი ზოლის ხეებისაგან თავისუფალი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის მთლიანი გათხრა არ მოხერხდა და ის რომ ძეგლის ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით ცენტრალური, ქარსაცავი ზოლის მშენებლობის დროს თითქმის პირწმინდადაა განადგურებული, ის მცირე სამუშაოები, რომელიც ამ ძეგლის ტერიტორიაზე ჩატარდა, საკმარისი აღმოჩნდა მისი აგებულების და შინაარსის ამოსაცნობად.

გამოირკვა, რომ მელი-ღელე II-ს უკავია დიდი, მრგვალი ფართობი ოთხმოციოდე მეტრის დიამეტრით. სამლოცველოს აქვს ერთი მეტრის სიმაღლისა და ათი მეტრის სიგანის მქონე ზღუდე (ტაბ. $XLVII_1$). ზღუდე დიდი ზომის რიყის ქვების სამი, ტერასებად განლაგებული წრისგანაა შემდგარი (ტაბ. $XLVII_2$), რიყის ქვის წრეებს შორის ადგილ-ადგილ ამგვარივე კონსტრუქციის ტიხრები აქვს. რიყის ქვის წრეები და მათ შორის ფართობი დაფარულია ცეცხლში ნამყოფი რიყის ქვებითა და ცეცხლისაგან დახეთქილი რიყის ქვის ნამტვრევით—ხურდით.

მელი-ღელე II-ის ზღუდეზე, ადგილ-ადგილ ქვებს შორის, ჯგუფებად გვხვდება რკინის ნივთები—იარაღი და სამკაული, რომელთა შორის საბრძოლო იარაღი ჭარბობს (ტაბ. XLVIII). აქვე შეგვხვდა ობსიდიანის ანატკეცების რამდენიმე ჯგუფი. ამას გარდა ზღუდეზე ხშირად ჩნდებოდა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის ცალკეული საბრძოლო იარაღი—ისრისპირები და შუბისპირები (ტაბ. LXIX). აქვე ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც განსხვავებით მელი-ღელე I-ისაგან მხოლოდ დიდ თიხის ჭურჭლებს—ქვევრებს ან მცირე სასმისებს (ტაბ. $L_1$) ეკუთვნის. ყველა ეს აღმოჩენები დადასტურდა მელი-ღელე II-ის ყორის აღმოსავლეთი ნაწილის ზედაპირზე და იმ ადგილებში, სადაც ყრილი დავარღვიეთ ზღუდის კონსტრუქციის გასარკვევად. როგორც ამ სამუშაოებმა დაგვანახა, მელი-ღელე II-ის ზღუდის შიგნითაც ძალიან ხშირია სხვადასხვა ნივთთა ჯგუფებისა თუ ცალკეულ ეგზემპლართა აღმოჩენა, მაგრამ მათ შესაკრებად ზღუდის მთლიანად მოშლა იქნებოდა საჭირო, რაც ძეგლს სახეს დაუკარგავდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მელი-ღელე II-იდან I-თან შედარებით მასალები გაცილებით მცირეა, ჩვენ მათი შეკრებიდან თავი შევიკავეთ.

მელი-ღელე II-ის ცენტრალური ნაწილის შესწავლისას გამოირკვა, რომ იგი თითქმის მთლიანადაა განადგურებული. აქ ქარსაცავი ზოლისათვის 70 სმ სიღრმეზე ამობრუნებული მიწის

ალების დროს გვხვდებოდა თიხის, ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა ნივთები—დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ნატეხები, მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, ცხენის ბრინჯაოს ქანდაკება, რკინის შუბისპირები და სხვ. (ტაბ. $XLIX_2$). მაგრამ ისინი რაოდენობის მიხედვით მელი-ღელე I-ის მასალასთან შედარებით თითო-ოროლაა.

სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში ამობრუნებული მიწის მოცილების შემდეგ რამდენიმე ადგილას მაინც მოგვეცა საშუალება უძრავი კულტურული ფენისათვის მიგვეგნო. აქ აღმოჩნდა რამდენიმე ბრტყელძირა ქვევრის ძირის ფრაგმენტი, ხოლო ერთ ადგილას გამოვლინდა 0,70 მ დიამეტრის რიყის ქვების წრე (ტაბ. $L_2$), რომლის ცენტრალური ნაწილი და გარშემო ფართობი დაახლოებით 0,50 მ მანძილზე ხის წმინდა ნაცრის სქელი ფენით იყო მოფენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე ძეგლზე სწორედ ეს წრეები და ორმოები წარმოადგენენ სამსხვერპლოებს თუ საკურთხევლებს.

მელი-ღელე II-ის ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი და სამკაული მრავალ პარალელს პოულობს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებს შორის და ძეგლს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს.

მელი-ღელე II-ის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალაში იარაღ-საჭურველი ჭარბობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მელაანის სამლოცველოს მსგავსად აქაც ნაყოფიერებისა და ომის ღვთაებები უნდა მოთავსებოდნენ.

მელი-ღელე II სამლოცველო სტერილური შრის გარეშე ადევს ზევიდან მელი-ღელე I სამლოცველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და თითქოს განუწყვეტლივ აგრძელებს ამ ადგილზე სამლოცველოს არსებობის ტრადიციას. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩვენ ამ ფენებს შორის უშუალო ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ვერ დავადგინეთ, მაგრამ ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მელი-ღელე II მასალის სიმცირეში, რომელიც ამგვარი გაბმის საშუალებას არ იძლევა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მელი-ღელე II უშუალოდ იმ ადგილასაა გამართული, სადაც მელი-ღელე I, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ იმ მოსახლეობას, რომელმაც მეორე სამლოცველო გამართა, ახსოვდა პირველის ადგილსამყოფელი, ე. ი. ის ძველი ადგილობრივი ტრადიციების გამგრძელებელი იყო სულიერ კულტურაშიც და სხვა რომ არაფერი არ გვქონდეს, უკვე ის ფაქტი, რომ ძვ. წ. XV—VII საუკუნეებში სამლოცველო ერთი და იგივე ადგილზე მდებარეობს, მთელ ამ პერიოდში, ბუნებრივია, უწყვეტი ადგილობრივი მოსახლეობის არსებობას გვავარაუდებინებს.

მელი-ღელე II უახლოეს პარალელს პოულობს სოფ. მელაანში 1959 წ. გათხრილი სამლოცველოს სახით (80, გვ. 82—103).

## სამლოცველო სოფელ მელაანში

1957 წელს, სოფ. მელაანის სამხრეთ განაპირას მცხოვრებ ზ. ბიძინაშვილის კარ-მიდამოზე, მიწის სავენახედ დამუშავების დროს ბრინჯაოს და რკინის მრავალი ნივთი აღმოჩნდა. აღმოჩენის ადგილზე 1959 წელს გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რის შედეგადაც აქ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამლოცველო გამოვლინდა[10].

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებისათვის სამლოცველოს კულტურული ფენა მხოლოდ მცირე ფართობზე იყო გადარჩენილი (ზ. ბიძინაშვილის მიერ მიწის სავენახედ გადაბრუნების დროს დაირღვა კულტურული ფენის სამხრეთ-დასავლეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილო ნაწილი). ამდენად, ბუნებრივია, ძეგლის აგებულებაზე ლაპარაკი ზედმეტია და მასზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ უფრო გვიან გათხრილი „მელი-ღელე II" სამლოცველოს მიხედვით.

მელაანის სამლოცველოს გადარჩენილ ნაწილში სტრატიგრაფიულად შემდეგი ფენები მონაცვლეობს: 0,25 მ-ის სისქის ჰუმუსოვანი ფენა, მის ქვეშ კულტურული ფენაა, რომლის ზედა ჰორიზონტი წარმოადგენს 0,20 მ-ის სისქის ცეცხლი-

[10] როგორც გათხრების შედეგები, ისე ყველაზე მეტყველი არქეოლოგიური მასალა ჩვენ დაწვრილებით გვაქვს გამოქვეყნებული (80, გვ. 82—103, ტაბ. XVI—XXX), რის გამოც აქ მხოლოდ ძეგლის მეტად ზოგადი აღწერით, მისი დანიშნულებისა და თარიღის გარკვევით დავკმაყოფილდებით.

საგან წვრილად დახეთქილ რიყის ქვის ყრილს. ყრილს ცენტრალურ ნაწილში ერთ ზოლად, იმავე დონეზე სიგრძივ გასდევს შედარებით მსხვილად ნამტვრევი და ზოგჯერ რიყის მთელი ქვების ყრილის ზოლი. ჩვენ ადრე ეს ფენა ბანური გადახურვის ნაშთად მივიჩნიეთ (80, გვ. 90, 96), მაგრამ უკეთ დაცული „მელი-ღელე II" სამლოცველოს შესწავლის შემდეგ, ვფიქრობთ, ამგვარ მოსაზრებას რეალური საფუძველი არ უნდა ჰქონდეს და ეს ქვაყრილი ზღუდის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ, ზღუდისა, რომელიც მელაანის სამლოცველოზე თითქმის მთლიანად განადგურებული დაგვხვდა. ზღუდის ხერხემალს უნდა ეკუთვნოდეს დიდრონი, ორ მწკრივად განლაგებული ქვებიც, რომლებიც ადგილ-ადგილ, მელი-ღელე II სამლოცველოს მსგავსად, შესაძლოა ტიხრებით იყო დაკავშირებული და ამიტომ მართ კუთხეებს ქმნიდა[11].

კულტურული ფენის გათხრამ შემდეგი სურათი მოგვცა. ქვაყრილის ქვეშ გრუნტი არ არის მოტკეპნილი ტალახით ან სხვაგვარად. მთელ გათხრილ ფართობზე მობნეულია თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვადასხვა წვრილი ნივთები. მასალის ძირითადი ნაწილი შეჯგუფულია ხუთ ადგილას: ორგან გრუნტში სანახევროდ ჩადგმულ თიხის ჭურჭლებში და მათ გარშემო, ორგან—ნაცრითა და ნახშირით სავსე ორმოებში და მათ ირგვლივ, ერთგან რიყის მთლიანი ქვების გროვის ქვეშ.

საგულისხმოა, რომ გათხრამდე ამ უბანზე აღმოჩენილი ყველა კომპლექსიც აღნიშნული ყრილის ქვეშ იყო ნაპოვნი, დაახლოებით იმავე განლაგებით, როგორც გათხრების დროს; მასალა ჯგუფ-ჯგუფად ჩნდებოდა. № 1 კომპლექსი თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა, № 2 და № 3 კომპლექსები —ორმოებში და სხვ.

გათხრილ ობიექტზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ათასამდე ერთეულის ფრაგმენტი. ლითონის ნივთებიდან მოპოვებულ იქნა 234 საომარი იარაღი და ცხენის აკაზმულობის ფრაგმენტი. დანარჩენი 70 ნივთი საკულტო და სამეურნეო დანიშნულებისაა: 4 ქანდაკება, 12 ავგაროზი, 2 გვერგვი, 2 დედალი დუგმა, შვიდი სარტყელი, 2 ზოდი, ცხრა დანა, 3 ნამგალი, 2 სასხლავი, 8 ღილი და სხვ.

ამგვარად, თუ ზემოთ აღწერილი ძეგლის აგებულებით, მასში აღმოჩენილი მასალის დანიშნულებით და მისი განლაგებით ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული კულტურული ფენა სამოსახლოს არ უნდა ეკუთვნოდეს. მას არა აქვს იმ ხანის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ორმოები, მოტკეპნილი იატაკი, კერა და ინვენტარი. აქ ფაქტიურად არ აღმოჩენილა არც ერთი ნაგებობის ნაშთი და როგორც ჩანს, ამ ძეგლის მახლობლად ნამოსახლარი საერთოდ არ არსებობდა, იგი მათგან განცალკევებით იყო გამართული.

ამგვარად, მთელი რიგი ნიშნები: აღნიშნული ძეგლის განცალკევებით არსებობა, მისი კულტურული ფენის აღნაგობა, ფენაში ნივთების განლაგება და თვით ნივთების დანიშნულება და რაოდენობა უფრო გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს სამოსახლოსაგან გამოყოფილ, მისგან მოშორებით მდგარ საკულტო ძეგლთან—სამლოცველოსთან. საკითხის ამგვარად გადაჭრა ჩვენ სრულიად მიზანშეწონილად გვესახება.

აქამდე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობები გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში სამოსახლოსთან (ზოგჯერ გამოყოფილ საცხოვრებელ სათავსოსთან, ან თვით ამ სათავსოში) იყო ყოველთვის დაკავშირებული (ნაცარგორა, ხოვლეგორა, კარმირბლური, ქაზახი, ყათნალიხევი—უფლისციხე) (55, გვ. 254—257; 365, გვ. 25, 72—74, 84; 366; 374, გვ. 30—31; 89, გვ. 18—43) და დასკვნებიც ამის მიხედვით კეთდებოდა—ნასახლარი ბორცვები სრულიად სამართლიანად იმავე დროს საკულტო ადგილებად იყო მიჩნეული (10, გვ. 158).

მაგრამ განვითარების იმ საფეხურზე, რომელზედაც იმყოფებოდა, მაგალითად, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ყველა საცხოვრებელთან არსებულ საკურთხევლებთან ერთად, ვფიქრობთ, აუცილებელი უნდა გამხდარიყო სამოსახლოსაგან გამოყოფილი საერთო საკულტო ძეგლის არსებობაც. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

როგორც ვიცით, საზოგადოების განვითარე-

---

[11] რიყის დიდი ქვების ორი წრე აღმოჩნდა სოფ. არაშენდის სამხრეთით, ადგილ „ფევრების ბოლოში" დადასტურებული სამლოცველოს ზღუდეშიც, რომელიც ასევე დამწვარი ქვის ნატეხებითაა შექმნილი. ეს წრეები აქაც ტიხრებითაა ერთიმეორესთან დაკავშირებული.

ბის ეს პერიოდი ჩვენში ხასიათდებოდა მონათესავე ტომთა დიდი გაერთიანების შექმნით.

მაგრამ ამის საყოველთაო აღიარებისას არავინ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ დიდი გაერთიანებების წარმოქმნასთან ერთად, რამდენადმე აუცილებელ მოთხოვნილებად უნდა ქცეულიყო მათი იდეოლოგიური გაერთიანებაც, რაც, პირველ ყოვლისა, ვფიქრობთ, საერთო ღვთაების გაჩენაში უნდა გამოსახულიყო, რომლის საპატივცემულოდ, სამოსახლოსაგან სრულიად დამოუკიდებელი, რამდენიმე სამოსახლოსათვის (გვარისა) თუ გაერთიანებისათვის საერთო პუნქტი უნდა გაჩენილიყო.

ამგვარი პუნქტები, როგორც ჩანს, გაჩნდა კიდეც საერთო სამლოცველოების სახით, რომლის კარგ ილუსტრაციას მელაანში და მელი-ღელეში გათხრილი ძეგლები წარმოადგენს.

უდავოა, საერთო ღვთაებისა და მისი სახელობის ტაძრის გამოყოფასთან ერთად, სავარაუდოა ტაძართმსახურთა პერსონალის—ქურუმების გაჩენაც, მსგავსად წინააზიური მაგალითებისა (137, გვ. 32—33). მაგრამ, რა თქმა უნდა, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე, სადაც ამ პერიოდში საზოგადოება გვაროვნული წყობილების საფეხურზეა, თანადროული წინააზიური ტაძრების იერარქიის მსგავსი დაწინაურება არ გვექნებოდა სატაძრო მეურნეობაში, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, სამოსახლოებიდან გამოყოფილ ტაძრებს, ბუნებრივია, ჰყოლოდათ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი მომსახურე ადამიანებიც—ქურუმები.

ვფიქრობთ, ამაზე უნდა მიუთითებდეს არქეოლოგიურ პრაქტიკაში ცნობილი ფაქტები, როდესაც გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის სამაროვნების შესწავლისას პოულობენ საკულტო საგნებით მდიდარ სამარხებს და მათ ქურუმებს მიაწერენ.

თუ მელაანში გათხრილ ძეგლს სამლოცველოდ მივიჩნევთ, თავისთავად დადგება საკითხი, რომელი ღვთაების სახელობისა უნდა ყოფილიყო იგი.

სოფ. მელაანის აღნიშნულ პუნქტში მოპოვებული მასალების მიხედვით შეიძლება გარკვეული დასკვნების მიღება მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ მათი სულიერი სამყაროს ზოგიერთი საკითხიც.

როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა, მსგავსად თანადროული, მთელი ამიერკავკასიისა (137, გვ. 24—26, 30; 365, გვ. 68, 69 და სხვა; 135, გვ. 60), ინტენსიურ მიწათმოქმედებას მისდევდა. ამაზე მიგვითითებს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ნამგლები, სასხლავები, ღვინის შესანახი დიდი ქვევრების ფრაგმენტები, უამრავი სასმისი და სხვ.

მესაქონლეობის, განსაკუთრებით წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარებაზე მიგვითითებს მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა. აქ აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლის 217 ფრაგმენტი; მსხვილფეხა რქოსანისა—124 ფრაგმენტი; ღორისა 9 ფრაგმენტი; ცხენის — 7. ამასთან ერთად ძვლის თითო ნატეხით იყო წარმოდგენილი გარეული ღორი, კურდღელი, შველი და გარეული თხა[12].

აღსანიშნავია, რომ მელი-ღელეს სამლოცველოების მსგავსად, აქაც ძვლოვანი მასალიდან დამწვარი იყო მხოლოდ წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები, რაც, ცხადია, კულტის განსაზღვრულ თავისებურებაზე მიგვითითებს.

აღმოჩენილ ბრინჯაოსა და რკინის ლაგმებისა და ცხენის აკაზმულობის მიხედვით, ცხენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

განვითარების მაღალ საფეხურზეა ხელოსნობა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარში, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად საგანს აუცილებლად ომიც წარმოადგენდა. ამაზე ნათლად მეტყველებს მელაანში მოპოვებული ბრინჯაოსა და რკინის საომარი იარაღის სიმრავლე და დახვეწილობა. საომარი იარაღი რამდენიმეჯერ აღემატება აქ მოპოვებულ ყველა სხვა ლითონის ნივთს.

ამ პერიოდში ომი ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ხდება. სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან როგორც ცნობილია, წინა აზიაში ამ დროს დიდი საომარი შეხლა-შემოხლის პერიოდია. თავისთავად ცხადია, აღნიშნულ ხანაში მელაანის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომი მშვიდობიან მოსახლეობად რომ ვიგულისხმოთ კიდეც, მათთვის შეიარაღება იმისთვის მაინც იყო აუცილებელი, რომ აგრესიული მეზობლებისაგან თავი დაეცვა. სამხრეთიდან—ურარტელები და მიდიე-

---

[12] ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა პროფესორმა ბურჩაკ-აბრამოვიჩმა.

ლები, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სკვითები და აგრეთვე უშუალოდ მომიჯნავე ტომები ჰქმნიდნენ შეუნელებელ საფრთხეს. მასალა გვიჩვენებს, რომ ყველა ამ ხალხთან მელაანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. ბუნებრივია, რომ დიდი შიშიანობის პერიოდში, როდესაც სამლოცველოზე საომარი იარაღი ჭარბობს ყველა სხვა საყოფაცხოვრებო ნივთს, მთავარი ღვთაება ომის ღმერთი უნდა ყოფილიყო, მსგავსად ისეთი ძლიერი თანადროული სახელმწიფოსი, როგორიც ურარტუს სამეფო იყო.

როგორც ცნობილია, ურარტუს სამეფოს მთავარ ღმერთს ომის ღმერთი ქალდი წარმოადგენდა ცენტრალური ტაძრით მუსასირში (367, გვ. 160—164; 368).

ჩვენი ძეგლის ყველაზე ახლო ანალოგიად სწორედ აღნიშნული ტაძარი მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, მელაანში აღმოჩენილი ძეგლი, მუსასირის ტაძართან შედარებით, გაცილებით მცირე მასშტაბებისაა ყოველ მხრივ.

ხორსაბადში შემონახული რელიეფის მიხედვით, მუსასირის ტაძარი კაპიტალურ შენობას წარმოადგენდა, რომლის ფასადსაც ოქროს ფარები და შუბები ამკობდა (369, გვ. 49; 370, გვ. 253; 373, გვ. 16, სურ. 5).

სარგონ II-ის მიერ ძვ. წ. 714 წ. მუსასირის ქალდის სახელობის ტაძრის გაძარცვის შესახებ მოთხრობილია ლუვრის ცნობილ ფირფიტაში. აქ დაწვრილებითაა ჩამოთვლილი და აღწერილი ყველა ნივთი, რომლებიც სარგონის მეომრებმა მუსასირის ტაძრიდან გამოიტანეს. ტაძრიდან გამოტანილ შენაწირევ ნივთთა შორის ჭარბობდა საომარი იარაღი. მათი დიდი ნაწილი ოქროსა და ვერცხლისაგან იყო დამზადებული. აქვეა დასახელებული სპილენძის თუ ბრინჯაოს 25212 ფარი, 1514 შუბისპირი, 305412 მახვილი, მშვილდი. ამას გარდა სპილენძის ჭურჭლები, ტანსაცმელი, მეფეთა ქანდაკებები, ხარის ქანდაკებები, ბრინჯაოს ზოდები და სხვ. რკინის ნივთები შედარებით მცირეა (371, გვ. 33 და შემდეგ; 137, გვ. 33).

მსგავსად აღნიშნული ტაძრისა, მელაანში გათხრილი ძეგლი საკულტო, ამასთან ერთად, მაინცდამაინც ომის ღმერთის სამლოცველოდ (ხატად) უნდა მივიჩნიოთ[13].

ამის დამადასტურებელი მთელი რიგი მანიშნებელი საბუთები გვაქვს.

1. გათხრილ ნაგებობას საცხოვრისისათვის დამახასიათებელი არც ერთი ნიშანი არა აქვს.

2. კულტურულ ფენაში ნივთების განლაგება აშკარად შეწირულების ხასიათს ატარებს. ნივთების ძირითადი რაოდენობა აღმოჩნდა ჯგუფ-ჯგუფად ნაცროვან-ნახშიროვან ორმოებსა და თიხის დიდ ჭურჭლებში.

3. გათხრილ მცირე ფართობზე თიხის ჭურჭლის ათასამდე ერთეულის ფრაგმენტი და დიდი რაოდენობით ლითონის საომარი იარაღი აღმოჩნდა. სრულიად გამორიცხულია ნამოსახლარზე ამდენი ჭურჭლისა და საომარი იარაღის არსებობა.

კულტურულ ფენაში მოპოვებული თიხის ჭურჭელი მდიდრულადაა შემკული, ხშირად მიძერწილი აქვს სხვადასხვა ფანტასტიკური ცხოველები, გველები და სხვ., რაც ყოველდღიურ სახმარ ჭურჭელზე ჩვეულებრივ არ გვხვდება ან მეტად იშვიათია.

4. აღნიშნული ტაძარი მაინცდამაინც ომის ღმერთის საპატივცემულო ადგილად მიგვაჩნია, რადგან ძირითადად შეწირულია იმავე დანიშნულების საგნები, რაც მუსასირის ტაძარში აღმოჩნდა.

ამასთან ერთად, ყველა შეწირულებას ლითონის ნივთებიდან, მუსასირის ტაძრის მსგავსად, საომარი იარაღი და ცხენის აკაზმულობა ჭარბობს.

---

[13] თუმცა აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მელაანში გათხრილ სამლოცველოში მხოლოდ ომის ღმერთისათვის არ უნდა ეცათ თაყვანი. შეიარაღებული მამაკაცის ითიფალური ქანდაკება ხელში ყანწით და თიხის ჭურჭელზე მიძერწილი სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები, ბუნებრივია, გულისხმობს სხვა კულტის — კერძოდ, ნაყოფიერების კულტის არსებობასაც (372) ომის ღმერთის კულტთან ერთად. ბუნებრივია, ვერ დავუშვებთ, რომ ამ პერიოდში იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს დახვეწილი, სრულიად განკერძოებული ერთი ღვთაების კულტი ჰქონოდათ. ცხადია, აქ სხვა ღვთაებებსაც სცემდნენ თაყვანს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოთიშული ომის ღვთაების კულტისაგან.

არსებობს იმის მაგალითები, რომ ნაყოფიერების ღვთაების კულტი ხშირად ომის ღვთაებასთანაა შერწყმული — ასეთია მაგალითად ქალაქ ურუკის მფარველი, ქალღმერთი იშტარი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა ერთის მხრივ სიყვარულის და ნაყოფიერების, ხოლო მეორე მხრივ ომის და შუღლის ღვთაებას (375, თანდართული ლექსიკონი, გვ. 205).

5. რაც მთავარია, ყველაფერთან ერთად, ძეგლის (სამლოცველოს) ომის ღმერთთან კავშირზე მიგვითითებს აქ მამაკაცის შეიარაღებული კერპების — ღვთაებების (?) აღმოჩენა.

6. ბოლოს, აღნიშნული ძეგლი ომის ღმერთის საპატივცემულო სამლოცველოდ მიგვაჩნია ამ პერიოდის საზოგადოების განვითარების დონის შესაბამისად. რადგან ამ დიდი ომების ხანაში ტომთა გაერთიანების მთავარ ღმერთად, თანადროული მეზობელი ქვეყნების მაგალითზე, წინ დასახელებული ფაქტებიც რომ არ გვქონოდა a priori მხოლოდ ომის ღმერთი შეიძლებოდა გვეგულისხმა.

სამლოცველო ერთი სამოსახლოს კუთვნილი არ უნდა იყოს. შესაწირავი ნივთების რაოდენობის მიხედვით, იგი, შესაძლოა, ტომობრივი ან სხვა რამ გაერთიანების საკულტო ძეგლი იყოს. შეუძლებელია, რომ ერთ სამოსახლოს ამდენი შესაწირავი მოეტანოს ტაძარში. ჩანს, ერთად მიტანილია ის ნივთები, რომლებიც კომპლექსებად აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ აქ ნივთებს სწირავდნენ ცალკეული პირებიც.

შეწირული მასალიდან ყველაზე ადრეულად გამოიყურება ბრინჯაოს მახვილები, ყველაზე გვიანდელად კი აქ აღმოჩენილი ე. წ. „სკვითურ-მიდიური" ბრინჯაოს ისრისპირები. მასალის ძირითადი მასა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებს ეკუთვნის.

განვიხილოთ რა საბუთიანობა აქვს ჩვენს ამ მოსაზრებას ძეგლის დათარიღების შესახებ.

რადგან მელაანში გათხრილ სამლოცველოზე მხოლოდ ერთი ფენა გვაქვს, რაც არ იძლევა საშუალებას მონაპოვარი მასალა არსებობის რამდენიმე პერიოდად დავყოთ, ნივთები დავაჯგუფეთ მათი დანიშნულების მიხედვით და ამ პრინციპით შევეცადეთ შეგვესწავლა ისინი ძეგლის თარიღის გარკვევის მიზნით.

მელაანში აღმოჩენილი ნივთების ძირითადი მასა: ბრინჯაოს სადამასრიანი შუბისპირები, ბრინჯაოს ფრთებდაშვებული და გრძელყუნწიანი ე. წ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ისპრისპირები, ბრინჯაოს სარტყლები, ბრინჯაოს ლაგმები, ბრინჯაოს ორმაგი სამაჯური, ცხენის ბრინჯაოს საშუბლეები (?), რკინის მახვილი, რკინის სატევრები და რკინის დანები საკმაოდ კარგადაა ცნობილი კომპლექსური აღმოჩენებით.

ასეთებია: სამთავროს სამაროვანზე — ორმოსამარხი № 202 (1940 წ.); № 276 (1947 წ.); თაქ-ქილისას სამაროვანზე — სამარხი № 40; ღმანისის სამარხები, სათოვლეს სამარხები, მინგეჩაურის პირველი გორასამარხი და სხვა.

ყველა ჩამოთვლილი სამარხი სრულიად სამართლიანად ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება (46, გვ. 56, 58—59, 140—141; სურ. 51, 52, ტაბ. XXXIV; 47, გვ. 17—18, 46—47, სურ. 8,27; 75, გვ. 235—241; 53, გვ. 127—134, ტაბ. I; 146, გვ. 79) და ვფიქრობთ, ბუნებრივი იქნება, მელაანში მოპოვებულ მსგავს მასალასაც თუ ამავე ხანით დავათარიღებთ. მელაანში აღმოჩენილი რკინის ლაგმების ზუსტი ანალოგია აღმოჩნდა დვანის № 11 სამარხში, რომელიც კარგად თარიღდება ძვ. წ. VII—VI სს-ით აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს „სკვითური" ტიპის ორი ისრისპირის და რკინის სატევრის — „აკინაკის" მიხედვით (363, გვ. 3, 12—13, სურ. 4, ტაბ. IX 1—4).

ამჟამად არ შევეხებით მელაანში აღმოჩენილ ბრინჯაოს მახვილებს, მათ ჩვენი ტიპოლოგიური სქემის მეოთხე ქვეტიპის პირველ ჯგუფს მივაკუთვნებთ და მსგავსადვე ვათარიღებთ (80, გვ. 68—72).

მელაანში აღმოჩენილი თიხის ჰურჰლის უმეტესობას კეცისა და შემკულობის მიხედვით ძირითადად რკინის ფართო ათვისების ხანას ვუკავშირებთ.

საინტერესო ჩანს მელაანში აღმოჩენილი ნივთის სადაურობისა და თარიღის საკითხი.

ე. წ. „სკვითური" ისრისპირების მსგავსად, მელაანში აღმოჩენილ ნივთებში უცხოდ გამოიყურება ბრინჯაოს აზარფეშა და ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი. ამგვარი ბრინჯაოს აზარფეშას აღმოჩენა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე პირველი შემთხვევაა. ჩვენ მას ვერ მოვუძებნეთ პარალელი და ამდენად ვერც მისი სადაურობა გავარკვიეთ. სამაგიეროდ, თითქოს ცხადი გახდა, რომ ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი ურარტული წარმოშობის თუ მისი მინაბაძი მაინც უნდა იყოს. მსგავსი ფარები—გულამობურცული და კიდეებაწეული, საქართველოს ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი, ურარტულ ნივთებზე კი ისინი საკმაოდ ხშირადაა გამოსახული და ამ ფორმის წარწერიანი, თუმცა გაცილებით მასიური ფარებიც კია ცნობილი (133, სურ. 26; 135, სურ. 39; 236, ტაბ. 14; 256, სურ. 37; 144, ტაბ. XII). როგორც ვხედავთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ თარიღს მელაანში მოპოვებული მასალის ძირითადი ნაწილისათვის მაინც, აღნიშნული ფარის გარსაკრავიც ამაგრებს.

ამგვარად, ადგილობრივი და იმპორტული ინვენტარის ქრონოლოგიური განსაზღვრა გვიდასტურებს, რომ მელააანში აღმოჩენილ ძეგლს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უნდა ეარსება და დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის, კერძოდ ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოში თუ ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისისათვის უნდა განადგურებულიყო მომხდური მტრის მიერ.

მელაანის სამლოცველოს მსგავსი ძეგლი აღმოჩნდა 1969 წელს სოფ. არაშენდის მიწებზე, გურჯაანის რაიონში, ადგილ „ფევრების ბოლოს" მახლობლად[14]. აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ სამშენებლო ქვის ძიების დროს—მნიშვნელოვნად დააზიანა დამწვარი ქვების ყრილი, რომელშიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს საგნები: მახვილები, სამაჯურები, ჯაჭვი, მშვილდსაკინძი[15] და სხვ. (ტაბ. $LI_1$). გარეგნულად იგი ძალიან მოგვაგონებს მელი-ღელე II და მელაანის სამლოცველოებს და აქ მოპოვებული ინვენტარიც მათთან მსგავსებაზე მიგვითითებს. სამწუხაროდ ძეგლი ძლიერაა დაზიანებული და მისი შესწავლა დიდ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. არსებითია, რომ ამ ძეგლის მახლობლად კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მრავლად დაადასტურა თანადროული ნამოსახლარებისა და მრავალრიცხოვანი სამაროვნების არსებობა.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოების სულიერი კულტურის შესასწავლად სამლოცველოებს გარდა მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სამაროვნებზე თუ განძებში აღმოჩენილი ცალკეული ნივთებიც. ასეთებია, მაგალითად, ბრინჯაოს სარტყლები — რომლებზედაც ხშირად მითოლოგიური სცენები და სიმბოლური ნიშნებია ამოკაწრული (393; 394; 395; 396 და სხვა); ბრინჯაოს ბაყაყების გამოსახულებები (391, გვ. 10, ტაბ. II 6; 214, გვ. 152; 165, სურ. 4); აგრეთვე 1970 და 1971 წლებში გურჯაანის რაიონის სოფ. გაღრეკილში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბაყაყებისაგან შედგენილი ყელსაბამები, ბაყაყის გამოსახულებები თიხის ჭურჭელზე და სხვ., რომელსაც ნაყოფიერების ძალას მიაწერენ (389, გვ. 12; 390, გვ. 387—388, 506) და სხვა.

---

[14] ამგვარად, სულ მცირე ტერიტორიაზე — მელააანში, მელი-ღელეში და არაშენდის მახლობლად, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამლოცველოთაგან გამოყოფილი ოთხი დიდი სამლოცველო აღმოჩნდა. ეს თავისთავად მეტად საყურადღებო ფაქტია და გვაფიქრებინებს, რომ აქ შესაძლოა რაღაც რელიგიური ცენტრი არსებობდა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ამ მხარის ტოპონიმიკაც — მ ე ლ ა ა ნ ი, მ ე ლ ი-ღ ე ლ ე, გ ა ღ რ ე კ ი ლ ი, რაც შესაძლოა საქართველოში ასე გავრცელებული ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ზნე-ჩვეულებების სახელწოდებებს უკავშირდება, რომლებიც ცნობილია „მ ე ლ ი ა ტ უ ლ ე პ ი ა ი-ს" და „ა ღ რ ე კ ი ლ ა ი ს" სახელით (360, გვ. 63—77; 391, გვ. 205). ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია და ბევრი მკვლევარის მიერ მიღებულია მოსაზრება — ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის (რომელზედაც ერთდროულად სამლოცველოც არის) სახელწოდების — „ტ ვ ლ ე პ ი ა ქ ო ხ ი" დაკავშირებისა ამ საწესო დღესასწაულის სახელწოდებასთან (246, გვ. 53; 382, გვ. 235).

---

[15] ეს ჯერჯერობით ე. წ. „სუბმიკენური" მშვილდსაკინძების აღმოჩენის ყველაზე აღმოსავლეთი პუნქტია.

## თავი მესამე

## ძვ. წ. XV—VII სს. არქეოლოგიური კულტურები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მათი ლოკალიზაცია, პერიოდიზაცია, ქრონოლოგია და გენეზისი

საკვლევი პერიოდის მატერიალურ კულტურაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად და მისი არსის სწორად შესაცნობად, ჩვენი აზრით, აუცილებელია პირველ რიგში გაირკვეს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ურთიერთკავშირი მის წინამორბედ შუაბრინჯაოს ხანის კულტურასთან.

როგორც ვარაუდობენ, მეტ-ნაკლებად ერთიანი ადრებრინჯაოს ხანის კულტურის[1] საფუძველზე ცენტრალურ ამიერკავკასიაში შუაბრინჯაოს ხანაში რამდენიმე მატერიალური კულტურა ჩამოყალიბდა, მათ შორის ე. წ. თრიალეთური და სევან-უზერლიკის კულტურები (194, გვ. 13).

სპეციალისტთა უმეტესობა „თრიალეთური კულტურის" გენეტიკურ კავშირს აღიარებს წინამორბედ „მტკვარ-არაქსის" კულტურასთან (46, გვ. 84, 104—105, 123—124; 65, გვ. 5; 59, გვ. 15, 77—78; 78, გვ. 294; 297, გვ. 183; 17, გვ. 45 და სხვა; 18, გვ. 53; 19, გვ. 9; 10, გვ. 107—109, 126; 158, გვ. 63—68; 24, გვ. 225; 298, გვ. 3, 4, 31—47; 400, გვ. 35), მთელ რიგ ავტორებს კი ამ საკითხში საწინააღმდეგო პოზიცია უკავიათ (გ. მელიქიშვილი, ლ. ვული, ჩ. ბარნეი, ჯ. მელარტი—იხილეთ 298, გვ. 22—26, 82), მაგრამ მათი მტკიცებანი, ჩვენი აზრით, ნაკლებ საბუთიანია.

როგორც ცნობილია, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის გავრცელების ზუსტი საზღვრები ბოლო დრომდე გარკვევით არ იყო დადგენილი.

პროფ. ა. მარტიროსიანი ფიქრობს, რომ თრიალეთური—ერთგვაროვანი იერის კულტურის ფართო პლასტები არსებობდა, რომელიც მოიცავდა სომხეთის ზეგანის მნიშვნელოვან ტერიტორიას და ვრცელდებოდა ერზერუმის ოლქიდან თრიალეთამდე (23, გვ. 72). ამგვარად, თრიალეთი მას ამ კულტურის პერიფერიად მიაჩნია, მისი გავრცელების უმთავრეს ტერიტორიად სომხეთის მთიანეთს თვლის და თრიალეთური კულტურის რაიმე გამოვლენას უფრო ჩრდილოეთით ვერ ხედავს.

ე. გოგაძის აზრით ა. მარტიროსიანის ამგვარი პოზიცია რამდენადმე მოულოდნელია (298), რადგან, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პროფ. ბ. კუფტინს, ამ კულტურის აღმოჩენისთანავე, ხელთ ჰქონდა ისეთი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც იგი წერდა — უკვე გვაქვს საკმაო საფუძველი, რომ ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ვივარაუდოთ ამ კულტურის რადიაცია თრიალეთის ჩრდილოეთით მდებარე მეზობელ ოლქებშიო (59, გვ. 16, 34—35). ამჟამად ამ თეზისის სასარგებლოდ უკვე მრავალი ფაქტი მეტყველებს.

უკანასკნელ ხანს შიდა ქართლში და კახეთში არა ერთი პუნქტი გახდა ცნობილი, სადაც ტიპიური—თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალაა მოპოვებული, რომელსაც მთელი ეს ტერიტორია ამ კულტურის გავრცელების

[1] როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე გაირკვა, რომ ეს კულტურა, რომელიც „მტკვარ-არაქსის" კულტურის სახელითაა ცნობილი, გასცდა ამ აუზის საზღვრებს — სამხრეთ-დასავლეთით ანატოლიამდე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩრდილო კავკასიამდე მიაღწია (268, გვ. 14; 240; 326; 398; 329, გვ. 36; 328 და სხვა).

ეს კულტურა თავისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ყველაზე დამახასიათებელი ნიშნების ერთიანობას იჩენს (300, გვ. 104), თუმცა მასში მაინც არჩევენ მეტ-ნაკლებად თავისებურ ლოკალურ ჯგუფებს (23, გვ. 24 და სხვა).

საზღვრებში შეჰყავს. ასეთებია—აშურიანის ველის გორასამარხები (157; 301; 108); ილტოს ნამოსახლარის შუაბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა (163); შვინდიანის სამაროვანი ალავერდის (ახმეტის რაიონი) მახლობლად (308, გვ. 78; 235, გვ. 39; 360, გვ. 366); ოლეს გორასამარხები მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ზემო მაჩხაანის სამხრეთით (308, გვ. 78—79); ოცი ნამოსახლარი, სადაც შუაბრინჯაოს ხანის მძლავრი კულტურული ფენებია დადასტურებული, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ყარაღაჯის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (109, გვ. 26—27; 150; 308, გვ. 79); მდიდრული გორასამარხები ივრისპირებიდან (ადგილი სადუღა, კაჰრეთის სამხრეთით)[2]; დიდი ლილოს გორასამარხი თბილისის აღმოსავლეთით[3]; ნულისა და ქვასათალის სამარხები (56; 76, გვ. 27 და სხვა); სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხები და ჩამონარეცხი კულტურული ფენის მასალა (206, გვ. 29—31; 405); ქანდის გორასამარხები (105) და სხვა.

შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის გავრცელების თვალსაზრისით საინტერესოა აღმოჩენა სოფ. არდასუბანშიც (406; 407).

რა თქმა უნდა, მთელ ამ ტერიტორიაზე სრულიად ერთგვაროვანი კულტურის არსებობა გამორიცხულია, ცალკეულ მხარეებს თრიალეთური კულტურის ნიშნებთან ერთად უნდა ჰქონოდათ და ჰქონდათ კიდეც თავისებური, დამახასიათებელი ნიშნები, მაგალითად, შიდა ქართლში (298, გვ. 101) და სხვა. მაგრამ მათთვის მაპროფილებელი და კულტურის განმსაზღვრელი ნიშნები მაინც ზოგადი იყო და მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საერთო რჩებოდა—კერძოდ შავპრიალა კერამიკა ტიპიური თრიალეთური შემკულობით (შევრონებად განლაგებული სავარცხლისკბილისეული შტამპი, ნაპრიალები ხაზებით დატანილი ბადური სახეები, ნაპრიალები ტალღური ხაზები და სხვა), კეცით (წმინდა თიხისაგან დამზადებული, კვარცის წვრილი მინარევებით; ორფენოვანი გამოწვით—ღია სარჩულით და შავი ნაპრიალები ზედაპირით)[4], ფორმებით; ოქროს ნივთები და სხვა.

სწორედ ამგვარი მონაცემების საფუძველზე, ამ ბოლო დროს, პროფ. ო. ჯაფარიძემ გამოარკვია, რომ შუაბრინჯაოს ხანის ე. წ. თრიალეთური კულტურა გავრცელებულია სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიაზე—მოიცავს: ქვემო ქართლის მთისწინა ზოლის გარკვეულ ნაწილს, თრიალეთს, შიდა ქართლს, კახეთს, ჩრდილო სომხეთს—ლორეს (ტაშირი), სადაც თრიალეთური კულტურის საზღვარი, მისი სიტყვით საკმაოდ შორს მიდის და კიროვაკანამდე აღწევს. თრიალეთური კულტურის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად პროფ. ო. ჯაფარიძე გულისხმობს სევან-უზერლიკის კულტურის გავრცელების ჩრდილო-დასავლეთ ფარგლებს, ე. ი. დაახლოებით სევანის ტბის

---

[2] აქ კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1971 წლის დასასრულს № 2 გორასამარხში აღმოაჩინა თრიალეთური კულტურისათვის ტიპიური არა მარტო თიხის ჭურჭელი, არამედ ამავე კულტურისთვის დამახასიათებელი ოქროს მრავალი ნივთიც.

[3] დიდი ლილოს გორასამარხები შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოს რაპირასთან ერთად აღმოჩნდა ოქროს სამკაულები და სავარცხლისკბილისეული ნაჭდევი სახეებით შემკული შავპრიალა თიხის ჭურჭელი.

[4] ნიშანდობლივია, რომ თრიალეთური კულტურის გენეტიკური კავშირი, როგორც წინამორბედ ძეგლებთან (298, გვ. 82), ისე მომდევნო ხანის მასალებთან უმთავრესად შავპრიალა ზედაპირიანი თიხის ჭურჭლის საფუძველზე დგინდება.

მოხატული კერამიკა ცენტრალურ ამიერკავკასიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ადრებრინჯაოს ხანიდან (246, გვ. 35—36; 268, გვ. 65; და სხვა). მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, როგორც ფიქრობენ, ჩვენში წინააზიასთან ურთიერთობის შედეგად ჩნდება (268, გვ. 65) და ამ პერიოდში, ადგილობრივი მატერიალური კულტურის განმსაზღვრელი არ ყოფილა.

ასევე შეუძლებელია მოხატული კერამიკა კულტურის მაპროფილებელი იყოს ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, შემდგომ—შუაბრინჯაოს ხანაში.

ე. წ. თრიალეთური კულტურის ძეგლებში მოხატული კერამიკა მასიურად გვხვდება მხოლოდ მდიდრულ სამარხებში და თანაც ამ კულტურის გავრცელების მხოლოდ სამხრეთ რაიონებში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება იმ კულტურებს, რომელთათვისაც მოხატული კერამიკა განმსაზღვრელია. თრიალეთური კულტურის გავრცელების ამ რაიონისათვის დამახასიათებელი მოხატული ჭურჭელი ფორმით ადგილობრივია, უპეტესად ადგილობრივი ჩანს მოხატვის მოტივებიც, მხოლოდ შემკობის ტექნიკაა უჩვეულო, რომელიც თრიალეთური კულტურის გავრცელების ჩრდილო რაიონებს საერთოდ არ ახასიათებს [რუსთავში (408, გვ. 178—179, ტაბ $XV_1$); ნარეკვავში (177, გვ. 196—197, ტაბ. $III_2$); ფრინევში (177, გვ. 197) აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლები და მათი მსგავსი ნაწარმი თრიალეთის ყორღანებიდან, სრულიად უცხოა ამ მხარისათვის და, როგორც ჩანს ისინი მზა პროდუქციის სახითაა შემოტანილი უფრო სამხრეთი ქვეყნებიდან (შდრ. 409, გვ. 4, 5].

ჩრდილო მხარეს (194, გვ. 9—13; 24, გვ. 219—225).

როგორც სომხეთში აღმოჩენილი უახლესი ძეგლები მოწმობენ, არ არის გამორიცხული თრიალეთური კულტურის გავრცელების საზღვარმა სევანის ტბის დასავლეთ რაიონებში ერევან-გარნის ზოლამდეც კი მიაღწიოს (299, ტაბ. XXVI, XXXI სურ. 94, 95; 399; 400, გვ. 71).

ამგვარად, ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურა წარმოშობილია მის წინამორბედ ადგილობრივ ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ბაზაზე, ტიპიური ცენტრალურამიერკავკასიური კულტურაა, რომელიც სრულიად კონკრეტულად შემოფარგლულ ტერიტორიაზეა გავრცელებული და მხოლოდ მისთვის ჩვეული საერთო ნიშნებით ხასიათდება.

მაგრამ ჩვენთვის ამჟამად შუაბრინჯაოს ხანის კულტურის თავისებურებათა კვლევა კი არ არის მთავარი, არამედ ის, თუ რა ურთიერთობაშია ეს კულტურა იმავე ტერიტორიაზე გავრცელებულ, მისი მომდევნო ხანის კულტურასთან.

ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

მაგალითად სომხეთის ძეგლთა მკვლევარნი ფიქრობენ, რომ შუაბრინჯაოს ხანის კულტურა უშუალოდ უკავშირდება მისი შემდგომი ეტაპის— გვიანბრინჯაოს ხანის კულტურას ამ პერიოდებს შორის არსებული, გარდამავალი ხანის ძეგლების საშუალებით.

ამგვარი ძეგლები სომხეთში ჯერჯერობით ძალიან მცირერიცხოვანია. ისინი ძირითადად თიხის ჭურჭლის ნაწარმითაა წარმოდგენილი, რომლებიც ატარებენ წინამორბედ—შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭლის მრავალ ნიშანს და ერთდროულად შეიცავენ მთელ რიგ ახალ ელემენტებს, რომელთა განვითარებას მივყავართ შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის მთლიან შეცვლამდე გვიანბრინჯაოს ხანაში (23, გვ. 73).

ასეთი ძეგლებია ნორატუსის სამარხი (ნორბაიაზეთის რაიონი), მუხანათ თაფას ზედა ფენის მასალები და სხვა (23, გვ. 74).

მაგრამ ჩვენ ეს ძეგლები არ გამოგვადგება ტიპიური თრიალეთური კულტურისა და მისი მომდევნო გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების დასაკავშირებლად, რადგან ისინი შუალედ რგოლს წარმოადგენენ სხვა, კერძოდ, სევან-უზერლიკის და მისი მომდევნო გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის.

აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალურ კულტურებს შორის განსაზღვრული სახის მასალის არსებობა ჯერ კიდევ პროფ. ბ. კუფტინმა შენიშნა. მან ბაიბურთში გათხრილი ორი სამარხის ინვენტარის კვლევისას აღნიშნა, რომ ძნელია ამ კომპლექსებს შესაფერისი ადგილი მოეძებნოს ქრონოლოგიურ სქემაში, რადგან მსგავსი მასალები თრიალეთში გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით უცნობია. თუმცა მისივე სიტყვით, არ უნდა იყოს გამორიცხული ისიც, რომ ბაიბურთის სამარხები ბეშთაშენის ორმოსამარხებზე ძველია ე. ი. ფაქტიურად ბაიბურთის კომპლექსები მან შუაბრინჯაოს ხანასა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს შორის მოათავსა (46, გვ. 75—77). შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ეტაპის ძეგლების გამოყოფის შესაძლებლობას იგი ნულის სამაროვნის სამარხეულ მასალაშიც ხედავდა (59, გვ. 18). მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ბ. კუფტინმა მასალის სიმცირის გამო ეს საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა და შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის ერთგვარი წყვეტილის არსებობას მაინც გულისხმობდა (59, გვ. 5—6).

შემდეგ, მკვლევართა ნაწილმა, მეტ-ნაკლები საბუთიანობით, უფრო გარკვევით გამოთქვა მოსაზრება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის შესახებ[5] (19, გვ. 9; 10, გვ. 108; 50, გვ. 99; 104, გვ. 15; 217, გვ. 16—19; 336, გვ. 514; 156, გვ. 19—21; 171, გვ. 45, 54, 60, 61 და სხვა; 164; 157, გვ. 12—14; 301, გვ. 36—38; 167, გვ. 164; 194)[6], მაგრამ ზოგიერთი სპეციალისტი ამ

---

[5] საინტერესოა, რომ საქართველოში ანთროპოლოგიური მონაცემებით, მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური ერთობა შეინიშნება მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და შემდგომაც—იხ. 403, გვ. 21; 404, გვ. 16.

[6] ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, ჯერ კახეთში გათხრილი მასალების და შემდეგ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების მიხედვით, შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის შესახებ არაერთხელ გამოგვეთქვა მოსაზრება (217, გვ. 17—18; 410, გვ. 179; 235, გვ. 41; და სხვა) და მთელი რიგი მასალების საფუძველზე გარდამავალი ეტაპის არსებობაც კი გვემტკიცებინა (217, გვ. 17—18; 410, გვ. 179; 402, გვ. 25—29 და სხვა).

ვარაუდის საწინააღმდეგო აზრს უფრო უჭერდა მხარს (298, გვ. 3, 20, 90).

მკვლევართა იმ ნაწილის პოზიცია, რომელიც განვითარების ამ ორი ეტაპის გენეტიკურ კავშირს აღიარებდა, არ იყო მყარი, რადგან მათ მტკიცებას აკლდა საკმარისი კონკრეტული მასალა. ამის გამო, ამგვარი დაკავშირება გარეგნულად ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, ნაკლებ დამაჯერებელი იყო და ბუნებრივია, ამ ვითარებაში თითქოს უფრო ამ კავშირის უარმყოფელთა აზრი დამკვიდრდა.

მაგრამ შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურების ერთიმეორისგან გათიშვის ხელშემწყობი მხოლოდ სათანადო მასალების უქმარობა არ იყო. ამ გამიჯვნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო დროს, აღმოსავლეთ საქართველოს ლითონის მასალების მიხედვით შედგენილი ქრონოლოგიური სკალის შესაბამისად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის მიკუთვნებული ძეგლები ქრონოლოგიურად უშუალოდ იქნა მიახლოვებული შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლებთან (53; 81; 50 გვ. 103). ბუნებრივია, ყოველივე ზემოაღნიშნული კანონზომიერი შედეგი იყო მრავალწლიანი და ღრმა კვლევისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ადრე იგი ეჭვს არ იწვევდა, ახალი აღმოჩენების შუქზე, ამჟამად მისი გაზიარება შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ ბოლო დრომდე აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების პერიოდიზაციის დროს მთავარი ყურადღება ლითონის ნაკეთობებს ეთმობოდა. ქრონოლოგიის საკითხების კვლევის ამგვარი გზა ერთი შეხედვით თითქოს გამართლებულიც ჩანდა, რადგან, როგორც ცნობილია, ბრინჯაოსა და რკინის ხანის საზოგადოების განვითარების ეტაპები სწორედ ლითონის ნაწარმის განვითარების შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებითაა გამოყოფილი და სახელწოდებებიც მათი შესაფერისი აქვთ მიცემული—ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ადრერკინის და რკინის ფართო ათვისების ხანა.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ქრონოლოგიის საკითხების შესწავლისას, მხოლოდ ლითონის ინვენტარის კვლევის წინა პლანზე დაყენება, როგორც ჩანს, მეთოდოლოგიურად მაინც არ იყო გამართლებული. სწორედ კვლევის ამგვარი გზით წარმართვის გამო აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარების მთელი რიგი ეტაპები დარჩა ყურადღების გარეშე—კერძოდ კი ისინი, რომლებიც დღემდე თითქმის მხოლოდ თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი—ასეთია, მაგალითად, კულტურის გენეზისის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხური მატერიალური კულტურის განვითარებაში—გარდამავალი ეტაპი შუასა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის[7] და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხური, რომლის მაპროფილებელიც ასევე თიხის ჭურჭელია.

მაგრამ ამგვარი კვლევის უმთავრესი ნაკლი მაინც ის იყო, რომ მხედველობიდან გამორჩათ რა მატერიალური კულტურის მთელი ეტაპები, იმ მიზნით, რომ მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარება დაედასტურებინათ, ან უფრო სწორედ განვითარების ყველა ეტაპი შეევსოთ, ერთიმეორისგან საკმაოდ დაცილებული, სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურები უშუალოდ მიუახლოვეს ერთიმეორეს და ერთიმეორის თანამიმდევრულ პერიოდებად ჩათვალეს. კერძოდ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპად მიიჩნიეს და უშუალოდ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურის ძეგლებს დაუახლოვეს მაგ., შიდა ქართლის ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსები, რომლებიც სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გვიანბრინჯაოს ხანის საკმაოდ განვითარებულ საფეხურად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, შუაბრინჯაოს ხანის და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეული მასალები ერთიმეორეს არ უკავშირდებოდა და აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეუძლებელი გახდა განვითარების განუწყვეტელი ჯაჭვისათვის თვალის გადევნება. ყოველივე ეს კი თავის მხრივ მცდარი დასკვნების წყარო გახდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას.

კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში ამ მოჩვენებითი წყვეტილის არსებობა იმის საფუძვლად

[7] ასეთად ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს სამთავროს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ სამარხებს (71, გვ. 61). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს მოსაზრება მცდარია.

იქცა, რომ აქ შუასა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის ძირეული ეთნიკური ცვლილებანიც კი დაენახათ[8].

ჩვენი აზრით, ამგვარი უზუსტობის თავიდან აცილების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა უნდა იყოს კვლევის წარმართვა პარალელურად, როგორც ლითონის ისე თიხის ჭურჭლის და საერთოდ მთელი არქეოლოგიური მასალის თანაბარი გათვალისწინებით. მხოლოდ ესაა ერთადერთი სწორი გზა კულტურის გენეზისის კვლევისას.

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის ე. წ. გარდამავალი პერიოდის გამოყოფას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი.

პირველია თრიალეთური კულტურის ახალი პერიოდიზაცია, რომელიც შეიმუშავა ე. გოგაძემ. მან შემოგვთავაზა ახალი, ბ. კუფტინის სქემისგან განსხვავებული კლასიფიკაცია. კერძოდ, თრიალეთური გორასამარხების კუფტინისეული მეორე ჯგუფი დატოვა ადგილზე, პირველ და მესამე ჯგუფებს კი შეუცვალა ადგილები — პირველი, ადრეული ჯგუფი გახდა გვიანდელი, მესამე, გვიანი ჯგუფი კი—ადრეული (298, გვ. 3). სწორედ ამ გადაჯგუფების შედეგად გახდა შესაძლებელი შუაბრინჯაოს ხანის მასალის მჭიდრო დაკავშირება მის მომდევნო ეტაპთან, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ მიერ გამოყოფილი გარდამავალი ეტაპის და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლების ნაწილი, სწორედ ე. გოგაძის მიერ გამოყოფილ მესამე ჯგუფის და ნაწილობრივ მეორე ჯგუფის კომპლექსებთან იჩენს გენეტიკურ კავშირს.

მეორე ხელშემწყობი გარემოება, რომლის შემწეობითაც ამჟამად შესაძლებელი გახდა ე. წ. გარდამავალი პერიოდის გამოყოფა შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის, რა თქმა უნდა, ამ ხანის კომპლექსების მომრავლებაა.

ამჟამად, როდესაც ჩვენ უკვე გვაქვს ამ ხასიათის რამდენიმე ათეული კომპლექსი, ბუნებრივია, მათ საფუძველზე უფრო რეალური გახდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდების ერთიმეორესთან დაკავშირება.

ჩვენი მსჯელობა რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, განვიხილოთ კონკრეტული მასალა[9].

ზემო ბოდბის გორასამარხი I[10]. სამარხში თიხის ათი ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. LII$_1$).

თიხის ჭურჭელი № 1. ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, კვარცის თეთრი უწმინდესი ჩანართებით. ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები, კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი.

ჭურჭელს მხრები ირიბი ნაპრიალები ხაზებით აქვს შემკული. მხარს შემოსდევს ორ კონცენტრულ ამოღარულ ხაზს შორის მოქცეული ერთი ტალღური, ამოღარული ხაზის სარტყელი.

თიხის ჭურჭელი № 2. ქილა კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. ზედაპირი შავი აქვს, ნაპრიალები. კეცი აშკარად ორფენოვანია—თანაბარი შრეებით, შიდა წაბლისფრადაა გამომწვარი, გარე—ლეგა-მოშავოდ. მხარს ნაკაწრ კონცენტრულ ხაზებს შორის მოქცეული ტეხილი ნაპრიალები ხაზების სარტყელი ამკობს.

ქილას მუცელზე ორი კონცენტრული ამოღარული ხაზი შემოსდევს.

ჭურჭელს ჩარხზე ტრიალისაგან, შიდაპირზე ეტყობა კონცენტრული ამოღარული ხაზები.

თიხის ჭურჭელი № 3. ქოთანი, დამზადებულია წმინდა თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი საკმაოდ თხელია და შავადაა გამომწვარი. ჭურჭლის ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები. მხარს კონცენტრული ამოღარული ხაზები ამკობს.

ჭურჭლის შიდაპირი ჩარხზე ტრიალისაგან კონცენტრული ამოღარული წმინდა ხაზებითაა დასერილი.

თიხის ჭურჭელი № 4. ღრმა ჯამი, დამ-

---

[8] მაგალითად, ე. გოგაძე ფიქრობს, რომ— „ეგებ შესაძლებელია თრიალეთში ძირითადი ეთნიკური ცვლილებები იმ საფეხურზე ვეძებოთ, რომელზედაც მატერიალური კულტურის განვითარებაში წყვეტილი (მკვეთრი ცვლილება) ყველაზე თვალსაჩინოა, ვთქვათ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს (ან დასასრულისაკენ), რომლის თარიღი ახლა უკვე ისტორიის სიღრმეში იწევს (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები)" (298, გვ. 27).

[9] ვინაიდან ამ ნაშრომში ფაქტიურად პირველადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი პერიოდის კომპლექსები, ამის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეცა შეძლებისდაგვარად ყველა მათგანის სრული აღწერილობა.

[10] სამარხთა გარეგნული სახის, დასაკრძალავი ორმოს და მასში აღმოჩენილი ნივთების განლაგების აღწერილობა იხილეთ სამაროვნებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში.

ზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი. ჭურჭელს ძირის ნაწილი აკლია.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 5. ბადია, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი ლეგა-მოშავოდაა გამომწვარი, ადგილ-ადგილ მუქი, შავი და მოწაბლისფრო ლაქებით. ზედაპირი კარგადაა ნაპრიალები.

ჭურჭლის პირი შემკულია ნაპრიალები ბადური ორნამენტით, რომელიც ორ კონცენტრულ, ამოღარულ ხაზს შორისაა მოქცეული.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 6. მაღალქუსლიანი თასი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით; კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირიც შავია, ნაპრიალები.

ჭურჭლის პირი შემკულია ბადური—ნაპრიალები და ამოღარული ხაზებით, რომლებიც ჭურჭელს გარშემო შემოსდევს სარტყლის სახით.

ჭურჭელს შიგნიდან აშკარად ეტყობა ჩარხზე ტრიალის კვალი.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 7. ბადია, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი ჩანართებით. კეცის შუაგული მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი, ზედაპირი კი შავად და კარგადაა ნაპრიალები. ბადიის პირი შემკულია ნაპრიალები ბადური და კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 8. დერგი, დამზადებულია წვრილქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ორფენიანია (სარჩულიანი), შრეები თანაბარი სისქისაა და ერთიმეორისგან კარგადაა გამოყოფილი. შიდა შრე წაბლისფრადაა გამომწვარი, გარე კი შავად. მხარს ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს, რომლებიც იმის გამო, რომ მოგრძო ირიბი ხაზებითაა დაკეჭნილი, წნულის შთაბეჭდილებას ტოვებს. „წნულ“ სარტყლებს შორის მანძილი კონცენტრული, ამოღარული ხაზებითაა შევსებული. ერთი ამოღარული ხაზი ჭურჭელს გარშემო შემოსდევს ქვედა რელიეფურ სარტყელზე დაბლა. ჭურჭლის მთელი კორპუსი ჩარხისეული, კონცენტრული უწმინდესი ხაზებითაა დასერილი. პირს ზემოდან ღარი შემოსდევს, ძირის კიდეს კი ირიბი მოკლე ნაჭდევები. ძირის შუაგულს ერთიმეორის გადამკვეთი ხაზები ფარავს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 9. შემორჩენილია ჭურჭლის კორპუსის ქვედა ნაწილი, რომელიც დამზადებულია წვრილქვიშანარევი, წმინდა თიხისაგან. კეცი აშკარად ორფენოვანია—შიდა შედარებით თხელი შრე წაბლისფრად, ხოლო გარე—შავადაა გამომწვარი. ჭურჭლის ზედაპირიც შავია, მთლიანად დაფარული ჩარხისეული უწმინდესი კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ჭურჭლის ზედაპირის გარშემო ვერტიკალური, ამოღარული ხაზების ჯგუფები შემოსდევს, რომლებიც ჩარხისეულ კონცენტრულ, ამოღარულ ხაზებზეა დატანილი. ძირის კიდეს ირიბი მოკლე ნაჭდევები შემოუყვება.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 10. დიდი ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი უწმინდესი თიხისაგან, თეთრი წვრილი ჩანართებით. კეცი ორფენოვანია. შრეები ერთიმეორისაგან კარგად განირჩევა—შიდა, თხელი შრე წაბლისფრად, გარე—კი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი შავპრიალაა. მხარი შემკულია ნაკაწრი ტალღური და კონცენტრული ხაზებით. ჭურჭელს აკლია მუცლის ქვედა ნაწილი და ძირი.

თიხის ჭურჭელს გარდა სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ორი თავის ქალა და კიდურები; წვრილფეხა საქონლის მთელი ჩონჩხი და ღორის (?) კიდურების ძვლები.

ზ ე მ ო ბ ო დ ბ ი ს გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი II. სამარხში თიხის 9 ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. $LII_2$; $LIII_1$).

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 1. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი აშკარად ორფეროვანია. ზედა, თხელი შრე შავადაა გამომწვარი, ხოლო შიდა, სქელი—ნაცრისფრად. ჭურჭლის ზედაპირი შავპრიალაა. მხარს ირგვლივ რამდენიმე უწესრიგოდ ამოღარული, კონცენტრული ხაზი შემოსდევს. პირი ლილვაკისებურია.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 2. მცირე ფიალა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით; კეცი მონაცრისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. გამოწვის შემდეგ ჭურჭლის პირზე თეთრი ანგობით მოხატულია ერთიმეორეზე გადაბმული მეანდრები (ტაბ. $LII_2$; $LIII_1$ბ).

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 3. დერგი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცის შუაგული წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი კი შავი აქვს, კარგად ნაპრიალები.

ყელის ძირს ოთხი ამოღარული, კონცენტრული ხაზი შემოსდევს. მხარს ნაპრიალები ხაზოვანი ორნამენტის სარტყელი მიუყვება—ჯგუ-

ფებად, ერთიმეორის საპირისპიროდ დამხრობილი მოკლე ხაზები. ჰურჭლის გამოწვის შემდეგ მხარი ირგვლივ, ნაპრიალებ ორნამენტზე მოხატულია თეთრი ანგობით — მცირე სამკუთხედებით შევსებული სამკუთხედები, წერტილებით შევსებული სამკუთხედები და სხვა (ტაბ. $LII_2$; $LIII_1$გ). მოხატულობა გამომწვარი არ არის და ცუდადაა შემორჩენილი.

დერგის მუცლის ზედა ნაწილს ირგვლივ რელიეფური ვიწრო სარტყელი შემოსდევს. მსგავსი სარტყელი აქვს მუცელს უფრო ქვევითაც. ამ სარტყლებს შორის მანძილი ირგვლივ სამ რიგად, ღრმა, დიდი სამკუთხედებითაა დატვიფრული.

ჰურჭლის მუცლის ქვედა ნაწილს, აღწერილ ორნამენტზე დაბლა თეთრი ანგობით დატანილი მეანდრების მთელი სერია შემოუყვება; არც ეს უკანასკნელია გამომწვარი, რის გამოც ძლიერ ნაკლულად შემორჩა (ტაბ. $LII_2$; $LIII_1$ გ).

თიხის ჰურჭელი № 4. წარმოდგენილია ფრაგმენტებით, რომლებითაც დაფარული იყო წვრილფეხა საქონლის თავის ქალა და ობსიდიანის უფორმო ანატკეცი სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

თიხის ჰურჭელი დიდი ზომის ყოფილა. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი ჩანართებით. აქა-იქ ქვიშის წვრილი ჩანართებიც ჩანს. კეცი მუქ შავადაა გამომწვარი, მხოლოდ შიდა თხელი ფენაა ღია ნაცრისფერი და მკვეთრად გამოიყოფა კეცის დანარჩენი ნაწილისაგან.

ჰურჭლის ზედაპირი ხაოიანია, მაგრამ ადგილ-ადგილ ეტყობა, რომ ადრე ნაპრიალები ყოფილა.

თიხის ჰურჭელი № 5. ქილა, ყელი კონუსური აქვს, პირი ლილვაკისებური. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი ორფენოვანია, შიდა შრე ლეგა-მოწაბლისფროდაა გამომწვარი, გარეთა შავად.

ჰურჭლის ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები. მხარს ირგვლივ შემოსდევს რამდენიმე ამოღარული ხაზი.

თიხის ჰურჭელი № 6. ქვაბქოთანა, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირი კი ადგილ-ადგილ ჩალისფერი აქვს და ხაოიანი. ჰურჭლის პირს ზემოდან ღარი შემოსდევს. ყელს ირგვლივ სიმეტრიულად, ოთხ ადგილას, ამოღარული ხაზით შემოსაზღვრული, წერტილებით შევსებული ოთხკუთხი ორნამენტი აქვს დატანილი. მის ქვემოთ მხარს ხუთი კონცენტრული ამოღარული ხაზი ამკობს, რომლებსაც ქვემოდან საზღვრავს მოკლე, ელიფსური ღრმა და ირიბი ჩაღრმავებები, რომლებიც ჰურჭლის მხარზე რელიეფური სარტყლის შთაბეჭდილებას ქმნის. ძირი კიდეებიდან ცენტრისაკენ ამოღარული სხივური ხაზებითაა შემკული.

თიხის ჰურჭელი № 7. გვერდების ნატეხები, რომლებითაც დაფარული იყო ცხოველის ძვლები სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დამზადებულია წვრილქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მოშავო-წაბლისფრადაა გამომწვარი. ზედაპირი უხეში აქვს, ხაოიანი და შემურული.

თიხის ჰურჭელი № 8. ქვაბქოთანა, წმინდა ქვიშანარევი თიხისა. კეცი შავადაა გამომწვარი, მოწაბლისფრო ელფერით.

ჰურჭლის კორპუსი უწესრიგოდ დატანილი, ოდნავ შესამჩნევი კონცენტრული ხაზებითაა დაფარული, რის გამოც ზედაპირი ხაოიანი ხდება. ჰურჭლის მხარს ყელის ძირთან უხეში ტალღური ამოღარული ხაზი შემოსდევს, მის ქვემოთ კი ხუთი ამოღარული, კონცენტრული ხაზი აქვს შემოვლებული. ეს სარტყელი ოდნავ შემაღლებული კონცენტრული ხაზით მთავრდება, რომელიც ირიბი მოკლე ხაზებითაა დაკეჩნილი. ამგვარივე მოკლე ირიბი ხაზები აქვს დაჭდეული ძირის კიდესაც. პირს ზემოდან ღარი აქვს შემოყოლებული.

თიხის ჰურჭელი № 9. მაღალფეხიანი, ბადიისებური სასმისი. დამზადებულია წმინდა ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ერთნაირადაა გამომწვარი მოწაბლისფრო-მოშავოდ. ჰურჭლის გამოწვის შემდეგ მისი მხარი თეთრი ანგობით, მეანდრებითაა მოხატული. მოხატულობა ცუდადაა შემორჩენილი (ტაბ. $LII_2$; $LIII_1$ა).

თიხის ჰურჭლის გარდა სამარხში აღმოჩნდა: მსხვილფეხა საქონლის ძვლები და წვრილფეხა საქონლის თავის ქალა ობსიდიანის უფორმო ანატკეცთან ერთად.

ოლე, სამარხი № 11. სამარხში ადამიანის ჩონჩხთან ერთად მხოლოდ თიხის ჰურჭლები აღმოჩნდა (ტაბ. $LIII_2$).

9. ქ. ფიცხელაური.

თიხის ჭურჭელი № 1. კოჭობი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან და შავადაა გამომწვარი, ზედაპირიც შავია, ხაოიანი. მხარს შემოუყვება მოკლე ირიბი ნაჭდევები, მის ქვემოთ კი ამოღარული ტალღური ხაზი. მთელი კორპუსი დასერილია ოდნავ შესამჩნევი კონცენტრული, აშკარად ჩარხისეული ხაზებით. მუცელთან ჩარხისეულ ხაზებს ზევიდან მოკლე, ხშირი ვერტიკალური ხაზების სარტყელი შემოსდევს. ძირის კიდეს მოკლე ირიბი ნაჭდევები შემოუყვება.

თიხის ჭურჭელი № 2. ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი უწმინდესი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი ორფენოვანია, შრეები ერთი და იგივე სისქისაა და ერთიმეორისაგან აშკარადაა გამოყოფილი — შიდაპირი ჩალისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი კი შავად და კარგადაა ნაპრიალები.

ჭურჭლის მხარს ვერტიკალური, ნაპრიალები ხაზების ჯგუფები ამკობს, რომელსაც ქვემოდან ოთხი ამოღარული კონცენტრული ხაზი საზღვრავს.

თიხის ჭურჭელი № 3. მოზრდილი ჭურჭლის ნატეხები. კეცი ქვიშანარევია, გამომწვარია რუხად, ზედაპირის თხელი ფენა კი რუხი — მოშავოა. ჭურჭლის ზედაპირს ეტყობა ჩარხზე ტრიალის კვალი წვრილი ხშირი კონცენტრული ამოღარული ხაზების სახით.

თიხის ჭურჭელი № 3ა. ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი წმინდა თიხისაგან, თეთრი წვრილი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი და ზედაპირი კარგად აქვს ნაპრიალები. მხარს საკმაოდ განიერ ფრიზად ნაპრიალები წვრილი ხაზების ორნამენტი შემოსდევს, რომელსაც ქვემოდან საზღვრავს ორი უსწორმასწორო ამოღარული ხაზი.

თიხის ჭურჭელი № 4. ქვაბქოთანას ნატეხები. დამზადებულია მეტად უხეში ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირის თხელი ფენა კი მოშავოა. პირს ზემოდან ორი კონცენტრული ღარი შემოსდევს. ყელის ძირსა და მხარს, ორ რიგად შემოუყვება სხვადასხვა მხარეს დამხრობილი მოკლე, ირიბი ნაჭდევები, მათ შორის კი ტალღური ხაზია ამოღარული. ამ ორნამენტული სარტყლის ქვევით, ჭურჭელს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი შემოსდევს. მთელ კორპუსზე შეიმჩნევა ხშირი და წმინდა ჩარხისეული კონცენტრული ოდნავ ამოღარული ხაზები.

თიხის ჭურჭელი № 5. ჯამი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, კეცი მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, ნაპრიალები. პირს თევზიფხურად განლაგებული ნაპრიალები ორნამენტი შემოსდევს. მუცლის ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ ჭურჭელს გარშემო შემოსდევდა სამი კონცენტრული ამოღარული ხაზი.

თიხის ჭურჭელი № 6. მოზრდილი ჭურჭლის ნატეხები. დამზადებულია წმინდა, კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი, თეთრი მბზინავი ჩანართებით. შიდაპირის თხელი ფენა ლეგა-მოწაბლისფროდაა გამომწვარი, კეცის შუაგული მონაცრისფრო-მოშავოდ, ხოლო ზედაპირი— შავად და კარგადაა ნაპრიალები.

სამარხში აღმოჩნდა: წვრილფეხა საქონლის კბილები და კიდურების ძვლები; მსხვილფეხა საქონლის კიდურების ძვლის და ნეკნების ფრაგმენტები.

ოლე, სამარხი № 13. სამარხში ადამიანის ჩონჩხის ძვლებთან ერთად მხოლოდ თიხის ჭურჭლები აღმოჩნდა (ტაბ. $LIV_1$).

თიხის ჭურჭელი № 1. დამზადებულია წმინდა თიხისაგან, თეთრი წვრილი მინარევებით. კეცი ორფენოვანია — ზედაპირი შავადაა გამომწვარი, შიდა თხელი შრე კი ჩალისფრად. ზედაპირი კარგადაა ნაპრიალები. ჭურჭელს ყელის ძირში და მხარზე სამ-სამი ამოღარული ხაზი შემოსდევს.

თიხის ჭურჭელი № 2. დიდი ჭურჭლის ნატეხები. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი აშკარად ორფენოვანია. ფენები თანაბარი სისქისაა: შიდა—წაბლისფერი, გარე—შავი, ზედაპირი შავია, ნაპრიალები. ჭურჭლის ზედა ნაწილს ოთხი ამოღარული ხაზი შემოსდევს გარშემო, მათ შორის კი სამი ამოღარული, ტალღური ხაზია შემოყოლებული.

თიხის ჭურჭელი № 3. ძლიერ ფრაგმენტირებული დიდი ჭურჭლის ნატეხები. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი ჩანართებით. კეცი აშკარად ორფენოვანია, შიდა თხელი ფენა წაბლისფერია, გარე კი შავი. ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები, მხარს სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი შემოსდევს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 4. ქვაბქოთანა, დამზადებულია უხეში, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მოშავოდაა გამომწვარი, ზედაპირზე აგურისფერი ლაქებით. ძირის კიდეს ირიბი, მოკლე ნაჭდევები ამკობს. მთელი კორპუსი დასერილია ჩარხისეული, ხშირი ოდნავ შესამჩნევი კონცენტრული ხაზებით. მხარს, როგორც ჩანს, ამოღარული ტალღური ხაზი შემოსდევდა.

ჭურჭელს პირი აკლია.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 5. ქვაბქოთანა, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან. კეცი ორფენოვანია—შიდაპირი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი კი შავად. პირი ზემოდან ირგვლივ მცირედაა ამოღარული. მხარს ირგვლივ, ერთ რიგად ირიბი, მოკლე ნაჭდევები შემოსდევს. მთელი კორპუსი დასერილია ჩარხისეული, ოდნავ შესამჩნევი, ძალიან ხშირი კონცენტრული ხაზებით. ძირის კიდე შემკულია ირიბი ნაჭდევებით.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 6. ქვაბქოთანა, დამზადებულია უხეში ქვიშანარევი თიხისგან. კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირზე აქა-იქ წაბლისფერი ლაქები აქვს. პირს ზემოდან ღარი შემოუყვება. მთელი კორპუსი დასერილია ხშირი, ოდნავ შესამჩნევი ჩარხისეული კონცენტრული ხაზებით. ძირის კიდეს მოკლე, ირიბი ნაჭდევები ამკობს.

ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლის ნატეხი აღმოჩნდა.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 7. ბადია, დამზადებულია კარგად განლექილი წმინდა თიხისაგან. შიდაპირი მოწაბლისფროდაა გამომწვარი, მორუხო ელფერით, ზედაპირი კი შავად. ფენები ერთიმეორეში შეუმჩნევლად გადადის. ჭურჭლის ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები. ჭურჭელს მუცელზე, მუცელსა და ძირს შუა და ძირთან სამ-სამი ამოღარული ხაზი შემოუყვება. ხაზები იმდენად ღრმაა და განიერი, რომ გოფრირებული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჭურჭლის მხარი ნაპრიალები ბადური სახეებითაა შემკული.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 8. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცის შუაგული რუხია, ოდნავ მოწაბლისფრო ელფერით, შიდა და გარეპირი კი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალებია. მუცლის არეში ჭურჭელს ერთი კონცენტრული ღარი შემოსდევს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 9. ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, თეთრი წვრილი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, ნაპრიალები. ყელის ძირს ორი ამოღარული ხაზი შემოუყვება. მხარს ნაპრიალები ხაზოვანი სახეები ამკობს. მუცელს სამი ამოღარული, კონცენტრული ხაზი შემოსდევს.

ოლეს დანარჩენ გორასამარხებში მოპოვებული ინვენტარი მეტად ფრაგმენტულია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იგი აღწერილ სამარხთა ინვენტარის იდენტურია ყოველმხრივ.

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ს ს ა ტ ყ ე ო კ ო მ ბ ი ნ ა ტ თ ა ნ 1949 წელს ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამარხებიდან ჩვენ ორ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას[11].

ს ა მ ა რ ხ ი № 3. სამარხში აღმოჩნდა თიხის ექვსი ჭურჭელი და მძივები (ტაბ. $LIV_2$).

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 1. ფიალა, დამზადებულია წმინდა ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირის თხელი ფენა კი შავად. ჭურჭლის ზედაპირი შავად ყოფილა ნაპრიალები.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 2. ქილა, მაღალი კონუსური ყელით. დამზადებულია წმინდა თიხისგან, თეთრი წვრილი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირიც შავია, ნაპრიალები. მუცელი დაწახნაგებულია. მხარს ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს, მის ქვემოთ კი ნაპრიალები, ჯგუფებად ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი ხაზების სარტყელი შემოსდევს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 3. ფიალა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი, თეთრი ჩანართებით. ჭურჭლის კეცის ზედა და შიდაპირი შავადაა გამომწვარი, ადგილ-ადგილ წაბლისფერი ელფერით.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 4. ბადია, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით, იშვიათად წვრილი ქვიშაც

[11] სატყეო კომბინატის სამარხებში მოპოვებული მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში (ინვ. № 28—61/28—48).

ურევია. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი და შიდაპირის თხელი ფენა კი შავად. ჭურჭელს ზედაპირი შავპრიალა აქვს. მუცელი წიბოიანია, წიბოს ზემოთ სამი ამოღარული ხაზი შემოსდევს. მხარს ამკობს ნაპრიალები, ჯგუფებად ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი ხაზების სარტყელი.

*თიხის ჭურჭელი* № 5. ქილა მაღალი, კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი კი შავია და ნაპრიალები. მხარს ნაპრიალები ბადური სამკუთხედები ამკობს, ისინი ქვემოდან ამოღარული, კონცენტრული ორი ხაზით იმიჯნება.

მუცელი დაწახნაგებულია და ამოკაწრულ ხაზებს შორის მოქცეული, ჯგუფებად ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი, მოკლე ნაპრიალები ხაზებით შევსებული სარტყელი შემოსდევს.

ამგვარადვე დატანილი, თევზიფხურად განლაგებული ხაზებითაა შევსებული ორი ორნამენტული ზოლი, რომელიც ჭურჭელს მიუყვება მუცლიდან ძირისკენ. ზოლები მაღლა განიერია და ძირისაკენ ვიწროვდება.

*თიხის ჭურჭელი* № 6. ქოთანი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. ზედაპირი შავია, ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო, ნაპრიალები. მუცელი დაწახნაგებულია. მხარს ჯგუფებად, ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი, მოკლე ნაპრიალები ხაზების ორი სარტყელი ამკობს.

*მძივები*—სარდიონისა, სფერული; პასტის — ცილინდრული — ღარებით, მანდარინისებური — დაღარული, წვრილი მრგვალშემოწერილობის სწორი ჰორიზონტალური ზედა და ქვედა სიბრტყით. აქვეა ამ უკანასკნელის ფორმის გიშრის მძივებიც.

*სამარხი* № 4. სამარხში თიხის ცხრა ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. $LV_1$).

*თიხის ჭურჭელი* № 1. ქვაბქოთანა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. კეცის გული წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირის თხელი ფენა კი შავად. ჭურჭელს ყელის ძირში ამოღარული აქვს ოდნავ შესამჩნევი ტალღური ხაზი. მხარს ხუთი ფართე, ამოღარული, კონცენტრული ხაზი შემოსდევს. მათ ქვემოთ მცირედ შემაღლებული რელიეფური ხაზი შემოუყვება, რომელიც ოდნავ დახრილი მცირე ნაჭდევებითაა შემკული.

მხარს ქვემოთ ჭურჭლის მთელი ზედაპირი წმინდა, ოდნავ შესამჩნევი ჩარხისეული კონცენტრული ხაზებითაა დასერილი.

ძირის კიდე ირიბი, მოკლე ნაჭდევებითაა შემკული.

*თიხის ჭურჭელი* № 2. ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი ორფენოვანია. ფენები ერთიმეორისაგან აშკარად გამოიყოფა, გარე შრე მორუხოა, შიდა — წაბლისფერი. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მუცელი დაწახნაგებულია. ყელის ძირს ორი ნაპრიალები კონცენტრული ხაზი შემოსდევს, მის ქვემოთ, მხარს, ირგვლივ ნაპრიალები სამკუთხედები შემოუყვება, რომელთა შიდა არე ამგვარივე ბადური ორნამენტითაა შევსებული. სამკუთხედები ფუძით კონცენტრულ ამოღარულ ხაზზეა დაყრდნობილი, რომლის ქვემოთ ჭურჭელს გარს შემოუყვება ჯგუფებად ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი, ნაპრიალები მოკლე ხაზების სარტყელი.

*თიხის ჭურჭელი* № 3. ბადიის მსგავსი, მაღალფეხიანი სასმისი. დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცის გული წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირის თხელი ფენა კი შავად. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ნაპრიალები.

შიდაპირზე ეტყობა ჩარხზე ტრიალის შედეგად მიღებული წმინდა კონცენტრული ხაზები.

*თიხის ჭურჭელი* № 4. ჯამი, დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, ნაპრიალები.

*თიხის ჭურჭელი* № 5. ქილა, მაღალი კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი. ჭურჭლის ზედაპირიც შავია და ნაპრიალები. მუცელი ოდნავ შესამჩნევადაა დაწახნაგებული. მხარს შემოსდევს ნაპრიალები ირიბი, მოკლე ხაზები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად ერთიმეორის საპირისპიროდაა დახრილი.

ჭურჭლის კეცის შიდაპირი ჩარხზე ტრიალის შედეგად დასერილია წვრილი კონცენტრული ხაზებით.

*თიხის ჭურჭელი* № 6. ქოთანი, დამზა-

დებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი, მაგრამ ადვილ-ადგილ აქვს წაბლისფერი ლაქები. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მუცელი დაწახნაგებული. მხარს და მუცელს ორ სარტყლად შემოსდევს ბადური ნაპრიალები ორნამენტი.

თიხის ჭურჭელი № 7. კოჭობი, დამზადებულია უხეში ქვიშანარევი თიხისგან. კეცის შუაგული რუხ-მოწაბლისფროდ, ზედაპირის თხელი ფენა კი წაბლისფრად ან მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. პირს ზემოდან ღარი აქვს. ყელის ძირს ტალღური, მხარს კი ოთხი კონცენტრული ამოღარული ხაზი შემოსდევს, რომელთა ქვემოთ ირიბი, მოკლე ნაჭდევებია. ამ ორნამენტს ქვემოთ მთელი კორპუსი დასერილია ოდნავ შესამჩნევი, წმინდა ჩარხისეული ხაზებით. ძირის კიდეს, სავარცხლისკბილის მსგავსი შტამპით დატანილი, მოკლე ირიბი ნაჭდევები ამკობს, ძირის შუა ნაწილი კი ოდნავ შესამჩნევი ამოღარული სპირალითაა შევსებული.

თიხის ჭურჭელი № 8. ჯამი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირიც შავია, ნაპრიალები. მხარს ნაპრიალები ბადური სარტყელი შემოსდევს.

თიხის ჭურჭელი № 9. ჯამი, დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი მინარევებით. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ადგილ-ადგილ კი მორუხოდ. ზედაპირი ნაპრიალებია. მხარს ირგვლივ ნაპრიალები ბადური სარტყელი შემოსდევს.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1970 წელს სოფ. გადრეკილში (ამჟამად მახარაძე), ნასადგომარის სამაროვანზე გათხრილ 100 სამარხს შორის, ყველაზე ადრეულია № 6 სამარხი.

სამარხი № 6. სამარხში აღმოჩნდა თიხის ცხრა ჭურჭელი, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები და სარდიონის მძივები (ტაბ. $LV_2$).

თიხის ჭურჭელი № 1. ქილა. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წმინდა თეთრი, მბზინავი ჩანართებით. კეცის გული წაბლისფრადაა გამომწვარი, კიდეების თხელი ფენა კი შავად. ზედაპირი შავია, ნაპრიალები.

მხარზე ოთხი კონცენტრული ამოღარული ხაზია გავლებული, მუცელზე კი სამი; მათ შორის ფართო არეა დატოვებული. ჭურჭელს ირგვლივ, მუცელზე შემოვლებულ ზედა კონცენტრულ ხაზზე ფუძით დაყრდნობილი მცირე ნატეიფრი სამკუთხედები შემოსდევს.

თიხის ჭურჭელი № 2. ქილა, მაღალი კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი, მბზინავი ჩანართებით. კეცის შიდა შრე წაბლისფრადაა გამომწვარი, გარე კი მოშავოდ და ერთიმეორეში შეუმჩნევლად გადადის. ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მხარს ხუთი ამოღარული ხაზი შემოსდევს.

თიხის ჭურჭელი № 3. მელიღელური (მაღალი კონუსური ყელით და ფართო მუცლით) ფორმის სასმისი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი, მბზინავი ჩანართებით. კეცი მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მხარს ამოღარული ხაზები შემოსდევს ირგვლივ.

თიხის ჭურჭელი № 4. დერგი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი აშკარად ორფენოვანია. გარე თხელი შრე შავად, ხოლო შიდა — წაბლისფრადაა გამომწვარი. შიდაპირი ჩარხზე ტრიალის შედეგად დასერილია წმინდა ჰორიზონტალური ხაზებით. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მხარს ყელის მახლობლად ხუთი ამოღარული ხაზი შემოსდევს ირგვლივ, რომლებიც ქვემოდან ამოღარული ტალღური ხაზით ისაზღვრება. ამ ორნამენტის შემდეგ მხარზე ფართო არეა დატოვებული, რის შემდეგაც ჭურჭლის მუცლის ზედა ნაწილზე, ყელის ძირში დატანილი ორნამენტი მეორდება.

თიხის ჭურჭელი № 5. ქილა, საშუალო ზომის კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, კეცი მოწაბლისფრო-ჩალისფრადაა გამომწვარი, თეთრი წვრილი, მბზინავი ჩანართებით. ზედაპირის თხელი ფენა შავია, ნაპრიალები. მხარს ირგვლივ რვა ამოღარული ხაზი შემოსდევს; მათ ქვემოთ კი ჭურჭელს შემოუყვება წმინდად ამოკაწრული ორი ტალღური ხაზი.

თიხის ჭურჭელი № 6. ქილა, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, რომლის შიდა და გარე ზედაპირის თხელი ფენა შავია. ზედაპირი ნაპრიალებია. მხარს გარს უვლის უწესრიგოდ ამოკაწრული თოთხმეტიოდე ხაზი.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 7. ქოთანი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი საკმაოდ თხელია, შავად გამომწვარი. კორპუსს ეტყობა ვერტიკალური დამუშავების შედეგად მიღებული ნაპრიალები ხაზები. მხარს ირგვლივ ნაკაწრი ხაზები ამკობს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 8. ქვაბქოთანა, დამზადებულია მეტად უხეში, მსხვილქვიშანარევი თიხისგან. კეცი მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი, ადგილ-ადგილ შავი ლაქებით. პირს ზემოდან ღარი შემოსდევს. ყელის ძირს ირიბი, მოკლე ნაჭდევები შემოუყვება. შემდეგ მხარი ამოღარული ხაზების სარტყლითაა შემკული, რომელიც ქვემოდან ისევ ირიბი, მოკლე ნაჭდევებით ისაზღვრება. ჭურჭლის კორპუსის ზედაპირი ჩარხისეული წმინდა ხაზებითაა დასერილი. ამ ხაზების დატანის შემდეგ ჭურჭლის კორპუსზე, შესაძლოა ბალახის ბღუჯით, გავლებულია ვერტიკალური ხაზები, რის შედეგადაც ჭურჭელზე თითქოს ჭადრაკული სახეებია მიღებული. ქვაბქოთანის ძირის კიდეს ირიბი, მოკლე ნაჭდევები ამკობს.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 9. მელიღელური ფორმის სასმისი. დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მხარს ირგვლივ ექვსი ამოღარული ხაზი შემოსდევს, მუცელს კი — ერთი. კეცის შიდაპირი ჩარხზე ტრიალის შედეგად წმინდა ხაზებითაა დასერილი.

ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი — ერთი კაჟისაგანაა დამზადებული, სამი კი ობსიდიანისაგან, ყველა ქუსლამოღარულია.

ს ა რ დ ი ო ნ ი ს მ ძ ი ვ ე ბ ი — სფერული, კარგად მოგლუვებული ზედაპირით.

ბ ა ი ბ უ რ თ შ ი გათხრილი ქვისწრეებიანი, ქვის ფილებით გადახურული ორი სამარხის კომპლექსის აღდგენა მთლიანობაში შეუძლებელია. ბ. კუფტინის ნაშრომში თრიალეთის ძეგლების შესახებ, სადაც ამ სამარხებზეა საუბარი, გამოცემულია სამარხეული ინვენტარის მხოლოდ ნაწილი და ცალკეული კომპლექსების შემადგენლობა გარკვევით არ არის ჩამოთვლილი. კომპლექსთა შემადგენლობის დადგენა არ მოხერხდა არც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებისა და მუზეუმში დაცული ბ. კუფტინის, ხელნაწერების მიხედვით, რადგან ავტორი არც აქ გვაძლევს სამარხთა კომპლექსების სრულ აღწერილობას. მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩენილი მასალის ეტიკეტების მიხედვით, რომლებიც თვით ბ. კუფტინის მიერაა შედგენილი, შეიძლება გაირკვეს, რომ აქ ნივთები ზედა და ქვედა სამარხის მიხედვით ნაწილდება. ჩვენთვის მთლად ცხადი არ არის გამთხრელი რატომ ხმარობს ამ ტერმინებს—ზედას და ქვედას, რადგან შემორჩენილი ნახაზების მიხედვით ცხადია, რომ სამარხები ერთიმეორის გვერდით იყო განლაგებული. არ არის ქრონოლოგიური სხვაობა არც მათ ინვენტარში.

ზ ე დ ა ს ა მ ა რ ხ ი (ტაბ. $LVI_1$).

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 558 (ნუმერაცია საველეა). დერგი, დამზადებულია წმინდა თიხისგან. კეცის შუაგული წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირის თხელი ფენა კი შავად. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და ნაპრიალები. მუცელს ორი რელიეფური სარტყელი ამკობს. მხარს კი ნაკაწრი კონცენტრული და ტალღური ხაზები.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 559. დერგი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან, საკმაოდ მსხვილი თეთრი ჩანართებით. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირიც წაბლისფერია, ადგილ-ადგილ მოშავო ლაქებით. მხრებს ქვემოთ მთელი კორპუსი ჩარხისეული წმინდა ხაზებითაა დასერილი. ძირის კიდეს მოკლე, ღრმა, ირიბი ნაჭდევები შემოსდევს.

მხარს ირგვლივ, ოთხ რიგად ირიბი ნაჭდევები მიუყვება. ნაჭდევები იმდენად ღრმაა, რომ ნაჭდევის კიდეებში თიხა ამობურცულია, მწკრივზე შემაღლებულ სარტყლებს ქმნის და ზონარისებური ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყელის ძირს ტალღური ამოღარული ხაზი და მცირე მოკლე ნაჭდევები შემოსდევს, მის ქვემოთ კი სამი კონცენტრული ამოღარული ხაზია დატანილი.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი № 560. ფონდებში არ აღმოჩნდა. შემორჩენილი ფოტოპირის მიხედვით ლილვაკისებურპირიანი, მრგვალმუცლიანი და დაბალკონუსურყელიანი დერგია. ყელის ძირში უწესრიგოდ ამოღარული კონცენტრული ხაზები შემოუყვება. ამ ფორმის ჭურჭლები, როგორც წესი, წმინდა თიხისგანაა დამზადებული, თეთრი ჩანართებით. თუ ფოტოპირზე აღბეჭდილი გადანატეხის მიხედვით ვიმსჯელებთ,

კეცი ორფენოვანია — გარედან შავად, შიგნიდან კი ღიაფრად გამომწვარი.

თიხის ჭურჭელი № 561. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. ზედაპირი მოშავო აქვს, ხაოიანი, ცუდადაა ნაპრიალები. მხარს ამკობს სავარცხლისკბილისეული ტვიფრით შევსებული სამკუთხედები, წვერით ქვევით.

თიხის ჭურჭელი № 562. ქილა, მოშავო ფერის. მუზეუმის ფონდებში არ აღმოჩნდა. შემორჩენილი ფოტოპირის მიხედვით, მხარს ირგვლივ წიწვოვანი, ნატვიფრი(?) სარტყელი შემოუყვება.

თიხის ჭურჭელი № 563. ჯამი, ორნამენტირებული. მუზეუმის ფონდებში არ აღმოჩნდა.

საკიდი, რიყის ქვის № 573: ობსიდიანის ლამელა № 575; პასტის იოტები № 576, მუზეუმის ფონდებში არ აღმოჩნდა.

თიხის ჭურჭელი № 577. დერგი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში მოწაბლისფრო-მოწითალოდაა გამომწვარი. ძირთან კეცის შუაგული შავად, შიდა და გარეპირი კი მოწაბლისფრო-აგურისფრადაა გამომწვარი. პირს ზემოდან ღარი შემოუყვება. მხარს სამი რელიეფური სარტყელი უვლის ირგვლივ, რომლებიც ირიბი, მოკლე ნაჭდევებითაა შემკული. ყელის ძირში და ქვედა ორ რელიეფურ სარტყელს შორის ჭურჭელს თითო ტალღური ხაზი აქვს ამოღარული. ძირის კიდე და შუაგული წრისებურად შემაღლებულია, შემაღლებული წრეები თავის მხრივ ირიბი, მოკლე ნაჭდევებითაა შემკული.

ჭურჭელს შიგნიდან აშკარად ეტყობა კონცენტრული, ამოღარული, ჩარხისეული ხაზები; ასეთივე ოღონდ, ნაკლებშესამჩნევი ხაზები მოჩანს ჭურჭლის მთელ კორპუსზეც.

თიხის ჭურჭელი № 578. ქილა, დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი შავი აქვს, ნაპრიალები. მაღალი ყელის ძირში ორი ღრმა ღარი შემოსდევს. ერთი ამგვარი ღარი შემოუყვება მუცელს, მის ზემოთ კი მოკლე ირიბი ნაჭდევები ამკობს.

თიხის ჭურჭელი № 579. ჯამი. მხარი გოფრირებული აქვს, ძირის კიდე ირგვლივ საკმაოდ შემაღლებულია, მუცელს ირგვლივ ირიბი მოკლე ნაჭდევები შემოსდევს.

ჭურჭელი წმინდა თიხისგანაა დამზადებული, ქვიშის იშვიათი ჩანართებით. თიხას შერეული აქვს წვრილი თეთრი ნაწილაკებიც. კეცი შავადაა გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს შიგნიდან ჩარხზე ტრიალის შედეგად მიღებული კონცენტრული ამოღარული ხაზები ეტყობა.

თიხის ჭურჭელი № 580. ფიალა, დამზადებულია წმინდა თიხისგან. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი შავია, ხაოიანი. მხარს ნაპრიალები ბადური ორნამენტი ამკობს. ჭურჭლის შიდაპირს ეტყობა ჩარხზე ტრიალის კვალი.

პასტის ცილინდრული, დაკბილული მძივი № 602. მუზეუმის ფონდებში არ არის დაცული.

ქვედა სამარხი (ტაბ. LVI$_2$).

თიხის ჭურჭელი № 568. დერგი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან. კეცი მოწაბლისფრო-ჩალისფრადაა გამომწვარი. ჭურჭელს ძირის მახლობლად და მხარზე ხუთ-ხუთი რელიეფური ზონარისებური სარტყელი ამკობს, ყელთან და მხარზე კიდევ ორ-ორი ამოღარული ხაზი შემოუყვება.

თიხის ჭურჭელი № 569. დერგი, დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი, თეთრი ჩანართებით. კეცი სქელია, რომლის შიდაპირი მონაცრისფრო-წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი კი — შავად. შრეები ერთიმეორისგან აშკარად არ გამოიყოფა. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ნაპრიალები. მხარზე ნაკაწრი ორნამენტია დატანილი.

ბრინჯაოს საკინძი (№ 570), ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის მსგავსი თავით, რომლის ყუაზეც ცხოველის სკულპტურული გამოსახულებაა.

მძივი (იოტი) მოცისფრო-მონაცრისფრო პასტის (№ 571).

მძივი (იოტი) თეთრი პასტის (№ 572).

თიხის ჭურჭელი № 622. ქილა, დამზადებულია წმინდა თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, მოწაბლისფრო. პირს ზემოდან ღარი შემოსდევს. მხარს ზონარისებური რელიეფური სარტყლები ამკობს. ჭურჭლის მთელი კორ-

პუსი წმინდა კონცენტრული, ოდნავ შესამჩნევი ჩარხისეული ხაზებითაა დასერილი.

*თიხის ჭურჭელი* № 623. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, იშვიათი, თეთრი, წვრილი ჩანართებით. კეცის გამოწვაში ერთიმეორისგან ცუდად გამოყოფილი ოთხი ფენა შეინიშნება — შიდა შავი, შემდეგ წაბლისფერი, ჩალისფერი და გარე ისევ შავი. ზედაპირი ნაპრიალებია. მხარს მცირე ჯგუფებად ერთიმეორისადმი დახრით განლაგებული მოკლე, ნაპრიალები ხაზები შემოსდევს, რომელიც ჭურჭლის ირგვლივ ტეხილი სარტყლის სახეს ქმნის. მუცლის ზემოთ ჭურჭელს ექვსი ამოღარული კონცენტრული ხაზი შემოსდევს. ჭურჭელს პირი აკლია.

*თიხის ჭურჭელი* № 624. ჯამი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი მონაცრისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. მუცელს ორი ამოღარული ხაზი შემოსდევს. მხარს ნაპრიალები ბადური ორნამენტი ამკობს.

*ლილოში* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1963 წელს ორმოიანი გორასამარხების მთელი სერია შეისწავლა. მათ შორის ერთი შუაბრინჯაოს ხანისა იყო, დანარჩენი კი შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა. სამარხთა უმეტესობა განადგურებული და უინვენტარო გამოდგა, ზოგიერთი მათგანი კი ღარიბულ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან მასალას შეიცავდა[12].

*გორასამარხი* № 5 (ტაბ. $LVII_1$).

*თიხის ჭურჭელი* № 1. ქოთანი, ქვიშანარევი თიხისა. კეცი ზოგან წაბლისფრად, ზოგან კი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი წმინდა ჩარხისეული ხაზებითაა დასერილი, რომლის ზემოდან ჭურჭლის მხარეზე ამოღარულია ორი ტალღური ხაზი და მათ შორის ღრმა ნაჭდევები. ძირს ოდნავ შესამჩნევად ამოღარული სპირალი ამკობს, ძირის კიდეს კი ირიბი ნაჭდევები შემოუყვება.

*თიხის ჭურჭელი* № 2. ქოთანი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი აშკარად ორ ფენადაა გამომწვარი — შიდა შრე მოწაბლისფრო-ჩალისფერია, გარე — შავი. ზედაპირი კარგადაა შავად ნაპრიალები. მხარს შემოსდევს სავარცხლისკბილის მსგავსი შტამპით, ხუთ-ხუთი ზოლისაგან შედგენილი სამკუთხედების რიგი, ფუძით — ზემოთ. მუცელზე და მხრის ზედა ნაწილზე ჭურჭელს ირგვლივ გასდევს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

*თიხის ჭურჭელი* № 3. ქუსლმაღალი ფიალა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი, თეთრი, მბზინავი ჩანართებით. კეცის შუაგული რუხ-წაბლისფრად, ზედა და შიდაპირი კი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები. ჭურჭელს ერთი ამოღარული ხაზი ამკობს. მაღალი ქუსლი ღრუა, ძირგანიერი.

*სარდიონის სფერული სამი მძივი*, კონუსური ნახვრეტი ცალი მხრიდან აქვთ გაკეთებული; კარგადაა დამუშავებული და გარეგნულად შუაბრინჯაოს ხანის მძივებს წააგავს, მაგრამ მაინც მათზე უხეშია.

მსგავსი ინვენტარია ლილოში გათხრილ სხვა გორასამარხებშიც, მაგ., მერვე, მეცხრე სამარხში და სხვა.

ამავე პერიოდის მეტად საყურადღებო მასალა გამოვლინდა რ. აბრამიშვილის მიერ გათხრილ № 2 გორასამარხში *ულიანოვკის* მახლობლად[13].

აქ აღმოჩნდა როგორც უხეში ჭურჭელი ქვიშანარევი კეცით, ისე წმინდაკეციანი თიხის ჭურჭელი, რომელსაც თიხის კაზმში წვრილი თეთრი მინარევები აქვს, ამასთან ერთად მეორე ტიპის კეცი პირველს აშკარად ჭარბობს. ჭურჭლის ფორმებში ხშირია ჯამები ოდნავ გადმოკეცილი პირით, გვხვდება ღრუქუსლიანი ფიალაც. მაღალყელიანი ჭურჭლების ყელი ჩვეულებრივ კონუსურია.

ორნამენტი წმინდაკეციან თიხის ჭურჭელზე წარმოდგენილია ამოღარული ტალღური და კონცენტრული ხაზებით, უხეშკეციან ჭურჭელს კი უმეტესად ამკობს რელიეფური ზონარისებური სარტყლები, მოკლე ირიბი ნაჭდევები, რომელიც ჩვეულებრივ შემოსდევს ჭურჭლის მხრებსა და ძირის კიდეს. ერთ-ერთი თიხის ჭურჭლის მხარეზე (ინვ. № 25—61/284) ნაჭდევი და ამოღარული ხაზებით ცხოველის ოთხი გამოსახულებაა დატანი-

---

[12] გამოქვეყნებამდე, ლილოში მოპოვებული მასალით სარგებლობის საშუალება მოგვცა ე. გოგაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[13] ულიანოვკაში გათხრილი № 2 გორასამარხის მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში— ინვ. № 25—61:151—295.

ლი. უხეშკეციან ჭურჭელთა კორპუსი ჩვეულებრივ ჩარხისეული წვრილი ხაზებითაა დასერილი.

აქვე აღმოჩნდა არქაული იერის ბრინჯაოს ნამგალი და სხვა.

ილტოს ნამოსახლარზე აღმოჩენილ ერთ-ერთ ორმოსამარხში (?), კენოტაფში მეტად მეტყველი მასალა გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მხოლოდ ორი ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. $LVII_2$), ისინი აშკარად სხვადასხვა ეპოქათა დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ და მათი ერთ კომპლექსში დადასტურება ამ ეპოქათა უეჭველ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს.

თიხის ჭურჭელი № 1. კონუსურყელიანი ქილა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი აშკარად ორფენოვანია, სარჩულიანი. შიდა, თხელი ფენა მოწაბლისფრო-ნაცრისფრადაა გამომწვარი, გარეთა კი შავად. ზედაპირი შავია, კარგად ნაპრიალები.

ჭურჭლის ყელის ძირს შემოსდევს სავარცხლისკბილისეული ნაჭდევი ორნამენტის სარტყელი ერთ ხაზად, მხარს კი სავარცხლისკბილის შტამპით შედგენილი სამკუთხედების რიგი შემოუყვება წვერით ქვევით.

თიხის ჭურჭელი № 2. ქოთანი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან, ზედაპირი უხეში აქვს. მხარს შემოსდევს ღრმა ირიბი ნაჭდევების ერთი რიგი, რომელიც რელიეფური ზონარისებური სარტყლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჭურჭლის მხარს შემოსდევს ღრმა ამოღარული კონცენტრული ხაზები, კორპუსი კი ჩარხზე ტრიალის შედეგად წმინდა, ოდნავ შესამჩნევი ხაზებითაა დასერილი, რომლებსაც ხშირად ვერტიკალური უწესრიგოდ დატანილი ხაზები ჰკვეთს. ამ ჭურჭელთა ძირის კიდეს ჩვეულებრივ მოკლე, ირიბი ნაჭდევები ამკობს.

შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი საფეხურის რამდენიმე სამარხი გათხარა ზ. შატბერაშვილმა გრაკალის მახლობლად აშურიანის ველზე, კერძოდ კი № 2, 3 და 4 გორასამარხები[14]. გარდამავალ ხანას უნდა მიეკუთვნოს სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე 1939 წ. გათხრილი № 70 სამარხის ინვენტარიც (ტაბ. $LVIII_1$)[16] და სხვ.

თითოეულ ამ სამარხში სულ ორი ან სამი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, მაგრამ რადგან ისინი ატარებენ როგორც შუა ისე გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიურ ნიშნებს, წინ აღწერილ კომპლექსთა მსგავსად, ამ სამარხთა გარდამავალ პერიოდისათვის მიკუთვნება უეჭველია.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის დასახასიათებლად, მეტად მეტყველ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმს გვაწვდის „მელი-ღელე" I სამლოცველო. აქ მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი ერთი შეხედვით ტიპიურ შუაბრინჯაოს ხანის ნაკეთობებს წააგავს, როგორც კეცის სტრუქტურითა და გამოწვით, ისე ზედაპირის დამუშავებით, ფორმებით და შემკობით. განსაკუთრებით ხშირია შუაბრინჯაოს ხანის ელემენტები, როგორც შემკობის დატანის ხერხებში, ისე ორნამენტის ნახაზში. მაგალითად, ყველაზე გავრცელებულია ჭურჭლის მხარზე სხვადასხვა ორნამენტის ფრიზებად განლაგება, ხშირია სავარცხლისკბილისებური, წერტილოვანი შტამპით ნატვიფრი სახეებით შევსებული შევრონები; მცირე კოპები სხვადასხვა განლაგებით, ნაპრიალები ბადური და ტალღური ორნამენტი და სხვა მრავალი (ტაბ. $XXXI_2$—XXXV; XXXVII).

აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, ჩვენთვის ცნობილ, გარდამავალი ხანის ყველა ძეგლზე მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმზე უფრო არქაულია. მათ შუაბრინჯაოს ხანისათვის ტიპიური ყველაზე მეტი ელემენტი აქვთ, რაც შესაძლოა ძეგლის საკულტო ხასიათით უნდა იყოს გამოწვეული, სადაც შესაწირად სპეციალურად ტრადიციული სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი მოჰქონდათ მოგვიანებითაც.

ამგვარად, ჩვენ მიერ შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი საფეხურისათვის მიკუთვნებული ყველა სამარხეული კომპლექსი ორმოიან გორასამარხშია აღმოჩენილი და როგორც ადრეც შევნიშნეთ, სამაროვნების შესწავლისადმი მიძღვნილ პარაგრაფში, უკვე სამარხის კონსტრუქციის მიხედვითაც კი შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ამ ძეგლებს ძველი ტრადიციები აქვთ შემორჩენილი. ძველი ტრადიციები დავინახეთ მიცვალებულის დაკრძალვის წეს-ჩვეულებებშიც და სხვა.

[14] ზ. შატბერაშვილმა საშუალება მოგვცა აშურიანის ველის გორასამარხთა მასალას გამოქვეყნებამდე გავცნობოდით.

[16] სსმ, ინვ. № 12—54/9940—9944.

ზემოთ ჩამოთვლილ კომპლექსებს თრიალეთურ კულტურასთან აკავშირებს ისიც, რომ ისინი თითქმის ერთი და იგივე ტერიტორიაზეა გავრცელებული. ამასთან ერთად, ნიშანდობლივია, რომ მთელ ამ ტერიტორიაზე, თრიალეთური კულტურის მსგავსად, გარდამავალი ხანის ძეგლებიც გასაოცარ მსგავსებას იჩენს[16]. რა თქმა უნდა, ამ ტიპის ძეგლთა მომრავლებასთან ერთად, შესაძლოა, შემდეგში საჭირო გახდეს ცალკეული რაიონების გამოყოფაც თავისებური მასალით (მაგ. შიდა ქართლში, კახეთში), მაგრამ ისინი ძირითადად, ვფიქრობთ, ისევე ერთიანი დარჩებიან, როგორც შუაბრინჯაოს ხანის კულტურა ამ ტერიტორიაზე.

ამ კომპლექსთა ადრეულობაზე და თრიალეთურ კულტურასთან ქრონოლოგიურ სიახლოვეზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ სამაროვნებზე ისინი მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის სამარხებთან თანაარსებობენ და ის, რომ აქ სხვა დროის სამარხები არ ჩანს. ამ სამაროვნებზე, როგორც წესი, უმეტესობა გარდამავალი ხანის სამარხებია, შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა კი მხოლოდ თითო-ოროლაა, მაგრამ ყველაზე მოზრდილები [ოლეს, ლილოს, ცხინვალის სატყეო კომბინატის, აშურიანის ველის (გრაკალთან) სამაროვნები]. ამგვარად ამ მონაცემების მიხედვით, ეს სამაროვნები თითქოს მოქმედებაში უნდა ყოფილიყო შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის სულ უკანასკნელ, მცირე პერიოდში და ძირითადად კი გარდამავალ ხანაში.

ზ. შატბერაშვილმა გამოთქვა ეჭვი (ჩვენთან პირად საუბარში), რომ რადგან ამ სამროვნებზე, როგორც წესი, დიდი გორასამარხები ყოველთვის შუაბრინჯაოს ხანისაა და მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა, მცირენი კი ტიპიურ შუაბრინჯაოს ხანის მასალასთან ერთად შეიცავენ უხეშ ჭურჭელსაც, ხომ არ შეიძლება ეს ფაქტი ისეც აიხსნას, რომ დიდი გორასამარხები ტომის წინამძღოლებს ეკუთვნის, დანარჩენი სამარხები კი რიგით წევრებს, რომ მხოლოდ ამის გამო ჩანს სხვაობა ამ სამარხთა ინვენტარში და ისინი სინამდვილეში თანადროულია.

ჯერ ერთი, ის დასკვნა, რომ ამ სამაროვნებზე ყველა მოზრდილი გორასამარხი შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს ეკუთვნის, მცირე ზომისა კი გარდამავალ ხანას, მხოლოდ შესწავლის დღევანდელ დონეს შეესაბამება და ამდენად წინასწარულია. მომავალში, როდესაც ამ სამაროვნებზე თითო-ოროლა სამარხის ნაცვლად სამარხების მთელი სერია იქნება შესწავლილი, შესაძლოა, ეს დაკვირვება უარსაყოფელი გახდეს. ამის საილუსტრაციოდ უნდა გამოდგეს, მაგალითად, ზემო ბოდბის საკმაოდ მოზრდილი გორასამარხები, რომლებიც როგორც დავინახეთ, ტიპიურ, გარდამავალი ხანის კომპლექსებს შეიცავენ. ასევე არ უნდა იყოს გამორიცხული საკვლევ სამაროვანზე მცირე ზომის ქვაყრილების ქვეშ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის სამარხების აღმოჩენის შესაძლებლობაც და სხვა.

მეორეც, ამ სამაროვანთა დიდ და მცირე გორასამარხთა კომპლექსებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა უეჭველია, რადგან ჩვენ მიერ გამოყოფილ გარდამავალი ხანის ყველა კომპლექსში შუაბრინჯაოს ხანისათვის ტიპიური ნიშნების მატარებელ ჭურჭლებთან ერთად ისეთი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლებია აღმოჩენილი, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან და ტიპიურია გვიანბრინჯაოს ხანის მასალებისათვის. თუ ამგვარი უხეში ჭურჭელი შუაბრინჯაოს ხანის მხოლოდ მდაბიოთა სამარხებისთვისაა დამახასიათებელი, მაშინ იგი უნდა გამოვლენილიყო ამგვარ სამარხებში ნულის, შვინდიანის, საკობიანოს და სხვა სამაროვნებზეც, იქ კი ამის მსგავსი ჭურჭლები საერთოდ არ ჩანს.

ამგვარად, ჩვენ ეს ეჭვი უსაფუძვლო გვგონია, მაგრამ თუ ერთი წუთით მაინც დავუშვებთ, რომ ეს სამარხები თანადროულია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ღარიბული სამარხები კი არ ეკუთვნის შუაბრინჯაოს ხანას, არამედ პირიქით ამ სამაროვნებზე გამოვლენილი მდიდრული სამარხები უნდა ჩავთვალოთ გარდამავალი პერიოდის კუთვნილად. რადგან ცხადია, ახალი ელემენტები, მით უმეტეს თუ ისინი ჭურჭლის გაუხეშებაში ჩანს და არა დახვეწაში, პირველ რიგში რიგითი მოსახ-

---

[16] გარეგნული იერით, ამ კატეგორიის ძეგლთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ართიკის სამაროვნის მთელი რიგი სამარხეული კომპლექსები (285, სამარხი №№ 33, 113, 117, 122 და სხვა). მაგრამ, რადგან ამ კომპლექსებიდან მხოლოდ თითო-ოროლა ნივთია გამოქვეყნებული, ჩვენ კი მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას მათ უშუალოდ გავცნობოდით, დაწვრილებით მსჯელობისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღმოსავლეთ საქართველოში, მხოლოდ გარდამავალი ხანის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალი ჩრდილო სომხეთის ტერიტორიაზე თავს ინახავს გაცილებით მოგვიანო ძეგლებზედაც.

ლეობის ცხოვრებაში და მათ სამარხეულ ინვენტარში აისახებოდა და არა პრივილიგირებულ პირთა ცხოვრებასა და შემდეგ სამარხეულ ინვენტარში. წინამძღოლთა სამარხებში, რა თქმა უნდა, ეცდებოდნენ ყველაფერი მაღალხარისხოვანი ჩაეწყოთ, როგორიც ვთქვათ გარდამავალი ხანის სამარხეულ კომპლექსთა საუკეთესო ნაწილია, რომელიც ძველი ტრადიციებით მზადდებოდა. ამ შემთხვევაში კულტურის სახის განმსაზღვრელი წინამძღოლთა სამარხების ინვენტარი კი არ იქნებოდა, არამედ საზოგადოების რიგით წევრთა სამარხეული ინვენტარი.

გარდამავალი ხანის კომპლექსები შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს იმითაც უკავშირდება, რომ აქ, ისევე როგორც შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში, საბრძოლო იარაღი მეტად იშვიათად ჩნდება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ნიშნით ხასიათდება მომდევნო ხანის, ჩვენს მიერ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეული ძეგლებიც. ეს კი, რა თქმა უნდა, მათ ადრეულ თარიღს უსვამს ხაზს, რადგან შემდეგი დროის მასალები უკვე საბრძოლო იარაღის მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა.

გარდამავალი ხანის კომპლექსთა დათარიღებისა და მათი დაკავშირებისათვის, როგორც შუა ისე გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებთან, ყველაზე მეტყველ მასალას მაინც ამ სამარხებში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი, მისი სტრუქტურა და დამუშავება, შემკულობის სახეები და ფორმები იძლევა.

გარდამავალი ხანის კომპლექსებში შერწყმულია კერამიკა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ნაწარმის ტიპიური ნიშნებით და თიხის ჭურჭელი მთელი რიგი ახალი ელემენტებით, რომლებიც შემდგომ, გვიანბრინჯაოს ხანაში ტიპიური, აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე გავრცელებული და ზოგიერთი მხარისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ხდება და გაბატონებულ ადგილს იკავებს.

ჩვენ ამ საფეხურს სწორედ იმიტომ ვუწოდეთ გარდამავალი, რომ იგი შეიცავს ორი სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელ ნიშნებს და შუალედ რგოლს წარმოადგენს მათ შორის.

ეს პირველ რიგში თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტურას და დამუშავებას ეხება.

როგორც დავინახეთ, გარდამავალი ხანის კომპლექსებში თიხის ჭურჭლის უმეტესობის კეცი ფხვიერია, წმინდად განლექილი თიხისგანაა დამზადებული და თეთრი, წმინდა, მბზინავი მინარევები აქვს ჩართული. ყველა ამ მონაცემით იგი იმეორებს შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტურის ტიპიურ, ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიშნებს და სწორედ ამით განსხვავდება გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი კეცისგან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის პირველი, ადრეული საფეხურის ზოგიერთ ნაკეთობათა გარდა არასოდეს აღარ შეიცავს წვრილ თეთრ ჩანართებს, და უკვე ძალიან ხშირად მეტნაკლებად უხეშია, ქვიშანარევი.

გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლის უმეტესობა შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭელს იმითაც ემსგავსება, რომ მათი კეცი ფხვიერია. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ეს დამახასიათებელი ნიშანი კიდევ გვხვდება, შემდგომ ხანებში კი საერთოდ ქრება და მკვრივკეციანი ჭურჭელი ხდება მხოლოდ დამახასიათებელი, რომელიც პირველად შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე იჩენს თავს (298, გვ. 85).

უხეშკეციანი თიხის ჭურჭლები, მქისე ზედაპირით, გარდამავალი ხანის კომპლექსებში სულ თითო-ოროლაა, შუაბრინჯაოს ხანის მასალებში კი საერთოდ არ გვხვდება.

ასეთებია, იმ ჭურჭლების კეცი, რომლებიც წმინდად განლექილი თიხისგანაა დამზადებული და თიხის კაზმში თეთრი, წვრილი მბზინავი მინარევები აქვს ჩართული, უმეტესწილად სარჩულიანია, ორფენოვნად გამომწვარი. შრეები ზოგჯერ არ არის მკვეთრად გამოყოფილი და ერთიმეორეში შეუმჩნევლად გადადის, ზოგჯერ კი მკვეთრად გამოირჩევა ერთი-მეორისაგან — გარეთა შავი, შიდა კი ჩალისფერი, მოაგურისფრო — წაბლისფერი ან ლეგა-მონაცრისფრო. ამ პერიოდის სამარხებში ზოგჯერ სარჩულიანი კეცი აქვს ისეთ ჭურჭლებსაც, რომლებიც ზედაპირის დამუშავებით, შემკულობით და ფორმებით გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმის ტიპიურ ნიშნებს ატარებს.

ამ კომპლექსებში ძალიან იშვიათია თიხის ჭურჭელი უხეში, ერთფეროვანი და ერთფენოვანი კეცით, რომელიც უმეტესად გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელს ახასიათებს.

ამგვარად, კეცის სტრუქტურით და დამუშავებით ამ კომპლექსთა თიხის ჭურჭლის უმეტესო-

ბა უფრო შუაბრინჯაოს ხანის ნაკეთობებს ემსგავსება, რის გამოც ჩვენ საჭიროდ ვცანით, ამ ნიშნებით ეს კომპლექსები ქრონოლოგიურად უფრო შუაბრინჯაოს ხანისათვის მიგვეახლოვებინა. მაგრამ ამ პერიოდის მასალებთან მათი გაერთიანება არ მოხერხდა, რადგან, როგორც დავინახეთ, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ კომპლექსებში თითოოროლა ისეთი კეცის მქონე ჭურჭელიც აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანიდანაა ფართოდ გავრცელებული, შუაბრინჯაოს ხანისთვის კი სრულიად უცხოა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გვაიძულა ეს კომპლექსები შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის მოგვექცია და მიგვეჩნია ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად ამ ეტაპის მასალებს შორის.

ამ კომპლექსთა სიახლოვეზე შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან მიუთითებს აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფორმებიც (ტაბ. $\text{LXIX}_{1, 7, 27, 43}$ და სხვ.). ასეთია, მაგალითად, პირის ღილვაკისებური ბაკო, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლებს ახასიათებს და ფართოდ მხოლოდ შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზეა გავრცელებული. ჭურჭლის ამგვარი პირი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში შედარებით იშვიათია, რკინის ფართო ათვისების დროიდან კი თითქმის სრულიად აღარ გვხვდება. სამაგიეროდ ამ ხანიდან ფართოდაა გავრცელებული მკვეთრად გადმოკეცილი ბრტყელი პირი, რომელსაც ზემოდან ღარი შემოსდევს.

ეს უკანასკნელი პატარა დეტალიც მჭიდროდ აკავშირებს ერთიმეორესთან შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მასალებს. პირს ზემოდან შემოყოლებული ღრმა ღარი შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებზე ჩნდება და შემდეგ დამახასიათებელ დეტალად იქცევა აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ჭურჭლებისათვის გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის მთელ პერიოდში. გარდამავალი ხანის მასალებში პირს ზემოდან ღარი შემოსდევს მხოლოდ იმ ჭურჭლებს, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის ნაკეთობათა დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს შუაბრინჯაოს ხანის მასალებთან აახლოვებს აგრეთვე საშუალო ზომის კონუსური ყელი, კვერცხისებური ან ბურთისებური მუცელი და მკვეთრად გამოყოფილი შემაღლებული ქუსლი.

მაღალი, ღრუქუსლიანი ჯამები თუ ღრმა თასები, რომლებიც გარდამავალი ხანის ჩვენს მიერ განხილულ თითქმის ყველა კომპლექსში გვხვდება (ბოდბე I, II, ლილო და სხვა), ფაქტიურად იმეორებს თრიალეთის XV გორასამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ყურიანი ჭურჭლის ფორმებს. ამ სახის ჭურჭელი გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის სამარხებში კახეთში (გადრეკილი), მსგავსი ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებშიც (გადრეკილისა და სწორი მინდვრების სამაროვნები), გვიანბრინჯაოს ხანის შემდგომ საფეხურზე კი იგი არსებობას წყვეტს.

გარდამავალი ხანის სამარხეულ კომპლექსებში არც ერთ ჭურჭელს არა აქვს ყური (ტაბ. LXIX). ეს დეტალი, შუაბრინჯაოს ხანის შემდგომი დროის მასალებიდან, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ კომპლექსებს ყველაზე მეტად აახლოვებს შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან, რადგან, როგორც ცნობილია, სწორედ შუაბრინჯაოს ხანის მესამე, ბოლო ეტაპის თიხის ჭურჭელს არ ახასიათებს ყურები (298, გვ. 85), გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან კი თიხის ნაწარმში უკვე ჩნდება ყურიანი თიხის ჭურჭელი, თუმცა რაოდენობრივად ისინი ამ პერიოდშიც შედარებით იშვიათია.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებიდან სრულიად განცალკევებით დგას „მელი-ღელე“ I სამლოცველო, სადაც თიხის ჭურჭლის განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ყურები აღმოჩნდა, რაც ჩვენი აზრით, ძეგლის ხასიათით უნდა აიხსნას.

გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლების უმეტესობა ზედაპირის დამუშავებითაც უფრო შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელს უახლოვდება, რადგან ამ კომპლექსების წმინდაკეციანი თიხის ჭურჭლის ზედაპირიც შავია და ბრწყინვალედ ნაპრიალები.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ზედაპირნაპრიალები თიხის ჭურჭელი დიდ იშვიათობას წარმოადგენს, რკინის ფართო ათვისების ხანაში კი თითქმის სრულიად ქრება. ამ მხარეში თიხის ჭურჭლის ზედაპირის ამგვარი დამუშავება კვლავ თავს იჩენს დაახლოებით ძვ. წ. VII საუკუნის დასას-

რულიდან, მაგრამ იგი დამახასიათებელი მაინც არ ჩანს.

განსხვავებული სურათია შიდა ქართლში. აქ მთელი გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში თიხის ჭურჭლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად რჩება კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მასალა მაინც აშკარად განსხვავდება ადრეული ნაკეთობებისაგან, რადგან ამ ჭურჭლების ფერი შედარებით ღიაა — უმეტესად ლეგა ელფერი გადაჰკრავს და აღარც ის სიკრიალე აქვს, რითაც ადრეული ნაკეთობანი ასე ემსგავსება შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელს.

გარდამავალი ხანის შავპრიალა ჭურჭლებს ზედაპირი ჯერ კარგად აქვთ მოგლუვებული და შემდეგ კი ნაპრიალები. როგორც ჩანს, ამგვარმა დამუშავებამ ჭურჭლის ზედაპირზე წაშალა ჩარხზე ტრიალის შედეგად მიღებული წმინდად ამოღარული კონცენტრული ხაზები, რომლებიც ამ ჭურჭელთა უმეტესობას შიდაპირზე აქვთ შერჩენილი.

ამ კომპლექსების თითო-ოროლა ჭურჭელს, რომლებსაც უხეში, ქვიშანარევი კეცი აქვს, თავისთავად ზედაპირიც უხეში აქვთ და ძალიან მიემსგავსებიან გვიანბრინჯაოს ხანაში იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ყველაზე მეტად გავრცელებულ თიხის ჭურჭელს. მათი ზედაპირი არ არის სპეციალურად მოგლუვებული, რის გამოც მათ მთელ კორპუსზე შემორჩენილი აქვთ წმინდა, ძალიან ხშირი კონცენტრული ამოღარული ხაზები. არსებითია, რომ ამ ხანის კომპლექსებში ამდაგვარი ჭურჭლის ამ დეტალს არასოდეს არა აქვს ორნამენტის სახე და აშკარად ჩანს, რომ იგი მხოლოდ ჩარხზე დამუშავების კვალს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ კომპლექსთა ინვენტარის განხილვისას დავინახეთ, რომ მისი თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტურასა და დამუშავებაში შეინიშნება, როგორც შუა, ისე გვიანბრინჯაოს ხანის დამახასიათებელი ელემენტები, ეს კი საშუალებას გვაძლევს საკვლევი კომპლექსები მატერიალური კულტურის განვითარების ამ ორ საფეხურს შორის მოვაქციოთ, გარდამავალ რგოლად ჩავთვალოთ მათ შორის და ამ ეტაპების დამაკავშირებლად მივიჩნიოთ.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ კომპლექსთა არსის გასარკვევად არანაკლებ მეტყველია თიხის ჭურჭლის ორნამენტული მოტივები.

ამ ჯგუფის შავპრიალა თიხის ჭურჭლისათვის, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიდ უმრავლესობას წარმოადგენს, დამახასიათებელია ნაკაწრი, ნატვიფრი და ნაპრიალები სხვადასხვა ორნამენტული სახე.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გარდამავალი ხანის კომპლექსებში თიხის ჭურჭლის შემკულობა, ძირითადად მხრებზეა განლაგებული ფრიზებად, რითაც თრიალეთური შუაბრინჯაოს ხანის კულტურის კერამიკული ნაწარმის შემკობის ნახაზს იმეორებს. შესანიშნავია, რომ ფრიზული სქემის ჩანასახი ჩნდება ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურაში (425, გვ. 226). იგი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ორნამენტული მოტივია შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთური კულტურის ძეგლებისათვის. თიხის ჭურჭლის შემკობის ეს სქემა აღმოსავლეთ საქართველოში დამახასიათებელი რჩება გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მთელ პერიოდში.

შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი საფეხურის ძეგლები ამჟამად მაინც იმდენად მცირე რაოდენობითაა ცნობილი, რომ ჯერჯერობით ძნელია ამ მასალების მიხედვით თვალი გავადევნოთ შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის შემკულობის ყველა მოტივს მისი მომდევნო ხანის ძეგლებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ხანის ძეგლების ყოველ ახალ აღმოჩენასთან ერთად ჩნდება ახალი ნიუანსები თიხის ჭურჭლის შემკობაში, რომლებიც სულ უფრო და უფრო ამყარებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ ეს კომპლექსები შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლების უშუალოდ მომდევნო საფეხურს წარმოადგენს.

შესაძლოა გარდამავალი ხანის მასალათა სიმცირით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ მიერ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის მიკუთვნებულ კერამიკულ ნაწარმზე წინამორბედ მასალებზე გაცილებით მრავალგვარი შემკობის სახეებია, რომლებიც გარკვეულ კავშირს ავლენენ შუაბრინჯაოს ხანის ნაკეთობებთან.

შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის თიხის ჭურჭელზე შემკობის დატანის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ხერხია შავ ზედაპირზე ნაპრიალები გეომეტრიული სახეების გამოხატვა.

მართალია, გარდამავალი ხანის, დღეისთვის

ცნობილ ძეგლებში არ ჩანს ამგვარი ორნამენტის ის მრავალფეროვნება, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებს ახასიათებს, მაგრამ ნაპრიალები შემკულობის ყველა ის მოტივი, რომელიც გარდამავალი ხანის ძეგლებზე გვხვდება, დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის ცენტრალური ამიერკავკასიის ძეგლებისთვისაც.

ასეთია, მაგალითად, პრიალით დატანილი ტეხილხაზოვანი ან ბადური, ფრიზებად განლაგებული შემკულობა თიხის ჭურჭლის მხრებზე და ასევე მხრებზე ფრიზებად განლაგებული მოკლე ნაპრიალები, ჯგუფებად ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი ხაზების სარტყლები (ტაბ. LXIX$_{7-8, 19, 21, 27, 27, 28, 31}$ და სხვა).

თიხის ჭურჭლის მხრის ირგვლივ, ფრიზში ან მის გარეშე გამოსახული ტეხილი ხაზის სქემა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ორნამენტული მოტივია ცენტრალური ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის თიხის ჭურჭლისათვის უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან (425, ტაბ. I, V). შემკულობის იგივე სახეები ფართოდაა გავრცელებული თრიალეთური კულტურის შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე და ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამახასიათებელ ორნამენტულ მოტივს წარმოადგენს (194, ტაბ. XII, XIV, სურ. 13, 14, 18, 20, 51, 52, 56, 59, 60, 61 და სხვა; 425, ტაბ. II, III, IV).

საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლის მხარზე ჩნდება ორ კონცენტრულ ხაზს შორის დატანილი ტალღური ამოკაწრული ზოლი. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან კი სრულიად ქრება ტეხილი ხაზის სქემა თიხის ჭურჭლის მხარზე და მის ადგილს მთლიანად იკავებს ტალღური ხაზის გამოსახვა ფრიზში (ტაბ. LXIX$_{76, 77, 92, 100}$ და სხვა). შესაძლოა, შემკობის ეს მოტივი ფრიზში ჩასმული ტეხილი ხაზის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს, რაც საფიქრებელია სწრაფად მბრუნავი ჩარხის შემოღებასთან დაკავშირებით უნდა მომხდარიყო.

გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლის შემკობის ყველაზე გავრცელებული მოტივია მხარზე დატანილი ბადური სახეების ფრიზი (ტაბ. LXIX$_{11, 12, 24, 33, 34}$ და სხვა).

ბადური ორნამენტი ცენტრალური ამიერკავკასიის თიხის ჭურჭელზე ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება (425, ტაბ. I$_{8, 45, 49}$; თრიალეთის გორასამარხი XI, XXIV, XXV, XXVII), ხშირად გვხვდება იგი თრიალეთური კულტურის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხთა კომპლექსებშიც (გორასამარხი V, XVII, XXXVI, XLV და სხვა), მაგრამ ნაპრიალები ბადური ორნამენტი გვხდება მხოლოდ თრიალეთური გორასამარხების მესამე ჯგუფში (გორასამარხი VII, XV და სხვა).

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაპრიალები ბადური ორნამენტი მთლიანად ცენტრალურ ამიერკავკასიის მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელზე ჯერ კიდევ ჩანს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის, შემდგომ კი შემკობის ეს სახე გვხვდება მხოლოდ შიდა ქართლში და სომხეთში, კახეთში კი იგი სრულიად ქრება[17].

ზემოთ დასახელებულ ორნამენტულ სახეებს გარდა, გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლისათვის ყველაზე დამახასიათებელი ჩანს მხარზე, ფრიზში განლავებული ერთიმეორისადმი დახრილი ნაპრიალები ხაზების ჯგუფები (ტაბ. LXIX$_{7, 8, 16, 21, 23, 27}$ და სხვა).

ამ სახის ორნამენტი ცენტრალური ამიერკავკასიის მატერიალური კულტურისათვის ადრებრინჯაოს ხანიდან ჩანს დამახასიათებელი (425, ტაბ. I$_{2, 27, 42, 49}$ და სხვა). იგი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ ამიერ-

---

[17] მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შუა და გვიან-ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი საფეხურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ცალკეული ორნამენტული სახეები გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპიდან ისევე მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისთვის კი აღარ არის ტიპიური, არამედ განვითარების ამ ეტაპზე, მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი ცალკეული კულტურებისათვის რჩება დამახასიათებელი. მაგალითად, უხეში ჭურჭლის ორნამენტულმა სახეებმა მხოლოდ კახეთში ძიილო ფართო გავრცელება და გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ყველაზე გავრცელებულ შემკობის სახედ იქცა. მხარზე ჯგუფებად ერთიმეორისადმი დახრილი მოკლე ხაზების ორნამენტული მოტივი შემორჩა მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე (23, ტაბ. XXXV—XXXVI), მაშინ როდესაც ცენტრალური ამიერკავკასიის სხვა მხარეებში იგი შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ეტაპის ძეგლების შემდეგ სრულიად მოისპო.

შესაძლოა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროიდან მატერიალურ კულტურაში უფრო მკვეთრად გამოისახა ცალკეულ ტომთა ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც წინათ შერწყმული იყო ერთ მთლიანობაში.

კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე (194, ტაბ. XV, სურ. 53, 54; $425_{44, 45, 47}$ და სხვა). გარდამავალი ხანის შემდგომი საფეხურიდან კი ამ სქემის ორნამენტული მოტივი აღარ გვხვდება შიდა ქართლში და კახეთში, მაგრამ როგორც შევნიშნეთ, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლებზე კი იგი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე აგრძელებს არსებობას.

გარდამავალი ხანის ძეგლებზე გვხვდება ვერტიკალური ნაპრიალები მოკლე ხაზები ჭურჭლის ყელის ირგვლივ, ისინი იშვიათად ჯგუფებადაა განლაგებული. ზოგჯერ ორ ამოღარულ ხაზს შორის მოქცეული ამგვარი ხაზები ჭურჭლის მხარს შემოსდევს.

ამგვარი ორნამენტული სქემა ცნობილია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, უმეტესად მოხატულ ჭურჭელზე, გარდამავალი ხანის შემდეგ კი მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ჩვენს მიერ გამოყოფილ ადრეული ეტაპის ძეგლებისთვის ჩანს დამახასიათებელი, უფრო გვიანი ხანის ძეგლებზე იგი უცნობია (ტაბ. $LXIX_{2}$).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარდამავალი ხანის შავად ნაპრიალებ თიხის ჭურჭელზე სამკუთხედების სხვადასხვა გამოსახულება. განსხვავებულია მათი დატანის წესიც. სამკუთხედები გამოსახულია: ა) ნაპრიალები ხაზებით და მათი შიდა არე ბადური ორნამენტითაა შევსებული, ბ) სავარცხლისკბილის შტამპით, გ) სოლური შტამპით (ტაბ. $LXIX_{1, 6, 7, 14, 17}$ და სხვა).

მხრებს ირგვლივ შემოყოლებული სოლური შტამპით ნატვიფრი სახეები აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში პირველად გარდამავალი ხანის კომპლექსებში გვხვდება (ტაბ. $LXIX_{27, 41}$). იგი შესაძლოა ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ფართოდ გავრცელებული სამკუთხედისებური ორნამენტის მიბაძვით იყოს წარმოშობილი. შემკობის ეს სახე განსაკუთრებით ფართო გავრცელებას გარდამავალი ხანის მომდევნო, გვიანბრინჯაოს ადრეულ პერიოდში აღწევს. აქ ისინი ისევ ჭურჭლების მხრებზეა განლაგებული, მაგრამ განსხვავებით ადრეული ორნამენტული სქემისგან ჯგუფებადაა გამოსახული, უფრო ხშირად კი პირამიდალურად (ტაბ. $LXIX_{64, 65, 81, 101, 102, 110}$ და სხვა). მატერიალური კულტურის განვითარების მომდევნო საფეხურზე (გვიანბრინჯაო II) ეს ორნამენტული სახე ძალიან იშვიათად გვხვდება, შემდეგ კი საერთოდ წყვეტს არსებობას.

თიხის ჭურჭლის მხრების სამკუთხედებით და დაშტრიხული სამკუთხედებით შემკობა ცენტრალური ამიერკავკასიის ძეგლებზე უკვე ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე გვხვდება. ამ ხანებში იგი განსაკუთრებით ფართოდ ჩანს დამახასიათებელი (46, სურ. 112, 113; 425, ტაბ. I, 25, 26, 27 და სხვა). შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის თიხის ჭურჭლისთვისაც ყველაზე დამახასიათებელია მხრის შემკობა, სწორედ ამ სახის ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციებით. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჭურჭლის მხრის სხვადასხვაგვარი სამკუთხედებით შემკობა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე გავრცელებული შემდგომი დროის კულტურებისთვის დამახასიათებელია მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის ჩათვლით, შიდა ქართლში კი იგი ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუახანებამდე თიხის ჭურჭლის შემკობის კვლავ ერთ-ერთ მთავარ მოტივს წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარდამავალი ხანის კომპლექსებში აღმოჩენილი შავპრიალა თიხის ჭურჭელი, რომელთა მხრები შემკულია ტვიფრით, სავარცხლისკბილის მსგავსი შტამპის გამოყენებით [ბაიბურთი (ტაბ. $LVI_{1}$); ლილოშტამპის გამოყენებით ბაიბურთი (ტაბ. $LVI_{6}$); ლილო $LVII_{2}$.

როგორც ცნობილია, ამ ტექნიკით დატანილი ორნამენტი ტიპიურია და დამახასიათებელი თრიალეთური კულტურის თიხის ჭურჭლისთვის შუაბრინჯაოს ხანიდან. ამ სახის ორნამენტი გავრცელებულია განსაკუთრებით შუაბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის ძეგლებზე, შუაბრინჯაოს დასასრულისთვის კი იგი საკმაოდ იშვიათია. ასევე მცირე რაოდენობითაა ამგვარი ორნამენტი გარდამავალი ხანის და გვიანბრინჯაოს ხანის I და II საფეხურის ძეგლებზე, შემდეგ კი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ამასთან ერთად ამ დროის სავარცხლისკბილისებრი შტამპი აშკარად უხეშია და არ შეიძლება შეედაროს შუაბრინჯაოს ხანის უწმინდეს ორნამენტს.

სავარცხლისკბილის შტამპით გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლებზე სამკუთხედები დატანილია წვერით ზევით ან ქვევით. თუ ბაიბურთში და ლილოში აღმოჩენილი ნაკეთობანი საკმაოდ უხე-

ში შტამპითაა შემკული, რითაც ისინი ამ ორნამენტის მოგვიანო ნიმუშებს მოგვაგონებს, ილტოს კენოტაფში აღმოჩენილი შავპრიალა თიხის ჭურჭელი (ტაბ. $LVII_2$), რომელიც ამგვარი ორნამენტითაა შემკული, არც კეცის სტრუქტურით და დამუშავებით, არც ფორმით და არც ორნამენტის დატანის სიფაქიზით არ განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებისაგან (შდრ. 425, ტაბ. $IV_{20}$). მაგრამ კომპლექსს, რომელშიც ეს ჭურჭელი აღმოჩნდა, მაინც ვერ მივაკუთვნებთ შუაბრინჯაოს ხანას, რადგან მასში აღმოჩენილი მეორე უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი, რომლის მსგავსიც შუაბრინჯაოს ხანაში არ გვხვდება და დამახასიათებელია კულტურის განვითარების მხოლოდ უფრო მოგვიანო საფეხურებისათვის.

გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს შორის შუაბრინჯაოს ხანის მასალებისგან სრულიად განსხვავებულ ახალ ელემენტს წარმოადგენს უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი, რომლის შემკულობაც შემდგომი პერიოდის წამყვანი ორნამენტული სქემის აშკარა ჩანასახს წარმოადგენს.

გარდამავალი ხანის კომპლექსებში ეს ჭურჭელი, როგორც წესი, შემდეგი ორნამენტული სახეებითაა წარმოდგენილი — მხრის ზედა ნაწილზე ჭურჭელს ნაკაწრი კონცენტრული ხაზები შემოსდევს, მხარს რელიეფური, ზონარისებური ორნამენტის სარტყელი ამკობს ან ძალიან ხშირად ირიბი მოკლე ნაჭდევების რიგი შემოუყვება[18]. ზოგჯერ ზონარისებური ორნამენტი ჭურჭლის ქვედა ნაწილსაც ამშვენებს. ძირის კიდე მუდამ შემკულია ირიბი მოკლე ნაჭდევებით. მთელი კორპუსი ჩარხისეული, წმინდა კონცენტრული ხაზებითაა დასერილი (ტაბ. $LXIX_{8, 9, 18, 25, 28, 37, 42, 46, 50}$ და სხვა), რომელიც შემდეგ, გვიანბრინჯაოს ხანის ნაკეთობებზე ორნამენტულ სახედ იქცა. როგორც ჩანს, იმ დეტალმა, რომელიც თავდაპირველად დამზადების ტექნიკის მეოხებით იქნა მიღებული, შემდგომ მეთუნეთა ყურადღება მიიქცია და იგი ორნამენტულ მოტივად იქნა გამოყენებული.

გვიანბრინჯაოს ხანაში ასეთივე გავრცელება მიიღო მოკლე ირიბმა ნაჭდევებმა თიხის ჭურჭლის მხარს გარშემო და ძირის კიდეზე. ეს ორნამენტული მოტივები ამ პერიოდში დამახასიათებელი ხდება მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის, ყველაზე მეტად კი მაინც იორ-ალაზნის აუზის მატერიალური კულტურისათვის, სადაც ამ ხანებში, ამგვარი სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე (ტაბ. $LXIX_{8, 9, 16, 28, 50, 82, 83, 105, 114, 157, 158, 162, 192, 250-252, 279-282}$).

ზემო ბოდბის № 1 გორასამარხის ერთ-ერთი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ზედაპირი (შემორჩენილია ჭურჭლის ტანის ქვედა ნაწილი) ჩარხისეული კონცენტრული ხაზების შემდეგ დასერილია ხშირი და წმინდა ვერტიკალური ხაზებით. ჭურჭლის ზედაპირის ამგვარი შემკობა ხშირად გვხვდება კახეთში გვიანბრინჯაოს ხანის I საფეხურის ნაკეთობებზე და განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება II საფეხურიდან (ტაბ. $LXIX_{52, 114, 158, 195, 196, 252}$ და სხვა).

ყურადღებას იქცევს ბოდბის № 2 გორასამარხში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლის ერთი დეტალი, კერძოდ, მხარზე ოთხ ადგილას დატანილი კარტუშისებური გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს ამოღარული ხაზით შემოფარგლულ, ნაჭდევი წერტილებით შევსებულ ოთხკუთხ არეს მომრგვალებული კუთხეებით (ტაბ. $LII_{2(4)}$). ეს ორნამენტი ერთი მხრივ ემსგავსება შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებზე დატანილ ოთხკუთხ გამოსახულებას (425, ტაბ. $III_{3, 82}$ და სხვა), ხოლო მეორე მხრივ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლებზე გამოსახულ შემკულობას (ტაბ. $LXIX_{46, 80, 93, 112}$); შემდგომი ხანიდან შემკობის ეს სახე სრულიად ქრება.

გარდამავალი ხანის კომპლექსებიდან მხოლოდ ბოდბის № 2 გორასამარხში აღმოჩნდა მოხატული ჭურჭლები. აღნიშნული ნაკეთობანი მეტად თავისებურია, რადგან ეს ჭურჭლები ჯერ შემკულია ნაპრიალები და ნატვიფრი სახეებით, გამომწვარია, ე. ი. დამთავრებულია ჭურჭლის საბოლოო დამზადება და მხოლოდ ამის შემდეგაა ისინი მოხატული თეთრი ანგობით, რის გამოც მოხატულობა მხოლოდ ფრაგმენტულადაა გადარჩენილი. ამ ჭურჭლების მოხატულობის სქემა უცხოა ადგილობრივი ნაკეთობებისათვის, განჯის მიდამოების თეთრად ინკრუსტირებული თიხის ჭურჭლის

---

[18] არსებითია, რომ ეს ორნამენტული მოტივი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება (9, სურ. 10).

სქემას იმეორებს და მათი მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული[19].

თუ თვალს გადავავლებთ ყოველივე ზემოთქმულს, აშკარა გახდება, რომ თიხის ჭურჭელს, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, შუაბრინჯაოს ხანის ნიშნები გაცილებით მეტი აქვს გადმონაშთის სახით, გვიანბრინჯაოს ხანისა კი მხოლოდ ჩანასახის იერს ატარებს.

ამგვარად, ჩამოთვლილი ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ეს კომპლექსები შეუძლებელია შუაბრინჯაოს ან გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებთან გაიგივდეს.

ამ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ყველაზე გონივრული იქნება ისინი უშუალოდ შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების შემდეგ საფეხურს მივაკუთვნოთ და მოვაქციოთ შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის და განვითარების ამ ორი საფეხურის დამაკავშირებელ რგოლად მივიჩნიოთ.

მაგრამ, როგორც ჩანს, მომავალში საჭირო გახდება თვით ამ გარდამავალი საფეხურის შიგნით ადრეული და გვიანდელი ეტაპების გამოყოფაც, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ხანის კომპლექსები ჯერჯერობით არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, თითქოს უკვე შესაძლებელია მათი მიხედვით განვითარების სამი თანმიმდევრული საფეხურის არსებობა ვივარაუდოთ.

ყველაზე ადრეულ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ილტოს ნამოსახლარზე გათხრილი კენოტაფი, რომელშიც ტიპიურ შუაბრინჯაოს ხანის სტრუქტურის, ფორმის და შემკულობის თიხის ჭურჭელთან ერთად გარდამავალი ხანის კომპლექსებისათვის ჩვეული უხეშკეციანი თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა (ტაბ. $LVII_2$). ეს საფეხური, შესაძლოა, ქრონოლოგიურად შუაბრინჯაოს ხანის სულ ბოლო ეტაპის არსებობის ფარგლებს არც კი უნდა გასცდეს, რადგან ახლის გაჩენას ჩვენ ძველის წიაღში ვგულისხმობთ.

მეორე საფეხურის ძეგლებს შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, ზემო ბოდბის გორასამარხების ინვენტარი, ოლეს მთელი რიგი სამარხები და სხვა, სადაც უხეშკეციან ჭურჭლებთან ერთად ტიპიური შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი კი აღარ გვხვდება, არამედ აშკარად მათი განვითარების შემდეგი საფეხურის ნაკეთობებია, რომლებსაც შუაბრინჯაოს ხანის მრავალ დამახასიათებელ ნიშანთან ერთად მაინც უკვე თავისებური იერი აქვთ.

მესამე, ყველაზე მოგვიანო საფეხურს კი დღესდღეობით მხოლოდ ულიანოვკის № 2 გორასამარხის კომპლექსი შეიძლება მივაკუთვნოთ, რადგან აქ ტიპიურ გარდამავალი ხანის დეტალებთან ერთად თიხის ჭურჭელზე ჩნდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივები. თანაც ამ კომპლექსის თიხის ჭურჭლის კეცი უკვე აღარ არის იმ სიწმინდისა, როგორიც შუა და გარდამავალი ხანის ნაკეთობებს ჰქონდა. ამ ნიშნებით ეს კომპლექსი დაახლოებით გარდამავალი საფეხურისა და გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის მიჯნაზე უნდა მოთავსდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ბუნებრივია, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ გარდამავალი საფეხურისათვის ქრონოლოგიურ სკალაში დაახლოებით 100-ოდე წელი მაინც გამოგვეყო. ეს ვარაუდი მით უფრო დამაჯერებელი ხდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ ამ ხანის სამაროვნები დიდ ფართობებზეა გადაჭიმული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამარხებითაა წარმოდგენილი (ლილო, ოლე).

მაგრამ ისმება კითხვა, კონკრეტულად რა პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ეს მასალები. როგორც ცნობილია, შუაბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი საკმაოდ დამაჯერებლადაა დადგენილი და ასეთად ძვ. წ. XV საუკუნის შუახანები, უფრო ზუსტად ძვ. წ. 1450 წელია მიჩნეული (336, გვ. 511—512; 298; 81, გვ. 314; და სხვა).

ამ თარიღს ამჟამად მეტი საბუთიანობა ეძლევა კიროვაკანის გორასამარხში მიკენური ე. წ.

[19] როგორც ადრეც შევნიშნეთ, ჩვენ სხვა ავტორებთან ერთად ვფიქრობთ, რომ მოხატული ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის არ არის დამახასიათებელი.

შესაძლოა, ადგილობრივი, ამ ხერხით შემკული ჭურჭელი დასახელებულ მხარეში უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება (246, გვ. 35—36 და სხვა.), მაგრამ იგი კულტურის სახის განმსაზღვრელი არასოდეს არ გამხდარა (შდ. 441, გვ. 175). შუაბრინჯაოს ხანის შუა პერიოდიდან (298, გვ. 37) იგი მხოლოდ სამხრეთ რაიონებში ჩნდება და უცხოურ, მეზობელი სამხრეთული კულტურების გავლენას უნდა მიეწეროს. გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში სულ ხუთიოდე მოხატული თიხის ჭურჭელია ნაპოვნი და ისიც ადგილობრივი ჭურჭლებისაგან განსხვავებული შემკობის სქემით.

ვაფიოსყურიანი ვერცხლის კათხის[20] აღმოჩენით, რომელიც ზუსტად თარიღდება ძვ. წ. XV საუკუნის დასაწყისით (426, გვ; 46, 47).

ამგვარად, ამჟამად შედარებით დამაჯერებლადაა განსაზღვრული შუაბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი. მის მომდევნო საფეხურად მატერიალური კულტურის განვითარებაში ჩვენ ზემოთ წარმოდგენილი გარდამავალი ხანის კომპლექსები მიგვაჩნია. ცხადია, მათ ქრონოლოგიურადაც შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის უშუალოდ მომდევნო დროის კუთვნილად ვთვლით და რადგან მათი არსებობის პერიოდი ჩვენ დაახლოებით 100 წლით განვსაზღვრეთ, ამდენად მათ ძვ. წ. 1450—1350 წლებით ვათარიღებთ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის კომპლექსებში დათარიღების თვალსაზრისით ვარგისი ლითონის უქონლობის გამო[21] მათი აბსოლუტური თარიღის დადგენა ჭირს, როგორც დავინახეთ, არსებული მონაცემების მიხედვით მაინც მოხერხდა განვითარების ამ ეტაპის სულ ასი წლის მონაკვეთში მოთავსება და აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარების სრულიად კონკრეტული პერიოდისათვის მიკუთვნება.

მაგრამ, იმისათვის, რომ შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის ძეგლებს სათანადო ადგილი მივუჩინოთ განვითარების ჯაჭვში, თავისთავად საჭირო ხდება გარკვეული ცვლილებები იქნეს შეტანილი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის არსებულ ქრონოლოგიურ სქემაში, ვინაიდან, როგორც ცნობილია, დღემდე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეული ძეგლების ზედა თარიღი უშუალოდ იყო მიახლოვებული შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლების ზედა თარიღთან (ძვ. წ. XV ს. შუა ხანები) და ფაქტიურად ჩვენ მიერ გამოყოფილი გარდამავალი საფეხურის ძეგლების ადგილი ეკავათ (50, გვ. 103; 81, გვ. 314).

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ ვერც გარდამავალი ხანის ძეგლების შემდეგ მოვათავსებთ მთლიანად იმ მასალებს, რომლებიც აქამდე ერთ ჯგუფად იყო გაერთიანებული და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლებად იყო ცნობილი.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი დაკვირვებით, დღემდე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეულ კომპლექსებში ქრონოლოგიურად ერთიმეორის თანამიმდევრული ორი ჯგუფი გამოირჩევა[22]. მათ სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნები აქვთ, რომლებიც თითქმის არასოდეს არ არის ერთიმეორეში შერეული, რის გამოც ამ მასალების გამიჯვნა აუცილებელია[23]. მათგან ერთ-

[20] ჩვენ ვეყრდნობით კიროვაკანის გორასამარხის გამთხრელის აკად. ბ. პიოტროვსკის სიტყვიერ ცნობას და აგრეთვე ე. გოგაძის და შ. დედაბრიშვილის ცნობას, რომლებმაც ლენინგრადში პირადად ნახეს ეს ნივთი.

[21] მართალია, გარდამავალი ხანის კომპლექსებიდან ლითონის ნივთები თითქმის სრულიად უცნობია, მაგრამ არსებობს ყველა მონაცემი იმისთვის, რომ a priori მათი აღმოჩენა კიდევ უფრო მყარად დააკავშირებს ერთიმეორესთან შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს, შუალედური ხასიათის ლითონის ნივთებით. ამის მეტყველ მითითებას უნდა წარმოადგენდეს შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა და გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის ცნობილი მასალების ერთიმეორესთან მსგავსება. არსებითია, რომ მიუხედავად მათ შორის განვითარების ორი ეტაპის არსებობისა, მაინც შეიძლება მათ შორის გენეტიკურ კავშირზე საუბარი. ამის უფლებას პირველ რიგში იძლევა — ბრინჯაოს სატეხები, თავხვია საკინძები, სატევრები, ცულები, ბრტყელი ცულები და სხვა (298, გვ. 131—145).

[22] როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ თიხის ჭურჭელში ორი სხვადასხვა იერის ნაკეთობების არსებობა ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა შენიშნა, რადგან იგი ცხინვალის ნაცარგორის ტერიტორიაზე შენაკრებ მასალას (რომელიც ქვემოთ, ჩვენს მიერ ადრეულადაა მიჩნეული), შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის შუამდინარეთიდან თვლიდა შემოტანილად (59, გვ. 60). ადრე ჩვენ გავიზიარეთ ბ. კუფტინის ეს ვარაუდი, მხოლოდ მისგან განსხვავებით, შიდა ქართლში ამ მასალის მოხვედრის გზას კახეთზე ვვარაუდობდით და არა თრიალეთის ქედზე გადავლით (359, გვ. 184).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ვარაუდი მთლიანად უნდა მოიხსნას, რადგან ზემოთ დასახელებული მასალები ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც მტკვარ-არაქსის შუამდინარეთისთვის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისთვის და მთელ ამ მხარეში ადგილობრივი კულტურის განვითარების შედეგია.

[23] აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგიურ-ეტაპობრივი დაჯგუფების რამდენიმე ცდაა ცნობილი.

ა. იესენმა კავკასიის ლითონის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოყო განვითარების სამი საფეხური: პირველი სტადია (ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნა); მეორე სტადია (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ. XII—XI სს-მდე) და მესამე სტადია (მოიცავს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებს) (43; 44).

ბ. კუფტინი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარების შემდეგ პერიოდებს გამოყოფს— ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და რკინის პირველი გამოჩენის, ვანისას და აქემენიდურს (46).

ერთი, უფრო არქაული ჯგუფი მჭიდროდ უკავშირდება წინამორბედ საფეხურს, ჩვენ მას გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ან პირველი საფეხურის სახელით მოვიხსენიებთ, ადრე ამავე ჯგუფში გაერთიანებული კომპლექსების ნაწილს კი უფრო გვიანდელად მივიჩნევთ და გვიანბრინჯაოს ხანის შუა ან მეორე საფეხურს ვუწოდებთ. განვითარების შემდეგ ეტაპს გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურის, ან ადრეული რკინის ხანის სახელწოდებით ვიხსენიებთ. მატერიალური კულტურის განვითარების მომდევნო საფეხურის აღსანიშნავად კი ვსარგებლობთ რ. აბრამიშვილის მიერ ნახმარი ტერმინით — რკინის ფართო ათვისების ხანა.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქრონოლოგიურ სკალაში დასახელებული ჯგუფების ამგვარ განლაგებაზე თვალნათლივ მიგვითითებს მათი კუთვნილი კომპლექსები.

ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის შუა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი ეტაპის ძეგლების მომდევნო, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებად მიჩნეული უნდა იყოს მასალების მთელი სერია, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო ხანია ცნობილია, მაგრამ მატერიალური კულტურის განვითარების სქემაში მათთვის ცალკე ადგილი ჯერ არავის მიუკუთვნებია[24].

ასეთი მასალები აღმოჩენილია: ფლავისმანის ნეკროპოლზე (41, გვ. 231 — 232; სურ. 12, 13); ცხინვალის ნაცარგორაზე (59, გვ. 60, სურ. 26; 55, გვ. 251—270, ტაბ. X, XVI$_1$); ყათნალიხევის ნამოსახლარზე (89, გვ. 16—49; ტაბ. XVIII — XXVI); „მელი-ღელე“ I სამლოცველოზე (187, გვ. 299—302)[25]; ნასადგომარის და პირდაპირი მიწე-

---

ა. კალანდაძემ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მასალების შესწავლის საფუძველზე გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხები ორ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო: პირველი — გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხები, მეორე — ყველა დანარჩენი ორმოსამარხი (52, გვ.105—107). იგი პირველი ჯგუფის ორმოსამარხებს ძვ. წ. XIII—X სს. ათარიღებს (442), ხოლო მეორე ჯგუფის სამარხების ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ. წ. V საუკუნე მიაჩნია (266, გვ. 5).

გ. ლომთათიძემ, სამთავროს მასალების მიხედვით, პირველმა გამოყო „ბრინჯაოსტარიანი სატევრებისა“ და „ბრინჯაოსტარიანი ბრტყელი მახვილების ფენა“ და იგი ე. წ. ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრისპირებისა და ე. წ. „სკვითური“ ინვენტარის შემცველ ორმოსამარხებს შორის მოაქცია. ამას გარდა, ბრინჯაოსტარიანი იარაღის შემცველი ფენიდან ქრონოლოგიურად ცალკე გამოყო შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრები და ფოთლისებურ სატევრისპირებსა და სხვა ბრინჯაოსტარიანი იარაღის შემცველ სამარხებს შორის მოაქცია (49, გვ. 160—168, 336).

რ. აბრამიშვილის მიხედვით, ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრისპირების შემცველი სამარხების შემდეგი დროის სამარხები სამთავროს სამაროვანზე სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა —ა) გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIII—XII სს.), ბ) ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ეტაპის (ძვ. წ. XI—X სს.) და გ) რკინის ფართო ათვისების პერიოდის (ძვ. წ. IX-VI სს.), რომელსაც თავის მხრივ კიდევ სამ საფეხურად ანაწევრებს (53). თავის მოგვიანო ნაშრომში იგივე ავტორი უფრო ძველ პერიოდსაც შეისწავლის და ცალკე გამოყოფს ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ სამარხებს, მათ ტ. ჩუბინიშვილის მსგავსად (50, გვ. 103) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდს მიაკუთვნებს და ძვ. წ. XV საუკუნის მეორე ნახევრით და ძვ. წ. XIV საუკუნით ათარიღებს; შემდგომი პერიოდებისთვის კი პირველ ნაშრომთან შედარებით რამდენადმე განსხვავებულ დათარიღებას იძლევა (81).

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგიური დაჯგუფების ცდა მოცემულია მ. ბარამიძის საკვალიფიკაციო ნაშრომშიც (171, გვ. 59—60; 196). იგი განვითარების ოთხ ეტაპს გამოჰყოფს — ა) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი, რომელსაც ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების, თავხეია საკინძების, პირმოყრილი ჭურჭლების და სხვ. შემცველ სამარხებს მიაკუთვნებს. ავტორს ეს ეტაპი მიაჩნია გარდამავლად შუაბრინჯაოდან განვითარებულ ბრინჯაოს ხანაზე და მას ძვ. წ. XIV—XIII სს. ათარიღებს. ბ) განვითარებული ბრინჯაოს ხანა, ამ ეტაპს მიაკუთვნებს ფოთლისებურ, წელშეზნექილ სატევრისპირებს, კახურ სატევრებს და სხვა. გ) გვიანბრინჯაოს ხანიდან ადრე რკინის ხანაზე გარდამავალი საფეხური. მ. ბარამიძე ამ ჯგუფს მიაკუთვნებს ბრინჯაოს მახვილებს, ძვ. წ. XI—X საუკუნეებით ათარიღებს და შენიშნავს, რომ ამ პერიოდში ჩნდება რკინის მცირე იარაღებიც. დ) ადრეული რკინის ხანა. ავტორი შენიშნავს, რომ ეს პერიოდი ძირითადად რკინის იარაღით ხასიათდება და ძვ. წ. IX—VIII სს. თარიღდება.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ ყველა ამ ქრონოლოგიურ-ეტაპობრივი დაჯგუფების გათვალისწინებით და გამოყენებით, ძირითადად კი ახალ მასალებზე დაყრდნობით, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მასალების სხვაგვარად დაჯგუფების ცდა გვაქვს მოცემული.

[24] ჩვენ ადრეულ ნაშრომებში ვიზიარებდით რა წინამორბედ მკვლევართა შეხედულებებს, გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის მასალებში ერთმანეთისგან არ განვარჩევდით სხვადასხვა დროის კომპლექსებს.

[25] მასალები ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბის (კაჭრეთთან) სამაროვნებზე[26]; მადნის ჭალის სამაროვანზე (195) და ღრმაღელის გორასამარხებში (72, გვ. 127—165; 74, გვ. 79—152). ამავე პერიოდის კუთვნილია ულიანოვკის № 1 გორასამარხი[27], სამთავროს სამაროვნის მთელი რიგი სამარხები[28] და მჭადიჯვრის № 2 გორა-ნამოსახლარის ქვედა ფენა (101, გვ. 48). ამ დროის თიხის ჭურჭლის ცალკეული აღმოჩენები დადასტურებულია — ლაგოდეხში, ბორჯომში (72, გვ. 148), ბულაჩაურში (74, გვ. 136), სევანის ტბის მიდამოებში (74, გვ. 136), სიღნაღის რაიონში[29], ულიანოვკაში (სიღნაღის რაიონი)[30], ცხინვალის მახლობლად ნამოსახლარ ბორცვზე „ზღუდრის ხევის" პირას[31], „საბადურის გორაზე" კაკაბეთის მახლობლად (89, ტაბ. $XXV_7$), ლიახვის, ფრონეს და დვანის ხეობებში დაზვერვების შედეგად გამოვლენილ ნამოსახლარ ბორცვებზე (64, გვ. 189—190, ტაბ. $XXII_2$), აგრეთვე სოფ. რველში № 8 სამარხში[32], ალაზნის ველის ნამოსახლარებზე — წნორი — ყარაღაჯის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. საქართველოს ფარგლებს გარეთ იდენტური თიხის ჭურჭელი განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდილო სომხეთში, სადაც ყველაზე მეტად ართიკის სამაროვნის მონაპოვარი იქცევს ყურადღებას (285). მსგავსი მასალა ცნობილია ყარსის მახლობლად ბაშ-შურაგელიდან (59, ტაბ. $LII_4$) და განჯიდან (284, სურ. 22, 23).

აღსანიშნავია, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ჩვენ მიერ გამოყოფილ ადრეულ საფეხურზე მსგავსი თიხის ჭურჭელი ჩანს დამახასიათებელი მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც გავრცელებული იყო თრიალეთური შუაბრინჯაოს ხანისა და გარდამავალი ხანის მასალები. ცხადია, ეს ფაქტი თავისთავად მატერიალური კულტურის განვითარების ამ საფეხურთა გენეტიკურ სიახლოვეზე მიგვითითებს. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურთა მსგავსად, გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის დასახელებული თიხის ჭურჭელი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე გასაოცარ იდენტურობას იჩენს, როგორც კეცის სტრუქტურის და დამუშავების, ისე ფორმებისა და შემკულობის მიხედვით.

დასახელებულ კომპლექსებში, როგორც წესი, დიდ იშვიათობას წარმოადგენს ბრინჯაოს იარაღის აღმოჩენა. ამ თავისებურებითაც ისინი უფრო შუა და გარდამავალი ხანის კომპლექსებს უახლოვდება და განსხვავდება გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის კომპლექსებისაგან, რომელთა შემადგენლობაშიც, როგორც წესი, აუცილებელია ბრინჯაოს იარაღების აღმოჩენა.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამარხები შუა და გარდამავალი ხანის ძეგლებს უახლოვდება სამარხთა კონსტრუქციითაც, რადგან ამ ხანის სამარხები უმეტესად ჯერ კიდევ ორმოიან გორასამარხებს წარმოადგენს მისი წინამორბედი ძეგლების მსგავსად.

ჩვენი აზრით, ამ ჯგუფის მასალის ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ მათი შემცველი სამაროვნები უმეტესად გამოცალკევებულია შემდეგი დროის სამაროვნებისგან (სამთავროს სამაროვანი, პირდაპირი მიწების და გადრეკილის სამაროვნები, ღრმა-ღელე). ამ კომპლექსთა ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ისინი ზოგჯერ სრულიად არ გვხვდება, მაგალითად, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანების სამაროვნებზე (გულგულა I და II), ეს მაშინ, როდესაც ამ სამაროვნების სულ ქვედა ფენის მასალები (გულგულა I, მეოთხე, ქვედა ფენა, სამარხი № 24) მათ გენეტიკურად მჭიდროდ უკავშირდება.

---

[26] ნასაღგომარის და პირდაპირი მიწების სამაროვნებზე 1970—71 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. სამარხეული მასალა დაცულია გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[27] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი — ინვ. № 25—61/1—79.

[28] 1939 წ., S, ორმოსამარხი № 153 (ტაბ. $LVIII_2$); 1939 წ., S, ორმოსამარხი № 160 (ტაბ. $LIX_1$); 1939 წ., S, ორმოსამარხი № 139 (ტაბ. $LIX_2$). 1939 წ, S, ორმოსამარხი N 163, (ტაბ. $LX_1$); 1938 წ., S, ორმოსამარხი № 62 (ტაბ. $LX_2$).

შესანიშნავია, რომ ყველა ეს სამარხი სამაროვნის მხოლოდ სამხრეთ უბანზეა კონცენტრირებული, სადაც საერთოდ თავმოყრილია სამთავროს სამაროვნის ყველაზე ადრეული სამარხები.

[29] სშმ, ინვ. № 1510.

[30] ქილა მხარზე პირამიდალურად განლაგებული ნატეიფრი სოლური სახეებით ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[31] სსმ, ინვ. № 40—61/45.

[32] ო. ღამბაშიძემ მოგვცა საშუალება ამ მასალას გავცნობოდით და გამოგვექვეყნებინა ჩვენს ნაშრომში, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მასალები მოგვცა მცირე გათხრითმა სამუშაოებმა სოფ. ლამოვანის მახლობლად მჭადიჯვრის № 2 ნამოსახლარ ბორცვზე (101, გვ. 48). აქ დადასტურდა უშუალოდ ერთიმეორეზე განფენილი ორი კულტურული პლასტი, რომლებიც ურთიერთისაგან აშკარადაა გამოყოფილი. ზედა, I ფენა გამოირჩევა პირმოყრილი ჭურჭლების მრავალფეროვნებით, რომლებიც დამახასიათებელია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი საუკუნეებისათვის და ძვ. წ. XII საუკუნის პირველ ნახევარს აქეთ არ უნდა გადმოსცდეს (81, გვ. 320); ქვედა, მეორე ფენა კი წარმოდგენილია წმინდა თიხისგან დამზადებული, ზედაპირნაპრიალები თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ისინი შემკულია ნაპრიალები — ბადური, ტალღური, სამკუთხედისებური სახეებით, სოლური შტამპით და ჩვენი ვარაუდით გვიანბრინჯაოს ხანის I საფეხურს უნდა მიეკუთვნოს[33].

ამ ჯგუფის მასალის ადრეულობის მანიშნებელი უნდა იყოს ისიც, რომ კახეთში, ნამოსახლარ ბორცვებზე მთისწინა ზოლში, სადაც დასახლება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ჩნდება, ამგვარი კერამიკა სრულიად არ აღმოჩენილა, მაშინ როდესაც იგი მრავლად გამოვლინდა ისეთ ნამოსახლარებზე, სადაც შუაბრინჯაოს ხანის ფენებიცაა დადასტურებული (ალაზნის ველის ნამოსახლარები, წნორი — ყარაღაჯის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, სტალინირის ნაცარგორა[34]). შემთხვევითი აღმოჩენების და დაზვერვების შედეგად შენაგროვი მასალა, ცხადია, ამჟამად არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს.

მაგრამ, ყველაზე მეტყველი ამ ჯგუფის ცალკე, გვიანბრინჯაოს ხანის ადრე, პირველ საფეხურად გამოსაყოფად და მისი არქაულობის სამტკიცებლად მაინც ამ კომპლექსებში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმია.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ კომპლექსთა კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილის კეცი შუაბრინჯაოსა და გარდამავალი ხანის კომპლექსების თიხის ჭურჭლის უმეტესობის მსგავსად, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან და შერეული აქვს თეთრი მბზინავი ნაწილაკები. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომი ხანის და მათ შორის ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდში მსგავსი კეცისგან დამზადებული ჭურჭელი აღარ გვხვდება.

ამგვარად, ამ სტრუქტურის კეცი დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა თიხის ჭურჭლისათვის, იგი ჯერ კიდევ უმეტესობას წარმოადგენს გარდამავალი ხანის კომპლექსთა თიხის ჭურჭელში და მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებზე, შემდგომი — ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდიდან კი თითქმის სრულიად ქრება და ადგილს უთმობს ქვიშანარევი სტრუქტურის თიხის ჭურჭელს, რომელიც უკვე გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან ხდება ძირითადად დამახასიათებელი.

გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლები განვითარების წინა საფეხურების მასალებს უახლოვდება ზოგიერთი თიხის ჭურჭლის კეცის გამოწვითაც. კერძოდ, ამ კომპლექსების თითქმის ყველა ჭურჭელს, რომლებიც წმინდა თიხის სტრუქტურით ხასიათდება, კეცი სარჩულიანი აქვთ (ზედაპირი შავი, სარჩული კი ღია ფერის) ე. ი. ორფენოვნადაა გამომწვარი, რითაც ისინი ისევ და ისევ შუა და გარდამავალი ხანის ძეგლებს უახლოვდება, შემდგომი ხანის ძეგლებისაგან კი განსხვავდება. მაგრამ ამგვარი კეციანი ჭურჭლები ამ კომპლექსებში უკვე მცირე ნაწილს წარმოადგენს, უმეტესობის კეცი ერთფრად ე. ი. კეცის მთელ სიღრმეზე თანაბრად — ლეგა-მოწაბლისფროდ ან მოშავოდაა გამომწვარი. ნიშანდობლივია, რომ არქაული წესი კეცის დამუშავებისა — ორფენოვნად გამოწვა, ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის პერიოდისთვის სრულიად აღარ არის დამახასიათებელი.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ჭურჭელთა ერთი ნაწილის კეცი ფხვიერია, რითაც ისინი შუა და გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს მიემსგავსება, უმეტესობის კეცი კი მკვრი-

[33] როგორც ქვემოთ დავინახავთ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტიპიური თიხის ჭურჭელი არასდროს არ არის შერეული ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირებისა და შედგენილტარიანი სატევრების შემცველ სამარხეულ კომპლექსებთან.

[34] სტალინირის ნაცარგორის პირველი ფენა, როგორც ცნობილია, ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება, მეორე ფენას კი შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს მიაკუთვნებენ (55; 298, გვ. 112), რომელსაც უშუალოდ ადევს ზევიდან III, გვიანბრინჯაოს ხანის I საფეხურის ფენა.

ვია, რითაც უფრო გვიანბრინჯაოს ტიპიურ მასალებს უახლოვდება.

განვითარების ამ საფეხურზე თიხის ჭურჭლის ზედაპირი ჩვეულებრივ შავია და კარგად ნაპრიალები, რითაც იგი კვლავ ადრეულ ნიმუშებს მიემსგავსება. ძალიან მცირე პროცენტს წარმოადგენს მქისეზედაპირიანი ნაკეთობანი.

ამ ჯგუფის ჭურჭლები წინამორბედი ხანის კომპლექსებს უკავშირდება ფორმებითაც, მაგალითად, ჯერ კიდევ დამახასიათებელია ჭურჭლის პირის ლილვაკისებური ბაკო; ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება მაღალღრუფეხიანი ჯამები თუ თასები, რომლებიც დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანისა და გარდამავალი საფეხურის ძეგლებისათვის, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდიდან კი აღარ გვხვდება.

ამ კომპლექსებში ჩნდება პირმოყრილი ჭურჭლები, რომლებიც რ. აბრამიშვილის სწორი შენიშვნით მხოლოდ ადრეული კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი (81, გვ. 320) და მართლაც, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ისინი ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდში ფართო გავრცელებას აღწევს, გვხვდება უშუალოდ მის მომდევნო ეპოქის დასაწყისშიც, შემდეგ კი ქრება (ტაბ. LXIX$_{62, 92, 99, 112, 138, 133, 191, 184}$).

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის მიკუთვნებულ კომპლექსებში ჭურჭლის ყელს ჯერ კიდევ ხშირად აქვს კონუსური მოყვანილობა, რაც მათ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს მატერიალური კულტურის განვითარების წინამორბედ საფეხურებთან, შემდგომ კი ეს თავისებური ნიშანი ასე მკვეთრად გამოხატული აღარ არის (ტაბ. LXIX$_{1, 7, 9, 14, 18, 43, 101, 110}$ და სხვა).

გარდამავალი ეტაპის ბოლო საფეხურზე ჩნდება და გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ერთ-ერთ დამახასიათებელ ფორმად იქცევა მაღალყელიანი და ფართემუცლიანი, წმინდა თიხისგან დამზადებული, ზედაპირნაპრიალები მცირე სასმისები, რომლებსაც პირობითად „მელიღელურს“ ვუწოდებთ (ტაბ. XXV—XXVIII; ტაბ. LXIX$_{61, 63, 64, 75, 97, 98}$).

გვიანბრინჯაოს ხანის ამ საფეხურის თიხის ჭურჭლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, ერთიმეორის საპირისპიროდ მუცელზე ან პირთან მიძერწილი მასიური ოთხკუთხგანივკვეთიანი, მკვეთრწიბოიანი ყურები მრგვალი, ჰორიზონტალური ნახვრეტით.

ამდაგვარი ყურები პირველად ჩნდება განვითარების ამ ეტაპზე, შემდეგ საფეხურზე შედარებით იშვიათია; ადრერკინის ხანიდან კი სრულიად აღარ არის დამახასიათებელი (ტაბ. LXIX$_{104, 106, 109, 168, 169, 184}$ და სხვ).

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებში ხშირია ფართოპირიანი, შვეულკედლებიანი სასმისები გოფრირებული კორპუსით, რომლებსაც პირზე, ერთიმეორის საპირისპიროდ, წინ აღწერილი ფორმის ყურები აქვთ მიძერწილი (ტაბ. LXIX$_{46}$). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კორპუსის გოფრირებაც ამ ჯგუფის თიხის ჭურჭლების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ დეტალს წარმოადგენს.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის ორნამენტული მოტივები მეტად მრავალფეროვანია, რომელთა საშუალებით ამ ეტაპის კომპლექსები კარგად უკავშირდება, როგორც წინამორბედ, ისე შემდეგი დროის მასალებს და ერთდროულად აშკარად გამოირჩევა კიდეც მათგან.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭელზე შუაბრინჯაოს ხანის ნაკეთობების მსგავსად, ფრიზში განლაგებული სახეებით მხრების შემკობის გარდა, ხშირად ვხედავთ ჭურჭლის კორპუსის შემკობას ძირის მახლობლად გოფრირებული ან ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზებით (ტაბ. LXIX$_{81}$).

ამ დეტალით გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭელი მჭიდროდ უკავშირდება გარდამავალი ხანის ნაკეთობებს, რადგან პირველად სწორედ მათზე შეინიშნება შემკობის ეს სქემა, გვიანბრინჯაოს პირველი საფეხურის შემდეგ კი საერთოდ აღარ გვხვდება.

გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კომპლექსებში, რაოდენობრივად კვლავ მცირეა უხეშზედაპირიანი ჭურჭელი. მათი ზედაპირი გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლების მსგავსადაა შემკული, ე. ი. მხარს შემოსდევს ნაკაწრი კონცენტრული, ირიბი ნაჭდევი ან ზონარისებური რელიეფური სარტყელი, კორპუსი დაფარულია ჩარხისეული, წმინდა, ძნელად შესამჩნევი კონცენტრული

ხაზებით, ძირის კიდეს კი ირიბი ღრმა ნაჭდევები ამკობს.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ჩათვლით აღმოსავლეთ საქართველოში ერთგვაროვანი კულტურაა გავრცელებული, ამ პერიოდიდან უკვე ჩნდება ჩანასახი კულტურის დანაწევრებისა, რომლითაც განვითარების შემდეგი საფეხურები ხასიათდება. ამაზე პირველ რიგში მიუთითებს ის ფაქტი, რომ თუ შიდა ქართლში უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი ისევ ტრადიციული, ზემოთ აღწერილი ორნამენტითაა შემკული და ზოგიერთ კომპლექსში კი ისიც აღარ ჩანს, კახეთში, სადაც ამგვარმა ჭურჭელმა შემდეგ განსაკუთრებული გავრცელება მიიღო, უკვე ჩნდება თიხის ჭურჭელი ამ შემდგომი ხანებისათვის დამახასიათებელი შემკობით, რომელზედაც თიხის ჭურჭლის კორპუსის ჩარხისეული წმინდა ხაზები უკვე ორნამენტულ მოტივად იქცა (ტაბ. LXIX).

გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე წმინდაკეციანი თიხის ჭურჭლის შემკობის ძირითად სქემას წარმოადგენს მხარზე, ფრიზში მოქცეული სხვადასხვა სახეები.

ყათნალიხევის და ულიანოვკის № 1 გორასამარხის მასალების მიხედვით ამ დროის კერამიკისათვის დამახასიათებელი რჩება მხრის შემკობა ნაპრიალები ორნამენტის ბადური სახეებით და ვერტიკალური ხაზებით, რაც ისევ შუაბრინჯაოს ხანის მოტივების შემორჩენით უნდა აიხსნას.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კერამიკისათვის, აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების მიხედვით, ყველაზე დამახასიათებელი ხდება მხრის შემკობა კონცენტრული ამოღარული და ტალღური ხაზების არშიით. ორნამენტის ეს სახე ჩნდება გარდამავალი ხანის დასასრულს და ამ ხანის ძეგლებზე ყველაზე ხშირად გვხვდება (ტაბ. $LXIX_{41, 51, 53, 54}$). ასევე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ორნამენტული მოტივია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის მხრებზე გამოსახული ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული ამოღარული ტალღური ხაზის სარტყელი. შემკობის ეს სქემა ამ პერიოდის დასასრულს ჩნდება და უმთავრესად შემდგომი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის დასაწყისის ძეგლებისათვის ჩანს დამახასიათებელი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე (ტაბ. $LXIX_{166, 163, 168, 170}$).

გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის მხრები ზოგჯერ შემკულია სამკუთხედებით, რომელთა შიდა არე, იშვიათად, სავარცხლისკბილისებური წმინდა შტამპითაა ნატეიფრი. ეს ორნამენტული სახე თავის საწყისებს პოულობს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მასალებში და მჭიდროდ უკავშირდება გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის ძეგლებსაც. სავარცხლისკბილისებრი შტამპით ხშირადაა გამოსახული ორნამენტი გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ჯამების პირზე.

ამ ჯგუფის ჭურჭლების ყველაზე მეტად დამახასიათებელ ორნამენტულ სახეს წარმოადგენს — ნატეიფრი სოლური და ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეები; აგრეთვე ოთხკუთხი შიგნით ბადურად დატრიხული ძტამპით ნატეიფრი ორნამენტი, რომლის კუთხეებშიც ხშირად ერთიმეორეში ჩასმული წრეებია ნაჭდევი; ერთიმეორეში ჩასმული ნატეიფრი წრეების გარშემო წერტილოვანი ორნამენტი და ერთიმეორესთან დაკავშირებული სპირალები. ყველა ეს ორნამენტული სახე მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ჩვენს მიერ გამოყოფილი ადრეული საფეხურებისთვისაა დამახასიათებელი (ტაბ. $LXIX_{65, 66, 76-81, 93, 103, 110, 112}$).

შემდგომი ხანის ძეგლებში ძალიან იშვიათად გვხვდება ზოგიერთი ამ ორნამენტის მიბაძვით დატანილი შემკულობა, მაგრამ ისინი აშკარად განსხვავებულ სახეს ატარებენ და შეუძლებელია მათი შერევა ადრეულ ნიმუშებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ორნამენტული მოტივებით შემკული თიხის ჭურჭლის შესახებ განსხვავებული, ჩვენი ვარაუდით, არასწორი აზრია შემუშავებული.

განვიხილოთ მათი საბუთიანობა შემკულობის ყველა ცალკეულ მოტივთან დაკავშირებით.

როგორც წინაც დავინახეთ, სოლური შტამპით ნატეიფრი ორნამენტი თიხის ჭურჭლის მხარზე პირველად ჩნდება გარდამავალი ხანის ძეგლებზე (ბოდბე II, გადრეკილი სამარხი № 6). იგი შესაძლოა ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლების მხარზე ნაკაწრი და ნაპრიალები არშიების მიბაძვით წარმოშობილად მივიჩნიოთ.

ნატეიფრი სოლური ორნამენტი გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის მხრებზე ძირითადად პირამიდალურადაა განლაგებული, თუმცა გვხვდება ორ რიგად, ჯგუფებად დატანის შემთხვევებიც (ტაბ. $LXIX_{65, 91, 102, 103, 110}$ და სხვა)

ამ სახის ტიპიური ორნამენტი, როგორც წე-

სი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის კომპლექსებში ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრისპირებთან და შედგენილტარიან სატევრებთან ერთად აღარ გვხვდება და ამდენად, მათი შემცველი ძეგლის არსებობის პერიოდის ზუსტი განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, ჩვენი მონაცემების მიხედვით, ამ ორნამენტული მოტივით შემკული თიხის ჭურჭელი სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიაზეა გავრცელებული და იფარგლება ცენტრალური ამიერკავკასიის იმავე ტერიტორიით, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურა. მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში დიამეტრალურად განსხვავებულ აზრს ადგანან შემკულობის დასახელებული მოტივის, როგორც დათარიღების, ისე გავრცელების საკითხების კვლევისას.

სოლური შტამპით ნატვიფრი თიხის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში პირველად აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე ფ. ბაიერნის მიერ გათხრილ ერთ-ერთ ორმოსამარხში. ესაა პირფრიალა თიხის ჭურჭელი შემკული ღრმა სოლური ნაჭდევებით და ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეებით (სსმ, ინვ. № 8—02/17) (26, ტაბ. $VIII_2$). შემდეგ მსგავსი ფორმისა და შემკულობის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, როგორც სამთავროს სამაროვანზე (1939 წ. ჩრდილო უბანი, სამარხი № 64), ისე თრიალეთში (46, გვ. 66, სურ. 66) და გოსტიბეს სამაროვანზე (67, გვ. 11, სურ. 2).

როდესაც ბ. კუფტინი თრიალეთში აღმოჩენილ ამგვარ სასმისებს ათარიღებს, მათ პარალელად იშველიებს სამთავროს სამაროვანზე, ფ. ბაიერნის მიერ გათხრილ № 601 სამარხის ინვენტარს, რომელშიც თიხის პირგადაშლილ, ნატვიფრი ორნამენტით შემკულ სასმისთან ერთად ასახელებს ბრინჯაოს თავხვია საკინძს და მოჭიქული ჭურჭლის ფორმის თიხის შავპრიალა ჭურჭელს. შემდეგ ეს კომპლექსი რიგმა ავტორებმა მასში აღმოჩენილი ნივთების მსგავსი ნაკეთობების დასათარიღებლად ამოსავლად გაიხადეს.

მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ, ამ კომპლექსის ჩამოთვლილ ნივთთა ერთად აღმოჩენა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ბ. კუფტინი, როდესაც ამ კომპლექსში შემავალ ნივთებს ასახელებდა, არასწორ ინფორმაციაზე იყო დამყარებული.

ბ. კუფტინი, როდესაც ამ ნივთების ერთად აღმოჩენაზე მიუთითებს (46, გვ. 66), იშველიებს ფ. ბაიერნის ნაშრომს (25) და იმოწმებს ამ ნაშრომის მეცამეტე ტაბულის მეათე და მეოთხე სურათს. ჩვენ შევამოწმეთ ფ. ბაიერნის ნაშრომი, საიდანაც ცხადი გახდა, რომ თვით ფ. ბაიერნს ყველა ტაბულა სამთავროს სამაროვნის მასალით გადაღებული აქვს ვ. ვირუბოვის ცნობილი კატალოგიდან (26), რომელიც როგორც ქვემოთ დავინახავთ, კომპლექსთა აღდგენისათვის სანდო არ არის. 38, 39 და მე-40 გვერდებზე კი, სადაც ფ. ბაიერნი იძლევა სამთავროს უძველესი სამარხების ინვენტარის ჩამოთვლას, იგი ჯერ მუზეუმის აღწერილობის მიხედვით აღნიშნავს, რომ № 600 სამარხში ორი ნივთია ნაპოვნი, № 601-ში კი— ხუთი. ნივთების ჩამოთვლისას კი ირკვევა, რომ № 600 სამარხში ექვსი ნივთი აღმოჩენილა— ბრინჯაოს და რკინის შუბისპირები, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს ფიბულა, ბრინჯაოს სპირალი, ბრინჯაოს საკინძი მცირე თავით, № 601 სამარხში კი — მხოლოდ ორი.

ამგვარად, ცხადია, რომ ეს კომპლექსები ფ. ბაიერნს არეული აქვს და მის აღწერილობაზე დაყრდნობა არ შეიძლება. მაგრამ განვიხილოთ ვ. ვირუბოვის ნაშრომიც, რადგან იგი ფ. ბაიერნისათვის პირველი წყაროა.

ვ. ვირუბოვი აღნიშნავს, რომ № 600 სამარხში აღმოჩნდა (26, გვ. 31, 32) — სარდიონის მძივების ასხმა, ბრინჯაოს საკინძი — მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს რგოლი, ბრინჯაოს შუბისპირი, რკინის შუბისპირი და თიხის შავი ჭურჭელი. № 601 სამარხში კი აღმოჩნდა (26, გვ. 32) ორი ნივთი — ბრინჯაოს საკინძი, რომელიც, როგორც ჩანს, $II_6$ ტაბულაზე გამოსახული ბრინჯაოს თავხვია საკინძია და თიხის შავი ჭურჭელი.

ამგვარად, თუ ამ აღწერილობას მივყვებით, თითქოს № 600 და № 601 სამარხებში თიხის თითო ჭურჭელი უნდა იყოს აღმოჩენილი, მაგრამ ვ. ვირუბოვის ნაშრომის შემდეგ გვერდზე (26, გვ. 23), მერვე ტაბულის აღწერილობაში ნაჩვენებია, რომ № 7 და № 8 თიხის ჭურჭლები თითქოს აღმოჩენილია როგორც ერთ ისე მეორე სამარხში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ. კუფტინმა გამოიყენა ვ. ვირუბოვის ეს ცნობა, როდესაც № 601 სამარხში თიხის ორი ჭურჭლის აღმოჩენა გვაუწყა, მაგრამ რატომღაც მიუთითა ფ. ბაიერნის ნაშრომი, რომელსაც სამარხთა აღწერილობაში მსგავსი არაფერი უწერია.

ამგვარად, ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ როგორც ვ. ვირუბოვს ისე მასზე დაყრდნობით ფ. ბაიერნს და შემდეგ ბ. კუფტინს შერეული აქვთ ორი სხვადასხვა (№ 600 და № 601) სამარხის ინვენტარი და ამ გამოცემებზე დაყრდნობით ამ კომპლექსთა გამოყენება დათარიღების საფუძვლად, ბუნებრივია, გამორიცხული უნდა იყოს.

ჩვენთვის ცნობილ სხვა მასალათა გათვალისწინებით, შეიძლება დავუშვათ მხოლოდ ვარაუდი, რომ № 601 სამარხში აღმოჩენილი უნდა იყოს თიხის პირგადაშლილი ჭურჭელი შემკული ნატვიფრი მცირე წრეებით და სოლებით და ბრინჯაოს თავხვია საკინძი, დანარჩენი ნივთები კი № 600 სამარხის ინვენტარს უნდა მიეწეროს. ეჭვს იწვევს მხოლოდ ბრინჯაოს მშვილდსაკინძის ამ სამარხისათვის მიკუთვნება.

ამგვარად, ნაჭდევი სოლური და ზოგჯერ ერთიმეორეში ჩამჯდარი მცირე წრეებით შემკული პირფრიალა, წელში გამოყვანილი თიხის სასმისები ყოველთვის ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდის მასალებთან ერთად გვხვდება და მათი თარიღი ჩვენი აზრით, არ უნდა გადმოსცდეს ძვ. წ. XII საუკუნეს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს სოლური შტამპის ყველაზე გვიანდელი სახეშეცვლილი გამოვლენაა. ტიპიური სოლური შტამპით შემკული ჭურჭლები კი უფრო ადრეულ კომპლექსებს ეკუთვნის და არასოდეს არ გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურის ძეგლებზე.

ამგვარი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლები აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის სამ სამარხში—№ 62, 1938 წ. (ტაბ. $LX_2$); № 139, 1939 წ. (ტაბ. $LIX_2$) და № 160, 1939 წ. (ტაბ. $LIX_1$). მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა ეს სამარხი გვიანბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდს მიეკუთვნება და ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებს წინ უსწრებს, ისინი რატომღაც არ მოხვდა ტ. ჩუბინიშვილის ნაშრომში, რომელიც მიძღვნილია სამთავროს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ხანის სამარხების შესწავლისადმი (50).

ღრმა-ღელის გორასამარხთა ინვენტარის შესწავლასთან დაკავშირებით, დ. ქორიძე განიხილავს სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის ამ რიგის სამარხების ინვენტარს და ისინი ოდნავ ადრეულად მიაჩნია ჩრდილო უბნის უძველეს ორმოსამარხებთან შედარებით (74, გვ. 148). მაგრამ შემდეგ მათ თარიღს დაახლოებით ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ სამარხებს უთანაბრებს, რადგან ეს სხვაობა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად არ მიაჩნია. ეს კარგად ჩანს იქ, სადაც ავტორი ფოთლისებური სატევრისპირებისა და თავხვია საკინძების შემცველ სამარხებს მიაკუთვნებს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველ საუკუნეებს, მისი სიტყვით, გარდამავალ საფეხურს შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის (74, გვ. 150—151) და ცხადია, ამ კომპლექსებსა და შუაბრინჯაოს ხანის მასალებს შორის საშუალედო სხვა ძეგლების არსებობას აღარ გულისხმობს.

მაგრამ ჩვენ ამ სამარხების ქრონოლოგიურად გაერთიანებას ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებთან გამოვრიცხავთ, რადგან, როგორც შევნიშნეთ, მათთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლები არასოდეს არ გვხვდება ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრისპირებთან ერთად და თანაც ისინი გამოირჩევა მთელი რიგი არქაული ნიშნებით (კეცის სტრუქტურა და დამუშავება, ფორმები, შემკულობა), რაც ამგვარ გაერთიანებას დაუშვებელს ხდის.

სოლური, ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეების და გადაბმული სპირალების შტამპით დატანილი ტვიფრული ორნამენტი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სტალინირის ნაცარგორის III ფენის და უფლისციხის მახლობლად ყათნალიხევის ნამოსახლარის II ფენის მასალებში.

როგორც ცნობილია, გ. გობეჯიშვილმა ნაცარგორის III ფენის მასალები ჯერ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა (55, გვ. 268—269), ხოლო შემდეგ ეს თარიღი დააზუსტა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით შემოიფარგლა (10, გვ. 159), ბოლოს კი მეტად ზოგადად, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანით განსაზღვრა (24, გვ. 297). პირველ ნაშრომში ნაცარგორის III ფენის წინასწარი დათარიღებისათვის მოშველიებული მასალა დროის დიდი მონაკვეთისთვისაა დამახასიათებელი და კონკრეტული თარიღის მისაღებად, ვფიქრობთ, ნაკლებგამოსადეგი. შემდეგ ნაშრომებში კი, რადგან ისინი ზოგად ხასიათს ატარებენ, სრულიად არაა მოცემული ახალი თარიღების დასაბუთება. ამდენად, ეს ზოგადი მოსაზრებები ჩვენი მასალის დასათარიღებლად, ვფიქრობთ, არ გამოგვადგება და, შესაძლოა, უფრო სა-

ყურადღებო იყოს გ. გობეჯიშვილის ის განცხადება, რომ ნაცარგორის ნამოსახლარზე III ფენის კულტურა პირდაპირი გაგრძელებაა II ფენის კულტურისა (55, გვ. 251, 253), რომელიც როგორც შევნიშნეთ, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება. აქედან კი ის დასკვნა უნდა მივიღოთ, რომ ნაცარგორის III ფენის მასალა შუა ბრინჯაოს ხანის უშუალოდ მომდევნო, ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

დ. ხახუტაიშვილის აზრით, ყათნალიხევის ნამოსახლარის II ფენის დათარიღების ძირითად კრიტერიუმს იძლევა თიხის ჭურჭლის ფორმები და დეკორი, რომელიც მეტ მსგავსებას იჩენს ნაცარგორის III ფენის მასალებთან, ვიდრე ხოვლესა და სამთავროს თიხის ჭურჭელთან (89, გვ. 44—48).

ძეგლის დათარიღების თვალსაზრისით იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნატვიფრ სოლურ ორნამენტს.

ითვალისწინებს რა პირველიალა ჭურჭლების აღმოჩენას სამთავროს და ბეშთაშენის სამაროვნებზე ადრეულ მასალასთან ერთად, დ. ხახუტაიშვილი იზიარებს დ. ქორიძის ვარაუდს სოლური ორნამენტის ძვ. წ. XIV—XIII სს-ში ჩასახვის შესახებ. მაგრამ არ გამორიცხავს ამგვარი ორნამენტის არსებობას შემდგომ ხანებშიც. რადგან, მისი განცხადებით, ა. კალანდაძე მსგავსი შემკულობის მქონე ჭურჭლების შემცველ სამთავროს სამაროვნის № 62 და № 160 სამარხებს ძვ. წ. XII—XI საუკუნეებს მიაკუთვნებს. ყათნალიხევის ნამოსახლარის II ფენის დათარიღებისათვის დ. ხახუტაიშვილი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტის აღმოჩენას ხოვლეს IV ფენაში, რომელიც ძვ. წ. IX—VIII სს. თარიღდება და კენჭყარას გორაზე, რომელიც ქრონოლოგიურად ხოვლეგორას IV—V ფენებს, ე. ი. ძვ. წ. XII—VIII სს. შეესაბამება. ამაზე დაყრდნობით დ. ხახუტაიშვილი ყათნალიხევის II ფენას ხოვლეგორის IV—V ფენების სინქრონულად მიიჩნევს (89, გვ. 44—47).

ჩვენი აზრით, ამ მონაცემებით სოლური შტამპით შემკული ჭურჭლის, და ამის საფუძველზე ყათნალიხევის II ფენის დათარიღება ძვ. წ. XII—VIII საუკუნეებით, არ არის სწორი.

ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ სამთავროს სამაროვნის № 62, № 160 და სხვა სამარხები, რომლებშიაც სოლური შტამპით შემკული ჭურჭლები აღმოჩნდა, ძვ. წ. XII—XI სს. მივაკუთვნოთ. პირიქით, მათ აქვთ მრავალი ისეთი არქაული ნიშანი, რომელიც ამ კომპლექსებს ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის წინა პერიოდს უკავშირებს და ვერავითარ შემთხვევაში ამ უკანასკნელი კომპლექსების თანადროულადაც კი ვერ ჩავთვლით მათ.

ხოვლეგორის მასალების გამოყენება ყათნალიხევის II ფენის დასათარიღებლად კი სრულიად დაუშვებელი გვგონია.

დ. ხახუტაიშვილის შენიშვნით, ხოვლეს და ყათნალიხევის კერამიკული მასალა ძირეულად განსხვავდება ერთიმეორისაგან, ამდენად ისინი სხვადასხვა კულტურის კუთვნილი ძეგლებია. ერთი — შიდა ქართლის მტკვრის მარცხენა ნაპირის დამახასიათებელი კულტურაა, მეორე კი — მარჯვენასათვის და რადგან მტკვრის მარცხენა ნაპირისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი (აქ იგულისხმება სოლური ორნამენტით შემკული ჭურჭელი) აღმოჩნდა ხოვლეგორის კარგად სტრატიფიცირებული ძეგლის კულტურულ ფენაში, ამიტომ მათი სინქრონულობა ბუნებრივია.

ამ თარიღის შესამაგრებლად და ხოვლეს IV—V ფენებისა და ყათნალიხევის II ფენის სინქრონულობის დასამტკიცებლად დ. ხახუტაიშვილი იშველიებს აგრეთვე ამ ჰორიზონტებში აღმოჩენილ რელიეფური ზონარისებური ორნამენტით შემკულ, მსხვილკვიშანარევი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომლებიც, მისი ვარაუდით, პარალელურ მასალას შავიზღვისპირეთის სტრატიფიცირებულ ძეგლებზე პოულობს (89, გვ. 47).

ჩვენ არ ვიზიარებთ ზემოთ ჩამოთვლილ შეხედულებებს და ვფიქრობთ, რომ ხოვლეგორის IV—V ფენებისა და ყათნალიხევის II ფენის მასალები სხვადასხვა სინქრონულ კულტურებს კი არ ეკუთვნის, არამედ ისინი ერთი კულტურის, ერთიმეორისგან ქრონოლოგიურად დაცილებულ, სხვადასხვა ეტაპებს წარმოადგენენ.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა ყურადღება იმაზე გავამახვილოთ, რომ ხოვლეში აღმოჩენილი, სოლური ნატვიფრი ორნამენტით შემკული ერთი ნატეხი (89, გვ. 47), როგორც კეცის ფაქტურით, ისე დამუშავებითა და შემკულობით, ხოვლეგორას ნამოსახლარზე, სამაროვანზე და სახელოსნოზე რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებუ-

ლი გათხრების შედეგად მოპოვებულ ათასობით თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან, თვით დ. ხახუტაიშვილის განცხადებით, არცერთს არ ჰგავს. ამ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, რომ აქ ის შემთხვევით, რაიმე ადრეული ძეგლის დაზიანების შედეგად მოხვედრილად მიგვეჩნია, მით უმეტეს, რომ ხოვლეს ნამოსახლარზე ჩვენ სხვა ამგვარი შემთხვევებიც გვაქვს, როგორც III ისე IV და V ფენებში (318). ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სოლური ორნამენტით შემკული ჭურჭელი, როგორც დავინახეთ, საკმაოდ ადრეულია და არ შეიძლება სინქრონული იყოს ხოვლეგორაზე დადასტურებული რომელიმე კულტურული ფენისა.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ როგორც დავინახეთ, ამგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭელი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისთვისაა დამახასიათებელი, რაც არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს უფლებას იგი მხოლოდ შიდა ქართლში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გავრცელებული მატერიალური კულტურის დამახასიათებელ ნაკეთობებად ჩავთვალოთ და ამის საფუძველზე აქ ცალკე კულტურის არსებობა ვიგულისხმოთ.

ასევე ვფიქრობთ, არ არის სწორი ხოვლეს IV—V ფენებისა და ყათნალიხევის II ფენის უხეშკეციანი, რელიეფური ზონარისებური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლების დაკავშირება შავიზღვისპირეთის მასალებთან, რადგან ამგვარი კეცისა და შემკულობის ჭურჭლები დამახასიათებელია სწორედ ცენტრალური ამიერკავკასიისათვის და თანაც მხოლოდ გარდამავალ ხანაში შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის და გვიანბრინჯაოს ხანის I საფეხურზე, უფრო სწორად იმ პერიოდებში, რომლებიც ფოთლისებური სატევრისპირების არსებობას უსწრებენ წინ.

სოლური შტამპით შემკული თიხის ჭურჭელი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა „მელი-ღელე“ I სამილოცველოზე (ტაბ. XXXI$_2$), აქ ეს ორნამენტი ჩვეულებრივ დატანილია ადრეული იერის მქონე თიხის ჭურჭელზე, რომლის თიხა წმინდადაა განლექილი და თეთრი წვრილი ნაწილაკები ურევია, გამომწვარია თანაბრად ან ორფენოვნად (სარჩულიანია), შიდა შრე ლეგად, გარე კი შავად. ამ ჭურჭლებს ზედაპირი ჩვეულებრივ შავი და კარგად ნაპრიალები აქვთ. „მელი-ღელე“ I სამლოცველო რამდენიმე საუკუნის მასალას შეიცავს და ამის გამო მისი თარიღი საკმაოდ დიდი პერიოდითაა განსაზღვრული, კერძოდ, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით, უფრო ზუსტად იმ მონაკვეთით, რომელიც წინ უსწრებს ადრერკინის ხანას (187, გვ. 300).

სოლური ნატვიფრი ორნამენტის დათარიღებისათვის მეტად მნიშვნელოვანი კომპლექსები გამოვლინდა სოფ. გადრეკილის დასავლეთით „ნასადგომარის“ მინდორზე აღმოჩენილ სამარხებში და მის ჩრდილო-დასავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე „პირდაპირი მიწების“ სამაროვანზე. აქ სოლური ორნამენტით და ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეების შტამპით ნატვიფრი თიხის ჭურჭლის შემცველი მრავალი სამარხი გაითხარა. სამარხეული ინვენტარი, როგორც წესი, მხოლოდ თიხის ჭურჭლით და სხვადასხვა სამკაულითაა წარმოდგენილი (ტაბ. LXI$_1$; LXI$_2$; LXIX).

ლითონის სამკაულები მხოლოდ ბრინჯაოსაგან და ანტიმონისგანაა დამზადებული და მათი უმეტესობა ზუსტ ანალოგიებს ართიკის უძველეს სამარხებში და ულიანოვკის № 1 სამარხში პოულობს, რაც მათ თარიღს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებით განსაზღვრავს.

კახეთში ამგვარი კერამიკა ან ბრინჯაოს ეს ნაკეთობანი თითქმის არასოდეს აღარ გვხვდება ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევართა შემცველ კომპლექსებში.

ნასადგომარის და პირდაპირი მიწების სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის უმეტესობა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, თეთრი წვრილი ნაწილაკების ჩანართებით. კეცი ხშირად ორ ფენადაა გამომწვარი, სარჩულიანია და ტიპიურ შუაბრინჯაოსა და გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭლის კეცს ემსგავსება. ამ ჭურჭლების ზედაპირი ჩვეულებრივ შავპრიალაა.

ამ კომპლექსებში ხშირად გვხვდება მაღალქუსლიანი ან მაღალღრუფეხიანი სასმისები, რომელთა ფორმა დამახასიათებელია გარდამავალი ხანის ძეგლებისათვის, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან კი საერთოდ აღარ გვხვდება. აქ ხშირია პირმოყრილი ჭურჭლებიც, რომლებიც, სრულიად სამართლიანად, მხოლოდ ადრეული რკინის ხანის წინა პერიოდის კომპლექსებისთვის ჩვეულ ფორმადაა მიჩნეული. ამ სამარხებში ჯერ კიდევ იშვიათია მსხვილქვიშანარევი კეცის მქონე თიხის ჭურჭლები, რომელთა ზედაპირი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა დასერილი, მხარზე ირიბი

ნაჭდევების სარტყელი ან ჯერ კიდევ რელიეფური, ზონარისებური არშია შემოსდევს, ძირის კიდეს კი ირიბი მოკლე ნაჭდევები ამკობს და ხშირად ზუსტად გარდამავალი ხანისათვის ტიპიურ ჭურჭელთა ორნამენტულ მოტივს იმეორებს, ზოგჯერ კი უკვე გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი სახეებით აქვს შემკული მთელი ზედაპირი.

გარდამავალი ხანის ძეგლების მსგავსად, ამ სამარხთა თიხის ჭურჭელზე ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება შემკობის ორ სარტყლად დატანის წესი — მხარზე და ძირთან.

ნასადგომარის სამარხებში გამოვლენილ ჭურჭელზე ხშირად გვხვდება სოლური და ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეების შტამპით ნატვიფრი ორნამენტული მოტივი, რომელიც უკვე შემდგომი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის კომპლექსებში, რომელიც შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრებით ხასიათდება, აღარ გვხვდება.

ამგვარად, სოლური შტამპით ნატვიფრი ორნამენტული მოტივი ახასიათებს ისეთ კომპლექსებს, რომლებიც მთელი რიგი არქაული თავისებურებებით ხასიათდება და რომლებიც არ გააჩნია დღემდე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპად მიჩნეულ კომპლექსებს (ფოთლისებური სატევრისპირების შემცველს). ამასთანავე, ისინი, როგორც წესი, ამ უკანასკნელთან ერთად არასოდეს არ გვხვდება. ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ამ კომპლექსთა არევა შეუძლებელია და რომ სოლურ და მასთან ერთად ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეების შტამპით ნატვიფრი სახეებით შემკული ჭურჭლების შემცველი კომპლექსები ქრონოლოგიურად აუცილებლად ცალკე უნდა გამოიყოს და ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი სამარხების წინა პერიოდს მიეკუთვნოს.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ის ვარაუდი, რომელიც სოლური შტამპით ნატვიფრი ჭურჭლების შემცველ კომპლექსებს აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურისთვის დამახასიათებლად თვლის ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან რკინის ბატონობის პერიოდის ჩათვლით (74, გვ. 137; 89, გვ. 45—49).

ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც პირამიდალურად განლაგებული სოლებით შემკული თიხის ჭურჭელი რკინის ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სამარხში. ესაა ასტხიბლურის № 20 სამარხში აღმოჩენილი მაღალყელიანი ქილა, ბრტყელი შვერილი ყურით (427, ტაბ. $III_5$).

როგორც ადრეც შევნიშნეთ, ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის გვიანბრინჯაოს-რკინის ხანის ხაწარმის შემკულობაში ყველაზე ხშირადაა შემორჩენილი ადრეული ელემენტები და შესაძლოა ასტხიბლურის № 20 სამარხში აღმოჩენილი სოლური ორნამენტი თიხის ჭურჭელზე სწორედ ერთ-ერთი ამგვარი გამოვლინებაა.

დასახელებულ პუნქტებს გარდა, სოლისებური ნატვიფრი სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი შემთხვევით აღმოჩნდა ბულაჩაურში (სსმ, ინვ. № 4—50/1), კაკაბეთში (89, გვ. 44, ტაბ. $XXV_7$), ბორჯომის მიდამოებში (74, გვ. 136), ფლავისმანში და სხვა.

ამგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილო-დასავლეთ სომხეთსა და მის მიმდებარე მხარეშიც — სევანის ტბის მიდამოები (სსმ, ინვ. 50—06); მდინარე ზანგის მარჯვენა ნაპირზე, თაზაკენტში (74, გვ. 136); ხანლარში (284, გვ. 50—55, სურ. 22, 23), ართიკში (285), მჭადიჯვრის ნამოსახლარის ქვედა, მეორე ფენაში (101) და სხვა.

ამგვარად, ჩვენ ჩამოვთვალეთ სოლური შტამპით ნატვიფრი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის აღმოჩენის თითქმის ყველა შემთხვევა, საიდანაც ცხადი გახდა, რომ იგი გავრცელებულია ცენტრალური ამიერკავკასიის სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიაზე და მოიცავს თითქმის სწორედ იმ ტერიტორიას, რომელზედაც გავრცელებული იყო შუაბრინჯაოს ხანის ე. წ. თრიალეთური კულტურა.

ამის საფუძველზე, თავისთავად ცხადია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ ავტორთა ვარაუდს, რომლებიც ამ ორნამენტული სახის გავრცელების საზღვრებს თითქმის მთელი ამიერკავკასიით შემოფარგლავენ (74, გვ. 137), ან პირიქით, რომელიმე მცირე ტერიტორიით ზღუდავენ (89, გვ. 44—47).

როგორც უკვე არაერთხელ შევნიშნეთ, ჩვენ მიერ გვიანბრინჯაოს პირველი საფეხურისათვის მიკუთვნებული კომპლექსებისათვის სოლური შტამპით ნატვიფრ ორნამენტულ მოტივთან ერთად დამახასიათებელია ამავე ტექნიკით დატანილი მცირე, ერთიმეორეში ჩასმული წრეებით შემ-

კობა და ამგვარი წრეები გარშემო განლაგებული წერტილებით (ტაბ. LXIX$_{65, 66, 78-79, 107, 112}$), რომლებიც გენეტიკურად უკავშირდება შუაბრინჯაოს ხანის მთელ რიგ ჭურჭლებზე გამოსახულ ორნამენტულ მოტივებს (194, ტაბ. XIII, XIV, XX, XXI, სურ. 15, 17, 19, 25, 33, 36, 37, 49, 50, 55, 60 და სხვა).

მართალია, ორნამენტის ეს სახე ჯერჯერობით არ გვხვდება გარდამავალი ხანის ძეგლებზე, მაგრამ ამან არ უნდა მოგვცეს რაიმე საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის საბაბი, რადგან გარდამავალი ხანის ძეგლებში დღეისთვის მაინც მცირე რაოდენობითაა შესწავლილი და არ უნდა იყოს გამორიცხული, შემდეგში ამ შუალედურ რგოლში მსგავსი ორნამენტის აღმოჩენის შესაძლებლობა.

მცირე, ერთიმეორეში ჩამჯდარი წრიული შტამპი ან ამგვარი შტამპი გარშემო წერტილებით, როგორც წესი, გვხვდება სოლური სახეებით შემკული თიხის ჭურჭელთან ერთად და თითქმის არასოდეს არ ჩანს შემდეგი დროის, უფრო ზუსტად, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის, ე. ი. ფოთლისებური სატევრისპირების ან შედგენილტარიანი სატევრების პერიოდის კომპლექსებში. გვაქვს მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩნდა თავხვია საკინძთან ერთად ბაიერნის მიერ გათხრილ სამთავროს ერთ-ერთ ორმოსამარხში[35].

მსგავსი ორნამენტით შემკულ თიხის ჭურჭელს „რედკინ ლაგერიდან" ა. მარტიროსიანი, ვფიქრობთ, არასწორად აქცევს ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების სომხეთისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად (23, ტაბ. XXXVI$_{IV-7}$). ამ ჭურჭლისთვის კონკრეტული თარიღის დასადგენად ავტორს არავითარი საყრდენი არა აქვს. ისე კი ამ ჭურჭლის ფორმის (პირმოყრილი ქვაბქოთანა) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ადრერკინის ხანის წინამორბედი პერიოდის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ.

დასახელებულ პუნქტებს გარდა, მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე (სამარხი № 153), ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის დროს, ნაცარგორის მესამე ფენაში, ყათნალიხევის ნამოსახლარის II ფენაში, გადრეკილის სამაროვანზე, „მელი-ღელე" I სამლოცველოზე, ხანლართან, ღრმაღელეში და ყველა ეს აღმოჩენა მათ ადრეულ თარიღს უჭერს მხარს.

სოლებით და ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეებით ნატეიფრ თიხის ჭურჭელთან ერთად ხშირად ჩნდება თიხის ჭურჭელი, რომელიც სავარცხლისკბილისებრი შტამპითაა ნაჭდევი. ამ სახეებით ძირითადად ჭურჭლის პირის ზედა, ბრტყელი ნაწილებია შემკული.

ბ. კუფტინი ამ სახის ორნამენტის აღმოჩენას შიდა ქართლში დასავლურ გავლენას მიაწერდა (59, გვ. 62). შემდეგ დ. ქორიძემაც გაიზიარა ეს ვარაუდი. მისი სიტყვით, სავარცხლისკბილისებრი შტამპით ნატეიფრი სახეები არ გვხვდება თბილისის აღმოსავლეთით და სამხრეთით აღმოჩენილ მასალებზე, მაშინ როდესაც იგი ძალიან ხშირია თბილისის დასავლეთით, შიდა ქართლში (მაგ. ნაცარგორის მასალებზე) და განსაკუთრებით დამახასიათებელი კი კოლხეთისთვის ჩანს (74, გვ. 145). შემდეგშიც არაერთმა ავტორმა გამოთქვა იგივე მოსაზრება.

ვფიქრობთ, აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან, როგორც ცნობილია, სავარცხლისკბილისებრი შტამპით თიხის ჭურჭლის შემკობა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ ჩანს გავრცელებული შუაბრინჯაოს ხანაში ე. წ. თრიალეთური კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. ეს ორნამენტული სახე გვხვდება, ე. წ. გარდამავალი ხანის ძეგლებზეც და მათ შემდეგ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კომპლექსებშიც. ვფიქრობთ, იგი მისი წინამორბედი კულტურების დამახასიათებელი ნიშნის ანარეკლია. ეს ორნამენტული მოტივი აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ჭურჭელზე საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, მაგალითად, შედგენილტარიანი სატევრების პერიოდშიც (გულგულა, მელი-ღელე, ბაკურციხე) და შემდეგაც. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ეს ორნამენტი, ყოველ შემთხვევაში შუაბრინჯაოს ხანიდან მაინც, აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელებას წარმოად-

[35] როგორც წინაც შევნიშნეთ, ამ სამარხისათვის შედარებით გვიანი მასალების მიკუთვნება სხვადასხვა კომპლექსის აღრევის შედეგად მოხდა.

გებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაწეროთ გარე კულტურათა ზეგავლენას[36].

სოლურ და მცირე, ერთიმეორეში ჩასმულ წრეებთან ერთად ამ ხანის თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია შტამპით ნატვიფრი, ერთიმეორესთან გადაბმული სპირალური ორნამენტი. ეს ორნამენტული მოტივი მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე გვხვდება — ნასადგომარის სამაროვანზე, „მელი-ღელე“ I სამლოცველოზე, ბაკურციხის (ტექნიკუმთან) სამაროვანზე, ყაუნალიხევის ნამოსახლარის II ფენაში, ართიკის სამაროვანზე და სხვა (ტაბ. LXIX$_{78}$).

ჩვენი აზრით, არ არის დასაბუთებული ა. მარტიროსიანის მიერ ამგვარი ორნამენტით შემკული ერთი ჭურჭლის მიჩნევა სომხეთის ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების ძეგლებისთვის დამახასიათებლად (23, ტაბ. XXXVI$_{IV-14}$). ჯერ ერთი, ამ ჭურჭლის ადრეულობაზე მიუთითებს თვით ამ ჭურჭლის ფორმა, რომელიც პირმოყრილ ქვაბქოთანას წარმოადგენს, ხოლო მეორეც ის, რომ იგი აღმოჩენილია მაკარაშენში გათხრილ № 2 სამარხში. ამ სამარხის ინვენტარის (23, სურ. 79), ადრეულობა ეჭვს არ იწვევს თუნდაც მასში აღმოჩენილი ხუთკოპიანი კვერთხისთავის გამო, რომელიც რ. აბრამიშვილს დამაჯერებლად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით აქვს დათარიღებული (53, ტაბ. I 228; 81, გვ. 317).

გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის კომპლექსთა თიხის ჭურჭლის შემკულობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოტივს წარმოადგენს ოთხკუთხი, შიგნით ბადურად დაშტრიხული შტამპით ნატვიფრი ორნამენტი, რომლის კუთხეებშიც ხშირად ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეებია ნაჭდევი (ტაბ. LXIX$_{93, 112}$). ამგვარი ორნამენტი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის, 1939 წელს გათხრილ № 153 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელზე, „მელი-ღელე“ I სამლოცველოზე აღმოჩენილ ჭურჭლებზე (ტაბ. XXXIII$_1$), ღრმაღელის ერთ-ერთ სამარხში გამოვლენილ ჭურჭელზე და სხვა. ცენტრალური ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ ამ სახის ორნამენტი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. როგორც ადრეც შევნიშნეთ, საგულისხმოა, რომ შემკობის ეს მოტივი პროტოტიპს შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ორნამენტაციაში პოულობს. მსგავსი ორნამენტული მოტივი გვხვდება გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელზეც (ზემოთ ბოდბე II) და გვიანბრინჯაოს ხანის I საფეხურის შემდეგ საერთოდ ქრება.

ჩვენ დაუსაბუთებელი გვგონია ს. ესაიანის ვარაუდი, როდესაც იგი ასტხიბლურში გათხრილ № 17 სამარხს, რომელშიც ამგვარი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა (427, ტაბ. I$_9$), ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ამ სამარხში ერთ-ერთ ჭურჭელზე თხების მსგავსი გამოსახულება პარალელს პოულობს ისეთ ჭურჭელთან, რომელიც კარგად თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით და საბუთად მოაქვს საშუალო სკოლის მასწავლებლის მიერ შემთხვევით გათხრილი სამარხის ინვენტარი (427, გვ. 84). ჩვენის აზრით, არ გამოდგება ამ სამარხის ავტორისეული თარიღის შესამაგრებლად მის მიერვე მოტანილი სხვა პარალელური მასალაც, რადგან ისინი ამ სამარხის სწორედ ადრეულობას უჭერენ მხარს და არა პირიქით — მაგ., მაკარაშენის № 2 სამარხის ინვენტარი, მინგეჩაურის მასალები და სხვა. სხვა რომ არა იყოს რა, ასტხიბლურის № 17 სამარხის ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს აქ აღმოჩენილი პირმოყრილი ჭურჭელი.

ამგვარად, თითქოს სრულიად ცხადია, რომ ჩვენ მიერ გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურად გამოყოფილი კომპლექსები ფოთლისებურ სატევრისპირების შემცველ კომპლექსებზე არქაულია, როგორც მთელი რიგი ზოგადი მონაცემებით (ნამოსახლარებზე კულტურული პლასტების განფენა და სხვა), ისე თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტურით, დამუშავებით, ფორმებითა და შემკულობით. ეს კი უფლებას გვაძლევს ისინი ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებზე ადრეულად მივიჩნიოთ, უშუალოდ გარდამავალი ხანის თანამიმდევრულად ჩავთვალოთ და განვითარების ქრონოლოგიურ-ეტაპობრივ სქემაში ცალკე ჯგუფად გამოვყოთ.

გვიანბრინჯაოს ხანის პირველ (ადრეულ) საფეხურს, ვფიქრობთ, ქრონოლოგიურ სკალაში უნდა დაეთმოს პერიოდი არანაკლებ ერთი ასეული წლისა. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს დიდ ფართობზე გადაჭიმუ-

[36] ამგვარი ორნამენტის პირველი გამოჩენა აღმოსავლეთ საქართველოში შუაბრინჯაოს ხანას ემთხვევა, როდესაც მისი გავრცელება შესაძლოა რაიმე უცხოურ გავლენას მიეწეროს კიდეც, მაგრამ ამჟამად ეს ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

ლი ამ დროის სამაროვნების არსებობა და ნაცარგორის, ყათნალიხევის, მჭადიჯვრის ნამოსახლარებისა და „მელი-ღელე" I სამლოცველოს სათანადო მძლავრი კულტურული ფენები.

ვინაიდან ეს პერიოდი გარდამავალი ხანის უშუალო გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, ამიტომ მას ვათარიღებთ ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIII ს. პირველი ნახევრით.

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, გარდამავალმა და გვიანბრინჯაოს ხანის პირველმა საფეხურმა, ქრონოლოგიურ სკალაში დაიკავა ის მონაკვეთი, რომელშიც ჩვენამდე ათავსებდნენ ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდის ძეგლებს.

ამ ვითარებაში ცხადია, საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ ქრონოლოგიურ სქემაში, უპირველეს ყოვლისა ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების თარიღის გაახალგაზრდავების თვალსაზრისით. ამან კი, ბუნებრივია, სავალდებულო გახადა შევამოწმოთ ის საბუთიანობა, რომელზე დაყრდნობითაც ამ კომპლექსებისათვის მიღებული ჰქონდათ ადრეული თარიღები და გავარკვიოთ რამდენად მყარი და ხელშეუვალია ივი. პირველად ამ კომპლექსებისათვის ამდენად ადრეული თარიღი შემოგვთავაზა ტ. ჩუბინიშვილმა.

მან შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის მასალები და გვიანბრინჯაოს ხანის ის კომპლექსები, რომლებიც ფოთლისებური სატევრისპირებით ხასიათდება ქრონოლოგიურად თანამიმდევრულად ჩათვალა, რადგან ამ ორი პერიოდის მასალებს შორის გენეტიკურ კავშირს გაადევნა თვალი. მისი აზრით, სამთავროს ამ სამარხთა დასათარიღებლად რაიმე მყარი მონაცემი არ მოგვეპოვება და ამიტომ — ფოთლისებური სატევრისპირების, თავხვია საკინძების და თხელფირფიტოვანი ისრისპირების მხოლოდ შორეული (კრეტამიკენური და მცირეაზიური) პარალელების მოშველიებით კმაყოფილდება, თუმცა, მისივე შენიშვნით, ჩამოთვლილ იარაღებს ზუსტად არცერთი არ ემსგავსება (50, გვ. 98). მიუხედავად ამისა, ამ პარალელური მასალის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ „...ძვ. წ. XVI—XIV საუკ. შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ იმ საზღვრად, რომელიც ჩვენში შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანას ურთიერთისაგან ჰყოფდა" (50, გვ. 99). შემდეგ კი წერს, რომ შიდა ქართლში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი უკავშირდება, როგორც წინამორბედ შუაბრინჯაოს ხანის მასალებს, ისე შემდეგი დროის ძეგლებს და მისი კულტურის განვითარების ფარგლები ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებით უნდა შემოიფარგლოს (50, გვ. 103).

ამგვარად, ფაქტიურად ტ. ჩუბინიშვილს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი სამარხების დასათარიღებლად აქვს მხოლოდ ერთი, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის მეტ-ნაკლებად მყარი თარიღი და რადგან გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შუაბრინჯაოს ხანის მასალებს გენეტიკურად უკავშირებს და მისი შემდგომი დროის კუთვნილად მიიჩნევს, ამდენად ძვ. წ. XV—XIV სს. ათარიღებს კიდეც.

ჩვენი აზრით კი, ფოთლისებური სატევრისპირების კომპლექსთა არც ლითონისა და არც თიხის ნაკეთობანი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან უახლოეს გენეტიკურ კავშირს არ ავლენს [თიხის ჭურჭლის კეცი, ფორმები და შემკულობა სრულიად განსხვავებულია, ასევე ძალიან შორსაა შუაბრინჯაოს ხანის მასალებისაგან ლითონის ნივთეთებიც, მაგრამ თუ რაღაც შორეული მსგავსება ჩანს კიდეც, და ის ნამდვილად ჩანს, ეს არც უნდა იყოს გასაოცარი, რადგან ისინი ერთი კულტურის განვითარების სხვადასხვა (მაგრამ არა თანამიმდევრულ) საფეხურებს წარმოადგენენ] და მათთვის ამდენად ადრეული თარიღის დადგენა მათი მსგავსებითა და გენეტიკური სიახლოვით არ არის სწორი.

როგორც დავინახეთ, შუაბრინჯაოს ხანის მასალებთან გენეტიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენ მიერ გამოყოფილი ჯერ გარდამავალი ხანის და შემდეგ კი გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის ძეგლები, ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსები კი, რომლებსაც ჩვენ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურში ვაქცევთ, შუაბრინჯაოს ხანის შეუდარებლად მცირე ნიშნებს ატარებს.

ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის პერიოდის თარიღის განსაზღვრა სულ ახლახან სცადა რ. აბრამიშვილმაც (81, გვ. 307—334).

იგი წერს, რომ რადგან „...შიდა ქართლის, ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის დროინდელი ძეგლების ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო ხანის მასალების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, ამდენად, ბუნებრივია, ე. წ. გვიანი

ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ზედა საზღვარი ძვ. წ. XIV საუკუნის ბოლოთი დავათარიღოთ. რაც შეეხება მის ქვედა საზღვარს, ტ. ჩუბინიშვილი მას ძვ. წ. XV ს. განსაზღვრავს. შესაძლებელია ამ პერიოდის ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ. წ. XV ს. დასაწყისამდე არ მოდის, მაგრამ, ჩვენი აზრით, უდავოა, რომ ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლები ამ საუკუნის გარკვეულ მონაკვეთს მაინც მოიცავენ" (81, გვ. 313). მაგრამ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორს, ტ. ჩუბინაშვილის მსგავსად, ამ მასალის კონკრეტული დამათარიღებელი ფაქტობრივი მასალა არა აქვს და ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად, ამოსავლად მიაჩნია კ. შეფერის მიერ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხებისათვის შემოთავაზებული ზედა ქრონოლოგიური ზღვარი[37] ძვ. წ. 1450 წ. და რადგან გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსები ყველაზე ადრეულად მიაჩნია, ამიტომ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურს სწორედ მათ უახლოვებს და ამის საფუძველზე ფიქრობს — „სავარაუდოა, რომ კ. შეფერის მიერ შემოთავაზებულ ამ თარიღზე უფრო ადრეული არ უნდა იყოს შიდა ქართლის ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის დროინდელი ძეგლები და ისინი დაახლოებით ძვ. წ. XV ს.-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIV ს-ით უნდა დათარიღდნენ" (81, გვ. 314).

როგორც შევნიშნეთ, რ. აბრამიშვილი ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი პერიოდის ზედა თარიღად ასახელებს ძვ. წ. XIV საუკუნის დასასრულს, იმის გამო, რომ მისი სიტყვით, ამ ხანის მომდევნო ეტაპის ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. XIII ს. განისაზღვრება.

ამ მომდევნო ეტაპად კი იგი მიიჩნევს ისეთ კომპლექსებს, რომლებშიც ჯერ კიდევ დიდი რაოდენობითაა ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების დამახასიათებელი ნივთები აშკარად გვიან მასალებთან ერთად. მისი აზრით, ასეთებია ე. წ. აღმოსავლურ ქართული ტიპის ბრინჯაოს შედგენილტარიანი და მთლიანსადსხმული სატევრების შემცველი კომპლექსები (53, გვ. 120, 137—138).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ვარაუდი არ მართლდება, რადგან ფოთლისებური სატევრისპირების შედგენილტარიანი სატევრების წინა პერიოდის კუთვნილი კი არ არის, არამედ მისი სინქრონულია[38].

ასეთ ვითარებაში, ცხადია, სრულიად ეცლება საფუძველი ფოთლისებურ სატევრისპირთა ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. XIV საუკუნით დათარიღებას და როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისინი შედგენილტარიანი სატევრების მსგავსად უნდა დათარიღდნენ, რომელთა არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები იგივე რ. აბრამიშვილს საკმაოდ სწორად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თავის ადრეულ ნაშრომში (53, ტაბ. I). მხოლოდ ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით მათი არსებობის პერიოდი დასაწყისში შეიძლება დაახლოებით ნახევარი საუკუნით შემცირდეს და ამჟამად მოთავსდეს ძვ. წ. XIII ს. მეორე ნახევარსა და ძვ. წ. XII საუკუნეში[39].

ამ ძეგლთა აბსოლუტური თარიღის მისაღებად რ. აბრამიშვილი იშველიებს იმ ფაქტს, რომ ბეშთაშენის № 13 სამარხში აღმოჩენილ ოვალურ ექვსწახნაგა სარდიონის მძივს ემსგავსება ლჭაშენის № 1 სამარხში აღმოჩენილი მძივი, რომელთან ერთადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს სამთითი, ის კი თავის მხრივ რას შამრაში აღმოჩენილი ზუსტად ძვ. წ. XIII ს. (ძვ. წ. 1251—1231 წწ.) დათარიღებული სამთითის იდენტურია (81, გვ. 319). ეს ვარაუდი, ჩვენის აზრით, მთლიანად მისაღები არ ჩანს, რადგან, როგორც თვით რ. აბრამიშვილი აღნიშნავს, ექვსწახნაგა მძივი აღმოჩენილია შუაბრინჯაოს ხანის სამარხებშიც (81, გვ. 319) და ამდენად ისინი შესაძლოა ძეგლთა ადრეულობის სამტკიცებლად გამოგვადგეს, მაგრამ არა მათი კონკრეტული თარიღის მისათითებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ჩვენ არა გვაქვს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფე-

[37] როგორც წინ დავინახეთ, ტ. ჩუბინიშვილსაც გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის ქვედა თარიღის დადგენისას საფუძვლად შუაბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი მიაჩნდა.

[38] თავის ბოლო ნაშრომში (444) რ. აბრამიშვილმა, როგორც ჩანს, გაიზიარა ჩვენი მოსაზრება ფოთლისებური სატევრისპირებისა და შედგენილტარიანი სატევრების სინქრონულობის შესახებ (359, გვ. 172).

[39] ფოთლისებური სატევრებისპირების შემცველი კომპლექსებისათვის ამ თარიღს გვთავაზობს ა. კალანდაძეც (10, გვ. 164).

ხურთა ძეგლების დასათარიღებლად ისეთი სტანდარტები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ ამა თუ იმ საუკუნის მასალების გამოცალკევებას და მათთვის აუცილებელი, კონკრეტული, აბსოლუტური თარიღის დადგენას.

ამგვარად, ჩვენი აზრით, არ არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლება იმის საწინააღმდეგოდ, რომ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის უშუალოდ მომდევნო ხანისათვის ცენტრალურ ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ ჯერ გარდამავალი პერიოდის ძეგლები, მის შემდეგ კი — გვიანბრინჯაოს ადრეული (პირველი) საფეხურის ძეგლები და მათ ქრონოლოგიურ სქემაში გამოვუყოთ მონაკვეთი დაახლოებით 200 წლის ფარგლებში; ამასთან დაკავშირებით კი ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების თარიღი დაახლოებით ამავე დროით გავაახალგაზრდავოთ.

თუ გარდამავალ პერიოდში შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის და გვიანბრინჯაოს ადრეულ, პირველ საფეხურზე მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთგვაროვანი კულტურა ჩანს, შემდგომი ეტაპი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში, წინამორბედის საფუძველზე აღმოცენებული ლოკალური არქეოლოგიური კულტურების შექმნით აღინიშნება და კვლევის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მათი ლოკალიზაცია წარმოადგენს.

ამ საკითხის შესწავლისას მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის კუთვნილი ყველა დანიშნულების ძეგლი (სამოსახლო, სახელოსნო, სამლოცველო, სამაროვანი), და მათთან დაკავშირებული საკითხები. ყველა შემთხვევაში თავისებური თუ დამახასიათებელი ნიშნისა და ელემენტის დადგენისას უნდა შემოიფარგლოს მათი გავრცელების საზღვრები და გაირკვეს ურთიერთობა მეზობელ კულტურებთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ძეგლთა ქრონოლოგიურ განსაზღვრას.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება გახდეს შესაძლებელი ცალკეულ არქეოლოგიურ კულტურათა საბოლოო გამოყოფა და შემოსაზღვრა.

რა თქმა უნდა, ამგვარი კვლევისას, დაუშვებლად მიგვაჩნია მხოლოდ ერთი რომელიმე ისტორიული პერიოდით შემოფარგვლა. გამოყოფილ ლოკალურ კულტურას თვალი უნდა გაედევნოს მისი არსებობის ხანაში მთლიანად.

ამიერკავკასიის და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ, რომელზედაც ამჟამად ვამახვილებთ ყურადღებას, ამ მხრივ არასახარბიელო პირობებია. მხარის არასაკმარისი და არათანაბარი შესწავლის გამო, დასმული საკითხის სრულად გასაშუქებლად ჯერ კიდევ არა გვაქვს სავსებით საიმედო საფუძველი. ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესწავლამ ბევრი რამ უნდა დააზუსტოს და გადაწყვიტოს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბოლო ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, გარკვეული კატეგორიის ძეგლები ისე მომრავლდა, რომ ამჟამად მხოლოდ მათი შესწავლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება, მართალია წინასწარული, მაგრამ მაინც განმაზოგადოებელი, ზოგიერთი დასკვნის მიღება.

ბუნებრივია, ამგვარი კვლევის შედეგები არ შეიძლება საბოლოოდ სრულყოფილი იყოს. ჩვენი მიზანია, არსებული მასალის განზოგადოება შესწავლის თანამედროვე საფეხურზე. ეს მით უფრო შესაძლებლად ჩავთვალეთ, რომ იგი თითქოს იძლევა რიგი საყურადღებო ვარაუდის გამოთქმის უფლებას.

ბოლო ხანებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე — ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (აღმოსავლეთ საქართველო, სამხრეთ-დასავლეთი აზერბაიჯანი და სომხეთის ჩრდილო ნაწილი) მოპოვებულ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალას სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ და ამის მიხედვით გამოყოფენ არქეოლოგიურ კულტურებს.

ა. ი ე ს ე ნ ი ს აზრით, ამიერკავკასიაში ამ ხანებში სამი რაიონია, რომელიც ხასიათდება მეტალურგიული ნაწარმის განსაზღვრული ფორმებით — 1. დასავლეთ ამიერკავკასია და კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდები; 2. ცენტრალური ამიერკავკასია; 3. თალიში. ამასთან ერთად თითოეული ეს რაიონი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს ერთ მთლიანს, შიგნით მაინც იყოფა ამა თუ იმ ტიპის იარაღის გავრცელების ტერიტორიების მიხედვით. კერძოდ, ავტორის აზრით, მეორე რაიონი ამ თვალსაზრისით ორი ნაწილისაგან შედგება: ა) აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმდებარე რაიონებით

და ბ) სომხეთისა და აზერბაიჯანის (ქედაბეკი, კიროვაბადი, ყარაბაღი) სამხრეთი ნაწილი (43, გვ. 116, 151; 42, გვ. 201; 44, გვ. 95—96).

ბ. კ უ ფ ტ ი ნ ს მიაჩნია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, სამხრეთ კავკასიაში არსებობდა — კოლხურ-ყობანური, ალაზანური, განჯა-ყარაბაღული და ერახული (შუა არაქსული) არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან ინვენტარის მეტად დამახასიათებელი ფორმებით (59, გვ. 2). თუმცა ბ. კუფტინი იქვე შესაძლებლად მიიჩნევს, ბრინჯაოს ხანის დასასრულს, თითქმის მთელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტომთა ერთი, მსხვილი გაერთიანების თუ მონათესავე ტომთა კონსოლიდაციის არსებობასაც (59, გვ. 4).

ე. კ რ უ პ ნ ო ვ ი ფიქრობს, რომ დიდი კულტურები, ამ შემთხვევაში ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურა, არ უნდა იქნეს მიღებული, როგორც ერთი მთლიანი — დაუნაწევრებელი. პირიქით, მასში აუცილებელია განსაზღვრული თავისებურებების მიხედვით მცირე კულტურების გამოყოფაც (320, გვ. 130; 321, გვ. 164; 322, გვ. 5, 10).

ბ. პ ი ო ტ რ ო ვ ს კ ი ამიერკავკასიაში გამოყოფს ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების რაიონებს—1. დასავლეთ საქართველო, 2. ცენტრალური და აღმოსავლეთ საქართველო, 3. ცენტრალური ამიერკავკასია (სომხეთი), 4. დასავლეთ აზერბაიჯანი, 5. მტკვრის და არაქსის შუამდინარეთი და რამდენადმე განყენებულად მდგომი თალიშისა და ზანგეზურის რაიონები (17, გვ. 54—55).

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აზრით — „პირველი ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის, ძვ. წ., საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა — დასავლური და აღმოსავლური... ეს ორი კულტურული წრე ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამება — დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს... აღმოსავლური კულტურის წრე შეიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ალაზნის გაღმა მხარით, სევანის ტბის მხარესა და არაქსის ხეობაშიც ჩადიოდა" (295, გვ. 20).

ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი მთლიანად იზიარებს ს. ჯანაშიას შეხედულებას და აღნიშნავს, რომ მთელი აღმოსავლეთი ოლქი ხასიათდება ნივთიერი კულტურის ერთგვაროვნობით. მისი აზრით, აქ დასავლეთთან შედარებით მცირე მასშტაბების, მაგრამ მაინც რამდენიმე საკმაოდ მძლავრი კულტურული კერის არსებობა შეინიშნება (50, გვ. 10).

ნ. მ ი ნ კ ე ვ ი ჩ-მ უ ს ტ ა ფ ა ე ვ ა ფიქრობს, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც ატარებს ხოჯალი-ქედაბეკური კულტურის დამახასიათებელ თითქმის ყველა ნიშანს. ავტორი ამ კულტურის შიგნით მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებებს ხედავს და საწარმოო რაიონებს გამოყოფს (323, გვ. 116, 136—137).

ჩვენც გვქონდა საშუალება ამ საკითხთან დაკავშირებით გამოგვეთქვა ვარაუდი (324, გვ. 260—265; 325, გვ. 72—73; 80, გვ. 111—118). ძირითადად ვეყრდნობოდით რა წინამორბედ მკვლევარებს, ვწერდით, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული დიდი ტომობრივი გაერთიანების მიერ შექმნილი კულტურა პირველ რიგში უნდა დაიყოს მცირე ტომთა კავშირების მიერ შექმნილ სამ ლოკალურ ვარიანტად, რომლებიც თავის მხრივ, საწარმოო კერების მიხედვით ცალკეულ ტომთა მიერ შექმნილ მცირე ერთეულებად ნაწევრდება. ჩვენ აქ შევნიშნავდით, რომ ჯერჯერობით არა გვაქვს მთლიანად სანდო მონაცემები, რათა ეს ცალკეული კულტურები გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებს მივაკუთვნოთ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, კვლევის თანამედროვე საფეხურზე ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ნაწილობრივ შევცვალეთ და დავაზუსტეთ (167).

ამგვარად, თუ თავს მოვუყრით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურათა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, ცხადი გახდება, რომ სპეციალისტები ორ სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან.

ზოგი ფიქრობს, რომ ამ ტერიტორიაზე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში არსებობდა ერთი არქეოლოგიური კულტურა, რომელიც შედგებოდა მცირე ლოკალური ვარიანტებისაგან ან საწარმოო ერთეულებისაგან. ისინი ამ კულტურას ხშირად უწოდებენ — აღმოსავლურ ქართულს ან ხოჯალი-ქედაბეკურს (განჯა-ყარაბაღულს).

სხვა ავტორები კი ვარაუდობენ, რომ მთელი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის განმავლობაში, ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებობ-

და სამი მეტალურგიული რაიონი — სამი არქეოლოგიური კულტურა.

ჩვენი შეხედულებით, არც ერთი მოსაზრება არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. პირველი ვერ პოულობს ვერავითარ ფაქტიურ დადასტურებას, მეორე კი არასწორია ნაწილობრივ.

გავერკვეთ უფრო დაწვრილებით.

მატერიალური კულტურის განვითარების ისტორიიდან კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები, რომლებიც პრიმიტიული ტექნიკითაა დამზადებული — დიდ ტერიტორიებზე იჩენს მსგავს ნიშნებს და მხოლოდ საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურებზე ასვლასთან დაკავშირებით მატერიალურ კულტურაში გამოიყოფა ლოკალური ერთეულები.

ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს.

სპეციალისტთა აზრით (ა. კალანდაძე, დ. თუშაბრამიშვილი, თ. ბუგიანიშვილი, გ. გრიგოლია და სხვა), ქვედა პალეოლითის ეპოქაში მთელ ამიერკავკასიაში ერთგვაროვანი მატერიალური კულტურაა გავრცელებული.

მათივე ცნობით, ამჟამად არის ცდა ზედა პალეოლითის მასალების მიხედვით, იმავე ტერიტორიაზე გამოიყოს მატერიალური კულტურის თავისებური ჯგუფები, მაგრამ ეს თავისებურებანი ჯერჯერობით მხოლოდ დეტალებში შეინიშნება და არ იძლევა საშუალებას გამოიყოს მეტნაკლებად მყარი ერთეულები.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიაში ნეოლითი მეტად სუსტადაა შესწავლილი, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ხანაში თუ მატერიალური კულტურის თავისებური ჯგუფები არსებობდა კიდეც, ისინი ერთიმეორისაგან ძლიერ არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული. ამის საფუძვლად შეიძლება გამოგვადგეს ის ფაქტი, რომ შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურა მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში მეტ-ნაკლებად ერთფეროვანია. როგორც ცნობილია, ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ადრებრინჯაოს ხანის კულტურა მოიცავს ამიერკავკასიის უმეტეს ნაწილს და ვრცელდება საკმაოდ შორს, მის ფარგლებს გარეთაც (268, გვ. 14—15; 326, გვ. 147—156 და რუკა 149 გვერდზე; 263, გვ. 101 და სხვა; 23, გვ. 22, 24; 327, გვ. 19; 328, გვ. 172, 204; 329, გვ. 264—265). იგი ყველგან საერთო ნიშნებით ხასიათდება, თუმცა ადრებრინჯაოს ხანის ამ კულტურაში ამჟამად მთელი რიგი ლოკალური ვარიანტების არსებობასაც გულისხმობენ (268, გვ. 275; 23, გვ. 24; 330, გვ. 6; 9).

როგორც დასკვნითი თავის დასაწყისში შევნიშნეთ, ე. წ. მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის ერთიანი კულტურის ბაზაზე, შუაბრინჯაოს ხანაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გულისხმობენ ორი: თრიალეთური და სევან-უზერლიკის კულტურების წარმოშობას.

თავის მხრივ აქედან ვითარდება ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურები. სწორედ წარმოშობის ამ საერთო ფესვებთან დაკავშირებით (რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეულ დეტალებში ჩანს), სრულიად ცხადი ხდება ცენტრალური ამიერკავკასიის, გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურიდან, ცალკეული, ერთიმეორისგან აშკარად განსხვავებული მატერიალური კულტურები რატომ ავლენენ მაინც ერთიმეორესთან კავშირს და ყველა ისინი ერთად აღებული, რატომ განსხვავდებიან მეზობელ სხვა კულტურათა ჯგუფებისაგან. ამგვარ — მონათესავე კულტურებს, გვიანბრინჯაოს ხანაში ცენტრალურ ამიერკავკასიაში სრულიად განსაზღვრული ტერიტორია უკავიათ. მათი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი გადის მდ. არაქსის ოდნავ ჩრდილოეთით. ამ საზღვრის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებულია არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც უფრო სამხრეთულ-ირანულ სამყაროს უახლოვდება ვიდრე ამიერკავკასიურს; ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურების ჩრდილო საზღვარი აღწევს დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდების მთისწინა ზოლამდე, რომლის ჩრდილოეთითაც გავრცელებულია მათგან სრულიად განსხვავებული — ჩრდილო-კავკასიური არქეოლოგიური კულტურები: ე. წ. ყობანური და კაიაკენტ-ხოროჩოისა; ცენტრალურ ამიერკავკასიური კულტურების აღმოსავლეთი საზღვარი არ აღწევს კასპიის ზღვას, რადგან აქ დამარილებული ნიადაგების ფართო ზოლია (334, გვ. 437—438, რუკა 438 გვერდზე), რომლის უდიდესი ნაწილი, უნდა ვივარაუდოთ მიწათმოქმედებისთვის გამოუყენებელი და ძველთაგანვე დაუსახლებელი იყო. კასპიის ზღვის სანაპირო ზოლი კავკასიონის ქედიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე შედის ჩრდილო კავკასიურ-კაიაკენტ-ხოროჩოის კულტურის არეალში (332, გვ. 93; 333). კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპი-

როს სამხრეთი ნაწილისთვის კი უკვე თალიშური კულტურის ძეგლებია დამახასიათებელი (78, გვ. 314, რუკა 12).

ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის უკიდურესი დასავლეთი საზღვარი სურამის ქედია, რომლის დასავლეთითაც მძლავრი დასავლურ-ქართული—კოლხური არქეოლოგიური კულტურა იყო გავრცელებული (44, რუკა № 2, გვ. 95—96)[40].

ამ საზღვრის დადგენისას მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაც კოლხური კულტურის სფეროშია მოქცეული (59, გვ. 14; 331, გვ. 369).

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად გამართლებულია ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალურ კულტურებს შორის ნათესაური კავშირის დანახვა[41], ამ ეტაპზე მათი გაიგივება სრულიად შეუძლებელია და დაუშვებელი.

როგორც დავინახეთ, ცენტრალური ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთურად წოდებული მატერიალური კულტურის ბაზაზე აღმოცენებულად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, ჯერ ამ მხარისათვის დამახასიათებელი გარდამავალი და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კულტურები, ხოლო შემდეგ, უკვე გვიანბრინჯაოს II საფეხურიდან ე. წ. აღმოსავლურ-ქართული კულტურა; აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი, როგორც ჩანს, ე. წ. სევან-უზერლიკის კულტურის განვითარების შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი განჯა-ყარაბაღული (ან იგივე ქედაბეკური) კულტურა.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე ამ კულტურებში ყალიბდება ცალკეული ლოკალური არქეოლოგიური კულტურები, რომელთაგან ყველაზე მოწინავეები რკინის ათვისების პირველ საფეხურზე იწყებენ მონათესავე კულტურათა გაერთიანებას. იქმნება დიდი ოლქები, რომელთაგან ყველა ცალკეული ხასიათდება მატერიალური კულტურის თავისებური ნიშნებით.

ამგვარი გაერთიანებების შექმნა ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე შეესაბამება ისტორიული განვითარების პროცესს.

რადგან ამიერკავკასიაში ეს პერიოდი უშუალოდ უძღვის წინ სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნის ხანას (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები), ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ეპოქაში იწყო ჩამოყალიბება მყარმა პოლიტიკურმა ერთეულებმა. როგორც ჩანს, ფაქტიურად ამ გაერთიანებათა ბაზაზე შეიქმნა შემდეგ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში[42].

მაგრამ, ამ გაერთიანებების შექმნასთან ერთად, მათ წიაღში უკუპროცესიც მიმდინარეობს, კერძოდ, უფრო გამოკვეთილ სახეს იღებენ მატერიალური კულტურის ცალკეული, ლოკალური კერები. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივია, რადგან ცნობილია, რომ მუდმივი ტენდენცია დაყოფისაკენ საფუძველს იღებდა თვით გვაროვნული წყობილების ორგანიზაციის ელემენტებში (428, გვ. 79).

ამის ნათელ მაგალითად უნდა გამოდგეს საბრძოლო იარაღის ზოგიერთი ტიპი, რომელიც თუ გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურზე ერთ განსაზღვრულ სახეს ატარებდა, განვითარების შედეგად იძლევა რამდენიმე ვარიანტის იარაღს. მათი გავრცელების ტერიტორია უკვე აღარ ემთხვევა პროტოტიპების გავრცელების საზღვრებს და იხაზება

---

[40] ზოგიერთი ავტორი შიდა ქართლურ კულტურას გვიანბრინჯაოს ხანის განსაზღვრულ პერიოდში დასავლური კულტურის წრეს მიაკუთვნებს. მიუხედავად იმისა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურიდან შიდა ქართლის მასალებში დასავლურ ქართული კულტურის მძლავრი გავლენა შეიმჩნევა, ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია მართებულად ამ პერიოდის შიდა ქართლური კულტურა მთლიანად დასავლურ ქართული კულტურის წრეს მივაწეროთ.

შიდა ქართლში როგორც ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ისე გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, დასავლურისაგან განსხვავებული, ისეთივე კულტურაა გავრცელებული, როგორიც მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში. გვიანბრინჯაოს ხანის შემდგომი საფეხურებიც ჩვენ ადგილობრივი წინამორბედი კულტურის განვითარებად მიგვაჩნია, მხოლოდ ჯერ დასავლური, შემდეგ აღმოსავლური და ბოლოს კვლავ დასავლური კულტურების ძლიერი გავლენის ქვეშ მოქცეული.

[41] ზოგიერთ ავტორს, ჩვენი აზრით, უმართებულოდ მიაჩნია, რომ ამიერკავკასიის და ლურისტანის მატერიალურ კულტურებს ძვ. წ. II—I ათასწლეულებში საერთო საფუძველი აქვთ (362).

[42] აქ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, რაღაც მსხვილი და ძლიერი გაერთიანებების არსებობაზე შესაძლოა ისიც მიუთითებდეს, რომ, როგორც ცნობილია, ურარტულმა ჯარებმა სევანის ტბის ჩრდილოეთით ვერ გაიწიეს (335, გვ. 129—130).

ამ გაერთიანებების ჩანასახი თითქოს უკვე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან ჩნდება. ამის მანიშნებლად შეიძლება გამოგვადგეს, მაგალითად, ჩვენ მიერ წინ აღწერილი საკულტო ცენტრების შექმნა ივრის აუზში.

კულტურის ახალი ჯგუფები ლოკალური თავისებურებებით.

ამგვარად, წინარე კულტურის განვითარების შედეგად, ადრერკინის ხანაში იცვლება არა მარტო კულტურათა საერთო სახე, არამედ ხშირად მათი რაოდენობა და გავრცელების საზღვრებიც. ამიტომ დაუშვებლად მიგვაჩნია ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალების ერთ სიბრტყეში განხილვა, მათი კონკრეტული არსებობის დროის გაუთვალისწინებლად, თუნდაც ისინი წარმოადგენდნენ ერთი და იგივე კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს.

ადრერკინის ხანაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი დიდი გაერთიანებები, მეტ-ნაკლებად ერთიანი მატერიალური კულტურით, ჩვენი აზრით, ზოგადად, დაახლოებით შემდეგი საზღვრებით იზღუდება: პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ი ო ნ ი ე. წ. აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავრცელების ფარგლებში ექცევა, ე. ი. ფაქტიურად ემთხვევა შიდა ქართლისა და კახეთის საზღვრებს; მ ე ო რ ე რ ა ი ო ნ ი ისაზღვრება სამხრეთ-დასავლეთით აზერბაიჯანითა და სევანის ტბის ჩრდილო ნაწილით მტკვრამდე, ე. ი. ფაქტიურად განჯა-ყარაბაღული (ხოჯალი—ქედაბეკური) არქეოლოგიური კულტურის გავრცელების რაიონს ემთხვევა. რაც შეეხება სომხეთის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონს, აქ ვითარება უფრო რთულია. ცენტრალურ სომხეთში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ამიერკავკასიური კულტურებისაგან განსხვავებული მატერიალური კულტურა იყო გავრცელებული (მოხატული კერამიკით). ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, გარდამავალ პერიოდში შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოს იდენტური კულტურაა გავრცელებული. შემდგომ ხანებშიც, რა თქმა უნდა, აშკარად გამოხატულ თავისებურ ნიშნებთან ერთად, აქ უფრო იორ-ალაზნის აუზისა და კერძოდ, კახეთის ტერიტორიისთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის მსგავსი კულტურაა გავრცელებული. ადრერკინის ხანიდან კი, ადგილობრივი კულტურის პარალელურად, ამ ტერიტორიაზე განჯა-ყარაბაღული მასალები ჩნდება[43].

ამგვარად, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩამოყალიბებული ჩანს ერთიმეორისგან მკვეთრად განსხვავებული მატერიალური კულტურის რამდენიმე ჯგუფი, რომელთა გაერთიანება და აღრევა სრულიად შეუძლებელია.

ავიღოთ თუნდაც ე. წ. „აღმოსავლურ ქართული" და „განჯა-ყარაბაღული" კულტურები.

, როგორც სამაროვნებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში დავინახეთ, ამ კულტურებს პირველ რიგში ასხვავებს დაკრძალვის წესი — აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც წესი (მცირე გადახვევებით), მიცვალებული ორმოსამარხებშია დაკრძალული, განჯა-ყარაბაღული კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე კი — აუცილებლად ქვისსამარხებში ან გორასამარხებში. პირველისთვის ძირითადად დამახასიათებელია მიცვალებულის გვერდზე, მოხრილი კიდურებით დაკრძალვა, მეორისთვის კი მჯდომარე პოზაში დამარხვა.

ამასთან ერთად ამ კულტურებისათვის ცალცალკე დამახასიათებელია სრულიად განსხვავებული ნაკეთობანი, მაგ., განჯა-ყარაბაღულ კულტურას ახასიათებს ბრინჯაოს ორთითები; შუბის ტარის ბოლოები — სათიხრები; დანები, ზევით მოკაული წვერით; მასიური სამაჯურები გოფრირებული ან დაკეჭნილი ზედაპირით; სხვადასხვა ზომის მრგვალი საკიდი ფირფიტები, რომლებიც შემკულია რელიეფური ან ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით და ცხოველთა გამოსახულებებით; კუს მსგავსი საკიდები; პასტით და ქვით იხკრუსტირებული ღილები; ქვის პურქვილი[44]; თი-

---

[43] ჩვენ კარგად გვესმის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა მატერიალური კულტურის ჩვენს მიერ მოცემული საზღვრები და დახასიათება მეტად ზოგადია და სპეციალური კვლევის შედეგად აღნიშნული შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელიც შეგვექმნა ლიტერატურის გაცნობისას, საინტერესოდ ჩავთვალეთ და ამის გამო მივეცით თავს ნება აქ მოგვეტანა.

[44] ამგვარი პურქვილი ხშირად გვხვდება ირანის ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორიცაა თეფე-გიანი და თეფე-სიალკის A სამაროვანი (336, ტაბ. $212_{31}$, $262_{1,3,9,10}$, $246_{6}$). ამის საფუძველზე ჩვენთვის ძნელია გავიზიაროთ აზერბაიჯანელი არქეოლოგების აზრი, რომლებიც სხვა აღმოჩენათა გათვალისწინების გარეშე, ქვის ამგვარ პურქვილს ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ (146, გვ. 151, ტაბ. $XXI_{1-6}$).

ხის ჭურჭელი შემკული ადამიანის და ცხოველის გამოსახულებებით, რომელიც ინკრუსტირებულია თეთრი მასით და სხვა. ეს ნივთები სრულიად უცხოა აღმოსავლეთ საქართველოსთვის, თუმცა იშვიათად გვხვდება უკიდურეს აღმოსავლეთ ან სამხრეთ რაიონებში, ზოგჯერ კი ცენტრალურშიც (სამთავრო).

სრულიად თავისებური ნივთებია გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოშიც, რომელიც განჯა-ყარაბაღული კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე არ გვხვდება. ესენია — ბრინჯაოს თავხვია საკინძები; კვერთხისთავად გამოყენებული, გახვრეტილი ირმის რქის ძირები; ბრინჯაოს ბრტყელი ფარები; ე. წ. „სუბმიკენური" მშვილდსაკინძები; მრგვალთავიანი საკინძები; თხელფირფიტოვანი ქუსლამოღარული ისრისპირები; მასრაგახსნილი და მთლიანმასრიანი შუბისპირები; გრეხილღეროიანი გვერგვები და სხვა მრავალი.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ ერთი და იგივე დანიშნულების ისეთი ნივთებიც კი, რომლებიც ორივე კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე გვხვდება (ბრინჯაოს მახვილები, სატევრები, სარტყლები, სამკაული, თიხის ჭურჭელი) ძლიერ განსხვავდება ერთიმეორისაგან, როგორც საერთო იერით, ისე მრავალი ცალკეული ნიშნითაც.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძვლეზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვართ ცენტრალურ-ამიერკავკასიურ კულტურათა გაიგივებისა.

მაგალითად, როგორც დავინახეთ, აღმოსავლურ ქართულ და განჯა-ყარაბაღულ კულტურებს შესაძლოა ადრებრინჯაოს ხანაში ერთი საფუძველი ჰქონდათ კიდეც, მაგრამ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ისინი უკვე იმდენადაა დაშორებული ერთიმეორისაგან, რომ მათ დამოუკიდებლად განვითარებულ ერთეულებად ვთვლით, მათ უფრო მეტი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ვიდრე გამაერთიანებელი.

ამ კულტურათა გაიგივება ისევე მცდარია, როგორც თავის დროზე არასწორი იყო კოლხური და ყობანური კულტურების ერთ კულტურად მიჩნევა (337, გვ. 39; 338, გვ. 283—284; 10, გვ. 130; 124, გვ. 79—82, სურ. 7), მითუმეტეს, რომ სხვაობა ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურებს შორის გაცილებით მეტია.

ბუნებრივია, რადგან ჩვენ ცენტრალური ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურებს ერთ საფუძველზე წარმოშობილად მივიჩნევთ, მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ელემენტები, რომლებიც ძველი ერთობის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდნენ.

საკვლევ პერიოდში ამ კულტურათა სიახლოვეზე უნდა მეტყველებდეს, მაგალითად, ორნამენტული მოტივები, რომლებითაც შემკულია ბრინჯაოს ნივთები და თიხის ჭურჭელი. ამგვარ კავშირზევე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ-ამიერკავკასიურ ყველა კულტურისათვის დამახასიათებელ იარაღს წარმოადგენს ბრინჯაოს მახვილი, მაშინ, როდესაც ამგვარი იარაღი მეზობელ არც ერთ კულტურას არ ახასიათებს[45] და სხვა. მაგრამ, ცხადია, ამ ერთეული გადმონაშთი ელემენტების მიხედვით, აბსოლუტურად დაუშვებელია ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურების ნიველირება.

ცხადია, დასაშვებია მეორე შესაძლებლობაც, რომ მაგალითად, მეზობელ კულტურებს განვითარების გვიან ეტაპებზე შეეთვისებინათ ერთიმეორის დამახასიათებელი ნიშნები.

ჩვენი აზრით, არ არიან სწორი ის ავტორებიც, რომლებიც ცდილობენ ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულები მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის მაკონსოლიდირებლად მიიჩნიონ (59, გვ. 4).

როგორც ცნობილია, ამ ცულებს მრავალი სახელწოდება აქვს მიცემული: აღმოსავლურ-ქართული (295, გვ. 20—28; 73, გვ. 23—27 და სხვა); იბერიული (59, გვ. 19); აღმოსავლურ-ამიერკავკასიური (10, გვ. 180; 81, გვ. 313; 354, გვ. 64; და სხვა); მტკვარ-არაქსის შუამდინარეთის (78, გვ. 333, სურ. 24); ამიერკავკასიური (44, გვ. 99, რუკა № 3). ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ ამ ცულების წარმოების ძირითადი ცენტრი შიდა ქართლშია (74, გვ. 168; 196, გვ. 197), ზოგი კი პირიქით, მათი დამზადების ძირითად საწარმოო ცენტრად ტაშირ-ძორაგეთს მიიჩნევს, საიდანაც ვითომ მისი ექსპორტი ხდებოდა, მაგ., შიდა ქართლში (339, გვ. 83) და სხვა.

---

45 ამ შემთხვევაში სრულიად შეგნებულად გამოვრიცხავთ ჩვენი თვალთახედვიდან ე. წ. თალიშურ მახვილებს, რადგან ეს კულტურა უფრო მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს სამხრეთულ და სამხრეთ-დასავლურ კულტურებთან, ვიდრე ამიერკავკასიურთან (336, გვ. 404).

ქვემოთ ჩვენ შეძლებისდაგვარად ჩამოვთვლით ამ ცულების ყველა აღმოჩენას, საიდანაც ცხადი გახდება, რომ არც ამ ცულების სიმრავლითა და თავისებურებებით და არც სიძველით არ გამოირჩევა მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში არც ერთი მხარე და მთელი ამ ტერიტორიისთვის, როგორც ცულები, ისე მათი ჩამოსასხმელი ყალიბები ერთნაირად ჩანს დამახასიათებელი. ამის გამო, ჩვენი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია ამ ცულის აღსანიშნავად ვიხმაროთ ტერმინი — ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული.

ამ ცულების ყალიბები მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაშია აღმოჩენილი: შამხორი (340, გვ. 234, სურ. 29), ლენინაკანი (341, გვ. 32, სურ. 8; 342), კარმირ-ბლური (343, გვ. 40), განთიადი (210, გვ. 505—509, სამი ყალიბი), ნაცარგორა (56, ტაბ. $XVI_2$), ოფრეთი (შულავრის ხევი) (III; გვ. 7, სურ. 1), ითხვისი (საჩხერის რაიონი, ბორცვი ჩილთა).

ასევე მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაშია აღმოჩენილი ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულები.

საქართველოში — ზემო ავჭალა (სსმ, ინვ. № 2—26/2; ერთი ცული); ატენი (დაცულია სსმ-ის თრიალეთის ფონდში, ორი ცული); ახალქალაქი (გორთან, სსმ, ინვ. № 65—08/1—11, თერთმეტი ცული); ცხინვალი (სსმ, ინვ. № 8—09/8,9; ცხინვალის განძში ხუთი ამგვარი ცულია); ალი (ხაშურის რაიონი, სურამთან, სსმ, ინვ. № 41—13/6, ერთი ცული); აჩაბეთი (ცხინვალის რაიონი, სსმ, ინვ. № 55—14/1, ერთი ცული); ბექათუბანი (მოლითსა და წიფას შორის, სსმ, ინვ. № 14—28/1; № 27—29/1—3, ოთხი ცული); კოდის წყარო (მჭადიჯვართან, სსმ, ინვ. № 10—29/1, ერთი ცული); საბეგური (ქსნის ხეობა, ახალგორთან, სსმ, ინვ. № 24—29/3, ერთი ცული); სასირეთი (სსმ, ინვ. № 17—30/5—7, სამი ცული); ბაკურციხე (სსმ, ინვ. № 11—32/44, 45, 47, 57, 58, 66, ექვსი ცული): ალაზნისველი (იქ, სადაც ჩელთა ერთვის ალაზანს, სსმ, ინვ. № 22—34/4, ერთი ცული); ღრმაღელე (სსმ, ინვ. № 2—36/1, ერთი ცული); ნავთლუღი (სსმ, ინვ. № 3—50/3, ერთი ცული); პერევი (საჩხერის რაიონი, სსმ, ინვ. № 6—55/1, ერთი ცული); მარტაზის ხევი (მცხეთასთან, სსმ, ინვ. № 6—55/1, ერთი ცული); მელაანი (თსუ, არქეოლოგიური კაბინეტი, ერთი მინიატურული ცული); ლაგოდეხი (ერმიტაჟი, № 28653, ერთი ცული); იყალთო (თსიემ, ინვ. № 4218, ერთი ცული); შილდა (სსმ, ინვ. № 7—43/3, ხუთი მინიატურული ცული; თსიემ, ინვ. № 776, ოთხი მინიატურული ცული); გორი (74. გვ. 167, რვა ცული); სამთავრო [სამარხი— № 240, № 591 (ბაიერნისეული), № 195, სამი ცული]; სვანეთი (სსმ, ინვ. № 11—32/ 43, ერთი ცული); ზედა სიმონეთი (ქუთაისის რაიონი. იხ. 74, გვ. 167, ერთი ცული); ტყვიავი (სსმ, ინვ. № 11—32/50, 52, ორი ცული); მეხჩის ციხე (ყარსის ოლქი, იხ. 78, სურ. 21, ერთი ცული); მეტეხი (სსმ, ინვ. № 5—37/4, ერთი ცული); კავთისხევი (სსმ, ინვ. 11—32/41, ერთი ცული); სადახლო (სსმ, ინვ. № 5—56/1, ერთი ცული); რაჭა (სსმ, ინვ. № 11—32/42, ერთი ცული)[46]; ლეჩხუმი, ცაგერის განძი (74, გვ. 166, ერთი ცული); ჩალაუბანი (ნამოსახლარი ბორცვი—„მოჭრილი გორა“, ერთი ცული); ახალსოფელი (ლაგოდეხის რაიონი. ერთი ცული ინახება ახალსოფლის საშუალო სკოლის მუზეუმში); არაშენდა (ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ერთი ცული); ოძისი (ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 262, ერთი ცული); მაღაროსკარი (დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. № 174, ერთი ცული); დუშეთის რაიონი (აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, უნომროდ ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ერთი ცალი); სიღნაღის რაიონი (აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 10, ერთი ცალი); სოფ. გორა (ბოლნისის რაიონი, იხ. 344, გვ. 24, ერთი ცალი); კუშჩი (181, გვ. 205, ერთი მინიატურული ცული); მატანი (ინახება ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ორი ცული); ბორჯომი (339, გვ. 84, რუკა, ერთი ცული); ახალციხე (339, გვ. 84, რუკა, ერთი ცული); ჩხიკვთა (შემთხვევით მონაპოვარი ერთი ცული, ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში); თელოვანი (ბორჯომის რაიონი, გუჯარეთის ხეობა, წაღვერთან. იხ. 345, ერ-

[46] ბ. კუფტინი ამ ცულს მიიჩნევს კოლხური და ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულების ჰიბრიდად (78, გვ. 332).

თი ცული); ხაშურის რაიონი (შემთხვევით აღმოჩენილი ერთი ცული, იხ. 346); ივანწმინდა (წითელი სოფელი, სსმ, ინვ. 9—47/1, ერთი ცული).

ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს მუზეუმებში დაცულია მთელი რიგი ამგვარი ცულებისა, რომელთა აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, მაგრამ სავარაუდოა, ისინიც აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში უნდა იყოს ნაპოვნი.

ასეთია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული შემდეგი ნივთები—ინვ. № 51—05/9; 6—02/95; 97—11/15; 8—27/368; 35—26/72; 1—36/28, 29, 30, 31, 32, 33; 11—32/67, 68, 69; 82—13/9; 2—10/1; 26—26/67; 11—32/39, 40, 46, 49, 50; 6—45/3; 1—51/35, 37; და სხვა.

ამგვარად, საქართველოში სულ 118 ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულია ნაპოვნი. აქედან აღმოჩენის ზუსტი ადგილით ცნობილია 93 ცული, 25 ცულის აღმოჩენის ადგილი კი არ ვიცით.

დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით (339, გვ. 82—83) სულ 54 ამ ტიპის ცული და ორი ყალიბია აღმოჩენილი. ეს ადგილებია — ვორნაკი, მერსი, კიროვაკანი, სტეფანავანი, ლორუტი, აკნერი, ახთალა, ნოემბერიანი, ართიკი, ხაშტარაკი, ლენინაკანი, იჯევანი, ვარდაქარი, ნავური, თაქია, კოთი, დილიჟანი, თაიჩარუხი, ლჭაშენი, ალავერდი, ერევანი, კირკიჯანი (იხ. 339, გვ. 84, რუკა; 114).

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის მხოლოდ დასავლეთ ნაწილში გვხვდება ამგვარი ცულები: არჩაძორი [348, გვ. 157—158, სურ. № 2 (13)]; ელენენდორფი (347, ორი ცული, ერთი მათ შორის ორმაგი პირით); ქედაბეკი (339, გვ. 84, რუკა); ვართაშენი (ნუხის მაზრა) (349, სურ. 123); მინგეჩაური (146, ტაბ. $XII_{1\cdot 3}$); კიროვაბადი (350, გამოშვება 12, გვ. 52, სურ. 14); ხანლარის რაიონი (351, სურ. 19); ზანგეზური (339, გვ. 84, რუკა).

ამგვარად, ეს ცულები დამახასიათებელი ჩანს მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის და მათი გავრცელების საზღვრები იფარგლება — ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდებით, აღმოსავლეთით — დაახლოებით ნუხა-მინგეჩაურის ზოლით, სამხრეთით — მდინარე არაქსის შუა წელით, დასავლეთით კი — ძირითადად სურამის ქედით[47] და ძალიან იშვიათად გვხვდება ამ ფარგლებს გარეთ. უკიდურეს სამხრეთ განაპირა აღმოჩენას წარმოადგენს მეხჩის — ციხის განძში დადასტურებული ბრინჯაოს ცული, ხოლო ამ იარაღის ყველაზე შორეული პარალელია ბოღაზქოიში აღმოჩენილი ღვთაება ტეშუბის რელიეფი, რომელსაც ხელში მსგავსი იარაღი უჭირავს (352, გვ. 240, სურ. 11).

ეს იარაღი მთელ ამ ტერიტორიაზე გვხვდება გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის თითქმის ყველა საფეხურის ძეგლზე. ისინი მრავალი მკვლევარის მიერაა შესწავლილი და სწორედ ამ ქრონოლოგიური ჩარჩოებით თარიღდება (78, გვ. 313; 43, გვ. 145 და სხვა). ამ ცულების უკიდურეს ზედა თარიღად ა. მარტიროსიანი ძვ. წ. VIII ს. თვლის (23, გვ. 123, 197); იგივე აზრისაა მ. პოგრებოვა (353, გვ. 11); ს. ესაიანი ამ ცულებს ძვ. წ. XIII—IX სს. ათარიღებს. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების ზედა, სწორ თარიღს იძლევა დ. ქორიძე (73, გვ. 39—42) და გ. ავალიშვილი (354, გვ. 58). ისინი ასეთად მიიჩნევენ ძვ. წ. VII საუკუნეს. ამ თარიღს ამაგრებს 1969 წ. სოფ. ჩალაუბნის მახლობლად ნამოსახლარი „მოჭრილი გორის“ ზედა, B ფენაში სკვითურ ისრისპირებთან ერთად, in situ ბრინჯაოს ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის აღმოჩენა. ცხადია, ამ ცულების, ამავე ზედა თარიღს უჭერს მხარს კარმირბლურზე გამოვლენილი ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის ყალიბი, რომელთანაც აღმოჩნდა ურარტუს მეფის, რუსა II ლურსმული წარწერის ფრაგმენტი (356, გვ. 222—236).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ეს ცული მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიისთვის ერთნაირადაა დამახასიათებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს იარაღი ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია მთელი ამ ტერიტორიის გვიანბრინჯაო-რკი-

---

[47] როგორც ცნობილია, ბ. კუფტინი დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის ცულების რამდენიმე ეგზემპლარის მიხედვით, განსაზღვრავს ამ ტერიტორიაზე რაჭველების სატომო ჯგუფის შექმნას (78, გვ. 331—332), რაც ჩვენ მცირე საბუთიანობის გამო მეტად წინასწარულად და საეჭვოდ მიგვაჩნია.

ნის ხანის მატერიალური კულტურის გამაერთიანებლად და გამაიგივებლად. რადგან ის ფაქტი, რომ საკვლევი ცულები მთელ ამ ტერიტორიაზე საერთო სახისაა, შესაძლოა, როგორც გ. გობეჯიშვილი ფიქრობს „...ამ ვრცელი ტერიტორიის უძველესი მოსახლეობის გენეტიკურ-კულტურულ ერთიანობას მოწმობდეს“ (55, გვ. 269), მაგრამ არ იყოს თანადროულ კულტურათა გამაერთიანებელი.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის კვლევისას მეტად არსებითია ის ფაქტი, რომ ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული გავრცელებულია თითქმის ზუსტად იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო ე. წ. თრიალეთური კულტურა. ამასთან ერთად საყურადღებოა ისიც, რომ ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების პროტოტიპებად მიჩნეულია თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულები[48], რომლებიც აღმოჩენილია: ღ რ მ ა-ღ ე ლ ე შ ი (46, სურ. 20); წ ა ლ კ ა შ ი ს ო ფ. გ უ მ ბ ა თ თ ა ნ (ინახება სსმ-ის ფონდებში); ბ ო დ ო რ ნ ა შ ი (დმმ, ინვ. 985); ნ ა ვ უ რ შ ი (შამშადინის რაიონი, 23, გვ. 60—61, სურ. 26, ორი ცული); კ ი რ ო ვ ა კ ა ნ შ ი (23, გვ. 64, სურ. 29) და ფაქტიურად იმავე ტერიტორიაზე გვხვდება, რომელზედაც გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები.

სრულიად მართებულად თვლიან, რომ როგორც გენეტიკურად, ისე ქრონოლოგიურად ცენტრალურ-ამიერკავკასიურ ცულებთან ყველაზე ახლო დგას კიროვაკანის მდიდრულ გორასამარხში აღმოჩენილი ცული. თუმცა ამ ბოლო დროს გამოთქმულია ეჭვი იმის შესახებ, რომ ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი (10, გვ. 180). მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მასალა იმდენად მეტყველია, რომ შამშადინ-ღრმაღელის ტიპის ცულების ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების პროტოტიპებად მიჩნევის საკითხი საკამათო აღარ უნდა იყოს.

ამგვარად, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში, თავიანთი პროტოტიპების მსგავსად, ინარჩუნებენ საერთო სახეს გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი პროტოტიპების — შამშადინ-ღრმა-ღელის ტიპის ცულების — არსებობის პერიოდში, ამ ცულების გავრცელების ფარგლები ერთი, მკვეთრად გამოხატული, ე. წ. თრიალეთური კულტურით ხასიათდებოდა. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების არსებობის პერიოდში კი, მათი გავრცელების ტერიტორიაზე მრავალი დამოუკიდებელი მატერიალური კულტურა ჩანს. აქედან გამომდინარე, ის, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ცენტრალურ-ამიერკავკასიაში სხვადასხვა კულტურებისთვის ერთი და იგივე ტიპის ცულია დამახასიათებელი, ამ კულტურების ერთობაზე კი არ უნდა მიგვითითებდეს, არამედ მათ საერთო წარმოშობაზე. ამგვარად, ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული მისი გავრცელების ტერიტორიაზე ძველი ერთობის გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, ამ იარაღმა თავდაპირველი საერთო სახე გვიანობამდე შემოინახა იმ მიზეზით, რომ იგი სხვა ტიპის იარაღებთან შედარებით ყველაზე მეტად კონსერვატულია.

ამგვარად, ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში არსებობდა რამდენიმე მონათესავე არქეოლოგიური კულტურა, რომლებიც განვითარების ამ ეტაპზე იმდენად მკვეთრად არიან ერთიმეორისგან განსხვავებული, რომ მათი გაიგივება, მიუხედავად მათი ერთნაირი წარმოშობისა და საერთო ნიშნებისა, შეუძლებელია.

ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მატერიალური კულტურა.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან, ბრინჯაოს მეტალურგიისა და ლითონდამუშავების განსაკუთრებულ განვითარებასთან დაკავშირებით, მატერიალური კულტურის განმსაზღვრელი ლითონის ნივთები ხდება. ამის გამო, თუ გარდამავალი ეტაპისა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული, პირ-

---

[48] ბ. პიოტროვსკი ფიქრობს, რომ ეს ცულები წარმოადგენს საწყის ფორმას, როგორც „ყობანური“ ისე „აღმოსავლურ-ქართული“ (ჩვენი ცენტრალურ-ამიერკავკასიური. კ. ფ.) ცულებისათვის (50, გვ. 69—70), ასევე ფიქრობს დ. ქორიძე (429), თ. მიქელაძე (331) და სხვა.

ჩვენ ვიზიარებთ ა. რამიშვილის მოსაზრებას, რომ ამ ტიპის ცულები არ შეიძლება ჩაითვალოს კოლხური ცულების პროტოტიპად, რადგან ისინი სრულიად სხვადასხვა ტერიტორიისათვის და სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი იარაღებია (355, გვ. 9).

ველი საფეხურის კულტურებზე ძირითადად თიხის ჭურჭლის მიხედვით ვსაუბრობდით, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან, მატერიალური კულტურის შესწავლის დროს, ძირითადად ლითონის მასალას ვეყრდნობით, თუმცა, თიხის ჭურჭელსაც სათანადო ყურადღებას ვუთმობთ და შეძლებისდაგვარად ვიყენებთ მათი შესწავლის შედეგებს.

მეტად არსებითია, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მთელ მანძილზე ცალკეულ ლოკალურ კულტურათა რაოდენობა და საზღვრები არ არის სტაბილური.

ჩვენ ვთვლით, მაგალითად, რომ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი სინქრონული არქეოლოგიური კულტურა არსებობდა — ე რ თ ი — შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მ ე ო რ ე — იორ-ალაზნის აუზში.

მაგრამ, რადგან არქეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები და ე. წ. კახური შედგენილტარიანი სატევრები[49] არ არის სინქრონული, ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრება — აღმოსავლეთ საქართველოში, ამ პერიოდში ორი სინქრონული კულტურის არსებობის შესახებ, რომელთა ძირითადი კომპონენტები სწორედ ეს სატევრებია, ეწინააღმდეგება მიღებულ მოსაზრებას და ამდენად, ვიდრე უშუალოდ ამ კულტურათა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ეს საკითხი საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, გ. ლომთათიძემ პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამთავროს სამაროვანზე ქრონოლოგიურად ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირებისა და ე. წ. სკვითური ინვენტარის შემცველ ორმოსამარხებს შორის უნდა მოთავსდეს სამარხები, რომლებიც შეიცავენ ბრინჯაოსტარიან სატევრებსა და მახვილებს. კერძოდ, 1938 წ. სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი № 44 ორმოსამარხი (სსმ, ინვ. 12—54/8896—8910), რომლის ინვენტარშიც შედიოდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარიც (359, ტაბ. III), გ. ლომთათიძემ დაათარიღა ფოთლისებურ სატევრისპირებიანი კომპლექსების შემდგომი დროით, ე. ი. იგი მიიჩნია ყველაზე არქაულად ბრინჯაოსტარიანი იარაღის შემცველ კომპლექსებს შორის.

გ. ლომთათიძის აზრით, ამ სამარხის გარდამავალ ხასიათზე მეტყველებს, როგორც მისი ინვენტარის შერეული ხასიათი, ისე მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრის კონსტრუქცია და ქიმიური შემადგენლობა (49, გვ. 160—168).

მომდევნო ავტორები, რომლებიც ამ იარაღის დათარიღებას შეეხნენ, ფაქტიურად მთლიანად იზიარებენ გ. ლომთათიძის მოსაზრებას და მის კვალდაკვალ, იგივე დასაბუთებით, სამთავროს საძაროვნის № 44 სამარხს და მასში აღმოჩენილ ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევარს, ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის მომდევნო დროს მიაკუთვნებენ (73, გვ. 55—56, 85. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ქორიძე ყოველთვის თანამიმდევრული არ არის. ამავე ნაშრომში — გვ. 84, მოჰყავს რა მაგალითი № 44 სამარხით, იგი წერს, რომ ბრინჯაოსტარიანი სატევრები ჩნდებიან ფოთლისებური სატევრისპირების და თავხვია საკინძების არსებობის პერიოდში; 50, გვ. 105; 53, გვ. 120, 138[50]).

ზოგი ავტორი ცდილობს ამ მოსაზრებას მეტი საფუძველი მოუძებნოს. კერძოდ, ტ. ჩუბინიშვილი, ე. წ. კახური სატევრების გვიანდელობის დასამტკიცებლად ფოთლისებურ სატევრისპირებთან შედარებით, იყენებს სამთავროს სამაროვნის სამარხთა სტრატიგრაფიულ განლაგებას. კერძოდ კი იმას, რომ № 101 სამარხს, რომელშიც ფოთლისებური სატევრისპირი აღმოჩნდა, ზევიდან ფარავდა № 88 ორმოსამარხი, რომლის კომპლექსშიც შედის ბრინჯაოსტარიანი კახური სატევარი (50, გვ. 103).

ამგვარად, იმის სამტკიცებლად, რომ ე. წ. კახური ტიპის (თუნდაც შედგენილტარიანი) სატევრები, ფოთლისებური სატევრისპირების მომდევ-

[49] ყველა კახურ სატევარს ბრინჯაოს ტარი აქვს და იყოფა რამდენიმე ქვეტიპად: ადრეული — შედგენილი ტარით, მას მოსდევს გარდამავალი ტიპის სატევარი, მთლიანადსხმული სატევარი და სხვა (80, გვ. 61—73).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იორ-ალაზნის აუზის მატერიალური კულტურის შესწავლისას, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ შედგენილტარიან სატევრებს, რომელთანაც დაუშვებელია შედარებით გვიანდელი მთლიანადსხმული სატევრების აღრევა.

[50] როგორც უკვე აღვნიშნეთ, რ. აბრამიშვილი ამჟამად ამ იარაღთა სინქრონულობას უჭერს მხარს (444).

ნო ხანას განეკუთვნება, ავტორებს შემდეგი საბუთები მოაქვთ:

1. კომპლექსი, რომელიც აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე 1938 წ. № 44 ორმოსამარხში, შერეულია და აშკარად გვიან ნივთებთან ერთად შეიცავს ადრეულ ნაკეთობებსაც.

2. სამთავროს სამაროვანზე ფოთლისებური სატევრისპირის შემცველ № 101 სამარხზე, უშუალოდ ზემოდან იდო № 88 სამარხი, რომელშიც ე. წ. კახური ტიპის სატევარი აღმოჩნდა.

3. ე. წ. კახური ბრინჯაოსტარიანი სატევრის გვიანდელობაზე მიუთითებს მისი კონსტრუქცია.

4. ამ სატევრის გვიანდელობის დამადასტურებელია მისი ლითონის ქიმიური შემადგენლობაც.

ჩვენი აზრით, სამთავროს № 44 ორმოსამარხის კომპლექსში სხვადასხვა დროის მასალა არ არის შერეული და თუ ამ კომპლექსით მოვისურვებთ შედგენილტარიანი ე. წ. კახური სატევრის დათარიღებას, იძულებული ვიქნებით იგი ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის პერიოდით დავათარიღოთ. ვფიქრობთ, ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ დაწვრილებით განვიხილავთ ამ სამარხში აღმოჩენილ ყველა ნივთს. № 44 სამარხში ე. წ. კახურ შედგენილტარიან სატევართან ერთად აღმოჩნდა: თიხის სხვადასხვა ჭურჭლები; ბრინჯაოს მასრაგახსნილი ნაჰედი შუბისპირი[51]; ბრინჯაოს თავხვია საკინძი და ბრინჯაოსივე ღერომრგვალი, სოკოსებურთავიანი საკინძი; ძვლისა და სარდიონის მძივები და ბრინჯაოს ბალთა (359, ტაბ. III).

ა) მართალია თიხის ჭურჭელი არ იძლევა ზუსტი თარიღის დადგენის შესაძლებლობას, მაგრამ ისინი არც იმას უშლიან ხელს, რომ ეს სამარხი ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ სამარხთა თანადროულად მივიჩნიოთ (პირმოყრილი ჭურჭელი).

ბ). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბრინჯაოს ნაჰედი, მასრაგახსნილი შუბისპირები[52] და თავხვია საკინძები დამახასიათებელია მხოლოდ ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი სამარხების ეპოქისათვის.

გ) ბრინჯაოს მასიური საკინძები სოკოსებრი თავით და მრგვალი ღეროთი გვხვდება, როგორც ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებში, ისე უშუალოდ მისი შემდგომი დროის მასალებთან ერთად[53]. აქედან გამომდინარე ეს საკინძი არ შეიძლება დამახასიათებლად ჩავთვალოთ მხოლოდ გვიანი სამარხებისათვის და დამათარიღებელ ნივთად მივიჩნიოთ.

ამგვარად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკინძი სოკოსებრი თავით სრულიად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ადრეულ ნივთად და მის საფუძველზე № 44 სამარხში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ შერეული სხვადასხვა დროის ნივთები.

დ) არქაული იერი აქვთ № 44 სამარხში აღმოჩენილ სარდიონის მძივებსაც. ისინი მუქი წითელი ფერისაა, ნახეთქი, კრატერისებური ნახვრეტით. მიღებული მოსაზრების მიხედვით, ამგვარი მძივები უძველესია სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხებში აღმოჩენილ მძივებს შორის (51, გვ. 185) და ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებს ახლავს თან.

ე) სამთავროს სამხრეთი უბნის № 44 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მრგვალ აბზინდას პარალელი არ ეძებნება და ამის გამო მისი გამოყენება დამათარიღებელ ნივთად შეუძლებელია. თუმცა, რიგი დეტალები მას აკავშირებს სამთავროს სამაროვნის № 261 ორმოსამარხში აღმოჩე-

---

[51] დ. კორიძეს ერთ-ერთ თავის ნაშრომში ეს შუბისპირი შეცდომით მთლიანადასხმულად აქვს მოხსენიებული და თვლის რომ ამ სამარხშივე აღმოჩნდა თხელფირფიტოვანი ბრინჯაოს სამკუთხა, ქუსლამოღარული ისრისპირები (73, გვ. 53). როგორც ჩანს, აქ ავტორს შერეული აქვს სამთავროს სამაროვნის ორი სამარხის ინვენტარი. ორივე ამ სამარხს ერთი და იგივე № 44 აქვს, მაგრამ ერთი აღმოჩენილია 1938 წელს სამხრეთ უბანზე (სსმ, ინვ. № 12—54/8896—8910), ხოლო მეორე 1939 წ. ჩრდილო უბანზე (სსმ, ინვ. № 12—54/1432—1455) და სხვადასხვა დროით თარიღდება.

[52] ეს შუბისპირი, შესაძლოა, ფორმით რამდენადმე განსხვავდება ფოთლისებურ სატევრისპირებთან აღმოჩენილ სხვა შუბისპირებისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელთა მსგავსად, მასაც ნახრა და ქედი შემოჭრილის საშუალებით აქვს გამოყვანილი; ეს კი უდავოდ მის არქაულობაზე მეტყველებს (67, გვ. 24—25; 73, გვ. 55—56, 87; 53, გვ. 138, ტაბ. I) და არა სიახლეზე (49, გვ. 168).

[53] გ. ლომთათიძე ამ საკინძებს მიიჩნევდა ტიპიურ გვიანდელ ნივთებად (49, გვ. 166). მაგრამ შემდგომმა აღმოჩენებმა სამთავროს ველის ორმოსამარხებში (67, 221, 232, 210 ჩრდილო უბანი) და ბეშთაშენ-საფარხარაბას გზაზე აღმოჩენილ ორმოსამარხებში (46, ტაბ. XLIX) დაადგინა, რომ ამგვარი საკინძები დამახასიათებელია, როგორც ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსებისათვის, ისე მისი შემდგომი დროის სამარხებისათვის (53, გვ. 137—138).

ნილ აბზინდასთან (359, ტაბ. II), ამ სამარხში კი, როგორც ცნობილია, აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი, რომელიც სამარხის ქრონოლოგიურ კუთვნილებას ცხადად განმარტავს.

ამგვარად, სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე 1938 წ. აღმოჩენილი № 44 ორმოსამარხის ინვენტარში არა ჩანს სხვადასხვა დროის ნივთები, ყველა ისინი სინქრონულია და ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი სამარხების თანადროული. იმის დასამტკიცებლად, რომ სამარხში სხვადასხვა დროის ნივთებია შერეული, არ გამოგვადგება აქ აღმოჩენილი თვით ბრინჯაოს კახური შედგენილტარიანი სატევარიც, რადგან მას ფოთლისებურ სატევრისპირებზე გვიანდელად ამ სამარხის შერეული ინვენტარით ხსნიდნენ, ჩვენ კი როგორც დავინახეთ, № 44 სამარხში აღმოჩენილი ყველა ნივთი სინქრონულია და ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი სამარხების თანადროული. ამის შემდეგ, ცხადია, № 44 სამარხის კომპლექსის შერეულ ხასიათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია საუბარი, თუ აქ აღმოჩენილ კახურ სატევარს ტ. ჩუბინიშვილის მსგავსად (50, გვ. 103), a priori, ამ სამარხის კომპლექსიდან გამოთიშულად, უფრო გვიანდელად მივიჩნევდით, მაგრამ როგორც დავინახავთ, ამის დასამტკიცებლად ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ტ. ჩუბინიშვილი ცდილობს კახური ბრინჯაოსტარიანი სატევრების დასათარიღებლად გამოიყენოს სამთავროს სამაროვანზე დაფიქსირებული სამარხების სტრატიგრაფიული განლაგება და აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში შეიძლება დაგვეხმაროს ისიც, რომ № 101—ფოთლისებური სატევრისპირის შემცველ სამარხს, ზემოდან ადევს № 88 სამარხი, რომელშიც, ე. წ. კახური ბრინჯაოსტარიანი სატევარი აღმოჩნდა და ასკვნის, რომ სამარხთა ამგვარი განლაგება—„...აშკარად მიგვითითებს, რომ „კახური“ ტიპის სატევრების შემცველი სამარხები ფოთლისებური სატევრების შემცველ სამარხებზე გვიანდელია“ (50, გვ. 103).

ცხადია, რომ № 88 სამარხის ამგვარი სტრატიგრაფიული განლაგება, ამ სამარხში აღმოჩენილი კახური სატევრის სიახალგაზრდავეზე მიუთითებს ფოთლისებურ სატევრისპირთან შედარებით. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას აღნიშნული დასკვნა გავავრცელოთ ბრინჯაოს ყველა კახურ სატევარზე, რადგან № 88 სამარხში აღმოჩენილი სატევარი მთლიანადსხმულია (ჩვენი სქემის III ქვეტიპისა, იხ. 80, გვ. 64—72, ტაბ. IX$_{1, 2}$), ე. ი. როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული, შედგენილტარიან სატევრებზე (I ქვეტიპი) აშკარად გვიანი.

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ № 88 სამარხში აღმოჩენილი მთლიანადსხმული სატევარი შეუძლებელია გამოვიყენოთ შედგენილტარიანი სატევრების დასათარიღებლად.

ჩვენი აზრით, არ არის მართებული არც ის ვარაუდი, რომ ე. წ. კახური ბრინჯაოსტარიანი სატევრების გვიანდელობაზე მიუთითებს მათი კონსტრუქცია.

ჯერ ერთი, ფოთლისებური სატევრისპირები და ე. წ. კახური ბრინჯაოსტარიანი სატევრები სხვადასხვა ტერიტორიაზე გავრცელებული, სხვადასხვა კულტურების დამახასიათებელი, სრულიად სხვადასხვა ტიპის იარაღია და ისინი ერთიმეორის განვითარებულ თუ წინამორბედ საფეხურად არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს.

მეორეც, სრულიად არ უნდა იყოს მოულოდნელი და გასაკვირი, რომ მაშინ, როდესაც შიდა ქართლში ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები იყო გავრცელებული, ხის ან ძვლის ტარით, მაგალითად კახეთისთვის ბრინჯაოსტარიანი სატევრები ყოფილიყო დამახასიათებელი. ისინი როგორც აღვნიშნეთ, ერთი კულტურის კუთვნილ იარაღებს არ წარმოადგენენ და სრულიად ადვილადაა დასაშვები, რომ ერთი და იმავე ეპოქაში მათ შორის რომელიმეს უფრო მაღალგანვითარებული ლითონდამუშავება ჰქონოდა.

ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბრინჯაოსტარიანი სატევრები გავრცელებული ჩანს უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან (ცარცის გორა, ქორეთი—პასიეთის გორასამარხი, იხ. 268, გვ. 152, ტაბ. XVI, XIX, სურ. 32; 201, გვ. 79 და სხვა). უკვე ეს ფაქტი არ გვაძლევს უფლებას ბრინჯაოსტარიანი სატევარი მოგვიანოდ მივიჩნიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ბრინჯაოს ტარი აქვს.

ჩვენი აზრით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კახური შედგენილტარიანი სატევრები, ფორმით და კონსტრუქციით, თითქოს, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრების ერთი ნაწილის თანადროული უნდა იყოს (თა-

ზაკენტი, ლჭაშენი, ართიკი, იხ. 214; 285, გვ. 44—52; 23, სურ. 39, ტაბ. XXXV). ისეთი იარაღები კი, რომლებსაც ბრინჯაოს ტარი არ აქვთ, ამ კულტურის უფრო ადრეულ საფეხურებს ახასიათებს.

ნიშანდობლივია, რომ ბრინჯაოს იარაღთა კონსტრუქციასა და ფორმებში ზოგადი მსგავსების გარდა, კახეთისა და სომხეთის კულტურებს შეხების სხვა წერტილებიც აქვთ, რომლებიც მათ განსაკუთრებულ სიახლოვეზე მიგვითითებს[54].

კახური სატევრების გვიანდელობის დასადასტურებლად არც მათი ქიმიური შემადგენლობა გამოგვადგება, რადგან, როგორც ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნივთები სამთავროდან თავისი ქიმიური შემადგენლობით არ განირჩევიან ერთიმეორისგან (222, გვ. 69).

№ 44 სამარხის სატევრის ქიმიურ შემადგენლობაში კალის არარსებობა და ანტიმონის მცირე რაოდენობა, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს გ. ლომთათიძე (49, გვ. 168), მაინც არ მიუთითებს ამ სატევრების გვიანდელობაზე, რადგან ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იმ შემთხვევაში როდესაც განიცდიდნენ კალის ნაკლებობას, მას ანტიმონით ცვლიდნენ (234, გვ. 230—232).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, იმ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, რომლებსაც ჩვენი წინამორბედი მკვლევრები იყენებდნენ შედგენილტარიანი ბრინჯაოს კახური სატევრების დასათარიღებლად, სრულიად საწინააღმდეგო დასკვნების მიღებაა აუცილებელი. კერძოდ, სამთავროს საძაროვნის ჩრდილო უბნის № 44 სამარხეული კომპლექსი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს იმისთვის, რომ კახური შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრები ფოთლისებურ სატევრისპირებზე გვიანდელად ვიგულისხმოთ და ყველა მონაცემი არსებობს იმისთვის, რომ ისინი თანადროულად ჩავთვალოთ.

ჩვენი აზრით, ამ დასკვნის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს: ქვემო გოსტიბეს, ნავთლუღის, ორხევის, იყალთოს და გიორგიწმინდის ორმოსამარხების კომპლექსებიც.

გოსტიბეში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი (სსმ, ინვ. № 8—30/1—9) შედგება შემდეგი ნივთებისაგან: 1) ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, რომელსაც მასრა ჰედეის საშუალებით აქვს მორკალული (53, გვ. 138). ეს უკანასკნელი დეტალი, როგორც დავინახეთ, ფოთლისებური სატევრისპირების ეპოქისათვის დამახასიათებელი შუბისპირების ერთ-ერთი ყველაზე განმსაზღვრელი ნიშანია. 2) ბრინჯაოს კოლხური ცული. იგი ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება I ტიპს და ყველაზე ადრეული ხანით თარიღდება (337, გვ. 56, 80); კოლხური კულტურის ქვედა საზღვარი ძვ. წ. XIII ს. იყო განსაზღვრული, ამჟამად ეს თარიღი უფრო ღრმად გადააქვთ. კერძოდ, რ. აბრამიშვილი სასირეთის განძს (რომელშიც მსგავსი ცულიც აღმოჩნდა) ბეშთაშენის № 13 სამარხის სინქრონულად თვლის და ათარიღებს ძვ. წ. XIV—XIII სს. მიჯნის ახლო ხანებით (81, გვ. 318—319), თ. მიქელაძე კი კოლხური კულტურის სრულყოფილ საფუძვლებს ძვ. წ. XV—XVI სს. მასალებში ხედავს (331, გვ. 135—149)[55]. 3) გოსტიბეს სამარხში აღმოჩენილი კახური სატევარიც ტარის კონსტრუქციით ამ ტიპის იარაღის ადრეული ნიმუშების მსგავსია. მისი ტარი აშკარად შედგენილი ჩანს, მაგრამ პირის ორნამენტის მიხედვით, იგი თითქოს ოდნავ მოგვიანოა, რადგან მას პირზე ჩამოსხმის დროს მარაოსებური შემკულობა კი არა აქვს დატანილი, არამედ ჩამოსხმის შემდეგ ნაკაწრი, ზემოდან ნახევარწრით გადახურული ორ-ორი ხაზი მიუყვება, ეს კი შედარებით მოგვიანო ორნამენტია (80, გვ. 66, 67). 4) თიხის ცილინდრული ჰურჰლის ქუსლისა და კედლის ნა-

---

[54] ჩვენ ადრეულ ნაშრომში (359, გვ. 177) „მელი-ღელე“ I სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ჰურჰლის ნაწილი იორ-ალაზნის აუზისთვის უცხოდ ჩავთვალეთ და დამახასიათებლად მივიჩნიეთ სომხეთისათვის. ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, ეს არასწორი დასკვნა მიღებულ იქნა ბ. კუფტინის მოსაზრების გაზიარების შედეგად, რომელიც ე. წ. ნაცარგორულ თიხის ჰურჰელს აქ იმპორტირებულად მიიჩნევს. როგორც დასკვნითი თავის წინა ნაწილში დავინახეთ, ამჟამად ამ კერამიკას ჩვენ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურით ვათარიღებთ და დამახასიათებლად მივიჩნევთ მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის.

[55] კოლხური ცულის განსაზღვრული სახეობის ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს სოფ. დგვრისში შემთხვევით აღმოჩენილი კომპლექსიც, რომელშიც კოლხური ცული აღმოჩნდა მასრაგახსნილ შუბისპირთან და ბრინჯაოს თავხეია საკინძთან ერთად (445, სურ. 30). ამ კომპლექსს ბ. ტეხოვი არასწორად მიაკუთვნებს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს (445, გვ. 75).

ტეხი (67, გვ. 9), რომელიც ორნამენტული მოტივის მიხედვით წააგავს ბეშთაშენის № 31 სამარხში აღმოჩენილ პირფართო, წელში გამოყვანილ სასმისს, ნატვიფრი და ამოჭრილი შემკულობით (46, გვ. 66). მისი შემკულობა, ჩვენი მსჯელობის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანის ჭურჭელთა ერთ-ერთ ადრეულ ჯგუფს უახლოვდება და გვიანდელი ცალები სწორედ ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის პერიოდით თარიღდება.

ამგვარად, თითქოს არაფერი არ უშლის ხელს გოსტიბეში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსის დათარიღებას ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრისპირების არსებობის პერიოდის რომელიმე, შესაძლოა ბოლო მონაკვეთით. ყოველ შემთხვევაში, არა გვაქვს არავითარი საფუძველი ამ კომპლექსისათვის გავიზიაროთ ტ. ჩუბინიშვილის თარიღი, რომელიც თვლის, რომ „...ეს კომპლექსი გვიანი ბრინჯაოს ხანის იმ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს, როცა ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე „განვითარებული ბრინჯაოს ხანის" კომპლექსში უკვე რკინის ინდუსტრიის საწყისი ელემენტებიც იჩენენ თავს" (67, გვ. 13).

ნავთლუღის № 1 სამარხში, რომელიც ჩვენ ასევე ვარგისი გვგონია კახური შედგენილტარიანი სატევრების თარიღის გასარკვევად, აღმოჩნდა შემდეგი ნივთები (სსმ, ინვ. № 3—50/1—16; იხ. 359, ტაბ. V): ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი ბრინჯაოს გატოტვილი ტარით; ბრინჯაოს კახური შედგენილტარიანი სატევარი[56]; ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული; მასრაგახსნილი შუბისპირი; კაუჭი გახსნილი მასრით და თავხვია საკინძი; აგრეთვე სპილენძის (?) ქვაბი და თიხის ოთხი ჭურჭლის ფრაგმენტები (73, გვ. 6—11).

განვიხილოთ ყველა ცალკეული ნივთის არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

1. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს  თ ა ვ ხ ვ ი ა  ს ა კ ი ნ ძ ი, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების თანადროულია.

2. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს  მ ა ს რ ა გ ა ხ ს ნ ი ლ ი  შ უ ბ ი ს პ ი რ ი, ნაჭედი ქედით და მასრით გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ იარაღად ითვლება (73, გვ. 56; 53, გვ. 138).

3. ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ-ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი  ც უ ლ ი  ასევე არ გვაძლევს საშუალებას ეს კომპლექსი დ. ქორიძის მსგავსად ძვ. წ. XII—XI საუკუნეებით დავათარიღოთ[57]. მსგავსი ცულის ქვედა თარიღი, სასირეთის განძის ეგზემპლარის საშუალებით, ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეების მიჯნის ახლო ხანებამდეც კი მიჰყავდათ (81, გვ. 317—318).

4. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს  ფ ო თ ლ ი ს ე ბ უ რ ი  ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ე ბ ი,  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს  ტ ა რ ი თ  არა ერთხელ გამხდარა სპეციალისტთა კვლევის საგანი. დ. ქორიძე იზიარებს გ. ლომთათიძის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ამგვარი სატევრები არსებობდა გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე და მის მომდევნო ხანაში (49, გვ. 226; 72, გვ. 146—147; 201, გვ. 10).

კონკრეტულად, ადრეულ ნაშრომში დ. ქორიძე ღრმა-ღელის ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრისპირს ბრინჯაოს ტარით ათარიღებს ძვ. წ. XIV—XII სს.-ით (72, გვ. 154), შემდეგ კი აზუსტებს ამ თარიღს და მათ ბრინჯაოს ფოთლისებურ, ტარშეურჩენელი სატევრების თანადროულად მიიჩნევს.

მართალია, იგი თვლის, რომ ნავთლუღის სატევარი თავისი ფორმით, ქიმიური შემადგენლობით და სამარხეულ კომპლექსში შემავალი ინვენტარით უფრო მოგვიანოდ გამოიყურება ვიდრე ღრმა-ღელისა (201, გვ. 20), მაგრამ მიუხედავად ამისა ორივე სატევარს ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეთა ჩარჩოებში აქცევს (201, გვ. 21). დ. მუსხელიშვილი ამ სატევრების არსებობას გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ბოლოსა და შუალედი ეტაპის დასაწყისს უკავშირებს და მათ თარიღს დაახლოებით ძვ. წ. XIII ს. განსაზღვრავს (179, გვ. 5).

ტ. ჩუბინიშვილი თვლის, რომ ბრინჯაოს ორკაპატარიანი ფოთლისებური სატევრისპირები ბრინჯაოს ტარშეურჩენელ ფოთლისებურ სატევრისპირების განვითარების ბოლო ეტაპს წარმოადგენს (50, გვ. 76).

რ. აბრამიშვილი ამ სატევრებს, სასირეთის

[56] დ. ქორიძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში (73) ამ სატევარს არა ერთხელ მთლიანადსხმულად მოიხსენიებს.

[57] ერთ-ერთ თავის მოგვიანო ნაშრომში დ. ქორიძემ, სრულიად სამართლიანად, ამ კომპლექსის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ყველაზე მისაღებად ჩათვალა ძვ. წ. XIII ს. (201, გვ. 18).

განძთან და ბეშთაშენის № 13 სამარხთან ერთად, ათარიღებდა ძვ. წ. XIII—XII სს. (53, ტაბ. I), მაგრამ, როგორც ცნობილია, თავის შემდგომ ნაშრომში უფრო დააძველა ეს თარიღი და იგი გადაიტანა ძვ. წ. XIV—XIII სს. მიჯნის ახლო ხანებთან (81, გვ. 3,18).

ამგვარად, ბრინჯაოსტარიან-ფოთლისებურპირიან სატევრებს ყველა მკვლევარი ფოთლისებურ ტარშეურჩენელი სატევრისპირების არსებობის პერიოდის დასასრულის და მომდევნო ხანის კუთვნილად თვლის და სრულიად სამართლიანად ზოგჯერ მათ თანაარსებობასაც კი ვარაუდობს.

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ნავთლუღის № 1 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქვაბი და კაუჭიც ამ კომპლექსის არქაულობას უჭერს მხარს, რადგან, როგორც ცნობილია, ამგვარი ნივთების უმეტესობა გვიანბრინჯაოს ხანის წინამორბედი პერიოდისთვისაა უფრო დამახასიათებელი, ვიდრე მატერიალური კულტურის განვითარების შემდგომი საფეხურებისათვის.

კახურ შედგენილტარიან სატევართა დათარიღებისათვის ყურადღებას იმსახურებს ორხევის კომპლექსიც (359, ტაბ. IV). ორხევში (თბილისის აღმოსავლეთი განაპირა ნაწილი) 1955 წელს თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაზვერვითმა ექსპედიციამ შეისწავლა ერთი ორმოსამარხი[58], რომელშიც აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: 1) თიხის 17 ჭურჭელი; 2) ბრინჯაოს ქვაბი; 3) კახური შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრისპირის ნაწილი[59]; 4) ბრინჯაოს ფოთლისებური ტარშეურჩენელი სატევრისპირი[60]; 5) ბრინჯაოს ხუთი თხელფირფიტოვანი, ქუსლამოღარული ისრისპირი; 6) ბრინჯაოს ორი ლაგამი საყბეურებით; 7) ბრინჯაოს ქინძისთავი, მრგვალ თავზე ხუთი კოპით; 8) ბრინჯაოს პინცეტი; 9) ბრინჯაოს რვა და ერთი ძვლის მილაკისებური მძივი.

ამ კომპლექსის დათარიღებისათვის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ აქ კახურ შედგენილტარიან სატევრის ფრაგმენტებთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს ტარშეურჩენელი ფოთლისებური სატევრისპირი (ინვ. № 71—55), რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ამ ორი ტიპის იარაღის სინქრონულობას.

ორხევის კომპლექსში აღმოჩენილი დანარჩენი ინვენტარიც არ უშლის ხელს ამ კომპლექსის მიჩნევას ფოთლისებური სატევრისპირების თანადროულად.

ბრინჯაოს ბრტყელი, ქუსლამოღარული ისრისპირები, მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამთავროს სამარხებშიც ხშირად გვხვდება, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირებიანი კომპლექსებისთვისაც ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ინვენტარს წარმოადგენს[61].

ასევე, ბრინჯაოს პინცეტი გვხვდება როგორც მოგვიანო, ისე ადრეულ კომპლექსებში (მაგ. სამთავროს № 263 ორმოსამარხში, ბრინჯაოს პინცეტი ფოთლისებურ ტარშეურჩენელ ბრინჯაოს სატევრისპირთან ერთად აღმოჩნდა, იხ. 359, ტაბ. I).

ჩვენ ადრე, ორხევის სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მრგვალთავა საკინძს თავზე ხუთი კოპით, პარალელს ვუძებნიდით სამთავროს სამაროვნის № 96ბ სამარხის ინვენტარში, რომელიც ძვ. წ. XI—X სს. თარიღდება. მაგრამ ეს ფაქტი არ მიგვაჩნდა საკმარისად ამ საკინძებისათვის მხოლოდ გვიანი თარიღის მისაკუთვნებლად, რადგან, მსგავსი საკინძები შიდა ქართლის ჩრდილო მთიან ნაწილში გვხვდება როგორც ადრეულ, ისე მოგვიანო კომპლექსებში (79, გვ. 91—93, ტაბ. I, II). ამჟამად ამ ვარაუდს ამაგრებს 1967 წ. ამგვარი საკინძების აღმოჩენა ბრინჯაოს თავხვია საკინძებთან ერთად საჩხერის რაიონში ციხე—„მოდი ნახეს" მახლობლად, ჯ. ნადირაძის მიერ გათხრილ კოლექტიურ სამარხებში. ბოლო დროს ამ საკინძების იდენტური ნაკეთობების არსებობა

---

[58] მასალები ინახება თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ინვ. № 61—87/55).

[59] მიუხედავად იმისა, რომ შემორჩენილია პირის მხოლოდ ნაწილი, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი, რომ იგი ნამდვილად კახური სატევრების უძველეს — შედგენილტარიან ეგზემპლარს ეკუთვნის, რადგან მასზე შემორჩა ჩამოსხმის დროს დატანილი მარაოსებური ორნამენტი, რომელიც მხოლოდ კახური სატევრების I ქვეტიპს ახასიათებს (283, გვ. 112, სურ. 2).

[60] სატევრისპირი დაზიანებულია, აკლია მხრის ნაწილები, მაგრამ აშკარაა, რომ მას თავდაპირველად ფოთლისებური ფორმა ჰქონდა.

[61] სამთავროს სამაროვანი: 1939 წ. ორმოსამარხი № 16, 54, 75, 129; 1940 წ. ორმოსამარხები № 175, 180; 1946 წ.— ორმოსამარხები № 228, 261, 263; 1947 წ. ორმოსამარხები № 280, 283 და სხვა.

უფრო ადრეული ხანიდანაც დადასტურდა. კერძოდ, 1969 წელს შ. დედაბრიშვილის მიერ, კახეთში სოფ. ალავერდის მახლობლად, ადგილ „შვინდიანში“ გათხრილ გორასამარხში აღმოჩენილ კომპლექსში ტიპიურ შუაბრინჯაოს ხანის კერამიკასთან, ბრინჯაოს პირამიდალურთავიან საკინძებთან და სხვა, აღმოჩნდა მრგვალთავა საკინძები თავზე ხუთი კოპით (360, გვ. 366)[62]. ამ ვითარებაში, ამგვარი საკინძები კონკრეტული თარიღის დასადგენად, რა თქმა უნდა, გამოუყენებელია, მაგრამ დასახელებული ფაქტები მაინც იმაზე მიგვითითებს, რომ თავმრგვალი საკინძები თავზე ხუთი კოპით აღმოსავლეთ საქართველოში უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან ჩანს დამახასიათებელი, რაც, ცხადია, გამორიცხავს ამ ნაკეთობათა მიხედვით მათი შემცველი კომპლექსების მატერიალური კულტურის განვითარების მხოლოდ გვიანი საფეხურებით დათარიღებას.

ორხევის კომპლექსის ადრეულ თარიღზე მიუთითებს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს კაუჭასაკბეურიანი ლაგამიც, რომელიც პარალელს სასირეთის განძში და ბეშთაშენის № 13 სამარხში პოულობს.

ასევე ამ სამარხის თიხის ჭურჭელიც წმინდა კეცით, შავპრიალა ზედაპირითა და ნაპრიალები ბადური ორნამენტით, ადრეულ ნიმუშებს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევართა დასათარიღებლად, მათი შემცველი კახეთში აღმოჩენილი კომპლექსები, მეტყველ მასალას არ გვაწვდიან, ისინი ამ თვალსაზრისით, მაინც საკმაოდ საინტერესო ჩანს.

კახეთში შედგენილტარიანი სატევრის კომპლექსში აღმოჩენის მხოლოდ ორი ფაქტია დადასტურებული.

ერთი ამგვარი სატევარი აღმოჩნდა 1951 წ. გიორგიწმინდაში, ნაწილობრივ დაზიანებულ № 4 სამარხში[63]. ორმოსამარხში გამოვლინდა: ბრინჯაოს შედგენილტარიანი, ე. წ. კახური ტიპის სატევარი; ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით და ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი, მსხვილქვიშანარევი კეციანი თიხის რამდენიმე ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთის კორპუსი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა შემკული, ძირი კი სპირალით.

ამგვარად, გიორგიწმინდის № 4 სამარხში კახური შედგენილტარიანი სატევრის თარიღის დასადგენად არც ერთი ნივთი არ აღმოჩენილა.

ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირი, ფოთლისებური პირით და მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ძირითადად იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე გავრცელებული მატერიალური კულტურისათვის და უმთავრესად ძვ. წ. XIII—XII სს. თარიღდება (80, გვ. 74—75). ამ შუბისპირთა ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს კარგად ადგენს მათი აღმოჩენები სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბნის № 228 (ტაბ. LXII$_2$)[64] და № 80 (ტაბ. LXIII$_1$)[65] ორმოსამარხებში, სადაც ისინი ფოთლისებური სატევრისპირების იმ სახეობასთან ერთად აღმოჩნდნენ, რომლებიც ამ იარაღთა შორის უძველესადაა მიჩნეული (50, გვ. 74). ამის მიხედვით გიორგიწმინდის ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრის შემცველი სამარხი არ არის გამორიცხული ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის პერიოდითაც რომ დათარიღდეს.

შედგენილტარიანი სატევრის შემცველი მეორე კომპლექსი კახეთში აღმოჩნდა სოფ. იყალთოში[66], რომელშიც გამოვლინდა (ტაბ. LXIII$_2$): ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ორი მცირე რგოლი, ბრინჯაოს მავთულის სპირალი და თიხის რვა ჭურჭელი. ერთი შეხედვით არც ეს მასალა გვაწვდის ამ სამარხის თარიღის განსაზღვრის საშუალებას, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ თიხის ჭურჭლის მთელ რიგ მონაცემებს, მისი დაახლოებითი თარიღის გარკვევა მაინც მოხერხდება.

ჯერ ერთი, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ იყალთოში აღმოჩენილი ამ სამარხის თიხის ჭურჭლის

---

[62] საკინძები მრგვალ თავზე ხუთი კოპით შ. დედაბრიშვილის თეზისებში მოხსენებული არა აქვს. დასახელებული კომპლექსი შ. დედაბრიშვილის ცნობით გადაცემულია გამოსაქვეყნებლად კრებულში — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V.

[63] სოფ. გიორგიწმინდაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ნინო ბერძენიშვილი. № 4 სამარხის მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, ინვ. № 8—54/27—33.

[64] სსმ, ინვ. № 12—54/1931—1941.

[65] სსმ, ინვ. № 12—54/6163—6177.

[66] შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი გათხარეს თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებმა, რომლებსაც, მართალია, სამარხი გრაფიკულად არ ჩაუხატავთ, მაგრამ ფოტოპირზე ფიქსირებულია პრეპარაციის ყველა ეტაპი.

ერთი ნაწილი წმინდა თიხისგანაა დამზადებული, ერთ შემთხვევაში წვრილი თეთრი ჩანართებით და ზედაპირი შავია, ნაპრიალები (ტაბ. LXIII₂ (1, 4, 5, 8, 11). ამ ჭურჭლების კეცი, ჩვეულებრივ, ფხვიერია და წაბლისფრადაა გამომწვარი. ერთ შემთხვევაში კეცი აშკარად სარჩულიანია. მათ მხრებს ჩვეულებრივ შემოსდევს ორ კონცენტრულ ზოლს შორის ამოღარული ტალღური ხაზის სარტყელი. ყველა ამ ნიშნით ეს კერამიკა გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კუთვნილ ძეგლებს უახლოვდება, მაგრამ ამ კომპლექსის თიხის ჭურჭლის უმეტესობის კეცი უხეშია, ქვიშანარევი და მათი ორნამენტული მოტივიც ტიპიური გვიანბრინჯაოს განვითარებული საფეხურისთვისაა დამახასიათებელი (მხარზე და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევები, მთელ კორპუსზე კი კონცენტრული ამოღარული ხაზები).

ამგვარად, ამ სამარხის თიხის ჭურჭლის მცირე ნაწილს, ერთი მხრივ, შემორჩენილი აქვს არქაულ ნაკეთობათა ნიშნები, ხოლო მეორე მხრივ, ჭურჭელთა უმეტესობას ახასიათებს განვითარების შემდგომი საფეხურისათვის ჩვეული მონაცემები. ამდენად, ცხადია, კომპლექსი, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, უნდა მოთავსდეს დროის იმ მონაკვეთში, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ იყალთოში აღმოჩენილი ამ სამარხის თიხის ჭურჭელი უახლოეს პარალელებს პოულობს გულგულის I სამაროვნის ქვედა იარუსების სამარხეულ ინვენტართან. გულგულის ამ სამაროვანზე გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების ოთხი სართულია დადგენილი, აქედან ყველაზე ზედა სამარხის თარიღი ადრერკინის ხანაზე უფრო ძველია, ამდენად ცხადია, გულგულის სამაროვნის ძირა სართულის სამარხები, მაგ. № 16 (მესამე იარუსი) (ტაბ. LXIV₁, ₂) და უშუალოდ მის ქვეშ მოქცეული № 24 (მეოთხე იარუსი) (ტაბ. LXV₁), ზედა სართულის სამარხებზე, სულ ცოტა, ერთი საუკუნით ძველად მაინც უნდა მივიჩნიოთ და მათი თარიღი ამგვარად, დაახლოებით, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებით განვსაზღვროთ. ხოლო რადგან იყალთოს ჩვენთვის საინტერესო სამარხის კერამიკა ამ სამარხთა იდენტურია, ცხადია, მისი თარიღიც დაახლოებით ამ ფარგლებში უნდა მოექცეს.

იყალთოს და გულგულის ქვედა იარუსის სამარხთა დათარიღების თვალსაზრისით მნიშვნელოვახი ჩანს მადნისჭალის მთელი რიგი სამარხეული კომპლექსებიც, სადაც კონცენტრული და ტალღური ამოღარული სარტყლით შემკული თიხის ჭურჭლები აღმოჩნდა ბრინჯაოს თავხეია საკინძებთან ერთად (195).

მაგრამ, როგორც იყალთოს ისე გულგულის ქვედა იარუსების სამარხების მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღის განსაზღვრაში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებით, ყველაზე მეტად გულგულის II (სათვალისწყალის) სამაროვანზე აღმოჩენილი № 8 ორმოსამარხის ინვენტარი გვეხმარება, რადგან აქ გვიანბრინჯაოს პირველი საფეხურის მსგავს ბრინჯაოს სამკაულებთან და ექვსწახნაგა სარდიონის მძივთან ერთად, ზუსტად ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ჭურჭლების პარალელებიც აღმოჩნდა, იგივე შემადგენლობით (ტაბ. LXV₂; LXVI₁).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ უკვე უეჭველად ვთვლით ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირებისა, შედგენილტარიანი კახური სატევრებისა და მათი კუთვნილი კულტურების სინქრონულობას.

მაგრამ გასარკვევია მათი კონკრეტული თარიღიც.

როგორც წინაც შევნიშნეთ, მიღებული მოსაზრებების მიხედვით, მატერიალური კულტურის განვითარების ის ეტაპი, რომელსაც ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ სამარხებს აკუთვნებდნენ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად იყო მიჩნეული და ქრონოლოგიურ სქემაში ათავსებდნენ პირდაპირ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის დასასრულის, ე. ი. ძვ. წ. XV საუკუნის შუა პერიოდის შემდეგ და კონკრეტულად ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIV საუკუნით ათარიღებდნენ (81, გვ. 314). ადრე ჩვენ ეს თარიღი შედგენილტარიანი სატევრებისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნდა, თუმცა მას ზუსტად ფოთლისებური სატევრისპირების არსებობის მთელ პერიოდს ვერ ვამთხვევდით და მათ თარიღს დაახლოებით ძვ. წ. XIV საუკუნით და ძვ. წ. XIV—XIII სს. მიჯნით ვსაზღვრავდით (359, გვ. 182).

მაგრამ, რადგან ამჟამად ჩვენ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის დასასრულის შემდეგ ვგულისხმობთ გარდამავალი პერიოდის არსებობას,

რომელსაც მატერიალური კულტურის განვითარების სქემაში უნდა დაეთმოს მონაკვეთი დაახლოებით ერთი საუკუნის ფარგლებში, ხოლო მას შემდეგ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული (პირველი) საფეხურის კუთვნილად მივიჩნევთ მთელ რიგ მასალებს, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების შემცველ კომპლექსებს, განვითარების მთელ ეტაპს ქმნიან და ქრონოლოგიურ სქემაში მათთვის საჭიროა ასევე არა ნაკლებ ერთი საუკუნის მონაკვეთის დათმობა, ცხადია, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების და შედგენილტარიანი კახური სატევრების შემცველი კომპლექსების გაახალგაზრდავება ჩავთვალეთ საჭიროდ (443).

ზემოთ მოტანილი მოსაზრებების შესაბამისად, განვითარების ამ მონაკვეთმა აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში, რომელსაც ამჟამად გვიანბრინჯაოს ხანის მეორე (საშუალო) საფეხურს ვუწოდებთ, ქრონოლოგიურ სქემაში დაიკავა პერიოდი ჩვენ მიერ გამოყოფილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის შემდეგ, უფრო ზუსტად ძვ. წ. XIII ს. მეორე ნახევარი და XII ს.[67]

ამგვარად, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე, საშუალო საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოში ორი სინქრონული მატერიალური კულტურის არსებობა დასტურდება, პირველისა — შიდა ქართლში, მეორის — იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე.

პირველი კულტურა მოიცავდა შიდა ქართლის ტერიტორიას (49, 50, გვ. 12; 171, გვ. 60; და სხვა). მისი დამახასიათებელი ნივთები ამ კულტურის გავრცელების საზღვრებს შემდეგნაირად შემოფარგლავს — ჩრდილოეთით — დიდი კავკასიონის მთისწინა ზოლი, დასავლეთით — სურამის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, აღმოსავლეთით არაგვი[68], ხოლო სამხრეთით — ბეშთაშენ-მადნისჭალის ზოლი (ტაბ. LXVI$_2$).

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნივთებია (ტაბ. $LXIX_{116-151}$): ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი; ბრინჯაოს შუბისპირი გახსნილი, ნაკვერი მასრით; ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი, ქუსლამოღარული ისრისპირები; ბრინჯაოს თავხვია საკინძები; ირმის რქის ძირისაგან დამზადებული კვერთხის თუ ლახტისთავები; წვრილმარცვლოვანი თიხისგან გამოძერწილი, ზედაპირნაპრიალები ჭურჭელი, რომელიც ხშირად ძირიდან მუცლისაკენ მიმავალი, ნაპრიალები ზოლებითაა შემკული და სხვა. ამ ჯგუფის თიხის ჭურჭლის კეცი მთელ სიღრმეზე, ჩვეულებრივ, ერთნაირადაა გამომწვარი, ერთფეროვანია — უსარჩულო და ამ ნიშნით ჩვენ მიერ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეულ კერამიკულ ნაწარმზე, აშკარად გვიანი.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გაჩენილი პირმოყრილი ჭურჭლები განვითარების ამ საფეხურზე ფართო გავრცელებას პოულობენ, შემდეგ კი საერთოდ ქრებიან.

შიდა ქართლისათვის დამახასიათებელ ამ ხანის კულტურის ზოგიერთ სამარხეულ კომპლექს-

---

[67] ჩვენ ამ საფეხურის ძეგლებს ერთნახევარი საუკუნე დავუთმეთ, რადგან ამავე მონაკვეთში მოვაქციეთ მაგ., შედგენილტარიანი სატევრების ფორმის მთლიანადსხმული კახური სატევრები (III ქვეტიპი) და შიდა ქართლში — ბრინჯაოს ორკაპატარიანი ფოთლისებური სატევრისპირები და მათი თანმხლები კომპლექსები, რადგან ისინი ჩნდებიან თავისი წინამორბედი იარაღის არსებობის ბოლო პერიოდში და დამახასიათებელი არიან უშუალოდ მომდევნო დროისათვის.

[68] როგორც ცნობილია, გ. ლომთათიძეს თავის სადისერტაციო ნაშრომში, ამ კულტურის აღმოსავლეთი საზღვარი გაჰქონდა ველისციხის ზოლზე (49, გვ. 275—278). შემდგომმა აღმოჩენებმა ამ საზღვრის ამდენად აღმოსავლეთით გადაწევის სისწორე არ დაადასტურა.

ამჟამად, მუზეუმებში დაცული მასალის თუ გამოცემული მრავალი ნაშრომის მიხედვით, სრულიად ცხადი გახდა, რომ ამ კულტურის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი კონცენტრირებულია შიდა ქართლის ტერიტორიაზე და მხოლოდ სამხრეთით ბეშთაშენამდე და მადნისჭალამდე აღწევს. მაგალითად, ფოთლისებური სატევრისპირები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ორნიშნა არაბული რიცხვები შეეფარდება ტაბ. LXVI$_2$ მოცემულ რუკაზე დატანილ აღმოჩენის ადგილებს): ზედა ქსოვრისი [43]; სამთავრო [44]; ფლავისმანი [45]; ურბნისი [46]; ბეშთაშენი [47]; მადნისჭალა [48]; კასპი [49]; არმაზისხევი [50]; ნარეკვავი [51]; წეროვანი [52]; ატენი [53]; ქვემო-რიეთი [54]; თბილისი [55]; სასირეთი [56]; კაზრეთი [57]; ჭიკაანი (არაგვის ხეობა) [58]; სურამი [59]; ხიზაბავრა [60]. ამას გარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და გორის, კასპის, ხაშურის, ცხინვალის მუზეუმებში დაცულია მრავალი ამგვარი იარაღი, რომელთა ზუსტი აღმოჩენის ადგილი არ არის დადგენილი.

ში ჯერ კიდევ ჩანს სოლური შტამპით ნატვიფრი ორნამენტი (ტაბ. LXIX$_{130, 139}$), რომელიც გარდამავალ ხანაში ჩნდება, ფართოდაა გავრცელებული გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე. ამ ხანის სამარხებში გადმონაშთის სახით ჩანს, შემდეგ კი სრულიად ქრება.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელ მხარზე სამკუთხედებად განლაგებული ორნამენტის მსგავსია ფოთლისებურ სატევრისპირებთან ერთად აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მხრის შემკულობა დაშტრიხული სამკუთხედებით. ხშირია ბადური ნაპრიალები ორნამენტი, რაც ისევ ძველ ტრადიციებთან აკავშირებს ამ ჭურჭელს, თუმცა, უკვე ნაკაწრი შემკობა ჭარბობს. ამ ნაკეთობათა შორის იშვიათია უხეშკეციანი ჭურჭელი, რომელსაც ზედაპირი კონცენტრული, ამოღარული ხაზებით აქვს შემკული, მხარზე და ძირის კიდეზე კი ირიბი ნაჭდევები შემოსდევს.

ფოთლისებური სატევრისპირების თანმხლები თიხის ჭურჭლის შემკობის ერთ-ერთ დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს, ე. წ. „პარკეტული“ ორნამენტი (50, სურ. 9; ტაბ. XV$_{1169, 4996}$).

ამგვარი ორნამენტი, როგორც ცნობილია, ფართოდაა დამახასიათებელი დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის და შიდა ქართლში ამ კულტურის გავლენის შედეგად უნდა ვივარაუდოთ გაჩენილი და ოდნავ განსხვავებული სახით წარმოდგენილი. უფრო აღმოსავლეთით ეს ორნამენტი აღარ ჩანს გავრცელებული.

საერთოდ ამ ხანაში შიდა ქართლის კულტურა დასავლურ-ქართული კულტურის მძლავრ გავლენას განიცდის, რაც, როგორც ჩანს, იმაშიც აისახა, რომ, როგორც დავინახეთ, თუ მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის მატერიალური კულტურის განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოსტარიანი იარაღი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფოთლისებური სატევრისპირებია, რომლებიც განსაზღვრულ მსგავსებას ამჟღავნებს დასავლური კულტურის მასალებთან; ასევე დასავლურ ნაკეთობათა მსგავსია შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი მასრაგახსნილი შუბისპირების კონსტრუქცია და სხვა. მაგრამ მიუხედავად დასავლურ კულტურასთან ამ დიდი მსგავსებისა, შიდა ქართლური კულტურა ამ პერიოდში მაინც აშკარად გამოხატულ თავისებურ ნიშნებს ატარებს, რაც მას დამოუკიდებელი არქეოლოგიური კულტურის სახეს აძლევს და გენეტიკურად უკავშირდება წინამორბედ—ცენტრალურ-ამიერკავკასიურ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კულტურას.

მაგრამ, თუ ამ პერიოდის შიდა ქართლური მატერიალური კულტურის ზოგადი იერის განსაზღვრაში დასავლურ-ქართული კულტურის გავლენას გარკვეული წვლილი აქვს, ამავე პერიოდში და ამავე ტერიტორიაზე ჩნდება სხვა სახის მასალები, რომლებიც შიდა ქართლის აღმოსავლეთით მდებარე მხარისათვის ჩანს დამახასიათებელი. პირველად შიდა ქართლში ეს მასალა მზა ნაწარმის სახით ჩნდება, შემდეგ კი იმდენად ძლიერდება მისი გავლენა, რომ ნაწილობრივ სახესაც კი უცვლის ადგილობრივ კულტურას.

იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე წინამორბედი კულტურის განვითარების ბაზაზე წარმოქმნილი მატერიალური კულტურა, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე სრულიად ჩამოყალიბებული ნიშნებით ხასიათდება (ტაბ. LXIX $_{152—211}$). მისი წამყვანი ნივთებია: ბრინჯაოს შედგენილტარიანი, ე. წ. კახური სატევარი; ბრინჯაოს მასრაშეკრული შუბისპირი, მასრაზე ორი რელიეფური სალტით; თიხის ჭურჭელი დამზადებული ქვიშანარევი თიხისგან, რომელთა ზედაპირი დაფარულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით, მხარს და ძირის კიდეს კი ირიბი ნაჭდევი ხაზები შემოუყვება; თიხის ჭურჭელი (მცირე პროცენტი) წმინდა კეცით, ნაპრიალები შავი ზედაპირით. ამ ჭურჭლებს მხრები ჩვეულებრივ შემკული აქვთ ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული ტალღური ხაზით, ან სავარცხლისკბილისებრი შტამპით ნატვიფრი სახეებით შევსებული ნაკაწრი სამკუთხედებით, ამოკაწრული ცხოველური ორნამენტით და სხვა. თიხის ჭურჭლის კეცი, ჩვეულებრივ, ერთფრად, უფრო წაბლისფრად ან მოშავოდაა გამომწვარი, უსარჩულოა.

უხეშკეციანი ჭურჭელი გარდამავალ პერიოდში ჩასახული თიხის ჭურჭლების ფორმასა და შემკულობას იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ ამ საფეხურის თიხის ჭურჭლის მხარზე აღარ გვხვდება ზონარისებური წნული, რელიეფური სარტყლები, რომლებიც ფართოდ იყო დამახასიათებელი გარდამავალი ხანისა და გვიანბრინჯაოს პირველი საფეხურის ძეგლებისათვის. მათ ადგილს

კი იკავებს ირიბი, ღრმა ნაჭდევები, რომლებიც ჭურჭლის მხარს ასევე გარშემო შემოსდევს. თუ წინა საფეხურების ამგვარი თიხის ჭურჭლის ზედაპირი გარდამავალ ხანაში მხოლოდ ჩარხისეული წმინდა კონცენტრული ხაზებით იყო დასერილი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან იგი იორ-ალაზნის აუზის თიხის ჭურჭლისათვის ყველაზე დამახასიათებელ ორნამენტულ მოტივად იქცა. ამ საფეხურზე აქ ეს ჭურჭელი წმინდაკეციან, ზედაპირნაპრიალებ თიხის ჭურჭელთან თანაარსებობს, მაგრამ შემდეგ ამ მხარისათვის თიხის ჭურჭლის მხოლოდ ეს სახე ხდება დამახასიათებელი. როგორც ადრეც შევნიშნეთ, შიდა ქართლში ამ პერიოდში ამგვარი ჭურჭელი შედარებით იშვიათია, დამახასიათებელი კი სულ სხვაგვარი კერამიკა ჩანს.

იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის კომპლექსებში წმინდაკეციანი, ზედაპირნაპრიალები თიხის ჭურჭელი შედარებით იშვიათია, მათი მხრების შემკობა-ნაკაწრი და კონცენტრული ხაზების შეერთით, გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ორნამენტული სახის განმეორებაა, აქ უკვე გადმონაშთის სახით გვხვდება და შემდგომი საფეხურის ძეგლებს საერთოდ აღარ ახასიათებს. ასევეა ამ ჭურჭლების მხრის ირგვლივ ნაკაწრი სამკუთხოვანი ორნამენტიც. თუმცა აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელის ნაირსახეობანი შიდა ქართლის თიხის ჭურჭელს ამკობს რკინის ფართო ათვისების ხანაშიც, რაც მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარების აშკარა დადასტურებაა.

შიდა ქართლის აღმოსავლეთით არსებული ეს კულტურა, სრულიად განსაზღვრულ ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული. იგი ფაქტიურად მოიცავს იორისა და ალაზნის შუა დინების ტერიტორიას. ჩრდილოეთით იგი კავკასიონის ქედით ისაზღვრება, აღმოსავლეთით ვრცელდება დაახლოებით წნორი-სიღნაღის ხაზამდე, დასავლეთით მისი საზღვარი მდინარე არაგვია, ხოლო სამხრეთით მდინარე მტკვარს აღარ სცილდება (ტაბ. LXVI$_2$).

მაგრამ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღი საკმაოდ ხშირად გვხვდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე (ჯერ მტკვრის, ხოლო შემდეგ ლიახვის აყოლებით)[69] და ამ ფაქტს არ შეიძლება სათანადო ახსნა არ მოეძებნოს.

შიდა ქართლში იორ-ალაზნის აუზის მასალების გაჩენაზე, პირველ რიგში, მიუთითებს, ე. წ. კახური სატევრის I—III ქვეტიპის გავრცელება (ტაბ. LXVII$_2$)[70].

[69] როგორც წინაც შევნიშნეთ, ადრე ჩვენ ბ. კუფტინის მსგავსად, მტკვარ-არაქსის შუამდინარეთში მდებარე კულტურათა გავლენის შედეგად ვთვლიდით შიდა ქართლში ნაცარგორის მესამე ფენის მსგავსი კერამიკული ნაწარმის გაჩენას, მაგრამ ბ. კუფტინისაგან განსხვავებით, მისი შიდა ქართლში გაჩენის სხვა გზას ვვარაუდობდით, კერძოდ, შედგენილტარიან სატევრებთან ერთად კახეთიდან შემოსულად მიგვაჩნდა (359, გვ. 183—184). როგორც დასკვნითი თავის წინა ნაწილში დავინახეთ, ამ კერამიკას ამჟამად დამახასიათებლად ვთვლით მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისთვის და მას ცალკე — გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპად გამოვყოფთ.

[70] ბრინჯაოს, ე. წ. კახური სატევრების I—III ქვეტიპი აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში — ვარდისუბანი (თსიემ — ინვ. № 1437) [1] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ერთნიშნა და ორნიშნა არაბული რიცხვები შეესაბამება რუკაზე (ტაბ. LXV$_2$) დატანილ აღმოჩენის ადგილებს; ქვემო ხოდაშენი [2] (თსიემ, ინვ. № 720); ქისტაური [3] (თსიემ, ინვ. 721); კარდანახი [4] (სსმ, ინვ. № 12—32/46); ხაშმი [5] (სსმ, ინვ. № 35—58/1); შილდა [6] (სსმ, ინვ. 7—47/1); ტიბაანი [7] (სსმ, ინვ. № 12—32/27); თბილისი [8] (სსმ, ინვ. № 1—48/1; 12—32/10; 3—50,2); ჯიმითი [9] (სსმ, ინვ. № 7—31/4); ახაშენი [10] (სსმ, ინვ. № 4—37/1); გიორგიწმინდა [11] (სსმ, ინვ. № 8—54/27, 85, 89); პატარძეული [12] (სსმ, ინვ. № 2—30/3, 4); მცხეთა [13] (სსმ, ინვ. № 12—54/2035, 2054, 6313); კოლაგი [14] (სსმ, ინვ. № 12—32/41); ანთოკი [15] (სსმ, ინვ. № 45—58/1); წინანდალი [16] (სსმ, ინვ. 19—58/11); ქვემო ბოდბე [17], (სსმ, ინვ № 11); მელაანი [18] (სსმ, ინვ. 9—3/71; თსიემ ინვ. № 755, 756); ჩალაუბანი [19] (სსმ, ინვ. № 9—38/1); ბაკურციხე [20] (სსმ, ინვ. 12—32/59; № 2—53/1); ქვემო მაჩხაანი [21] (სსმ, ინვ. № 2279); საგარეჯო [22] (ორი სატევარი ვ. გოზალიშვილის კოლექციიდან, ინახება სსმ ფონდებში); ნორიო [23] (სსმ, ინვ. № 1—40/1); ქვემო მაღარო [24] (სსმ, ინვ. № 9); რუსთავი [25] (ორი სატევარი ინახება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში); პალდო [26] (თსუ არქეოლოგიის კაბინეტი ინვ. № 18—48/2); სიღნაღი [27] (სსმ, ინვ. 4—38,3); ნუკრიანი [28] (სსმ, ინვ. № 38—58/4; სსმ, ინვ. № 8); გოსტიბე [29] (სსმ, ინვ. № 8—30/1); ერედვი [30] (სსმ, ინვ. 12—32/43); გულგულა [31] (თსიემ ინვ. № 3642); კასპი [32] (სსმ, ინვ № 11—37/1); ახალქალაქი [33] (სსმ, ინვ. 12—32/45); ყორნისი [34] (ცმმ, ინვ. № 1037/712); ჩარდახი [35] (მმმ, ინვ. № 9190); [illegible] [36] (იხ. ჯ. გვასალიას ნაშრომი — 102, გვ. 12); მახარაძე (გურჯაანი) [37] (შემთხვევით აღმოჩნდა 1970 წ. [illegible] კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში — ქ. სიღნაღი); ზიარი [38] (გმმ, ინვ. № 19); ქანდარი

ამავე რიგის მითითებას უნდა წარმოადგენდეს შიდა ქართლში კახეთისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს მთლიანმასრიანი, მასრაზე ორი რელიეფური სალტით, შუბისპირების აღმოჩენაც[71].

ძნელია იმის მტკიცება, რომ შიდა ქართლში (ხოვლეში, სამთავროს სამაროვანზე, სოფ. თლიაში და ლიახვის ხეობის სხვა პუნქტებში—იხ. 59, გვ. 41—43; 79, ტაბ. XXI) კახური კულტურის მანიშნებელია — უხეშკეციანი, მხარზე და ძირის კიდეზე ირიბნაჭდევებიანი, კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული თიხის ჭურჭლის აღმოჩენა.

მართალია, ეს ნაკეთობანი მკვეთრად განსხვავდებიან თანადროული ადგილობრივი თიხის ჭურჭლისაგან, როგორც კეცის სტრუქტურით, ისე შემკულობით და აქ თითქოს უცხო ელემენტს წარმოადგენს. მაგრამ, თუ გავიხსენებთ იმას, რომ მსგავსი კერამიკა ამ მხარეში უკვე შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში ჩნდება და დამახასიათებელია მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის, ამჟამად გაძნელდება მსგავსი ჭურჭლების მიხედვით რაიმე გავლენაზე საუბარი და შესაძლოა, ეს ნაკეთობანი ძველი, ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელებადაც კი მივიჩნიოთ, რომელმაც ამ მხარეში შემდგომ ფართო გავრცელებას არ მიაღწია.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული მატერიალური კულტურა უკვე აღმოსავლეთ საქართველოს საერთო კულტურის ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს, რადგან მის წამყვან იარაღთა ფორმები უკვე მთელ ამ ტერიტორიაზე ამჟღავნებს ერთობას.

კერძოდ, შიდა ქართლში, ბრინჯაოს ძველი ფოთლისებური სატევრისპირებიდან, როგორც ჩანს, განვითარდა მხოლოდ ბრინჯაოს გატოტვილტარიანი ფოთლისებური სატევრისპირები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო დადგენილი, არსებობდნენ როგორც ფოთლისებური სატევრისპირების პერიოდში, ისე უშუალოდ მის მომდევნო ხანაშიც.

შემდგომი დროიდან კი ფოთლისებური სატევრისპირები არსებობას საერთოდ წყვეტენ და მათ ადგილს იკავებს, ე. წ. „სამთავრული ტიპის" მახვილი და სატევარი, რომელთა პროტოტიპს წარმოადგენს უკვე არა კახური შედგენილტარიანი სატევარი (შდრ. 81, გვ. 325, ტაბ. VI), არამედ კახური, მთლიანადსხმული სატევრები, რომლებიც შედგენილტარიანთა ფორმას იმეორებენ (81, გვ. 325, ტაბ. $VI_1$)[72].

ამგვარად, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან შიდა ქართლის არქეოლოგიურ კულტურას კვლავ აქვს იორ-ალაზნის აუზის არქეოლოგიური კულტურის ზემოქმედების ნიშნები, მაგრამ ეს უბრალოდ მასალის გავრცელებით აღარ აიხსნება. აქ გაცილებით რთული ვითარებაა. თუ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ბრინჯაოს შედგენილტარიანი და გარეგნულად მისი მსგავსი მთლიანადსხმული, ე. წ. კახური ტიპის სატევრები მხოლოდ შეღწეული ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ამ ტერიტორიაზე აღარ გვხვდება ტიპიური, ე. წ. კახური იარაღი, მაგრამ ჩნდება თავისებური ფორმის მახვილები და სატევრები (ტაბ. $LXIX_{225}$), რომლებიც მხოლოდ შიდა ქარ-

---

[39] (გმმ, ინვ. № 50); იყალთო [40] (თსიემ, ინვ. 6298/1); თეთრიწყლები [41] (1971 წ. კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ალექსი ჭინჭარაულმა); პატარა ლილო [12] (სსმ, ინვ. № 133—969/1, 2). ამას გარდა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და კახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ინახება მრავალი ამგვარი იარაღი, რომელთა ზუსტი აღმოჩენის ადგილი უცნობია.

[71] ამჟამად ჩვენ არ ვეხებით იმ საკითხს, მასალის ეს გავრცელება შიდა ქართლში და ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთით მდებარე მხარეებშიც, სამხედრო ექსპანსიის შედეგია თუ მშვიდობიანი განვითარებისა, რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტა არსებული მასალებით ნაადრევად გვეჩვენება (შდრ. 78, გვ. 328, 406; 50, გვ. 114—115; 267, გვ. 186).

[72] როგორც აღნიშნული იყო, ჩვენ კახური შედგენილტარიანი სატევრების, ბრინჯაოს გატოტვილტარიანი ფოთლისებური სატევრისპირების და ტარშეურჩეველი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირების თანაარსებობას ვვარაუდობთ. არის შემთხვევები მათი ერთი და იგივე კომპლექსში აღმოჩენისაც. ამდენად, ამჟამად ძნელია გავიზიაროთ გ. ლომთათიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფოთლისებური სატევრისპირები უეცრივ ქრება და მათ ადგილს კახური სატევრები იკავებს (49, გვ. 90) და უფრო მისაღები ჩანს ტ. ჩუბინიშვილის ვარაუდი, რომ ფოთლისებური სატევრისპირები შიდა ქართლში შეიცვალა კახური სატევრებით მხოლოდ განსაზღვრულ დროს მათი თანაარსებობის შემდეგ (50, გვ. 76).

თლისთვის ჩანს დამახასიათებელი და რომელთა პროტოტიპებად უკვე ე. წ. კახური ტიპის იარაღი უნდა ვიგულისხმოთ და არა ადგილობრივი ადრეული იარაღები.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ უკვალოდ გაქრა ძველი ადგილობრივი კულტურის ყველა ელემენტი. სამთავროს სამაროვანზე და შიდა ქართლის სხვა პუნქტებში აღმოჩენილ მასალებს თუ გადავხედავთ, იქ მოგვიანო სამარხებშიც ძალიან ბევრს დავინახავთ ძველი ადგილობრივი კულტურის ნიშნებს და ხშირად მთელ ნივთებსაც, რომლებიც ზუსტად ადრეულის ფორმებს იმეორებენ ან მათ განვითარებას წარმოადგენენ. ამის პირველი მანიშნებელია თიხის ჭურჭელი, რომლის შესწავლის შედეგად, მაგ., ხოვლეს ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების მიხედვით, მეტად დამაჯერებლადაა დადგენილი ადგილობრივი, შიდა ქართლური მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე (318).

შიდა ქართლური ადგილობრივი მატერიალური კულტურის განვითარების უწყვეტელობაზე უნდა მიგვითითებდეს გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან ამ მხარისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს თხელი ქუსლამოღარული ისრისპირები, რომლებიც განუწყვეტლივ გვხვდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლების ჩათვლით (ტაბ. $LXIX_{132,\ 136,\ 226-228}$ და სხვა), ამაზევე უნდა მიგვითითებდეს, მაგალითად, ირმის რქის ძირები, რომლებიც ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც დამახასიათებელი რჩებიან შიდა ქართლური კულტურისათვის (ტაბ. $LXIX_{119,\ 234}$) და სხვა.

ადგილობრივმა კულტურამ შემოსულისაგან შეითვისა მხოლოდ ის, რაც უფრო უკეთესი და პროგრესული იყო (ამ შემთხვევაში ბრინჯაოს წამყვანი იარაღების მახვილის და სატევრის კონსტრუქცია და ფორმები).

ამ ხანებიდან, როგორც ჩანს, იორ-ალაზნის აუზის არქეოლოგიური კულტურის გავლენის სფერო ნაწილობრივ აღმოსავლეთით ფართოვდება (164, გვ. 32), შიდა ქართლში კი თანდათან დასავლურ-ქართული კულტურის მასალები იწყებს მომძლავრებას, რაც რკინის ფართო ათვისების ხანაში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება. ამაზე მიუთითებს დასავლური მასალების მრავალრიცხოვანი აღმოჩენები შიდა ქართლში (სამთავროს სამაროვნის სამარხები, განძები და სხვა) (53; 430).

თუ ადრეულ პერიოდში, ე. წ. კოლხური კულტურის კუთვნილი ნივთები შიდა ქართლში მხოლოდ თითო-ოროლა ჩნდებოდა, რკინის პირველი გამოჩენის დროის კომპლექსებში ისინი უკვე ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებენ. საგულისხმოა ისიც, რომ კოლხური ელემენტი (ცულები, ბალთები, და სხვა) სომხეთისა (23, გვ. 12, 124—125) და აზერბაიჯანის (431, გვ. 57, სურ. 121—124; 432, გვ. 78, ტაბ. I)[73] ტერიტორიაზე, სწორედ მხოლოდ ამ პერიოდიდან იწყებს გამოჩენას, ე. ი. ამ დროიდან მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეინიშნება კოლხურ-დასავლური ელემენტის განსაკუთრებული აქტივობა.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დასავლური ელემენტის მომძლავრების სასარგებლოდ, შესაძლოა, ის ფაქტიც ლაპარაკობდეს, რომ, მაგ., რკინის ფართო ათვისების ხანის რკინის ცულები, როგორც წესი, დასავლურ-კოლხური ცულების ფორმისაა და არა აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცულებისა[74].

ინტერესს იწვევს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის შიდა ქართლის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალის გავრცელების საზღვრები. როგორც ადრეც შევნიშნეთ, შიდა ქართლის ამ ხანის კულტურა გენეტიკურად უკავშირდება ამ ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ კულტურათა გავრცელების საზღვრებიც თითქმის ემთხვევა ერთიმეორეს — დასავლეთით ზოგადად

---

[73] 1961 წ. ტაუზის რაიონში, აეაზ-თაფაზე, შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ცული (ინახება აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის ფონდებში).

ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს, ისიც, რომ 1972 წ. კახეთში, ახმეტის რაიონში სოფ. მატანთან იპოვეს ერთი ბრინჯაოს კოლხური ცული (ინახება ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

[74] როდესაც ჩვენ დასავლურ-კოლხური არქეოლოგიური მასალების მომძლავრებაზე ვსაუბრობთ, სხვა ავტორებთან ერთად ვვარაუდობთ, რომ იგი შიდა ქართლში ძირითადად მტკვრის ხეობით უნდა შემოსულიყო სამხრეთ საქართველოდან [ბ. კუფტინის კვალდაკვალ (59, გვ. 14) მესხეთ-ჯავახეთს კოლხური კულტურის წრეს აკუთვნებს ო. ფაჯარიძეც (337, გვ. 54)].

სურამის ქედი[75], ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთისწინა ზოლი[76], აღმოსავლეთით არაგვი[77], ხოლო სამხრეთით თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდები[78].

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე (ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრების ხანა), როდესაც ქვემო ქართლში გავრცელებულია შიდა ქართლისაგან განსხვავებული მატერიალური კულტურის ძეგლები (81, გვ. 312, 350), შიდა ქართლის არქეოლოგიური კულტურის კუთვნილი მასალის საზღვარი მაინც თრიალეთის ქედის სამხრეთით გადიოდა—ბეშთაშენის (46, გვ. 65—77), მადნისჭალის (238) სამაროვნების მასალა და სხვა (შდრ. 49, გვ. 275—276); 50, გვ. 12, 109—112). დაახლოებით ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნისთვის კი თრიალეთის ქედის სამხრეთით, სადაც რ. აბრამიშვილი ადგილობრივი კულტურის არსებობას ვარაუდობს (81, გვ. 355, 371), შიდა ქართლური კულტურის ნიშანწყალი არ ჩანს, სამაგიეროდ აქ განჯა-ყარაბაღული კულტურის ელემენტებია მომძლავრებული, რომელიც შიდა ქართლშიც იჭრება, როგორც ჩანს, გუჯარეთის ხეობით. გუჯარეთის ხეობის ამ თვალსაზრისით გამოყენება, შესაძლოა, უფრო ადრეც დაიწყო. რაზედაც უნდა მიგვანიშნებდეს, მაგალითად, ქართლის იმ ნაწილში, სადაც გუჯარეთის ხეობა ერთვის მტკვარს, თავისებური ფორმის ბრინჯაოს სატევრების აღმოჩენა (გომნა, სასირეთი, ყვიბისი, გემი, ზღუდერი და სხვა), რომლებიც მთელ რიგ საერთო ნიშნებს პოულობენ სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში გავრცელებულ იარაღებთან.

არანაკლებ საინტერესოა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში.

ისევე როგორც წინა საფეხურის მასალების შესწავლისას, ამჟამადაც, განსაზღვრული მიზეზების გამო ჩვენი კვლევის სფეროში უმთავრესად ბრინჯაოს იარაღები ექცევა, კერძოდ — მათი მოგვიანო ცალები — მთლიანადსხმული მახვილები და სატევრები, შემკული ტარით. ყველა ისინი ბრინჯაოს ინდუსტრიის უმაღლესი განვითარების ნაყოფია და არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დამზადების წესით და კონსტრუქციით, მაგრამ აშკარად იმიჯნებიან ჯგუფებად — ფორმით, შემკულობით და გავრცელების ტერიტორიით, რაც მათ პროტოტიპებში არ შეინიშნებოდა. ეს იარაღები, როგორც წესი, ჩამოსხმულია ერთ ყალიბში, ე. ი. ყველა მთლიანადსხმულია და ჩვენ მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის დროს (80, გვ. 61—76, ტაბ. IX) გავაერთიანეთ ბოლო, მეოთხე ქვეტიპში. ფორმის, შემკულობის და გავრცელების ტერიტორიის მიხედვით მათში სამ ჯგუფს გამოვარჩევთ ($IV_1$, $IV_2$, $IV_3$).

$IV_1$ ჯგუფის ბრინჯაოს მახვილები (ტაბ. LXIX 278) დიდი ზომისაა. ტარი მოკლე აქვს. ტარის ქუდი — მაღალი, კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული. ტარის ცილინდრული ყელი შემკულია ვერტიკალურად, ოთხ რიგად განლაგებული, რელიეფური წერტილებით. ორი რიგი დედალი დუგაბის რელიეფური გამოსახულებით მთავრდება. მხრები ზოგს მაღალი და დაქანებული აქვს, ზოგს კი დაბალი, ჰორიზონტალური და ხშირად ნაკაწრი ჯვარედინი ხაზებით შემკული[79]. მახვილის პი-

---

[75] ამ პერიოდში სურამის ქედი არქეოლოგიური კულტურების ზღვრად არ გვევლინება, რადგან მისი აღმოსავლეთი ფერდობების მახლობლადაც დასავლური კულტურა ჩანს მაპროფილებელი (433; 431, გვ. 40).

[76] როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ა. იესენი ფიქრობდა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში სამხრეთ ოსეთი ე. წ. ყობანური კულტურის წრეში ექცეოდა (43, გვ. 116), ბ. კუფტინი კი სამხრეთ ოსეთში კოლხური კულტურის ცალკე განშტოების — საწარმოო ჯგუფის არსებობას გულისხმობდა (59, გვ. 48) და შენიშნავდა, რომ ამ რაიონისათვის დამახასიათებელი, როგორც ბრინჯაოს ნივთები, ისე კერამიკა კოლხურ-ყობანური ტიპისაა (59, გვ. 62—63).

[77] როგორც ვიცით, ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ არაგვის ხეობა უნდა ყოფილიყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების საზღვარი (78, გვ. 327, სურ. 12). ეს რომ ასე არ არის ნათლად დაგვანახა ო. ჯაფარიძემ თავის ერთ-ერთ ნაშრომში (267, გვ. 185—186). არაგვის ხეობა მართლაც წარმოადგენს ზღვარს, მაგრამ არა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის, არამედ — აღმოსავლური კულტურის ლოკალურ რაიონებს შორის.

[78] ზოგიერთი ავტორი, თიხის ჭურჭლის შესწავლის შედეგად, შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთ ნაწილში, ამ პერიოდისათვის ცალკე ლოკალური რაიონის არსებობას ვარაუდობს (435, გვ. 5). ჩვენ ამ ვარაუდის გაზიარება გვიჭირს, რადგან ვერ ვხედავთ ამდენად მნიშვნელოვან სხვაობას მაგალითად ხოვლეს, თრელიგორეების და მტკვრის ჩრდილო პუნქტებში მოპოვებულ თიხის ჭურჭელს შორის. ასევე იდენტურია მტკვრის სამხრეთით და ჩრდილოეთით, შესაბამის კულტურულ ფენებში გამოვლენილი პურის საცხობი ღუმელები და სხვა.

[79] ვფიქრობთ, საყურადღებოა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიისთვის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში დამახასიათებელ მახვილთა უმეტესობის მხრების ის ნაწილი,

რის ბოლო მომრგვალებულია, იშვიათად კი კვეთილი. პირის ორივე მხარე ორნამენტირებულია, ოთხ-ოთხი წყვილ-წყვილად ერთიმეორის პარალელური ამოკაწრული ხაზებით. პირის ბოლოზე ხშირად ნაკაწრი წიწვოვანი გეომეტრიული სახეებია გამოყვანილი.

ამ ჯგუფის სატევარი სულ რამდენიმე ეგზემპლარის სახითაა ცნობილი, მახვილების მსგავსადაა შემკული და გარეგნულადაც (ტარი) მახვილის ფორმებს იმეორებს.

$IV_1$ ჯგუფის მახვილებისათვის ვერ გავიზიარებთ სხვა ჯგუფებისათვის შესაფერის თარიღს, რადგან მათი კუთვნილი მახვილები განსხვავებულია არა მარტო ფორმითა და შემკულობით, არამედ გავრცელების არეალითაც.

ამ უკანასკნელის დასათარიღებლად ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმარისი კომპლექსური აღმოჩენები.

ს. მელაანში (კომპლექსი № 1, № 3), ტიპიურ $IV_1$ ჯგუფის ბრინჯაოს მახვილებთან ერთად, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა ნივთები — რკინის დიდი მოხრილი დანები, ნამგლები, სამაჯურები, სატევრები, შუბისპირები, მახვილის პირი და სხვ. ბრინჯაოს — სარტყლები, ისრისპირები, სამაჯურები, შუბისპირები და სხვა, რომლებსაც ამ მახვილების ზედა თარიღი მოჰყავთ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებამდე (80, გვ. 72). მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს თარიღიც არ მიგვაჩნია ამ მახვილებისათვის საბოლოოდ გადაწყვეტილად, რადგან ჯერ ერთი, ამ ბრინჯაოს მახვილების გვიანდელ მასალასთან მოხვედრა, შესაძლოა, ძეგლის თავისებური დანიშნულებითაც (სამლოცველო) აიხსნას და მეორეც, როგორც ცნობილია, სოფ. მელაანში აღმოჩენილი კომპლექსები, მიუხედავად იმისა, რომ მიწიდან ამოღებისთანავეა ჩვენ მიერ ადგილზე ნანახი, in situ მაინც არ დაგვხვედრია. ამდენად, იგი მაინც შემთხვევით ხასიათს ატარებს და მისი თარიღი შემოწმებას საჭიროებს — მახვილების შემცველი კომპლექსების საკონტროლო გათხრებით.

ლითონის ინდუსტრიის განვითარების ამიერკავკასიური დონის გათვალისწინებით, ამ მახვილების ხნოვანების განსაზღვრისას, უფრო მისაღები ჩანს რ. აბრამიშვილის მიერ შემუშავებული თარიღი. იგი ემყარება კომპლექსურ აღმოჩენას ბაკურციხის № 5 სამარხში და მასში აღმოჩენილ მახვილს ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანების კუთვნილად თვლის (81, გვ. 348—349, 375).

ამ თარიღის გაზიარების საშუალებას გვაძლევს 1969 წ. სოფ. ჩალაუბანში, „ტინის სერის“ ნამოსახლარის სამაროვნის შესწავლისას № 1 სამარხში აღმოჩენილი მახვილიც (ტაბ. $LXVII_1$).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამარხში მახვილთან ერთად მხოლოდ თიხის 16 ჭურჭელი აღმოჩნდა, მისი მიახლოებითი თარიღის განსაზღვრის საშუალებას სწორედ ეს თანმხლები ინვენტარი იძლევა.

საქმე იმაშია, რომ „ტინის სერის“ სამაროვნის № 1 სამარხისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა სტრატიფიცირებულ ნამოსახლარ ბორცვ „მოჭრილ გორაზე“ იმავე სოფ. ჩალაუბანში. აქ ერთიმეორისგან კარგად გამოყოფილი, უშუალოდ ერთიმეორეზე განლაგებული ორი კულტურული ფენა გამოვლინდა (იხილეთ ნამოსახლარების შესწავლისადმი მიძღვნილი პარაგრაფი), რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვერჩია ერთიმეორისგან ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანების და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა პერიოდის ამ მხარისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი. ამ ნამოსახლარზე ზედა ფენა ფაქტიურად ათარიღებს ქვედას, რადგან ზედაში აღმოჩნდა დაახლოებით ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულის, ე. წ. სკვითური ისრისპირები, რომელთა გამოჩენასაც, როგორც ჩანს, დაემთხვა ნამოსახლარის საბოლოო განადგურებაც.

ნამოსახლარ მოჭრილ გორაზე აღნიშნულ ფენათა კერამიკული მასალის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ისინი კეცის დამუშავებით და ზოგიერთი სხვა ნიშნითაც აშკარად გაირჩევა ერთიმეორისაგან. კეცის დამუშავებითვე ისინი აშკარად განსხვავდებიან მატერიალური კულტურის განვითარების სხვა საფეხურთა თიხის ჭურჭლისგანაც; ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა მათ სრულიად განსაზღვრული ადგილი მივუჩინოთ ქრონოლოგიურ სქემაში.

საერთოდ, მეტად საინტერესო ჩანს გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში იორ-ალაზნის აუზისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტური-

---

რომელიც უშუალოდ პირის ფხას უერთდება, ოდნავ აწეულია, რითაც იგი ემსგავსება შუაბრინჯაოს ხანის რაპირისებურ მახვილებს და „სადულას“ ველის (კახეთთან) № 2 გორასამარხში, 1971 წ. აღმოჩენილ, ასევე შუაბრინჯაოს ხანის ბოლომომრგვალებულ მახვილს.

სა და დამუშავების ცვალებადობა მატერიალური კულტურის განვითარების ეტაპების მიხედვით.

შუასა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ პერიოდში თიხის ჭურჭლის უმეტესობის კეცი შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის იდენტურია — წმინდა, ფხვიერი, თეთრი, უწვრილესი, მბზინავი ჩანართებით, ორფენოვნადაა გამომწვარი (ღია სარჩულით), ზედაპირი შავია და ნაპრიალები. იშვიათად ჩნდება ქვიშანარევი კეცის მქონე თიხის ჭურჭელი, ხაოიანი ზედაპირით. ისინი იშვიათადაა ღიასარჩულიანი, ე. ი. ორფენოვნად გამომწვარი. უფრო ხშირად ამ სტრუქტურის თიხის ჭურჭლის კეცი ერთფერი გამოწვით ხასიათდება — მოწაბლისფრო ელფერით. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამგვარი ჭურჭელი განვითარების შემდგომ საფეხურებზე პროცენტულად მატულობს, ბოლოს კი იგი ყველაზე დამახასიათებლად იქცევა იორ-ალაზნის აუზის მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ, პირველ საფეხურზე ძირითადად ისევ წმინდა, ფხვიერი კეცის მქონე თიხის ჭურჭელი ჩანს დამახასიათებელი, რომლის თიხის კაზმში ისევ ხშირად ურევია თეთრი, წვრილი, მბზინავი ნაწილაკები. მათი კეცი ისევ ხშირადაა ორფენოვნად გამომწვარი (ღია სარჩულით), მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება კეცის ერთფერი გამოწვა, შავად ან წაბლისფრად. ამ ჭურჭელთა უმეტესობის ზედაპირი შავია, ნაპრიალები. გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იღებს და მრავლდება თიხის ჭურჭელი ქვიშანარევი კეცით. მათი კეცი ამ ხანიდან, როგორც წესი, მხოლოდ ერთფრად, უმეტესად მოშავო-წაბლისფრადაა გამომწვარი, კარგადაა შემცხვარი, ზედაპირი კი ხაოიანი აქვს.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან განსაკუთრებით მრავლდება უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი მქისე ზედაპირით; ისინი ისევ მოშავო-წაბლისფრად, ერთფრადაა გამომწვარი. კეცი მთელ სიღრმეზე კარგადაა შემცხვარი. შედარებით იშვიათი ჩანს წმინდაკეციანი თიხის ჭურჭელი, ძალიან იშვიათად ორფენოვანი გამოწვით. ამ ჭურჭლების ზედაპირი ისევ შავია და ნაპრიალები, მაგრამ განსხვავებით წინა საფეხურთა თიხის ჭურჭლისაგან, მათ უფრო მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავთ და სიკრიალეც ნაკლები აქვთ. ამგვარი ჭურჭელი გვიანბრინჯაოს ხანის ყოველ სამარხეულ კომპლექსში გვხვდება, მაგრამ უხეშკეციანზე შეუდარებლად ნაკლები.

ამ საფეხურის თიხის ჭურჭელს შორის ჩნდება ისეთი ნაკეთობანიც, რომელთა კეცი მუქ წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირის თხელი ფენა კი შავად აქვთ შემურული, მაგრამ ისინი სულ თითო-ოროლა ეგზემპლარს თუ წარმოადგენენ.

გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურს, რომელსაც ადრერკინის ხანასაც ვუწოდებთ, შეესაბამება ნამოსახლარ „მოჭრილი გორის“ ქვედა ფენის კერამიკული ნაწარმი. იგი ჩვეულებრივ უხეშკეციანია, ე. ი. დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან და ზედაპირიც მქისე აქვთ. ამ ფენის თიხის ჭურჭელი სხვა პერიოდების კერამიკული ნაწარმისგან აშკარად გამოიყოფა დამუშავების ტექნოლოგიით.

წინა საფეხურზე გაჩნდა, მაგრამ ადრერკინის ხანაში ყველაზე დამახასიათებელი გახდა ქვიშანარევკეციანი თიხის ჭურჭელი, რომლის კეცი წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირის თხელი ფენა კი აუცილებლად შავად აქვს შემურული. როგორც ჩანს, ამ პერიოდში გრძელდება ძველი ტრადიცია შავი ფერის თიხის ჭურჭლის დამზადებისა და მაშინაც კი როდესაც, შესაძლოა, გამოწვის ახალი ტექნოლოგიის გამოყენებისას სხვა ფერის კეცს ღებულობდნენ, შემდეგ იგი მეორედ მუშავდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ მისი ზედაპირი შავად ექციათ, ტრადიციისამებრ. მაგრამ, ამავე პერიოდში ჩნდება წმინდაკეციანი თიხის ჭურჭელი, რომელიც არაფრით აღარ ჰგავს ადრეული საფეხურების წმინდაკეციანი თიხის ჭურჭლის კეცს. მათი კეცი ჩვეულებრივ ლეგა-მონაცრისფროა და კარგადაა შემცხვარი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარი შემადგენლობის და დამუშავების კეცი დამახასიათებელი ხდება ნამოსახლარ „მოჭრილი გორის“ ზედა ფენისთვის, ე. ი. რკინის ფართო ათვისების პერიოდისთვის, როდესაც წაბლისფერკეციანი და შავად შემურული, უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი უკვე დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის კახეთში რკინის ფართო ათვისების ხანის თიხის ჭურჭლის მსგავსად, კვლავ ამგვარივე შემადგენლობის თიხის ჭურჭელი ჩანს დამახასიათებელი, მაგრამ ამ დროიდან უკვე ტრადიციად იქცევა წითლად გამოწვა.

ამგვარად, იორ-ალაზნის აუზისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის კეცის სტრუქტურისა და

გამოწვა-დამუშავების თავისებურებების პროცენტული შეფარდებით, შესაძლებელია მატერიალური კულტურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპის ძეგლთა გარჩევა და მათი ზოგადი თარიღის დადგენა. მაგალითად, ჩალაუბანში „ტინის სერის“ სამაროვანზე № 1 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მახვილთან გამოვლენილ თიხის ჭურჭლის უმეტესობის კეცი ქვიშანარევია, უხეში და წაბლისფრადაა გამომწვარი, ზედაპირის თხელი ფენა კი შავად აქვთ შემურული. მათ შორის მხოლოდ ერთი ჭურჭელია წმინდა, კარგად შემცხვარი ლეგად გამომწვარი კეცით. ეს თავისებურებები გვიანბრინჯაოს ხანის მესამე ეტაპის ან იგივე ადრერკინის ხანის ძეგლებს ახასიათებს და ამდენად ამ სამარხის და მასში აღმოჩენილი $IV_1$ ჯგუფის მახვილის თარიღიც ზოგადად ამ დროით უნდა განისაზღვროს.

ჩვენი ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე მელაანში — „ჩალიანისა“ და „გოჭის წყაროს“ სამაროვნებზე მოპოვებული არაერთი სამარხეული ინვენტარი და სხვა. $IV_1$ ჯგუფის მახვილები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი[80], და მათი გავრცელების ტერიტორია მკაცრადაა შემოსაზღვრული (ტაბ. $LXVII_2$). ისინი ძირითადად გვხვდება მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინებაში და გარე კახეთში ივრის შუა დინების ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამ მახვილების გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრად, ბუნებრივად კავკასიონის ქედი და, კერძოდ კი, მისი სამხრეთი კალთები გვევლინება. სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის დადგენა დაახლოებით შემდეგნაირად ხერხდება: ივრისა და ალაზნის შუა და ქვემო დინებისათვის დამახასიათებელი იარაღის გავრცელების უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილად ცნობილია სოფ. ქვემო ქედი. წმინდა განჯა-ყარაბაღული ტიპის ინვენტარის შემცველი ძეგლების გავრცელების უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პუნქტია (კახეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე) მინგეჩაური.

ამგვარად, ქვემო ქედსა და მინგეჩაურს შორის რჩება საკმაოდ დიდი შეუსწავლელი ტერიტორია, რომელზედაც ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი მომიჯნავე კულტურების დამახასიათებელი არც ერთი ნივთი. ამიტომ, ბუნებრივია, გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურზე ივრისა და ალაზნის შუა და ქვემო დინებაში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი სადღაც ქვემო ქედსა და მინგეჩაურს შორის ვივარაუდოთ. მთლიანად ცხადი არ არის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხი ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, რადგან აქ სოფ. ახალ ულიანოვკაში ადრეული, განჯა-ყარაბაღული კულტურის კუთვნილი, მასალის შემცველი გორასამარხის ყრილში, იორ-ალაზნის შუა და ქვემო დინებისათვის ტიპიური (თიხის ჭურჭლის მიხედვით) ინვენტარის შემცველი ორმოსამარხებია ჩაშვებული (164, გვ. 29—32). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელი კულტურისათვის დამახასიათებელი მახვილები უფრო აღმოსავლეთითაც გვხვდება (ბელაქანი, ზაქათალა), და არ არის გამორიცხული იმ კულტურის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელსაც ეს მახვილები

---

[80] ხირსა [9] (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ერთნიშნა ან ორნიშნა არაბული ციფრი შეეფარდება რუკაზე (ტაბ. $LXVII_2$) აღნიშნულ აღმოჩენის ადგილებს) (სმმ, ინვ. № 14; 1438; სსმ, ინვ. № 7—60/1); ზაქათალის ოლქი [1] (ერმიტაჟი, ინვ. № 17129); ძველი ანაგა [6], (სსმ, ინვ. № 11— 58/1; № 22—30/6, 9, 11); ქვემო ქედი [2] (სსმ ინვ. № 2—58/11; № 36—58/16; ამას გარდა, ქვემო ქედის სახელოსნო უბანზე 1964 წ. აღმოჩნდა ბრინჯაოს ორმოცი მახვილი, რომლებიც ამჟამად გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება); ბელაქანი [4] (სსმ, ინვ. № 116—16/1); ყარადაჯი [7] (სსმ, ინვ. № 12—58/1, 3, 4, 5, 7); ბაკურციხე [13] (სსმ, ინვ. № 12—32/28, 30, 32—35, 37, 38, 60); ქვემო-მაჩხაანი [11] (სსმ, ინვ. № 2277, 2278); ახალი ულიანოვკა [5] (ლაგოდეხის რაიონი) (სსმ, ინვ. № 26—58/1); მელაანი [12] (1959 წ. სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 27 მახვილი. თსუ არქეოლოგიის კაბინეტი, ინვ. № 58—57/18); გადრეკილი (მახარაძე) [14] (მახვილი ინახება სოფ. მახარაძის საშუალო სკოლის მუზეუმში); ახმეტა [41] (თსიემ, ინვ. № 718); ზემო მაჩხაანი [10] (სსმ, ინვ. № 12—32/36; ნინოწმინდა [16] (სსმ, ინვ. 12—32/26); ზემო ყანდაურა [15] (ორი მახვილი, დაცულია საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 864); ტარიბანა [3] (მახვილი ინახება წითელწყაროში, სკოლის ისტორიის მასწავლებელთან ი. მენთეშაშვილთან); ჩალაუბანი [44] ტინის სერის სამაროვანი, სამარხი № 1 (მასალა ინახება გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში); ახალქალაქი (სსმ, ინვ. № 12—32/44; აღმოჩენის ადგილის უტყუარობა, აქაც და ქვევითაც საეჭვოა, რადგან ნივთები ბაზარში შეძენილი); ბაქო (მიმ, ინვ. № 451120, клад VII, 38/2); თბილისი (მიმ, ინვ. 41865, клад. VII, 74 2/8); რამდენიმე მახვილი ცნობილია, როგორც ზოგადად კახეთში აღმოჩენილი (თსიემ, ინვ. № 741; სსმ, ინვ. № 12—32/1,3; № 1—36/44); სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ერთი ამგვარი, უნომრო მახვილი. ასეთივე ერთი მახვილი უნომროდაა დაცული თსუ არქეოლოგიის კაბინეტში, ხოლო ერთი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია (ინვ. № 56136) და აღმოჩენის ადგილზე მითითებულია ამიერკავკასია.

ეკუთვნოდა, დაახლოებით ზაქათალა-ქვემო ქედის ზოლზე გადიოდა.

ივრისა და ალაზნის შუა და ქვემო დინებისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღების გავრცელების სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის საკითხი შემდეგნაირად ისმის: პროფ. გ. ნიორაძის მოსაზრებით, ამ რაიონისათვის დამახასიათებელი ტიპის მახვილების გავრცელების უკიდურეს საზღვრად სამხრეთით მტკვარი უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მდინარე ივრის სამხრეთით, მტკვრამდე, ამ კულტურის მხოლოდ რამდენიმე ნივთია ცნობილი. მისი უმთავრესი რაოდენობა ივრის ჩრდილოეთით არის განლაგებული და ამიტომ მათი გავრცელების ძირითად სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად, ჯერჯერობით ცნობილი მასალების მიხედვით, მდინარე იორი უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ აღწერილი მახვილები და სატევრები ძირითადად ივრის და ალაზნის შუა და ქვემო დინებაშია გავრცელებული, უფრო დასავლეთით თითქმის არც ერთი ეგზემპლარი არ გვხვდება და ამ მხარეს სასაზღვრო ხაზი დაახლოებით გრემი-ენისელი-ვანთის ზოლზე უნდა გადიოდეს.

ამ ზოლის დასავლეთით სხვა ფორმის იარაღი ჩანს დამახასიათებელი; რომელიც ჩვენ მიერ $IV_3$ ჯგუფშია გაერთიანებული.

ამ ჯგუფის ბრინჯაოს მახვილები და სატევრები გამოირჩევა მცირე ზომებით, თავისებური ფორმებით, შემკულობით (ტაბ. $LXIX_{245}$) და გავრცელების რაიონით (ტაბ. $LXVII_2$).

ამ მახვილების და სატევრების ტარის ქუდები სხვადასხვაგვარია: მაღალი, წვეტიანი და დაბალი, ნახევრად მრგვალი. ყველა ისინი ამოჭრილი სამკუთხედებითაა შემკული. შუაში შევიწროებული ტარის ყელი ყოველთვის მდიდრულადაა ორნამენტირებული (რელიეფური — სპირალები, წნული ხაზები და ხაზები წერტილებისგან, დედალი დუგმის გამოსახულებები). შემკულობა ყოველთვის დატანილია ერთი სქემით, ჩამოსხმის დროს. მხრები ამოკვეთილი, გადაბმული სპირალებითაა შემკული. მახვილების პირი, ჩვეულებრივ, მოკლეა და მთავრდება გამსხვილებული კუთხით. პირზე ამოკვეთილია — ერთიმეორესთან გადაბმული სპირალები, პარალელური და ტალღური ხაზები, დედალი დუგმის გამოსახულებები და სტილიზებული ცხოველები. მახვილის პირის ბოლო, როგორც წესი, წიწვოვანი სახეებითაა შემკული.

ამ ბოლო დრომდე არც ამ ჯგუფის მახვილები გვქონდა კომპლექსებში ნაპოვნი და იძულებული ვიყავით მათი თარიღის მეტად პირობითი დადგენით დავკმაყოფილებულიყავით. კერძოდ, მისაღებად მიგვაჩნდა (80, გვ. 73), რიგი მოსაზრებების გათვალისწინების და შედარებების საფუძველზე გამოთქმული ვარაუდი, რომ ისინი დაახლოებით ძვ. წ. XI—VIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (77, გვ. 23).

ამჟამად, უკვე საშუალება გვაქვს ამ მახვილებისათვის უფრო ზუსტი თარიღი გამოვნახოთ. ამის უფლებას იძლევა 1966 წელს თეთრწყლებში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილი 4 ორმოსამარხი, რომლებშიც $IV_5$ ჯგუფის ბრინჯაოს მახვილები აღმოჩნდა (167, გვ. 101—107, ტაბ. VII—XII).

ამ სამარხებში ლითონის ნივთები ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული და მხოლოდ № 1 სამარხში აღმოჩნდა რკინის სამი ნივთის ნატეხი (დანა, შუბისპირი), ხოლო № 4 სამარხში ბრინჯაოს მახვილის ტარზე რკინის ჟანგი. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ თეთრწყლებში აღმოჩენილი სამარხები და მათი კუთვნილი ინვენტარი განვითარების იმ პერიოდით უნდა დავათარიღოთ, როდესაც რკინა ჯერ კიდევ არ არის ფართო ხმარებაში შემოსული, ე. ი. უნდა მივაკუთვნოთ ადრეული რკინის ხანას.

რ. აბრამიშვილის მიხედვით, სამთავროს სამაროვანზე რკინა საკმაოდ მომძლავრებული ჩანს ძვ. წ. XI—X სს.-დან (53, ტაბ. I 148—191) და უკვე ძვ. წ. IX საუკუნიდან ლაპარაკი შეიძლება მის ფართო გავრცელებაზე; ამ დროს ჩნდება ბრინჯაოსტარიანი და რკინისპირიანი იარაღი. რკინა ამ ხანის სამარხებში რაოდენობრივად უკვე მოწინავე ადგილს იკავებს (53, ტაბ. I 118—147). რ. აბრამიშვილმა თავის მოგვიანო ნაშრომში რამდენამდე დააზუსტა თავისი ეს მოსაზრება და რკინის ფართო ათვისების პირველი საფეხური, სამთავროს მასალების მიხედვით, ძვ. წ. X საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. IX საუკუნით შემოფარგლა. მაგრამ იგი ამ თარიღს მისაღებად არ თვლის სხვა ტერიტორიებისთვისაც და დასძენს, რომ, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში რკინის ფართო ათვისება უფრო გვიან დაიწყო, რაც, მისი აზ-

რით, რკინის საბადოთა მცირე რაოდენობით უნ-და აიხსნას (81, გვ. 365).

ჩვენ გვგონია, რომ მთელ ჩრდილო და აღმოსავლეთ საქართველოში რკინის გვიან ათვისებაზე ლაპარაკი ამ დასაბუთებით ჯერჯერობით ნაადრევია. მით უმეტეს, რომ მცხეთის მახლობლად დღეისათვის რკინის საბადოები და წარმოების ნიშნები აღმოჩენილი არ არის[81], თვით ციტირებული ავტორი კი ამ მხარეში რკინის ათვისების შედარებით ადრეულ თარიღს გვთავაზობს. ყოველ შემთხვევაში, ამ მიზეზით რკინის გვიან ათვისებაზე ლაპარაკი $IV_3$ ჯგუფის მახვილების გავრცელების ტერიტორიაზე მაინც გამორიცხული უნდა იყოს, რადგან სწორედ ამ იარაღის გავრცელების რაიონშია ცნობილი რკინის საბადო (პანკისის ხეობა) (7, გვ. 82), რომლის ძველად გამოყენების ნიშნები უკვე გვაქვს[82].

ამ საკითხის კვლევისას ანგარიშგასაწევია ისიც, რომ $IV_3$ ჯგუფის მახვილების გავრცელების დასავლეთი საზღვარი უშუალოდ ემიჯნება შიდა ქართლის მასალების გავრცელების ტერიტორიას და ამდენად, ნაკლებმოსალოდნელია ისეთ მნიშვნელოვან სიახლეს, როგორიც რკინის ათვისებაა, ამ კულტურათა მატარებელი ტომები სხვადასხვა დროს გასცნობოდნენ. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია რკინის მახვილი დუბლირებული ბრინჯაოს ტარით, ამ მახვილის ტარი ზუსტად ისევეა შემკული და იმავე ტიპისაა, როგორც $IV_3$ ჯგუფის თეთრი წყლების მახვილების ტარი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ამ რკინისპირიან მახვილს რ. აბრამიშვილი ძვ. წ. IX—VIII სს. ათარიღებს. ბუნებრივია, ამავე ტიპის, მთლიანად ბრინჯაოსგან დამზადებული მახვილები ($IV_3$ ჯგუფი) წინ უნდა უსწრებდეს მას და ე. ი. ისევე უნდა დათარიღდეს, როგორც სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სხვა მახვილები—ძვ. წ. XI—X სს. ამას გარდა შესანიშნავია, რომ თეთრიწყლებისა და სამთავროს ბრინჯაოს მახვილიან სამარხებში ბრინჯაოსა და რკინის ნივთების ერთნაირი თანაფარდობაა. ყოველივე ეს კი არ გვაძლევს უფლებას $IV_3$ ჯგუფის მახვილები სამთავროს ბრინჯაოს მახვილებზე უფრო გვიანდელად მივიჩნიოთ[83]. $IV_3$ ჯგუფის მახვილები და სატევრები ძირითადად მდ. ალაზნისა და ივრის ზედა დინებაში და ფშავის არაგვის ხეობაშია გავრცელებული (თელავის, ახმეტის და დუშეთის რაიონები)[84].

[81] თუმცა კასპის მახლობლად ცნობილია ღარიბი მურა რკინაქვის ერთი საბადო (436, გვ. 262), მაგრამ, ვფიქრობთ ეს ფაქტი არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ამ მხარეში რკინის წარმოების განსაკუთრებითი დაწინაურება ვიგულისხმოთ.

[82] 1965 წ. დაზვერვითი ექსპედიციის დროს (437, გვ. 293) პანკისის ხეობაში მრავალ ადგილას აღმოჩნდა ნაქურალი ადგილები, რაზედაც მიგვითითებდა დამწვარი ლაქები მიწაზე და დიდი რაოდენობით რკინის წიდა, თუმცა, მართალია, ამ საწარმოთა თარიღის დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

[83] ჯერჯერობით საკამათო რჩება თეთრიწყლების № 5 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მშვილდსაკინძის თარიღი, რადგან მას ფორმა ადრეული აქვს, მოხრილ ღეროს კი მოგვიანო იერის, გოფრირებული ორნამენტი ამკობს. თუმცა, არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ, რომ აზერბაიჯანში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდით დათარიღებული ბევრი სამაჯური მსგავსი სახეებითაა შემკული (438). მსგავსად შემკული სამაჯურები აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში ფოთლისებურ სატევრისპირთან ერთად (სამხრეთი უბანი, 1939 წ., ორმოსამარხი № 151, სსმ, ინვ. № 1491—1496).

[84] ვ ა ნ თ ა [17] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ორნიშნა არაბული ციფრი შეეფარდება რუკაზე (ტაბ. $LXVII_2$) აღნიშნულ აღმოჩენის ადგილებს / (თსიემ, ინვ. № 1436, 3095); ნ ა ს ა მ ხ რ ა ლ ი (ყოფილი ნასომხარი) [18] (სსმ, ინვ. № 12—32/42); გრემი [19] (ინახება სსმ-ის ფეოდალური ხანის არქეოლოგიური განყოფილების ფონდში); ე ნ ი ს ე ლ ი [20]; თ ე თ რ ი წ ყ ლ ე ბ ი [21] თსიემ, ინვ. № 1435, 3033, 3661, 3046; სსმ, ინვ. № 5—50,3); აგრეთვე თეთრწყლებში არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ოთხი მახვილი ინახება თსიემ-ში; რ უ ი ს პ ი რ ი [22] ინახება თსიემ-ში უნომროდ; ზ ე მ ო-ა ლ ვ ა ნ ი [23] (თსიემ, ინვ. № 722); ი ლ ტ ო ს მ ა რ მ ა რ ი ლ ო ს კ ა რ ი ე რ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა, ახმეტასთან [24] (ინახება უნომროდ თსიემში); ხ ა ლ ა წ ა ნ ი [25] (სატევარი, ზემო-ალაზნის დაზვერვითი, ექსპედიციის მონაპოვარი, 1965 წ.); ყ ვ ა რ ე ლ წ ყ ა ლ ი [26] (6 მახვილი აღმოჩნდა ზემო-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დროს 1966 წ. იქვე სამარხებში მახვილი და სატევარი გამოავლინა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1967 წელს. ინახება თსიემ-ის ფონდებში); ვ ე რ ო ნ ა [27] (მახვილი, აღმოჩნდა უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამარხის გათხრის დროს; აქვე ნაპოვნი ამ ტიპის რამდენიმე მახვილი ინახება გომბორის ქართული საშუალო სკოლის ისტორიის კაბინეტში); კ ა ნ ა ტ ი ა ს ხ ე ვ ი [28] (დაცულია დმმ-ის ფონდებში); მ ა ღ ა რ ო ს კ ა რ ი [29] (დმმ, ინვ. № 175); თ ბ ი ლ ი ს ი [38] (სსმ, ინვ. № 10—37/1); ქ ო ტ ო რ ი [42] (სსმ, ინვ. № 4799); მახვილებისა და სატევრების ერთი ნაწილის აღმოჩენის ადგილი ზუსტად არაა ცნობილი და მუზეუმის კატალოგებში გატარებულია როგორც კახეთში აღმოჩენილი (თსიემ, ინვ. № 744, 753, 759ა, 760; სსმ, ინვ. № 7—49/4); მეორე ნაწილის აღმოჩენის ადგილი სრულიად უცნობია, მაგრამ რადგან ისინი მხოლოდ სსმ-შია დაცული, ადვილი მოსალოდნელია

ამ იარაღის გავრცელების ძირითადი არეალის საზღვრები შემდეგნაირად იხაზება (ტაბ. $LXVII_2$): შიდა კახეთში — გრემი, ენისელი, ვანთის ზოლის დასავლეთით კახეთის ქედამდე, ხოლო მის ჩრდილო მონაკვეთში მდინარე არაგვამდე (ან გუდამაყრის ქედამდე).

კახეთის ქედის დასავლეთით და ნაწილობრივ ივრის ზემო დინების სამხრეთით სხვა სახის იარაღი ჩანს დამახასიათებელი, რომლებიც ჩვენ მიერ $IV_2$ ჯგუფში იყო გაერთიანებული. $IV_2$ ჯგუფის მახვილები დიდი ზომისაა (ტაბ. $LXIX_{264}$), ტარის ქუდი ჩვეულებრივ დაბალია და პროფილში ნახევრად მრგვალი. ტარის ყელი შუაში შევიწროვებულია, მაგრამ ქუდისკენ უფრო განიერი, ვადისკენ კი შედარებით ვიწრო. შემკულია ისევე, როგორც $IV_1$ ჯგუფის მახვილები, მაგრამ დამატებით რელიეფური წერტილებით კიდევ გამოსახულია რკალური ხაზები, რომლებიც ვერტიკალური ხაზის ზედა და ქვედა ნაწილს აკავშირებს.

მეტად არსებითია, რომ ეს ორნამენტი ტარის ყელზე, როგორც წესი, აუცილებლად გულისხმობს განსაკუთრებული სისტემის შემკულობას პირზე (ამოკვეთილი ურთიერთდაკავშირებული სპირალები, გადამკვეთი ჯვარედინი ხაზები და სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებები.

მახვილის მხრებზე უმეტესწილად ამოკვეთილია ერთიმეორის ჯვარედინად გადამკვეთი პარალელური ხაზები. ამ მახვილთა პირი, როგორც წესი, დიდი ზომისაა, მასიური, ბოლოში მკვეთრად მოკვეთილი და გამსხვილებული ან მომრგვალებული და ბასრი. მახვილის ბოლოზე ხშირადაა ამოკვეთილი წიწვოვანი გეომეტრიული სახეები.

$IV_2$ ჯგუფის მახვილები ყველაზე უკეთაა დათარიღებული კომპლექსური აღმოჩენებით: სამთავროს სამაროვანი — ორმოსამარხი № 591 (ბაიერნისეული); ორმოსამარხი № 268, 1940 წ.; ორმოსამარხი № 208, ზემო ავჭალაში აღმოჩენილი სამარხი (38) (ტაბ. $LXVII_2$).

დასახელებულ სამარხებში მონაპოვარი მასალა დაწვრილებით აქვს შესწავლილი რ. აბრამიშვილს, რის საფუძველზეც ამ სამარხებში აღმოჩენილი მახვილები, სრულიად დამაჯერებლად ძვ. წ. XI — X საუკუნეებით აქვს დათარიღებული (53, ტაბ. I, 154, გვ. 136; 81, გვ. 330, 331, 332). ასევე აქვს დათარიღებული მას ვორნაკში აღმოჩენილი მსგავსი მახვილი კომპლექსითურთ, მაგრამ რამდენადმე განსხვავებულ თარიღს გვაწვდის ზემო ავჭალაში მოპოვებული მახვილისათვის, რომელსაც სამარხში აღმოჩენილი რკინის ნივთების შედარებით დიდი რაოდენობის გამო დაახლოებით ძვ. წ. IX საუკუნის კუთვნილად მიიჩნევს (81, გვ. 349).

ამ ჯგუფის სატევრები და მახვილები გავრცელებულია ჩრდილოეთით თეთრი და შავი არაგვის შესაყარამდე (გუდამაყრის ქედამდე), დასავლეთით არაგვამდე; აღმოსავლეთით: ზედა ხაზზე კახეთის ქედამდე, ხოლო ქვედა ხაზზე ივრის შუა დინებამდე[85] (ტაბ. LXVIII). ამგვარი ორი მახვილი აღმოჩენილია უფრო სამხრეთითაც ვორნაკსა და ხაშტარაკში. ა. მარტიროსიანი მათ ამ ტერიტორიისთვის ერთ-ერთ დამახასიათებელ იარაღად თვლის (23, გვ. 113—115, ტაბ. XXXV). დილიჟანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური მასალის კატალოგშიც ეს მახვილები სრულიად გაუმართლებლად ე. წ. განჯა-ყარაბაღული ტიპის იარაღთანაა გაიგივებული და ამ მხარისთვის დამახასიათებლად მიჩნეული (439, გვ. 92, 110—

---

ეს იარაღებიც მათი გავრცელების ძირითად რაიონში იყოს ნაპოვნი (სსმ, ინვ. № 1—35/46, 47, 49). მახვილებისა და სატევრების ერთი ნაწილი, მათი გავრცელების ძირითადი რაიონიდან მოშორებითაა ნაპოვნი: ნ ი კ ა რ ი — ლუნიბის ახლოს (სსმ, ინვ. № 7—09/1); შ ო რ ა პ ნ ი ს მ ა ზ რ ა (სსმ, ინვ. № 12—32/14); ყ ო ბ ა ნ ი (199, გვ. 28, ტაბ. XI); მ ე ხ ჩ ი ს ც ი ხ ე (78, გვ. 329, სურ. 22); მ ი ნ გ ე ჩ ა უ რ ი (146, ტაბ. $XXXVIII_8$); ოთხი მახვილი ინახება მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებში და მისი აღმოჩენის ადგილად მითითებულია ამიერკავკასია (მიმ, ინვ. № 41865; ერმიტაჟი, ინვ. № 2517; K—372, 17132).

[85] მთ. ნარეკვავის ხევი [30] (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ორნიშნა არაბული ციფრი შეეფარდება რუკაზე (ტაბ. LXVIII) აღნიშნული აღმოჩენის ადგილებს) (მმ, ინვ. № 137); მ ც ხ ე თ ა [31] (სსმ, ინვ. № 1 620; № 12—54/8791; ერთი უნომრო მახვილი ინახება მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში); ზ ე მ ო-ა ჭ ა ლ ა [32] (სსმ, ინვ. № 24—30/1); პ ა ლ დ ო [33] (თსუ არქეოლოგიის კაბინეტი, ინვ. № 18—48/1; სსმ, ინვ. № 11—46/1); ნ ო რ ი ო [31] (ნორიოს საშუალო სკოლის მუზეუმი); თ ბ ი ლ ი ს ი [34] [35] (სსმ, ინვ. № 5—54/1); დ ი ღ ო მ ი [37] (სსმ, ინვ. № 6—60/16, 17, 19); მ ა რ ნ ე უ ლ ი [37] (სსმ, ინვ. № 23—59/1); ყ ა რ ა ი ა ზ ი (გ ა რ დ ა ბ ა ნ ი) [10] (სსმ, ინვ. № 16—58/1); ნ ა რ უ ს უ ლ ე ვ ი (ივრის ხეობის შუა წელი) (თსუ, არქეოლოგიის კაბინეტი, ინვ. № 13—49/2); სამი მახვილის აღმოჩენის ადგილი უცნობია (სსმ, ინვ. № 88—12/11; თსუემ, ინვ. № 742, 759); ვ ო რ ნ ა კ ი (ერმიტაჟი, ინვ. № 16749); ხ ა შ ტ ა რ ა კ ი (23, სურ. 52, გვ. 129; 439, ტაბ. $XVII_{11}$).

111). მასალის სიმცირე ამ მოსაზრებათა გაზიარერებას აძნელებს, მაგრამ თუ იგი შემდგომმა აღმოჩენებმაც დაადასტურა და მართლაც ეს მახვილები სომხეთის ჩრდილო რაიონებისთვისაც დამახასიათებელი აღმოჩნდა, მაშინ მთლიანად ეს ტერიტორიაც იმ კულტურული წრის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ, რომლის ცენტრალური ნაწილი ამჟამად დაახლოებით თბილისის მიდამოებშია.

ამგვარად, ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის მახვილებისა და სატევრების შესწავლის საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდა რამდენიმე რაიონის გამოყოფა, რომლებიც იარაღის თავისებური ფორმებით ხასიათდებიან.

მაგრამ ყველა ამ ცალკეული იარაღის გავრცელების ტერიტორიისთვის სხვა თავისებური ნიშნებიცაა დამახასიათებელი, რომლებიც მათ ერთიმეორისგან გამოარჩევს.

მაგალითად, თეთრწყლებში, ჯიჯეთში და ყვარელწყალში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ყველა მახვილიან სამარხში, როგორც წესი, გვხვდება სამხარიღლიე ბრინჯაოს ჯაჭვი და სარტყლის შემცვლელი ბრინჯაოს ჯაჭვი, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ღორის გახვრეტილი ეშვი ჰკიდია (რომელიც როგორც ჩანს მახვილის პირის ასაწყობად იხმარებოდა). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებისათვის არ არის დამახასიათებელი ამგვარი სამხარიღლიე თასმისა და სარტყლის ხმარება და ამდენად იგი მხოლოდ ალაზნის ზემო დინებაში გავრცელებული მასალების თავისებურებად მიგვაჩნია.

ასევე მხოლოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურისათვის ჩანს დამახასიათებელი ირმის რქის გახვრეტილი ძირები, რომლებიც კვერთხის ან ლახტისთავის დანიშნულებას ასრულებდა; ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი ქუსლამოღარული ან გრძელღეროიანი ისრისპირები; შტანდარტის ნაწილები წინამძღოლთა სამარხებიდან, რომლებიც ბრინჯაოს წვრილი მილაკებითა[86] და გატოტვილრქებიანი ირმებითაა წარმოდგენილი; მასრაგახსნილი გრძელი შუბისპირები, რომელთა მასრა, როგორც წესი, მდიდრულადაა ორნამენტირებული. ამავე პერიოდში იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიისათვის სხვა სახის მასრაშეკრული შუბისპირებია დამახასიათებელი[87] (ტაბ. LXIX$_{255}$) და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურის ლოკალურ ვარიანტთა შორის, ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე, განსხვავება ჩანს თიხის ჭურჭლის მიხედვითაც, რაც პირველ რიგში ჭურჭლის ფორმებში და უფრო კი ორნამენტაციაში შეინიშნება.

შიდა ქართლის თიხის ჭურჭელი ამ პერიოდში სრულიად განცალკევებით დგას, რადგან იგი აგრძელებს ამ ტერიტორიისათვის გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე დამახასიათებელი კულტურის ტრადიციებს, რომელიც იორ-ალაზნის აუზის მატერიალური კულტურისგან იმთავითვე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. რაც შეეხება იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ამ პერიოდში არსებულ სამი ლოკალური კულტურის თიხის ჭურჭელს, ისინი ამჟამადაც მეტად მსგავსია და ეს არც უნდა იყოს გასაოცარი, რადგან მატერიალური კულტურის ყველა ეს ჯგუფი ერთ საფუძველზეა წარმოქმნილი. მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა ამ ცალკეული კულტურის დამახასიათებელი ნიშნები თიხის ჭურჭლის შემკობის დეტალების მიხედვით მაინც ჩანს.

კერძოდ IV$_2$ ქვეტიპის მახვილების გავრცელების ტერიტორია უფრო შიდაქართლური თიხის ჭურჭლის მსგავსი ნაკეთობებით ხასიათდება. რაც შეეხება IV$_1$ და IV$_3$ ჯგუფის მახვილთა გავრცელების ტერიტორიისათვის დამახასიათებელ მატერიალურ კულტურებს, მათი კუთვნილი თიხის ჭურჭელი ძირითადად აგრძელებს შედგენილტარიან სატევრებთან მოპოვებული თიხის ჭურჭლის ტრადიციებს, რაც ძირითადად ჭურჭლის კეცის სტრუქტურის, ფორმისა და შემკულობის მიხედვით შეინიშნება. მაგრამ ამ ორი ლოკალური მატერიალური კულტურის ნაწარმში მცირე თავისებურებები მაინც შეიმჩნევა. მაგალითად, ალაზნისა და ივრის შუა და ქვემო დინებაში გავ-

[86] არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ მსგავსებას, რომელსაც იჩენს ეს შტანდარტი თრიალეთის და „სადუღას" გორასამარხების შუაბრინჯაოს ხანის ოქროს შტანდარტების ზოგიერთ დეტალთან. აქ მხედველობაში გვაქვს მაგალითად მილაკები, რომლებიც შტანდარტზე ზანზალაკების მაგივრობას ასრულებდნენ.

[87] ამ რაიონისათვის, სადაც საკვლევ პერიოდში სამი ლოკალური კულტურა გამოირჩევა, დასახელებული შუბისპირების ერთიანი სახე შესაძლოა ამ მხარეში ძველად არსებული ერთიანი მატერიალური კულტურის გადმონაშთად მივიჩნიოთ.

რცელებული კულტურის თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მხარზე ირიბი მოკლე ნაჭდევების რიგი, მაშინ, როდესაც ალაზნის და ივრის ზემო დინების კულტურის თიხის ჭურჭლის მხრებზე, როგორც წესი, შემოყოლებულია გრძელი ირიბი, ხშირი ნაჭდევი ხაზები

თავისებური ნიშნების გამოყოფა ყველა ამ ცალკეული ლოკალური კულტურისათვის შეიძლება რიგი სხვა ნივთიერი მასალის მიხედვითაც, მაგრამ მათზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება, რადგან ისინი შესწავლის ამ საფეხურზე მეტად მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი და მათზე დაყრდნობით რამდენადმე დამაჯერებელი დასკვნების გამოტანა არ შეიძლება.

ამგვარად, თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში და პირველი ათასწლეულის დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი სურათი უნდა გვქონდეს.

შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ადრეულ, პირველ საფეხურზე მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურაა გავრცელებული. გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე იგივე ტერიტორიაზე, ადრეული კულტურის ბაზაზე ყალიბდება ორი კულტურა, კერძოდ—იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე და უფრო დასავლეთითაც არაგვამდე ერთგვაროვანი კულტურა ჩანს გავრცელებული, რომელიც ძირითადად ბრინჯაოს შედგენილტარიანი ე. წ. კახური სატევრებით, თიხის ჭურჭლის თავისებურებებით და სხვა გამოირჩევა მეზობელი კულტურებისაგან. შიდა ქართლის ტერიტორიაზე კი ამავე ხანაში სრულიად თავისებური და კახურისაგან განსხვავებული კულტურაა გავრცელებული დასავლურქართულ კულტურის საკმაოდ ძლიერი გავლენით. იგი მეზობელი კულტურებისგან, ძირითადად ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრისპირებით, მასრაგახსნილი შუბისპირებით, თხელფირფიტოვანი ისრისპირებით, თავხვია საკინძებით და სხვა გამოირჩევა.

მისი გავრცელების საზღვრები ასე იფარგლება — აღმოსავლეთით უმთავრესად არაგვის ხეობა, ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთისწინა ზოლი, დასავლეთით დაახლოებით სურამის ქედი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი (თუმცა, როგორც უკვე დავინახეთ, ამ კულტურის ელემენტები ნაწილობრივ თრიალეთის ქედის იქითაც გვხვდება).

ამ პერიოდის ძეგლების კვლევისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ იორ-ალაზნის აუზისათვის დამახასიათებელი კულტურის ელემენტები სოლისებურად ჩანს შეჭრილი შიდა ქართლის ტერიტორიაზე უმთავრესად მტკვრის და შემდეგ ლიახვის გაყოლებით და გარკვეულ პერიოდში ადგილობრივი კულტურის გვერდით არსებობს.

ვითარება არსებითად იცვლება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის. ამ პერიოდში შიდა ქართლში ქრება მისთვის დამახასიათებელი ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრისპირები და მის ადგილს იკავებს კახური შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრების ფორმა-მოყვანილობის მთლიანადსხმული სატევრების (III ქვეტიპი) ბაზაზე განვითარებული ადგილობრივი, მხოლოდ შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი იარაღის ფორმები (ტაბ. LXIX$_{225}$).

ამ ხანებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე მომძლავრებას იწყებს დასავლურქართული კულტურის ელემენტები, რაც შემდგომ ხანებში თანდათანობით მატულობს.

მაგრამ, ამასთან ერთად ნიშანდობლივია, შიდა ქართლში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის დამახასიათებელი იარაღები მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლური იარაღების მიბაძვითაა დამზადებული, დაახლოებით იმავე ტერიტორიაზეა გავრცელებული, როგორც მისი წინამორბედი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი ფოთლისებური სატევრისპირები. ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მეზობელი კულტურების მძლავრი ზეგავლენისა, იგი მაინც ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას, რაც შეინიშნება, როგორც ნივთიერი კულტურის განვითარებაში, ისე მისი გავრცელების ფარგლების მიხედვითაც.

მაგრამ, იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის იარაღებიდან, პირველ რიგში თვით კახეთის ტერიტორიისათვის დამახასიათებელი იარაღები განვითარდა, რომელთა მიხედვით და აგრეთვე არქეოლოგიური მასალის რი-

გი სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ძვ. წ. XI—X საუკუნეებისათვის შესაძლებელი გახდა ერთი კულტურის სამი ლოკალური ვარიანტი გამოგვეყო (ტაბ. LXVIII).

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა ქართლი და იორ-ალაზნის აუზი), იქ სადაც გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე ორი მონათესავე არქეოლოგიური კულტურა გამოიყოფა და, ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე მატერიალური კულტურის უკვე ოთხი ჯგუფის გამორჩევა შეიძლება. მაგრამ რადგან ყველა ამ ჯგუფის წამყვანი იარაღი ამ პერიოდიდან ერთ საფუძველზეა წარმოშობილი (კახური იარაღის ბაზაზე), შესაძლებლად მიგვაჩნია ეს ფაქტი ამ მხარეში დიდი გაერთიანების შექმნის მანიშნებლად ვივარაუდოთ.

საზოგადოების სოციალური განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ კულტურის ამ გაერთიანებასა და მისი ვარიანტების გამოყოფას ვუკავშირებთ მონათესავე ტომთა ერთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომლის წიაღშიც ხდება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება.

საკითხის ამ თვალსაზრისით შესწავლისას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აუცილებელია ამ კულტურათა მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის განსაზღვრა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ საკითხის კვლევისათვის, მიღებული აზრის მიხედვით აუცილებელია ენობრივი მასალა და ანთროპოლოგიური კვლევა-ძიების კომპლექსური მონაცემები. გადავხედოთ რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ.

პალეოანთროპოლოგიური მონაცემები, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტიურად მხოლოდ შიდა ქართლიდანაა წარმოდგენილი და შესწავლილი. სამთავროს სამაროვნისა და შიდა ქართლის ზოგიერთ სხვა პუნქტში მოპოვებული მასალების საფუძველზე მთელი ჩვენი საკვლევი პერიოდია ანთროპოლოგიურად შესწავლილი. მას არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა პროფ. მ. აბდუშელიშვილმა (403, 404, 446) და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები მიიღო, კერძოდ, დაასაბუთა, რომ „...საქართველოს ტერიტორია არასოდეს ყოფილა დიდი რასების კონტაქტის ზონა. უძველესი დროიდან მასზე მოსახლეობდნენ ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც არ გადიოდნენ წინააზიური ფორმების ბუნებრივი ვარიაციების ფარგლებიდან. ცალკეული ტიპებისა და ნიშნების ცვლას საზოგადოდ თანდათანობითი გადასვლის ხასიათი ჰქონდა, რაც გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპებისაგან განსხვავებული უცხო ელემენტების საგრძნობი მასის გადმოსახლების შესაძლებლობას დროის საკვლევ მონაკვეთში (ე. ი. ენეოლითის ხანიდან ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჩათვლით, კ. ფ.)". „ყოველივე ეს, ავტორის აზრით, უდაოდ მოსახლეობის უწყვეტობისა და გენეტიკური ერთიანობის სასარგებლოდ მეტყველებს (446, გვ. 3—32).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, პროფ. მ. აბდუშელიშვილის დიდმნიშვნელოვანი დასკვნები დაემთხვა ჩვენ მიერ მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე მიღებულ მოსაზრებას მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში.

ეს რაც შეეხება ზოგად დასკვნას აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა პალეოანთროპოლოგიური მონაცემების შესახებ. მაგრამ ცალკეულ ტომთა საზღვრების დასადგენად ჩვენი ანთროპოლოგია ხელშესახებს არაფერს იძლევა.

ამგვარად, როდესაც დღეისათვის შესაძლებელია არქეოლოგიური მასალის მიხედვით ცალკეულ ტომთა საზღვრების გარკვევა, ცხადია, მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხის გადაწყვეტისას ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის გარეშე დავრჩით.

საქართველოს უძველესი ისტორიის კვლევისას დიდი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენათმეცნიერულ მასალებსაც ენიჭება. ამჟამად ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენების საშუალებით თითქოს შესაძლებლად მიაჩნიათ დადგინდეს ქართველური ენების დიფერენციაციის რელატიური ქრონოლოგია. ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე არსებობს ვარაუდი, რომ საერთო ქართველურს გამოეყო ჯერ სვანური დაახლოებით ძვ. წ. XIX საუკუნეში, ხოლო შემდეგ ზანურ-ქართული ერთიანობა დაიშალა ძვ. წ. VIII ს. ანუ, სხვანაირად, ქართული და ზანური ენები განვითარების ცალ-ცალკე გზას დაადგნენ. მაგრამ, როგორც მიუთითებენ, თვითონ ლინგვისტებს ამ მეთოდით მიღებული კვლევის შედეგების შემოწმების საშუალება არა აქვთ. ამდენად მათ უხდებათ ისევ და ისევ ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემების მოშველიება. ისიც გვინდა დავ-

ძინოთ, რომ, როგორც ცნობილია, ამ მეთოდს ამჟამად ლინგვისტიკაში არც თუ ისე დიდი გატაცებით მიმართავენ, როგორც ეს ამ ორი ათეული წლის წინათ იყო.

თვით ლინგვისტთა შორის ამ მეთოდსაც და შედეგებსაც ჰყავს თავისი მოწინააღმდეგეებიცა და მომხრეებიც, ხოლო მომხრეთა შორის არ არის თვალსაზრისთა ერთიანობა. აზრთა სხვადასხვაობაა ქართველურ ენათა დიფერენციაციის თარიღთან დაკავშირებითაც.

ამგვარად, ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევაც რომ გავიზიაროთ დებულება ქართული ენის გამოყოფის შესახებ ძვ. წ. VIII საუკუნეში, ამაზე იქით მაინც ვერ წავალთ და მით უმეტეს ვერ გაირკვევა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომთა განსახლების საკითხიც. ეს მეთოდი მით უმეტეს სრულიად გამოუყენებელია ქართველ ტომთა შინაგანი დიფერენციაციის საკითხების გასარკვევად.

ჩვენ ჯერჯერობით მოკლებული ვართ საშუალებას გამოვიყენოთ ტოპონიმიკური მონაცემებიც, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით იგი სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ამგვარად, ჩვენი საკითხის კვლევისას ძირითადი საყრდენი ისევ და ისევ მხოლოდ მატერიალური კულტურა რჩება. როგორ მოვქცეულიყავით ამ შემთხვევაში? გულხელდაკრეფილი გველოდა ანთროპოლოგთა და ენათმეცნიერთა მონაცემებისათვის თუ არსებული მასალების მიხედვით ვცდილიყავით შესწავლის მაქსიმალური შედეგები მიგვეღო? ჩვენ ბოლო გზა ავირჩიეთ, მაგრამ ეთნოგენეტურ საკითხებთან შეჭიდება მხოლოდ იმიტომ გავბედეთ, რომ მატერიალური კულტურის ჩვენი კვლევის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შედეგები დაემთხვა წერილობითი წყაროების ზოგიერთ ცნობას, რამაც თითქოს შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი დაგვესვა.

ცნობილია, რომ არსებული ძველ-აღმოსავლური წერილობითი წყაროები აღმოსავლეთ საქართველოს საკვლევ ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შესახებ სდუმან, ბერძნული და რომაული ცნობები კი გვიანდელ ამბებს ასახავენ. მაგრამ ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს ისტორიის XI საუკუნის წერილობითი წყარო — ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ამ ნაშრომის პირველ და მეორე ნაწილში (ამბავი რვათა ძმათა და ამბავი ქართლისა) მოცემულია ცდა აღწერილ იქნას ჩვენი ხალხის წარმოშობის და განსახლების ისტორია დასაბამიდან.

ავტორი გადმოცემას იწყებს ბიბლიური პერსონაჟით — თარგამოსით, რომელმაც თითქოს თავისი წილი ქვეყანა რვა შვილს გაუყო — ჰაოსს, ქართლოსს, ბარდოსს, მოვაკანს, ლეკს, ჰეროსს, კავკასოსს და ეგროსს.

იმდენად რამდენადაც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ლეონტი მროველის ცნობების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს, მის დანაწილებასა და საზღვრებს შეეხება, ქვემოთ მისი შრომიდან მხოლოდ ამ ამონაწერებს მოვიტანთ.

მროველის ნაშრომში ქ ა რ თ ლ ო ს ი ს წილი ქვეყნის საზღვრები ასეა განსაზღვრული — „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს“ (317, გვ. 4—5).

ქართლოსის აღმოსავლეთი მოსაზღვრის ჰ ე რ ო ს ი ს კუთვნილი ტერიტორია შემდეგნაირადაა შემოფარგლული: „ხოლო ჰ ე რ ო ს ს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავიდგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვან გულგულა“ (317, გვ. 5).

ლეონტის მიხედვით ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისი კუთვნილი ტერიტორია უნაწილდება მის ხუთ ვაჟს: მცხეთოსს, გარდაბოსს, კ ა ხ ო ს ს, კ უ ხ ო ს ს და გაჩიოსს—„გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამჴრით მთა პირველ ჴსენებული, და ჩრდილოთ მტკუარი.

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკვრეთის (მაშავერა, კ. ფ.) მდინარითაგან ვიდრე თავად-

მდე აბოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი.

ხოლო კ უ ხ ო ს ს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [. . . შესარ]თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.

ხოლო კ ა ხ ო ს ს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგჳთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა.

ხოლო მ ც ხ ე თ ო ს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგჳსასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგჳთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპეროსა" (317, გვ. 8—9).

შემდეგ მცხეთოსი კვლავ ყოფს თავის კუთვნილ ტერიტორიას თავის შვილთა შორის: „ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უ ფ ლ ო ს, და შემდგომსა ოძრჴოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი.

ოძრჴოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჴოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჴე და თუხარისი.

ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლ აწ ჰრქვან ჰური.

ხოლო უ ფ ლ ო ს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგჳთგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგჳთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვან შიდა ქართლი" (317, გვ. 9—10).

ამ ამბების შემდეგ ქართლის ცხოვრებაში აღწერილია ხაზართა შემოსევა დარუბანდიდან და დარიალიდან; სპარსელების ჰეგემონიის ხანა; ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები. შემდეგ კი ქართლის გაქრისტიანებამდე 24 მეფეა დასახელებული (317, გვ. 11—71).

ვახუშტი თითქმის უცვლელად, მხოლოდ მცირე შემოკლებებით, გადაიწერს მას თავის გეოგრაფიაში (416, გვ. 86). მაგრამ უკვე გასულ საუკუნეში სპეციალისტები ლეონტი მროველის ნაშრომისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მაგალითად ბროსე, სენ-მარტენი და სხვ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ნაწარმოებს. ქართველი ისტორიკოსები — დიმიტრი ბაქრაძე და მოსე ჯანაშვილი ფართოდ იყენებდნენ მას თავის გამოკვლევებში. მაშინ როდესაც მაგ. ქ. პატკანოვი ფიქრობდა, რომ ლეონტი მროველის ნაშრომის პირველი ნაწილი — წინასწარ გამიზნული აზრით, ერთი ადამიანის გამონაგონია და არა მითიურ-ლეგენდარული ამბავი და რომ მასში არ არის არც ერთი ისტორიული ფაქტი. ქ. პატკანოვის ამგვარი დამოკიდებულება ისტორიული წყაროებისადმი მაშინვე მკაცრად გააკრიტიკა დ. ბაქრაძემ (272, გვ. 32).

მიუხედავად ამისა, შემდეგი დროის მკვლევარნიც მეტად სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენენ მროველის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილისადმი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით წყაროები, რომლებსაც ლეონტი მროველი იყენებს, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ ღირებულებას, და მისი გამოყენება ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის აღსადგენად შეუძლებელია (417, გვ. 183). თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებას საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება. საქართველოს სხვადასხვა თემის და სამთავროს საზღვრებისათვის ლეონტი მროველს უეჭველია რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონდა" (417, გვ. 183).

ლეონტი მროველის ნაშრომის პირველ ნაწილს უნდობლად ეკიდებოდა კ. კეკელიძეც. მისი აზრით — „ლეონტი ჩვენ გვევლინება, როგორც პოეტი ისტორიკოსი, ისტორიული მნიშვნელობა მისი შრომის ფრიად უმნიშვნელოა, ის უფრო საყურადღებოა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც დაუცავს ჩვენთვის უძველესი

ნიმუშები ხალხური ეპოსისა...“ (418, გვ. 56). მაგრამ, ამავე ნაშრომში კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ უდავოა ლ. მროველს ხელთ ჰქონია რაღაც ძველი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანას (418, გვ. 54).

გ. წერეთელი ახალი ეპიგრაფიკული მასალების საფუძველზე ფიქრობს, რომ უნდა გადაისინჯოს რიგი ავტორების ზედმეტად სკეპტიკური დამოკიდებულება ლეონტი მროველის იმ ისტორიული წყაროების მიმართ, რომლებიც ასახავენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის წინა ეპოქას (419, გვ. 69—70).

გ. მელიქიშვილის აზრით, მროველის თხზულების იმ ნაწილს, სადაც მოთხრობილია ქართველების წარმოშობისა და მათ მამამთავართა შესახებ, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ისტორიული ღირებულება, მაგრამ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ მამამთავართა კუთვნილი ტერიტორიების საზღვრების აღწერას. მასში უდავოდ არეკლილია განსაზღვრული ეპოქის მდგომარეობა და იმსახურებს ყურადღებას. მისივე აზრით, ცალკე კვლევის საგნად უნდა იქცეს ქართლოსის უშუალო შთამომავალთა ტერიტორიების აღწერის დროს მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები, რომელ ეპოქას ეკუთვნის იგი და რას ემყარება ამა თუ იმ ეპონიმის წარმოშობა (272, გვ. 34).

ლ. ჭილაშვილიც სარწმუნოდ მიიჩნევს ლეონტი მროველის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს და რიგი ადგილების დაზუსტების შემდეგ ადგენს კუხეთისა და კუხეთ-ჰერეთის სასაზღვრო ხაზს (100, გვ. 5—14 და რუკა). მას აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი დანაწევრების გაჩენა, ხევებად გაერთიანება, გვაროვნული საზოგადოების პირობებში უკვე მომხდარ ფაქტად მიაჩნია და ბუნებრივია, ძვ. წ. IV საუკუნეზე უწინარესი ხანით ათარიღებს. ხოლო კლასობრივი საზოგადოების პირობებში განხორციელებული ადმინისტრაციული დაყოფა მიაჩნია ადრეული ტრადიციების მიხედვით გაფორმებულად და ფიქრობს, რომ ამ ახალ ერთეულებს შემორჩათ ძველი გვაროვნული — ეთნიკური სახელები — კახოს — კახ-ეთი; კუხოს — კუხ-ეთი და სხვა (100, გვ. 19).

ლეონტი მროველის თხზულების პირველი ნაწილის, როგორც ისტორიული წყაროს ვარგისიანობის საკითხს, ამ ბოლო ხანებში შეეხო მარიამ ლორთქიფანიძეც. იგი სხვა ავტორების მსგავსად მროველის თხზულებაში უფრო ადრეული პერიოდის ნაწარმოებთა ფენებსაც ხედავს (420, გვ. 8). მისი აზრით, სადღეისოდ „...საკამათო არ უნდა იყოს წინაქრისტიანული ხანის ქართული საისტორიო მწერლობის არსებობის ფაქტი. წარმართული ხანის საქართველოს ისტორიის თხრობა, მოცემული „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში“ ან ლეონტი მროველთან, იმის მაუწყებელი გარემოება უნდა იყოს, რომ მათი მოღვაწეობის ხანაში დაცული იყო ცნობები იმ ძველი ეპოქის შესახებ“ (420, გვ. 10). მისივე ვარაუდით, „საფიქრებელია, რომ ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ამ ძველი წყაროების ნაწილი მაინც“ (420, გვ. 11).

ნიკოლოზ ბერძენიშვილის აზრითაც — „იბერიას თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით, ჯერ ისევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდა“ (421, გვ. 161).

„ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ლეონტი მროველი რომ ძველი ცნობებით სარგებლობს და თავის თანადროულ პოლიტიკურ საზღვრებს არ აღწერს, ეს სრულიად ცხადად აქვს დადგენილი დ. მუსხელიშვილს. მისი ვარაუდით, უკვე ლ. მროველის დროისთვის კახეთ, კუხეთ, ჰერეთის საზღვრები „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულ აღწერასთან შედარებით საგრძნობლად შეცვლილია.

კუხეთი VIII საუკუნემდე არსებობს, ამ ხანებიდან კი მისი ტერიტორია კახეთის სამთავროს ფარგლებში შედის და იგი, როგორც ცალკე ერთეული არსებობას წყვეტს (423, გვ. 57), ხოლო წერილობით წყაროებში უკანასკნელად XII ს. იხსენიება (423, გვ. 114).

XI საუკუნეში არსებობას განაგრძობს კახეთ-ჰერეთი, მაგრამ მათი საზღვრებიც ლეონტი მროველის მონაცემებთან შედარებით მეტად შეცვლილია. მაგ., უკვე IX საუკუნეში საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის ქსანზე გადიოდა (423, გვ. 70, 71, რუკა № 1, № 2). VI—VII სს. მიჯნაზე მაინც, თუ უფრო ადრე არა, ძველი ჰერეთის-ალაზნის გაღმა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უკვე კახეთად იწოდება (423, გვ. 111). ამგვარი ძიებით დ. მუსხელიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლეონტი მროველის მიერ მოცემული საზღვრები კახეთ, კუხეთ, ჰერეთისა ძვ. წ. IV—III სს. ვითარებას ასახავს (422, გვ. 5—38 და რუკა).

ამგვარად, ამჟამად მკვლევართა უმეტესობის მიერ მიღებულია ის ვარაუდი, რომ ლეონტი მროველის ცნობები ქართველი ხალხის უძველესი წარსულის შესახებ შესაძლოა ნაწილობრივ ზღაპრულია, მაგრამ მისი ერთი ნაწილი უეჭველად წინაქრისტიანულ, წარმართულ წყაროებზეა დაფუძნებული და ამდენად, სარწმუნოდ უნდა იქნეს მიჩნეული. კერძოდ ასე უნდა მოვეკიდოთ ლ. მროველის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს.

ჩვენ ვერ გავყვებით იმის კვლევას ლ. მროველს რა დროის წყაროები აქვს გამოყენებული საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის გადმოცემისას, ეს არც არის ჩვენი მიზანი. მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ მის მიერ მოცემული აღწერა საქართველოს ისტორიის საწყისებისა სწორი ჩანს ქრონოლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, ლეონტი მროველი საქართველოს ტერიტორიის დაყოფის ამბების შემდეგ თხრობას აგრძელებს და აღწერილი აქვს ჯერ ხაზართა შემოსევა დარუბანდიდან და დარიალიდან, შემდეგ გვაცნობს სპარსელთა ჰეგემონიის ხანას, რის შემდეგაც მოგვითხრობს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ამბებს, ბოლოს კი — ქართლის გაქრისტიანებამდე 24 მეფე ჰყავს დასახელებული (317, გვ. 11—71).

ამგვარად, მთლიანად საქართველოს და კონკრეტულად ქართლოსის კუთვნილი მიწების დანაწილების ამბები ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ მოხდა მაინცდამაინც მის მიერ გადმოცემულ დანარჩენ ამბებზე ადრე, რადგან მათ თხზულებაში სწორედ თარგამოსისა და მისი შთამომავლობისთვის საგამგებლოების გამოყოფა უძღვის წინ.

მართლაც, თუ დავუშვებთ, რომ ლეონტი მროველი ცდება, როდესაც იგი ხაზარებს ასახელებს და დავუშვებთ, რომ აქ მას ხაზარების ნაცვლად სკვითები უნდა ეხმარა[88], მაშინ მის მიერ აღწერილ ამბებში ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ჩანს. ჯერ საუბარია სკვითების შემოსევაზე (ძვ. წ. VIII—VI სს.); შემდეგ აქემენიანთა სპარსეთზე (ძვ. წ. 558—330 წწ.); შემდეგ ალექსანდრე მაკედონელზე (მეფობის ხანა ძვ. წ. 336—323 წწ.); ხოლო შემდეგ იბერიის სახელმწიფოს წარმოშობიდან ოცდაოთხ მეფეს ასახელებს და მხოლოდ ამის შემდეგ ლაპარაკობს ქართლის გაქრისტიანებაზე (ახ. წ. IV ს.); ამგვარად, ლ. მროველის თხრობაში ყველაფერი თავის ადგილს იკავებს.

თუ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ წარმოვიდგინეთ, მაშინ ქართლოსის მეუღლის მიერ შვილებისათვის, ქართლოსის წილი ტერიტორიის დანაწილებაც სკვითების შემოსევამდე უნდა მომხდარიყო და ამის მიხედვით ლ. მროველის თხზულების პირველი ნაწილი ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ამბების ამსახველი მაინც უნდა იყოს.

ჩვენ რომ არ ვცდებით და საქართველოს ამგვარი დანაწილება მართლაც ამ დროიდან უნდა ვივარაუდოთ, ამაზე მიგვითითებს წინ განხილული, სრულიად კონკრეტული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები და მათი შეჯერება ლეონტი მროველის ცნობებთან. აქ პირველ რიგში ყურადღება იმან მიიქცია, რომ ცნობები საქართველოს ისტორიიდან — კახეთ, კუხეთ, ჰერეთის საზღვრების შესახებ, რომლებიც ლეონტი მროველს უძველესად მიაჩნია და მოცემული აქვს თავისი თხრობის დასაწყისში, ხოლო დ. მუსხელიშვილმა ძვ. წ. IV—III სს. ვითარების ამსახველად ჩათვალა, და აგრეთვე უფლოსის კუთვნილი ქვეყნის საზღვრები, დაემთხვა ძვ. წ. XI—X საუკუნეების არქეოლოგიური მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში გამოყოფილი არქეოლოგიური კულტურის ლოკალური ვარიანტების საზღვრებს (ტაბ. LXVIII)[89].

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ საზღვრებში თანხვდენა ყოველთვის ზუსტი არ არის და ის, რომ იშვიათ შემთხვევაში უმნიშ-

[88] აქ რომ ლეონტი მროველი ცდება და მას ნამდვილად სკვითების შემოსევაზე უნდა ჰქონდეს საუბარი, აღნიშნა ჯერ კიდევ კლაპროტმა და პატკანოემა (272, გვ. 35). ამ აზრს იზიარებს გ. მელიქიშვილიც (272, გვ. 37). ასევე ფიქრობს ო. ლორთქიფანიძე და ვარაუდობს, რომ ლეონტი მროველის თხზულების პირველ ნაწილში მოთხრობილია, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. VII საუკუნეზე ადრეული ამბები (424, გვ. 804—805).

[89] ის, რომ ლ. მროველის მიერ ჩამოთელილ, ქართლოსის შთამომავალთა *სხვადასხვა* თაობათა კუთვნილ ტერიტორიების საზღვრებს ემთხვევა ერთიმეორის *თანადროული* მატერიალური კულტურის ვარიანტების გავრცელების ფარგლები, სრულიად არ უნდა მიუთითებდეს რაიმე შეუსაბამობაზე. რადგან ლ. მროველის მიერ ქართლოსის ამა თუ იმ შთამომავალთა სხვადასხვა თაობებისათვის მიკუთვნება მაინცდამაინც სარწმუნოდ და ისტორიული სინამდვილის ასახვად არ მიგვაჩნია და ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ მატერიალური კულტურის საზღვრების და ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა ტერიტორიების დამთხვევის ფაქტზე.

ვნელო გადახრებია. ეს სრულიად ბუნებრივია და გასაგები.

თავი რომ დავანებოთ თვით ლეონტი მროველს, რომელსაც ეს დაყოფა მის მიერ გადმოცემულ უძველეს პერიოდში აქვს ნავარაუდევი, აქ ყველაზე საყურადღებო მაინც ის ჩანს, რომ შიდა ქართლში და იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში დაახლოებით იმგვარივე დაყოფა იყო ტომთა ტერიტორიებისა, როგორიც ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე[90].

ეს ვითარება, ბუნებრივია, უნდა დაგვეხმაროს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულში მომხდარი დანაწილების ეთნიკური არსის გარკვევაში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ, როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურა მძლავრ გარე ზემოქმედებას არ განიცდის, ყოველ შემთხვევაში ისეთს, რომ მისი მშვიდობიანი განვითარების გზა შეწყვიტოს. როგორც ჩანს, ვერავითარმა შემოღწევამ ვერ მოსპო ძველი ადგილობრივი ტომები, მათი კულტურა და ვერ შეცვალა ამ კულტურების ძველადვე შემუშავებული საზღვრები. ამის მანიშნებლად ისიც გამოგვადგება, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნემდე, ისინი დაახლოებით ისევ ისეთივე რჩება, როგორიც იყო ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და ძვ. წ. I ათასწლეულში.

ყოველივე ეს კი გვავარაუდებინებს, რომ ამ ტერიტორიაზე, დაწყებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან არც ადგილობრივი მიწათმოქმედ ტომთა განსახლების ტერიტორიები უნდა შეცვლილიყო მნიშვნელოვნად და არც თვით ამ ტომთა ეთნიკური შემადგენლობა.

ამგვარად, ყველა მონაცემი არსებობს იმისთვის, რომ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცეს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ცალკეული ჯგუფები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"-ს ცალკეულ ეთნიკურ დაჯგუფებებს დავუკავშიროთ. ეს კი, ბუნებრივია, საშუალებას იძლევა ჩვენი გაბმული ეთნიკური ისტორია უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დავიწყოთ და აქ გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურები მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრების საშუალებით კი არ გამოვყოთ, არამედ გამოვყოთ ეთნიკური თვალსაზრისითაც და მათ სრულიად განსაზღვრული ეთნიკური სახელები მივცეთ.

ამგვარად, კონკრეტულ მაგალითზე მატერიალური საფუძველი ექმნება მოსაზრებას, რომლის მიხედვით: „...უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც კავკასიის, კერძოდ ამიერკავკასიის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც შემდეგში" (300, გვ. 103).

ჩვენ ჯერ კიდევ საკვლევი გვგონია ჰერთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, რომელიც მიღებული ვარაუდის მიხედვით ალბანურ ტომადაა მიჩნეული.

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ამ საკითხის შესწავლისას არ შეიძლება სათანადო ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნისა და მომდევნო პერიოდის მატერიალური კულტურის მიხედვით, ჰერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული წამყვანი იარაღები თუ სხვა ნაკეთობანი კახეთ-კუხეთ — შიდა ქართლში მოპოვებულ მასალასთან ერთ საფუძველზეა წარმოშობილი და, ბუნებრივია, მათთან შეუდარებლად მეტ მსგავსებას იჩენს ვიდრე ჰერეთის სამხრეთით და აღმოსავლეთით გავრცელებულ მასალასთან, რომელიც სულ სხვა საწყისებზეა შექმნილი.

რა თქმა უნდა, მატერიალური კულტურის ერთიანობა თუ მსგავსება ყოველთვის არ უნდა ნიშნავდეს ეთნიკურ ერთიანობასაც, მაგრამ ეს ამოსავლად არ უნდა გავიხადოთ, რადგან, ვფიქრობთ, მატერიალური კულტურის ერთიანობა უპირატე-

[90] გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურათა გავრცელების საზღვრებისა და ეთნიკურ, ზოგჯერ საკმაოდ გვიანდელ, ჯგუფთა განსახლების ფარგლების დამთხვევის ფაქტები, ჩრდილოეთ კავკასიის მასალების მიხედვით, ადრევე შენიშნული ჰქონდათ ა. იესენსა და ე. კრუპნოვს და ამ ფაქტს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური არსის შეცნობის საქმეში (440, გვ. 124; 124, გვ. 85).

მსგავსი დასკვნები მიიღო ა. სპიცინმა, როდესაც მის მიერ გამოყოფილ მატერიალურ კულტურათა საზღვრები დაემთხვა მემატიანეთა ცნობებს სლავური ტომების — ვიატიჩების, რადიმიჩებისა და სხვ. — განსახლების საზღვრების შესახებ (447).

სად მაინც ეთნიკურ ერთიანობასაც უნდა ნიშნავდეს და არა პირიქით.

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურეზის ეთნიკურ ჯგუფებთან დასაკავშირებლად ჩვენ სხვა საფუძველიც გვაქვს.

კერძოდ, არის იმის ნიშნები, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის და ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის მატერიალური კულტურის ძეგლები გენეტიკურად დაუკავშირდეს ადგილობრივ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალებს. ეს კი ცხადია, ამ მხარეში მატერიალური კულტურის განუწყვეტელ განვითარებაზე მიგვითითებს. ხოლო რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის და ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის მატერიალური კულტურა სრულიად გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება, ამ ვითარებაში, მატერიალური კულტურის განვითარების განუწყვეტელი ჯაჭვის დადგენა ბრინჯაოს ხანიდან, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მთელ ამ პერიოდში ეთნიკური სუბსტრატი არ შეცვლილა (300, გვ. 102).

დასახელებული, ჯერჯერობით სრულიად დაუმუშავებელი, პრობლემის კვლევისას ჩვენი მიზანი იმით იფარგლება, რომ ყურადღება გავამახვილოთ აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებულ, ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის და ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიურ მასალებზე, რომლებიც საფუძველი უნდა გახდეს ამ დროის მატერიალური კულტურების გენეტიკური დაკავშირებისათვის წინამორბედ ადგილობრივ კულტურებთან.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის რვაჰორიზონტიან, სტრატიფიცირებულ ნამოსახლარ ბორცვზე — „ხოვლეგორაზე" მოპოვებული კერამიკული ნაწარმის შესწავლის შედეგები (იხ. 318). როგორც დ. მუსხელიშვილი ასკვნის, ხოვლეგორის VIII—II ფენებში, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნემდე დაახლოებით ათას წელიწადს მოიცავს, იმდენად მსგავსი მასალაა გავრცელებული, რომ სრული საფუძველი არსებობს აქ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი და იგივე მოსახლეობა იყოს ნაგულისხმები.

კერძოდ, ამის უფლებას ავტორს აძლევს ხოვლეგორაზე აღმოჩენილი შავპრიალა, ლეგა და წაბლისფერზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში კეცი ქვიშანარევი აქვს, წმინდა; ფორმები ძირითადად თანამიმდევრული და შემკულობაც მსგავსი. ყველა ფენაში გვხვდება ყურები რქებისებური წამონაზარდებით, ნაპრიალები სხივური (რადიალური) ხაზები, რომლებიც ძირიდან მუცლისაკენ მიემართება, ნაპრიალები ბადური ორნამენტი და სხვა.

მაგრამ ამ ტრადიციული კერამიკული ნაწარმის პარალელურად, IV ჰორიზონტის ბოლო პერიოდისათვის, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. VII ს. დასასრულითაა დათარიღებული, ავტორი ხოვლეს კერამიკაში წითლად გამომწვარი ნაწარმის გამოჩენას აღნიშნავს[91].

III ფენაში (ძვ. წ. VI ს.) კი, ავტორის სიტყვით, წითლადგამომწვარი კერამიკა შავლეგა ჭურჭელთან ერთად უკვე თანაბარი რაოდენობითაა და აშკარად განსხვავდება მისგან. განსხვავდება არა მხოლოდ დამზადების ტექნიკით (თიხა, როგორც წესი დაწმენდილია, გამოწვა თანაბარი და სრული), არამედ ფორმით (ჩნდება სამტუჩაპირიანი დოქები, ძაბრები და სხვა) და ზედაპირის დამუშავებით. წინააღმდეგ საკმაოდ მდიდრულად ორნამენტირებული შავკეციანი კერამიკისა, წითელკეციანი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სრულიად სადაა და უორნამენტო.

II ფენაში (ძვ. წ. V ს.), ავტორის დაკვირვებით, შავლეგა კერამიკა ძველ ტრადიციებს აგრძელებს, მაგრამ ამ ჰორიზონტში უკვე წითელკეციანი კერამიკა ჭარბობს.

ამგვარად, ძვ. წ. V საუკუნის ჩათვლით შიდა ქართლში (ხოვლეგორის მაგალითზე) დ. მუსხელიშვილი კერამიკული წარმოების განუწყვეტელ განვითარებას ადასტურებს[92], მაგრამ - მის პარალელურად ნაწილობრივ ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულიდან, მასიურად კი ძვ. წ. VI საუკუნიდან აქ უკვე უცხო ელემენტის გამოჩენასაც ვარაუ-

[91] [illegible] საქართველოში, წითლად გამომწვარი და ანგობიანი ჭურჭლის მასიურ გამოჩენას აქემენიდურ ხანაში პირველად ყურადღება ბ. კუფტინმა მიაქცია (143, გვ. 49; 46, გვ. 140), შემდეგ კი ამ ფაქტზე ყურადღება სხვა ავტორებმაც გაამახვილეს (319, გვ. 20; 412, გვ. 97—98; და სხვა).

[92] აქ მატერიალური კულტურის განუწყვეტელ განვითარებაზე დ. მუსხელიშვილის აზრით ისიც მიუთითებს, რომ ხოვლეგორის VI—III ფენებში პურის საცხობი, ზუსტად ერთი და იგივე კონსტრუქციის, ღუმელებია გავრცელებული.

დობს — წმინდაკეციანი, წითლად გამომწვარი, წითელი წერნაქით შეღებილი ჭურჭლების სახით, რომლებიც ადგილობრივისაგან სრულიად განსხვავდება.

ზოგი ავტორი წითელკეციანი სამტუჩა ჭურჭლების გამოჩენას აღმოსავლეთ საქართველოში ქვეყნის ელინიზაციას მიაწერს (413, გვ. 123). მაგრამ ეს მოსაზრება სამართლიანადაა უარყოფილი რიგი ავტორების მიერ (414, გვ. 16—19; 415, გვ. 32; 412, გვ. 102). თუმცა მათი ეს მტკიცება არასწორ საბუთიანობას ემყარება, რადგან ისინი სამტუჩა ჭურჭლებს ადგილობრივი კერამიკის განვითარებად მიიჩნევენ, სინამდვილეში კი ადგილობრივ ძველ მასალებში მათ არც ერთი პროტოტიპი არ შეიძლება მოეძებნოს. ამავე მიზეზით ასევე არასწორი გვგონია რ. რამიშვილის პოზიცია, რომელიც ე. წ. ალაზან-იალოილუთაფას კულტურის საწყისებს ადგილობრივ მატერიალური კულტურის წიაღში ეძიებს (306, გვ. 39).

ამის გამო ჩვენ ყველაზე მისაღებად მიგვაჩნია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც ამ მასალების გამოჩენას სამხრეთული ქვეყნების გავლენას უკავშირებს.

კერძოდ, დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ ხოვლეში ახალი კულტურული ნაკადების შემოჭრის პროცესი ორ ეტაპად, ორ ტალღად ხორციელდებოდა. პირველი — ურარტული — მესამე პერიოდში, ძვ. წ. VI საუკუნეში და მეორე — აქემენიდური — მეორე პერიოდში ძვ. წ. V საუკუნეში.

დ. მუსხელიშვილის აზრით, პირველი ნაკადი ურარტუდან წამოსული ტომების შემოტანილი უნდა იყოს, რადგან ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულს ემთხვევა ურარტუს სახელმწიფოს ნგრევა და ამასთან დაკავშირებული ტომთა მოძრაობა, ხოლო ხოვლეში ძვ. წ. VI საუკუნეში გამოჩენილი წითელკეციანი ჭურჭელი ხშირად ურარტულის ზუსტი მინაბაძია, როგორც დამუშავებით ისე ფორმებით (რელიეფურ-სარტყლიანი ქვევრები, სამტუჩა ჭურჭლები, პირშეზნექილი თასები, ჭურჭლის წითელი წერნაქით შეღებვა და სხვა).

მეორე კულტურული ნაკადის შემოტანა შიდა ქართლში ძვ. წ. V საუკუნეში დ. მუსხელიშვილის აზრით, მოხდა აქემენიდურ სამყაროსთან სავაჭრო კავშირის გაცხოველების შედეგად. ამის მანიშნებელიც ხოვლეში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში მრავალი ფაქტია (მილიანი ჭურჭლები, ყაზბეგის განძი, ახალგორის განძი და სხვა).

მაგრამ, რადგან ზოგი წითელი კერამიკა შავლეგას გავს ფორმებით და შემკულობით, ხოვლეს გამთხრელები ფიქრობენ, რომ ტეხილი კერამიკულ წარმოებაში (იგულისხმება წითლად გამომწვარი კერამიკის დამზადება) შესაძლოა გამოწვეული იყოს ადგილობრივი ტექნიკური პროგრესით, რომელსაც თან დაემთხვა ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლა (319; 92, გვ. 8). ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვემხრობით ი. გაგოშიძის მოსაზრებას (412, გვ. 98—100), რომლის მიხედვითაც ამ ხანებში თითო-ოროლა წითელკეციანი ჭურჭლის გამოჩენა, რომელიც ადგილობრივის მინაბაძებია ფორმით და შემკულობით, არ შეიძლება კერამიკულ წარმოებაში ტექნიკურ პროგრესს მიეწეროს.

აღმოსავლეთ საქართველოში წითელკეციან ჭურჭელს არ ამზადებდნენ არა იმიტომ, რომ მისი დამზადება უფრო ძნელი იყო ტექნიკურად, არამედ იმის გამო, რომ მათ ტრადიციულ გემოვნებას უფრო შავი და შავად მბზინავი ჭურჭელი შეეფერებოდა. ფაქტია, რომ ბრინჯაოს ხანაში ღიაფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი ძალიან ხშირად შემდეგ შავადაა შებოლილი და ზოგჯერ ნაპრიალებიც.

რაც შეეხება წითელკეციან ჭურჭელს, როგორც ცნობილია, იგი აღმოსავლეთ საქართველოში მზადდებოდა უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან, მაგრამ მას ფართო გამოყენება არ ჰქონდა. მაგალითად, 1971 წ. გურჯაანის რაიონის ადგილ „სადულაზე" გათხრილ №2 გორასამარხში აღმოჩენილ ზოგიერთ ჭურჭელზე შემკობის სხვადასხვა სახე კეცის წითლად და შავად გამოწვის მონაცვლეობით, ე. ი. გამოწვის სხვადასხვა რეჟიმითაა მიღებული და სხვა. ბოლოს და ბოლოს არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრეანტიკურ ხანაში უცხოური წითელკეციანი ჭურჭლის შემოსვლის შემდეგ, მათი მიბაძვით დაეწყოთ ადგილობრივი ჭურჭლის დამზადება და სხვა.

ადრეანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში წითელკეციანი ჭურჭლის გამოჩენის ურარტულ და აქემენიდურ წყაროს ვარაუდობს ი. გაგოშიძეც, მხოლოდ იმ განსხვავებით დ. მუსხელიშვილისგან, რომ იგი ორივე ამ ნაკადს ხალხთა

მასების მოძრაობას უკავშირებს (411, გვ. 62, 68; 412, გვ. 101—102).

ამგვარად, შიდა ქართლის ძვ. წ. VI—V სს. კერამიკული ნაწარმის შესწავლის შედეგად მიღებულია ორი მთავარი დასკვნა — პ ი რ ვ ე ლ ი ის, რომ ამ ხანის ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი გენეტიკურადაა დაკავშირებული გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალებთან, ხოლო მ ე ო რ ე ის, რომ ამ პერიოდში შეიმჩნევა ურარტული და აქემენიდური კულტურების გავლენა, რაც ძირითადად წითლადგამომწვარი კერამიკის გამოჩენით აისახება.

დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში შესწავლილ ძეგლებზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო მასალას გვაწვდის ქვემო ქედის ლითონის სახელოსნო.

აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის უმეტესი ნაწილი ძველ, ადგილობრივ ტრადიციებს აგრძელებს. ეს ნაწარმი ძირითადად წვრილქვიშანარევი თიხისგანაა დამზადებული და წაბლისფრად ან ლეგადაა გამომწვარი, იშვიათად კი შავადაა შემღული. მათი ფორმები უმეტესად ძველს ბაძავს— კოჭობი, ქვაბქოთანა, ლანგარი და სხვ.

ძველ ტრადიციებს უკავშირდება ამ თიხის ჭურჭლის შემკობაც. ხშირად ჭურჭლის პირს ზემოდან ღარი შემოსდევს, მხარს კი ირიბი მოკლე ნაჭდევების მწკრივი (ტაბ. XVII, XVIII, XIX).

ჭურჭელთა კორპუსი ხშირად ამოღარული კონცენტრული ხაზებითაა დასერილი, ზოგჯერ კი კორპუსის ქვედა ნაწილი ამოღარული კონცენტრული და ვერტიკალური ხაზების ბადური სახეებითაა დაფარული. ზოგჯერ იმავე ნახაზის ორნამენტი ნაპრიალები ხაზებითაა შესრულებული (ტაბ. $XVII_1$, $XVIII_1$, XIX). ხშირად ჭურჭლის ძირის კიდეს ირიბი მოკლე ნაჭდევები ამკობს და სხვა.

ყოველივე ეს ამ მასალებს გენეტიკურად აკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებთან და ხაზს უსვამს მატერიალური კულტურის უწყვეტ განვითარებას. მაგრამ, ქვემო ქედში მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმში დიდი რაოდენობით ჩნდება წითლად (აგურისფრად) გამომწვარი თიხის ჭურჭელიც, რომელიც წინ აღწერილ შავად, ლეგად და წაბლისფრად გამომწვარ თიხის ჭურჭელთან ერთად თანაბარი რაოდენობით გვხვდება. როგორც წინ დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ძვ. წ. VII საუკუნის ჩათვლით, ძირითადად შავად და ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი ახასიათებდა. ამდენად, ქვემო ქედში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიაში მომხდარი მკვეთრი ცვლილება — წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის დიდი რაოდენობით გამოჩენა, რაღაც გარეგანი გავლენით უნდა აიხსნას.

მაგრამ ვფიქრობთ, ეს გავლენა არ უნდა იყოს გამოწვეული სამხედრო ექსპანსიით. ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს ძალადობაზე დამყარებული, რადგან ქვემო ქედში აღმოჩენილი წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის უმეტესობაში შერწყმულია ადგილობრივი და უცხო ნიშნები. მაგალითად, წითლად გამომწვარ ბევრ ჭურჭელს ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევები შემოსდევს ან კორპუსის ქვედა ნაწილი დაღარულია ჰადრაკულად; მათი კეცის თიხა ჩვეულებრივ, ადგილობრივი ჭურჭლისაა, უხეში, ქვიშანარევი.

თუმცა ჩნდება წმინდაკეციანი ჭურჭლების ახალი ფორმებიც — ძირგანიერი, ფართომუცლიანი, ლუთერიის ფორმის, გადმოსასხმელი ღარით, სამტუჩა (ტაბ. $XX_1$) ხელადა, რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრები და სხვა. ჩნდება ჭურჭლის შემკობის ახალი ელემენტებიც — მაგ., ყურის თავზე მეჭეჭისებური მცირე, ჯვრისებურად განლაგებული დანაძერწები. აღმოსავლეთ საქართველოში ამავე ჭურჭელზე ჩნდება პირველად სხვადასხვა დამღა, რომლებიც ხელოსნის ნიშნებს უნდა წარმოადგენდნენ (ტაბ. $XVI_1$).

ქვემო ქედში აღმოჩენილი თიხის ერთი ჭურჭლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ ძეგლის დაახლოებითი თარიღიცა და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის გამოჩენის გავლენის წყაროც.

ქვემო ქედის სახელოსნოს ერთ-ერთ ორმოში, სხვადასხვა კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ორად გატეხილი, წმინდა თიხისგან დამზადებული და წითელი წერნაქით შეღებილი ბურცობებიანი ფიალა (ტაბ. $XX_2$). ქვემო ქედის ფიალის მსგავსი ჭურჭელი ბევრია აქემენიდურ სამყაროში და ისინი მეტად სარწმუნოდ ძვ. წ. VI—V სს. თარიღდება (იხ. 411, გვ. 71, 72—74 და იქ დასახელებული ლიტერატურა). ზუსტად ასეთივე

თიხის ჭურჭელი ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მაგრამ მისი აღმოჩენის ადგილი სამწუხაროდ უცნობია.

შესაძლოა, დასახელებული ფაქტები მეტად მწირია საბოლოო დასკვნების გამოსატანად, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი მაინც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამ მხარეში, ძვ. წ. VI—V საუკუნეებში შესაძლოა აქემენიდური სამყაროს გავლენით ჩნდება წითლადგამომწვარი თიხის ჭურჭელი.

ქვემო ქედის მსგავსი კერამიკული ნაწარმი აღმოჩნდა შირაქის ველზე დადასტურებულ ორ ნამოსახლარ ბორცვზე — თეფაზე და ცისკარაანთ გორაზე.

აღნიშნულის გარდა ამ დროის სხვა მასალები იორ-ალაზნის აუზიდან სამწუხაროდ ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ როგორც ჩანს, მოტანილი მაგალითის მიხედვით მათმა კვლევამ აუცილებლად უნდა მოგვცეს იმ რიგის ნივთები, რომლებიც მჭიდროდ დააკავშირებს ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებს მის წინამორბედ მასალებთან.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოს შემდგომი ხანის მასალებშიც ვარჩევთ ისეთ ჯგუფს, რომელიც თავის წინამორბედ კულტურებთან მჭიდრო გენეტიკურ კავშირს ავლენს.

საერთოდ ელინისტური ხანა და კერძოდ ამ დროის კერამიკული ნაწარმი აღმოსავლეთ საქართველოში არასაკმარისადაა გამოვლენილი და შესწავლილი. კერძოდ, კახეთში ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლები ბოლო დრომდე საერთოდ უცნობი იყო. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის მასალები კი ამ მხარის აღმოსავლეთ რაიონებში საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ლიტერატურაში პირველი აღმოჩენის მიხედვით იალოილუთაფას კულტურის სახელით არის ცნობილი.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამჟამად არის ცდა ამ კულტურის იორ-ალაზნის აუზისათვის ადგილობრივ კულტურად მიჩნევისა და მისთვის ახალი სახელწოდებების მიკუთვნებისა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს მასალები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აშკარად შემოტანილია და ამდენად ამ კულტურისათვის ისეთი სახელწოდებების მიკუთვნება, რომლის შინაარსშიც ადგილობრივი საფუძველი დევს — მიუღებელია. ამას არა ერთი ფაქტი უჭერს მხარს.

1. ჩვენი ვარაუდის ერთ-ერთ მთავარ დამადასტურებლად პირველ რიგში იალოილუთაფას კულტურის გავრცელების ფარგლები მიგვაჩნია. ეს კულტურა დამახასიათებელია აზერბაიჯანის დიდი ნაწილისათვის და შედარებით კომპაქტურად ჩანს გავრცელებული ივრისა და ალაზნის მხოლოდ უკიდურეს ქვემო დინებაში (302; 303; 304; 305). ამ მდინარეთა შუა წელზე იალოილუთაფას კულტურისთვის ტიპიური მასალები კლებულობს და შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილამდე მხოლოდ მისი ელემენტები აღწევს[93], ამგვარად, იალოილუთაფას კულტურის გავრცელების საკითხის კვლევა მის აღმოსავლურ წარმოშობაზე მიგვითითებს, თუმცა იორ-ალაზნის აუზისათვის მის არაადგილობრიობას ჯერ კიდევ მაინც არ ამტკიცებს.

2. აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ კი იორ-ალაზნის აუზში იალოილუთაფას კულტურის უეჭველად შემოტანილ ხასიათზე უმთავრესად ის მიუთითებს, რომ ჩვენი აზრით, იგი გენეტიკურად არ უკავშირდება ადგილობრივ წინამორბედ კულტურებს. კერძოდ, იორ-ალაზნის აუზში დღემდე არ არსებობს არც ერთი ძეგლი, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეზე ადრეულად თარიღდებოდეს და რაიმე ნიშანი ჰქონდეს იალოილუთაფას კულტურისთვის ტიპიური ჭურჭლებისა. აქ სამტუჩა ჭურჭლები მხოლოდ ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ჩნდება იალოილუთაფას კულტურასთან ერთად და შემდგომ საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას, როგორც ჩანს დასახელებული კულტურის გავლენით შემორჩენი-

---

[93] სპეციალურ გამოკვლევებში (305; 306 და სხვა) და მათზე დაყრდნობით ზოგიერთ განმაზოგადოებელ ნაშრომში (10, გვ. 272), იალოილუთაფას კულტურის გავრცელების საზღვრები მეტისმეტად დასავლეთითაა გადაწეული და მოიცავს შიდა ქართლის აღმოსავლეთ რაიონებს.

სინამდვილეში თუ ალაზნის ველის ზემო დინებაში ამ კულტურისთვის ტიპიური კერამიკული ნაწარმი (ნისკარტიანი სასმისები საწურით, მაღალფეხიანი თეფშები და სხვა) მხოლოდ თითო-ოროლა ჩნდება, შიდა ქართლის დასახელებულ მხარეში სრულიად არ არის აღმოჩენილი. აქ დადასტურებული ზოგიერთი მინაბაძის მიხედვით კი, რომლებიც იალოილუთაფას ტიპიურ კერამიკულ ნაწარმს მხოლოდ ელემენტებით შეიძლება მიემსგავსოს, კულტურის გავრცელების ამდენად დასავლეთი საზღვრების დადგენა, რა თქმა უნდა, მიუღებლად მიგვაჩნია.

ლი ტრადიციების შედეგად. თვით იალოილუთაფას კულტურის ტიპიური ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში ჩანს გავრცელებული. არც უფრო ადრე და არც უფრო გვიან ამ ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები არ ჩანს.

რაც შეეხება ქვემო და შიდა ქართლში ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან წითლად გამომწვარი სამტუჩა ჭურჭლების გამოჩენას, როგორც ცნობილია, ისინი სრულიად მართებულად სამხრეთულ გავლენას მიეწერება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს იალოილუთაფას კულტურასთან (92, გვ. 8; 411, გვ. 67—68; 412, გვ. 100—103).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს იალოილუთაფას კულტურა მჭიდრო კავშირში იყოს ადგილობრივ წინამორბედ კულტურებთან (46, გვ. 5) და კერძოდ ბოლო ეტაპს წარმოადგენდეს ძვ. წ. V—I საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში არსებული კულტურისა, ე. ი. თითქოს აღმოსავლეთ საქართველოში იალოილუთაფას კულტურის შედარებით ძველი ფენები არსებულიყოს (306, გვ. 39; 10, გვ. 272).

თუ მაინცდამაინც გვინდა იალოილუთაფას კულტურის პროტოტიპები აღმოვაჩინოთ, მაშინ როგორც გ. ნიორაძე მიუთითებს, მისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის მსგავსი, ადრეული კერამიკა შესაძლოა მართლაც უფრო ჩრდილო ირანის მასალებში უნდა ვეძებოთ (305), მაგრამ არამც და არამც არა ადგილობრივი კულტურების წიაღში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია იალოილუთაფას კულტურისათვის ადგილობრივი სახელწოდებების შერქმევა, როგორიცაა—ალაზნის ველის და ჭერული (305, გვ. 94; 307, გვ. 101; 306, გვ. 39—41). მით უმეტეს, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ტერიტორიაზე არსებობს ადგილობრივი მატერიალური კულტურა, რომლისთვისაც ეს სახელწოდებები უფრო შესაფერისი იქნებოდა.

3. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მონაცემი იალოილუთაფას ადგილობრივ კულტურად მიჩნევის წინააღმდეგ მაინც ის უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისთვის როგორც ელინისტურ ხანაში, ისე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, დამახასიათებელი ჩანს იალოილუთაფას კულტურისგან *სრულიად განსხვავებული* მატერიალური კულტურა, რომელიც კერამიკული ნაწარმის მიხედვით გენეტიკურ კავშირს ავლენს მის წინამორბედ ბრინჯაოსა და რკინის ხანის ადგილობრივ მასალებთან (309, გვ. 20).

მეტად არსებითია, რომ ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივ თიხის ჭურჭელში, რომელიც ტრადიციებით ბრინჯაოსა და რკინის პერიოდის მასალებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა, ერთი— იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე[94], მეორე— შიდა ქართლში.

იორ-ალაზნის აუზისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი, უწმინდესი თიხისგან; კეცი ჩვეულებრივ თხელია, კარგადაა შემცხვარი და გამომწვარია მოწითალოდ, მოყვითალოდ ან მომწვანოდ. ჭურჭლის ფორმებში გამოირჩევა — განიერმუცლიანი, ფართო ბრტყელძირიანი, ვიწროპირიანი. პირი უმეტესად მრგვალია, გვიანდელ ცალებში (ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები) გვხვდება სამტუჩა ჭურჭლებიც. ჭურჭელთა უმეტესობა მოხატულია — ჭურჭლის მთელი კორპუსი პირიდან ძირამდე თეთრი ანგობის ვიწრო, კონცენტრული, პარალელური ზოლებითაა დაფარული. მხარს ან ყელის ძირს ირგვლივ ირიბი მოკლე ნაჭდევები შემოუყვება. რამდენიმე შემთხვევაში (სოფ. შრომა, ყოფილი ვაჩნაძიანი) ჭურჭლის ძირიც შემკულია ამოღარული სპირალით. სიმეტრიული და დახვეწილია ელინისტური ხანის ჭურჭლის ფორმები და მოხატულობა, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჭურჭლების ფორმა და მოხატულობა კი საკმაოდ დაუდევრად დამზადების ნიშნებს ატარებს.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის თიხის ჭურჭლის ნაწარმის კეცი და ფორმები მნიშვნელოვნად შეცვლილია, მისი შემკულობა მაინც თითქმის მთლიანად იმეორებს იორ-ალაზნისათვის გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანაში თიხის ჭურჭლის ყველაზე მეტად დამახასიათებელი (იხილეთ დასკვნითი თავის წინა

[94] ამ კულტურის გამოვლენასა და შესწავლაში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს მ. უზუნაშვილს.

ნაწილი) შემკობის ნახაზს (308, გვ. 81). მხოლოდ ორნამენტის დატანის ხერხია ნაწილობრივ განსხვავებული — კერძოდ, თუ ადრეულ მასალებში ჭურჭლების მთელი კორპუსი კონცენტრული პარალელური ხაზებით იყო დასერილი, ახლა იგივე ორნამენტული სახე მოხატულობითაა დატანილი. თუმცა, ძალიან ხშირად პარალელური ხაზებით მოხატულ ჭურჭელსაც კი ზედაპირზე მაინც ეტყობა ჩარხზე ტრიალის შედეგად ამოღარული კონცენტრული ხაზები. იგივე დარჩა მხრისა და ძირის შემკობის ნახაზიცა და ხერხებიც.

ამგვარად, ჩვენ მიერ დასახელებული თანხვდომის ფაქტები თიხის ჭურჭლის შემკულობაში თავისთავად იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარება იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე არა მარტო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნამდე, არამედ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალი წელთაღრიცხვის III—IV საუკუნემდეც კი. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ დასახელებული არგუმენტები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი დასმული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის, თუმცა კი ისიც ცხადია, რომ ამგვარი ფაქტები მაინც მხოლოდ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდნენ და არა საწინააღმდეგოდ.

აღნიშნული კერამიკული მასალის დათარიღებისა და გავრცელების ფარგლების დადგენა კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხთანაა დაკავშირებული, კერძოდ კი იმასთან თუ იორ-ალაზნის ტერიტორიაზე გავრცელებული რომელი არქეოლოგიური კულტურა შეიძლება იქნას მიჩნეული ჰერთა კუთვნილად და რომელ მათგანს უნდა ეწოდოს ამ ეთნიკური ჯგუფის სახელი.

ჯერჯერობით ჩვენ მიერ დასახელებული თიხის ჭურჭლის ნაწარმი არც თუ ისე მრავალ პუნქტშია მოძიებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც აღმოჩენის ადგილების მიხედვით, ისე მასალის რაოდენობით მათი უდიდესი ნაწილი იორ-ალაზნის აუზშია კონცენტრირებული.

1. ყ ო ღ ო თ ო ს ხ ე ვ ი. ყოღოთოს ხევის პირას 1938—1939 წწ. ქიზიყის ექსპედიციამ სტეფანე მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით ნაქალაქარ ხორნაბუჯის მახლობლად, ხირსის საბჭოთა მეურნეობის მიდამოებში შეისწავლა ორმოსამარხები, ქვევრსამარხები და სხვ.

ორმოსამარხებში მიცვალებულები გვერდზე, კიდურებმოხრილია დაკრძალული. სამარხებში მრავლადაა ჩატანებული სხვადასხვა დანიშნულების ნივთი. თიხის ჭურჭელი ხშირად თეთრი ანგობის პარალელური ზოლებითაა მოხატული: ორმოსამარხი № 3 (სსმ, ინვ. № 4—58/28); ორმოსამარხი № 7 (სსმ, ინვ. № 4—58/95); ორმოსამარხი № 8 (სსმ, ინვ. № 4—58/104); ორმოსამარხი № 10 (სსმ, ინვ. № 4—58/128); ორმოსამარხი № 12 (სსმ, ინვ. № 4—58/89, 90) და სხვა მრავალი.

ი. გაგოშიძემ, ამ მასალის დამუშავების შემდგომ, ჩვენთან პირად საუბარში განაცხადა, რომ ყოღოთოს მთელი რიგი ორმოსამარხები, რომლებიც შეიცავენ თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატულ ჭურჭელს, საკმაოდ დამაჯერებლად თარიღდება ადრე ელინისტური ხანით.

თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული ჭურჭელი ყოღოთოს სამაროვანზე ქვევრსამარხებშიც აღმოჩნდა — ქვევრსამარხი № 2 (სსმ ინვ. № 4—58/224).

ამავე სამაროვანზე თეთრი ანგობით მოხატულ ჭურჭელთან ერთად კომპლექსში აღმოჩენილია იალოილუთაფას ტიპის სამფეხა თეფშები (ორმოსამარხი № 22, სსმ, ინვ. № 4—58/209), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ყოღოთოს სამაროვანზე თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭელი, შესაძლოა, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის ახლო ხანებითაც დათარიღდეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოღოთოს სამაროვანზე ამ რიგის კერამიკის შემცველი ზოგიერთი სამარხი საკმაოდ გვიანი დროითაც თარიღდება. მაგალითად, № 10 ორმოსამარხში თეთრი ანგობით მოხატულ ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა შაბურ I მონეტა (ახ. წ. 241—272 წწ.), რაც მ. სინაურიძეს აძლევს უფლებას ეს სამარხი მონეტის მიხედვით III საუკუნის მეორე ნახევარზე ადრეულად არ მიიჩნიოს. თუმცა სამარხში აღმოჩენილი სხვადასხვა სამკაული მის ზედა ზღვარს V—VI სს. განსაზღვრავს, მაგრამ დაკრძალვის პოზის მიხედვით (გვერდზე, მოხრილი კიდურებით) ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მისი თარიღი უფრო ქვედა ზღვარს დაუახლოვოს (310, გვ. 115—117) და მის კონკრეტულ თარიღად IV საუკუნე დაასახელოს (310, გვ. 122).

2. ს ო ფ. ყ ა რ ა ღ ა ჯ ი (სიღნაღის რაიონი). სოფლის ჩრდილოეთით ალაზნის ველზე, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ბორცვ „ტყის ბოლოს თა-

ფაზე", 1970 წ. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ძლიერ დაზიანებული ორმოსამარხი. აქ ადამიანის ძვლებთან ერთად, თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა.

3. სოფ. შრომა (ყოფილი ვაჩნაძიანი, გურჯაანის რაიონი). სოფლის ჩრდილოეთით, ალაზნის ველზე ადგილ „შალუაანთ ახოებში" 1969 წელს ვენახისათვის მიწის დაბრუნების დროს, ნამოსახლარის კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თეთრი ანგობის სიმეტრიული, პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლები (309, გვ. 18—20). მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა აქ სამარხეულისაა, სამარხთა ძლიერი დაზიანების გამო არ მოხერხდა მათი კომპლექსებად შეგროვება და დათარიღება.

ამავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა ტიპიური იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, მაგრამ სამწუხაროდ წინ აღწერილ მრავალრიცხოვან მოხატულ კერამიკასთან მას ვერ ვაკავშირებთ.

4. ახალი ულიანოვკა (ლაგოდეხის რაიონი). სოფლის მახლობლად 1960 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ერთერთ დაზიანებულ სამარხში თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული ჭურჭელი აღმოაჩინა (სსმ, ინვ. № 25—61/106). საინვენტარო წიგნის მიხედვით ამავე სამარხში უნდა იყოს აღმოჩენილი წითლად გამომწვარი სამფეხა ჭურჭელი (სსმ, ინვ. № 25—61/109), რომელიც იალოილუთაფას კულტურის კუთვნილ ტიპიურ ჭურჭლებს მიემსგავსება და ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ მასთან ერთად კომპლექსში აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელიც მის მსგავსად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის ახლო ხანებით თარიღდება. ამაზე ადრეული ან უფრო გვიანდელი მასალები აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც იალოილუთაფას კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

5. წინანდალი. აქ შემთხვევით აღმოჩენილ რამდენიმე ხელადას, რომლებიც მოწითალოდ გამომწვარი თიხისგანაა დამზადებული, მთელი ზედაპირი შემკული აქვს თეთრი ანგობის ვიწრო პარალელური ზოლებით (სსმ, ინვ. № 11—25/81, 84) (77, გვ. 65, ტაბ. XIX 24, 25).

6. შირაქი. შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში, ზილიჩას მინდორზე („სადოლე მიწები"), დაზვერვების დროს, შემაღლებულ ადგილზე მდებარე ნამოსახლარის ტერიტორიაზე, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა შეკრიბეს თეთრი ანგობის წვრილი პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

7. „სადუღა გორა". მდებარეობს მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე, ჯიმითის მიწებზე (166, გვ. 13). სოფ. იორ-მუღანლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით (გურჯაანის რაიონი). ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებულია ალიზის დიდრონი კვადრებით ნაგები, დამწვარი კედლის ნაშთი. მრავლად აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმში ჭარბობს წითელი, მწვანე და ჩალისფერკეციანი, თეთრი ანგობის სიმეტრიული, პარალელური ზოლებით მოხდენილად მოხატული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აქ, ე. წ. იალოილუთაფას კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის არც ერთი ნატეხი არ აღმოჩენილა.

„სადუღა გორის" ნამოსახლარი, ბორცვის გარდა, განფენილია აღმოსავლეთით ივრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით. აქ კულტურული ფენა დაახლოებით ორი მეტრის სიმძლავრისაა. კულტურული ფენის ჭრილის ყველა დონეზე ჩნდება თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული ჭურჭელი. ნიშანდობლივია, რომ არც აქ აღმოჩენილა იალოილუთაფას კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამასთან ერთად, ვინაიდან „სადუღა გორის" ნამოსახლარზე თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭელი მეტად მაღალი ხარისხისაა და მოხდენილი, იალოილუთაფას ტიპის კერამიკასთან და უფრო გვიან კი (ყოლოთი, ულიანოვკა), მხოლოდ დეგრადირებული ცალები გვხვდება, თითქოს შესაძლებელია ეს ნამოსახლარი წინასწარულად, ძირითადად იალოილუთაფას კულტურაზე ადრეულ პერიოდს მიეკუთვნოს. მით უმეტეს, რომ როგორც შიდა ქართლის ძეგლების მიხედვით ჩანს, თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლის ელინისტური ხანით დათარიღება თითქოს უეჭველია.

8. სოფ. საქობო (ლაგოდეხის რაიონი). აქ მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ჩალისფერკეციანი მოზრდილი, ცალყურა ჭურჭელი, რომლის ზედაპირი მთლიანად დაფა-

რულია თეთრი ანგობის ვიწრო, სიმეტრიული, პარალელური ზოლებით. ჭურჭელი ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

9. მ ი ლ ა რ ი ს ვ ე ლ ი მდებარეობს მდ. ალაზნის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირზე. აქ შემთხვევით აღმოჩენილ ორმოსამარხიდან სიღნაღის მუზეუმში შემოიტანეს მოწითალოდ გამომწვარი თიხის ორი ჭურჭელი, მოხატული თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებით (სსმ, ინვ. № 96, 97). ერთ-ერთის მხარი მოკლე, ირიბი ნაჭდევებითაა შემკული.

10. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება კიდევ სამი ჭურჭელი (ინვ. № 1559, 3205 და ერთი უნომრო) მოხატული თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებით. ამ ჭურჭელთა აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. მაგრამ როგორც ჩანს, ისინი მაინც სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. უფრო შორი ტერიტორიიდან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამგვარ ნივთებს არ შემოიტანდნენ.

11. დ ი დ უ ბ ე. აქ შემთხვევით აღმოჩნდა თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული ორი ჭურჭელი (სსმ, ინვ. № 2—52/119, 120) (77, გვ. 65).

თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია შიდა ქართლშიც. აქ იგი ყოველთვის ადგილობრივ, თანადროულ, წითლად მოხატულ თიხის ჭურჭელთან ერთად გვხვდება, მაგრამ ადგილობრივთან შეუდარებლად მცირე რაოდენობით. მიუხედავად ამისა თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის ეს ცალები კარგად თარიღდება და ამდენად მათზე შეჩერება აუცილებელია.

12. ს ა მ ა დ ლ ო. სამადლოს ნაქალაქარზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქსნის მახლობლად, ადგილობრივ კერამიკულ მასალას შორის გამოვლინდა თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც როგორც კეცით, ისე შემკობით აშკარად განსხვავდება ადგილობრივი კერამიკული ნაწარმისაგან და აქ შემოტანილადაა მიჩნეული კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრიდან (311, გვ. 46)[95].

სამადლოს ნამოსახლარზე ი. გაგოშიძეს მხოლოდ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ფენები აქვს დამოწმებული (312, გვ. 76; 313, გვ. 191). აქ აღმოჩენილი თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭელი ელინისტური ხანით თარიღდება.

3. უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა წითელი და მოყვითალოკეციანი თიხის ჭურჭლის, უმთავრესად ხელადების ფრაგმენტები, რომლებიც თეთრი ანგობითაა მოხატული. მოხატულობის სიუჟეტები ერთფეროვანია— წრიული, ერთიმეორეზე თითქმის მიჯრით განლაგებული სარტყლები (237, გვ. 78, ტაბ. L).

14. ბ ა მ ბ ე ბ ი ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი (უფლისციხის მახლობლად). ნამოსახლარზე გავლებული მეორე თხრილის I კომპლექსის მარნის იატაკზე აღმოჩნდა თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლის ნატეხები (237, გვ. 78, ტაბ. $VIII_3$, $LIV_2$). დ. ხახუტაიშვილის დაკვირვებით, აღნიშნული ფრაგმენტები კარგად სტრატიფიცირებულ ფენაშია ნაპოვნი და ზუსტად თარიღდება ძვ. წ. III—II საუკუნეებით (237, გვ. 28—29).

15. უ რ ბ ნ ი ს შ ი აღმოჩნდა თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით მოხატული ჭურჭელი. იგი აქაც კახეთიდან შემოტანილადაა მიჩნეული (311, გვ. 46).

